

ელდარ მამისთვალიშვილი  
ELDAR MAMISTVALISHVILI

საქართველოს საბარეო  
პოლიტიკა და დიპლომატია  
(ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული  
დამოუკიდებლობის დაცვისათვის. XVI-XVIII სს.)

## FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA

(the fight for the defense of faith and national  
independence. XVI – XVIII centuries)

III

თბილისი  
2019

XVII-XVIII საუკუნეთა ფეოდალური ხანის ქართულ სამეფო-სამთავროების ისტორია, არის ბრძოლა სარწმუნოების სიწმინდის, ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, რომელიც წარიმართებოდა სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა ფორმით. გამოკვეთილი იყო, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით სამეფოებისა და სამთავროების „საგარეო“ პოლიტიკა ერთმანეთის მიმართ, რომელიც ხშირად მეზობელი დიდი სახელმწიფოების პროვოცირებას ახდენდა მათი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად რომელიმე პოლიტიკური ერთეულის ან, საერთოდ, მოელი საქართველოს მიმართ. საქართველოს მთლიანობაში, მეტნაკლებად, უხდებოდა შიიტური ორანის, სუნიტური ოსმალეთის, მართლმადიდებლური რუსეთისა და კათოლიკური ეპროპის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა ან გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვან დაღს ასვამდა ქვეყნის ცხოვრებასა და მის შემდგომ განვითარებას.

წიგნი სასარგებლო იქნება აღნიშნული პერიოდის ისტორიის მკვლევარების, სტუდენტებისა და რიგითი მკითხველებისათვისს.

The history of Georgian Kingdoms and Chiefdoms of feudal Georgia of XVII – XVIII centuries is a struggle for faith holiness, independence of the church and maintaining of national originality, which had different trends and forms. The “foreign” policy of Kingdoms and Chiefdoms inside the country against each other also stood out. The big neighbor kingdoms often provoked their aggressive intentions either against a political unit or generally, against the whole of Georgia. Georgian people, more or less, had to fight against geopolitical and economic interests of Shia Iran, Sunni Ottoman, Orthodox Russia and Catholic Europe, and it left an important mark on the country’s life and its further development.

The book will be of interest to the history researchers of the mentioned period, students and ordinary readers.

„ესე არს სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩუქ-  
ნისად. და რაჟამს ერთგზის გპცნობიეს, არდარა მიღრეკილ  
ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მისდრკებით, თუ  
ღმერთსა უნდეს“

*გიორგი მთაწმინდელი*

„ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა,  
მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა,  
ტყუეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანებისა  
დამტკიცებისათვის“

*სინაზე მოღვაწე ქართველთა კედრულიძან*

„ამთონი რყევა ეყოფა საწყალობელს საქართველოს“

*გარეუვან ჭავჭავაძე*

## შესაგალი.....

საქართველო-რომის ურთიერთობა XVI საუკუნეში.....

კათოლიკი მოღვაწეთა გეზმები კათოლიკობის

გავრცელების შესახებ საქართველოში (XVII ს. I

მესამედი).....

რომის ეპლესის ფარმომაღენელთა სამიანობა

საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისათვის

თემიშრაზ I-ის დროს.....

კასტელის ნახატები – საქართველოს ისტორიის

მიღვენელოვანი ცურცლები

დონ კრისტოფორო დე კახტელი და ელენე ათაბაგი

„საფრანგეთის, პოლონეთის და საქართველოს ელჩების

ბანქეტი კონსტანტინოპოლიში. 1657 წ.“ .....

ქართველი „მუსლიმანი“ მეზეების დიალოგატია

როსტომ მეფის დიპლომატია.....

ვახტანგ V შაჰნავაზის დიპლომატია.....

გიორგი XI-ის დიპლომატია.....

„მუსლიმანი“ ერეკლე I და ართლიმადიდებლობა.....

იერუსალიმის აატრიარქი დოსითეონ II ნოტარა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში (XVII ს.

დასასრული – XVIII ს. პირველი ათწლები).....

გახტანგ VI-ის საბარეო კოლიფიპა და დიალოგატია

რამდენიმე შტრიხი პატრიარქ დოსითეონის და ჯანიშინ  
ვახტანგ VI-ის ურთიერთობიდან.....

ვახტანგ VI-ის ირანთან და რუსეთთან ურთიერთობის  
გაცვეთილები.....

ვახტანგ VI-ის ურთიერთობა აგსტრიასთან და  
რომთან.....

ვახტანგ VI-ის ურთიერთობა საფრანგეთთან.....

ვახტანგ VI-ის ურთიერთობა რუსეთთან.....

პასუხი იმპერატრიცა ემატერინგ I-ის სახელით საქართ-  
ველოს მართველის პუსეინ-უული-ხანის [ვახტანგ VI] მოხაზ-  
რებებზე .....

განებანგ VI-ის დიპლომატი – სულხან-საბა ორბელი-ანი

რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში? .....  
სულხან-საბას მიურ კათოლიკობის აღიარების  
საკითხისათვის .....

წყაროები სულხან-საბას რელიგიური ორიენტაციის შე-  
სახებ.....

ზოგადი კათოლიკობისადმი დამოკიდებულება  
სულხანსაბამდელ საქართველოში.....

სულხან-საბას დამოკიდებულება კათოლიკებთან მისივე  
მონათხრობის მიერდეთ .....

პოლიტიკური გითარება საქართველოში სულხან-საბას  
ევროპაში გამგ ზავრებამდე.....

გახტანგის დამოკიდებულება ძმებთან.....

სულხან-საბას გამგზავრება ევროპაში.....

სულხან-საბას და უან რიშარის შეხვედრა გორში.....

სულხან-საბამ ევროპაში გამგ ზავრება გადაწყვიტა  
გორში.....

სულხან-საბა მარსელი.....

სულხან-საბა პარიზში.....

სულხან-საბა რომში.....

სულხან-საბას დაბრუნება სამშობლოში.....

პატალიკოს დომენიტი IV-ის პორტრეტისათვის.....

პანთა მევე პონსტანტინე II საბარეო პოლიტიკა და  
დიპლომატია .....

ბიზო II პატრიარქი – პოლიტიკური მოღვაწე და  
დამპყრობელი ზონააღმდეგ აჯანებაის მეთაური ....

ანტონ I-ის მიერ კათოლიკობის აღიარების  
პოლიტიკური საფარგელი .....

პატოლიკობისადმი სხვადასხვა მიღბობა

შართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და

საბარეო პოლიტიკაში .....

საქართველო-რომის შრთივრთობის ზოგადი  
დახასიათება .....

იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების  
შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია  
(XVIII ს. 50-60-ანი წლების პირველი ნახევარი)..... .

საქართველო და რუსეთ-ოსმალეთის ომი  
(1768-1774)....

ეკატერინე II-ის გენერალი ტოტლებენი საქართვე-  
ლოში.....

ეკატერინე II-ის გენერალი სუხოტინი  
საქართველოში.....

სოლომონ I-სა და ერეკლე II-ის მოქავშირეობის  
აღდგენა.....

რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774) დასრულება და  
საქართველო.....

დიპლომატი ბარსებან ჭავჭავაძე და მიტროპოლიტი  
პაისიონი.....

გიგლიორგაზია .....

რეზიზე .....

სახელთა საძირებელი .....

## შესაბალი

XVI-XVIII საუგუნეთა ფეოდალური ხანის ქართული სამეფო-სამთავროების ისტორია, ძირითადად წარმოადგენს ბრძოლას სარწმუნოების სიწმინდის, ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითყოფადობის შენარჩუნებისათვის, რომელიც წარიმართებოდა სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა ფორმით.

აღნიშნული პერიოდის სამეფო-სამთავროების საგარეო ორიენტაციაში არსებობდა სამი ძირითადი მიმართულება: 1. ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის ორ მუსლიმანური სახელმწიფოსთან – ირანთან და ოსმალეთთან; 2. ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან; 3. ურთიერთობა კათოლიკურ ევროპასთან; 4. გამოკვეთილი იყო აგრეთვე ქვეყნის შიგნით სამეფოებისა და სამთავროების „საგარეო“ პოლიტიკა ერთმანეთის მიმართ, რომელიც ხშირად მეზობელი დიდი სახელმწიფოების პროვოცირებას იწვევდა მათი აგრესიული ზრავების განსახორციელებლად საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ერთეულის ან მთელი ქვეყნის მიმართ.

\*\*\*

საქართველოს სამეფო-სამთავროების შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მართლმადიდებლობის სიწმინდის დაცვის საბაბით მოურიდებლად ერეოდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები<sup>1</sup>. იგივე მოტივი, განსხვავებული პოლიტიკური

<sup>1</sup> იერუსალიმის და ანტიოქიის პატრიარქების საქმიანობა საქართველოში გადმოცემული მაქვს საეციალურ ნაშრომებში: საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008; ქართული და ანტიოქიის ეკლესიების ისტორიიდან „ისტორიანი“, რომ მეტვეველისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2009, გვ. 251-272.

მიზნებიდან გამომდინარე, ედო საფუძვლად რომის პაპების ურთიერთობას საქართველოს მეფე-მთავრებთან და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკურ მისიას საქართველოს საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით XVII-XVIII საუკუნეებში. ფაქტობრივად, ეს იყო ევროპის ქვეყნებიდან (ვატიკანის) ერთადერთი, მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა (თუმცა მას ასეთი სახელით არასოდეს მოიხსენიებდნენ), რომელიც კათოლიკობის პროპაგანდასთან ერთად აგროვებდა დაწვრილებით ინფორმაციას ქართველი ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობაზე (სანიმუშოდ იხ. პიეტრო დელა ვალეს მიერ 1626 წელს შემუშავებული სპეციალური ინსტრუქცია კათოლიკე მისიონერებისათვის 12 მუხლად), რომელსაც მისიის ხელმძღვანელები – პრეფექტები რეგულარულად აგზავნიდნენ 1622 წელს დაარსებულ წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეში“. ქართველი მეფე-მთავრები მისიის წარმომადგენლებს – მისიონერებს ზოგჯერ დიპლომატიური დაგალებებით აგზავნიდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში<sup>1</sup>.

საქართველოს რომთან და მისი სახით კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც შეიძლება პირობითად გავყოთ ოთხ პერიოდად:

I. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილებამდე საქართველოს და რომის ეკლესიის ურთიერთობაზე მსჯელობა არაპირდაპირ, ფრაგმენტულ ცნობებზეა დამყარებული და ძირითადად, გამოთქმულია ვარაუდები.

<sup>1</sup> წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეში“ დაარსებისა და მუშაობის შესახებ ვრცლად იხ. ააპაშვილი გ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995, გვ. 126-142; ქორთუა ზ., XVII საუკუნის ქართული დიპლომატიური სამსახურის ისტორიიდან //გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუმათა კრებული, I, ისტორიის სერია, 2001, გვ. 64-65.

II. XI-XIV სს. ამ დროს ქართული სახელმწიფო არის ევროპის სახელმწიფოების თანასწორი პოლიტიკური და სამსახურო პარტნიორი. პაპები ქართველ მეფეებსა და ეკლესიის მეთაურებს **თხოვებ** (!) ჯვაროსნული მოძრაობისადმი შეიარაღებული ძალით დახმარებასა და ეკლესიების გაერთიანებას, მაგრამ ჯერ კიდევ გამოკვეთილად არ ჩანს ეკლესიებს შორის წინააღმდეგობის მიზეზები<sup>1</sup>.

III. XV-XVI სს. აქამომდე (ფერარა-ფლორენციის კრება-მდე) ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა უთანხმოება დოგმატურ საკითხებზე ქართულ და რომაულ ეკლესიებს შორის, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებით, ქართველი პოლიტიკოსები, ოფიციალურად არც ამის შემდეგ აცხადებდნენ ორ ეკლესიას შორის იმ სასიათის განხეთქილებაზე, როგორიც იყო კონსტანტინოპოლიტიკუსალიმისა და რომის ეკლესიებს შორის. ქართული სახელმწიფოებისა და ეკლესიის წარმომადგენლები არასოდეს კიცხავდნენ რომის ეკლესიასა და პაპს, თუმცა ამ პერიოდში კვლავ სახეზეა რომის წარმომადგენლების წარუმატებელი მცდელობა გაავრცელონ კათოლიკობა მართლმადიდებელ ქართველებს შორის.

IV. XVII – XVIII ს. ეს ის პერიოდია, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ევროპის სახელმწიფოებსა და რომის პაპს თხოვდა სამხედრო დახმარებას მუსლიმანური სახელმწიფოებისაგან დაცვისათვის. ახლა უკვე დახმარების დაპირების ან მის გარეშე, კათოლიკური ევროპა და მისი მეთაური რომის პაპი **მოითხოვებ** (!) ქართველების მიერ კათოლიკობის აღიარებას და რომის პაპის უზენაესობის ცნობას. ამ პერიოდში გამოკვეთილად გამოჩნდა ქართველი მეფე-მთავრებისა და საქართველოს ეკლესიის ნამდვილი დამოკიდებულება რომის ეკლესისადმი, ხელისუფლებისა და

<sup>1</sup> საქართველო-რომის ურთიერთობის I-II პერიოდის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014.

პოლიტიკოსების ორმაგი სტანდარტი – კათოლიკობის მომხრეობა კათოლიკურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობისას; კათოლიკების დევნა-შევიწროება ქვეყნის შიგნით მართლმადიდებელ ქართველებში კათოლიკობის გავრცელების მათი ყოველი მცდელობისას.

\*\*\*

საქართველო-ევროპის ურთიერთობით, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებით და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობით, ქართველი ისტორიკოსებისა და საზოგადოების დაინტერესება დაიწყო XIX ს. მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებასთან ერთად. საჭირო იყო შინაური თუ უცხო ოპონენტებისათვის იმის დამტკიცება, რომ საქართველო და ქართველები ოდითგანვე დაკავშირებული იყვნენ ქრისტიანულ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად, სამხედრო და კულტურულად მოწინავე ევროპის სახელმწიფოებთან.

რადგან წინამდებარე მონოგრაფია მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ვატიკანის არქივში დაცულ საარქივო მასალებს და ასახავს საქართველო-რომის ინტენსიურ ურთიერთობას, ამიტომ სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ქართული ისტორიოგრაფიის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებებს.

ბუნებრივია იბადება ინტერესი იმის გასარგვებად, ორი ეკლესიის, უფრო სწორად ორი – დასავლურ რომაულ-კათოლიკური და აღმოსავლურ ბერძნულ-მართლმადიდებლური ეპლესიის დაპირისპირების დროს, როგორი იყო ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, იხრებოდა იგი რომელიმე მხარისკენ თუ იცავდა ნეიტრალიტეტს?

საქართველოს რომთან და მისი სახით კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც შეიძლება პირობითად გავყოთ ოთხ პერიოდად:

I. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილებამდე საქართველოს და რომის ეკლესიის ურთიერთობაზე მსჯელობა არა-

პირდაპირ, ფრაგმენტულ ცნობებზეა დამყარებული, ამის გამო, ძირითადად, გამოთქმულია ვარაუდები.

II. XI-XIV სს. ამ დროს ქართული სახელმწიფო არის ევროპის სახელმწიფოების თანასწორი პოლიტიკური და სამსხვედრო პარტნიორი. პაპები ქართველ მეფეებსა და ეკლესიის მეთაურებს **თხოვენ** (¶) ჯვაროსნული მოძრაობისადმი შეიარაღებული ძალით დახმარებასა და ეკლესიების გაერთიანებას<sup>1</sup>, მაგრამ ჯერ კიდევ გამოკვეთილად არ ჩანს ეკლესიებს შორის წინააღმდეგობის მიზეზები.

III. XV-XVI სს. აქამომდე (ფერარა-ფლორენციის კრება-დე) ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა უთანხმოება დოგმატურ საკითხებზე ქართულ-რომაულ ეკლესიებს შორის, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებით, ქართველი პოლიტიკოსები, ოფიციალურად არც ამის შემდეგ აცხადებენ ორ ეკლესიას შორის იმ ხასიათის განხეთქილებაზე, როგორიც იყო კონსტანტინოპოლიერუსალიმისა და რომის ეკლესიებს შორის. ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის წარმომადგენლები არასოდეს კიცხავენ რომის ეკლესიასა და პაპს, თუმცა ამ პერიოდში კვლავ სახეზეა რომის წარმომადგენლების წარუმატებელი მცდელობა გაავრცელონ მართლმადიდებელ ქართველებს შორის კათოლიკობი.

IV. XVII – XVIII ს. ეს ის პერიოდია, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ევროპის სახელმწიფოებსა და რომის პაპს თხოვს სამხედრო დახმარებას მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოებისაგან დაცვისათვის. ახლა უკვე დახმარების დაპირების ან მის გარეშე, კათოლიკური ევროპა და მისი მე-

<sup>1</sup> პირველი დოკუმენტი რომელშიც არის პაპის მოწოდება საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების შესახებ, მოცემულია პაპ გრიგოლ IX-ის მეფე რუსულანისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1240 წლის 13 იანვრით. თამარაშვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილის, 1902, გვ. 14-17.

თაური რომის პაპი **მოითხოვებ** (!) ქართველების მიერ კათოლიკობის აღიარებას და რომის პაპის უზენაესობის ცნობას. ამ პერიოდში გამოკვეთილად გამოჩნდა ქართველი მეფე-მთავრებისა და საქართველოს ეკლესიის ნამდვილი დამოკიდებულება რომის ეკლესისადმი, ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების ორმაგი სტანდარტი – კათოლიკობის მომხრეობა კათოლიკურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობისას, კათოლიკების დევნა-შევიწროება ქვეყნის შიგნით მათ მიერ მართლმადიდებელ ქართველებში კათოლიკობის გავრცელების უფლები მცდელობისას.

\*\*\*

საქართველო-ევროპის ურთიერთობით, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებით და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობით, ქართველი ისტორიკოსებისა და საზოგადოების დაინტერესება დაიწყო XIX ს. მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებასთან ერთად. საჭირო იყო შინაური თუ უცხო ოპონენტებისათვის იმის დამტკიცება, რომ საქართველო და ქართველები ოდითგანვე დაგავშირებული იყვნენ ქრისტიანულ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად, სამხედრო და კულტურულად მოწინავე ევროპის სახელმწიფოებთან.

დასახული მიზანი დღის წესრიგში აყენებდა შესაბამისი წყაროების მოძიებას, დამუშავებასა და გამოქვეყნებას. პირველი, ვინც საქართველოს შესახებ ეკროპული წყაროების ქართველი მკითხველისათვის გაცნობა დაიწყო, იყო გ. ყაზბეგი. მან საზღვარგარეთ ყოფნის დროს (1863-1864) მოიძია ზოგიერთი მასალა, რომლის გარკვეული ნაწილის მიმოხილვა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა 1867-1868 წლებში. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიელების ცნობები კავკასიაზე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Казбек Г., Итальянцы о Кавказе. «Кавказ», 1867, т. 4, 6, 35, 36, 40, 41, 42, 54; 1868, т. 72, 73, 75, 78.

1885 წელს, იმავე გაზეთში თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა საკმარის კრიტიკული სტატია კათოლიკე მისიონერთა საქართველოში მოსვლის მიზნებსა და ზრახვებზე, აღნიშნა ის მიზები, რომლებმაც შეაფერხა რომის პაპების წარმომადგენლების საქმიანობა<sup>1</sup>; 1891 წელს ერიცოვმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი კათოლიკობაზე საქართველოში<sup>2</sup>; 1898 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა ლუკა ისარლოვის ბროშურა „კათოლიკები საქართველოში“<sup>3</sup>; მნიშვნელოვანი იყო ზ. ჭიჭინაძის პოპულარული ნაშრომები<sup>4</sup>.

პოლემიკური ხასიათის სტატია გამოაქვეყნა აღ. ხახანაშვილმა 1901 წელს<sup>5</sup>. იგი აკრიტიკებდა ვინმე სარუხანს, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველოში კათოლიკების უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ.

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების გამოვლენასა და შესწავლის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა შესანიშნავმა ქართველმა სასულიერო და საზოგადო მოღვაწემ, დიდმა პატრიოტმა შ. თამარაშვილმა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Жордания Ф., Исторический очерк пропаганды католицизма в Грузии. «Кавказ», 1885, № 10.

<sup>2</sup> Ерицов, Католицизм в Грузии. «Новое обозрение», 1891.

<sup>3</sup> ისარლოვი ლ., კათოლიკები ხაქართველოსი, თვილისი, 1898.

<sup>4</sup> ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზები ხაქართველოს მიმართ რომის ფურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანო დავითა, თვილისი, 1898; მიხივვ, ხაქართველოს შესახებ ვეროპელ მოძღვართა და მოვზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები ხაფრანგეთის მეფებთან. მევე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკები. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თვილისი, 1900.

<sup>5</sup> Хаханов А. С., Ест ли грузино-католики? (Вопрос и ответ г. Саруханову) // Богословский вестник, 1901, т. 2, № 5, с. 163-180.

<sup>6</sup> მ. თამარაშვილი ზ. ჭიჭინაძეს წერდა: „ხაქართველოდან წამოსვლისთანავე აღვიძებდე გულში, რომ ხაქართველოს შორიდან შევ-

მისი წიგნში<sup>1</sup>, თავმოყრილია უამრავი დოკუმენტი, ამონარიდები კათოლიკე მისიონერების რელაციებიდან, ნარატიული თხზულებებიდან და სხვადასხვა ენაზე არსებული წიგნებიდან, უმნიშვნელოვანებისა საქართველო-ევროპის ურთიერთობის, შიდაპოლიტიკური ცხვრების, საქართველოში კათოლიკობის გაგრცელებისა და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ისტორიის შესასწავლად.

„ისტორია კათოლიკობისა“, როგორც, მ. თამარაშვილი აღნიშნავდა, გამოიცა სომეხი მწერლებისა და ისტორიკოსების აზრის გასაბათოლებლად და ქართველ მეფე-იერარქთა და, საერთოდ, ქართველთა რომის ეკლესიისადმი მიღრეკილების დასამტკიცებლად. ამჯერად საინტერესო პრობლემის შესწავლისათვის ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მ. თამარაშვილის მიერ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი<sup>2</sup>, რომელიც ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა 1995 წელს<sup>3</sup>.

მ. თამარაშვილმა რომ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში, უდავოა, მაგრამ სადაოა მისი მთელი რიგი დებულებები საქართველო-რომის ურთიერთობისა და კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. მისი

წერდი. ამის ვამო პირველად მივუდო რომში თუ არა, დავიწყე საქართველოს გაცნობა მაღალ სხვადასხვა წოდების პირებთან... მაშინვე დავიწყე ძებნა და შემოკრევა ქართველობაზე სხვადასხვა ცნობებისა, რაც კი ევროპაში დაუწერიათ საქართველოზე“. ლომსაძე მ. მიქელ თამარაშვილი, თბილისი, 1964, გვ. 19.

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902.

<sup>2</sup> Tamarati M., *L'Eglise Georgienne des origines jusqu'et nos jours. Rome: Societe Typographico-Editrice Romaine, 1910.*

<sup>3</sup> თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაცია გაუკეთებ, წინასიტყვაობა დაურთებ და გამოხატვად მოამზადებ ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბილისი, 1995.

დამოკიდებულება საკვლევი საკითხისადმი განპირობებული იყო ორი მნიშვნელოვანი გარემოებით – აღმსარებლობითა და პატრიოტიზმით. მ. თამარაშვილი კათოლიკე იყო და იმავე დროს თავის სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული. ამასთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მ. თამარაშვილის კონცეფციაში სერიოზული გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის მკვლევრების შეხედულებათა ფორმირებასა და კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის შეფასებაზე. ძალიან ხშირად ფაქტების შეფასება და დასკვნები უფრო ემოციურია და განხილულია კონფესიური ინტერესებით, ვიდრე მოვლენებისა და ფაქტების ანალიზზე დამყარებული.

მ. თამარაშვილს, რომ ძირითადად აინტერესებდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიის შესწავლით, ამაზე იგი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში პირდაპირ მიუთითებდა. ამ ინტერესიდან გამომდინარე, მ. თამარაშვილი საბუთებს არჩევდა და ხშირად კვეცდა<sup>1</sup>.

პირველი ვინც კრიტიკული შეფასება მისცა მ. თამარაშვილის ზოგიერთ მოსაზრებას, იყო ივ. ჯავახიშვილი. მან მ. თამარაშვილი „კათოლიკე მეცნიერად“ მოიხსენია მაშინ, როდესაც იხილავდა მის მოსაზრებას ქართული და რომაული ეკლესიების შეერთების შესახებ. მ. თამარაშვილის აღმსარებლობაზე ხაზგასმით ივ. ჯავახიშვილი მის ტენდენციურობაზე მიანიშნებდა<sup>2</sup>.

ტ. ჯასრაძის შეფასებით, „თამარაშვილის მიზანი, ქართველ კათოლიკეთა არსებობის დახმატებება იყო, რის გამოც ავტორის მიერ გაზიარდება ქართველების კათოლიკობისადმი მიღრევებისა, ნაწილობრივ ამით არის გამოწეული. ამის გამო მიხი შრომა ძირფასი და დახაფასებელი მასში მოთა-

<sup>1</sup> მაისურაძე ი., ისტორიკოსი მიქელ თამარაშვილი, „მნათობი“, თბილისი, 1958, №7, გვ. 129.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. III.

კანონის პროპაგანდის საბუთებით არის და არა ავტორის დებულებებით, რომლებიც მეტად სუბიექტურია<sup>1</sup>.

აფასებს რა მ. თამარაშვილის „ისტორიას კათოლიკობისა ქართველთა შორის“, პ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ იგი „თავისუფალი არ არის კონფესიური ტენდეციებისაგან. ამ შრომის ავტორი ეხება საკითხს, სხვათა შორის, იმის შესახებაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკეთა მიხიას ქართული კულტურისათვის, და იმ დახვენამდე მიდის, რომ ე.წ. „აღორძინების“ ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარება გამოწვეული იყო, თუ მთლიანად არა „მნიშვნელოვნად მაინც, კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობით ჩვენში. რამდენადაც ამ შრომამ თავის დროს ხელი შეუწყო კათოლიკური მიხიის საქმიანობის ისედაც იდეალიზებული წარმოდგენის გაზიარებას ჩვენში, საჭიროა განვიხილოთ საქმის ნამდვილი ვითარება<sup>2</sup>. შემდეგ პ. კეკელიძე ასახელებს იმ მისიებს, რომელთა საქმიანობასაც აშუქებდა თავის წიგნში მ. თამარაშვილი, აღნიშნავდა როგორ იმედებს ამყარებდნენ რომის პაპი ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი გარეშე მტრებისაგან თავდაცვის საქმეში. პ. კეკელიძე „დახელოვნებულ აგენტებს“ უწოდებს, თავიანთი რედაციებითა და თხზულებებით კარგად ცნობილ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც მოსახლეობის თავიანთ მხარეს გადაბირების მიზნით რა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდნენ. „მისიონერთა და მათ მიერ მონადირებულ პირთა ასეთ მოღვაწეობასა და საქმიანობას არ ჰქონია და არც შეეძლო ჰქონოდა რაიმე მნიშვნელოვანი გაყლენა ქართული მწერლობის ზრდა განვითარებაზე, ვინაოდან ყველაფერ ამას გახავალი მხოლოდ გარკვეულ ვიწრო

<sup>1</sup> კახრაძე ტ., რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში. საღისეურებაციით ნაშრომი ი.მ.კ სარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1947, გვ. 14.

<sup>2</sup> კეკელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 76-77.

წრეში პქონდა, ფართო პოპულარობით ის არ სარგებლობდა, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური იმედები, რომელთაც მიხიონებრთა საქმიანობაზე ამყარებდნენ ჩვენში, ეფექტურული და უნიადაგო აღმოჩნდა. მიხიონებრთა საქმიანობა მართლა ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მ. თამარაშვილს აქვთ დახატული, თითქოს ისინი არავითარ იდეურ წინაღმდეგ-გობას არ ხვდებოდნენ საქართველოში თავისი ზრახვების განხორციელებისას. პირიქით, მათ მოღვაწეობას, პრაქტიკულ-სა თუ ლიტერატურულს, თავისებური რეაქცია გამოუწვევია ქართველთა შორის<sup>1</sup>.

იხილავდა რა ქართველ მართლმადიდებელთა კათოლიკობისადმი დამოკიდებულების საკითხს, ვ. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნეებს, მათ შორის შაპ-აბასს, სურდა ამ პროცესისათვის ხელის შეწყობა, რათა ქართველთა გაკათოლიკებით გაწყვეტილიყო კავშირი საქართველოსა და კათოლიკობის სასტიკ მოწინააღმდეგებე რუსეთს შორის<sup>2</sup>. ვ. გაბაშვილი მ. თამარაშვილის მიმართ გამოთქამდა საყვედურს: „საკითხის ეს მხარე გარკვეული არა აქს, და არც შეეძლო გაერკვია ქართული კათოლიკობის ისტორიის გვლევარს მ. თამარაშვილს. ეს უკანასკნელი ტენდეციურად,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 78-79.

<sup>2</sup> ა. კარტაშევის თქმით, ბერძნებმა სლავებს ანდერძად „დამდაბლუ-ბული საღვთისმეტყველო აზრი“ გადასცეს, რის გამოც „ახალგაზრდა კლეისიების რელიგიური განწყობა იმთავითვე მოწიამდა და-თინთა მტრობით. მაგ., რუსებს აკრძალული პქონდათ არა მხოლოდ დანათესავება დათინებთან, არამედ მათთან ჭამა-ხმაც, ხოლო ჭურჭელი, რომლიდანაც ისინი ჭამდნენ და ხვამდნენ, დოცეით უნდა განეწინდათ, რადგან გაწარმართებულად მიაჩნდათ. მათ დაიჯერეს, რომ დათინთა შერწყნილი რწმენა დამდუპველი იყო, რომ მისი მიმდვერი ვერ იხილავდა საუკუნო ცხოვრებას“ კარტა-შევი ა., კლეისიათა ერთობა ისტორიის გადმოსახლდიდან. კლეი-სის საზღვრები, თბილისი, 2000, გვ. 40- 41.

კონფესიური თვალსაზრისით გვიდებოდა ვატიქანის არქიეპი დაცულ მასალებს<sup>1</sup>.

მ. თამარაშვილის პროტომაჟლ-კათოლიკური პოზიცია მკაცრად შეაფასა ო. ჟუჟუნაძემ: „უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ როგორც სასულიერო პირს და კათოლიკებს მ. თამარაშვილს საქართველოსა და კათოლიკურ სამყაროს შორის ურთიერთობის შესახებ თავისი კონცეფცია გააჩნდა, რომლის თანახმად საქართველოსა და რომებ შორის კოველთვის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სუვერენიტეტისა და ქართული კალებია არაერთხელ შეერთებული რომის კალებიასთან. ამ კონცეფციას მ. თამარაშვილი ხანდახან ისტორიული ჭეშმარიტების დალატამდება კი მაჲკავდა<sup>2</sup>.

საქართველო-ევროპის ურთიერთობის ამსახველი მასალების ქართული საზოგადოებისათვის გაცნობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ო. ტაბაღუას, რომელმაც ასევე ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში მოპოვებული ზოგიერთი ახალი მასლა წარმოაჩინა<sup>3</sup>, მაგრამ მან განსაკუთრებული უურადღება დაუთმო მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული

<sup>1</sup> გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოქებალური კოალიციები XVI-XVII სს.) // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. III.

<sup>2</sup> ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ხაგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის // ქართული სამეცნ-სამთავროების ხაგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 26.

<sup>3</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კერთაბის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984; მიხეივე, საქართველო კერთაბის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი) (1600-1628 წწ.), II, თბილისი, 1986; მიხეივე, საქართველო კერთაბის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბილისი, 1987.

დოკუმენტების შემოწმებასა და გასწორებას, თუმცა იდეურ-ად მის პოზიციაზე დარჩა.

ცალკე მხჯელობის საგანია იმ მკვლევართა მიღებომა ქ. თამარაშვილის მემკვიდრეობას უკრიტიკოდ, დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად რომ იხილავენ საქართველო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობას მთელ შუა საუკუნეებში და მხედველობიდან რჩებათ ქართველი პოლიტიკის მესვეურების პრაგმატიზმი. ყოველივე ამის შესახებ, საჭიროების შესაბამისად, წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში.

## საქართველო-რომის ურთიერთობა XVI საუკუნეში

„ამ საუკუნეებ საქართველოს დიდი და მრავალი გვარი უბედურება დაატეხა თავსა...“ წერდა მიქელ თამარაშვილი<sup>1</sup>. მაგრამ არც მისი წინამორბედი XV საუკუნე იყო წარმატებული საქართველო-რომის ურთიერთობის გადრმავებისათვის. მაშინ მომხდარ სერიოზული მოვლენები (ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებმა, ე.წ. ანტიოქიალურ კოალიციაში საქართველოს ჩართვის მცდელობამ, „ანტიოქიის პატრიარქ“ ლუდოვიკო ბოლონიელის ავანტიურამ და კირ ნილოს უშედეგო ელჩობამ ესპანეთსა და რომში) იმით დამთავრდა, რომ საგრძნობლად შესუსტდა კონტაქტები საქართველოსა და რომს შორის. ასეთი მდგომარეობა, დამძიმებული ქრისტიანობისათვის უარყოფითი საერთაშორისო პროცესებითაც, აისახა საქართველო-რომის ურთიერთობაზე, რაც ყველაზე ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ, 1328 წელს თბილისში გადმოტანილი კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრამ არსებობა შეწყვიტა. აღსდგა იგი მხოლოდ 1493 წელს.

ძირითადად, სუსტი იყო საქართველო-რომის ურთიერთობა XVI საუკუნეში, რაც აისახა ამ პერიოდის ეკროპული წყაროების სიმცირეშიც, თუმცა ეს არ ითქმის ამავე საუკუნის 80-90-იან წლებზე, ე.წ. ორან-ოსმალეთის მეორე ომის პერიოდზე. წყაროების სიმცირე განაპირობა გართულებულმა საერთოშორისო კითარებამ: ოსმალების შეტევა ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, მის მიერ სავაჭრო-საქარავნო გზების გადაკეტვა.

რადგან ოსმალეთი ევროპას უტევდა და ირანი და საქართველო თავიანთ ანტიოქიალური სამხედრო მოქმედებაში თავშეკავებულნი იყვნენ, უფრო სწორად, ირანი აღმოსავლეთ

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., ხელისა კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 69.

საქართველოს დაპყრობას ლამობდა, ასეთ ვითარებაში ცენტ-რალური ეგროპის ქვეყნების ინტერესი საქართველოს მიმართ ნაკლები იყო.

ქართველთა ბრძოლამ დამპყრობლებისგან თავის დასაცავად, საქმაოდ სერიოზულად მიიპყრო ევროპის სახელმწიფოთა მეთაურთა ყურადღება მაშინ, როდესაც ოსმალეთის სახელმწიფო თავისი ძლიერების ზენიტისკენ მიდიოდა და სერიოზულ ხიფათს უქმნიდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, მეპმედ II-მ XV საუკუნის 50-60-იან წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაიპყრო სერბია, ბოსნია, ჰერცოგოვინა და ალბანეთი, ვალახეთი ჩააყენა ვასალურ დამოკიდებულებაში. 70-ანი წლების შუა ხანებში თურქებმა დაიპყრეს ყირიმი, ქალაქი ტანა და ვენეციელებს საბოლოოდ გადაუკეტეს აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის წარმოების საშუალება. ამავე პერიოდში თურქებმა დაიპყრეს ტრაპიზონი და თითქმის მთელი ანატოლია მდ. ევფრატამდე. სელიმ I-მა (1512-1520) ყურადღება გადაიტანა აღმოსავლეთისკენ და ირანთან წარმატებული ომის შემდეგ კავკასიაში დაიპყრო აზერბაიჯანი და სომხეთის ნაწილი, საქართველოს ნაწილი, დაღესტანი, ქურთისტანი, სირია, ეგვიპტე. ვენეცია იძულებული გახდა სულთნისთვის გადაეხადა ყოველწლიური ხარკი, რათა შენარჩუნებინა კუნძულები – კრეტა, კვიპროსი და სხვა სამფლობელოები ხმელთაშუა ზღვაში.

იმპერია განსაკუთრებით გაფართოვდა სულეიმან I კანუნის დროს (1520-1566). მან დაიპყრო ბელგრადი და კ. როდოსი. უნგრეთის დიდი ნაწილი გადაიქცა ოსმალეთის პროვინციად. 1526 წელს სულეიმანმა ალყა შემოარტყა ვენას, მაგრამ ვერ აიღო, აღმოსავლეთში დაიპყრო ბალდადი, ჩრდილო აფრიკაში ტრიპოლი და ალჟირი, მთელი არაბეთის ნახევარკუნძული.

სულეიმანის დროს ოსმალეთი აქტიურად ერეოდა ევროპულ პოლიტიკაში. საფრანგეთის მეფე ფრანცის I-მა ოსმა-

ლეთოან დადო ოფიციალური კავშირი პაბსბურგების წინააღმდეგ. სულთანმა შედავათები მიანიჭა საფრანგეთის ვაჭრებს.

ოსმალების მიერ განხორციელებულ დაპყრობით ომებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის გართულებები არ ახლდა, გაუარესდა მათი ეკონომიკური მდგომარეობაც. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზებზე ოსმალების გაბატონებამ, ევროპის სახელმწიფოები აიძულა დაეწყოთ ახალი და უხილვათო გზების ძიება, რასაც შედეგად მოჰყვა ე.წ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ამ პროცესმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო კავშირურთიერთობის მთელი სისტემა. ახალმა საერთაშორისო საგაჭრო გზებმა და კავშირურთიერთობამ დიდი გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ დროს მისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი, ახლა უკვე გამუსლიმანებული ორი სახანო – შაქი და შირვანი ემეზობლებოდა. ორივე ში განვითარებული იყო აბრეშუმის წარმოება, რომლის პროდუქტებიც საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდა. XV ს. დასასრულსა და XVI ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებს – ქართლსა და კახეთს, კეთილმეზობლური ურთიერთობა აღარ ჰქონდათ დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულებთან.

ირან-ოსმალების მეორე ომის დროს საომარი ოპერაციები ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მაგრამ ქართველობა პასიური დამკირვებების არ იყო. აღმოსავლეთ საქართველო ჩაბმული აღმოჩნდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში – ქართლის სამეფო და სამცხე-საათაბაგო იარაღით, კახეთის სამეფო დიპლომატიური საშუალებებით.

გართულებული საგარეო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის, რომ შესუსტდა რომთან და

სავლეთ ვროპასთან ურთიერთობა. გამნელდა კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობა.

ევროპის სახელმწიფოებს, როგორც მაშინდელი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ირანის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველო აინტერესებდათ იმდენად, რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ამ ქრისტიანულ ქვეყანასთან ბრძოლაში ჩაბმული ირანი სერიოზულად ვეღარ აბრკოლებდა ოსმალეთის აგრესიას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და საფრანგეთის მეტოქე ჰაბსბურგების იმპერიის წინააღმდეგ. ჰაბსბურგების სახელმწიფო, უნგრეთი და ოსმალებისაგან ჯერ კიდევ დაუპყრობელი ბალკანეთის ხალხები დაინტერესებული იყვნენენ იმ საქართველოთი, რომელიც ირანთან ერთად იბრძოლებდა ოსმალეთის წინააღმდეგ და, გარკვეული გაგებით, მდგომარეობას შეუმსუბუქებდა დასახელებულ ქვეყნებსა და ხალხებს.

ამგვარი დაინტერესების გამოხატულება იყო რომის პაპ პავლე III-ის მიერ 1545 წლის 17 ივლისს ქართლის მეფე ლუარსაბისათვის ნახტევანში მოღვაწე წმ. დომინიკეს წესის მდგვდლების – დომინიკესა და ბატისტას ხელით გაგზავნილი ეპისტოლე. ბატისტა დაახლოებული ყოფილა ქართლის მეფესთან, რომელიც იცნობდა წმ. დომინიკეს ორდენის იმ წევრებსაც, რომლებიც ქართლის სამეფოში იმყოფებოდნენ.

ეპისტოლეს ადრესატი, მართალია, ქართლის მეფეა, მაგრამ მასში გამოსტოვის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის დაინტერესება და განწყობილება მოელი საქართველოს მიმართ. პაპის უმთავრესი მიზანი და მოწოდება იყო კათოლიკობის გავრცელება და პაპის უზენაესობის აღიარება საქართველოში. რომის აგენტებისა და ქართველი პოლიტიკოსების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პაპი დარწმუნებული იყო, რომ ლუარსაბ I ლვოისმოსაობის ერთგულებითა და აღფორთვანებით თაყვანს სცემდა რომის წმინდა ეკლესიას და ყველა ეკლესიის მეთაურად მას აღიარებდა. ლუარსაბის კათოლიკობისადმი განწყობილებას თურმე იზიარებდნენ დასავლეთ საქართველოს (კოკატის/ქუთაისის) პატრიარქი, კა-

ხეთის (ზაგესის/ზაგემის) მეფე ლევანი, სამცხის (კელსეფის/-ახალციხის) მთავარი ყვარყვარე<sup>1</sup> და საქართველოს ქალაქებისა და სამეფო უძინებელი მეფები. პაპი, საგარაუდოა, თითოეული მათგანსაც ანალოგიური შინაარსის წერილებს გაუგზავნიდა.

პაპი ქართველ მბრძანებლებთან დაკავშირების სურვილს აყალიბებდა შემდეგნაირად: „ქრისტე ამ ერთადერთ სამწყსოში (რომაულ/კათოლიკურ ეკლესიაში – ე.მ.) გვეურს შენი და სხვა ქართველი მეფეების შემოსვლა, ყველა მათი და მთელი ხალხის სულის საცხოვებლად. ამიტომ, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლია, უფლის მიერ მოგიწოდებთ, რათა, როგორც ერთია ღმერთი და ერთია ხათლისღება, ასევე ყველა ჩვენთვის ერთი იყოს სარწმუნოება ქრისტე სამწყსოს და ვიყოთ წმ. დედა კათოლიკე ეკლესიის ერთობაში, რათა თქვენც, ჩვენთან ერთად და ჩვენი შემწეობით, აღვილად ეწიოთ ამ ბედნიერებას<sup>2</sup>.

პაპი ლუარსაბ მეფეს თხოვს რომში გაგზავნოს თავისი დესპანები, რათა მათი საშუალებით მეფის ქვეშევრდომნი გამოცხადდნენ რომის ეკლესიისა და მისი მეთაურის რომის პაპის შვილებად. პაპი ლუარსაბს მოუწოდებს: „ასევე შეაგულიანე ზემოხელებული შენი მეზობელი სამი ქართველი მეფეც<sup>3</sup>, რათა შენს დესპანებთან ერთად გამოგზავნოს თავიანთი დესპანებიც და მათი საშუალებით მორჩილება აღუთქან რომის წმ. მხოლოდ ეკლესიას და ჩვენ, რომელიც მას

<sup>1</sup> იგულისხმება ყვარყვარე III (1516-1535), მაგრამ ამ დროს ათაბაგია ქაიხოსრო II.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ეკროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I (XIII-XVI სს.), გვ. 232; თამარაშვილი გ., ქართული ეკლესია დახაბამიდან დღემდე, გვ. 71.

<sup>3</sup> პაპი ათაბაგსაც მეფედ მოიხსენიებს.

განვაგებთ. თუ შენ საჭიროდ დაინახავ, სხვა ძევეებსაც გა-  
უგზავნე ამ წერილების თითო პირი<sup>1</sup>.

მჯერავს, ქართველ პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ  
რომის დაინტერესების საქართველოში კათოლიკობის გავრ-  
ცელების შესახებ, ამიტომ მათ მიერ რომში გაგზავნილ  
წერილებში (არ გამოვრიცხავ, კათოლიკე პატრიები ქართუ-  
ლი სამეფო კარის კარნახითაც წერდნენ) იყო თხოვნა, მეზო-  
ბელი მუსლიმი მეზობლებისაგან თავდაცვაში დახმარების  
შესახებ და იქვე აღნიშნული იყო ქართველთა სიმპათიებზე  
კათოლიკური ეკლესიისა და პაპის მიმართ. მაგრამ პაპები,  
შესაძლებლობებიდან და ინტერესიდან გამომდინარე, ქართვე-  
ლებს ეხმიანებოდნენ მხოლოდ თავათვის საინტერესო ერთ  
საკითხზე – საქართველოში კათოლიკობის გავრცელებაში  
დახმარებაზე.

ფრიად საყურადღებოა, რომ იგივე პაპი საქართველოში  
თავის ელჩად დანიშნულ ნახტვანელ არქიეპისკოპოს სტეფა-  
ნეს წერს: დასახელებული ქართველი მეფეები „სულიტინდის  
მადლის ჩაგონებით, აღიარებენ კვლა კვლესიების თავად  
(მეთაურად – გ.მ.) რომის წმიდა კვლესიას და ჩვენც და კვე-  
ლა ჩვენს წინა მოსაყდრეთ რომის ძღვდელმთავრებს გულ-  
მხეურვალებით გვრაცხებენ იუსტიციის მონაცემლედ და მო-  
ციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ; გულით მო-  
წადინებული არიან მთლად თავისის ერთოურთ მიიღონ წმი-  
და კათოლიკე სარწმუნოება რომის კვლესის დოგმატის თა-  
ნახმად... კვრეთვე თავიანთის გარდა წვევებილების დახმატი-  
ცებდლად... თავიანთ სამეფოებში დაუწევიათ კაკლესიების და  
მონახტრების აშენება დამთის სახელის საქედ-სადიდებლად...<sup>2</sup>

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კვრობის არქივებსა და წიგნებავებში (XIII-XVI სს.), გვ. 233. თამარა შეიღლი მ., ქართული კვლესია დახმატიდან დღემდე, გვ. 72.

<sup>2</sup> თამარა შეიღლი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 74-75.

პაპის წერილი საინტერესოა მრავალმხრივ. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პაპს წერილში დასახელებული „ფაქტები“ ამოუკრებია იმავე ნახტევანელი არქიეპისკოპოს სტეფანესა და სხვათა მოხსენებებიდან. ქართველი მეფეების, მთავრისა და მთელი ქართველი ხალხის მიერ „კათოლიკე“ სარწმუნოების აღიარება „რომის დოგმატების თანახმად“ და კათოლიკური ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. როგორც ჩანს, პაპს ეჭვი ეპარქებოდა სტეფანეს და სხვა ინფორმატორთა მიერ რომში გაგზავნილი ან პირადად ჩატანილ ცნობებში. ამიტომ იგი ნატრულობს: „იმ სამთავროებში რომ გაიგზავნებოდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოსთ სიყვარულის და კათოლიკე სარწმუნოების შთანერგვა მეფეთა და ერთა გულში... დიდის სიადვილით შეუერთდებოდნენ ისინი რომის ეკკლესიას<sup>1</sup>.“

XVI ს. მეორე ნახევარში სვიმონ I-ს მიუღია რომის პაპის წერილი<sup>2</sup>, რომლის შინაარსი ცნობილი არ არის. ამის შესახებ ვიგებო ქართლის მეფის საპასუხო წერილიდან, რომელშიც მოთხოვილია ქვეყნისა და მეფის მიერ გადატანილ ტანჯვასა და უბედურებაზე. სვიმონი პაპს თხოვს გააგრძელონ ერთმანეთთან მიმოწერა და პაპმა ლოცვის დროს არასოდეს დაივიწყოს და მოიხსენიოს ქართველი მეფე. არ ჩანს წერილი რომელი პაპის სახელზე დაიწერა, ან რა მიზანს ემსახურებოდა იგი, თუ ჩემი ვარაუდი სწორია, რომ სვიმონ მეფეს პაპისათვის წერილი უნდა გაეგზავნა დაახლოებით 1578 წელს, იმ დროს პონტიფიკი იყო გრეგორი XIII (1572-1585).

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ჩემი აზრით, წერილი დაიწერა იყოს სვიმონ მეფის მიერ ირანში ტყვეობიდან დაბრუნების (1578 წ.) შემდეგ, ახლო პერიოდში. ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ქ., საქართველოს ხავარეთ პოლიტიკა და დიპლომატია, I, XV-XVII ს., გვ. 310-311, გვ. 2.

1590 წლის დასაწყისში რომის პაპს წერილი გამოუგზავნია კახეთის მეფე ალექსანდრე მეორისთვისაც. ამ წერილის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ს. ა. ბელოპუროვის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში, რომელსაც ივ. ჯაგახიშვილი შემდეგ კომენტარს უკეთებს: ალექსანდრე მეფის ერთი სომეხი ვაჭარი რომში პაპთან ყოფილა. როდესაც პაპს მისი სადაურობა გაუგია, საყვედური გამოუთქვამს, რომ კახეთის ქრისტიან მეფეს მისთვის დესპანი და ეპისტოლე არასოდეს გაუგზავნია. პაპს ვაჭრისათვის დაუგალებია, დაბრუნებულიყო კახეთში და ალექსანდრე მეფისათვის მისი სიტყვიერად დანაბარები გადაეცა. პაპი თავის სურვილს სოვდაგარს კახეთის მეფესთან წერილობით იმიტომ არ ატანდა, რომ მას ოსმალეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლო და ეპისტოლეს წაღება საშიში იყო. პაპი მოითხოვდა, რომ კახთა მეფეს პაპთან დესპანი და ეპისტოლე გაეგზავნა ან ამავე ვაჭრისათვის მხოლოდ ეპისტოლე გაეტანებინა. პაპმა ალექსანდრე II-მ სოვდაგარს მეფის მთელი ქონება რომში დაატოვებინა, იმ პირობით, რომ როდესაც იგი უკან მობრუნდებოდა ყველაფერს უკლებლივ მიიღებდა. პაპმა სოვდაგარს რომში დაბრუნება რუსეთის გზით ურჩია.

სოვდაგარმა ალექსანდრე მეფეს, როგორც ჩანს, იმდენად საინტერესო სხვა მრავალი ინფორმაციაც მიუტანა, რომ მან მაშინვე გადაწყვიტა არა მხოლოდ რომის პაპთან, არამედ ესპანეთის მეფისათვის და წმ. რომის იმპერიის იმპერატორისთვისაც იმავე სოვდაგრის თანხლებით თავისი დესპანი და წერილებიც გაეგზავნა. მეფემ, პაპის რჩევის გათვალისწინებით, დესპანის გაგზავნა მოინდომა რუსეთის გზით და იმ დროს კახეთში მყოფ რუს ელჩებს, რომლებიც უკვე სამშობლოში ბრუნდებოდნენ, თხოვა მისი ელჩიც თან წაეყვანათ და ევროპაში გამგზავრებაში დახმარებოდნენ. მაგრამ რუსმა ელ-

ჩებმა სახტიკი უარი თქვეს<sup>1</sup>. არაა ცნობილი ალექსანდრე I-მა თავისი განზრახვის შესრულება სხვა გზით შეძლო თუ არა. არც ის არის ცნობილი მისმა ვაჭარმა-დესპანმა შეძლო რომ-ში ჩასვლა და იქ დატოვილი ქონების დაბრუნება.

მისიონერების ან დასავლეთ ევროპის სხვა წარმო-მადგენლების მიერ საქართველოდან დასავლეთში ხშირად არასწორი ინფორმაცია რომ იგზავნებოდა და ქართველების კათოლიკობისადმი მიდრეკილებაზე მცდარ წარმოდგენას უქმნიდნენ კათოლიკური ევროპის მეფე-მთავრებსა და ეკლე-სიის მესვეურებს, საქართველოს რომთან ურთიერთობის შემ-დგომი პერიოდის ნარკვეგში კიდევ უფრო ნათელი გახდება.

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 321.

**პათოლიგე მოღვაწეთა გაზმები პათოლიკობის  
გაგრცელების შესახებ საქართველოში  
(XVII ს. I მუსამედი)**

XVII-XVIII საუკუნეები უაღრესად რთული და საბედის-წეროა ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დროს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა რწმენის საკითხი – გადარჩენა მამა-პაპათა მიერ თავგანწირული ბრძოლით მოტანილი ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. მის კონკურენტებად თვით საქართველოში გამოდიოდა რომის კათოლიკობა, ბერძნული მართლმადიდებლობა, სომხური გრიგორიანობა და ისლამი. თითოეულ მათგანს ზურგს უმაგრებდა სერიოზული ძალა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებით და დახვეწილი დიპლომატიით. მათთან დასაპირისპირებლად საჭირო იყო მთელი ერის სულიერი და ინტელექტუალური ენერგიის და დიპლომატიური ნიჭის მობილიზება.

ჯერ კდევ XIV საუბუნის პირველ ნახევარში რომის პაპის იოანე XXII-ის დროს (1316-1334) შეიქმნა ინსტრუქცია აღმოსავლეთის ხალხებისათვის (სარკინოზების, კერპთაყვანისცემლების, ბერძნების, ბულგარელების, ყუმანების, იბერების, ალანების, ყაზარების, გოთების, სიხების, რუტენების (რუსების?), იაკობიტების, ნუბიელების, ნესტორიანების, ქართველების, სომხების, იუდეველების და სხვათა), იქ სადაც მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები. როგორც ჩანს, მოუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველო გიორგი V ბრწყინვალეს უკვე გაერთიანებული ჰქონდა, ინსტრუქციაში საქართველო მაინც ორ ნაწილად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოებად არის დასახელებული.

პაპი მიმართავს მისიონერებს: „იმისათვის, რომ თქვენი მოვალეობა უფრო საპატიო იყოს და დირსებით შესრულებული, ავტორიტეტულად ამ წერილით ხებას გრთავთ, იმ მიწებზე, სადაც სამოციქულო ტახტის ხელმძღვანელობას არ ცნო-

ბენ, თქვენ შეგიძლიათ იქადაგოთ უფლის ხიტყვები და იქ იცხოვროთ; მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გკლებიდან განკვეთას იმსახურებს, მაინც საუბარში, პურობის დროს, ხევადასხვა კითარებაში მათთან უშიშრად გქონდეთ ურთიერთობა, რათა მოაქციოთ ისინი, მონათლოთ, წმინდა გკლების ზიარება მიაღებინოთ ბავშვებს და სხვებს, ვისაც სურს ქრისტიანული სარწმუნოების ერთიანობას შეუერთდეს...”<sup>1</sup>

XVII ს. დასაწყისიდან რომში განიზრახეს კათოლიკობის პროპაგანდის გააქტიურება საქართველოში. რომში, ითვალისწინებდნენ რა აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის გავლენას, გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭეს შაჰის ავტორიტეტის გამოყენებას კათოლიკობის წარმატებისათვის. იმედის მომცემი ცნობები მოდიოდა ირანში მოღვაწე მისიონერებისაგან. საინტერესოა, რომ ანტონიო გოვეა<sup>2</sup>, რომელიც 1611 წელს წერდა თავის „სამახსოვრო ირანში ქრისტიანობის საკითხების შეხახებ“, თავად შესწრებია შაჰ-აბასი როგორ არიგებდა ქართველთა ელჩებს: „უთხარით თქვენს მეფეს, თუ ის ქრისტიანია, უნდა ემორჩილებოდეს რომის უწმინდეს პაპს,

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო უკროპის არქივებსა და წიგნთხაცავებში (XIII-XVI სს), I, გვ. 211.

<sup>2</sup> ანტონიო ფრანსისკო დე გოვეა (1575–1628), პორტუგალიელი მისიონერი და ისტორიკოსი, ავგუსტინელი ბერი. 1597 წ. ის გაემგზავრა ინდოეთში, მონაწილეობდა ესპანეთის მეფე ფილიპე III-ის მიერ 1604 წელს ირანში გაგზავნილ ელჩობაში, რომელსაც დავვალა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ამ სახელმწიფოსთან. 1611-ში გოვეამ ლისაბორში გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. მასში არის უაღრესად საინტერესო ცნობები ირანში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველებზე. Aantonio de Gouvea, *Relations des grandes Guerres et Victoires obtenues par le roy de Perse Cha Abbas contre les Empereures de Turquie Mahomet et Achmet son fils...Rouen, 1646.*

ვინაიდან მე კარგად ვიცი, რომ ის, ვინც ამას არ აკეთებს – ის არ არის კარგი ქრისტიანი<sup>1</sup>.

1614 წლის 14 იანვარს მმა მელშიორ დუშ ანუში და მმა ხოან დე სან ხოსე თავიანთ მოხსენებით ბარათში წერდნენ, რომ „მეტად სასურველი იქნებოდა გაიგზავნოს იქ (საქართველოში – ე.მ.) სარწმუნოების ძქადაცებლები. მაგრამ დღემდე ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ეს სამეფო-სამთავროები მდებარეობენ ირანსა და თურქეთს შორის. ახლა არც ერთ კათოლიკეს არ შეუძლია იქ შევიდეს. ეს შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენს უდიდებულესობას უქნება მეგობრობა შაპთან<sup>2</sup>. იმავე მოხსენებაში ნათქვამია, რომ 12 წლის წინათ იგივე სასულიერო ძმები საქართველოში ყოფილან, სადაც მათოვის მოღვაწეობის უფლების მიცემას დაპირებიან იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ირანის შაპის და საქართველოს პატრიარქის თანხმობა იქნებოდა. და ბოლოს, უკელავერი ისე უნდა მომხდარიყო, რომ „არ დარღვეულიყო მათი (ქართველების – ე.მ.) წეს-ჩვეულებები“: იმავე დროს მისიონერები მოითხოვდნენ, გაეგზვნათ ორი ავგუსტინელი ბერი ქართლისა და კახეთის მეფეებთან – ლუარსაბთან და თემიტრაზთან, რომლებიც „ხარკს უხდიან შაპს... იმავე დროს თხოვეთ შაპს, რომ მას იმავე მამების საშუალებით მისწეროს წერილები ხსენებულ ქართველ მეფეებს ამ მეგობრობის შესახებ, რათა ისინი უაერთ მიიღონ. ასეთი მოქმედებით ჩვენ ვიქნებოდით დამშეიდებულნი, შევალო რა ამ ქვეყანაში და შეკძლებო ნელ-ნელა უფრო დაკრჩეთ და სხვადასხვა შემთხვევაში, ნელ-ნელა სხვა ქართველ მთავრებთანაც დაგამჟაროთ ურთიერთობა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ლუის ხილი ვერნანდესი, ი. ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ეხანაჯის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991, გვ. 375, დოკ. №42.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 377, დოკ. №43.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 377-379.

ცნობილია, რომ შაპ-აბასი არ იყო რელიგიური ფანატიკოსი. რელიგიას, რომელიც არ უნდა ყოფილიყო, ის აფასებდა თავისი პოლიტიკური მიზნების მიხედვით. ცნობილი იყო, აგრეთვე, მისი „კეთილგანწყობა“ კათილოკობის მიმართ. იგი გარკვეულ დროს კათოლიკობას მფარველობდა იმის მოლოდინში, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას მიიღებდა ევროპის კათოლიკური ქვეყნებიდან. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ ისინი მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობით შემოიფარგლებოდნენ და ამ ორი ქვექნის ერთმანეთთან შეჯახებას ლამობდნენ, იმავე დროს ოსმალეთთან თავიანთი სავაჭრო საქმეების მოგვარებას ცდილობდნენ და სარფიან ხელშეკრულებებსაც აფორმებდნენ, ამის შემდეგ მან სრულიად გაწყვიტა კავშირი რომის წარმომადგენელ კარმელიტებთან და ესპანეთის მფარველობაში მყოფ ავგუსტინელებთან, სამაგიეროდ, კავშირი დაამყარა საფრანგეთის მთავრობის მფარველობაში მყოფ კაპუცინებთან და ინგლის-პოლანდიელ პროტესტანტებთან. მან წარმატებით გამოიყენა ინგლისელებთან კავშირი და მათი დახმარებით ხელთ იგდო სტრატეგიული და სავაჭრო ნავსადგური ორმუზი. ამ დიდი წარმატების შემდეგ შაპ-აბასმა ინგლისელებიც მოიშორა და მთლიანად თავის ხელში აიღო ირანის საგარეო ვაჭრობა.

რომში ფიქრობდნენ, რომ რამდენადაც ქართველებმა ქრისტიანობა ბერძნებისაგან მიიღეს და არა რომაელებისგან, ამდენად მათ საეკლესიო წესებში შეცდომები უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ საბუთში, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს გაქრისტიანების და საქართველო-რომის ურთიერთობის მოკლე ისტორია, ნათქვამია: „ამ ქართველებმა, რომლებიც შორს იყვნენ წმ. სამოციქულო ტახტიდან, ბერძნების თითქმის კველა დაბნეულობა და ზოგიერთი ცრუმორწმუნება შეითვისებ. ანტიოქიის პატრიარქმა კი მათ სქიზმა დაუნერგა<sup>1</sup>.“

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კურობის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), II, გვ. 181.

პაპის კურიაში მიაჩნდათ, რომ აღნიშნულის მიუხედავად საქართველოში კათოლიკობი მაინც იზეიმებდა. ამ საქმის წარმატებით განხორციელება იოლი იყო. ამგვარი მოსაზრების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ ინფორმაციამ საქართველოზე, რომელსაც რომში აგზავნიდნენ მოგზაური-მისიონერები, ვაჭრები და დიპლომატები. იმის შესახებ თუ როგორი წარმოდგენა პქონდათ რომში საქართველოსა და ქართველებზე, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა დომინიკანელი<sup>1</sup> ბერის, მამა გრეგორიო თრსინის<sup>2</sup> მიერ 1626 წლის 9 დეკემბერს წმ.

<sup>1</sup> 1214 წელს ესპანელი აზნაურის წმ. დომინიკის ორგვლივ ტულუზაში ჩამოყალბდა თემი. მისი წესდება დაამტკიცა პაპმა ონორიუს III-მ 1216 წელს. დომინიკელების მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო დევოისმეტყველების დრმა შესწავლა განსწავლი მქადაგებლების მოსამზადებლად. ორდენის ცენტრები იყო ცნობილი საუნივერსიტეტო ქალაქები – პარიზი და ბოლონია. მათ გააჩადეს ფარიო სამისიონერო მოღვაწეობა, დააპარსეს მრავალი მონასტერი, საღვთისმეტყველო კათედრები ცნობილ უნივერსიტეტებში. 1220 წელს ორდენი დარიბულად გამოცხადდა. მის წევრებს უარი უნდა ეთქვათ ქონებასა და შემოსავალზე, უნდა ეცხოვრათ მოწყვლებით. მისი საქმიანობის მთავარი სფეროები იყო სახარების პროპაგანდა, მეცნიერების შესწავლა, განათლება, ბრძოლა ერების წინააღმდეგ და სამისიონერო მოღვაწეობა. რწმენის სიწმინდისათვის ბრძოლაში შეუპოვრობისათვის მათ „ღვთის ძაღლების“ (Domini canes) სახელი დაუმჯვიდრდათ. ამჟამადაც ერთერთი კველაზე გავლენიანი ორდენია.

<sup>2</sup> ორსინი გრეგორიო დაიბადა რომში. 1608 წ. მონასტერში მიაბარეს, ერთი წლის შემდეგ ბერად აღიკვეცა. 1612 წ. ის, ეწ. ახლო აღმოსავლეთის კონგრეგაციის კონსტანტინოპოლისა და არქიპელაგის კუნძულების ვიკარიუსად დაინიშნა. 1613 წ. მან მთავარი მქადაგებლის ტიტული მიიღო. 1616 წლიდან მინერვის კათოლიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კურსს კითხულობდა. 1623 წ. 23 თებერვალს, პაპის ნებართვით, დისერტაციის დაუცველად, მიანიჭეს თეოლოგიის მაგისტრის წოდება.

პროპაგანდა დე ფიდესათვის გაგზავნილ მოხსენებაში. მან ოთხ მუხლად ჩამოყალიბა ის სამუშაო, რომელიც დასახელებულ ორგანიზაციას უნდა ჩატარებინა კათოლიკობის გავრცელებისათვის საქართველოში. ორსინი წერდა: „ქართველ-

---

1623 წ. ორსინი დომინიკანელთა ჯგუფში ჩაირიცხა და სომხეთში გაგზავნეს სადაც ერევნის ვიკარიუსის პოსტი დაიკავა. მან ერევნიდან ვატიკანში გაგზავნა წერილი, რომელშიც ასაბუთებდა საქართველოში სამისიონერო მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობას.

ავგუსტინელმა ბერებმა რომში მიმავალ ორსინის გადასცეს „ნამდვილი ამბები უბრწყინვალები ქვეყან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ ირანის სამეფოს დედაქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით, 1624 წ. 22 სექტემბერს, აღწერილი შირაზის წმ. ავგუსტინეს თრდენის მონასტრის ბერის, მამა, მორჩილი ამბროსიო დიუშ ანუქსის მიერ“. როგორც ვარაუდობენ „ნამდვილი ამბები“ საფუძვლად დაედო ორსინის იმ მოხსენებით ბარათს, რომელიც 1626 წ. თებერვალში წარუდინეს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. ორსინი გარდაიცვალა ჩივიტავეკიაში 1627 წელს.

წმ. ავგუსტინეს თრდენის ბერი, მამა მანოელ და მადრე დე დეუსი სწერდა (1627. 24. V) პიეტრო დელა ვალეს რომში: „მე არ გიგ ზავნით ცნობას შირაზში ქვეყან დედოფლის სიკვდილის შესახებ, რადგან მორჩილმა მმამ, მამა გრევორიომ (ორსინი-ჯ.მ.) წაიღო ეს ცნობა და თქვენი დრმად პატიკუტებული მოწყალება რომში გაეცნობა მას“. თავის მხრივ მამა ამბროზიო დუშ ანუქსი გორიდან გაგზავნილი წერილით (1627. 27. IV) რომის პაპსა და პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს მოუთხრობდა დედოფლის წამების შესახებ, რაც მან აღწერა „მამა გრიგორიოს მიერ (რომში – ჯ.მ.) ჩატარის, მისი უწმინდესობისათვის გაგზავნილ წერილში“. თამარა შვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902; გულბერკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქვეყანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბადუაძ და ც. ბიბილიუშვილმა, თბილისი, 1987.

თა შორის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება ძლიერ ადგილ საქმედ მიმართა და ათ რატომ: 1. რადგან ადგილად დახსაყვავებელი, მორჩილი, უბრალო და კარგი მდგომარეობის ხალხი არიან; 2. რადგან სამოციქულო რომის წმიდა ხაყდარს რამდენიმე გზის მორჩილებისა, გულმხურვალებისა და ერთგულების გრძნობით ხავსე წიგნი მოსწერეს; 3. ... 1613 წ. კახეთის მეფე თეიმურა ზმა და ხევა ქართველმა თავადებმა დაუმტკიცეს პორტუგალელ პატრ გვილელმოს... და იოანე თაღეთს კარმელიტანს... კალესიები და აღილები მისცეს საცხოვრებლად. ხევნებულმა მთავრებმა იმ პატრებს თხოვეს ხაიდუმლოს მიღება, მათთან აღსარება თქვეს და ეზიარებს მათოსავე ხელით. ესრეთ საქართველოში აღასრულეს ყველა წესი და ტიპიკონი კათოლიკური სარწმუნოებისა, თუმცა ხევნებულმა მონათონებმა იქ ვერ დაამყარეს თავიანთი სახლი და კალესია აპაზი ირანის მეფის მიერ ატებილი სამწუხარო ომის მიზეზით... 4. კათოლიკური სარწმუნოების აღილად გავრცელება მით უფრო დასაჯერებელია, რომ ქართველები მეტად ღვთისმოშიშნი არიან, სარწმუნოების ერთგული მსახური, მოსავნი ღვთიმშობლისაც, მთავარ მოციქულთა პეტრები და პავლესი და ხევა წმიდათა, მეტადრე წმიდა გიორგისა, რომელსაც განხარულებით თაყვანს სცემენ...<sup>4</sup>

\*\*\*

ვალე (Valle) პიეტრო დელა (11. IV. 1586, რომი, – 21. IV. 1652, იქვე), იტალიელი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, მოზაური, აღმოსავლეთმცოდნე, ლიტერატორი, თეოლოგი, დიპლომატი, მუსიკათმცოდნე. იცოდა მრავალი ენა. ეპუთვნოდა რომის ცნობილ არისტოკრატთა გვარს. 1614–26 იმოგზაურა აღმ. ქვეყნებში (ოსმალეთი, არაბეთი, პალესტინა,

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 86-87; მიხილე, ქართველი კალესია დაბამიდან დღემდე, გვ. 551-552.

ეგვიპტე, ერაყი, სპარსეთი, ინდოეთი), რამდენიმე წელი დაყო შაპ-აბას I-ის კარზე. აქ იგი დაუახლოვდა სპარსეთში მცხოვრებ ქართველებს (მათ შორის ქეთევან დედოფალს), პქონდა მათთან მიმოწერა, რის საფუძველზეც აღწერა საქართველო და ქართველები.

1626 წ. 28 მარტს ვალე დაბრუნდა რომში და პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა მოხსენება საქართველოს შესახებ (გამოქვენდა 1627). ვალე ცდილობდა, ვატიკანის ხელისუფლება და ერწმუნებინა, რომ საქართველო – დამოუკიდებელი და ქრისტიანული სახელმწიფო – სავსებით შესაძლებელი იყო, შემდგომში კათოლიკე ქვეყანა გამხდარიყო, რაც მას სასიკეთოდ მოუბრუნდებოდა. მაგრამ, ვალეს აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო საქართველოს მძიმე პოლიტ. მდგომარეობით სათანადო დაინტერესება, უნდა დასრულებულიყო ის დაუშვებელი ინდიფერენციზმი, რასაც აქამდე იჩენდა მთელი კათოლიკური სამყარო და მისი ციტადელი – ვატიკანი – საქართველოსა და მისი ხალხისადმი. „მოხსენებაში“ აღწერილია საქართველოს გეოგრაფია, საზოგადოებრივი წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია; დახასიათებულია შაპ-აბასის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. აბას I-ის მიერ მრავალი ათასი ქართველის სპარსეთში იძულებით გადასახლებას იგი „ქართველების დიდ გადასახლებას“ უწოდებს. პიეტრო დელა ვალე, თეიმურაზ I-ის პოლიტიკის დახასიათებისას, მიუთითებს მის რუსულ ორიენტაციაზე და სხვ.

მოხსენებაში ვალე გიორგი სააკაძის პიროვნებას მუქ ფერებში წარმოაჩენს, როგორც რენეგატსა და საქართველოს მოღალატეს. მხოლოდ წერილის ბოლოს გაკვრით მიანიშნებს იმ უდიდეს პოზიტიურ როლზე, რომელიციც გ. სააკაძემ ისტორიული მოვლენების შემდგომ განვითარებაში ითამაშა, კერძოდ, როგორ ჩაალა სპარსეთის შაპის ვერაგული გეგმები საქართველოს მიმართ.

ვალესს ცხობით (1627 წ.), ოდიშისა და გურიის სამთავროს ქვეშევრდომები გულთბილად იღებდნენ თავიანთ ქვეყა-

ნაში კაზაკებს, რომლებიც დწეპრის შესართავთან ცხოვრობდნენ. თვით პოლონეთის ხელმწიფებს მიმოწერა და მეგობრობა პქონდა ქართველ მთავრებთან. „*ეს შირად ერთი ქვეყნიდან მეორეში საგაჭრო ხომალდები დადიოდნენ*. კაზაკები ხშირად მთავრების საგაჭრო გემებს მფარგელობდნენ“ „*მოხსენების“ ქართული თარგმანი პირველად 1879 გამოქვეყნდა „ივერიაში“.*

ვალე საქართველოში კათოლიკური (ოქატინელთა) მისიონების მოწყობისა და რომში პირველი ბეჭდური ქართ. წიგნების გამოცემის ინიციატორი იყო ნიკიფორე ირბახთან (ის. ჩოლოუაშვილი ნიკოლოზ) ერთად; აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ქართველებისათვის რომში კათოლიკეთა კოლეგიუმის დაარსებაში.

ვალემ მეორედ იქორწინა ტყვეობიდან მის მიერ გამოსყიდულ სპარსეთის კარზე მყოფ ქართველ ქალზე – თინათინმარია ძიბაზე, რომელთანაც 14 შვილი შეეძინა. 1630 წლის 18 მაისს ვალე გორის მისიის ხელმძღვანელ დონ პიეტრო ავიტაბილესადმი გაგზავნილ წერილში წერდა „... საქართველო მუდამ ჩემს გულშია. ახლა ჩემი სიყვარული მისადმი უფრო გაძლიერდა. მე ვალე ვარ... ქართველი ხალხის წინაშე. ამ სიყვარულის ნიშანი ჩემს ქალიშვილს დავარქვი რომიბერი (რომი და იბერია), რადგან მსურს ჩემი ორი ერი მუდამ მჭიდრო კავშირში იყოს ერთმანეთთან...“<sup>1</sup>.

ნაშრომში მრავალჯერ იქნება დამოწმებული მისი ცნობები საქართველოს შესახებ.

<sup>1</sup> Ватейшвили Дж. Л., Грузия и европейские страны, т. I, кн. 2, М., 2003; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тбл., 1935. ძამისთვალიშვილი ქ., ვალე პიეტრო დელა // საქართველოს ენციკლოპედია, 3, თბილისი, 2014, გვ. 141-142; <http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94>

რათა რომს გარკვეული ნაბიჯები გადაედგა საქართველოში კათოლიკობის დასანერგად, მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა პიეტრო დელა ვალეს, რომელმაც ასევე ვრცელი მოხსენება წარუდგინა პაპ ურბან VIII-ს. პიეტრო დელა ვალეს აზრით, საქართველოში წარმატებისათვის აუცილებელი იყო ადგილობრივი მეფის მხარდაჭერის მოპოვება, მისიონერების მიერ ქართული ენის შესწავლა და ბოლო უნდა მოღებოდა იმ გულგრილობას, რომელიც რომმა გამოიჩინა საქართველოს მიმართ<sup>1</sup>.

პიეტრო დელა ვალე ცდილობდა კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა, პირველ რიგში, პაპის ინტერესები საქართველოს მიმართ იმ მხრივაც გაედგივებინა, რომ ქართველები ბერძნებისაგან სხვა დადებითი მხარეებით განსხვავების გარდა, იმითიც განსხვავდებოდნენ, რომ ისინი არ აყენებდნენ პრეტენზიას კონსტანტინოპოლის ეკლესის უპირატესობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ სცნობდნენ მის პატრიარქს, არ იყვნენ მისადმი დაქვემდებარებაში. იქვე პიეტრო დელა ვალე შენიშვნავს, რომ მისთვის ცნობილი არ არის რაიმე იურისდიქცია, რომლის მიხედვითაც სარგებლობს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ქართულ ეკლესიაში. „ამის გარდა, ისინი დიდ მოკრძალებას განიცდიან რომის და წმ. პეტრესა და წმ. პავლეს მიმართ, დიდად პატივს სცემენ რომის ძლიერებისა და განვითარების მიზანად არ განიცდიან მისდამი დიდ მტრობას პრიმატოან დაკავშირებული დავის გამო. ისინი არ არიან ბერძნების მხგავსად ქვდმალალნი, ჯიუგნი, მატეუარები და ორპირნი შესათანხმებელ საქმეებში; უფრო მეტიც, არიან მოკრძალებულნი, დამყოლნი, გულკეთილნი, გულწრფელნი და ისე აღვილათ დასაყოლიებელნი, რომ ამის გამო მათ მაჰმადიანებისაგან მრავალი ტანჯვა განიცადეს... უველა

<sup>1</sup> თამარა შვილი ბ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 553.

ეს გარემოება სინაძღვილებში პქმნის იმის პირობას, რომ იოლი იქნება მათი მოქცევა (კათოლიკობაზე – ე.მ.), თუ მონაბრძებით მიაღწევენ მათს, ამ მიზნისათვის საჭირო ხელი გაენი (მისიონერები – ე.მ.), რომლებიც იქ წავლენ და იცხოვრებენ მათს მიწა-წყალზე და კარგად ეცოდინებათ მათი ენა<sup>4</sup>.

პიეტრო დელა ვალე ვარაუდობდა, რომ იმ შემთხვევისათვის, თუ რომის პაპი გადაწყვეტდა დახმარებოდა საქართველოს, რაც მისი აზრით, გაკათოლიკებით უნდა დამთავრებულიყო და ამ მიზნით მისიონერებს გაგზავნიდა, მაშინ მათ უნდა ესარგებლათ სამი გზით: პირველი გზა მოკლეა და გადის კონსტანტინოპოლიზე, საიდანაც საქართველოში მიდიოდა, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზები. ხმელეთით შეიძლებოდა გამგზავრება ვაჭრებთან ერთად სკუტარზე და ტრაპიზონზე გავლით და მოგზაურობას დაახლოებით ერთი თვე დაჭირდებოდა. უფრო იოლი და მოკლე იყო საზღვაო გზა, რომლის დაფარვა მაქსიმუმ რვა დღეში შეიძლებოდა. მაგრამ ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში ხუთი დღეც საკმარისი იქნებოდა.

ქართველების კეთილდღეობაზე მზრუნველი დელა ვალე, იმ მცირე დაბრკოლებაზეც აფრთხილებს პაპს, რომელიც შეიძლება მისიონერებს შეხვდეთ კონსტანტინოპოლიდან საქართველოში მოგზაურობის დროს. ეს არის ხელის შეშლა თურქებისაგან. ისინი ამ ქრისტიანული ქვეყნისაკენ მიმავალ კათოლიკე მისიონერებს ჰქვის თვალით უყურებდნენ. მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვა შეიძლებოდა მცირეოდენი აღგილობრივი ენის ცოდნითა და ვაჭრის გარევნობის მიღებით. დელა ვალე იქვე იძლეოდა რეკომენდაციას რომელი კათოლიკური ორდენის წარმომადგენლებს უნდა ესარგებლათ კონსტანტინოპოლის გზით: ესენი იქნებოდნენ იეზუიტები,

<sup>1</sup> Жордания Г., Гамзардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тбилиси, с. 372-373

რომლებიც ყველაზე მეტად ზრუნავდნენ ადამიანთა სულების გადარჩენისათვის, ასწავლიდნენ, პქონდათ სკოლები და კოლეჯები. გამოცდილებიდან გამოიმდინარე, ესყველაზე უფასოზერი საშუალებები იყო და წარმატებებიც მიიღწეოდა.

მეორე გზა გადიოდა ირანზე, საიდანაც ვაჭართა ქარავანთან ერთად შეიძლებოდა პირველად ქართლის (ლუარსაბის) სამეფოში მისვლა, რომელიც ირანს ემორჩილებოდა, იქიდან კი თავისუფლად შეძლებდნენ გადაადგილებას მთელ საქართველოში. ეს მისიონერები იქნებოდნენ ფეხში შველი კარმელიტები, ავგუსტინელები – პორტუგალიელები, რომლებსაც თავიანთ ეკლესიები პქონდათ ირანში. პიეტრო დელა ვალეს აზრით, ამ საქმისათვის უფრო მეტად გამოდგებოდნენ ფეხში შველა კარმელიტები, რომლებიც, ჩვეულებრივ თავს იკავებდნენ ხორციანი საჭმელებისაგან და ამით ძალიან ემსგავსებოდნენ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ბერებს, ხოლო თავიანთი მკაცრი ცხოვრებით ქართველებისათვის უფრო სასიმოვნოი იყვნენ. ამავე დროს მათ შეეძლოთ გამოიყენებინათ მათდამი კეთილად განწყობილი ირანში მცხოვრები ქათევან წამებულის ხალხი, რომლებიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ შირაზში და ახლოს იყვნენ ავგუსტინელებთან, რომლებმაც იცოდნენ დედოფლის წმინდა ნაწილებს შესახებ, რომელიც, როგორც ამბობდნენენ, ინახებოდა ალავარდის მიტროპოლიტის ნათესავებთან. ასევე შეეძლოთ გამოეყენებინათ ის უმაღლესი მდგომარეობის ქართველები, რომლებთანაც მეგობრობდნენ.

იმათ, ვინც მეორე გზით ისარგებლებდნენ, პიეტრო დელა ვალე ურჩევდა სიცრთხილე გამოეჩინათ, რათა შპის ეჭვიანობა არ გამოეწვიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისიონერებს და მათ მეგობარ ქართველებსაც ზიანი მიაღებოდათ.

მესამე და უკანასკნელი გზა გადიოდა რეჩ პოსპოლიტზე, რომლის სამფლობელოები შავ ზღვამდე აღწევდა. აქედან კი უმოკლესი გზით შეიძლებოდა მისვლა საქართველოში. ასევე იოლად შეიძლებოდა რეჩ პოსპოლიტას შიდა რაიონე-

ბიდან მდინარე დნეპრით დასახელებულ ზღვამდე მიღწევა. რეჩ პოსპოლიტან მათ დახმარებას გაუწევდნენ იეზუიტები ან დომინიკანელები და კარმელიტები. მათ დახმარებას გაუწევდა აგრეთვე რეჩ პოსპოლიტას მეფეც, რომელიც იყო თავგამოდებული კათოლიკე.

საქართველოსთან დასაკავშირებლად გამოდგებოდა კაზაკების გემებიც, რომლებითაც უხილვათოდ მიიღწევდნენ დანიშნულების ადგილამდე. კაზაკების გემებით შეიძლებოდა გადაევანა არამხოლოდ უბრალო ბერებისა, არამედ ეპისკოპოსების, ნუნციების, ელჩების და სხვ.

ქართველების კათოლიკობაზე მოქცევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ პოლონელ უნიატებს, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევდნენ ბერძნულ მართლმადიდებლობას და ამდენად ისინი ახლოს იყვნენ და უკეთესადაც გაუგებდნენ ქართველებს და იოლადაც დაიყოლიებდნენ კათოლიკობაზე<sup>1</sup>.

დონ პიეტრო დელა ვალეს მხედველობიდან არ გამოჩენია, თუ როგორ შეიძლებოდა რომსა და საქართველოს შორის მუდმივი, საიმედო და მოკლე გზით კავშირის განხორციელება, როგორც წერილების გაგზავნით, ისე ადამიანების გადაადგილებით. ეს გეგმა უნდა დამუშავებულიყო თეომურაზ პირველთან კონსულტაციებით და შეთამბმებით. მისივე აზრით, საქართველოს შავი ზღვის იმ პორტში, საიდანაც მეტი გემები მიდიოდნენ ევროპაში, მისიონერებს უნდა ყოლებოდათ თავიანთი კორესპონდენციი ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც გადაუგზავნიდნენ წერილებს. ამ მიზნით, ვალე ურჩევდა მისიონერებს, დასავლეთ საქართველოში დაბინავებულიყო ერთი რომელიმე მათგანი, რომელიც საჭიროების დროს დაუკავშირდებოდა დადიანსა და გურიელს.

<sup>1</sup> Жордания Г., Гамзардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, с. 373-375.

დონ პიეტრო დელა ვალეს აზრით, საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებიდან ევროპასთან დაკავშირება შეიძლება კონსტანტინოპოლიზე გავლით, სადაც სისტემატურად ჩადიოდნენ ქართველები, როგორც კომერციული, ისე სხვა საქმეებისათვის და მათთან კავშირის დამყარება ადვილი იყო. კონსტანტინოპოლიში ყოველთვის იყვნენ კათოლიკე მისიონერები და იტალიელი სამოქალაქო პირები. რაც მთავარია, იქ იმყოფებოდა საფრანგეთის ელჩი, რომელსაც გადასცემდნენ საქართველოდან ჩამოტანილ, რომში გასაგზავნ წერილებს. მას ასევე შეეძლო განსაკუთრებული სიმნილეების გარეშე გადაეგზავნა რომიდან მიღებული წერილები საქართველოში საზღვაო გზით. მთავარი იყო მას სცოდნოდა, სად უნდა გაეგზავნა ესა თუ ის წერილი, ე. ი. საქართველოს რომელ ნავსადგურში და რომელ ნდობით აღჭურვილ პიროვნებას უნდა გადასცემოდა<sup>1</sup>.

ამ, ერთი შეხედვით, ტექნიკურ რჩევებში, კარგად ჩანდა როგორ შეიძლებოდა საქართველო-რომის კავშირი განხორციელებულიყო პირდაპირი გაგებით. პიეტრო დელა ვალეს სხვა კიდევ სერიოზული ჩანაფიქრიც პქონდა: იმის მიზეზით, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ტერეზორიაზე მოგზაურობა მისიონერებისათვის სახიფათო იყო, ამ უკანასკნელთ უნდა დაეყოლიებინათ ოეიმურაზ მეფე, რომ მას დაემყარებინა სავაჭრო ურთიერთობა რეს პოსპოლიტასთან<sup>2</sup>, რაც შემდგვარი გამოიწვევდა რეს პოსპოლიტას კათოლიკე მეფის საქართველოს საქმეებში ჩაბმას.

საქართველოში გასაგზავნი მისიონერებისათვის პიეტრო დელა ვალემ 1626 წელს შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია 12 მუხლად. მასში გათვალისწინებული იყო ბევრი რამ: რამდენი მისიონერი უნდა უნდა წასულიყო. პირველი ჯგუფის

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 124-125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

გამგზავრებასა და მის შედეგს უნდა დალოდებოდა მეორე ჯგუფი. მას უნდა გაეთვალისწინებინა ის დაბრკოლებები, რომელიც წინამორბედს შეხვდებოდა. ამის შემდეგ თუ საჭიროება იქნებოდა, იგი მარშრუტს შეიცვლიდა.

მეორე პუნქტის მიხედვით, კონსტანტინოპოლში ჩასული მისიონერები იქ მყოფი რომელიმე კათოლიკური სახელმწიფოს, კერძოდ, საფრანგეთის ან ვენეციის ელჩის მფარველობაში უნდა ყოფილიყვნენ, რათა დაუბრკოლებლივ გაევლოთ ოსმალეთის ტერებორია.

განსაკუთრებით საინტერესოა მესამე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „რამდენადაც ეგროპის გარეთ, კერძოდ, საქართველოში საქმის წარმატება თითქმის მთლიანად დამოკიდებულია საქართველოს იმ მხარეების მთავრებზე, სადაც წმ. ტახტი აგ ზავნის მისიონერებს სულიერი პროცესისათვის და იმისათვის, რომ ამ წამოწევების წარმატება უზრუნველყოფილ იქნება, აუცილებლად კოვლი, რომ მისიონერები მომარაგებულ იქნება მისი უწმინდესობის წერილებით ყველა იმ ქართველი მთავრისადმი, რომელთა შესახებ შეიძლება რამე ცნობის მიღება, ასევე წერილებით იმ ქვეყნის მიტროპოლიტებისადმი. საქმარისია ამ წერილებში მისმა უწმინდესობამ გამოთქვას აზრი იმ სულისკვეთებით, რომ იგი განწყობილია მათდამი მამობრივი ზრუნვით და, როგორც მთელი კათოლიკური სამართლების მწევები, უზ ზავნის მათ და მათ ხალხს თავის წმ. მამებს, სურს რა ამით დაამყაროს მათთან კავშირუთიერთობა უფალის დიდებისათვის... თუ მივმართავთ თეომურაზ მეფებს, რომელსაც უნდა გაეგზონოს მისი უწმინდესობის წერილი, თუ წმ. მამები შეძლებენ ასე შორს წავიდნენ ქვეყნის შიგნით და შეხვდნენ მას, მისმა უწმინდესობამ რამდენიმე სიტყვით უნდა დაამჟღიდოს იგი იმის გამო, რაც მას წარსულში განიცადა ან შეაქოს დედამისი, რომელმაც ირან-

ში სიკვდილი ამჯობინა ქრისტიანული სარწმუნოების შეცვლას და შეინარჩუნა იგი<sup>1</sup>.

შემდეგ პუნქტში ლაპარაკი იყო ქართველი მეფის, ეპლესის მეთაურებისა და დიდებულებისათვის საჩუქრების მირთმევის აუცილებლობაზე. ასეთი საჩუქრები შეიძლებოდა ყოფილიყო საკულტო დანიშნულების საგნები, სურათები, ყვლსაკიდები და სხვ.

მეხუთე პუნქტში იყო რჩევა მისიონერებისათვის, რომ ზღვაზე მოგზაურობის დროს აუცილებლად ევროპელთა ხომალდებით ესარგებლათ.

მექვესე პუნქტში პიეტრო დელა ვალე მისიონერებს ურჩევდა კონსტანტინოპოლიში მისვლისთანავე იმას უნდა დაგავშირებოდნენ, ვის სახელზეც მიჰქონდათ სარეკომენდაციი ბარათი. ისინი უნდა მორიდებოდნენ ხალხში გამოჩენას, რათა ხელისუფლების ყურადღება არ მიეპყროთ.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეშვიდე პუნქტი, რომლიდანაც ჩანს, როგორი ინტენსიური მიმოსვლა იყო საქართველოს შავიზღვისპირეთსა და კონსტანტინოპოლს შორის: მისიონერები „საჭიროა ჩახდომები საქართველოს ერთ-ერთ მხარეში – სამეგრელოში მიმავალ ხომალდში, ხადაც კონსტანტინოპოლიდან ყოველ დღე მიღიან ხომალდები. ჩვეულებრივად კონსტანტინოპოლის ნაგარი უნდა შეიძლება შეხვდე ფრანგებს, მომავალს კუნძულ ხიოსიდან, რომლებიც ჩვეულებრივად ჩადიან სამეგრელეში და ბევრი მათგანი ლაპარაკობს იტალიურად. რომელიმე მათგანი, თუ სანდო პიროვნება იქნებოდა, შეიძლებოდა მეგზურად აეყვანათ. თუ ასეთი რამ არ მოხერხდებოდა, მაშინ შეიძლებოდა აეყვანათ რომელიმე ბერძენი-ქრისტიანი, რომლებიც ყოველთვის თავს იყრიან კათოლიკური ქვეყნების საელჩოების გარშემო კონსტანტინოპოლიში. შეიძლება მეგზურად აიყვანონ რომელიმე ქართველი,

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 212-213.

რომელიც კოველთვის არიან კონტანტინოპოლიში. ისინი ხშირად თავადიშვილები არიან. ასეთ ქართველებთან მეგობრობის დამყარება ძალიან კარგი იქნებოდა<sup>4</sup>.

მერვე პუნქტში ლაპარაკი იყო მისიონერების ჩაცმულობაზე. დელა ვალე მისიონერებს ურჩევდა: იტალიიდან კონტანტინოპოლამდე და ამ ქალაქშიც შეიძლებოდა სცმოდათ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდნენ, „ხოლო რაც შეეხება კონტანტინოპოლიდიდან საქართველოში მგზავრობის დროს, საჭიროა ჩაიცვან ისე, როგორც მათ ურჩევს მათი გამოყოფილობით გამოვიდა. თვით საქართველოში კი მათ აუცილებლად უნდა ჩაიცვან ისე, როგორც წმ. მამა მისიონერებს შეშვენით, ყოველი შემთხვევისათვის, ყოველთვის ანგარიში გაუწიოს ვითარებას და იყვნენ ფხიზლად“<sup>2</sup>.

მეცხრე პუნქტში პიეტრო დელა ვალე მისიონერებს ამდევს რჩევას როგორი მსახურები უნდა იყოლიონ.

მეათე პუნქტი შეიცავს მისიონერების დარიგებას, რომ არ უნდა შედრკნენ იმ დაბრკოლებების გამო, რომლებიც მათ შეიძლება შეხვდეთ ოსმალეთში ყოფნის დროს და მოქნილად იმოქმედონ.

მეოთხმეტე პუნქტში აღნიშნულია, რომ დელა ვალე პაპს ურჩია წერილები გაეგზავნა იმერეთის მეფისათვის, ოდიშის მთავარ დადიანისათვის, გურიელისათვის, კახეთის მეფე თევიმურაზისათვის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისათვის.

მეოთხმეტე პუნქტში ჩამოთვლილია ის საჩუქრები, რომელთა საქართველოში წადება იყო მიზანშეწონილი<sup>3</sup>.

რომში ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოს შესახებ: მის მოსახლეობაზე, კოონმიკურ მდგომარეობასა და საგარეო ურთიერთობაზე. ამიტომ მისიონერებს, საკმაოდ გა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 214-215.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 216.

წაფულ აგენტებს სერიოზულ დავალებას აძლევდნენ. ამ მხრივ საინტერესოა პიეტრო დელა ვალეს ერთ-ერთი ინსტრუქცია საქართველოში მოღვაწე თეატრინელი მისიონერებისათვის: „საქართველოში ჩასვლისთანავე შეაღგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფეური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში ყველა გამოჩენილი პიროვნების – კაცისა და ქალის ორგორც საეკლესიო, ისე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდება ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ადგილების, გზების, რომლებსაც უფრო მეტად ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები, საჭიროა შეაღგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დააზუსტოთ, თუ რა საშუალებით და რა გზით აძიარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ქართველებს კისთან აქვთ მტრული, საომარი ან მეგობრული დამოკიდებულება; კის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეკადი, რომლებიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან. ნუ დაიზარებთ, რომ ყოველივე ეს სისტემატურად შევვატყობინოთ“<sup>1</sup>.

მიუხედავად ამგვარი და სხვა მრავალი ცნობების მოპოვებისა, როგორც ჩანს, რომში მაინც უაღრესად ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოს ისტორიაზე, ქართველთა მენტალიტეტზე, ტრადიციებსა და ფასეულობებზე. მათი განსაკუთრებული შეცდომა და წარუმატებლობის მიზეზი მდგომარეობდა ქართველების მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ერთგულების შეუფასებლობაში<sup>2</sup>. რა თქმა უნდა მნიშ-

<sup>1</sup> ტაბადუა ი., საქართველო კვროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 127.

<sup>2</sup> დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ვარშავიდან რომში გაგზავნილ რელაციაში 1637 წლის 18 თებერვალს წერდა: „მე მათ (ავგუსტინელ მისიონერებს – ე.მ.) შეკვითხე,

ვნელოვანი იქო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგრძალების სირთულე და არასტაბილურობაც. მაგრამ მისიონერთა რელაციებსა და წერილებში განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს ის წინააღმდეგობა, რომელსაც საქართველოში მოსული რომის წარმომადგენლები აწყდებოდნენ სხვა კონფესიების წარმომადგენელთა მხრიდან. საქართველოში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების მტრული დამოკიდებულება მათ მიმართ, წითელ ხაზად გასდევს მისიონერების წარუმატებელი საქმიანობის ახსნას. ისინი ზოგჯერ ცდილობდნენ ისეთ შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ქართველი ხელისუფალი იყვნენ უცხოტომელთა მიერ კათოლიკეთა შევიწროების პასიური მჟღრეტელნი.

რომში დარწმუნებულნი იყვნენ საქართველოს იოლად გაკათოლიკებაში. პაპის მიერ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ნიკოფორე ირბახს გაატანეს, ვკითხულობთ: „ახლა უმორჩილესად კევედრებით დმერთხ, რომლის ხელშია მმრბანებელთა გულების არხი, მიიყვანოს შენი უმაღლესობის ღვთისმოსაობის განზრახვა ხასურველ დასახრულამდე, ხოლო შენ, ანგელოზების დახმარებით, რაც შეიძლება მაღლ შეხვიდე დედა რომის გელების წიაღში“. იქვე ისიც იყო მითითებული, მეფეს ვისი ხელით უნდა მიეღო ახალი სარწმუნოება. ეს უნდა ყოფილიყო მცირე აზიის ქალაქ მირის არქიეპისკოპოსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არქიეპისკოპოსი ნახჭევანის ეპარქიაში მივიღოდა. მაგრამ თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ იმავე წესს შეას-

---

არის თუ არა ამ ქალაქში (გორში – გ.მ.) კათოლიკები, მაგრამ უარყოფითად მიპასუხებს; მათ კელებით ხალხი მხოლოდ ცხობისმოყვარეობის გამო მოდის, რათა მეხა მოისმინოს. ხწორედ ამიტომ გამტაცებები: იქ, ხადაც უკვე არის (მართლმადიდებლური – გ.მ.) სარწმუნოება, ჩვენ, მისიონერებს რომის კალებისისათვის ძნელად შეუძლიათ სარგებლობის მოტანა“. კვროპული კვლევები, II, თბილისი, 2015, გვ. 34. ხაზგასმა ყველგან ჩემია.

რულებდნენ ის თეატინელი მღვდლები, რომლებიც რომიდან საქართველოში მისიონერებად გამოგზავნეს. იმ შემთხვევაში კი, თუ ვერც მისიონერები მიაღწევდნენ საქართველომდე, მაშინ პაპის ბრძანებით ირანიდან გამოიძახებდნენ ავგუსტინელ ან ფეხშიშველი კარმელიტების ბერებს<sup>1</sup>, „რომელთა საშუალებით შენ ლოთის შვილთა რიგებში ჩაირიცხები“ – სწერდა ურბან VIII მეფე თეიმურაზს.

როდესაც თეიმურაზ მეფის მიერ კათოლიკობის აღიარებისა და საზეიმოდ გაცხადების შესახებ ცნობა რომამდე მიაღწეს, სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც პაპის მითოთებით მოქმედებს, დაამტკიცებს მის „მონარქიულ მართველობასაც პაპის საზეიმო ლოცვა-კურთხევით“. ამის შემდეგ პაპი შეეცდებოდა ევროპის კათოლიკე მეფეების ქართლ-კახეთის მეფისადმი კეთილგანწყობას, განსაკუთრებით კი ესპანეთის მეფის მასთან დამეგობრებას. მაგრამ მხოლოდ ის არ არის საქმარისი, რომ მეფემ აღიაროს კათოლიკობა. მან აუცილებლად მთელი ძალით უნდა იზრუნოს, რომ ეკლესიის მეთაურებმა და მღვდელმასახურებმა, იძერის სულის მწყემსებმა, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, აღიარონ პეტრეს სახელმწიფო რომის ტახტის სახით<sup>2</sup>. პეტრეს სახელმწიფოს, ანუ რომის ტახტის ქრისტიანულ ეკლესიებში პირველობა და პაპის უკეთა ქრისტიანის მეთაურად აღიარება, ნიშნავდა ქართული ეკლესიის მიერ ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა აღიარებაც, რის წინააღმდეგაც, თავის დროზე (1439 წ.), სწორედ ქართველები გამოვიდნენ. აღიარების სანაცვლოდ კი, პაპი ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოებ-

<sup>1</sup> ამ დროს ავგუსტინელები უკვე იმყოფებოდნენ საქართველოში და ქართლ-კახეთის სამეფოში დაარსებული ჰქონდათ თავიანთი მისია.

<sup>2</sup> ტაბადუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 199; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 97-99, 615-616.

თან, განსაკუთრებით ესპანეთთან, რომელთანაც დაახლოებას თეიმურაზი ცდილობდა და პაპს შუამავლობას თხოვდა, დახმარებას ჰპირდებოდა.

რომში ითვალისწინებდნენ, რომ კათოლიკური ოწმენის გავრცელებას, საქართველოში სერიოზული წინააღმდეგობა ხვდებოდა. მისიონერებს ევალებოდათ ფრთხილად ყოფილი-ყვნენ სარწმუნოებაში ქართველთა დაბნეულობის მიმართ, რაც მათი აზრით, გამოიხატებოდა მართლმადიდებლების თავიანთ სარწმუნოების ტრადიციული დოგმებისა და რიტუალის ერთგულებაში. მისიონერები არ უნდა ცდილიყვნენ, რომ ქართველებს უარი ეთქვათ თავიანთ რიტუალზე. მათ უნდა დაერწმუნებინათ მართლმადიდებელი ქართველები, რომ პაპს უყვარდა და პატივს სცემდა ბერძნულ მართლმადიდებლობას ფერარას მსოფლიო კრების გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლის ამსახველი დოკუმენტები მისიონერებს თან უნდა წამოედოთ საქართველოში. აგრეთვე უნდა ეხელმძღვანელათ პაპ კლემენს VIII-ის 1595 წლის ინსტრუქციით. მაგრამ, თუ ვინმე მოინდომებდა კათოლიკობაზე გადასვლას, მაშინ მისიონერებს უნდა გამოეყენებინათ გრიგორი XV-ის ფორმულა<sup>1</sup>.

პაპ კლემენს VIII-ის ინსტრუქციის ამოსავალი იქნ 1595 წლის 23 დეკემბერის შეთანხმება პაპსა და რუს ეპისკოპოსებს შორის. კიევის, გალიციისა და სრულიად რუსეთის არქიეპისკოპოსმა და მიტროპოლიტმა მისახლმა და მასთან ერთად იმავე პროვინციის ეპისკოპოსებმა, რომლებსაც „წმინდა სულმა გაუნათა გულები“, დიდი ხნის ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს შერიგებოდნენ რომის ეკლესიას, დაბრუნებოდნენ რომის პირველ მღვდელმთავარს, ქრისტეს მოადგილეს, დროის დიდი ინტერვალის – 150 წელზე მეტი ხნის შემდეგ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბერძნების მიბაძვით. ისინი პირველი შეურიგდნენ რომის ეკლესიას პაპ ევგენი IV-ის დროს ფლორენციის საეკლესიო კრებაზე. რუსმა ეპის-

<sup>1</sup> Vries W. de, *Rom und Patriarchate de Ostens*, Freiburg, 1963, p. 201-205.

კოპოსებმა თავიანთი მსჯელობა ჩაიწერეს და ხელი მოაწერეს 1594 წლის 2 დეკემბერს. გპისკოპოსები სიგელით ითხოვდნენ პაპს დაელოცა მათი რომის ეკლესიასთან შეერთება იმ პირობით, რომ ისინი შეინარჩუნებდნენ თავიანთ წესებს და ცერემონიას დვთისმსახურებაში, საიდუმლოებათა აღსრულებისას და სხვას იმ უნის თანახმად, რომელიც მიღებული იქნა ფლორენციის საეკლესიო კრებაზე. ორივე მხარე იდებდა ვალდებულებას ერთობლივად ემხილათ ყველა ერესი, გაესამართლებინათ სქიზმა, დაეწყევლათ ყველა შეცდომა, რომელსაც გმობს რომის კათოლიკური ეკლესია; სწორად მომხდარიყო კათოლიკური სარწმუნოების აღიარება; გპისკოპოსები სამუდამო თავდები იქნებოდნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მოადგილისა პაპის წინაშე<sup>1</sup>.

საქართველოში დამკვიდრებულმა დონ პიეტრო ავიტაბილემ საკუთარი თვალით ნახა ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობა, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, როგორ მტკიცედ იცავდა მამაპაპათა სარწმუნოებას. კათოლიკის პროპაგანდა უხილვათო რომ არ იყო ამ ქვეყანაში, ამის შესახებ სრულიად გასაგებად წერდა რომში 1629 წ. 28 მარტს დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელის ხელითაც, პაპის ვარაუდით, კათოლიკური რწმენა უნდა ეღიარებინა თეიმურაზ მეფეს. წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიისათვის გაგზავნილ რელაციაში ჩანს, რომ მისიონერები საქართველოში თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ მათ უადრესად რთული დავალების შესრულება დააკისრება. ამასთან ერთად საქართველოში მათ დახვდათ ლათინების, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, მტერი ბერ-

<sup>1</sup> Ibidem, p. 201-205; Из буллы папы Клиmenta VIII о принятии унии православными епископами Западной Руси (1595 г. 23 декабря). / Перевод с латинского. Уния в документах, Минск, 1997, № 23, с. 118-122.

ძნები, რომლებსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორა პქონდათ. ამიტომ მოითხოვდა დონ პიეტრო ავიტაბილე, რომ რომიდან საქართველოში გამოგზავნილ იმ „წერილებში, რომლებიც დაიწერება მეფის, ასევე პატრიარქისა და მიტროპოლიტის სახელზე, გთხოვთ, არავითარ შემთხვევაში არ იყოს რაიმე ნახსენები არც ბერძნებზე, არც სარწმუნოებაზე, მიმართავთ რა მათ მხოლოდ სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით, უჩვენებთ რა, ამასთანავე, ჩვენს ხოსტულს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ჩვენ მივიღებ კეთილგანწყობით. ასეთი სიფრთხილე აუცილებელია, რათა არ მივცემ საბაბი ბერძნებს, შეთხან ახალი ცილისწამება ჩვენზე და ოქსონ განხეთქილება. ის, რაც შეეხება ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების საკითხს, ეს საკითხი დაგვიტოვეთ ჩვენ, ვიმყოფებით რა ადგილზე, სისტემატურად გართ ამით დაკავებულია<sup>1</sup>.

ქართული ეკლესიის გაუცხოება რომის ეკლესიისაგან კარგად ჩანს 1631 წლის 27 მარტს, თეიმურაზ მეფის რწმუნებით აღჭურვილი ელჩის დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ რომში უმაღლესი მღვდელმთავარისათვის წარდგენილ მოკლე მოხსენებაში საქართველოში პოლიტიკური და რელიგიური მდგრმარეობის შესახებ. მან 32 მუხლად ჩამოაყალიბა ქართველთა „დაბნეულობა“ რელიგიაში. მ. თარხნიშვილმა, თავისი შეხედულებისამებრ, შეარჩია და გამოაქვეყნა ამ მოხსენების მხოლოდ 15 მუხლი, რომლებიც ძირითადად ქართველი მართლმადიდებლების და ლათინების რელიგიური რწმენის მიხედვით განსხვავებულობას ასახავს. ავიტაბილე წერს:

1. ისინი (ქართველები – ე.მ.) უარყოფენ სული წმიდის გადმოსვლას ძისაგან.
2. ისინი უარყოფენ ცეცხლის არსებობას განსაწმენდელში.

---

<sup>1</sup> Ibidem, p. 227-228.

3. მათ არა აქვთ განსაკუთრებული სამართალი ქრისტიანებისათვის.

4. მკვდრეობიდან აღდგომის წინ მათ ეძლევათ დმერთის უშუალო ხილვის საშუალება.

5. ურწმუნოებს ასამართლებენ მხოლოდ განსაკუთრებული სამართლით.

6. ქრისტიანებს შეუძლიათ გადარჩენა ლოცვით საშინელ სამსჯავრომდე ჯოჯოსეთიდანაც კი.

7. ისინი ხელახლა ნათლავენ მათთან დაბრუნებულ განდგომილებს.

8. ისინი ამტკიცებენ, რომ ნათლობა შეუძლია მხოლოდ მდვდელს ზეთის კურთხევითაც კი.

9. როცა მეუღლე უნაყოფოა, ხდება გაყრა. იგივე ხდება მრუშობის დროსაც.

10. ისინი ეხმარებიან მომაკვდავს დატოვოს ეს სამყარო სხვადასხვა მეთოდებით.

11. მისდევენ უზომოდ ღვინის სმას.

12. ისინი უარყოფენ, რომ სასწაულები ხდება ჩვენთან.

13. თუ მდვდელი ჩავარდა ხორციელ ცოდვაში, თუნდაც საიდუმლოდ, მოძღვარი ადსარების დროს უკრძალავს მას იმსახუროს ეკლესიაში, ამიტომ ასეთ ცოდვაში ჩავარდნილს მდვდელი ადსარებაში არ მოიხსენიებს. იგი შერცხვენილი ცოდვით განაგრძობს სამსახურს სიკვდილამდე.

14. მდვდელმთავრის ხელისუფლებაზე ისინი ფიქრობენ, რომ მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ დადგითი უფლებით, მაგრამ უმნიშვნელო საკითხებში.

15. უკანასკნელი, ე.ი. ქართველთა 33-ე დაბნეულობა შემდეგია: „მაშინ, როდესაც ისინი იმდენად დამახინჯებული სახით გადაიწევიან (იხრებიან) ჭეშმარიტი რწმენისაგან, თავიანთ სიამაყდ ხოვლიან, რომ როგორც ამბობენ მათში თოთქმის ყველა, თუ ქრისტიანული სარწმუნოება დაუცემა

მთელს მხოვდიოში, მათში ის კვლავ აღდგენილი იქნება მთლიანად, უცნებლად<sup>1</sup>.

განხილული მასალები გვიჩვენებს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში რომში საქართველო მიაჩნდათ იმ ქვეყნად სადაც პაპის წარმომადგენლებს შეძლოთ თავისუფლად ემოლვაწათ, საიდანაც შეიძლებოდა კონტაქტები განეხორციელებინათ კავკასიისა და მის მეზობელ ქვეყნებთან, მაგრამ თავი უნდა შეეკავებინათ საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობაში კათოლიკური პროპაგანდისგან. მისიონერები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ მოთხოვნას ასრულებდნენ XIX საუკუნის 40-ან წლებამდე.

---

<sup>1</sup> თარხნაშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუკუნეში (თარგმანი ლათინურიდან) // საქართველოს ურთიერთობა ეფრობისა და ამერიკის ქვეყნებთან, გ. IV-V, თბილისი, 1998, გვ. 378-379.

ომის ეკლესიის ფარმობაზეც თა საჭმანობა  
საქართველოში პათოლიკონის ბაზრების სათვის  
თემურაზ I-ის დროს

რომის ეკლესიის საქმიანობა კათოლიკობის გავრცელ-  
ებისათვის საქართველოში ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმოდ-  
გნილია როგორც უმტკივნეულო, სასურველი პროცესი, რო-  
გორც ქვეყნის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა. ნ.  
ბერძენიშვილის მიხედვით, კათოლიკე მისიონერების საქმიანო-  
ბას XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებული წარმატება  
ხვდა: „ქართველები კათოლიკობას თვითი ქვეყნის პოლიტი-  
კურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვი-  
სა, მისი ადდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა,  
ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“ ქართველობისა-  
თვის მებრძოლთა ეს დასი მზად იყო პაპის უზენაესობა ედი-  
არებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორ-  
ჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრ-  
ცელებინა, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახ-  
მარება მიეღო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში“<sup>1</sup>.  
ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ცნობილი წერილობითი  
წყაროები, როგორც დოკუმენტური, ისე ნარატიული, თუკი  
მათ კრიტიკულად განვიხილავთ. წინასწარ მხოლოდ იმას  
ვიტყვი, რომ, მართალია, ქართველები სერიოზულ ეკონომიკ-  
ურ და პოლიტიკურ პერსპექტივებს უსახავდნენ ეპროპის  
ქვეყნების ხელისუფალთ, მაგრამ იმ პერიოდში მათ საქართ-

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 151-152. ისტორიკოსმა იგვევ გაიმურა თავის სხვა ნაშრომშიც. ის. მიხი, ვახუშტის ბიოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1967, გვ. 298-299. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას სრულად იზიარებდა ვ. გაბაშვილი. ის. მიხი სულხან-ხაბა თრგვლიანი როგორც დიპლომატი // სულხან-ხაბა თრგვლიანი 1658-1958. საიუბილეუმი კრებული, თბილისი, 1959, გვ. 63.

ველოს გამო ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვის არც არავითარი სურვილი და არც შესაძლებლობა ჰქონდათ.

საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა კათოლიკური ორდენის წარმომადგენლები მოდგაწეობდნენ: XVII ს. ჯერ ავგუსტინელები<sup>1</sup>, შემდეგ თეატინელები, 60-იანი წლებიდან კი კაპუცინელები. ისინი ემსახურებოდნენ ერთ უმთავრეს მიზანს – კათოლიკობის გავრცელებას, რომლის მისაღწევად იყენებდნენ საგანმანათლებლო და პუმანურ საშუალებებს და, ზოგჯერ, გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ, მაგრამ არა ქართველ მართლმადიდებლებში.

მისიონერები მოდიოდნენ მაშინ, როდესაც საქართველო დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაგან თითქმის სრულიად იზოლირებული, მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებთან გამუდმებული ბრძოლებით, შინაური ფეოდალური შუღლით იყო დასუსტებული. ეკონომიკურად და კულტურულად დაკვითუბული ქვეყნისათვის აუცილებელი იყო მოწინავე ქრისტიანულ ეკროპასთან ურთიერთობა. ამ კაშშირის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად კათოლიკე მისიონერები ითვლებოდნენ. ისინი საკმაოდ მომზადებული მოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, მოხერხებულად სარგებლობდნენ მოსახლეობის გაჭირვებით და ცდილობდნენ მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, რასაც მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა კათოლიკობის ზეიმი.

წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველი მართლმადიდებლები კათოლიკე მისიონერების საქმიანობისადმი

<sup>1</sup> ავგუსტინელების ორდენმა სახელწოდება მიიღო V საუგუნეში მოღვაწე წმინდა ავგუსტინის სახელიდან. ავგუსტინელების დარიბული ორდენი დაარსა პაპმა ალექსანდრე IV-მ 1256 წელს. მის სათავეშია არჩევითი გენერალ-პრიორი. ორდენის განსაკუთრებით აყვავების პერიოდია XVI ს. დასაწყისი. ორდენი უფრო ადამიანის სულის გადარჩნისათვის იღწვოდა ვიდრე მეცნიერებისა და ეპლების განვითარებისათვის.

შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მოეთხოვებოდა მასპინძელს სტუმრის მიმართ. ქართველ მოწინავე, სახელმწიფო ებრივად მოაზროვნე ადამიანებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს და ეკლესიის იერარქებს, კარგად ესმოდათ, რომ კათოლიკე მისიონერების ზურგს უკან იდგა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე – რომის პაპი, რომლის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნების აღმოსავლურ პოლიტიკაში, რომელთაგან სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებაზე ოცნებობდნენ საქართველოში. ქართველთა ასეთი განწყობილება და მათი კათოლიკური რიტუალისა და ეკლესიის მოწყობისადმი ბუნებრივი ინტერესი პატრიატის თითქოსდა ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ფენისა და თვით ეკლესიის მსახურთა კათოლიკობზე მოქცევის ილუზიას უქმნიდა. პატრიების ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული რომში გაგზავნილი რელაციები, რომლებშიც ხან გულწრფელი რწმენით, ხან კი თვალშისაცემი შეგნებული გაზვიადებით გაცხადებულია, რომ თითქოს სულ მალე და ადვილად კათოლიკობს აღიარებდა მეფე და მისი კარი, თავადაზნაურობა და მათი მსახურნი, გლეხები და მოქალაქენი<sup>1</sup>. მაგრამ, როდესაც ამ იმედების გამართლება არ ხდებოდა, ზოგიერთი ცალკეული შემთხვევის გარდა, ისინი მიზეზს ქართველთაგან მამაპაპათა სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომაში კი არ ხდავდნენ, არამედ თვითონ შეცდომებში (ისინი ოფიციალურად ასე წერდნენ), თითქოს თვითონ აკლებდნენ მცდელობას, თითქოს რომიდან არ იყო ჯეროვანი დახმარება და სხვ.

<sup>1</sup> რელაციებისადმი უკრიტიკო მიღეომამ მ. თამარაშვილს ათქმევინა, რომ „ხშირად საქართველოში არა მარტო კერძო პირები იყვნენ კათოლიკებად, არამედ უმრავლესობა, თავადები, მეფეები, თვით კათალიკოსებიც კი შეერთებული იყვნენ რომის ეკლესიათან“. თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 55.

სინამდვილეში მისიონერები იმდენად გულუბრყვილონი არ იყვნენ, რომ მათ ისე ეფიქრათ, როგორც თავიანთ უფროსებს რომში სწერდნენ. მათი ასეთი მოქმედების ასახელებად, კვიქრობ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ერთი ის, რომ მისიონერებს უნდა გაემართლებინათ საქართველოში, რომიდან საკმაოდ შორს მდებარე ქვეყანაში, თავიანთი ხანგრძლივი ყოფნა და მიღწევათა გაზვიადებით ეჩვენებინათ გაწეული ხარჯების აზრიანობა. საქართველოში წარმატებული საქმიანობა მათთვის, ზოგჯერ, კარიერის მაღალ საფეხურზე გადაადგილების საშუალება იყო. სავარაუდოა, აგრეთვე, ადგილობრივ ხელისუფალთა ზეგავლენა მისიონერებზე. ამ უკანასკნელთ რომში გასაგზავნ თავიანთ წერილებსა და მოსხენებებში ისეთი სურათი უნდა დაეხატათ, რომელშიც მეფე, დიდებულები და მოსახლეობის ძირითადი მასა გამოყვანილი იქნებოდნენ კათოლიკობისადმი კეთილგანწყობილად. სანაცვლოდ, ქართველები პაპთან და რომის მაღალ სასულიერო პირებისათვის გაგზავნილ წერილებში მისიონერებს ყოველთვის დადებითად ახასიათებდნენ (იხ. ქვემო).

როგორც ჩანს, პაპის კურიაში და პროპაგანდა ფიდეშიც მშვენივრად კითხულობდნენ სტრიქონებს შორის და მათთვის გასაგები იყო მისიონერების წინაშე მდგარი ამოცანის სირთულე. ამიტომ რომის პოლიტიკოსები ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებვინათ ის განსაცდელი, რომელიც ქართველებს მეზობელი მუსლიმური ქვეყნებიდან ემუქრებოდა და დაპირებული დახმარების სანაცვლოდ რომის მიერ შეთავაზებული პირობები მიეღებინებინათ.

როდესაც გამოჩენილი ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოეაშვილი (ნიკიფორე ირუბაქიძე-ირბახი) 1628 წელს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ესპანეთიდან რომში ჩავიდა, ვატიკანში მისი მოსმენაც კი არ ისურვეს, ვიდრე მან თავშეკავების შემდეგ, სამშობლოს ინტერესებისათვის, ოფიციალურად არ აღიარა კათო-

ლიკური რწმენა და დაგმო ქართველთა ცდომილება. იგი მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო პაპმა, რის მიზეზების ასახ-სნელად გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. პაპი თეიმურაზ I-ისა და ქართველი სამდვდელოების-გან კათოლიკობის აღიარებას მოითხოვდა: „ხოლო ოდეგსაც შენ ყველა წესის დაცვით აღიარებ ორთოდოქსულ სარწმუნოებას და საზომოდ განაცხადებ მორჩილებას და ეს ცნობა ჩვენთან მოვა – ხწერდა პაპი თეიმურაზს – ... შემდეგ შევეღ-დებით შენი უმაღლესობისადმი ძმურად განვაწყო ქრისტიანი მეფეები, განხაეუთორებით დაფიროლით შენვის სახურველ მეგობრობაზე ესპანეთის მეფე... საჭიროა მთელი ძალით იზ-რუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბ-ერის სულის მწევები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვ-რობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს ეკლესიის ხილულ მეთაურს – რომის ტახტის სახით“<sup>1</sup>.

2. ნიკიფორეს ხელით გაგზავნილ წერილებში, რბილად რომ ვთქვათ, თეიმურაზ I არ იყო გულწრფელი, გაზვიადებული იყო ქართველი მეფის სამხედრო სიძლიერე, რომელიც „დავთის მადლით და შეწევნით ექვს სამეფოს ფლობებ... და მზად პყავს ახიათახიანი ლაშქარი თურქებისა და ირანელების წინააღმდეგ საომრად“<sup>2</sup>. მაგრამ სარწმუნოების საკითხში თეიმურაზი რაიმე დათმობას არ ფიქრობდა. ესპანეთის მეფი-სა და რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილებში ის იმეორებს ერთსა და იგივე ფრაზას: „ჩვენ ეოველნი ძმანი გართ და

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კვროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 199.

<sup>2</sup> ვათეოშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. ქართველი დებ-ანი ეხანეთში XVII ს-ის პირველი მეხამედის დამლევს. გან. „კომუნისტი“, 1983, №175.

**ერთი არს ღმერთი ჩუჯნი<sup>1</sup>.** ქართველი მეფე ამით თავის ადრესატებს აგრძნობინებს, რომ ქრისტიანები ყველა ერთნი ვართ და სარწმუნოების საკითხის ჩვენს ურთიერთობაში განხჯის საგანი არ უნდა გახდესო. მაგრამ კათოლიკურ ეკლესიას ქართველთა დახმარება თუ სჭირდება, ამ შემთხვევისათვის მეფეს გადაწყვეტილი აქვს ყოველი ძალა იხმაროს კათოლიკეთა სარწმუნოების განსამტკიცებლად და უდიდესი ტირანის დასამხობად, რომელიც დაუძინებელი მტერია წმინდა კათოლიკური სარწმუნოების და ქრისტეს სახელის<sup>2</sup>. როგორც ჩანს, თეიმურაზი და მისი წარმომადგენლები კათოლიკურ სარწმუნოებაში, ზოგადად, ქრისტიანობას გულისხმობდნენ.

საქმეს არ უშველა თეიმურაზ მეფის დიპლომატიურმა ეშმაკობამაც. მან ესპანეთის მეფის ანტიოქმალური განწყობილების გაძლიერების მიზნით ოსმალთა იმპერიის მოსპობის შემდეგ აღდგენილი ბიზანტიის ტახტი შესთავაზა: „ვამბობ და ვპირდები თქვენს უდიდებულებობას, განვახორციელებთ რა ჩვენს ჩანაფიქრს, ყველა ცოდნას და ძალას მოვახმაროთ იმას, რათა თქვენმა უდიდებულებობამ დაიკავოს იმპერატორის ტახტი კონხეგანტიობობდაში<sup>3</sup>.

3. არც პაპი იყო გულწრფელი. დღევანდელი გადასახედიდან ხომ მაინც კარგად ჩანს, მაშინ პაპს, ან სხვა კათოლიკე მეფეს რისი გაქოთება შეგძლო საქართველოსათვის. პაპი თეიმურაზს არ აცნობებდა, რომ კათოლიკე მეფეები მის სიტყვას იმდენად ადარ უწევდნენ ანგარიშს და, რომ მათ თავიანთი ქვეყნების ინტერესების შესაფერისი საგარეო პოლიტიკური კურსი პქნონდათ შემუშავებული, რომ მათ ხშირად

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 160.

<sup>2</sup> ვათეიმურაზი კ., ნიკიფორე ირბახის ნაკვალევებზე...

<sup>3</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 153.

ერთმანეთთან უფრო მეტი წინააღმდეგობა პქონდათ, ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფოსთან, ხოლო ირანთან ზოგს კარგი ურთიერთობის დამყარება, ზოგს კი შენარჩუნება სურდა. ამ დროს ევროპაში რეფორმაციის თუ კონტრეფორმაციის მდელვარებას ჯერ არ გაევლო და ოცდაათწლიანი ომიც მიღინარეობდა. მასში ჩაბმული იყო ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ესპანეთი იყო. მას უპირისპირდებოდა კარდინალ რიშელიეს მიერ შექმნილი კოალიცია საფრანგეთის, რომის პაპის, ვენეციის და პოლანდიის შემადგენლობით. ესპანეთმა მარცხი განიცადა. შექმლო პაპს ასეთ კითარებაში ეშუამდგომლა თეიმურაზისათვის ესპანეთის მეფის წინაშე? რა თქმა უნდა, — არა. პაპი ესპანეთის მეფესთან შუამდგომლობას მხოლოდ მის მიერ კათოლიკობის აღიარების შემდეგ პირდებოდა, რაც მხოლოდ დიპლომატიურ მანევრად უნდა ჩაითვალოს. უფრო მეტიც, პაპი ამ პირობის შესრულებამდე თეიმურაზთან წერილის მიწერაზეც კი თავს იკავებდა. მთავარი იყო ქართველებს კათოლიკობა მიეღოთ და, შემდეგ რაც მოხდებოდა, ისევ ქართველების საზრუნავი იქნებოდა.

არაერთგვაროვანია ქართველი ისტორიკოსების მიერ ნიკიფორე ჩოლოებაშვილის ელჩობის შედეგების შეფასება.

თეიმურაზ I-მა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ეპროპიდან დაბრუნებული ნიკიფორე ჩოლოებაშვილისაგან კარგად იცოდა რაც აინტერესებდა პაპს და საქართველოს გულისათვის არც კათოლიკე მეფეები დაიწყებდნენ თხმალეთის ან ირანის წინააღმდეგ ომს, ჯერჯერობით არამიზანშეწონილად ჩათვალა მისიონერების განაწყენება ან საქართველოდან მათი გაძევება. ძნელია გ. აკოფაშვილის მიერ ნიკიფორე ჩოლოებაშვილის ელჩობის შედეგების შეფასების გაზიარება, თითქოს „რომის პაპის აღინიშნული აქციები, - წერილები და შუამდგომლობა ევროპის სახელმწიფოთა წინაშე, — ნიკო-

ლოზ ჩოლოფაშვილის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო<sup>1</sup>. უარყოფითად აფასებდა აღნიშნული ელჩობის შედეგებს ივ. ჯავახიშვილი: „სრული უნაყოფობა. პაპის წერილი და პასუხი [ასეთი იყო]: იარეთ ჩვენს ეკლესიაში, სცანით რომის ეკლესიის უპირატესობა და უკელაფერი კარგად წავაო“<sup>2</sup>. ასეთივე იყო ნ. ირბახის ელჩობის საბოლოო შედეგის შეფასება ს. კაკაბაძის<sup>3</sup> და ბ. გიორგაძის<sup>4</sup> მიერ. ევროპაში დახმარების ძიებას, საერთოდ, მცდარ საგარეო პოლიტიკურ კურსად აფასებდა გ. თარხნიშვილი. იგი წერდა: „ამდღნად სახოწარეკვეთილი თავის შინაგან ცხოვრებაში, ქართველები ცდილობდნენ მხოლოდ ერთს, რათა მოქმორებინათ მათი სულის შემხუთველი ურწმუნოთა რეინის უდელი. მაგრამ ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეეძლო მათვის გაეწია დიდი სარგებლობა, ეს იყო გაერთიანება და შიგნით მშვიდობის დამყარება, მაგრამ ეს არვის აზრად არ მოხდიოდა. ელოდებოდნენ რა გადარჩენას იმათვან, ვიზუალურ შეიძლებოთ არ შეიძლებოდა იმედი ჰქონდათ, სხვა ხალხებისაგან, მათვან საკმაოდ შორს მყოფთაგან. საქართველოს მუფლები და მთავრები ვედრებით ემთხვეოდნენ ფერხეთწინაშე რეჩ პოსპოლიტას, ავსტრიის, ესპანეთისა და ასევე რუსეთის ხელმწიფებების წინაშე, თუმცა ფრთხილად აგზავნიდნენ მათთან ელჩებს, სთავაზოდნენ რა მუგობრობას და პირდებოდნენ ბევრ სხვა რამეს და თხოვდნენ მათ დახმარებას, რომელი მათ

<sup>1</sup> აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი – ნიკოფორე ირბახი (XVII ს.), თბილისი, 1977, გვ. 45.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის იხტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 349.

<sup>3</sup> კაკაბაძე ს., ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილესათვის. „ქართული მწერლობა“, 1929, №8-9.

<sup>4</sup> დონ ჯუდის მილანელი, წერილები საქართველოზე. / იტალიური ტექსტი თარგმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 16-18.

## არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ აღმოვჩინათ საქართველოსათვის<sup>1</sup>

თეიმურაზი ცდილობდა მისიონერები დაურწმუნებინა, რომ თავის სამეფოში კათოლიკობისათვის უპირატესობის მინიჭება სურდა, მაგრამ ამის აღსრულებაში მას ხელს უშლიდა სხვადასხვა გარემოება: ქვეყნაში არასტაბილური მდგომარეობა და ბერძენი სამდვდელოება. ამიტომ, როგორც პატრი იაკობი რომს აცნობებდა (შეიძლება თეიმურაზ მეფის ზემოქმედებით), „მოიფიქრა ამ ყოვლად ბრძენმა მეფემ, რომ საიდუმლოდ აღასრულოს. რათა თავიდან აიცილოს ყოველი განხეთქილება და შვითი, ამის გამო დაადგინა, საიდუმლოდ წარმოსთვას (კათოლიკური – ე.მ.) სარწმუნოების სიმბოლო, რათა მით გამოაცხადოს თავისი თავი რომის გელების შილად და ესე მისიონერთათვის მფარგველობისა და დახმარების აღმოჩენით ხალხი ნელ-ნელა შეაჩვის ლათინურს წებსა, რომ შემდგომ უფრო უშიშრად შეიძლოს საქვეყნოდ კათოლიკე სარწმუნოების აღსარება“<sup>2</sup>.

თეიმურაზ მეფის მიერ პაპთან გაგზავნილი წერილის გამო, დონ ჯაკომო დი სტეფანო დონ პიეტრო დელა ვალეს აცნობებდა, რომ ქართველი მეფე პაპს ისე წერდა, როგორც კათოლიკე მეფე, რაშიც მას დიდად ეპარებოდა ეჭვი და ნატრობდა: დმერთმა ინებოს, რომ თეიმურაზ მეფე ნამდვილად გახდეს კათოლიკე მეფე<sup>3</sup>.

<sup>1</sup> თარხნიშვილი გ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუკუნეში (თარგმანი ლათინურიდან) // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. II, თბილისი, 1995, გვ. 281.

<sup>2</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 107.

<sup>3</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კვრობის არქივებისა და წიგნსაცავებში, III, გვ. 133.

თეიმურაზ I, როდესაც პაპმა 1630 წელს მას კათოლიკობაზე ქვეყნის მოქცევა მოთხოვა, იმულებული გახდა, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ეპასუხა: „დიდი კონსტანტინეს დროდან ვიდრე აქამდე, ქრისტეს სარწმუნოება და მისი სიკვარული ისე შეუცვლელად დაგიცავით, თითქოს ღვთის მიერ ჩვენს გულში დრმად აღგუჯდილი ყოფილიყოს ის სიკვარული და ის სარწმუნოება“.<sup>1</sup> ჰაპ-აბასის მიერ აკლებისა და განადგურების მიუხედავად, ქვეყნამ „სარწმუნოება შეურყულად და მტკიცედ დაიცვა. ჩვენც დიდად ვიმეოვნებთ, რათა არავთარი მწვალებლობის შეცდომილება შემორეოდა ჩვენს სარწმუნობას. ეგრეთვე დიდი სასოება გვაქვს ღვთისა, რომ ამავე სარწმუნოებაში მტკიცედ დავრჩეთ და განუხრელად დავიცვათ იგი, ვიდრე ქვეყნის აღსასრულადმდე... ას ეს ქრისტიანი სარწმუნოება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელ დედა ჩვენი წავიდა ირანის მეფეთან სათხოვნელად, რომ მის ხელში ჩაგარდნილ ქართველებს, რომლებსაც სარწმუნოების უარი ეყოთ, შესძლებოდათ თავისუფლად და უშიშრად დაბრუნებულ იყვნენ სამშობლოში და შესდგომოდნენ თავიანთ უწინდევლ სარწმუნოებას. მაგრამ საუბედუროდ სულ სხვა მოხდა“<sup>4</sup>. პაპმა ურბან VIII-მ 1631 წლის 21 ივნისის წერილში სრულიად გაამჟღავნა რომის მიზანი. მასში ერთი სიტყვაც კი არ იყო თეიმურაზისა და მისი სამეფოსადმი დახმარებაზე. პაპი წერდა: „როდის იქნება, რომ კათოლიკე უძლიერესთა მეფეთა თავიანთი სულიერი ძმა გიწოდონ? მაში, ნულა აყოვნებთ. სძლიერ ყოველ სიძლეებს; როგორც უწინ ივერიის სამეფო იყო თეატრი თქვენის გამარჯვებისა, ისე ახლა ვატიქანი შეიქმნას ტაძრად თქვენი სარწმუნოებისა. რომი დიდის აღტაცებით მიიღებს თქვენ სანატრელ ელჩებს, როდესაც აქ წმინდა პეტრესადმი მორჩილების გამოსაცხადებლად მოვლენ, იმ პეტრ-

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 108.

სადმი, რომელსაც შეჲყავს მეფები საუკუნო ბედნიერებისა და გამარჯვების სახუფველ ში<sup>1</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ამის შემდეგ თეიმურაზის დამოკიდებულება მისიონერებისა და, საერთოდ, რომის მიმართ, სრულიად შეიცვალა. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დასავლეთიდან დახმარების მიღება ვერ მოხერხდებოდა, თუნდაც პაპის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და საქართველოს კოალიციური ძალებით (ქართლ-კახეთი, ოდიში და იმერეთი) აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის სამფლობელოებს შეუტია. იმავე დროს ოსმალეთის ელჩთან მოლაპარაკება პქონდა, მაგრამ როსტომ მეფე ყიზილბაშთა ჯარით ქართლში შემოიჭრა და თეიმურაზი იმულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო<sup>2</sup>. ავიტაბილე, საქართველოში კარგად ცნობილი კათოლიკე მოდგაწე, ვიდრე თეიმურაზ I ტახტის მპყრობელი და ქვეყნის პატრონი იყო, ქვება-დიდებით მოიხსენიებდა და რომში წარდგენილ მოხსენებაში ასე ახასიათებდა:

<sup>1</sup> იქვე, გვ. 118. იმავე დღეს პაპმა ურბან VIII-მ წერილი გაუგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს ზაქარია I-ს (1623-1632) და მოუწოდა „ვატიკანის მთაწმიდას შემოუერთოს ივერიის მეფე და ერი“, მაგრამ იქვე იმასაც აცნობებდა, რომ პატრ პიეტროს „რატომ არ მოჲყავს თან ამ საშიშ გზაში თქვენ მიერ ნათხოვნი მეურნალები და მხატვარნი“. იქვე, გვ. 120-121; მიხილ, ქართული კელებისა დასაბამიდან დღემდე, გვ. 427-428. მანამდე კი, 1626 წ. 4 ივლისით დათარიდებული წერილი გაუგზავნა გურიის მთავარსა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქია II-ს (1605-1639). მათაც კათოლიკე პატრების კარგად მიღება და დახმარება თხოვა. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, გვ. 151-152; მიხილ, ქართული კელებისა დასაბამიდან დღემდე გვ. 458-459.

<sup>2</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნეები / შესავალი, თარგმანი და კომუნტარები ბ. გომირგაძისა, თბილისი, 1977, გვ. 44-46, 50.

„1. თეიმურაზის ერთგულება რომის მამამთავრისადმი, ეგოდენია, რომ, როცა შეიტყო თავის სამეფო მოხელი მის მიერ წარგზავნილი მღვდლებისა ერის სულიერად აღზრდისათვის, გამოუთქმელის სიხარულით აღიგხო და მიიღო იგინი დიდის პატივით. კათოლიკე სარწმუნოებისადმი თავისი მიღრულება იმით გამოაცხადა, რომ, როდესაც იქ მყოფმა ბერძნებმა რომაელების სახელი გაიგონებ, დაიწყებ შვოთი და უნდოდათ სწავად განედევებინათ მიხონერები მთელი სამეფოდგან, მხნედ დაიფარა პატრები ბერძნებისაგან, ზოგს მათგანს ძლიერ დაემუქრა და ზოგიც დასაჯა; ერთხელ ისე გაცხარდა, რომ ხელი დაიდო ხმალზე და ამოძრობას უპირებდა, თანაც დაიძახა: მირჩვნია თქვენ უველა აქ მყოფი ბერძნები ამოგწყვიტოთ, კიდრე ერთი ამ მონაზონთაგანი გავდევნო ჩემი სამეფოდგანო. ბოლოს იმ ბერძნებს მწვალებლები უწოდა.

2. მეტად დიდი ნიშიერი და განხწავლული კაცია; კარგად იცის ძველი და ახალი აღთქმა (საღვთო წერილი), კრებათა და წმიდა მამათა წერილები.

3. ... ერთხელ თხოვა ბერძნებს, რათა მიხთვის განემარტათ ლათინებს სულიწმიდის გამომავლობა როგორ სწამოო; როცა განუმარტებ, მაშინ უთხრა: სწორედ მეც ეგრე მწამს და კარგად რომ სცნობდეთ და გეხმოდეხო ის, რასაც ახწავლით, დარწმუნებული იყავთ, რომ თქვენც ლათინების აზრისა იქნებოდითო.

4. ... ძლიერ უკვირს, რომ კათოლიკები ისე მტკიცე და თავგაანწირულნი არიან ქრისტებ სარწმუნოების გავრცელებისათვის და რომ მზად არიან ამისათვის თავი დახდონ და სისხლი დაღვარონ ხოლმე.

5. კინაიდან დედამისი ისეთი კეთილმორწმუნებული იყო, რომ ირანის მეფის ბრძანებით სარწმუნოების გამო სისხლი დაღვარა საკვირველის მხნეობით, ამიტომ დიდი იმედია, ესეც განათლდებ ზეციერის მადლით, რათა დაუტევოს ძველი შეც-

დომილების გზა და თავისი ერითურთ შეუერთდეს რომის გკლებიას...“<sup>1</sup>.

იმავე ავიტაბილეს, როდესაც არ გაუმართდდა თეიმურაზ I-ის მიერ კათოლიკობის აღიარების იმედი, როსტომის მიერ ყიზილბაშთა ჯარით ქართლიდან გაძევებული იგივე ქრისტიანი მეფე დმიტრის მიერ დამსახურებისამებრ დასჯოლად გამოაცხადა<sup>2</sup>.

ავიტაბილე კათოლიკობის გავრცელების შესაძლებლობას ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ სკუპტიკურად აფასებდა: „უფალს არ მოეწონება ამჯერად რაიმე ნიშნის გამომუდაგნება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ვივარაუდოთ ამ ხალხის მოქცევა კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტ მცნებაზე, ვინაიდან ეს ქვეყანა უკვე აღარ არის ქრისტიანი მეფეების მფლობელობაში, არამედ შაპის დომენია. განდევნილია ქრისტიანი ხელმწიფე და მის აღილზე მაპმადიანი ზის; თუმცა იგი ქრისტიანების შეიღია და პირდაპირი შთამომავალია ქართლის უძველესი სამეფო გვარისა. იქ ხადაც ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ (გორში – ე.მ.), ეს მევე ჩამოვიდა სწორედ გასული მარხვის დასაწეობში. ხაერთოდ ყველა დიდი ტაშის ცემით შეხვდა მას. დღესდღეობით ლაპარაკობებ ახალ აჯანყებაზე, რაც ამ ქვეყნის ხალხის დაუდგრომლობითაა გამოწვეული, ან ამ ახალი მეფის უკამაყოფილონი არიან“<sup>3</sup>.

\*\*\*

საინტერესოა როგორ მიიღეს თეიმურაზ მეფის ელჩი რომში, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ. პიეტრო დელა ვალეს გადმოცემით, ნიკიფორეს ისე არ შეხვდნენ, როგორც უცხო ქვეყნის ელჩს შეეფერებოდა. თეიმურაზ I-ის ელჩისა-

<sup>1</sup> თამარაშვილი ბ., ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, გვ. 572-573.

<sup>2</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, გვ. 48-50.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 18.

დმი სიფრთხილის გამოჩენის და ცივი დამოკიდებულების გამომჟღავნების მთავარი მიზეზი მისი პიროვნებისა და აღმსარებლობის შესახებ ცნობების ნაკლებობა იყო. ასეთივე დამოკიდებულება გამომჟღავნდა და კითხვები დაისვა ნიკიფორეს მადრიდში ქოფნის დროსაც. 1627 წლის 29 ივნისს ესპანეთის სამეფო საბჭოს სხდომაზე მარკიზმა დე მონტესკლაროსმა, გრაფმა პერცოგმა დე სან ლუკარმა, მარკიზმა დე ლა ინოხოსამ, გრაფმა დე მონტერეიმ, სულიერმა მამამ<sup>1</sup>, დონ ხუან დე ვილიელამ, პერცოგმა დე ფერიამ და გრაფმა დე ჩინჩომ დასვეს კითხვა: არის თუ არა ნიკიფორე ირბახი იძერის მეფის ელჩი? იქვე გადაწყდა, რომ ამ საკითხის გარკვევა დაევალოს ესპანეთის ელჩს რომში გრაფ დე ონიატეს ან ნეაბოლის ვიცე მეფეს, პერცოგ ალბას. ამ უკანასკნელს დაევალა, აგრეთვე, ინფორმაციის შეგროვება საქართველოზე<sup>2</sup>.

საინტერესოა, რომ ესპანეთის სახელმწიფო საბჭოზე, როდესაც თეიმურაზ I-ის წინადადებას იხილავდნენ, პირველ-სარისხოვან მნიშვნელობა შეიძინა ქართველების რელიგიის საკითხმა. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. გრაფი დე მონტერეის წინადადებით, ფილიპე IV-ს ნიკიფორე ირბახისათვის უნდა მოეთხოვა მისი მეფის რომაული ეკლესიისადმი დამორჩილების შესახებ და ამით მისთვის უნდა ეგრძნობინებინა, რომ იგი ყაველაფერზე მაღლა სარწმუნოებას აქენებდა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა გრაფმა დე სეგორბემ. ოპტიმისტური იყო პერცოგ დე ფერიას მიმართვა მეფისადმი. მისი თქმით, თუ ქართველებს საკმარისი შეიარაღებული ძალები ჰყავთ და რელიგიისა და რომის ეკლესიისადმი დამორჩილების საკითხები მოგვარდება, მაშინ ესპანეთის ფლოტი შეიძ

<sup>1</sup> სხდომის ოქმში მითითებული არ არის ამ პიროვნების სახელი.

<sup>2</sup> მამისთვალისებრი კ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, გვ. 244.

ლება დაეხმაროთ<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით სრულიად ორიგინალური და, ჩემი აზრით, რეალისტური მოსაზრება გამოთქვა სახელმწიფო საბჭოს წევრმა „სულიერმა მამამ“, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა უნდა მოეხდინა ესპანეთის ხელისუფლების საქართველოსთან შემდგომ ურთიერთობაზე. მან უფიცი გამოსთქვა, რომ მევე თეიმურაზი და მისი ქვეშვრდომები შეიცვლიან სარწმუნოებას<sup>2</sup>.

ამგვარი იყო მიზეზები ნიკიფორე ირბახისადმი ცივი შეხვედრისა. ისიც ნათელია, რომ ესპანეთის მეფის საბჭოს წევრი „სულიერი მამის“ მოსაზრება რომში არ გაიზიარეს და ნიკიფორეს რწმენის შცვლის მიზნით, ფსიქოლოგიური ზეწოლა გამოიყენეს. ნიკიფორეს საქმესთან დაკავშირებით პაპის კურიაში შედგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ რომის იერარქების მიერ გამოთქმული მოკრძალებული სურვილი ნიკიფორეს ნორმალურად უნდა მიეღო. მას „არ უნდა გაკვირვებოდოდა თუ სამოციქულო ტახტი მოიხურვებს, მან (ნიკიფორემ – ე.მ.) წარმოსთქას თავისი რწმენის ფორმულა, მანამდე ვიდრე ვატიკანში მიხი წინადადებების განხილვას შეუდგებოდნენ. ქართველების შესახებ ჩანაწერებში, რომლებიც ინახება წმ. ჯონგრევაციის არქივში, არავერია ნათქვამი ქართველების ცდომილებაზე, პირიქით, ისინი გამოყვანილნი არიან, როგორც სამოციქულო ტახტისა და პაპის ძალიან ერთგულნი<sup>3</sup>. სავარაუდოა, მოხსენებაში აღნიშნული საეჭვოდ ჩათვალეს და 1628 წ. 21 ივლისის დოკუმენტში უკვე პირდაპირ არის მოთითებული ნიკიფორე ირბახის კათოლიკობაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. ქართველ ელჩს ისეთი რწმენის

<sup>1</sup> ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, ლოკუმენტები საქართველოს იტორიისათვის, გვ. 457, დოკ. № 65

<sup>2</sup> იქვე გვ. 455,

<sup>3</sup> Ватиашвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003, с. 385.

ფორმულა უნდა წარმოეთქვა, რომელშიც იგი პირდაპირ იტყოდა ქართველთა სარწმუნეობრივი დაბნეულობის შესახებ<sup>1</sup>.

არსებული წყაროებისა და გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ნიკიფორეს მოიხსენიებდნენ როგორც წმ. ბასილის მოწესეს. თუ ეს ასე იყო, მაშინ რატომ მოთხოვეს მას კათოლიკობის აღიარება? ბასილიანელები ხომ უმთავრეს კათოლიკურ პოსტულატებს (პაპის პრიმატს და ფილიოკვეს) აღიარებდნენ?

ნიკიფორემ, შეიძლება, ბასილიანობა აღიარა ევროპაში გამგზავრების წინ. ეჭვი, რომ სამართლიანია, ნათლად გამოჩნდა მისი ცხოვრების შემდგომ პერიოდში, კერძოდ, მისი რომიდან წამოსვლისა და საქართველოსა და იერუსალიმში საქმიანობის დროს. ჩანს, რომ მისი ბასილიანობა არ დაიჯერეს. ამიტომ მოხთხოვეს, რომ ჯერ კათოლიკობა ედიარებინა და ამის შემდეგ მოხდებოდა მისი პაპთან აუდიენციაზე დაშვება<sup>2</sup>.

რომაელ პოლიტიკოსებს საკმარისად არ მიაჩნდათ მხოლოდ ნიკიფორე ირბახის გაკათოლიკება, ისინი თვით მეფის გაკათოლიკებას მოითხოვდნენ. კონგრეგაციის სხდომაზე განიხილეს სპეციალურად შედგენილი „მდივან ინგოლის მოსაზრებები ქართველი ელჩის მოთხოვნებზე“, რომელთა არსი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა თეიმურაზ მეფისათვის გაგზავნილი სპეციალური კათოლიკური ლიტერატურით „განათლებაში“. ე. ი. თეიმურაზ მეფე, რომ ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე რომის წმინდა ტახტს შეერთებოდა, ელჩისათვის უნდა გაეტანებინათ წმინდა სამოციქულო ტახტის მიერ აღიარებული საეკლესიო კრებების დაბეჭდილი „აქტები“, რომლებსაც მეფე და მის იერარქები გაეცნობოდნენ.

<sup>1</sup> Там же, с. 385-386, примеч., с. 298.

<sup>2</sup> ვრცელად იხ. მამიხთვალიშვილი კ., ხაქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 262-268.

ნიკიფორე ირბახისათვის შედგენილი იქნა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კათოლიკიზმის სასარგებლოდ უნდა ემოქმედა<sup>1</sup>. გვაქვს რამდენიმე ცნობა ნიკიფორეს კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ეს ხდებოდა არა როგორც კათოლიკის კათოლიკებთან, არამედ, როგორც გავლენიანი პიროვნებისა და მოღვაწის იმ ადამიანებთან, რომელთა თანამორწმუნებებმა მას ევროპაში ელჩად ყოფნის დროს გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს. შეიძლება მისი ასეთი მოქმედება იმითიც იყო გამოწვეული, რომ საქართველოში მოღვაწე მისიონერები არ ახმაურებდნენ მის მიერ რომში კათოლიკობის და ქართველთა ცდომილების აღიარებას, რაზეც უპვე აღინიშნა. შეიძლება, ამის გამო ნიკიფორე მისიონერების მხრივ ზემოქმედებასაც განიცდიდა.

---

<sup>1</sup> Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века ,с. 397-398.

# პასტელის ნახატები – საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ცურცლები

## დონ კრისტოფორო დე კასტელი და ელენე ათაბაგი

საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს შორის ნიჭითა და შემოქმედის დიაპაზონით გამორჩეული იყო დონ კრისტოფორო დე კასტელი.

დონ კრისტოფორო დე კასტელი (1597-1659) დაიბადა გენუაში, აღიზარდა პალერმოში. საქართველოში ჩამოვიდა, როგორც მისიონერი. მან ორი წელი (1632-1634) დაჰყო გორში, 5 წელი გურიაში და 15 წელი სამეგრელოში. კასტელი საქართველოში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: ხატავდა სურათებს (მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატიდან შემოგვცექრის მისი თანამედროვე მრავალი ქართველი საერო თუ სახულირო მოღვაწე, ცნობილი და უცნობი ქალბატონები, დასახლებული ადგილების ხედები და სხვ.) აფორმებდა ეკლესიის კედლებს, ავადმყოფებს კურნავდა, რომში აგზავნიდა დაწვრილებით ინფორმაციას ქართველი ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე. მის ნამოღვაწარს, საუკუნეების შემდგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახწავლად<sup>1</sup>.

კასტელის ნახატებმა ჩვენამდე, სამწუხაროდ, სრული სახით ვერ მოაღწია. „რომიდან ჩემს სამშობლო ქალაქ პალერმოში დაბრუნების დროს, – წერდა კასტელი, – ზღვაზე დუღვისას, წყალში ვადამივარდა ერთი ტომი, რომელშიაც ყველაზე მშვენიერი სურათები მქონდა დახატული“; შენიშნავს დამწუხარებული ავტორი. როგორც მიქელ თამარაშვილი აღნიშნავდა: „სამწუხაროდ ჩვენამდე სისრულით ვერც ამ ალ-

<sup>1</sup> ლიხიძის პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მიხია ხა-ქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპა-შვილისა, თბილისი, 2009.

ბომებში დაცულმა სურათებმა მოაღწიეს, რადგან შევნიშნე რომ რამდენიმე სურათი უკვე ამოჭრილი იყო. და ამგვარად, სამუდამოდ დაკარგულა ჩვენთვის. დანარჩენი სურათების მომებებული ნაწილიც მაღვე დაიღუპებოდა საქართველოსათვის, უკეთ ახლა არ მოგვეხწრო და არ გადმოგვეღო, რადგან წიგნები ძალიან დაძვლებულან და ხელის შეხების დროს ფურცლები იხვა, რის გამოც იძულებული გავხდი ბევრ ადგილას ფურცლები დამტებებინა. ყველა ნახატი კალმითაა მოხაზული, რაც აძლევებდა მათ სისრულით გადმოგვებას. ამისთვის ბევრი კიმრობე და ორგზის სიცილიაში მოგზაურობის გარდა, დიდი ხარჯი თავს ვიდე, რადგან კარგად გადმოღებისათვის საჭირო გახდა დახელოვნებული ფოტოგრაფი მოგვეწვია და ბევრი გვემრობა, გარნა ყველაფერი დიდის სიამოვნებით ვიტვირთე, რათა საქართველოსათვის შეგვებინა ეს ძირითასი განხილვისათვის წარსულისა“.

კასტელმა დაგვიტოვა უძვირფასესი ჩანახატების ალბომი, რომელშიც აისახა საქართველოში მისი ყოფნის პერიოდის (1628-1654) მოგონებები, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრება, მისი თანამედროვე ადამიანების სახეები და სხვ. კასტელის მიერ შეკრებილი მასალები და ადგილზე შესრულებული ჩანახატები, რომლებიც კასტელის ხანგრძლივ და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის დროს დაღუპვას გადაურჩა დაცულია ქალაქ პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში.

კასტელის ალბომში სულ 570 ნახატია, 100 გვერდი კი რელაციონის ტექსტს უკავია. ნახატებიდან 150 სურათი სასოფლო-სამუქრნეო ცხოვრებას ეხება; 100 ქვეყნის მესვეურთა, მეფე-მთავართა და ცნობილი პირების პორტრეტებია; 150 სურათზე სხვადასხვა ეროვნების ქალთა სახეებია მოცემული; 100 სურათი პორტრეტული ხასიათისაა; ოციოდე ნახატში ასახულია შინაური და გარეული ცხოველების გამოსახულებანი; ათიოდე სურათი ფანტასტიკური ხასიათისაა; ოციოდე — ნაგებობათა ნიმუშებია. ამის გარდა კასტელის დასურათებული აქვს მისიონერული მოღვაწეობის ათიოდე სცენა. სუ-

რათების არშიებზე წარწერები შერულებულია თერთმეტ ენაზე, მაგრამ ყველა სურათს აუცილებლად ახლავს ახსნა-განმარტება იტალიურ ენაზე, ზოგიერთს კი რამდენიმე ენაზე<sup>1</sup>.

გ. თამარაშვილს პალერმოს საჯარო ბიბლიოთეკაში უნახავს კასტელის ნახატები ოთხ ტომად, ნომრებით: 92, 93, 94, 95<sup>2</sup>.

\*\*\*

XVII ს. პირველი ნახევარი დასავლეთ საქართველო შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ოდიშის მდლავრი მთავრის ლევან II დადიანის (1611-1677) ბატონობის პერიოდი. მისი გავლენა იგრძნობოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც თავისი და, სვიმონ გურიელის ნაცოლარი, მარიამი ქართლის მეფე როსტომს მიათხოვა და ამ ქორწინებით შაპ სეფის მოკავშირეც გახდა. იგი ოსმალეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, სულთანს არ ეპუებოდა და მხოლოდ სიმბოლურ ხარკს უხდიდა.

ლევან დადიანის მიერ სულთნის ინტერესისა და მოთხოვნის საწინააღმდეგო მოქმედების დემონსტრირების კიდევ ერთი ფაქტი იქმ სამცხის ათაბაგის ასულის, სილამაზით საელგანთქმული ელენეს ირანში გაგზავნა.

---

<sup>1</sup> კასტელის ალბომი გამოსცა ბ. გიორგაძემ. ღონისტოფორო დეკაბეტელი, ცხობები და ალბომი საქართველოს მეცნიერებელი / ტექნიკური გამოცემა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჭან გიორგაძემ, თბილისი, 1976. იბ. [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D\\_%E1%83%93%E1%83%94\\_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%94_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98)

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ქართული კულტურის დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1902, გვ. 592.

ელენე დიდი პოლიტიკის ტიპური, მორიგი მსხვერპლი იყო.

ელენეს ცხოვრების პირველი პერიოდის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა დონ კრისტოფორო დე კასტელმა<sup>1</sup>. იგი იყო აქტიური დამკირვებელი XVII საუკუნის 20-40-ან წლებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ამბებისა და საკუთარი თვალით მხილველი იმისა, როგორ გადააქციეს გურიელმა და დადიანმა უპატრონოდ დარჩენილი ათაბაგის ასული თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებად.

ელენე იყო ასული სამცხის ცნობილი ათაბაგის მანუჩარ მესამისა (1614-1625). მანუჩარმა თავისი სამთავროს გადასარჩენად თავგამოდებით იბრძოდა ხან საარსელებისა და ხან ოსმალების წინააღმდეგ. იგი ქართლ-კახელების გვერდით იბრძოდა მარაბდის ველზე (1625 წ.). ცოტა ხნის შემდეგ მანუჩარი, რომელიც სამცხეში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავდა, სტამბოლში წავიდა სულთნის წყალობის სათხოვნელად. სულთანმა შეიწყნარა მისი თხოვნა და, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, „მიხვა ქრისტიანობით ათაბაგობა“. როდესაც მანუჩარი სამშობლოში ბრუნდებოდა, გზაში თავისი ბიძა ბექა (შემდეგში საფარ-ფაშა) შეხვდა, რომელმაც სტუმრად მიიწვია მმისწული და საწამლავით მოაკედევინა. ბექა თვითონ წავიდა სტამბოლში „იქმნა მაჟმადიან, მოსცა (სულთანმა – ე. მ.) ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე- საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა... და მერე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს“<sup>2</sup>. მოვუძინოთ დონ კრისტოფორო დე კასტელს: „ჩვენ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა ხამე-ფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი უკულა ძირითადი ხელ-ხაწერის მიხედვით ხ. ყაუხხიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 724-725.

უკვე მოვიხსენიეთ ელენე, საქართველოში ერთ-ერთი ხელის-უფლის – ათაბაგის ქადიშვილი... ათაბაგი თურქებმა დაამარცხეს და იძულებული გახდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა, რათა თავისი სამთავროდან არ გაექვებინათ. მიუხედავად ძალმომრეობისა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ჩვენთან ერთად პროტესტს აცხადებდა. მას ჰყავდა იშვიათი სიღამაზის ქადიშვილი, რომელიც ძალიან უყვარდა და თვალისწინებით უფრთხილდებოდა. ეშინოდა რა იგი თურქებს ხელში არ ჩაეგდოთ, ათაბაგმა ისარგებლა მომენტით და ელენე გურიის მთავარ მაღალიასთან გაგზავნა, სადაც მას შევხვდი, როდესაც ხეებულ მთავარს, როგორც ექმი ვემსახურებოდი... გურიის მთავარმა სპარსეთის შაპთან ელჩი გაგზავნა. მაშინ შაპი იყო აბას დიდი, ქალებისადმი სიყვარულით განთქმული. მან ელჩს პკითხა: მის მხარეში არიან თუ არა ლამაზი ქალები? ელჩმა ჟაბასუხა: როგორც მზე ვარსკეცლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის ბრწყინვავს ელენე ათაბაგი... არტანის, სამცხის და სხვა ქვეყნის მთავრის ქადიშვილი... შაპმა გადაწყვიტა, რომ ის შეეფერებოდა თავის შვილიშვილს შაპ სეფის<sup>1</sup>.

გ. თამარაშვილის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ისე გამოდის, რომ ელენე სამცხის გამაპმადიანებული ათაბაგის ასული იყო<sup>2</sup>, რასაც კრისტოფორე კასტელიც არასწორად გადმოგვცემს. როგორც ითქვა, ელენე იყო ასული მანუჩარ III ათაბაგისა, რომელიც ქრისტიანად გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც იგი თავისმა ბიძამ ბექამ მოწამდა. ბექა გამაპმადიანდა და სულთნისაგან ათაბაგობაც მიიღო საფარ-

<sup>1</sup> ლისინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, 2009, გვ. 53-54.

<sup>2</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 161.

ფაშას სახელით. ასე, რომ გამაპმადიანებული ათაბაგი ამ დროს იყო მხოლოდ საფარ-ფაშა იგივე ბექა.

დასაშვებია, რომ მანუჩარმა სტამბოლში გამგზავრების წინ ელენე, მისი უსაფრთხოების მიზნით, გურიაში თავის ბიძასთან (დედის ძმა), მალაქია კათალიკოსთან გაგზავნეს. ისიც შეიძლებოდა, რომ ელენე მისი მამის მკვლელ საფარ-ფაშას გამოარიდეს.

გურიაში, მთავრის სასახლესთან მცხოვრებმა კათოლიკ პატრებმა, იმდენი მოახერხეს, რომ „ელენე ათაბაგი იქსო ქრისტეს სახარებაზე მოაქციებ“, ე.ი. გააკათოლიკეს<sup>1</sup>.

ელენეს დაბადების წელი არ ვიცით. დასაშვებია, რომ მისთვის, როგორც საათაბაგოს მემკვიდრისადმი, მამის სიცოცხლეშივე, თუნდაც მისი მცირეწლოვანების ჟამს, პოლიტიკური მოსაზრებით, ყურადღება მიეპყრო შაპ-აბას დიდს და თავისი შვილიშვილის, შაპ-სეფის საცოლედ მოეწადინებინა<sup>2</sup>, როგორც კასტელი აღნიშნავს<sup>3</sup>.

კასტელის გადმოცემით, ელენეს მშვიდ ცხოვრებაში გადატრიალება გამოიწვია ერთმა შემთხვევამ<sup>4</sup>: გურიის მთავარმა მალაქია გურიელმა თავისი ელჩი იასონ ნაკაშიძე ირანის

<sup>1</sup> დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღმომი საქართველოს შეახებ / ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლეული და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1976, გვ. 170, ნახ. №436.

<sup>2</sup> სეფი იყო შაპ-აბას I-ის შვილიშვილი, მოპამედ ბექირ მირზას შვილი. მისი დედა იყო ქართველი დილერებ პანუშმი, რომლის შესახებ სხვა რაიმე ინფორმაცია სამწუხაროდ არ ვიცი. Susan Babaie and others: *Slaves of the Shah* (I.B. Tauris, 2003) p. 104 [http://en.wikipedia.org/wiki/Safi\\_of\\_Persia](http://en.wikipedia.org/wiki/Safi_of_Persia).

<sup>3</sup> დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღმომი საქართველოს შეახებ, გვ. 53.

<sup>4</sup> კასტელი ხშირად იმდენად ურევს დროსა და ფაქტებს, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მოვლენათა თანმიმდევრობის მიახლოებითი დადგენაც კი.

შაპთან გაგზავნა, მაგრამ რა მიზნით, ამის შესახებ არავითარი ცნობა გაგვაჩნია. კასტელის მიხედვით მაშინ ირანის მბრძანებელი შაპ-აბას I იყო. შაპთან აუდიენციის დროს საუბარი ჩამოვარდა ქალების სილამაზეზე. გურიელის ელჩს უთქვამს: „როგორც მზე ვარსკვლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის, ბრწყინავს ელენე ათაბაგი... სამცხის მთავრის ქალიშვილი“. შაპის აზრით, თუ ელენე ასეთი ლამაზი იყო, მაშინ იგი მის შვილიშვილს, სეფი მირზას ცოლად შეეფერებოდა და იასონ ნაკაშიძეს დაავალა გურიის მთავრისათვის გადაეცა მისი სურვილი. ელჩი გურიელთან დიდაღი საჩუქრებით დაბრუნდა და შაპის თხოვნაც მოახსენა<sup>1</sup>. კასტელს ელენე პირველად სამეგრელოში უნახავს, როდესაც იგი გურიიდან გამოიძახეს ათაბაგის ასულის ავადმყოფობის გამო და, ამის შემდეგ იგი და ელენე ერთად იყვნენ ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში, როგორც გვაუწყებს კასტელის წარწერა მისსავე ერთ ნახატზე: „პოსკავეთი ის ადგილია, სადაც შევხდი ელენე ათაბაგს, რომელიც შემდეგ ირანის დედოფალი გახდა. როდესაც სამეგრელოში იმყოფებოდა, მაშინ მე გურიიდან მივედი, როგორც მისი ექიმი, და ექვს წელზე მეტი ერთად ვიყავით“<sup>2</sup>.

კასტელი, საქართველოში (გორში) ჩამოვიდა 1632 წელს სხვა შვიდ თეატრინელ ბერთან ერთად. 1634 წელს კასტელი, ანტონიო ჯარდინა და კლაუდიო გურიაში გადავიდნენ და იქ დაბინავდნენ. ამ დროს ელენე ცხოვრობდა მალაქია გურიელის სასახლეში, რომლის ბაღშიც მთავარმა პატრებს საცხოვრებელი გამოუყო. პატრები დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ელენესადმი. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა დამყარდა ელენესა და კასტელს შორის. „ჩემ მიმართ ელენე განწყობი-

<sup>1</sup> ლითინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 53-54.

<sup>2</sup> დონ კრისტოფორო და კასტელი, ცნობები და აღმომა საქართველოს შეახებ, გვ. 458, ხერ. № 458.

ლი იყო არა როგორც ქალბატონი მსახურისადმი, არამედ როგორც ქალიშვილი მამისადმი. ხიტება ჩამომართვა, რომ მას არასოდეს მივატოვებდი. პირობა მივეცი, რომ როცა გათხოვდებოდა, თან გავკვებოდი, რათა მისი სულისა და სხეულისათვის მემსახურა და მემურნალა“ – წერდა კასტელი<sup>1</sup>.

როდესაც ირანიდან ელჩი დაბრუნდა, სავარაუდოა, მალაქია გურიელი უკვე ცოცხალი არ იყო (გარდაიცვალა 1639 წელს). მალაქიას გარდაცვალების ამბავი შეიტყო თუ არა, ოდიშის მთავარი ლევან დადიანი შეიარაღებულ ძალით შეიჭრა გურიაში და გაამთავრა მალაქიას მმა ვახტანგი (1639-1640). ვახტანგ გურიელისათვის გასაგები იყო შაპის ჩანაფიქრი, რომ ამ ქორწინებით იგი დაუკავშირდებოდა ათაბაგის ოჯახს, რომლის სამთავრო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო და დასავლეთ საქართველოს მთავრების მსგავსად, ოსმალეთის ქვეშვერდომებს შორის, კიდევ ერთ მოკავშირეს შეიძენდა. მაგრამ გურიის მთავარმა ოდიშის მთავართან შეთანხმების გარეშე გადაწყვეტილება ვერ მიიღო. როგორც კასტელი წერდა, იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ, სულთანი თუ შაპის განზრახვას შეიტყობდა, ელენეს მაშინვე თვითონ წაიყვანდა<sup>2</sup>.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა თურქებმა გაიგეს თუ არა ელენეს ირანში გაგზავნის განზრახვის შესახებ, ყოველივე სულთანს აცნობეს, რასაც შესაბამისი რეაცია მოჰყვა. სტამბოლიდან გურიაში სულთნის ელჩი მოვიდა და ელენეს წაყვანა მოინდომა. გურიელმა (ამ დროს გურიის მთავარია ქაიხოსრო I, 1640-1658) ყოველივე ოდიშის მთავარს შეატყობინა. „მან გურიელს ურჩია, რომ ელენე მასთან გაეგზავნა, ხოლო თურქებისათვის მიეწერა, რომ ელენე გურიის

<sup>1</sup> ლიხინი პატრიცია ანა, ქრისტოფორო კახტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 54-55; იხ. აგრეთვე, თამარა შვილი ბ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 59.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 54.

სამთავროში აღარ იძყოფება. ის ახლა სამეცნიეროშია. გურიელმა ეს რჩევა მაშინვე შეასრულა და ელექტრიზაციანობა გაგზავნა<sup>1</sup>. ათაბაგის ასული ელექტრი მთავრის ხელში გადაიქცა პოლიტიკური ინტრიგის ობიექტად.

სამეცნიეროში გამგზავრების წინ ელექტრის კასტელისათვის უთქამის: „მამა დოონ კრისტოფორო, რა უნდა გავაკეთო მე უთქვენოდ, თურქების<sup>2</sup> ხელისუფლების ქვეშ. ხაწყალმა უცხომ იქ რა უნდა ვქნა დამრიგებლისა და იმ ადამიანის გარეშე, რომელიც მამშვიდებს, როგორც ამას თქვენ აკეთებთ“. პატრმა ელექტრი დაამშვიდა და დაპირდა, რომ ისიც მალე ჩავიდოდა სამეცნიეროში. იგი ისედაც აპირებდა სამეცნიეროში სამუდამოდ გადასვლას ვახტანგ გურიელთან ცუდი ურთერთობის გამო. როცა ელექტრი სამეცნიეროში გადაიყვანეს, კასტელიც მალე იქ გადავიდა.

ლევან დადიანი გამომწვევად იქცეოდა. მან არაფრად ჩააგდო სულთნის მოთხოვნა ათაბაგის ასულის მისოვის გადაცემის შესახებ. ელექტრი ირანში გაგზავნა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა. ელექტრი ირანში წასვლის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. მაგრამ ლევან დადიანმა, ელექტრი მოატყეა, თითქოს მას ისევ გურიაში აგზავნიდა და 1642 წლის 27 მარტს ირანის გზას გაუყენა<sup>3</sup>.

ელექტრი კასტელს ირანში გაყოლა სოხოვა. მაგრამ მას ამგვარი თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აუცილებელი იყო პაპის ნებართვა. კასტელი ელექტრის შეპირდა, რომ, როდესაც ნებართვას მიიღებდა მაშინვე შეატყობინებდა. იმავე დროს კასტელმა, როგორც ელექტრის სულიერმა მოძღვარმა, იგი შემდეგნაირად და-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>2</sup> ქრისტიანები თურქებში, საერთოდ, მუსლიმანებს გულისხმობდნენ.

<sup>3</sup> ლისინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მიხია ხაქართველოში, გვ. 59-60; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 591.

არიგა: „იცოდეთ ქალბატონო, რომ უველა ის საგანი, რომელსაც მხოლიოთ თაყვანს სცემს – იმპერია, გვირგვინი, სასიამოვნო დროს ტარებაა და სხვა არაფერი, პატივმოყვარებაა და უბედურება; სხვა არაფერია თუ არა ქარი და ჩრდილი, რომლის გამოჩენისას მაშინვე ქრება უველაფერი... შეხედეთ, რამდენ წმინდას ქალწულს უყვარს დმურთი და სარწმუნოება. ტირანის ნუ შეგეშინდება. მას მხოლოდ დროებითი სიკვდილი შეუძლია შენს სხეულს მიაყენოს, რომელიც მოკლე ხანში ჭიების საკედი გახდება. მხოლოდ სიკვდილი აძლევს პატივს მოელ სხეულს და თუ ეს მოხდება, ბედნიერია ის, ვინც მოკლე წამებისათვის სამუდამო ნებარებას მიიღებს. დიახ, დიახ, ქალბატონო ემზადე ამ საქმისათვის, მიეცი სული ღმერთს და წახვდაზე მტკიცე უარი თქვი, რათა ურწმუნოთა მეფის მეუღლე არ გახდე”<sup>1</sup>.

ელენე ირანის დედოფალი გახდა. ერთხელ, როგორც კასტელი გადმოგვცემს, შაპ-აბას II-მ ოდიშის მთავარს, ალბათ, ელენეს სურვილით, დესპანი გაუგზავნა და კასტელის ისპანში გაგზავნა სთხოვა. ამის მოწმენი ყოფილან ფრანგი ექიმები, რომლებიც დადიანის სასახლესთან ცხოვრობდნენ. კასტელი, თავისი ნათქვამის დამადასტურებლად, დასახელებული ფრანგი ექიმების წერილებს იმოწმებს<sup>2</sup>. როგორც კასტელი გადმოგვცემს, იგი ავადმყოფობის გამო, ელჩს ვერ გაჰყევა<sup>3</sup>.

კასტელი თავისი ერთ-ერთი ნახატის წარწერაში ამბობს: „დედოფალ ელენეს მოთხოვნით ირანის სელმწიფე გამოგზავნა სამეგრელოს მთავართან ავთანდილ ბეი, რადგან დედოფალს სურდა, რომ მე მასთან წავსულიყავი, მაგრამ

<sup>1</sup> ლიმინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მიხია საქართველოში, გვ. 56-57.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>3</sup> დოხ კრისტოფორო და კახეტული, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 161.

მთავარმა არ ისურვა<sup>1</sup>. შაპის დესპანი, მისი სახელის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, ქართველი იყო.

კასტელი თავის ნაწერებში წინაღმდეგობაში ვარდება. როგორც ითქვა, იგი თავის ერთ-ერთი ნახატის წარწერაში აღნიშნავს, რომ ირანში ლევან დადიანმა არ გაუშვა, ხოლო, სხვაგან პირდაპირ ამბობს, რომ ირანში წასვლის ნებართვისათვის წერილი მისწერა რომში გენერალ დონ გრეგორიო კარაფას. „მაგრამ ამჯერად არ შემეძლო ირანში წახვდა, რაღან ჯერ არ მქონდა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფოდებაზე ნებართვა აღებული, რომელსაც დამპირდნენ, გამომიგზავნიდნენ და უფლება მექებოდა ირანში გამზადებისა. ეს ჩანს კონგრეგაციის მაშინდელი პრეფექტის კარდინალ ონოფრიოს წერილიდან<sup>2</sup>.

კასტელი თავისი სურვილის საფუძვლიანობის გასამართლებლად, ოფიციალურად ირანში თეატრინელთა მისიონის დაარსებას ასახელებდა, მაგრამ მის განზრახვას რომში ეწინააღმდეგებოდნენ. მისი ირანში არგაშვების მთავარი მიზეზი, როგორც კასტელის სიტყვებიდან ჩანს, იყო ის რომ პაპ ურბან VIII-ს არ უნდოდა სამეგრელოში თეატრინელების მისიონი დაზარალებულიყო, რომლის საქმიანობაში კასტელი დიდ როლს თამაშობდა. პაპი ურბანი გარდაიცვალა 1644 წ. ამის შემდეგ კონგრეგაციის პრეფექტმა კარდინალმა ონოფრიომ კასტელს ნება დართო წასულიყო ირანში, რადგან მისთვის ცნობილი იყო (მას სწერდნენ) დედოფალი ელენეს კეთილ საქმეების შესახებ, „რომლებიც მიმართული იყო იქისკენ, რომ არ მიუტოვებინა ქრისტიანული ხარწმუნოება“: მაგრამ, სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო, კასტელი ირანში ვერ წავიდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>2</sup> ლითინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 62.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 62-63.

როგორც ირკვევა, 1643 წლის ოქტომბერში კონგრეგაციას კასტელისთვის გაუგზავნია ირანში წასვლის ნებართვის წერილი, რომელშიც სიტყვასიტყვით ეწერა: „თქვენი მაღალდირსების წერილი ირანის კათოლიკე დედოფლის თხოვნასა და სურვილზე, რომ თან პყავდეს პიროვნება, რომელიც მის სულს წარმართავს, უკვე მოვახსენეთ (პაპს – უ. მ.)... შესაძლებელია, ნებართვა მანამდე გაიცეს თუ ჯუდიშებ, რომელიც კვლავ ელოდება კონსტანტინოპოლიდან წასვლას, მამა კლემენტებაგან განსხვავებული წერილი არ ექნება, რომლითაც სენებული დედოფლი აჩქარებს თქვენს მაღალდირსებას სამსახურისათვის<sup>1</sup>. წერილმა კასტელამდე ვერ მიაღწია.

ელენეს ირანში გადედოფლების შემდეგ, კასტელი, მასთან კავშირს, ვითომ, პრაგმატული მოსაზრებით ინარჩუნებდა: ის ირანში წასვლის სურვილს, ამართლებდა იმით, რომ განზრახული პჲონდა ელენე დედოფლის დახმარებით ისპაანში დაეპისტონია კათოლიკური მისია, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა, რაც მან, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განახორციელა.

კასტელის ირანში გაშვება მოიწადინა ურბან VIII-ს მომდევნო პაპმა ინოჩენციო X-მ (1644-1655). მოვუსმინოთ კასტელს: „ინოჩენციო X-ს სურდა ჩემი ირანში გაგზავნა, რადგან ხელმწიფე და დედოფლადი (აბას II და ელენე – უ.მ.) მთხოვდნენ იქ წასვლას, რათა დამეარსებინა ერთი რეზიდენცია. მე კარგი დამოკიდებულება ქწონდა აღნიშნულ გვირგვინონებთან და იმ სათხოებით, რომელსაც მე ვაღიარებდი, შემეძლო მიმედო ექლენია, ადგილი და ცხოვრების საშუალებანი ჩვენი ძმობისათვის, და იქ, რახაც ხელმწიფე იძლევა, მისი მემკვიდრეულებიც ადასტურებენ ხოლმე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>2</sup> დონ კრისტოფორო და კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 161.

დავუბრუნდეთ ლეგან II დადიანის მიერ ელენეს ირანში გაგზავნის ამბავს. ელენე დიდი ამაღლითა და ეპისკოპოსის თანხლებით ქართლისაკენ გაისტუმრეს. როსტომ მეფე გაფრთხილებული იყო. იგი ელენეს სანახავად დიდი ძლევით მივიდა, ზარბაზნების გრიალით გორში მიიყვანა და იქვე „უმშვერიულეს კარავში დააბინავა“. ათაბაგის ასული შემდეგ თბილისში ჩაიყვანეს, სადაც ასევე დიდი პატივი მიაგეს. თბილისიდან ისპაანამდე მგზავრობას სამი თვე მოანდომეს და ყველგან დიდი ზემით ხვდებოდნენ<sup>1</sup>.

როცა ელენე ისპაანში მიიყვანეს, შაჰ სეფი ინდოეთის ლაშქრობაში იმყოფებოდა. იგი მალე დაბრუნდა, დედოფალი სასახლეში მიიწვია და რვა დღის განმავლობაში ზემობდა. შაჰმა ელენეს „დიდი სიხარული მიანიჭა, რამდენიმე ქალაქის გარდა, დიდადი თანხა უბობა საყიდლებისა და დროს გასატარებლად... უფალმა ინება, ხელმწიფე მეუღლე მოკლე ხანში ლოგინად ჩავარდნილიყო და სულ მალე თავის საყვარელი დედოფლის ხელში დაელია სული... ასე მომწერა ელენემ, – გადმოგვცემს კასტელი, – ხოლო საჭურისებმა, რომლებიც თან ახლდნენ ელენეს სასახლეში, გადმომცეს, რომ შაჰმა სიკვდილის წინ ის ისე გამოაცხადა დედოფლად, რომ ხორციელად არ შეუცვინა“<sup>2</sup>.

ელენე შემდეგში სეფის ვაჟის, აბას II-ის, ცოლი გახდა და, როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ელენესა და კასტელს შორის, ელენეს ირანში გამგზავრების შემდეგაც, კონტაქტი მიწერ-მოწერის დონეზე მაინც, გრძელდებოდა.

კასტელის ირანში გაშვებას ელენე დაუინებით სოხოფდა რომის პაპ ურბან VIII-ს. ამის შემდეგ დაიწყო კასტელის რო-

<sup>1</sup> ლითინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კახტელი და მიხი მიხია საქართველოში, გვ. 60-61.

<sup>2</sup> ოქცე, გვ. 61. ხაზგასმა ყველგან ჩემია.

მში თავის უფროსებთან წერილების გაგზავნა ირანში გამგზავრების ნებართვის მოსაპოვებლად.

საინტერესო უნდა იყოს ელენეს ასაკის გარკვევა იმ დროისათვის, როდესაც იგი შაპ-აბას II ცოლი გახდა. ჯერ გავისევნოთ აბას II-ის მამის, შაპ სეფის ასაკი: სეფი დაიბადა 1611 წელს. პაპის – შაპ-აბას I-ის გარდაცვალების (1629 წ.) და თავისი გამეფების დროს იგი იქნებოდა 17-18 წლის. სეფიმ იმედა 13 წელი, იგი გარდაიცვალა 1642 წლის 13 მაისს და მაშინვე (15 მაისი) გამეფდა შაპ-აბას II, დაბადებული 1632 წლის 31 დეკემბერს. გამოდის, რომ აბას II გამეფებისას დაახლოებით 11 წლის უნდა ყოფილიყო.

მამის, მანუჩარ III ათაბაგის (დაიბადა 1591 წ.) გარდაცვალებამდე (1625 წ.) დაბადებული ელენე, სავარაუდოა, გურიაში ჩაიგანის დროს მცირე ასაკის, დაახლოებით 10 წლის ან უფრო მეტის უნდა ყოფილიყო. ამას მაფიქრებინებს კასტელის მონათხობი. 1634 წელს ახალგაცნობილ ელენეზე კასტელი ისე ლაპარაკობს, როგორც ზრდასრულ ადამიანზე. ამიტომ მგონია, რომ, როდესაც იგი ისპაანში ჩაიგანეს (1642 წ.), ოცი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ელენესა და აბას მეორეს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ, ხშირად, სამეფო კარზე, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, დასაქორწინებელთა ასაკსა და გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ კი ამ საქორწინო გარიგებით ორივე მხარე, ან თუნდაც ერთი მხარე, პოლიტიკურ ან მატერიალურ სარგებელს მოელოდა. ასე, რომ გასაკვირი არ არის ასაკით უფროსი ელენე ასაკით უმცროსი აბასისათვის შეერთოთ, თუ ამით ირანი თავის გავლენას გაავრცელებდა სამცხეში და ანტიოსმალური კოალიცია კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.

ვიდრე ელენესა და კასტელის ამბების თხობას დავამთავრებდეთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ელენე დედოფლისათვის გაგზავნილი ერთი წერილი, რომელიც დაწერილი იყო ვინმე მონაზონ ქრისტინეს მიერ. წერილი შესუ-

ლია კრისტოფორო კასტელის ალბომში. წერილს მოვიყვან შემოკლებით:

„წერილი ირანის დედოფალს.

უძვირფასებო ქრისტეს რჩეულო დაო, გამარჯვება. კფი-  
ქრობ და ხელმეორებ გეუბნები, რომ მხედველობაში მიგეო,  
წაგეკითხა და გაგეო თუ როვორ და რამდენი დაგწურე და  
დაგხატე შენი გულისათვის. მეორე, ამის დასარწმუნებლად  
კველას ხახე გიჩვენე, რომ დაინახო თუ რანაირად დამწუ-  
ხრებული არიან შენზე აღმოსავლეთის დები და ძმები დე-  
მონის მხახურთა სივერაგის გამო. კვლავ მცონია და კიძე-  
დოვნებ სრულიად, რომ ზემოთქმული მტანჯველი ლოდები  
დამსხვერეულია ნება-სურვილის სიმტკიცით, რომელსაც შინა-  
განად ატარებ თავისში და ვიმედოვნებ, რომ ეს ტანჯვა შენი  
მომშობიარებაა ან შემბრალებლობის წყაროს წარმომშობი,  
რის შედეგად დათის წყალობის წამლეკავი სიუხვე შენ წამო-  
გაყენებს... ზეიმით დღესახწაულობებ იმათ დღეებს, ვინც ინ-  
ანიებს ქრისტესაგან განდგომას. ასევე შენთვისაც მომოქმე-  
დებენ, თუ მხგავს გააკეთებ. კარგად იყავ.

ხოლო ძალიან გაუფასურებული ხარ იმათ თვალში,  
ვინც შენ გიცნობს ხარწმუნებით და მოძღვრებით და შენ  
კი ქრისტიანობა გასცვალე არაფერ ში.

შენი და ქრისტინე მხახური<sup>1</sup>.

დონ კრისტოფორო დე კასტელის ცნობებისა და ალბო-  
მის მთარგმნელისა და გამომცემლის ბ. გიორგაძის მიხედვით,  
ქრისტინე კათოლიკობაში მოქცეული და შემონაზვნებული  
ქართველი ქალია<sup>2</sup>. მაგრამ არ ჩანს ვინ იყო იგი და როდის  
დაწერა ციტირებული წერილი? ქრისტინეს, როგორც იგი წე-  
რილის დასწყისში ამბობს, ელენესთვის წერილი ადრეც მიუ-  
წერია.

<sup>1</sup> დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი ხა-  
ქართველოს შეხახებ, გვ. 191.

<sup>2</sup> იქნა, გვ. 191.

გვიქრობ, ქრისტინეს სახელით დაწერილი ზემოთმოყვანილი და სხვა წერილებიც ეპუთვნის კასტელს. „ქრისტინე“ მისი ფსევდონიმია. საგარაუდოა, კასტელს ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ელენესთვის გაგზავნილ წერილებში გაესაიდუმლოებინა თავისი ავტორობა. ამას მაფიქრებინებს მოელირიგი მომენტებისა.

ქრისტინეს და კრისტოფორო დე კასტელის იგივეობაზე მიგვანიშნებს ზედმეტი სახელი „ინუტილე“ (იტალ. უსარგებლო, გამოსაყენებლად უგარგისი). კასტელის ზოგიერთ ნახატზე იკითხება შემდეგი წარწერები: „მმა ინუტილე ქადაგებს წმინდა სახარებას აღმოსავლეთში“; „ააპა ურბან VIII აღაფრთვანა მორჩილი მმის უნიტილეს მისწრაფებაზ“; „მორჩილი მმა ინუტილე“; „წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდებ განკარგულებით მორჩილი მმის ინუტილეს მიერ დახატული ის მთავარი...“ „ინუტილე“, ამ შემთხვევაში, უნდა მიგვანიშნებდეს იმ პიროვნების თაგმდაბლობაზე ვინც ამგარ ზედმეტ სახელს ატარებს.

იქ, სადაც კრისტოფორე თავის თავს მოიხსენიებს „ინუტილედ“, ამ სიტყვას წინ უძღვის „მმა“ (იტალ. fra), ქრისტინე კი არის „და“ (ლათ. soror – და, მონოზანი).

ჩემი აზრით, კასტელს ერთხელ წაცდა, როდესაც აღნიშნა, რომ ქრისტინე/კრისტოფორეს „ინუტილე“ შეარქვა პაპმა ალექსანდრე VII-მ (1655-1667). „ძღვდელმთავრად ეკურთხა უკვე მოხუცი და აღექსანდრე VII-ედ იწოდა. აღექსანდრე VII-ის მიერ უსარგებლოდ წოდებული მოხაზონი ქრისტინა<sup>4</sup>“. ამ წარწერიდან კი იმას ვიგებო, ქრისტინე/კრისტოფორეს „ინუტილე“ შეარქვა პაპმა აღექსანდრე VII-ტ.

კრისტოფორო დე კასტელი თავის ჩანაწერებში ყოველთვის, როდესაც თავის თავზე წერს, მიმართავს მესამე პირში. „ცოდვილო დაო ქრისტინე, შენ იმდენი ბოროტება გამოიწვიე, იმდენი ცოდვა დაგიგროვდა, რომ უსარგებლო შეიქენი. კარგს

<sup>4</sup> იქვე, გვ. 160.

ელტვოდი, მაგრამ მრავალი დაქცევის მიზეზი გახდი, ისე, რომ შენივე მიზეზით დათის მტრების ხელში ჩავარდი“<sup>1</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებო „ქრისტალი და მოქვითონება და ქრისტინება“ ხუთ მუხლად ჩამოყალიბნებული წუხილი-დიდება დაკარგულ საქართველოზე, რომლიდანაც მშვენივრად ჩანს დე კასტელის დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, სადაც მან მეოთხედი საუკუნე გაატარა.

„გვემთხევ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება], უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნეხის ქათხად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე კტირი, რომლებიც ჩემი ქრისტებს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი [წინამდლონი] იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ.

საქართველოს იმ მიწას კტირი, რომელიც მისი ბატქნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტებს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის სამოვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა.

იმ ქვეყანას კტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლება, ახლა კი სიბეჭისა და ბნელების დასაბამის გამდინარება.

იმ ქვეყანას კტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძე წარმოშვა, ახლა კი უკიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შეძეცხების სიბრძავის გამო, ბევრი სიღაფაკეში ჩავარდნილა და სადაც უკელა ღმერთი მიტოვებულია<sup>2</sup>. საქართველოზე ეს სიტყვები შეიძლებოდა მხოლოდ იმას ეთქვა, ვისაც ეპუთვნის ორი საოცარი ფრაზა: „აურთხეულო უფალო, საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში, მაგრამ იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ჩემი მმიმებადმეოფობისა და მოხუცებულობის გამო“ და „მრავალი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>2</sup> იქვე, 203, ნახ. № 570.

წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო<sup>1</sup>. ეს კი კრისტოფორე დე კასტელი იყო. მან ფსევდონიმად აიღო სახელი, რომელიც ფონეტიკურად თითქმის ისევე ჰდება (ქრისტინე), როგორც მისი სახელი – კრისტოფორო.

უურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ორივენი, „ქრისტინე“ და კრისტოფორო, სატავდნენ. ელენესათვის გაგზავნილ წერილში „ქრისტინე“ წერს: მხედველობაში უნდა მიგეღო შენი გულისათვის რამდენი დავწერე და დავხატეო.

ქრისტინე<sup>2</sup> კრისტოფორო სხვა დროს კიდევ შეგვასხვნებს თავისი მხატვრული ნიჭისა და სამხატვრო საქმიანობის შესახებ. „მე, და ქრისტინე [როგორც უპავ გიოხარი] კწერ და ვხატავ ჩემს ამდენ შრომას, რათა ჩვენი სარწმუნოება მომავალი მიხილებისათვის ცხობილი გახდეს, გაიგონ თუ რამდენი ზრუნვა გამოიჩინა ღმერთმა უკელა დიაბოლური<sup>3</sup> თავდასხმისა და პერტურბაციისაგან<sup>4</sup> წინასწარი მფარველობის გასაწევად და შემდეგ რანაირად დაეხმარა [მათ], რომ ისინი უკვდავ ცხოვრებასთან მიეყვანა<sup>5</sup>.

იბადება კითხვა: რატომ ცდილობდა კრისტოფორო რომ ის, რაც სანტიმენტალურ, გადაჭარბებულ მგრძნობიარობასთან დაკავშირებული იყო, ქრისტინეს სახელით დაეწერა? ვფიქრობ, ეს იტალიელი განათლებული, ჭკვიანი სასულიერო მოღვაწე ხარქს იხდიდა უხეშ ძალაზე დამყარებული ეპოქის წინაშე. ერიდებოლა გადაჭარბებული გრძნობების გამოხატვას თუნდაც ღმერთის წინაშე. ფიქრობდა, რომ ამგვარი სისუსტე ქალისთვის უფრო შესაფერისი იყო. ამის გამო უნდა „გარდასახულიყო“ კრისტოფორო ქრისტინედ.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>2</sup> იტალ. დიაბოლიკო – ეშმაკეული.

<sup>3</sup> იტალ. პერტურბაზიონე – უწესრიგობა, მდელვარება, პერტურბაცია.

<sup>4</sup> დოხ კრისტოფორო დე კასტელი, ცხობები და აღბომი საქართველოს შეხახებ, გვ. 210.

ამგვარად, ფსევდონიმს ამოფარებულ კრისტოფორო კასტელს უხერხულობა ეხსნებოდა ელენესთან გაგზავნილი წერილების არასასურველი პიროვნების ხელში მოხვდრის შემთხვევაშიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც კასტელის სამხატვრო შემოქმედებიდან, ჩვენამდე მოღწეული მისი ნახატებიდან და მათზე მინაწერებიდან ჩანს, იგი გულგრილი არ იყო ქალის სილამაზის მიმართ<sup>1</sup>.

თავის ერთ-ერთ ტრაქტაზში – „დემონის სიცბიერის შესახებ“, კასტელი, ქალის სილამაზით გონებაამდვრეული, ცდილობს თავისი გრძნობები დათრგუნოს და ისინი დემონის ხრიკებს მიაწეროს. მისი აზრით, დემონი ხან გურიის და ხან ოდიშის მთავრის საშუალებით მიქმედებს. მთავარები მისიონერებს, მათი შეცდენის მიზნით, მოსამსახურებად აძლევს კარგი მოყვანილობის ლამაზ ქალებს. პატრებს გურიაში, 1634-1640 წლებში, ემსახურებოდა სილამაზით სახელგანთქმული ქალი ელუკა ბერია, რომლის მიმართ გულგრილი არ იყო კასტელი. იგი წერდა: „ვაღიარებ: მისი დანახვისთანავე ისეთი ძლიერი თრთოლვა დამეწეო, რომ სწრაფად ლოგინისაკენ გავემართვ დახატოლოდ“<sup>2</sup>.

განსაკუთრებული იყო მისი გრძნობები თამურია-თანურიას მიმართ, რომელიც პატრებს ემსახურებოდა 1640-1644 წლებში. მისით გატაცებული კასტელი გამაცნობს: „ჩვენ დაგვითქმებ ძალიან ლამაზი ქალი, რომელიც დღემდე ჩემი თვალების ობიექტი იყო. იგი ადამიანად გარდაქმნილი სერაფიმი<sup>3</sup> იყო.... მისი ტანი და ხახე ფრჩხილებამდე დავხატე, მაგრამ შემდეგ დამეჯარგა. არ შეიძლებოდა ამ სურათს ჩემთვის აურ-

<sup>1</sup> იქვე, ნახ. №№132, 135-141 და სხვ

<sup>2</sup> ლითინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კახტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 84.

<sup>3</sup> სერაფიმები (ძვ. ებრ. აალებული) – იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ანგელოზების უმაღლესი კატეგორია სამი წყვილი ფრთებით.

ზაური არ გამოეწვია. რაღაც გრძნობას განვიცდიდით ასეთი დიდი ხილამაზისგან. მიხო მარტო ერთი ხახე და ხიშიშვლებ კაცებს გონიერას აკარგვინებდა<sup>1</sup>.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ითქვას, კასტელს გაორებული გრძნობა ჰქონდა ელენე ათაბაგის მიმართ. იგი მოხიბლული იყო ათაბაგის ასულის სილამაზით და სათხოებით. საყურადღებოა, რომ კასტელმა, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, შექმნა ელენეს ორი პორტრეტი – ერთზე ელენე გამოსახულია ძვირფასად მორთულ ცხენზე ამ-სედრებული, მაგრამ არ ჩანს მისი სახის ნაკვთები. პორტრეტის მიხედვით, რაიმე გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა დახატულ პიროვნებაზე, შეუძლებელია.

შემორჩენილია კასტელის მიერ დახატული ერთ-ერთი სურათის მხოლოდ კვადრატული ჩარჩო და მის კიდეებზე მინაწერები: „ელენე ათაბაგი, ირანის დედოფალი... ქ. დედოფალი ელენე. ირანის დედოფალი. გურიის მშვენება, ელენე ათაბაგი. ჩვენი პატრის კრისტოფოროს სულიერი შვილია... დროში ირანის ხელმწიფის შაჰ-ხეფის მეუღლე გახდა“. ჩარჩოში ელენეს სურათი არ არის. ფოტოზე სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ელენეს პორტრეტი ვიდაცამ უხეშად წაშალა ისე, რომ მინაწერებიც დააზიანა. ამგვარად დაიკარგა ელენეს სახე, რომელიც ალბათ ფრიად საინტერესო და მრავლისმეტყველი იქნებოდა.

სურათზე წაშლილი ელენეს სახე და ზემოთ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი სხვადასხვა მოსაზრებას აღდრავს, მაგრამ მათი გამხელის საკმაო საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს.

<sup>1</sup> დონ კრისტოფორო და კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს მუზეუმში, გვ. 218-219.

**„საფრანგეთის, პოლონეთის და საქართველოს ელჩების  
ბანკეტი კონსტანტინოპოლიში. 1657 წ.“**

კასტელის შემოქმედებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის განხილვა-შესწავლაზე მიბიძგა მისმა ერთმა ნახატ-ესკიზმა (ნახ. 109), რომლის სახელწოდება მოცემულია წინამდებარე ნარკვევის სათაურში. მას ახლავს ავტორის მინაწერები იმის შესახებ, რაც მან მნიშვნელოვნად ჩათვალა 26 წლის შემდეგ, საქართველოდან სამშობლოსკენ მიმავალმა, კონსტანტინოპოლიში ყოფნის დროს.

ნახატზე გამოსახული პიროვნებების ამოცნობა სირთულეს არ წარმოადგენს: საფრანგეთის ელჩი (სასმისით ხელში) და მის მარჯვნივ კრისტოფორო კასტელი; პოლონეთის ელჩ ზე კი მიგვითითებს წარწერა (ambasadore polonia) მისი სკამის საზურგებზე; პოლონეთის ელჩის მარცხნივ ზურგით ზის ქართველი ელჩი თავზე ფაფანაკით.

სავარაუდოა, ქართველი ელჩი უნდა იყოს გურიელის მიერ გაგზავნილი კონსტანტინოპოლიში 1657 წლის შემოდგომაზე, რომელიც სულთანს ეახლა გარკვეული თხოვნით. 20-29 სექტემბერს სულთანმა გასცა ბრძანება: „გონიოს სანჯაფებებს და გონიოს ყადის ებრძანოს: გურიის მთავარი<sup>1</sup> ძველთაგანვე ჩვენი ძევობარი და ასითანე-საადეთის (ხტამბოლის) ერთგული მოკავშირი იყო. ყოველწლიურ გადასახადებს დანაკლისის გარეშე იხდიდა. მაგრამ წელს ჩვენთან გამოგზავნილი ელჩის საშუალებით წარმოადგინა თხოვნა და შეგვატყობინა, რომ ვიღაითეთებში ზღვაზე და ხმელეთზე ვაჭრების მიმართ უკანონობას და ძალადობას იჩენენ, გონიოს ზოგიერთი მაცხოველებელი ხელს უშლის ვაჭრებს. ასეთ მდგომა-

<sup>1</sup> ქაიხოსრო I გურიელი, გურიის მთავარი 1641-1660, ვახტანგ I გურიელის ვაჟი, ქართლის დედოფლის, როსტომის მეუღლე მარიამ დადიანის ნახევარმმა (დედით). ტელური ა., ცხოვრება და ღვაწლი დედოფლად მარიამ დადიანისა, თბილისი, 1992, გვ. 6.

რეობას ვერ შევურივდები. ვბრძანებ: ამ განკარგულების თქვენამდე მოღწევისთანავე იგი ხახტაფოდ შეახრულეთ. გურიელი ასითანე-ხადეთის (ხტამბოლი) ძველი მოკავშირე და ერთგულია. ყოველ წელს გადასახდელ გადასახადებს აგზავნის. მისი და მისი ხალხის დაცვაა საჭირო. ამიერიდან ურადღება მიაქციეთ, რომ გურიაში ხმელეთით და ზღვით მომავალი ვაჭრები და ელჩები აღარ შეაწეონ და ისინი მაქსიმალურად დაცულები იყვნენ<sup>1</sup>.

მცირე შემოკლებით მოვიყვან სურათის კიდევბზე წარწერების შინაარსს:

....მესინაში 26 წლის შემდეგ თავის კარზე პატივით მომიღეს კონსტანტინოპოლიში იმპერატორის<sup>2</sup> რეზიდენტმა, პოლონეთის მეფის ელჩმა რაგუზაში და საფრანგეთის ელჩმა მხით დელ აიგზ<sup>3</sup>. საფრანგეთის ელჩმა თავის ხახლში წამიყვანა სხეული და მრავალი თვის განმავლობაში თავის თანამოსუფრედ გამოხადა... ყველაფერში ხელს მიწყობდა. კაპიტანმა ანდრეა კარბენარომ ფრანგული გემით წამიყვანა ვენეციაში, იქ თავის რეზიდენციაში შემხვდა ელჩი პატივითა და ფაქიზი სიტყვებით.

<sup>1</sup> საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გამომცემელი მემინ ილდიზთაში, მთარგმნელები – გელა და ირაკლი ადამიელაძე, სტამბოლი, 2012, გვ. 127. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ისაგან ძლეული ქაიხოსრო გურიელი და ლიპარიტ დადიანი 1658 წელს სტამბოლში ჩავიდნენ, ხონთქარის დახმარებით ქაიხოსრო ისევ დაიკავა გურია. მოკლეს 1660 წელს. გახუშტი ბატონიშვილი / ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 834.

<sup>2</sup> იგულისხმება გერმანიის წმინდა რომის იმპერატორი ფერდინანდ III (1637-1657).

<sup>3</sup> სხვა ვერსიით ელჩის სახელია – დე ლა ე. ლიხინი ა. პ., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში 133.

დი ვენსევლები<sup>1</sup> კონტი, ელჩის შვილი, სახელგანთქმული ემანუელი. ეს იყო 1657 წლის მარტში, აპრილში, მაისში. ამ სინორის სახლში ძევრი რამ დავხატე და გავაკეთე მისი უძალლებობის პოლონეთის ელჩისათვის.

ელჩი. ელჩი სვამპს საქართველოს მეფის სადღეგრძელოს. გავგატარეთ ცეცხლსა და წყალში და მიგვიყვანეთ ჩვენს სარწმუნოებაში.

საქართველოს ელჩი, რომელსაც პოჯური [ეუჩი] ხოლო-კია ეწოდება.

საფრანგეთის ელჩი საჩუქარს უგზავნის სამეგრელოს მეფეს.

საქართველოს ელჩი სადღეგრძელოს ამბობს საქართვე-ლოსა და სამეგრელოს მეფების მისამართით. ყველა ფეხზე დგება და ქუდს იხდის, სვამებ მათი ჯანმრთელობისათვის.

საფრანგეთის ელჩი საჩუქრებს უგზავნის სამეგრელოს მეფეს იმისათვის, რომ მან იარაღი და ჯავშანი აჟარა ამა-ზონელს, რომელიც დაატყვევა და მოკლა ჩერქეზთა მთავარ-მა ანუ მეფემ, აყრილი ჯავშანი კი (ჩერქეზთოს – ე.მ.) მეფემ საჩუქრად გამოუგზავნა სამეგრელოს მეფე<sup>2</sup> იმ დროს, როცა მე მის კარზე კიდევთებოდი...<sup>3</sup>

ნახატი მხოლოდ ესკიზია, რომელიც კასტელს შემდეგ-ში უნდა სრულებო. შეიძლება იგი ერთ-ერთი იმ ნახატის წა-რმოსახვაა, რომლებიც კასტელმა სრულყო ვენსელი კონტის

<sup>1</sup> დე ვენტილე – დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ გვ. 134.

<sup>2</sup> ამ მინაწერის აზრი ბუნდოვანია, შეიძლება, არასწორად თარგმნის შედეგად. გაუგებარია, როგორ აჟარა ლევან დადიანმა ამაზონ-ელს იარაღი და ჯავშანი, თუ ის დაატყვევა და მოკლა ჩერქეზთოს მეფემ, რომელმაც აყრილი ჯავშანი გამოუგზავნა სამეგრელოს მეფეს.

<sup>3</sup> დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართვე-ლოს შესახებ გვ. 106-107

სასახლეში სტუმრად ყოფნისას. ვფიქრობ, მხატვარმა ესკოზის დახატვის შემდეგ მის კიდეებზე მოათვავსა იმ სურათების სახელწოდებანი და ანოტაციები (ანოტაციებს გავეცანით ზემოთ), რომელთა დახატვა განზრახული პქონდა შემდგომის-თვის. დასრულებული სურათების სათაურები უნდა ყოფილიყო: [1] „ეღნი სვამს საქართველოს მეფის სადღეგრძელოს“; [2] „საქართველოს ეღნი, რომელსაც პოჯური [ეუნი] ხოლოკიდ ეწოდება“; [3] „საფრანგეთის ეღნი საჩუქარს უგზავნის სამეგრელოს მეფეს“; [4] „საქართველოს ეღნი სადღეგრძელოს ამბობს საქართველოსა და სამეგრელოს მეფეების მისამართით. ყველა ფეხზე დგება და ქუდის იხდის, სვამები მათი ჯანმრთელობისათვის“; [5] საფრანგეთის ეღნი საჩუქრებს უგზავნის სამეგრელოს მეფეს“; [6] „ამაზონელის აყრილი ჯავშანი ჩერქეზთა მეფემ საჩუქრად გაუგზავნა სამეგრელოს მეფეს“.

თითოეული წარწერა, ჩემი ვარაუდით, მიესადაგება ერთ რომელიმე დაკარგულ ნახატს, რომელიც ასახავდა სხვადასხვა დროს მომხდარ ამბავს.

კასტელი შესანიშნავი მხატვრის რეპუტაციით სარგებლობდა არა მხოლოდ საქართველოში. ერთხელ საფრანგეთის ეღნიმა კონსტანტინოპოლიში კასტელს რამდენიმე თავადის პორტრეტის დახატვა სთხოვა. იმავე ეღნიმა სთხოვა, რომ მისი ხალხისათვის ხატვა ესწავლებინა, ესწავლებინა ხატვა მისი პატარა ვაჟისათვის<sup>1</sup>.

კასტელი აღნიშნავდა, რომ ეღნის სახლში ყოფნისას მან „ბევრი ლამაზი სურათი დახატა“<sup>2</sup>. როგორც თვითონ აცხადებდა, იგი ხატავდა ცნობილი მხატვრის დელა ბელას სტილით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქნა, გვ. 106-107.

<sup>2</sup> იქნა, გვ. 138.

<sup>3</sup> იქნა, გვ. 146

ფლორენციის ბიბლიოთეკის მთავარი ფასადის კარის ზემოთ, ფრონტონზე იყო კასტელის მიერ ტილოზე ზეთიანი საღებავით დახატული წმ. ნიკოლოზ ბარის პორტრეტი. პორტრეტი კასტელმა დახატა გურიის სამთავროში. 1630 წელს, როცა გორის მისის ხელმძღვანელი დონ პიეტრო ავიტაბილე თემიურაზ I-ის დავალებით რომში მიდიოდა, გურიაში გაიარა და ბარის პორტრეტი წაიღო. ფლორენციაში დონ პიეტროს მისმა მამამ თხოვა ეჩუქებინა ბარის პორტრეტი. ასე ადმონ-ნდა ბარის პორტრეტი ფლორენციის ბიბლიოთეკის ფრონტონზე, იმ სასწაულის აღსანიშნავად, რომელიც მოხდა გურიაში – გვამცნობს კასტელი. სასწაული მდგომარეობდა იმაში, რომ, როდესაც მისიონერების სახლს ხანძარი გაუწნდა, ყვე-ლაფერი განადგურდა, გადარჩა მხოლოდ დასახელებული პორტრეტი, რომელიც კასტელმა დახატა გურიის მთავარ-პატ-რიარქის მალაქიას თხოვნით<sup>1</sup>.

კასტელი მოგვითხრობს, რომ სამეგრელოს მთავარს უნ-დოდა მისიონერს მოეხატა მთავრის ანუ ზუგდიდის მთავარი ეკლესია (დღეისათვის აღარ არსებობოს). ნახატებს შორის ფრესკის სახით გადმოცემული უნდა ყოფილიყო მისი მეუღ-ლის, დედოფლის ისტორია, კერძოდ, მისი ავადმყოფობა და გარდაცვალება. ფრესკის კომპოზიცია იყო: მომაკვდავი დედ-ოფალი, დამწუხრებული მთავარი გარემოცვაში ქალების, ექი-მებისა და მისიონერების, რომლებსაც წამლები მიაქვთ ავად-მყოფთან<sup>2</sup>.

კასტელმა, როგორც საბოლოოდ გულისტკივილთ გაარ-კვია, საფრანგეთის ელჩი დე ლა კ, რომელიც დიდ პატივის-ცემას ამჟღავნებდა მის მიმართ და კომფორტულ პირობებში აცხოვრებდა, ყოველივეს ანგარებით აკეთებდა. კასტელი წე-რდა: „ელჩმა თავისი წიგნის დასამშვენებლად ჩემგან ბევრი

<sup>1</sup> ოქტავ, გვ. 147-148.

<sup>2</sup> ლითინი ა. პ., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველო-ში, გვ. 116.

საინტერესო რაიმე აიდო: მთავრის, მეფის, დედოფლის, რომელიმე ისტორიული ეპიზოდის, ომების აღწერის სურათები და ცნობები. მან ჩემგან ნელ-ნელა ყველაზე ლამაზი, რაც გამაჩნდა, წაიდო. ამის სანაცვლოდ სხვადასხვა სამსახურს მთავაზობდა და ყოველთვის ჩემ მაგიდაზე რამდენიმე ოქროს მონეტას ტოვებდა<sup>1</sup>.

ელჩ დე ლა ე-ს არ ჩამორჩებოდა მისი შვილი ვენტელიე. მამა-შვილი თავზე ადგნენ კასტელს მაშინ, როცა ის დაზიანებული ნახატების აღდგენას ცდილობდა და, რაც მოეწონებოდათ მიჰკონდათ. „ერთხელ რამდენიმე ბატონს შევჩივლე, რომ ელჩმა თითქმის გამძარცვა, რადგან ჩემგან ბევრი ლამაზი საგანი წაიდო. მათ მირჩიეს, რომ ჩემი ნივთები თავადებისთვის (ელჩი და მისი შვილი – ე.მ.) არ მეტვენებინა, რადგან ისინი ყველაფერს წაიდებდნენ“ – წერდა კასტელი<sup>2</sup>.

სავარაუდოა, რომ კასტელის სტიქიასთან ბრძოლაში დაკარგულ მრავალი ნაწერსა და ნახატთან ერთად დაიკარგა ქართულ თემებზე შექმნილი ნახატებიც.

მისიონერ-მხატვარი მნიშვნელოვნად დაზარალდა საფრანგეთის ელჩის სახლშიც. სავარაუდოა, ის სურათები, რომლებიც, კასტელმა კონსტანტინოპოლში შექმნა და რომელთა სავარაუდო სახელწოდებები ზემოთ იყო მოცემული, ელჩის საკუთრებაში გადავიდა. ელჩის სურვილი აღნიშნული ნახატების ხელში ჩაგდებისა, განპირობებული იყო მათზე გამოსახული პიროვნებებისადმი ინტერესით. მათზე გამოსახული იყვნენ თვით ელჩი და მისი სტუმრები. ამ სურათებს ელჩისათვის, მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 137.

სამშობლოში მიმავალ კასტელს სარეკომენდაციო წერილი დაუწერა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა, საფრანგეთის ელჩ დელა ე-სთან. მთავარი აქებდა კასტელს, რომელმაც მის ქვეყანაში მრავალი სასწაული მოახდინა<sup>1</sup>. მთავარმა კასტელს მისცა, აგრეთვე, რამდენიმე წერილი იმ თავადებისა და სანდო პირებისათვის, რომლებსაც გადასცემდა მაშინ, როდესაც გემი შავი ზღვის ნაპირს მიადგებოდა. დადიანმა კასტელს პირადად გააცნო გემის თურქი კაპიტანი მუსტაფა რეისი, რომელსაც მთავარმა დაავალა უხიფათოდ ჩაეყვანა კასტელი კონსტანტინოპოლიში, რათა ის საფრანგეთის საელჩოში მისულიყო. ლევან II-მ საფრანგეთის ელჩს ცალკე წერილი გაუგზავნა, რომელშიც აცნობებდა თავისი სამთავროს მდგომარეობას.

როგორც კასტელი აღნიშნავდა, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნის დროს მას მუდმივი მიმოწერა პქონდა საფრანგეთის ელჩთან. მან საქართველოდან გამგზავრების შემდეგაც, გზაში განცდილი საშიშროების შესახებ, მოკლედ მოუთხოო საფრანგეთის ელჩს. ლევან დადიანმა საფრანგეთის ელჩთან წერილი გაატანა პაგურია ჩოლოხიას, იგივე პოჯური-ეუჩი სოლოკიას (როგორც კასტელი მოიხსენიებდა). მთავრის დესპანი კასტელზე ადრე ჩავიდა კონსტანტინოპოლიში და სულთანს საჩუქრები და ყოველიური ხარკი მიართვა<sup>2</sup>.

საფიქრებელია, რომ დადიანის კაცი საფრანგეთის ელჩსაც მოინახულებდა და მასთან კასტელის შესახებაც ისაუბრებდა, რომელიც საქართველოდან გარკვეული პოლიტიკური ხასიათის დავალებითაც უნდა სწვეოდა ვენეციასა და ტოსკანის საკერცოგოს.

1654 წლის 20 აგვისტოს კასტელი კონსტანტინოპოლიში გაემგზავრა. მას თან მიჰქონდა ნახატები, რომლებზეც ასახუ-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

ლი იყო საქართველოს, ირანისა და ოსმალეთის ციხე-სიმაგრეები, შავი ზღვის სანაპირო ზოლის, გზების, წყლის არტერიების გეგმები, სხვადასხვა ხელმწიფებისა და მმართველების წერილები. ასეთი ტვირთით მგზავრობა თურქების სამფლობელოებში დაკავშირებული იყო დიდ რისკთან. საფრანგეთის ელჩი ინფორმირებული იყო კასტელი კონსტანტინოპოლში რომ ჩავიდოდა და ელოდა კიდეც<sup>1</sup>. 1636 წლიდან კასტელი მისიონერობასთან ერთად იყო მოციქულებრივი ლეგატი ქართლსა და სამეგრელოში. ელჩი მისგან მნიშვნელოვანი ცნობების მიღებას ელოდა კაგბასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. კასტელს მთელ შავი ზღვის სანაპიროზე იცნობდნენ, როგორც შუამავალს ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთის მთელ რიგ პოლიტიკურ ერთეულებს შორის<sup>2</sup>.

ოსმალეთის ხელისუფლებას შეიძლებოდა კასტელი ჯაშუშად ჩაეთვალა მისი სტატუსისა და იმ ბარგის გამო, რომელიც მას მიჰქონდა. ამიტომ იყო, რომ მან ყველაფერი იღონა, რათა მოხვედრილიყო საფრანგეთის ელჩისა მფარველობაში<sup>3</sup>, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული კავკასიაში არსებული ვითარებით.

საფრანგეთის როლი და ადგილი კათოლიკური ეკროპის საქართველოსთან ურთიერთობაში გაითვალისწინა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ პიეტრო დელა ვალემ. მან საქართველოში გასაგზავნი მისიონერებისათვის 1626 წელს შეიმუშავა საეციალური ინსტრუქცია 12 მუხლად. მისი მეორე მუხლის მიხედვით, კონსტანტინოპოლში ჩასული მისიონერები იქ მყოფი რომელიმე კათოლიკური სახელმწიფოს, კერძოდ, საფრანგეთის ან ვენეციის ელჩის მფარველობაში უნდა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 22

ყოფილიყვნენ, რათა დაუბრკოლებლივ გაევლოთ ოსმალეთის ტერიტორია.

კონსტანტინოპოლიში მისიონერები საფრანგეთის ელჩის გადასცემდნენ საქართველოდან ჩამოტანილ, რომში გასაგზავნ წერილებს. მას ასევე შეეძლო განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე გადაეგზავნა რომიდან მიღებული წერილები საქართველოში საზღვაო გზით. მთავარი იყო მას სცოდნოდა, სად უნდა გაეგზავნა ესა თუ ის წერილი, ე. ი. საქართველოს რომელ ნავსაღგურში და რომელ ნდობით აღჭურვილ პიროვნებას უნდა გადასცემოდა ისინი<sup>1</sup>.

როგორც ითქვა, ძვირფას სტუმარს კონსტანტინოპოლიში ელოდა წინასწარ ინფორმირებული საფრანგეთის ელჩი დელა ე<sup>2</sup>. კასტელი ელჩის სახლში მოეწყო. მას თან პქონდა მრავალი ნაწერები, წერილები და თავისი ხელით შესრულებული ნახატები<sup>3</sup>.

1655 წლის 18 მარტს კასტელმა კონსტანტინოპოლს მიაღწია და დაუყოვნებლივ გაემართა საფრანგეთის ელჩთან შესახვედრად<sup>4</sup>.

1655 წლის ზაფხულში, როგორც ამჯერად საინტერესო ნახატის ერთ-ერთ წარწერაშია აღნიშნული, კაპიტანმა ანდრეა კარდენარომ ფრანგული გემით ჩაიყვანა კასტელი ვენეციაში, სადაც საფრანგეთის ელჩმა (კასტელი არ გვამცნობს მის სახელს) სტუმარი დიდი პატივით მიიღო თავის რეზიდენციაში. კასტელი შემდეგ ამბობს, რომ საფრანგეთის ელჩის ვენეციაში არ უნდოდა მისიონერების თავის სახლში წაყვანა, მაგრამ იძულებული გახდა, რათა რომის და საფრანგეთის

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ეკროპის არქივებსა და წიგნსაცავებ-ში, III, თბილისი, 1987, გვ. 124-125.

<sup>2</sup> ლიხინი ა. პ., ერისტოვორო კასტელი და მიხი მიხია საქართველოში, გვ. 19.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 265.

მთავრობის ფარული რისხება რომ არ დაემსახურებინა. ყველაზე მეტი, რაც მან გააკეთა, ეს იყო ბანკეტი, რომელზედაც მიიწვია მისიონერები. ამასთან ერთად, მან ეს გააკეთა იმისათვის, რომ მას კასტელის სამისიონერო მოღვაწეობაზე არსებული წერილობითი მიმოწერა და ცნობები ხელობაზე და<sup>1</sup>.

კასტელი გაწაფული დიპლომატი იყო. მისი ეს თვისება მხოლოდ საქართველოში არ შენიშნეს. საფრანგეთის ელჩმა მას დაავალა მთელი რიგი მოლაპარაკებების გამართვა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან<sup>2</sup>. მასთან საუბარი სურდათ გალატიაში ყველა მაღალი თანამდებობის პირებს. თავისთან იწვევდნენ რაგუზის ელჩი, გერმანიის იმპერატორის რეზიდენტი, ინგლისის ელჩი<sup>3</sup>.

კრისტოფორო კასტელი რომ საქართველოს მეფე მთავრების საგარეო ურთიერთობას იცნობდა და, შეიძლება, ზოგიერთი საკითხის ინიციატორიც იყო, ამის ნათელსაყოფად მოვიყვან თრიოდე მაგალითს: 1646 წლის მაისში კასტელი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს ეახლა და მოახსენა, რომ მას თან პქონდა მისთვის გადასაცემად პაპის უწმინდესობის წერილი. მეფემ უპასუხა, რომ წერილი მისთვის საჯაროდ არ გადაეცა, რათა მისიონერის ვიზიტის დროს იქ დამსწრებელნებს შორის მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. ამიტომ კასტელმა წერილი მეფეს მოგვიანებით გადასცა, როდესაც მას პირისპირ შეხვდა. მეფემ გადაწყვიტა, რომ საპასუხო წერილი კასტელს წაედო რომში, მაგრამ, როგორც პ. ა. ლიხინი წერს, კასტელს რომში გამგზავრებაში ხელი შეუშალა სამეგრელოში მოღვაწე სხვა მისიონერმა, კერძოდ, ჯუზეპე ჯუდიჩემ. მან ისე მოაწყო, რომ კასტელი ვერ წავიდა რომში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 121.

კასტელის იმერეთის მეფესთან სტუმრობის თარიღთან (1646 წ.) დაკავშირებით, რაზეც იტალიელ მკვლევარი პ. ა. ლიჩინის ლაპარაკობს, დასაზუსტებელია. ამ დროს (1646 წ.) არ შეიძლებოდა პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი საქართველოში ყოფილიყო. ცნობილია, რომ ის 1643 წელს ლევან დადიანის დავალებით როში გაემგზავრა. როდესაც უკან, საქართველოში ბრუნდებოდა ოსმალეთში შეიპყრეს და იქვე საპყრობილები გარდაიცვალა 1646 წელს<sup>1</sup>.

1651 წელს ტოსკანის დიდმა პერცოგმა ფერდინანდ II მედიჩი (1621-1670), რომელიც თეატინელ ბერებს მფარველობდა, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს და ოდიშის მთავარ ლევან დადიანს წერილები გაუგზავნა<sup>2</sup>. მედიჩი, სავარაუდოა, კასტელის ჩაგონებით ალექსანდრე მეფეს მისიონერების მფარველობას და ხელშეწყობას სთხოვდა. ლევან დადიანისა არ ვიცით, მაგრამ იმერეთის მეფემ, რომ ნამდვილად უპასუხა ფერდინანდ II-ს, ამას ვიგებთ კასტელის მონათხოვიდან, რომ ის იტალიაში ჩასვლისთანავე პერცოგს ეწვია ფლორენციაში 1654 წელს ალექსანდრე მეფის დავალებით<sup>3</sup>. კასტელი, როგორც ჭეშმარიტი დიპლომატი, არაფერს ამბობს რა მისწერა მეფე ალექსანდრე III-მ ტოსკანის დიდ პერცოგს. იმას კი აღნიშნავს, რომ პერცოგი მასთან სიამოვნებით მსჯ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 193-194.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35. ა. პ. ლიჩინის ეს მოსაზრება საინტერესოა, იმდენად რამდენადაც პერცოგის ინიციატივა ყოფილა იმერეთის მეფესთან და სამეგრელოს მთავართან დაკავშირება. რადგან ლიჩინის მოსაზრება და მისი ნაშრომიც შედარებით გვიან გახდა ცნობილი (იგი ქართველ მკითხველს ქართულად თარგმნილი გააცნო პროფ. მურმან პაპაშვილმა), ამიტომ ბატონი მურმანი ფიქრობდა, რომ მეფისა და მთავრის კონტაქტი პერცოგთან უნდა მომხდარიყო თუ ატინელ მისიონერების რჩევით.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 48.

ლობდა აღმოსავლეთის საკითხებზე<sup>1</sup>. საგულისხმოა, რომ კასტელი „აღმოსავლეთში“, ზოგადად საქართველოს გულისხმობდა და მრავალ საინტერესოს მოუთხრობდა პერცოგს ამ ქვეყანაზე.

ქართველი მეფისა და დიდი პერცოგის მიმოწერასთან დაკავშირებით საყურადღებო აზრი გამოთქვა პ. ა. ლიჩინიმ. ამ დროს ვენეციის რესპუბლიკა ომს აწარმოებდა ოსმალეთან კუნძულ კრეტისათვის, კერძოდ, მისი მთავარი ქალაქის, კანდიისათვის. ეს ხანგრძლივი ომი (1645-1669) ცნობილია ამ ქალაქის სახელით. ვენეციას ებმარებოდა ტოსკანის საპერცოგო, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი ინტერესები პქონდა. ა. პ. ლიჩინი წერს: „აღნიშნულის საფუძველზე დიდი პერცოგის მისწრაფება გასაგებია. მას თეატრინელი მისიონერების დახმარებით სურდა თავის მხარეს მიემხრო ქართული სამეფოები. ამ ქვეყნებში თეატრინელ მამებს იმ დაძაბულ პერიოდში თავისუფალი შეხვედის საშუალება პქონდათ“<sup>2</sup>. მაგრამ იტალიელი ისტორიკოსი არავერს ამბობს იმაზე, როგორ წარმოედგინა ქართული მხარის მონაწილეობა დასახელებულ ომში, მაშინ, როდესაც კასტელი ამის შესახებ დუმს; გააჩნდათ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ დასალეთ საქართველოს სამეფოს-სამთავროებს ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, რომ მხარი დაეჭირათ პერცოგის პოლიტიკური ამბიციებისათვის? რას სოვაზობდა პერცოგი ქართველებს დახმარების სანაცვლოდ? როგორი იყო ქართველი პოლიტიკოსების განწყობილება ფერდინანდ II-ის წინადაღებაზე?

უმჯობელია, კრისტოფორო კასტელმა უკელა იტალიელზე უკეთესად იცოდა რისი შემძლე იყო XVII ს. 50-იანი წლების დასავლეთ საქართველო. ლიჩინის აღნიშნული მოსაზრება მით უფრო იწვევს გაკვირვებას, რომ ისტორიკოსს თავის წიგნში ციტირებული აქვს კასტელის წერილი (მისი სათა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 146.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 36.

ურია: „ჩვენმა მამებმა სამეცნიელოს მეფე დაარწმუნებ, რომ დახდოს ზავი იმერეთის მეფეთან. ის იღებს კეთილ რჩევს და ზავს დებს“<sup>1</sup>, რომელსაც კრისტოფორო კასტელი იწყებს ლევან დადიანის დახასიათებით: „სამეცნიელოს ამჟამინდელი ცოცხალი მეფე ლევან დადიანია. ის მიღრექილია ომებისა-კებ, თვითონ არა აქვს მოხვეულება და დამშვიდების საშუალებას სხვასაც არ აძლევს. მისი მეზობელი მთავრებისათვის, განსაკუთრებით კი იმერეთის ხატყალი მეფისათვის, ეს დიდი უძლეურებაა. ყოველთვის არსებობს თავდასხმის ან პანდი-ტური ომის საშიშროება, რომლის დროსაც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ეპისკოპოსის, პატრიარქის, სახულიერო პირის, ზოგჯერ ჩვენი მამების თან წაყვანა. მაგრამ მან ვერა-სოდეს შეძლო ჩემი გაყოლა. მთავარს ყოველთვის ვევედრებოდი, ბოლო მოვლო მებისათვის და წყნარ ცხოვრებაში და-მტკბარიყო იმით, რაც მას უფალმა საქმარისად მისცა, რათა ამ ქვეყნად მშვიდად ეცხოვრა... მეფედ კურთხევისათვის მას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: როგორც საკუთარი თავისათვის, ისე იმ მთავრებისა და მეფეებისათვის ზავი ებოძობინა, ყვე-ლა დაესვენებინა და სიკვდილამდე მშვიდად ეცხოვრა. მიახ-ლოვებოდა შემოქმედის ხულს და ჩემთვის დესპანობა ეთხო-ვა“ – წერდა კასტელი<sup>1</sup>. მაგრამ კრისტოფორომ წარმატებას ვერ მიაღწია. მან ვერ შეძლო სამეცნიელოს მთავრისა და იმე-რეთის მეფის შერიცება. მოგვიანებით იგი სიამოვნებით აღ-ნიშნავდა, რომ მათ შორის მშვიდობა დამყარდა მისი, კასტე-ლის, სამეცნიელოდან გამგზავრების შემდეგ<sup>2</sup>.

შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ კასტელი, თუ მის მიერ პერ-ცოგისათვის გაგზავნილ წერილებში, რომლებსაც იცნობდა პ.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 64-65. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შეს-წავლილი სამეცნიელოს მთავრის, ლევან დადიანის, იმერეთის მე-ფეებთან დაპირისპირებისა და მის მიერ მეფის სამფლობელოებისათვის მიყენებული ზიანის შესახებ

<sup>2</sup> იქვე, გვ. 66.

ა. ლიჩინი, მართლა წერდა მის მიერ მეფისა და მთავრის შერიგებაზე, მაშინ ის შეგნებულად აზვიადებდა თავის, როგორც ორგანიზატორის როლს და ამით სურდა პერცოგი დაურწმუნებინა ქართველი მოკავშირეების გამოყენების შესაძლებლობაში, რითაც შეცდომაში შეჰვავდა იგრ.

საფიქრებელია, კასტელს მართლაც პქონდა განზრახული კონსოლიდირებული დასავლეთი საქართველო დაეკავშირებინა სიცილია-ტოსკანის კოალიციისათვის. შესაძლებელია ამგვარი გეგმის ინიციატორი საფრანგეთის მთავრობის დაგალებით იყო ელჩი დელ კ, რომელმაც კარგად იცოდა დასავლეთ საქართველოში კასტელის გადადგმული ყოველი პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯი ამ სახელგანთქმული მისიონერის წერილების წყალობით. ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ ვიდრე კასტელი საფრანგეთის ელჩობან სტუმრობდა, ეს უკანასკნელი თავის სასახლეში პატიუობდა ხოლმე გურიისა და სამეგრელოს მთავრებისა და ქართველი მეფის ელჩებს. ისინი სულთანთან ჩადიოდნენ კონსტანტინოპოლიში დიდი საჩუქრებით<sup>1</sup>.

ქართველი ელჩების საფრანგეთის ელჩობან სტუმრობასთან დაკავშირებით კასტელი ამბობს: „ბატონმა (საფრანგეთის – ე.მ.) ელჩმა წარმოთქვა მისი (საფრანგეთის მეფის – ე.მ.) და დედოფლის სადღეგრძელო. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ელჩი ფეხზე იდგა, ჭუდმოხდილი, ფრანგ თავადებს შორის სუფრასთან. მამის მსგავსად მისი შვილი ასევე სვამდა საფრანგეთის მეფის, პოლონეთის მეფის, იმპერატორის და მისი უწმინდესობის (რომის პაპის) სადღეგრძელოებს“<sup>2</sup>. ამონარიდში კარგად ჩანს, კასტელს განზრახვა აქვს შექმნას სურათი დასახელებულ ორ თემაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ მონიშნული მეორე სადღეგრძელო მეინახეებს შესთავაზეს ელჩმა და მისმა შვილმა, როდესაც დასახელებული ქვეყნების

<sup>1</sup> იქვე, გვ. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 135-136.

ელჩები და ქართველი ელჩი ერთად იღხენდნენ ელჩის სახლში და. სწორედ ეს მომენტი ასახა კასტელმა ზემოთ საინტერესო ნახაგზე.

კასტელმა ვენეციაში ყოფნის ოთხი თვის შემდეგ შეძლო გამგზავრებულიყო ფლორენციასა და რომში. „ფლორენციის დიდ ჰერცოგთან (ფერდინანდ II-სთან – ე.მ.) იმერეთის მეფის ელჩის სახით ვიყავი გამოგზავნილი; ამ მეფეს უნდოდა ფლორენციის ჰერცოგთან მეგობრობის დამყარება და წამლების მიღება მისი მეუღლისათვის – დედოფლისათვის, რომელიც ავადმყოფობის გამო იტანჯებოდა<sup>1</sup>. ეს ელჩი ფლორენციის დიდმა ჰერცოგმა სიამოვნებით მიიღო. მისთვის საამო იყო ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარების მოსმენა იმ პიროვნებისაგან, რომელმაც მას (ფლორენციის დიდ ჰერცოგს – მ.პ.) სახელი გაუთქვა ადმოსავლეთის მთავრებს შორის<sup>2</sup>.

სავარაუდოა, ასეთი შეხვედრების დროს ხდებოდა პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა, მაგრამ ის უფრო საფიქრალი, რომ საფრანგეთის ელჩი, თავისი კერძო ინტერესიდანაც გამომდინარე (ქვემოთ ითქმევა), ამას აკეთებდა საქართველოსა და ქართველებზე შეკვარებული კასტელის გულის მოსაგებად, რასაც ელჩისათვის, როგორც დავრწმუნდებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სავარაუდოა, კასტელი პირადად იცნობდა კონსტანტინოპოლიში ჩასულ ქართველ ელჩებს და მათთან შეხვედრა და პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი დიდი სიამოვნებას ანიჭებდა.

კასტელის თავისი დიპლომატიური მისია უნდა დაუმთავრებინა რომში იმით რომ პაპისათვის წარედგინა ანგარიში თავის მისიონერული საქმიანობის შესახებ და გადაეცა აღმ-

<sup>1</sup> ალექსანდრე ორჯერ იყო ნაქორწინები: პირველად მამია გურიელის ასულზე, თამარზე, მეორედ თეიმურაზ I-ს ასულზე, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივზე, დარეჯანზე.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 146.

ოსავლეთის (საქართველოს) მეფეებისა და მთავრების წერილები<sup>1</sup>.

\*\*\*

შევეცადოთ გავარკვიოთ რატომ იმყოფებოდნენ საფრანგეთის, პოლონეთის (რეჩ პოსპოლიტას) და საქართველოს ელჩები ერთად სუფრასთან, რა პქონდათ მათ საერთო? ვფიქრობ, დღეისათვის ცნობილი მწირი წერილობითი წყაროები საშუალებას იძლევა ზოგად ხაზებში მაინც გავერკვეთ დასმული კითხვის არსები. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთსა და პოლონეთს აინტერესებდა საქართველო, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორი.

XVII ს. დასაწყისიდან საფრანგეთი გარკვეულ ინტერესს იჩენდა საქართველოსადმი. საქართველოსთან კონტაქტების განხორციელება და მასზე ინფორმაციის მოპოვება დაევალა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლიში, ბარო სინჩიუზ<sup>2</sup>. ამ დროიდან ბარო სინჩიუზი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დამყარებაში.

საფრანგეთის ელჩს პირველი დაუკავშირდა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. 1614 წელს მან სულთანთან კონსტანტინოპოლიში გააგზავნა თავისი დესპანი „მუდმივი ზავის“ დასადებად, დაავალა, აგრეთვე, იქიდან ჩამოეყვანა ევროპელი მისიონერები<sup>3</sup>.

მთავარმა, ალბათ, თავის დესპანს ისიც დაავალა ვის უნდა დაკავშირდებოდა ოსმალეთის სატახტო ქალაქში. ამაზე მიგვანიშნებს დესპანის მოქმედება: ის სატახტოში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა საფრანგეთის ელჩს, რომელთანაც დაბლოებული იყო, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ლევამ დადი-

<sup>1</sup> იქმვ, გვ. 147.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 134.

<sup>3</sup> ტაბადუა ი., საქართველო კვრობის არქივებისა და წიგნსაცავებში, II, 34-35.

ანის წარმომადგენელი მას ხშირად ხვდებოდა. ელჩმა დესპანებს უშუამდგომლა იქნებოდის მეთაურთან, რომელიც დაარწმუნა, რომ „მეგრელთა ელჩი რასაც გპირდება, ყოველივე ასრულებული იქნებაო“<sup>1</sup>. ბუნებრივია კითხვა: რას პპირდებოდა დადიანი თავისი დესპანის მეშვეობით იქნებოდის მეთაურს? ის კი ცნობილია, რომ მისი მთავარი ამოცანა იყო ზაფის დადება ოსმალეთის ხელისუფლებასთან. მართალია, დესპანმა მთავრის პირველი დავალება ზაფის დადების შესახებ ვერ შეასრულა, მაგრამ საფრანგეთის ელჩის დახმარებით სამეგრელოში ჩაიყვანა ორი მისიონერი – ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო, რომლებსაც უნდა შეეკრიბათ ცნობები კოლხეთის მოსახლეობაზე<sup>2</sup>. ეს გარემოება, დადიანის დესპანი რომ საფრანგეთის ელჩის ეწვია კონსტანტინოპოლიში და მისგან საჭირო დახმარებაც მიიღო, მაფიქრებინებს, რომ ლევან დადიანმა იცოდა საფრანგეთის ინტერესზე საქართველოს მიმართ<sup>3</sup>.

როგორც აღინიშნა, საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლიში ცდილობდა შეეგროვებინა ცნობები საქართველოს შესახებ, რაშიც შეიძლებოდა დახმარებოდნენ სულთნის კარზე მყოფი საქართველოს სამეფო-სამთავროების დესპანები. ამ დროს ოსმალეთის სატახტოში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ დესპანები აღმოსავლეთ საქართველოდანაც ირანის აგრესის მოგერიებისათვის დახმარების სათხოვნელად.

<sup>1</sup> თამარაშვილი გ., იხტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 134.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 35.

<sup>3</sup> იხ. ვათეშვილი ჯ., ნიკიფორე ირბახის კვალდაკვალ. გაზ. „კომუნისტი“, №175, 177, 178, 1983; ტაბაღუა ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 148-155: მამისთვალიშვილი გ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 97-113.

ფრანგი მისიონერი, იეზუიტთა ორდენის წევრი, ლუი ბრანჟე, რომელიც საფრანგეთის ელჩის ხელშეწყობით დადიანის დესპანმა ჩაიყვანა სამეგრელოში, წერდა, რომ ელჩი ხშირად ესაუბრებოდა სამეგრელოს მთავრის დესპანს და სთხოვდა საქართველოში წაეყვანა მისიონერები<sup>1</sup>. როგორც ჩანს თრივე მხარე დაინტერესებული იყო მისიონერების გაგზავნით საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, თუმცა გრანჯე არ ასახელებს რომელი ქართული სამეფო-სამთავროდან იყო ის დესპანი, რომელთანაც ურთიერთობდა საფრანგეთის ელჩი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ დროს (1614 წ.) თეიმურზ I შაჰ-აბასის აღმოსავლეთ საქართველოზე თავდასხმის გამო გადახვეწილი იყო იმერეთში. ის აქვდან ცდილობდა დაემყარებინა დიპლომატიური კონტაქტები მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან (ოსმალეთთან, რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის სამთავროებთან). თეიმურაზ მეფე ირანის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. მის გვერდით დადგნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები<sup>2</sup>

გრანჯე გადმოგვცემს, რომ 1614 წლის ბოლოს<sup>3</sup>, სტამბოლში ჩავიდა საქართველოს ელჩობა, რომელშიც იყო ერთი ეპისკოპოსი და სამეგრელოს წარმომადგენელი<sup>4</sup> ელჩებმა სულთანს აცნობეს აღმოსავლეთ საქართველოში ირანელების

<sup>1</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 135.

<sup>2</sup> მათისთვალიშვილი გ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 97-113.

<sup>3</sup> ლუი გრანჯეს ცნობა მ. სვანიძემ ამოიღო ინგლისელი ისტორიკოსის რ. კნოლენის ნაშრომიდან (Knolles 1631) და დაათარიღდა 1613 წლით. მაგრამ, რადგან შაჰ-აბასის ყიზილბაშები 1614 წლის მარტში შემოიჭრნე ნსაქართველოში, გრანჯეს მონათხობიც ამავე წლის ამბავს უნდა ასახვდეს.

<sup>4</sup> სვანიძე გ., საქართველო თხმალეთის ურთიერთობის იხტორიიდან, თბილისი, 1971, გვ. 260.

შემოსევის ამბავი და დახმარება ითხოვეს, რასაც, ჩემი აზრით, სამართლიანად არ იზიარებდა თ. ტივაძე და მიაჩნდა, რომ ის უნდა ყოფილიყო თემურაზ I-ის დესპანი იდუმენი ხარიბონი<sup>1</sup>.

სამეგრელოში ჩასული ლუი გრანჟე აღნიშნავდა, საფრანგეთი არაფერს ზოგადა მისიონერების, ლუი გრანჟესა და ეტენ ვიოს საქართველოში გასაგზავნად. „მან 500 ოქროს მონება გამოყო ამ მისის ხარჯებისათვის“ და ოსმალო ფაშასთან უკეთებერი მოაგვარა მათი უხიფათო მგზავრობისათვის<sup>2</sup>. მისიონერებმა დადიანთან შეხვედრამდე მამია გურიელის სიმამრისაგან გაიგეს, რომ მთავარი მათდამი კეთილგანწყობილი იყო, რადგან „იმან კარგად იცოდა, თუ რა პატივი ხცა კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის ელჩმა მის წარმომადგენელს“<sup>3</sup>. როდესაც ლევან დადიანი მისიონერებს შეხვდა მათ უთხრა: „ვიცი რისთვისაც მოსულხართო და ერთ თავისუფალ დღეს უფრო დიდხანს მოგელაპარაკებით დახაგლეთის საქმეთა, საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინოპოლიელი ელჩის შესახებო“<sup>4</sup>. მთავრის კარზე გადაწყვიტეს, ვიდრე მისიონერებს შეხვდებოდა ლევან დადიანი, მანამდე კარგად დასახელებული მისიონერები და საფრანგეთის ელჩთან დაემყარებინათ კავშირი. ამ მიზნებიდან გამომდინარე,

<sup>1</sup> ტივაძე თ., ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტ. ხერია, №3, 1973, გვ. 20. თემურაზ I-ის დიპლომატი ხარიბონის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი კ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 101-112.

<sup>2</sup> ტაბადუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 37.

<sup>3</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 140.

<sup>4</sup> სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 235.

მათ საჩუქრები გაგზავნეს კონსტანტინოპოლიში<sup>1</sup>, მაგრამ გრანჯე არ ამბობდა ვისთვის იყო განკუთვნილი საჩუქრები, საფრანგეთის ელჩისთვის თუ სულთნის მოხელეებისთვის, რომელთა კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული ფრანგების შეშვება საქართველოში. გასათვალისწინებელია, რომ გურიისა და სამეგრელოს სამთავროებთან საომარი მდგომარეობის გამო, ოსმალებს ბლოკირებული პქონდათ საქართველოსთან დამაკავშირებელი საზღვაო და სახმელეთო საზღვრები.

საყურადებოა, რომ მისიონერები ოდიშის სამთავროში ყოფნის დროს შეხვდნენ კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს. მისიონერები თარჯიმნის საშუალებით დაუკავშირდნენ თეიმურაზს, რომელმაც ისინი თვისთან მიიპატიჟა. ქართველ პოლიტიკოსებს გადაუწყვეტიათ მისიონერების კარგი მიღება, საფრანგეთის ელჩითან დაახლოება და მისთვის ძღვენის გაგზავნა კონსტანტინოპოლიში. ერთ-ერთი ქართველი ეპისკოპოსის მიერ თეიმურაზის საპატივსაცემოდ გამართულ წვეულებაზე ესწრებოდნენ მისიონერებიც. მეფე მათ ესაუბრებოდა დასავლეთ ევროპაში არსებული ვითარების შესახებ<sup>2</sup>.

1616 წლის ივნის-ივლისში საქართველოში იმყოფებოდა ნახტვნიდან ჩამოსული დომინიკანელთა წინამდღვარი, ვიკარიუსი წმ. მამა პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა. მან გარკვეული გაგებით შეავსო წინამობრედი მისიონერების ცნობები საქართველოს შესახებ და რომის პაპს წარუდგინა 1621 წელს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნებავებში, II, 53.

<sup>2</sup> თამარა შეიძლო მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 140-141; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნებავებში, II, გვ. 53-54.

<sup>3</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნებავებში, II, გვ. 58.

1630 წელს ივნისში დონ პიეტრო დელა ვალეს მიერ საქართველოსკენ მომავალი მისიონერის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს დარიგებიდან ჩანს, რომ მისიონერებისათვის ყოველთვის საიმედო დამხმარე იყო საფრანგეთის კონსული ალეპოში<sup>1</sup>. იმავე წლის 18 ნოემბერს მისიონერი დონ ჯაკომი და სტეფანო მისიონერ დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერდა: „მეფე თეიმურაზე (თეიმურაზ I – ე.მ.) აქვს სურვილი კიდევ ერთი წერილი მის-წეროს პაპს, რომელიც გაიგზავნება ბერძნულ ენაზე თარგმანით, მისი ნდობით აღჭურვილი პირები ამ წერილს აღეპოში წაიღებენ. მათ უკვე მიიღეს მეფის ბრძანება, რომ ეს წერილი გადასცენ საფრანგეთის კონსულს პირადად და მიიღონ პასუხი წერილის ადგილზე ჩაბარების შესახებ“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ, წყაროების არ არსებობის გამო საკმაოდ სანგრძლივი წყვეტილია საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ ურთოერთობა არ არსებობდა.

კასტელის სახელდახელოდ გაკეთებულ ჩანახატებს და მათზე წარწერებს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათი წყალობით ვიგებთ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის საქართველოსთან ურთიერთობისადმი სერიოზულ ინტერესზე XVII საუკუნის შუა ხანებშიც, რაც, რა თქმა უნდა, საფრანგეთის სამეფო კარის საქართველოს მიმართ ინტერეს-საც ნიშნავდა.

\*\*\*

საქართველოს შავიზღვისპირა სამთავროებს და, საერთოდ, საქართველოს, საერთაშორისო პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რასაც ითვალისწინებდა, ერთის მხრივ შაჰის კარი, მეორეს მხრივ, რეჩ პოსპოლიტას სახელმწიფო. მოცემული

<sup>1</sup> იქვე, გვ. 122

<sup>2</sup> იქვე, გვ. 138-139.

პერიოდის ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს საქართველო მიაჩნდა ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზად.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის პირველ ფაქტ-ად მიაჩნიათ ვარშავის არქივში აღმოჩენილ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის წერილი გაგზავნილი ესპანეთის მეფე-დედოფლისათვის<sup>1</sup>, რომელიც პოლონეთში ჩაიტანეს ქართველმა ელჩებმა – მმა ნილომ და მმა ზაქარიამ. მნელია თქმა იმისა, რატომ მოხვდა ქართველი მეფის წერილის რუსულად თარგმნილი ვარშავის არქივში<sup>2</sup>. რეჩ პოსპოლიტა XVII ს. პირველ ნახევარში დაპირისპირებული იყო ოსმალეთთან და ექებდა მოკავშირეს მის წინაათმდეგ ბრძოლაში. მას ასეთ მოკავშირედ ესახებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მუდმივად მეომარი ირანი. მახლობელი აღმოსავლეთის შაპაბას I-ის ძლიერი სახელმწიფო შეიძლებოდა რეჩ პოსპოლიტას სავაჭრო პარტნიორიც ეოფილიყო.

ირანი და რეჩ პოსპოლიტა თუ ოდიშის და გურიის სამთავროებთან საჭირო ურთიერთობას დაამყარებდნენ, მაშინ მათი პორტების გამოყენებას შეძლებდნენ ოსმალებთან შერკინების დროს.

ოდიშისა და გურიის სამთავროების ოსმალეთთან ურთიერთობაზე, მათს ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, საინტერესო მოსაზრებები დაგვიტოვა პიეტრო დე-

<sup>1</sup> წერილის რუსული თარგმანი შემთხვევით აღმოჩნდა ვარშავის არქივში 1823 წელს და იმავე დროს გამოქვეყნდა რუსულად. 1850 წელს იგი გადმობეჭდა «Закавказский Вестник»-მა. მარი ბროსემ მისი ფრანგული თარგმანი ისტორიული განმარტებებით ჩაურთო თავის „საქართველოს ახალი ისტორიის“ პირველ გამოცემას. Histore moderne de la Géorgie, addition première. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1982. გვ. 376.

<sup>2</sup> მათისთვალიშვილი კ., საქართველოს ხავარებო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 171-173.

ლა ვალემ<sup>1</sup>. ისინი, ბუნებრივია, ცნობილი იყო ევროპელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის და ითვალისწინებდნენ კიდევ. მათ ხელთ პქონდათ XVI საუკუნის დასახრულისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოგზაურდიპლომატების დონ ხუან დე პერსიას (ულუგ ბეგ ბაიათი) ცნობებიც მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს შესახებ<sup>2</sup>. მის რელაციაში ძვირფასი ცნობებია საქართველოს შესახებ<sup>3</sup>.

XVII ს. პირველ მესამედში ქართულ სამეფო სამთავროები საქმაოდ ინტენსიურად რომ ურთიერთობდნენ რეჩ პოსტოლიტასთან, ამაზე მეტყველებს სხვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვერცხლის მცირე ნომინალები – ორტები და პოლტორაკები<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან მერგისადმი, 1627 წ., გვ. 56-57; მამისთვალიშვილი კ., საქართველოს ხავარეთ პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 613-616.

<sup>2</sup> ირან-რეჩ პოსტოლიტას შორის ელჩების მიმოსვლაზე იხ. Gulbenkian R., *L'Ambassade en Perse de Luis pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605, Lisbonne*, 1972, p. 103; ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიაცია დიპლომატიურ ასპარეზზე, თბილისი, 1983, გვ. 35-36.

<sup>3</sup> მამისთვალიშვილი კ., საქართველოს ხავარეთ პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 172, 188, 191, 197 (შენ. I), 199-202, 211, 229, 242, 335-345, 348-350, 362-363, 369, 371, 374, 377, 378, 394, 401-402, 407, 409-411, 432-433)

<sup>4</sup> ქედულაძე რ., ევროპული მონეტების მიმუქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1971, გვ. 111-123; ქუთელია თ., ევროპული მონეტების განძი კოდავეთიძან, „ქართველობია“, №2, თბილისი, 2013: 55-57; Джавахишвили Н., Малоизвестные страницы истории Грузино-Балтийских отношений (X-XVIII вв.). «Кавказ и глобализация». Журнал социально-политических и экономических исследований, т. 4, вып. 3-4, Швеция, 2010. с. 172-174; Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015б, с. 24-30.

ევროპასთან აღმოსავლეთის დამაკავშირებელი კონსტანტინოპოლიზე გამავალი გზით ვაჭრობის განხორციელების განზრახვა რომ არ ჰქონდა დევან დადიანს, ამაში გვარწმუნებს პიეტრო დელა ვალეს ორიოდე არაპირდაპირი ცნობა. მას გაუგია, რომ ერთმანეთის მოკავშირე გურიელი და დადიანი რეჩ პოსპოლიტას მეფესთან მეგობრობდნენ და მიწერ-მოწერაც ჰქონდათ.

ცნობილია, გურიის მთავარმა მამია II-მ (1600-1625), ოდიშის მთავარ მანუჩარ დადიანთან (1590-1611) შეთანხმებით, ოსმალებს აჭარა წაროთვა. ამის შემდეგ, როგორც პიეტრო დელა ვალე გადმოგვცემს, მათ „კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს. აგრეთვე ოქროს პატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები. ისინიც (კაზაკები) არა ერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობა დახვედრიათ აქ. კაზაკები ამ მფლობელების საგაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდიოდნენ. ამ პრინცმა (გურიელმა თუ დადიანმა) მისწერა კაზაკებს, თუ თვით კაზაკებმა მოიფიქრეს ამის თქმა მემნელება, მაგრამ ის ნამდვილია, რომ კაზაკებმა ირანელებთან შეთანხმება განიზრახეს. მათ კი ირანში მისვლა შეეძლოთ მხოლოდ ამ პრინცების სამფლობელოს მეშვეობით. ეს იცოდნენ კაზაკებმა და მათ ზღვით ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნეს. კაზაკების განზრახვა იყო დახმარება შეეთავაზებინათ ირანის მეფისათვის იმ ომში, რომელსაც ეს მეფე თურქეთის წინააღმდეგ გეგმავდა, იმ ვარაუდით, რომ ისინი მიიღებდნენ ნა-

დავლს და უფლება ექნებოდათ გაეძარცვათ ყველა ის ქალა-  
ქი, რომელსაც ისინი აიღებდნენ“<sup>1</sup>.

რეჩ პოსპოლიტას მეფეს ფართო სავაჭრო ურთიერთობა  
ჰქონდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროებთან, ერთი ქვე-  
უნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები ხშირად დადიოდნენ. როგორც პიეტრო დელა ვალე ამბობდა, „ამ გარემოებას შეი-  
ძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისათვის, რადგანაც  
ყაზახები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად  
ძლიერნი; პოლშის ხელმწიფეს შეუძლია კიდევ ამ გზით,  
რომელიც ძლიერ მოკლეა, დიდად დაქმაროს ქართველებს  
უოველ გაჭირვებაში...“ წერდა პიეტრო დელა ვალე<sup>2</sup>.

დონის კაზაკები ოსმალეთისადმი მტრულად განწყობი-  
ლი რეჩ პოსპოლიტას მეფის ვასალები იყვნენ. ეს გარემოება  
კიდევ უფრო მოსახერხებელს ხდიდა ირანის ქართლის – ოდ-  
იშის – შავი ზღვის – დნეპრის – რეჩ პოსპოლიტას გზით  
ცენტრალურ და დასავლეთ ევროპასთან ნაკლები ხიფათით  
და მოკლე დროში დაკავშირებას. აღნიშნული გზით სარგებ-  
ლობის იდეა იმდენად გაზიარებული იყო რეჩ პოსპოლიტას  
მთავრობის მიერ, რომ მან სპეციალურად მიმართა ირანის  
შაპს, რომ მის ვაჭრებს საქართველოსა და შავი ზღვის გზე-  
ბით ევლოთ. მნიშვნელობის მიხედვით რეჩ პოსპოლიტა მა-  
რალი და მარალი გვიანდებოდა ისტორიულ გარემონტურ და  
დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო გზის ამჟამავების გეგმას, როდესაც იყო ვენეციელი ვაჭ-  
რების ოდიშის სამთავროში ჩაყვანაზე ოცნებობდა, მაგრამ  
ძნელად დასაჯერებელია, რომ აღნიშნული გზის ექსპლო-  
ატაციის სურვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთსა

<sup>1</sup> ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთი-  
ერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1965, გვ. 57-  
58.

<sup>2</sup> მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ  
ურბან მერიისადმი, 1627 წ., გვ. 57; ტაბადუა ი., საქართველო კუ-  
როპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 47.

და იმავე დროს გაჩნდა ორანში, რეჩ პოსპოლიტასა და ოდიშის სამთავროში. სავარაუდებელია, რომ დასახელებული ქვეყნების მეთაურებს შორის, აღნიშნულ საკითხზე არსებობდა კონტაქტები. ევროპაში რომ ამ გზის ირანთან ვაჭრობისათვის გამოყენებაზე უკვე მსჯელობდნენ, კარგად ჩანს რეჩ პოსპოლიტასა და შვეციის მეფეების მიერ გოლშტეინის ჰერცოგისათვის გაგზავნილი სიგელებიდან. დასახელებული მეფეები ჰერცოგს წინადაღებას აძლევდნენ საქართველოსა და შავ ზღვაზე გამავალი გზით ემოგზაურათ ირანში. ამავე გზის ამუშავების მიზნით რეჩ პოსპოლიტას მეფემ ირანში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი შენბერგი<sup>1</sup>.

უნდა გავიხსენოთ, რომ ამ გზით ერთხელ უკვე იმოგზაურა რომიდან საქართველოსკენ მომავალმა ნიკიფორე ირბახმა. ნიკიფორეს მიერ ვარშავიდან გამგზავრების დღესვე (1629 წ. 14 აპრილი) პოლონელი არქიეპისკოპოსი რომში აცნობებდა, რომ ნიკიფორეს ვარშავაში საქმიანი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ყველა მთავარ მოხელესთან, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი სურდა<sup>2</sup>. იმის თქმა მინდა, რომ ნიკიფორე ირბახს, ლევან დადიანის სახლთუხუცესსა და საგარეო პოლიტიკის მთავარ მრჩეველს, საქმაოდ მყარი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე რასაც მთავარს ურჩევდა. არავითარი საჭიროება არ იყო იმისა, რომ ლევან დადიანს ნიკიფორე ირბახი ხელახლა გაეგზავნა რეჩ პოსპოლიტაზე გამავალი გზის დასაზერად, როგორც მ. სვანიძე ვარაუდობდა<sup>3</sup>.

1644 წელს ლევან დადიანმა პაპს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სხვათა შორის წერდა: „ჩვენში არ არიან შალის

<sup>1</sup> სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 235.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ქართული კულტურისა და საბამიდან დღემდე, თბილისი, თბილისი, 1995, გვ. 562, გეგ. I.

<sup>3</sup> სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 234.

ან აბრეშუმის მქონელები, რომელთა ნახელავიც საშუალებას მისცემდა ჩვენს ქვეშევრდომთ ტანისამოსის შოვნისას, რადგან ეს უკანასკნელნი ხშირად იძულებით ყიდიან თავიანთ ნავებს თურქებზე და ამით სულსა და ხორცს საფრთხეში იგდებენ, რაც შეუწყნარებელია და ბუნებისათვის საძრახისი. გავედრებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ხელოსნები, რომ მათმა ნახელავმა და დახმარებამ თავიდან აგვაცილოს მსგავსი საშინელებანი...<sup>1</sup>. როგორც ჩანს სამეგრელოს მთავარს სერიოზული მიზნები პქონდა თავის სამთავროში განევითარებინა ვაჭრობა და ხელოსნობა და თავის სამთავრო ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში.

ლევან დადიანი მოქმედების კაცი იყო. ჩანაფიქრის განსახორციელებლად 1638 წლის ახლო ხანებში ოდიშის მისიის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე კონსტანტინოპოლიში გაგზნა, რათა ვენეციის რესპუბლიკის ელჩის საშუალებით ვენეციელ ვაჭრებს დაკავშირებოდა<sup>2</sup>. რათა მათ ზემოთდასახელებული საქართველოში გამავალი გზით ესარგებლათ. თუ ეპროპელი ვაჭრები დაიწყებდნენ ამ გზის გამოყენებას მაშინ ოდიშის სამთავრო დიდ სარგებელს ნახავდა ბაჟიდან მიღებული გადასახადებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში სამთავროს ჩართვით. ავიტაბილე შეხვდა ელჩს და დახმარების დაპირება მიიღო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო შეთანხმება გეღარ შესრულდა<sup>3</sup>.

1645 წლის 23 იანვარს, ვატიკანში განიხილეს ლევან II დადიანის წერილი, რომელშიც კვლავ სამეგრელოში ხელოსნების გაგზნი თხოვნაც იყო. მიღებულ იქნა შემდეგი გადა-

<sup>1</sup> თამარა შვილი ქ. ქართული კულტერია დასაბამიდან დღემდე, გვ. 610-611.

<sup>2</sup> დონ ჯუზევ ჯუდიჩე მილანეცი, წერილები საქართველოზე / XVII საუკუნის იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთოთ პ. გიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 24-27.

<sup>3</sup> იქვე.

წყვეტილება: „დაიძებნოს ბამბისა და აბრეშუმის დამზადებაში დახელოვნებული მორწმუნები კაპუცინელთა და წმ. ფრანცისკის რეფორმატორთა შორის, რომელთაც სურვილი ექნებათ გაემგზავრონ სამეგრელოს თეატინელ მისიონერებთან ერთად, რათა მთავრის დაუინებით თხოვნით გაწმონას მისი ერი დასახელებულ ხელოვნებაში...“<sup>1</sup>

\*\*\*

ამგვარად, კასტელის სურათზე – ელჩების ნადიმი, ასახულია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ერთი ღრმა შინაარსიანი ეპიზოდი. ზემოთ განხილული წყაროების შემდეგ ალბათ აღარ გაჩნდება კითხვები: რატომ მიიწვია საფრანგეთის ელჩიმა ერთდროულად ქართველი და პოლონელი ელჩები? რა პქონდათ საერთო და რა დავალება შეიძლებოდა შეესრულებინათ მათ? ელჩების შეკრება ხდებოდა საფრანგეთის ელჩის მსიონ დელ აიე-ს (იგივე დე ლა ე) სახლში და მისი ინიციატორი იყო კრისტოფორო დე კასტელი. ცხადია, ასეთი შეხვედრები საფრანგეთის ინტერესებსაც შეესაბამებოდა. სავარაუდოა, შეკრებები ხდებოდა კონსპირაციულად კონსტანტინოპოლიში, რადგან განსახილველი საკითხები ანტიოსმალური იყო. სტუმრებისა და მასპინძელის მსჯელობა ეხებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებსა და მათი გადაწყვეტის გზებს. მაგრამ საერთაშორისო ვიათარებაში მომხდარმა ცვლილებებმა ხელი შეუშალა მათი გეგმების განხორციელებას.

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., ქართული კკლებია დასაბამისი დღემდე, გვ. 611.

## ქართველი „მუსლიმანი“ მაცხობის დიალოგატია

სპეციალურად შესწავლის საგანია კ.წ. მუსლიმანი მეფების მოღვაწეობა და მისი შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხით პირველი დაინტერესდა პლატონ იოსელიანი<sup>1</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოს ირანთან კავშირის „განმტკიცებას“, რაც ამ უკანასკნელის მიერ მის შთანთქმას გულისხმობდა, მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს, პირველ რიგში კი რელიგია და ის პოლიტიკა, რომელსაც ისინი ფარულად თუ ახდილად ახორციელებდნენ ერთმანეთის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შემდეგი გარემოებაც: ქართლი და კახეთი ერთნაირად არ აქტიურობდნენ ირანთან ურთიერთობაში, პირველი გამუდმებით იბრძოდა ირანის პრეზენტიებისა და აგრესის წინააღმდეგ, მეორე კი, აღიარებდა თავის ვასალურ დამოკიდებულებას. ქართლისა და კახეთის ბაგრატიონების მეტოქეობა ორი სამეფოს გაერთიანებისათვის, სწრაფვა რუსეთისაკენ, ყველაფერი ეს აიძულებდა ირანის შაჰებს, შეძლებისდაგვარად, გაეთვალისწინებინათ, რომ იარაღით აკლებით, დახარკვით, მძევლების წართმევით და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს სრულ მორჩილებაში მოყვანა ვერ მოხერხდებოდა. ასე მოქმედებდნენ ის შაჰები, რომლებიც ითვალისწინებდნენ საქართველო-ირანის შორეულ თუ ახლო ურთიერთობის ისტორიას.

ირანის ხელისუფალნი საქართველოში იქცეოდნენ იმდროინდელი აღმოსავლური სამართლებრივი სულით და მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით. ისინი სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ თავიანთ მომხრედ გაეხადათ ქართველი მეფე. შაჰი თავის რჩეულს, რომელიც ადგილობრივი დი-

<sup>1</sup> Иоселиани П. И., Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан, Тифлис, 1849.

ნასტიის წარმომადგენელი იყო, აღჭურვიდა საინვესტიციო ნიშნებით. თუ საჭიროება მოითხოვდა შპს შექმლო იგი დაეპარიმრებინათ კიდეც. შპს მეფებს ან მათ ნაცვლებს უზოვებდნენ სასამართლოს წარმოების და მმართველობის ფუნქციებს, მიუძღვნიდნენ საჩუქრებს... ერთი სიტყვით ქართველებს ჰყავდათ თავიანთი ტრადიციული დინასტიის მეფეები<sup>1</sup>.

ურთიერთობას მთელი გვიანშუა საუკუნეების მანძილზე საქართველოს ირანთან გასდევდა ის თეზისი, რომელიც ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ ჩამოაყალიბა ესპანეთის მეფისათვის გაგზავნილ წერილში: ირანელები ჩვენგან ითხოვენ სამ რამეს: ხარკის გადახდას, მათ რიგებში ბრძოლას და ისლამის მიღებას. ირანელების მიერ გატარებული მკაცრი დონისძიებების – მიუხედავად, გამანადგურებელი შემოსევებისა და მოსახლეობის უმოწყალოდ ჟღებისა და ტყვედ წაყვანის, თავადთა მნიშვნელოვანი ნაწილის მოსუიდვისა და სხვ. მიუხედავად, ირანმა ვერ შეძლო მიზნის მიღწევა: ქართველი ხალხი და მისი პატრიოტი ლიდერები ვერ გატეხა და დაიმორჩილა; მან ვერ შეძლო საქართველოს შთანთქმა; ირანი იძულებული იყო აღმოსავლეთ საქართველო პყოლოდა ვასალურ დამოკიდებულებაში, რომელიც აგრძელებდა ბაგრატიონთა დინასტიის ტრადიციებით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა მეფე მართლმადიდებელი თუ მუსლიმანი იქნებოდა.

XVII ს. 30-იანი წლებიდან ქართლისა და კახეთის მეფები მაპმადიანები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ისე ჩანდა, რომ ოფიციალურად ისინი მაპმადიანურ ყაიდაზე ცხოვრობდნენ.

შპს გავლენა ქართლის სამეფოზე უპირველესყოვლისა იქიდან ჩანდა, რომ მეფედ, XVII საუკუნის 30-ანი წლებიდან აუცილებლად გამაპმადიანებული რომელიმე ბაგრატიონი ინიშნებოდა ვალის ტიტულით. „მაგრამ ეს ოდნავადაც

<sup>1</sup> Авалов З., Присоединение Грузии к России, СПб., 1901, с. 34.

არ ცვლიდა და არ ეხებოდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, რომლის წარმონაქმნებიც თავადურ-ბაზობური სახელმწიფო წარმოადგენდა<sup>1</sup>.

XVII საუკუნის ირანში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანისა და ქურთისტანის. ისინი ფაქტობრივად დამოუკიდებელნი იყვნენ. მათ დაკისრებული პქონდათ სამხედრო დახმარება და გამოსაღები ძღვენის სახით. მაგრამ, რადგან XVII საუკუნის გარკვეულ პერიოდში კახეთს განაგებდნენ ყიზილბაში ხანები, ამიტომ იგი მიწერილი იყო ყარაბახის საბეჭდარბეგოზე. იგი შაპისადმი სამსახურისათვის იღებდა „ნაწყალობევ“ სოფლებს ჩრდილოეთ ირანის ოლქებში<sup>2</sup>.

XVIII საუკუნის შემდეგ ხანებამდე ქართლის მეფეს ზედამხედველობდნენ სპეციალური მოხელეები, რომლებიც უშეალოდ შაპთან იყვნენ დაკავშირებულნი.

დროთა განმავლობაში ირანის გავლენამ თავი იჩინა ქართული ქალაქების სამოხელეო აპარატი სახელწოდებათა ცვლილებებში: მოურავის, ნაცვალის, მამასახლისის, ტარულას ნაცლად გვაქვს მელიქი, ქალაქის ვეზირი, ქალანთარი და ასახი<sup>3</sup>.

შაპის უპირველესი საზრუნავი საქართველოში იყო ამ ქვეყნის გაერთიანების არდაშვება. იმისათვის, რომ ირანისთვის ეს საშიში პროცესი არ განვითარებულიყო, შაპი თავის მოხელეებად ნიშნავდა როგორც მეფეს, ისე გამორჩეულ თავადებს. ისინი იკავებდნენ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებს ირანის იმპერიაში. ირანში თავს იყრიდა მრავალი ქართველი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ხვდებოდნენ იმპერიის ქალაქებში. მრავლის მეტყველია

<sup>1</sup> გაბაშვილი გ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი, 1958, გვ. 74.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 375.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 374-376.

გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის ენგელბერტ კემპფერ ერთი ცნობა, რომლის მიხედვით 1684 წელს ისპაანში ცხოვრობდა დაახლოებით 20 ათასი გამაპმადიანებული ქართველი.

ირანის მთავრობამ, მართალია, ვერ შეძლო ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობის აღმოსავლურ ყაიდაზე გარდაქმნა, მაგრამ ფეოდალები ვალდებული გახადა ქრისტიანი მეფეების მიერ მიწათმფლობელებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით დამტკიცებული სამკვიდრო მამულის შპის მიერ სათანადო აქტით განახლება გარკვეული პირობებით: შპისადმი ერთგულება და სამსახური<sup>1</sup>.

### როსტომ მეფის დიპლომატია

ფარსადან გორგიჯანიძე თავის მოამაგე როსტომ მეფეს ასე ახასიათებდა: „მეფე ანაგებად გულმოწყალე კაცი იყო და ოდრე შეუნდობდა ორგულთა და დამნაშავეთა. გაჭირე ძულთა და შეღონებულთა შეკლა იცოდა, მედიდურთ პატივის მდები იყო, ნამეტნავად მანდილოსანთა. ქვრივ ობოლთა და გლახათ სარჩოს უჩენდა, ნამეტნავად თავისიანთა“<sup>2</sup>. „მეფე (როსტომი – გ. მ.) მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჰკვიანი, მონახული ბატონი ბრძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა, თავად უმათ დაფრთხობა არ უხდოდა“<sup>3</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „ხოლო ესე როსტომ იყო მოპამედიანი და მეუ აღზრდილი, რამეთუ, ფრიად ჰკუანი, მორჯმულ მდიდარი; რამეთუ აქუნდა ყულარალახობა ყევნისა, მოურაობა ისპაანისა და ნიჭვიდა ყევნი ურიც-

<sup>1</sup> კაციტაძე დ., XVI-XVII საუკუნეთა ირანული დოკუმენტური წერილები საქართველოს ისტორიისათვის // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962, გვ. 196.

<sup>2</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 245.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 246.

ხსა, და უქმობდა მაძად. ამან განაგნა წესესა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამგენი თვალი, და არცა მოშალნა ქართულნი და დაადგინა ორნივე და მიანიჭებდა ქართველთა ბოძესა მცირეთა და იერთგულებდა მათ<sup>1</sup>.

ირანში აღზრდილი, მუსლიმანი როსტომ მეფისთვის დამახასიათებელი არ იყო რელიგიური ფანატიზმი. ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, „თუმცა როსტომ მეფე თავისი აღზრდითა და ზემოვეულებით უფრო ირანელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც ირანის სახელმწიფოს უკრძალი კიდა და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი იყო, მაგრამ ქართლში მოსვლისთანავე სახელმწიფოს ბატონპატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მხრუნველობას შეუდგა“<sup>2</sup>.

ყიზილბაშთა ჯარით ქართლში შემოსული როსტომი ცდილობდა დაბალი მოსახლეობა არ დაზარალებულიყო და უცხო ჯარს, ჩვეულებისამებრ თარეში და ხალხის ძარცვა არ მოეხდინა. როსტომი გორში იმყოფებოდა, სადაც დიდებულები მივიდნენ და მორჩილება გამოუცხადეს. მაგრამ არ ეახლა ფარსადან ციციშვილი. ამის გამო ჯარის სარდალი როსტომ სააკაძე<sup>3</sup> საციციანოში შეიჭრა და მისი აოხრება და-

<sup>1</sup> გახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება , IV, გვ. 438.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 370.

<sup>3</sup> როსტომ-ხან სააკაძე (1588-1643) იმყოფებოდა შაპ-აბასის და შაჟ სეფის სამსახურში, იყო ვაჟი ქართველი თავადის ბეჟან ბეგის, რომელიც 1578 წელს ოსმალების ქართლში შემოჭრის შემდეგ ირანში გადასახლდა. როსტომი იზრდებოდა მუსლიმანად და 11 წლისა შევიდა შაჟ აბას I-ის სამსახურში 1599 წელს. მან თავი გამოიჩინა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაიწყო მისი სამსახურეობრივი აღმასვლა: იყო შაპის საჭურველთმეტვირთველი (1623-1624 წწ.), დივანბეგი (1626-1627 წწ.), სიპაპ-სალარი (მთავარსარდალი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი (1626-1627 წწ.). დალატ-

იწყო. როდესაც როსტომ მეფემ ამის შესახებ შეიტყო სპასალარ როსტომს შეუთვალია: „საქართველო იხდაც აოხრებულია და თქვენ რახდა აოხრებთ“. სპასალარსა და მეფეს შორის ამის შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდა. ორივემ შაჰს მიმართეს საქმის გასარჩევად. შაჰმა მეფეს დაუჭირა მხარი და სპასალარი როსტომი საქართველოდან გაიწვია. როსტომ სააკაძის წასვლის შემდეგ ფარსადან ციციშვილი და სხვა თავადები, რომლებიც მანამდე როსტომთან დაპირისპირებას დამობდნენ, გორში მივიღნენ და მორჩილება გამოუცხადეს<sup>1</sup>.

იგი სხვა რელიგიების არსებულ მდგომარეობას იცავდა, წინააღმდეგი იყო ერთი კონფესიიდან მეორეში გადასვლისა. ასეთი რამ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა თუ ვინმე გამუსლი-მებას მოისურვებდა. სხვა შემთხვევაში დამნაშავე სიკვდილით დაისჯებოდა<sup>2</sup>.

„ამან როსტომ მოიყვანა ცოლად აბაშიშვილის გორჯახაბის ასული ქეთევან და უწოდა გულდუხებარ და იქორწინა ქრისტიანულ-მამადიანური“<sup>3</sup>. როსტომის „ქრისტიანულ-მამადიანური“ ქორწინება, პირველ რიგში პლიტიკური მოტივით იქნებოდა განპირობებული. ის ხომ ქრისტიანული ქავნის მეფე გახდა და, რა თქმა უნდა, მას ანგარიში უნდა გაფრია თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის. რატომ უნდა

ში ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს 1643 წელს. Rota, G., *Three Little-Known Persian Sources of the Seventeenth Century // Iranian Studies*, 31 (2), 1998, p. 159–176; მაგრა პირობაკე, როსტომ ხან ხააჯაძე და მისი ოჯახი // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, 2005, გვ. 33-35; მაგრა პირობაკე, ქართველები ირანში. ღულამთა თოხი თჯახის ეთნოსოციალური წარმომაგლობა, თბილისი, 2008, გვ. 28-34.

<sup>1</sup> კარიჭაშვილი დ, როსტომ მეფე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თფოლისი, 1894, გვ. 12.

<sup>2</sup> თამარაშვილი გ, იხტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, გვ. 131.

<sup>3</sup> გახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 439.

გამოვრიცხოთ, რომ როსტომს გარკვეული სიმპატიები და მოკრძალება პქონდა მამაპაპათა ამ სარწმუნოებისადმი<sup>1</sup>. როსტომ მეფის შემწყნარებლობა ზოგადად რელიგიისადმი ცნობილი იყო გარეშე დამკვირვებლებისთვისაც. მისი თანამედროვე და სამეფო კართან დაახლოებული კათოლიკე მისიონერი პატრის, დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ 1634 წელს რომში გაგზავნილი მოხსენების ანოტაციაში ვკითხულობთ: „რაც შეეხება ხელმწიფე (როსტომე – ე.მ.), მან (პიეტრო ავიტაბილემ – ე.მ.) არ იცის, რომელი აღმსარებლობისაა, რადგან ეკლესიაში არ დადის, არახოდეს მარხულობს, მაგრებთან (მუხლისანებთან – ე.მ.) იქვევა ისე როგორც მუხლისანი, ხოლო თავის ცოლთან პირჯვარს იწერს<sup>2</sup>. იგივეს ვიგებთ ავიტაბილეს მიერ 1635 წელს კვლავ რომში გაგზავნილი ვრცელი მოხსენებიდან: „მეფე არახოდეს ეკლესიაში არ დადის, არც ერთ მარხეას არ ინახავს და ეს ყოველ დღე გრძელდება. მაპმადიანებს უცხადებს, იგი მაპმადიანია და თავის ცოლთან კი პირჯვარს იწერს<sup>3</sup>. მისიონერი სხვაგან, თავის რელაციაში როსტომზე გვაძცნობს: „მიუხედავად იმისა, რომ იგი მაპმადიანია იგი დიდად ხელს უწეობს, ზოგადად, ქრისტიანებს. ავიტაბილე, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, როსტომის პიროვნების კიდევ უფრო დაღებითად დახახითებისათვის, პაპის უურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ქართლის მეფე ხშირად შედის აგვუსტიანელების ეკლესიაში წირვის მოხასმენად“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> შდრ. კაპანაძე მ., ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი როსტომ ხანის დამოკიდებულების საკითხისათვის // კავკასია და აღმოხავლები, თბილისი, 2007, გვ. 64.

<sup>2</sup> Жордания Г., Гамзардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, с. 553.

<sup>3</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, ცხობების ხაჯართველობებ, გვ. 34.

<sup>4</sup> იქმა, გვ. 57.

როსტომ მეფის პოლიტიკა და დიპლომატია განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა მის მეორე ქორწინებაში.

როსტომი, ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის დის, მარიამის შერთვას, თეიმურაზ მეფის მიერ თავისი ასულის დარეჯანის იმერეთის ბატონიშვილზე ალექსანდრეზე დაქორწინების კონტრლონისძიებად აცხადებდა. 1633 წელს როდესაც როსტომი ყიზილბაშთა ლაშქრით საქართველოში შემოვიდა, თეიმურაზი დიდი ამაღლით იმერეთში გადავიდა, რადგან იქ საიმედო თავშესაფარი ჰქონდა. „ბატონი თეიმურაზ იმერეთს შეიხიზნა: ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი და ჩენ და დადიანი ბატონი ლევან დაგმოუკრძით და შევირთეთ დავ მიხი“<sup>1</sup>. ასე ლაკონურედ გადმოსცა როსტომმა მარიამზე თავისი დაქორწინების მნიშვნელობა.

ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დის ქორწინებაზე, როგორც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტზე, როსტომი მხოლოდ მიგვანიშნებს. თანამედროვე პოლიტიკოსებისათვის კი სრულიად ნათელი იყო, რომ საქართველოში იქნებოდა დაპირისპირებულთა ორი ბანაკი. თითოეული მათგანის უკან იდგა ირანი ან ოსმალეთი იგი მიმართული იყო ოდიშის მთავრის ყველა მტრისა და გიორგი III-სა და თეიმურაზ I-ის ყველა მოკეთის წინააღმდეგ.

როსტომმა და მის კარისკაცებს საქართველოს უძლიერებს მთავართან, ლევან II დადიანთან დამოუკრების იდეა გაუჩნდათ მას შემდგებ რაც საფუძვლიანად შეისწავლეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარება და გაითვალისწინეს ქართლის სამეფოს საგარეო ურთიერთობების პერსპექტივები. აუცილებელი იყო შეუბოვარი და მოუხელოებელ თეიმურაზ მეფის განეიტრალებაც, რომელსაც მრავალი მომხრე ჰყავდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის სამეფოში.

<sup>1</sup> ქრონიკები, II, გვ. 463.

როსტომ მეფე ხელს უწყობდა მარიამ დედოფლის მიერ შპაბასის შემოსევებისა და სხვა უარყოფითი მოვლენების შედეგად დაზიანებული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრებისათვის შესაწირავების გაგზავნას.

როსტომ მეფე, როგორც დიპლომატი, ასევე კარგად გამოჩნდა მისი თეიმურაზ მეფისადმი დამოკიდებულებაში. ერთი შეხედვით გაუგებარი იყო როსტომის „ლმობიერება“ თეიმურაზისადმი, რომელთან ბრძოლას შეალია თითქმის მთელი თავისი მეფობა. მას რამდენჯერმე ჰქონდა საშუალება გაენადგურებინა თეიმურაზი ფიზიკურად, მაგრამ ეს არ გააკეთა, რაც მკვლევრებში გაკვირვებას იწვევდა. ჩემი აზრით, როსტომის მოქმედებას სწორი ახსნა მოუძებნა გ. ჯამბურიამ: „საფიქრებელია, რომ როსტომის საჭირელი უნდა აიხსნას არა მისი „რაინდობით“, არამედ უფრო ხევა და ლრმა მიზეზებით. ჭკვიანი პოლიტიკოსი როსტომი, ეტყობა კარგად გრძნობდა, რომ თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ რამდენადმე განაპირობებდა შაპის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი აღარ იქნებოდა და კახეთში ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანი როსტომისაგან უფრო მეტს მოითხოვდა – ე.ი. ეცდებოდა ქართლიც, კახეთის მსგავსად, სახანოდ გადაუქცია და შესაძლოა თვით როსტომიც ყიზილბაში ხანით შეეცვალათ. შაპის გადაწყვეტილება, კახეთი როსტომისათვის გადაუცავა, უთუთდ იმან განაპირობა, რომ თეიმურაზი შეპყრობილი არ იყო და მას კიდევ ჰქონდა საშუალება ბრძოლის გაგრძელებისა. ასეთ ვითარებაში შაპისთვის როსტომი ყველაზე მეტად სასურველი კანდიდატი იყო, რომლის ზომიერი პოლიტიკა როგორც ირნისათვის, ისე ქართველებისათვის ასატანი იყო“.

## ვახტანგ V შაპნაგაზის დიპლომატია

1. ვახტანგ V-ემ, XVII საუკუნის საქართველოს ჰერიანმა, გამოცდილმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, როგორც ჩანს, სწორად შეაფასა თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთისათვის ბრძოლის უპერსპექტივობა და, შემოვიდა თუ არა როსტომ მეფე საქართველოში, მაშინვე მის მხარეს დადგა, რაც მხოლოდ ახალ მეფესთან მხოლოდ ნათესაობით არ იყო განპირობებული<sup>1</sup>. ვახტანგმა როსტომ მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იმდენად დაარწმუნა თავის ერთგულებაში, რომ საბოლოოდ, მისი რეკომენდაციით შაპნა ვახტანგი მის მემკვიდრედ დაამტკიცა. ვახტანგი ირანში დაიბარეს, გაამაჰმადიანეს, უწოდეს შაპნავაზი და დიდი პატივით გამოუშვეს საქართველოში. ვიდრე როსტომ მეფე ცოცხალი იყო, ვახტანგს ქართლის გამგებლობა პქონდა, როსტომის გარდაცვალების შემდეგ კი, ქართლის მეფე გახდა (1658-1675).

როგორ იმედებს ამჟარებდა შაპ-აბას II ვახტანგზე, კარგად გამოჩნდა როსტომის სიცოცხლის ბოლო პერიოდსა და მისი გარდაცვალების შემდეგ. ვახტანგმა შაპს აცნობა როსტომის მოხუცებულობისა და მოსალოდნელი მალე გარდაცვალების შესახებ. შაპმა მაშინვე სანდო კაცი გამოგზავნა როსტომის სანახავად, რომელმაც ვეღარ მოუსწრო ცოცხალ ქართლის მეფეს. მან, ვიდრე შაპის რაიმე განკარგულება მოვიდოდა დედოფალი მარიამი, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით თბილისის ციხეში შეიყვანა, ხოლო როსტომის საგანძურს გუშაგები დაუყენეს. რადგან თეიმურაზ I-ს ერთგული ზაალ არაგვის ერისთავი არ დაემორჩილა ვახტანგს და, უფრო მეტი, შეირაღებული ძალით ავლაბარში გამაგრდა. ამის შესახებ ვახტანგმა დაუყოვნებლივ აცნობა შაპს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს იხტორიის ნარჯვევები, IV, გვ. 325.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 447.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი ტახტის მემკვიდრეობის იურ გამოცხადებული, მას როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ავტომატურად ტახტის დაპავება არ შეეძლო შაპის სათანადო ნებართვის გარეშე. ამით იურ გამოწვეული მისი სიტუაციისათვის შეუფერებელი უმოქმედობა და უკელაფერის შაპისათვის შეტყობინება და მისგან შესაბამისი ბრძანებისათვის დოდინი. „არამედ მსმენელმან ამისმან უკენმან მოხვა მეფობა ქართლისა ვახტანგს და ნიჭი დიდნი და ხავანძურნი როსტომისანი და დედოფალი მარიამ, რათა შეირთოს ცოლად“.

ამისმა მსმენელმა ზაალ ერისთავმა ნება იბოძა და დუშეთში გაბრუნდა, უარი სთქვა ვახტანგისადმი მორჩილებაზე და მასთან დამძახლებაზე. განზრახული იურ ვახტანგის ასულის ზაალის ვაჟზე დაქორწინება. რა თქმა უნდა, ვახტანგისთვის იოლი არ იქნებოდა მარიამ დედოფლის შერთვა, მაგრამ მას, როგორც მუსლიმანს, მისი ახალი სარწმუნოება ავალდებულებდა ამის გაკეთებას. „არამედ უდოხო ქმილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“<sup>1</sup>.

თავიდან ისეთი პირი უჩანდა, რომ ვახტანგ V შაპაბას მეორის უსიტყვოდ მორჩილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა. მან გამეფებისთანავე მტკიცე ნებისყოფა, მოხერხებულობა და დიპლომატიური ნიჭი გამოამჟღანა. მისი მთავარი მიზანი საქართველოს განთავისუფლება და გაერთიანება იყო. ამ მიზნის მისაღწევად საერთაშორისო მდგომარეობაც ხელსაყრელი ჩანდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მტერი – ირანი დაქვეითების გზას დაადგა. ამიტომ იურ, რომ ვახტანგ V-ემ განსაკუთრებული მნიშვნელობა სამეფოს შიგნით მოწინააღმდეგებების ალაგმგას და მშვიდობის დამყარებას მიანიჭა. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

---

<sup>1</sup> ოქებ.

როცა როსტომ მეფემ ვახტანგი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, მის ამ გადაწყვეტილებას მისსავე სიცოცხლეში გამოუჩნდნენ ისეთი მოწინააღმდეგები, რომლებიც თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნება-გაძლიერებისათვის მზად იყვნენ ქართლში მეფობის გაუქმებისთვისაც კი დაეჭირათ მხარი. მრავალი დიდებული ვახტანგისადმი უკმაყოფილო იქნებოდა მის მიერ თეიმურაზ I-ის ირანში გაგზავნის გამო. როგორც ჩანს მას ამ მოქმედებას დიდ ნაკლად უთვლიდნენ როგორც ქართლ-კახეთში დარჩენილი ისე ირანში გადახვეწილი თეიმურაზის მომხრენიც<sup>1</sup>. მეფის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდნენ არაგვის ერისთავი ზაალი და ქსნის ერისთავი ელიზბარი. გასაგებია, როგორი შეუთავსებლობა იქმნებოდა, მეფესა და დასახელებულ ფეოდალებსა და მათ მომხრეებს შორის, იმ დროს, როდესაც მეფის უმთავრესი მიზანი ქვეყნის გაერთიანება იყო.

ამ მიზნის განხორციელებას საქართველოში არსებული პოლიტიკური კითხებაც თითქოს ხელს უწყობდა, თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ შაპნავაზს უკვე ემორჩილებოდა თითქმის მთელი კახეთი.

იმერეთში დაწყებულმა ფეოდალურმა აშლილობამ შაპნავაზს იქაურ საქმეებში შეიარაღებული ჩარევის საშუალება მისცა. მან და ვამიყ დადიანმა, რომელიც წინათ როსტომ მე-

<sup>1</sup> პოლონეთის მეფის ელჩიდ 1681 წელს ირანში ნამჭოფ სალომონ გოსტანს ზაგორსკის ნიკოლას ვიტსენისათვის გადაუცია „ირანის აღწერილობა“, რომელშიც ის, სავარაუდოა, ირანში მცხოვრები ქართველების ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ შაპნავაზხანმა საქართველოს დაცემას შეუწყო ხელი, როდესაც ირანის მეფეს გადასცა თეიმურაზი. ნიკოლას ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო. თარგმა და კომენტარები არჩილ და ნინო ჯავახაძეებისა, თბილისი, 2013, გვ. 256.

ფის მოკავშირე იყო, ახლა მის მემკვიდრე ვახტანგ V-სთან აგრძელებდა კავშირს. მათ ერთმანეთში გაიყვეს იმერეთი<sup>1</sup>.

მეცნიერება და მთავარს შორის კავშირის განმტკიცების მიზნით დადიანმა თავისი ასული ვახტანგის უფროს ვაჟს, არჩილს ცოლად აღუთქვა, მაგრამ ქორწინება აღარ შესდგა<sup>2</sup>.

შაპნავაზმა ამის შემდეგ კავშირი დაამყარა დემეტრე გურიელთან და ზემო იმერეთის თავადებთან, რომლებმაც იგი ქუთაისში მიიწვიეს. მეცნე დიდი ჯარით გადავიდა იმერეთში და მნიშვნელოვანი ცოხები დაიპყრო, ქუთაისი და ზუგდიდი დაიკავა და დადიანად დასხა ლევან II დადიანის ძმიწული შამადავლე, რომელიც ცნობილია ლევან III-ის სახელით (1661-1680). ვახტანგს მორჩილება გამოუცხადეს აფხაზეთის და გურიის მთავრებმა. 1661 წელს ვახტანგმა იმერეთის მეცნედ გამოაცხადა 14 წლის ბატონიშვილი არჩილი და, ამგვარად, მან თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა<sup>3</sup>.

შაპნავაზის გაძლიერებამ შეაშფოთა ორივე აგრესორი – ოსმალეთი და ირანი. ამ ორმა სახელმწიფომ 1555 და 1639 წლების საზავო ხელშეკრულებებით საქართველო გაიყვეს გავლენის სფეროებად. აქედან გამომდინარე, ვახტანგის, შაპნის ვასალის ხელისუფლების დასაგლეთ საქართველოზე გავრცელებით ფაქტობრივად ირღვეოდა მათ შორის მშვიდობა. ოსმალეთი ამას არ დაუშვებდა. არც შაპნის კარისთვის იყო მისაღები შაპნავაზის გაძლიერება, მით უმეტეს თუ ამას ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვებოდა. ოსმალეთმა კატეგორიულად მოითხოვა ირანს არჩილი იმერეთიდან წაეყვანა, რაც დაგმაყოფილებულ იქნა. არჩილი ირანში დაიბარ-

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 408.

<sup>2</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 271; ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 449.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 448

ეს, გაამაჰმადიანეს, შაპ-ნაზარი („მეფის მოწყალება“)<sup>1</sup> დაარქვეს და კახეთის მეფობა უბოძეს<sup>2</sup>.

ვახტანგსა და არჩილს რუსეთიდან მობრუნებული თეომურაზ I-ის შვილიშვილის, ერეკლე დავითის ძის (შემდეგში ერეკლე I) მოგერიებაც მოუხდათ 1662-1664 და 1674 წლებში.

ვახტანგის მიხედვით, ახალციხის ფაშამ ვახტანგ V-ის ძე ლუარსაბი ახალციხეში წაიყვანა იმ პირობით, რომ იმერეთის ტახტს დააპყრობინებდა. მმის კვალს დაადგა არჩილიც. მეფემ არჩილს კათალიკოსი დაადგნა, „რათა მოქცეს და აცადოს დღე სიკვდილისა მეფესა და შემდგომად რა იგი ენებოს ჰყოს. გარნა არჩილ არღარავ ისმინა, არცა შეიგონა კედრება მამისა თჯისა“<sup>3</sup>.

ვახტანგ V-მ იცოდა რა შაპის განწყობილება ქართლელი ბაგრატიონების იმერეთში გამეფებისადმი, რომ ირანის მბრძანებელი არჩილისა და მისი მმის მოქმედებას ორ მუსლიმურ ქვეყანას შორის კონფლიქტის პროვოცირებად ჩაუთვლიდა, მან თვითონვე აცნობა შაპს თავისი შვილების დაუმორჩილებლობის შესახებ და თავისი უცოდველობის დასამტკიცებლად ყაზინში ჩასვლა შესთავაზა. შაპნავაზის ისპანში გამგზავრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვთავაზობს ამბის თანამედროვე ფარსადან გორგიჯანიძე.

<sup>1</sup> Гафуров А., Имя и история, Москва, 1987, 211. შაპნაზარის და გამუსლიმანებული ქართველი მეფების ზოგიერთი სხვა სახელის განმარტება მომაწოდა და წყაროებზე მიმითთა თურქოლოგმა პროფ. მარინე შონიამ რისოფისაც მადლობას მოვახსენებ.

<sup>2</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 451. არჩილ II-ის კახეთში მეფობის და მოდვაწეობის შესახებ იხ. ასათიანი 6, კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675) // საქართველო და აღმოსავლეთი. ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-ეროვნებრძენების შოთა მესხიას ხსოვნას, თბილისი, 1981, გვ. 115-126.

<sup>3</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 455.

შაპმა ვახტანგი თავისთან დაიბარა. ახლა კი შაპნავაზმა „შეპატიჯება ინანა“ და როგორც შეიძლება ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამი გავიგოთ, მევემ მრჩევლებს დააბრალა მის მიერ შაპისათვის შეთავაზებული წინადადება ისპანში ჩასვლის შესახებ. მაგრამ უკვე გვიან იყო, უნდოდა თუ არა შაპს უნდა ხლებოდა და დიდი ამალით გაემგზავრა. გამგზავრების წინ შაპნავაზმა შვილებს გიორგისა და ლევანს დაუბარა: „მე რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ იასე ერისთავს მიუკედითო და რაც ავი იყოს ის უყავითო“. ბატონიშვილებმა მეფის დანაბარები უმაღლეს ღონებებ შეასრულეს: ჯერ იასეს ქვეშევრდომები გადმოიბირეს, შემდეგ დიდი ჯარით შეიქრნენ საერისთავოში. იასემ ჯალაბი გახიზნა და თვითონ კახეთზე გავლით შაპთან წავიდა. ამ დროს შაპნავაზ მეფე უკვე ყაზმინში იმყოფებოდა. „იქ მოახეցებ – ქნის ერისთავს იასეს ჩაუკლიაო და ყაენთან წახულაო. თავად ავადიყო და მერმე ეს ანბავი დიდად ეწყინა. ყაზმინით ავადყოფი წაგიდა და ხოშკარუს ქარვანსარაში ძლივს ჩაწიგა... ხოშქარუს ქარვან სარაში მიაწია და იქ მიიცვალა და ეს ანბავი ყაენს მიხწერებ“<sup>1</sup>.

განსხვავებულია ვახტუშტი ბატონიშვილის მონათხრობი: ვახტანგმა შაპს მისწერა თავისი შვილების უდირსი საქციელის შესახებ და მისადმი ერთგულებისა და თავისი უცოდგელობის დამტკიცების მიზნით მზად იყო მის წინაშე წამდგარიყო. შაპ სულეიმანს მოეწონა მისი წინადადება. „წარვიდა მეფე დიდებითა დიდითა და კვლმწიფურითა, რათა იყო ძლიდარ ფრიად და არა რაო დაუტკა ძეთა თჟხოთა ურჩებისათვის მათისა, ვინათვაან რისხვიდა ფრიად“. შემდეგ ვახტუშტი მოგვითხრობს ბატონიშვილების მიერ ქსნის საერისთავოს აკლებას და იესეს გაძევებას. „და დახუებ დათუნა

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 275.

ერისთავად. ხოლო მეფე შანაოზ შთავიდა ხოშკარს, მუნ სა-  
ლობიერ იქმნა და მოკუდა<sup>1</sup>.

ვახტანგ შაპნავაზის გარდაცვალების მიზეზის არაოფი-  
ციალური ვერსიაც არსებობდა. გავრცელებული იყო ხმა,  
სპარსელების მიერ მისი მოკვლის შესახებ. კაპუჩინი მისი-  
ონერი ჯუზეპ ანტონიო რომანო 1677 წლის 1 აპრილს გო-  
რიდან რომში „მადალი პირისადმი“ მიწერილ წერილში ლა-  
პარაკობს, რომ „ახლახან გარდაიცვალა აქაური ვიცე-მეფე<sup>2</sup>,  
რომელიც სპარსელებმა მოწამდეს“<sup>3</sup>. მეფის გარდაცვალების  
ასეთი ვერსიის გავრცელება უსაფუძვლო არ იყო, თუ  
გავითვალისწინებო მის დაძაბულ ურთიერთობას შპის  
კართან, განსაკუთრებით მისი მეფობის ბოლო პერიოდში.  
მაგრამ გადაწყვეტით ვერ ვიტყვი, რამდენად შეესაბამებოდა  
იგი სიმართლეს.

ვახტანგ V შაპნავაზი დაკრძალეს ყუმში, იქ, სადაც გა-  
ნისვენებდა მისი მამობილი როსტომ მეფე.

2. XVII ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში მოდიან  
კათოლიკური ორდენის – კაპუცინების<sup>4</sup> პატრები. რადგან ჩვე-  
ნში, ზოგადად, კათოლიკური ორდენების წარმომადგენლების  
მოღვაწეობა, გარკვეული გაგებით, ევროპასთან ურთიერთობ-  
ად აღიქმებოდა და ეს მართლაც ასე იყო, ამიტომ ჯერ მოკ-  
ლედ გადავაჭლოთ ოვალი კაპუცინების საქმიანობას საქართ-  
ველოში, შემდგა კი მათ მიერ დატოვილ წერილობით ცნობ-  
ები განვიხილოთ, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდ-  
გნას გვიქმნის შაპნავაზის საგარეო პოლიტიკასა და დიპ-  
ლომატიაზე.

<sup>1</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 456.

<sup>2</sup> საუბარია ქართლის მეფე ვახტანგ V-ზე ანუ შაპნავაზზე.

<sup>3</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia  
1626-1707, vol I, ff. 234 r -137 r.

<sup>4</sup> კაპუცინები, იხ. ფრანცისკუსელები, წიგნში: პეტრო ზორბეგის  
განვითარების ლექსიკონი, თბილისი, 2011, გვ. 357.

მ. თამარაშვილის დახასიათებით: „კაპუცინებისაგან დო-  
დი არაფერი იყო მოხალოდნელი ისე, როგორათაც მოიხე-  
ოვდა საქართველოს საჭიროება, რადგან განათლების მხრივ,  
კაპუცინების ორდენს სხვა ორდენთა შორის უკანასკნელი  
აღგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, კაპუცინებს შეეძლოთ  
საქმაო ნაყოფი გამოყოოთ, უკეთუ საქართველოში მოხული  
ყველა მიხიობერები შესაფერისად მომზადებულ ყოფილიყვ-  
ნებ თავიანთი მიხიობისათვის, სამწუხაოოდ, რის ქმნაც კი  
შეეძლოთ კაპუცინებს, ისიც კი ვერ აღასრულეს სომხების  
გამო, რომელთაც იმდენჯერ სდევნებს და ყოველი ღონისძიება  
იხმარეს, მათი შრომა ყოველი მხრით უნაყოფო ექმნათ“<sup>1</sup>. ოუ  
მ. თამარაშვილის მიხედვით კაპუცინების საქართველოში წარ-  
უმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ მართლმადიდებელმა ქარ-  
თველებმა სარწმუნოება რომ არ შეიცვალეს, და ეს მხოლოდ  
სომხებისაგან ხელშეშლამ გამოიწვია, რა თქმა უნდა, სიმარ-  
თლეს არ ასახავს. კაპუცინების და მათი წინამორბედი კა-  
თოლიკური ორდენების საქართველოში მოღვაწეობის რელი-  
გიური პროპაგანდის საქმეში წარუმატებლობის უმთავრესი  
მიზეზი მართლმადიდებელი ქართველების მამაპაპათა სარწ-  
მუნოებაზე მტკიცედ დგომა იყო. რაც შეეხება ქართველი  
მეფეების საგარეო პოლიტიკას და ევროპასთან დიპლომა-  
ტიურ ურთიერთობას, კათოლიკე მისიონერებს თავიანთი მნი-  
შნელოვანი წელილი ჰქონდათ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეიმურაზ I-ისა და  
მისი შემდგომი ქ.წ. მუსლიმანი მეფეების და ფეოდალური ზე-  
დაფენის კათოლიკე მისიონერების მიმართ დამოკიდებულების  
შესახებ. საქართველოში და, ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნებ-  
ში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, გარკვეული გაგებით,  
ევროპის კათოლიკური სახელმწიფოებიდან იყვნენ, მაგრამ  
რომის პაპს ექვემდებარებოდნენ. მათ მიმართ ხელისუფლები-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,  
გვ. 559

სა და ფეოდალური დიდკაცობის ლიბერალური დამოკიდებულება, მათთვის თავისუფალი მოქმედების საშუალების მიცემა და ხელის შეწყობაც, XVII ს. 20-ანი წლებიდან მოყოლებული მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ირანის შაჰების კათოლიკობის მიმართ გატარებული პოლიტიკით. ისინი ირანში ხელს უწყობდნენ მათ საქმიანობას მხოლოდ იმ პირობით, რომ მუსლიმანები კათოლიკობაზე არ უნდა მოაქციათ, როსტომ მეფემ ასეთი ბრძანება საქართველოს მუსლიმანებზეც გაავრცელა. ირანის შაჰების ქვეშევრდომი სხვა რელიგიების წარმომადგენლებზე პატრების ზემოქმედების შეზღუდვა არ ვრცელდებოდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ შაჰაბას I-ის მიერ 1611 წელს ქართველი ელჩებისათვის საჯაროდ მიცემული დარიგება-ბრძანება, რომელის შესახებ გვამცნო პატრმა გრეგორიო თრსინმა<sup>1</sup>. ირანის შაჰებისათვის მართლმადიდებლობა, ზოგადად, და მართლმადიდებელი ქვეწების მფარველის პრეტენზიის მქონე მოსკოვის სახელმწიფო განუზომლად საშიში იყო, ვიდრე ირანსა და საქართველოს-გან შორს არსებული ევროპის კათოლიკური სახელმწიფოები. ისინი აღმოსავლეთ საქართველო-ირანის ურთიერთობაში ვერ ჩაერცოდნენ და ამგვარ სურვილს არც ამჟღავნებდნენ. მოსკოვის რუსეთი კი ახლო იყო ირანის ვასალ ქართულ სახელმწიფოებთან და ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს გამოდიოდა ერთმორწმუნე ქართველების დამცველად, რაც შაჰის კარის შეშფოთებას იწვევდა.

ირანის იმპერიაში კათოლიკობისადმი ასეთმა მიდგომამ შესაბამისი გავლენა მოახდინა მართლმადიდებლებისა და გრიგორიანელების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმსარებლობაზე.

<sup>1</sup> ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბადუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ებანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991.

ის ქართველი მართლმადიდებლები, რომლებიც ქართველი ეპლესიის გავლენის სფეროში არ იყვნენ და ირანში ან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, იმის გამო, რომ იქ მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები არ ფუნქციონირებდა, ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იძულებული იყვნენ სომხურ-გრიგორიანული ან კათოლიკური ეკლესიების მრევლი ყოფილიყვნენ. ამას თანდათანობით პირადად მათი და მათი შთამომავლების „გასომხება“ ან „გაფრანგება“ მოხდევდა. ირანის ეკონომიკაში სომხური მოსახლეობა სერიოზულ როლს ასრულებდა და მისი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი იყო. აღნიშვნულიდან გამომდინარე ირანის შაჰები სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას მფარველობდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ირანში არსებობდა მრავალი კათოლიკური ეკლესია, რომლებიც კათოლიკობის პროპაგანდას ეწეოდნენ. როგორც ითქვა, ირანის ხელისუფლება და შიიტური სამღვდელოება კრძალავდა მაშმადიანებში კათოლიკურ პროპაგანდას. ამიტომ მისიონერებმა ყურადღება ირანში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანებზე გადაიტანეს.

3. როგორც აღინიშნა, ვახტანგ V შაჰნავაზმა მთელი თავისი მეფობა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში გაატარა. ის ხან იმერეთის ხან კი კახეთის შემოერთებას ლამობდა და პერიოდულად სერიოზულ წარმატებებსაც აღწევდა<sup>1</sup>. ქაშფინის შიგნით მის ამგარ საქმიანობას ირანი და ოსმალეთი თვალყურს ადევნებდნენ და ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოებას ეწინააღმდეგბოდნენ. ვახტანგ მე-

<sup>1</sup> ვახტანგ V-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე იხ. გვრიტიშვილი დ. საქართველოს პოლიტიკური მდგრამარეობა XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დამდევნებულ წარმატებებსაც საქართველოს იხტორიიდან, II, თბილისი, 1965, გვ. 434-451; კაჭარავა დ., ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის // ქართველი სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის იხტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 129-133.

ფე, ირანის შაპის ვასალი იყო, მაგრამ ის „უყოფმანოდ როდი ასრულებდა ირანის ხელმწიფის ბრძანებებს“, – როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ფრანგი დამკვირვებელი ქან შარდენი<sup>1</sup>.

განსხვავბული იყო შაპნავაზის მდგომარეობა საგარეო ურთიერთობებში. ქან შარდენის სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე ვახტანგ V ცდილობდა სხვა სახელმწიფოებთან, რომლებთანაც ირანს სასურველი ურთიერთობა არ ჰქონდა, მტკიცედ დაეცვა სუბორდინაცია და შაპთან შეთანხმების გარშე თვიციალურ დონეზე მაინც მორიდებოდა მათთან კონტაქტებს. ისიც ნათელია, რომ მეფეს დიდი სურვილი ჰქონდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოებთან, კერძოდ, საფრანგეთთან, რეს პოსპოლიტასთან. საფრანგეთთან სავაჭრო კონტაქტი თვიციალურ დონეზე ქართლის მეფისათვის სახიფათო იყო თუნდაც იმიტომ, რომ ეს სახელმწიფო ეკონიმიკურ კავშირში იმყოფებოდა ირანის საუკუნოვან მოწინააღმდეგებე თსმალეთის იმპერიასთან. მართლია, როგორც აღინიშნა, ირანში ფრანგი ვაჭრები სხვა ქაეყნების ვაჭრების თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ ჩაფენებული, მაგრამ შაპის კარი აუცილებლად გაითვალისწინებდა ირანისათვის არასასურველ საფრანგეთ-თსმალეთის ურთიერთობას. ეს გარემოება აფერხებდა ირან-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, თუმცა ორივე მხრიდან იყო ამგვარი მცდელობა დიპლომატიურ დონეზე, რაც ვახტანგ შაპნავაზის მეფობას დაემთხვა.

საფრანგეთის მომაფალმა ფინანსთა მინისტრმა ქან ბატისტ კოლბერმა, 1664 წელს, როდესაც ის ჯერ კიდევ სახე-

<sup>1</sup> შარდენი, მოგ ზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიუმიში, თბილისი, 1975, გვ. 277.

ლმწიფო მშენებლობებისა და მანუფაქტურების სიურინგენ-დანგი იყო, ირანში შაპ-აბას II-სთან ორი ფრანგი აგენტი გაგზავნა და ლუ XIV-ის წერილი გაატანა. საფრანგეთის მეფე შაპს თხოვდა ირანის სამფლობელოებში კათოლიკებისა და საფრანგეთის წარმონადგენლების მფარველობას. შაპმა ფრანგ ვაჭრებს დაუდასტურა ადრე ნაბოძები უფლებები, ხოლო ისპანები და ბენდერ-აბასში ფაქტორიების დაარსების უფლება მისცა, საფრანგეთის კომპანიის საქონელი საბაჟო გადასახადისაგან გაათავისუფლა იმ პირობით, თუ ის ეო-ველწლიურად შაპის ხაზინაში 300 ათას ლივრს შეიტანდა<sup>1</sup>. ასე, რომ ირან-საფრანგეთის ურთიერთობა ჯერ კიდევ საფლოოდ გარკვეული არ იყო, რაც ქართლის მეფეს საფრანგეთთან ოფიციალური კონტაქტისაგან თავშეკავებას აიძულებდა. საფრანგეთს კი საკუთარი მიზნები პქონდა საქართველოს მიმართ.

კაპუცინთა მისიონის პრეფექტი პატრი სერაფინო და მელიკოკა, რომელიც 1650 წლიდან თითქმის 24 წლის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა, წერდა, რომ კაპუცინთა ორდენის საქართველოში დამკვიდრებით ფრანგ ვაჭრებს თავიანთი საქმიანობა გაუადგილდებოდათ: „მათ სურთ სავაჭრო გზა გაკვალონ შავი ზღვით სამეგრელომდე, აქედან აღმოსავლეთ საქართველოს გავლით ირანამდე“<sup>2</sup>.

რაც შეეხებოდა რეჩ პოსპოლიტასთან დიპლომატიურ კონტაქტებს, აქ მდგომარეობა სრულიად განსხვავებული

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 235.

<sup>2</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I, ff. 162-168. ციტირებულია: პაპა შეილი მ., გამგზარდაშვილი ზ., ერთი უცნობი წერტ საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები) // ელდარ მამისთვალიშვილი - 75, თბილისი, 2015, გვ. 514.

იყო<sup>1</sup>. ირანი და რეჩ პოსპოლიტა თვითონ მიისწრაფოდენენ ანტიოსმალური სამხედრო კავშირის შეკვრისა და საგაჭრო ურთიერთობის გაფართოებისაკენ.

\*\*\*

ქართლის მეფე ცდილობდა ირანის ევროპასთან ურთიერთობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის მოერგო, უპირველეს ყოვლისა ირანთან ერთად ევროპასთან ვაჭრობაში ჩაბმულიყო. საფეიქრო მრეწველობის განვითარებული ევროპის ქვეყნებისათვის ქართული საქონლიდან განსაკუთრებით საინტერესო საქართველოს მთავარი სიმდიდრე, როგორც კათოლიკე მისიონერი მელშიორ დუშ ანჟუსი წერდა, იყო აბრეშუმი<sup>2</sup>. ქართული აბრეშუმი საერთაშორისო ბაზრებზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის გზით ხვდებოდა. რაც მის გაძვირებას იწვევდა.

XVI საუბუნის 60-იან წლებში ინგლისელმა ვაჭრებმა, კერძოდ, „მოსკოვის კომპანიის“<sup>3</sup> წარმომადგენლებმა განიზრა-

<sup>1</sup> საქართველო-რეჩ პოსპოლიტას ურთიერთობაზე XVII ს. პირველ ნახევარში ი. მამისთვალიშვილი ქ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 612-633.

<sup>2</sup> ლუის ბილი ფერნანდესი, ი. ტაბადუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ებაანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მაღრიფი, 1991, 376, №43. Костомаров Н. И. Очерк Торговли Московского государства в XVI и XVII Столетиях. С.-Петербург, 1862.

<sup>3</sup> რადგან ებაანელებსა და პორტუგალიელებს მონოპოლიზირებული პქმნდათ აღმოსავლეთის საზღვაო გზები, ინგლისელმა ვაჭრებმა განიზრახეს სკანდინავიის შემოვლით თეთრ ზღვაში შესულიყვნენ და რუსების გავლით ირანს, ჩინეთსა და ინდოეთს დაკავშირებოდნენ.

1551 წელს ხებახტიან კაბოტმა, რიჩარდ ჩენსლორმა და ხერ ჰიუ უილობიმ დაარსეს კომპანია, რომელსაც უნდა მოგეძინა

ხეს იმ გზების შესწავლა, რომლითაც საქართველოში შესვლა და ქართული აბრეშუმის პირველი ხელიდან შეძენა შეიძლებოდა.

აღნიშნული კომპანიის აგენტი არტურ ედუარდსი, რომელმაც 1565-1567 წლებში ირანის სამფლობელოებში იმოგზაურა, აღნიშნავდა აბრეშუმის სიუხვეზე გილიანში, შირვანში, არაშსა და საქართველოში. ედუარდსის თქმით, შემახაში ერთი ირანული ბათმანი<sup>1</sup> ნედლი აბრეშუმის შეძენა შეიძლებოდა 66-70 ჰასად<sup>2</sup>. ზოგჯერ იგივე რაოდენობის ნედლი აბრეშუმის შეძენა შეიძლებოდა 60 ჰექსად. მისი გადაცვლა შეიძლებოდა, აგრეთვე, ეკროპულ საქონელზე, მაგალითად,

---

ჩრდილო-აღმოსავლეთის გზა ჩინეთისაკენ. წარუმატებელი საზღვაო კქსპედიციის დროს დაიღუპა უილობი, ხოლო ჩენელერმა თეთრ ზღვამდე და 1555 წელს მოსკოვამდე მიაღწია. ის იგანგ IV მრისხანებ მიიღო. ამ წარმატების შემდეგ დაარსდა „მოსკოვის კომპანია“, რომელსაც დედოფლალმა მარია ტიუდორმა მიხცა რუსეთის გაჭრობის პატენტი.

1555 წელს იგანგ IV-მ კომპანიას მიხცა შედაგათიანი ხიველი, რომლითაც მას უფლება ეძლეოდა რუსეთის ხახელმწიფოს ტერიტორიაზე კვაჭრა ბაჟის გარეშე, სხვადასხვა ქალაქებში პქონებოდა ქარგახლები და სხვ.

კომპანიამ მოაწეო რამდენიმე კქსპედიცია ჩინეთისა და ირანის მიმართულებით საკაჭრო გზის გახახენელად, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად ამისა სხვა არც ერთ უცხოელს, თუნდაც ინგლისელს, კომპანიის არაწევრს არ შეეძლო რუსეთზე გავლით ემოგზაურა ჩინეთში, ირანში, ბუხარასა და ინდოეთში. კომპანიის პრივატულები პერიოდულად იზრდებოდა და მცირდებოდა. 1698 წელს პეტერ I-მა კომპანიას პრივატულები გაუუქმა. კომპანიამ რუსეთში საქმიანობა შეწყვიტა 1808 წელს. *Костомаров Н. И., Очерк Торговли Московского государства в XVI и XVII столетиях, С-Петербург, 1862.*

<sup>1</sup> ბათმანი (მარცვლეულის, ფქვილის საწყაო, დაახლოებით ხახევარ ფუთამდე) –  $6^{1/2}$  ფუხტი.

<sup>2</sup> ჰასი – 6 ინგლისური პენი.

კარაზეიზე – შალის უხეშ ქსოვილზე: 60 თოფი კარაზე 70 ბათმან ირანულ აბრეშუმზე და 40 თოფ ქართულ აბრეშუმზე<sup>1</sup>.

საქართველოს აბრეშუმის შესახებ წერს იმავე კომპანიის სხვა აგენტი ჯეფრი დეკეტი, რომელმაც ირანში იმოგზაურა 1568-1572 წლებში: „არაშიდან (არეში – ე.მ.) სამი დღის სავალზე მდებარეობს ქვეყანა, სახელად საქართველო, რომლის მცხოვრები ქრისტიანები არიან... იქაც ბევრი აბრეშუმი იყიდება“<sup>2</sup>.

ქართული აბრეშუმის ირანისა და კავკასიის აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრში – ალეპოში, ე.ი. ოსმალეთის სახელმწიფოში გაცანაში მთავარ როლს თამაშობდნენ ჯულფელი სომეხი ვაჭრები. როგორც აღინიშნა, სხვადასხვა ხელში გადასული საქონლის დირებულება იზრდებოდა, რაც ევროპელი ვაჭრებისათვის არახელსაყრელი იყო. ისინი დაინტერესებული იყვნენ უშუალოდ დაკავშირებოდნენ აბრეშუმის მწარმოებელ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს.

ზემოხსენებული არტურ ედუარდისის მიერ 1566 წლის 26 აპრილს შემახიდან გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაზაფხულზე ამ ქალაქში ნედლი აბრერეშუმის შეძენა შეიძლება მხოლოდ მცირე რაოდენობით. „მისი შოვნა შეიძლება საქართველოში, მაგრამ მის შესასყიდად ხალხის გაგზავნა ვარ შევძელით, – წერს ედუარდისი, – რადგან თავიდანვე დავგარგეთ დრო. როცა ჩვენ გვეყოლება წარმომადგენლები, რომლებიც შეძლებენ მთელი გაზაფხულის განმავლობაში აქ დარჩენას, მაშინ შესაძლებლობა გვექნება შევისყიდოთ პირ-

<sup>1</sup> Английские путешественники в Московском государстве. Перевод с английского Ю. В. Готье, Ленинград, 1937, с. 223-224, 226, 229.

<sup>2</sup> Английские путешественники в Московском государстве, с. 255.

ველი ხელიდან, უშუალოდ სოფლელებისგან, რომლებსაც მოაქვთ გასაყიდი აქაც და სხვა ადგილებშიც<sup>1</sup>.

„მოსკოვის კომპანიის“ წარმომადგენელი იყო ენტონი ჯენკინსონი, რომელმაც მცდელობა არ დააკლო კომპანიის საქართველოსთან დაკავშირებას და აბრეშუმის გატანის მოგვარებას, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ვერ შეძლო<sup>2</sup>, არა მხოლოდ მან, არამედ, საერთოდ, კომპანიამაც რუსეთში თავისი სავაჭრო საქმიანობის მთელ მანძილზე.

დასავლეთის ქვეყნებთან ირანის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების საკითხი შაპ-აბას I-მა გააქტიურა ოსმალეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალით ბრძოლის პარალელურად. ირან-დასავლეთევროპის სავაჭრო ურთიერთობიდან ოსმალეთის გამოთიშვა შაპ-აბასმა თავისი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად გადააქცია<sup>3</sup>.

დასვლეთ ევროპელ სხვა ვაჭრებთან ერთად ირანში ფრანგი ვაჭრებიც მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და 1629 წლისათვის ამ ქვეყანაში ორი ათასამდე ფრანგი ვაჭარი იმყოფებოდა. ევროპაში მათ უმეტესწილად ნედლი აბრეშუმი გაჰქონდათ. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ირანის სამფლობელოებში გროვდებოდა 2,5 მილიონიდან 4,3 მილიონამდე ფუნტი აბრეშუმი. ადამ ოლიარიუსის მიხედვით, გილიანიდან ირანში შედიოდა 8 ათასი საპალნე, შირვანიდან – 3 ათასი, ხორასანიდან – 3 ათასი, მაზანდარე – რანიდან – 2 ათასი. ოლეარიუსი რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ ადნიშნავს ასევე აბრეშუმით მდიდარი საქართველოს, საიდანც ირანში ეს საქონელი ნედლეულის სახით შედიოდა.

<sup>1</sup> Hacluyt R., *Voiages. In eight volumes, v, II // Introduction by John Masefield, New York, 1962, p. 38.*

<sup>2</sup> *ob.* მამისთვალიშვილი კ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 178-182.

<sup>3</sup> *ob.* მამისთვალიშვილი კ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 33-37.

ამ საქონლიდან ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რჩებოდა მხოლოდ 1000 საპალნე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленое секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва, 1869, с. 791, 890-891. ოლეარიუსი ისპააბში მოვაჭრეთა შორის (ირანელების გარდა, ინდოელები, თათრები – ხვარაზმიდან, ჩინეთიდან და ბუხარიდან, თურქები, ებრაელები, სომხები, ქართველები, უკროპელები – ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები, იტალიელები, ესპანელები) რომლებიც ვაჭრობდნენ ბითუმად და ცალობით (c. 728). პასენაბათში ყოფილა საქართველოდან წაყვანილი ქრისტიანი ქართველების დასახლება, რომლის მოსახლენი ცნობილი ვაჭრები იყვნენ. ისინი თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მხარეში დაიარებოდნენ (c. 731-732). ქართველების კომერციულ გაქანებაზე მეტყველებს ლილიარიუსის მიერ მოთხოვნილი ერთი ამბავი: როგორც მისთვის უმშიათ შაპ-აბასის დროს ერთ ქართველ ვაჭარს ვენეციიდან ისპაანსი ჩაუყვანია რამდენიმე ინდაური. მას თითოეულ ინდაურში უხდიდნენ იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხას – ერთ თვემანს, რაც უდრიდა 16 რეიხსგალერს (c. 784).

ნიკოლას ვიტსენიც ყურადღებას ამახვილებს ქართველ ვაჭრებსა და მათი აბრეშუმით ვაჭრობაზე: „ქართველებს უყარო მოგზაურობა და ისინი არიან დიდი ვაჭრები“, „თბილისში... მრავლად ვაჭრობენ აბრეშუმით“. ნიკოლას ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი, გვ. 158. იმავე ავტორის ვადმოცემით, „ისპაანის, ირანის დედაქალაქის, ვარეუბანში ცხოვრობს მრავალი ქართველი ქრისტიანი... ისინი მხევილი ვაჭრები არიან“. ნიკოლას ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო, გვ. 218. კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობის მიხედვით, რომელიც თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთში მეფობის პერიოდს ასახავს, „თუმცურაზს შეუძლია წელიწადში პჭონდეს შემოსავალი 1000 ფუთი აბრეშუმის რაოდენობის“. ნიკოლას ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო, გვ. 195.

ფრანგებს აწუხებდათ ის გარემოება, რომ შაპის მიერ გატარებული პოლიტიკის გამო მოხდა სავაჭრო საქარავნო გზების გადადგილება, რამაც შეასუსტა მნიშვნელობა ხმელთაშუა ზღვისა, სადაც ისინი თავს უფრო თავისუფლად და ძლიერად გრძნობდნენ. ოსმალეთის სამფლობელოებზე გამავალი ალეპოს გზის აფრიკის გარშემოვლით გადანაცვლებით ფრანგი ვაჭრები, აგრეთვე, უპირისპირდებოდნენ ინგლისელ და პოლანდიელ ვაჭრებს<sup>1</sup>. მაშასადამე მათთვის მნიშვნელოვანი იყო ახალი გზის ათვისება, რომლითაც შედარებით მცირე ხანში და დაუბრკოლებლად შეძლებდნენ ხმალთაშუა ზღვის მთავარ საპორტო და საფეიქრო ქალაქთან – მარსელთან დაკავშირებას.

4. თბილელმა ეპისკოპოსმა შაპნავაზის დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს კაპუცინები კარგად მიიღო, რაც მეფის კათოლიკე მისიონერებისადმი პრაგმატულ განწყობილებას შეესაბამისებოდა. მას პირად ექიმებად, თითქმის ყოველთვის კათოლიკები ჰყავდა. წარმოშობით ქიოსელი ბერძენი ექიმი ანდრია ეპიფანე, კაპუცინების თბილისში მოსავლის დროს მეფეს იმერეთში ახლდა. მოგვიანებით მას ისევ ჰყავდა კათოლიკე ექიმი ადამი, წარმოშობით პოლონელი, რომელზეც ქვემოთ კიდევ ვიტყვი.

ვახტანგ მეფემ მისიონერებს თბილისის ცენტრში ორი სახლი უყიდა და საჩუქრად გადასცა: ერთი სახლი – საცხოვრებლად, მეორე კი – წირვა-ლოცვისათვის. კაპუცინების მისიონის უფროსი გახდა პატრი სერაფინო მელიკოვაკელი. მას შემდეგ, რაც მისიონერები თბილისში მოეწყნენ, სერაფინომ რომის პროპაგანდას წერილობით აცნობა მისიონის ჩამოყალიბების, ქართლის მეფის, დედოფლისა და სხვა დიდებულებისაგან კარგად მოპყრობის და, საერთოდ, მოსახლეობის მხრივ დიდი უურადღების შესახებ. სერაფინო ოპტიმისტურად

<sup>1</sup> ვრცლად: Жордания Г., Очерки из истории Франко-Русских отношений, ч. II, Тбилиси, 1959, с. 83-96.

აფასებდა მისიონის შემდგომ საქმიანობას ქართლის სამეფო-ში და თავის ერთ-ერთ წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „როდესაც კარგად შევისწავლით ქართულს ენას და ქადაგებას შევიძლებთ, იმედი მაქვს, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღოს ჩვენმა შრომამ, რაღვან კაი გულის ხალხია; კაი მაგალითით და მოძღვრებით ადგილათ მიიღებენ კათოლიკე სარწმუნოებას“<sup>1</sup>.

იმავე პერიოდში (1663 წ. 7 ივლისი) შპავაზების ექიმის ანდრია ეპიფანეს მიერ რომში გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ მეფის კაპუცინებისადმი გულთბილი დამოკიდებულება მხოლოდ ანდრია ეპიფანეს დამსახურება ყოფილა. ეპიფანეს წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ მეფეს კაპუცინებისათვის საცხოვრებელი სახლი და მიწა უჩუქებია და პატარა ეკლესია კი, თავიანთი ხარჯით აუშენებიათ. ეპიფანე კაპუცინებს ქართულ მეტყველებას და წერას ასწავლიდა და ამით შორს მიმავალი მიზნების განხორციელება უნდოდა. „პატრები იმდენად რა შეისწავლიან ქართულ ენას, რომ ქართველ ძღვდელ-მონა ზენებთან შვიდ საიდუმლოებათა შესახებ საუბარს შეიძლებენ, მოკლე წიგნს შევუდგენ ამ საიდუმლოთა შესახებ. ამ წიგნში განხავუთრებით აღვნიშნავ კოველ შეცომას, რომელსაც სხადიან ქართველები ამ საიდუმლოთა აღსრულების დროს, შეცდომებს კუსწოდებ და თანაც გახსაგლი, როგორ უნდა შეასრულონ სისტორით... უკვიუ თქვენს უძალესობას სასიამოვნოდ დაურჩება, [წიგნს] გამოვგზავნი, რათა დააბუჭდინოთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> თამარა შვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223-224.

<sup>2</sup> იქვე გვ. 225. სერაფინო მელიკოვალი რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (1664 წ. 20 მაისი), ისევე როგორც სხვა წერილებში, კაპუცინების მეთაურს თხოვს ქართლის მეფის, სამეფო ქარის დიდებულებისა და იერარქებისათვის საჩუქრები გამოგზავნოს. მაგრამ განხავუთრებით საინტერესოა, რომ სერაფინო

სერაფინო მელიკოვამ 1664 წ. 5 ოქტომბერს რომში გაგზავნა ორი წერილი, ერთში მოცემული იყო ანგარიში თავისი მისიონის მუშაობის შესახებ, მეორე კი მეფე ვახტანგის ეპისტოლე პაპ ალექსანდრე VII-სთან. ეპისტოლეს შინაარსი არ ვიცით, მაგრამ მეფეს, რომ რაღაც სათხოვარი ჰქონდა პაპთან, ჩანს სერაფინოს წერილიდან. ქართულად ნაწერი ეპისტოლე ლათინურად უთარგმნია ეპიფანეს. სერაფინო შაპნავაზს დადებითად ახასიათებს და აღნიშნავს, რომ „ეს ქართველი მეფე თუმცა გამამადიანებული ქართველია, მაინც თავის ქვეყანაში დიდის სიკუარულით მიგვიღო, მოგვცა ორი სახლი, ერთი საეკლესიოდ და ერთი ჩვენთვის ბინად, კაის თვალით გვიყურებს, ხშირად თავის სახლში გვიწვევს და ქართველ ბერებზე უკეთესად მივაჩნივართ. ჩვენის უნეტარების პაპი ალექსანდრეს (VII) დიდი პატივისცემა აქვს. ჩვენ უკელაფერი კუთხით მიხი. კიდეც მოსწერა წიგნი, რომელსაც თქვენი უმაღლესობა ნახავს ამ წერილთან ერთად. სხვა რამეც დაგვაბარა და უკელაფერს პატრი კარლო მოგახსენებსთ. გევეღრებით აუსრულო მიხი სათხოვარი, რადგან მთელს ჩვენს მისიონს დიდს სარგებელს მოუტანს. ამ მეფეს საქართველოს უდიდესი მთავრებიც ემორჩილებიან. მიხი დიდი პატივისცემა აქვსთ და ეშინიათ კიდევაც მიხი, თუ მიხი სიმდიდრისა და თუ მიხი ძლიერების გამო“<sup>1</sup>.

პატრი კარლოს სერაფინე მელიკოვაელის დავალებით პროპაგანდა ფიდეში დაუყენებია საკითხი 15-20 წლის ორი ქართველი ახალგაზრდის რომის ურბანოს კოლეგიაში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ, რაზეც თანხმობა მიუღია<sup>2</sup>.

ითხოვს მისიონერ-ინჟინერ-მექანიკოსის გამოგზავნას, რომელიც მოაწყობდა ისეთ წისქვილებს, როგორიც რომში იყო. იქვე გვ. 226-227.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 227-228.

<sup>2</sup> გვაქვს რამდენიმე ცნობა ახალგაზრდების საქართველოდან რომ-ში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. იხ. ქვემოთ.

კარლოს ოთხი ახალი მისიონერი გამოაყოლეს და გამოისტუმრეს. მას შაპნავაზთან წერილიც გამოატანეს, რომელშიც პროპაგანდა მას დიდ მადლობას უხდიდა მისიონერების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის<sup>1</sup>.

5. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კაპუცინები რომს განუწყვეტლივ თხოვდნენ შემწეობას, მაგრამ დაპირების მეტს ვერაფერს იღებდნენ. 1666 წ. 20 დეკემბერს რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო ერთი, განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოების შესახებ, რომლითაც თბილისელი კაპუცინები ცდილობდნენ მიეღწიათ თავიანთი საქმიანობისადმი კარდინალების ყურადღებას, რათა რომიდან აუცილებელი თანხები გამოეგზავნათ. „დიდის გულმრდვინებით კვეყდრებით თქვენს უძალლებობას, მოგვცემ რაიმე შემწეობა ამ საბრალო მისიონისათვის, რომელიც აღმოხავდეთის მიხიონებში კვლაბე უფრო ნაყოფიერია... პატრი გაბრიელს და კველა პატრებს ამ დროს მოლაპარაკება აქვსთ საქართველოს კულების ლათინის ეკლესიასთან შეერთების შესახებ. იმედია, ცოტა ხანში დიდი სარგებელი მოვიტანოთ. ამიტომ ნუ ინებეთ, ამდენმა შრომამ ფუჭად ჩაგვიაროს. იქნე ქრისტეს წყლულების პატივისათვის გვკვდრები, შეეწიოთ ამ მიხიონები, რადგან თუ არ თქვენის შემწეობით, შეუძლებელია აქ ცხოვრება...“ ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების შესახებ რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, პატრი კარლოს მიუწერია კაპუცინების მეთაურისთვისაც<sup>2</sup>. მაგრამ ვერც წერილებმა და ვერც პირადმა თხოვნამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რაც შესხება ქართული ეკლესიის რომთან შეერთების შესახებ მოლაპარაკებას, როგორც შემდეგში გამოჩნდება, პატრების მიერ იყო მოგონილი რომის კარდინალების მისიონისათვის დასახმარენლად გააქტიურებისათვის. რომში გაგზავნილი მაშინდელი წერილებიდან ისიც

<sup>1</sup> იქვე, გვ. 230-232.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 233

ჩანს, რომ მისიონერები ზოგიერთ წარმატებასთან ერთად როგორ დისკომფორტს განიცდიდნენ ადგილობრივი მართლ-მადიდებელი მოსახლეობისათვის მიუდებელი აღმსარებლო-ბის პროპაგანდის გამო თბილისა და გორში<sup>1</sup>.

6. პატრებს, რომ პრაგმატული მოსაზრებით იომენდნენ საქართველოს სხვა ადგილებშიც, კარგად ჩანს იმერეთის მე-ფე ბაგრატის წერილიდან: „ქ მეფე ბაგრატ ვიკადრებ მებ-ტუმროვო (სიც). ჩვენ მაგიერად ფრანგსა პატრი სერაფიონს და მის ამხანაგებს მრავალნი მოკითხვა მოგახსენეთ. აწე თუ ჩვენი თავი უნდათ ორიოდე კარგი მეცნიერი და კაი აქიმი პატრი მათის კაი საქიმო წამლებით და წიგნებითა მოვიდენ და დგომით ვეცდებით, რომ ალაგიც გაუჩინოთ და სარჩოს საქმეც გაურიგოთ და როგორიც წიგნიც უნდოდეთ იმისთანა წიგნიც რომის პაპს მიუწეროთ. სიკეთის მეტი ამ ქვეყანას მაგათ არა უშამხ რა ეხემცა არ გიქნიათ რომე არ წამოხვი-დეთ“. ასეთივე შინაარსისად რაჭის ერისთავის შოშიტას წე-რილი გაგზავნილი იმავე სერაფინოსადმი<sup>2</sup>. ისეთი შთაბეჭდი-ლება იქმნება, რომ ორივე წერილი – მეფისა და ერისთავისა, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ერთი და იგივე პირის დაწერილი უნდა იყოს. მეფეც და ერისთავიც კაპუცინებს გა-სამრჯელოსთან ერთად პპირდებიან პაპთან ისეთი წერილი გაუგზავნონ, რა თქმა უნდა, მათი საქებარი, როგორსაც ისი-ნი ისურვებდნენ. მეფე ან ერისთავი პირებელ რიგში პაპსა და მის კურიას, მისიონერების უშუალო ხელმძღვანელებს რომში აცნობებდნენ მათი წარმომადგენლების კეთილსინდისიერების და იმ ეკონომიკური შეჭირვების შესახებ, რასაც ისინი განი-ცდიდნენ რომიდან უყურადღებობის გამო. იქვე აუცილებლად იქნებოდა თხოვნა მათდამი ვისაც ეხებოდა, რომ სასწრაფო და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 2343-236; მამისთვალიშვილი ქ., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბილისი, 1994, გვ. 304-336.

<sup>2</sup> თამარაშვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 244.

ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ მისიონერებისათვის. ამგარი პათოსითაა დაწერილი შაპნავაზის 1675 წლის ივლისის წერილი, რომლის ერთ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტს ქვემოთ გავუცნობით.

დაგვიანებული შემწეობით შეწუხებულმა კაპუცინებმა პატრი რაფაელი გაგზავნეს რომში და წერილები გაატანეს. მათ შორის იყო შაპნავაზის ორი წერილი, ერთი პაპის, მეორე კი კაპუცინების გენერლისათვის.

შევე პაპ კლემენტე X-ს სწერდა, როგორ მიიღო თავის სამეფოში კაპუცინები, როგორ შეუწყო ხელი, მაშინ როდესაც მათ რომიდან არავითარ უურადღერებას არ აქცევენ. „ამდენი ხანია აქ არიან არც ჯამაგირი მოუკიდათ, აღარც თქმენი წყალობა. ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რამე და არ მოუკიდა. თუ არ მოიგონეთ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყეთ სადაც სხუაგან, ან ისპაანს და თავრეზე, სადაც გარეშემოში თქვენის ხახლით დადგენილი პატრები არიან, კვლას წერლიწადში ჯამაგირი მოუკა. ამათ ხუთი წელიწადია არა მოსვლია რა, თუ ჩუენს ქუეყანას ყოფისათვის არას უგზავნით და არას ნადგლობით, ჩუენც არ დაგაყენებთ, საყდარს ისევ დაგუქცევთ და ამათ გამოყრით, თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ როგორც ხელა აღაგის დგომს პატრებს აქუს<sup>1</sup> და ეს პატრი რაფაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩუენის ქუეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და კველანი ეწყობიან და უუელას სიყვარული აქუს ამისი და თქუენის ხახლისათვის დიდათ ხჯობს ამის აქ ყოფა“ ასეთივე შინაარსისაა და ასეთივე

<sup>1</sup> როგორც მ. თამარაშვილი წერდა, პროპაგანდამ საქართველოში იმიტომ გამოგზავნა კაპუცინებული ბერები, რომ ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი დატაკი ცხოვრებით, მაგრამ მათ ვერ გაამართლეს კონგრეგაციის იმედი. იქვე გვ. 618.

ტონითად დაწერილი შაპნაგაზის წერილი კაპუცინების გენერალ პატრ ბონვენტურა ლეკარტისადმი<sup>1</sup>.

7. როგორც აღინიშნა, საინტერესო ცნობები დაგვიტოვა შაპნაგაზის მეფობის დროინდელ საქართველოსა და თვით მეფეზე XVII საუკუნის ფრანგმა მოგზაურმა უან შარდენმა. იგი პირადად შეხვდა მეფეს 1673 წლის 16 თებერვალს. გამოთხოვებისას მეფემ სტუმარს პიოთხა: როგორ ბრძანდება ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფე. ფრანგი ფრიად გააკვირვა ქართველი მეფის მიერ ესპანეთის მეფის მოკითხვამ და იფიქრა, რომ მეფემ თავი მოიწონა სტუმრის წინაშე ან შეიძლება კაპუცინების „პრეფექტის პატივსაცემად, რომელიც მისი კათოლიკურ უბრწყინვალესობის (ესპანეთის მეფის – ე.მ.) ქვეშეკრდომი იყო“.

ვახტანგ V-ის მიერ დასმულმა კითხვამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შარდენზე, რომ როგორც ის აღნიშნავდა, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გაიხსენა, რომ როგორც მრავალი ავტორი ფიქრობდა, ესპანელები წარმოშობით კავკასიელი იბერიილები იყვნენ. კაპუცინებს შარდენისათვის დამატებით უთქვამო, პაპ კლიმენტი VIII-მ თეიმურაზისათვის (თეიმურაზ I) გაგზავნილ წერილებში ქართველი მეფე ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის ნათესავად, ხოლო იბერიილები და ესპანელები ძმებად მოიხსენიათ. „ამის გამო თეიმურაზი, ხოლო მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაუზინებით იჩქმებენ ამ მოვონილ ნათესაობასო“<sup>2</sup>. ფრანგი მოგზაურისათვის კაპუცინების ნათქვამი სიმართლეს არ შეეფერებოდა. ქართველებისა და ესპანელების ნათესაობა რომ ქართველების აჩემება არ იყო და, ანტიკური ავტორებიდან მოყოლებული, საყოველთაოდ აღიარებდნენ და ქართველებიც იგივეს იმეორებდნენ, ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ მოკლედ უნდა გა-

<sup>1</sup> ოქტო, გვ. 246-247.

<sup>2</sup> შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის ხევა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 349-350

ვისესენოთ ის რაც იცოდნენ საქართველოში ესპანეთის შესახებ. ამის თქმის შესაძლებლობას XV საუკუნემდე ცნობების სიმცირე არ იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა პაგიოგრაფიულმა მწერლობამ ერთადერთი ცნობა შემოგვინახა გიორგი მთაწმინდელის იოვანე მთაწმინდელის „ცხოვრებაში“. მასში ვკითხულობთ: „შემდგომად ოორნიკის [ერის-თავის] მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამან ჩუენმან იოვანე, რამთა აღიღოს დე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და იჯლტოდის სპანიად – რამეთუ პირველითგანვე უძნდა შუღლიანობა და შფოთი, გარნა თავს ედვა მუნ უამამდე თოორნიკის აშენებისათვს და რამთა შეიძინოს სული მისი, – რამეთუ ასმიოდა, კითარმედ ქართველი არამცირედინი ნათესავნი და ერნი მკვდრნ არიან მუნ, და ამის პირისათვს წარვიდა აფიდოსამდე“<sup>1</sup>. ეს ერთადერთი გადმოცემაც კი მრავლის მთქმელია იმისა, თუ როგორი წარმოდგენა არსებობდე პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობაზე ადრე შეა საუკუნეების ქართველ მოდგაწეთა ცნობიერებაში.

ესპანეთში და, ზოგადად, დასავლეთ ევროპაში განსაკუთრებით უნდა გაცხოველებულიყო ინტერესი საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის მიმართ და საქართველოში კი ევროპის მიმართ, ოსმალების მიერ ბიზანტიის იმპერიის მოსპობის შემდეგ.

ეან შარდენის მიერ დატოვილი რამდენიმე წინადაღება არის კიდევ ერთი მინიშნება, რომ საქართველოში ახსოვდათ არა მხოლოდ პერიდოტებს ის გადმოცემა პირენეის და კავკა-

<sup>1</sup> ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთზმესი და უწყებად დირსისა მის მოქალაქობისა მათისად. აღწერილი გლახა-ისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV ს.), თბილისი, 1967, გვ. 54; მამისთვალიშვილი კ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014, გვ. 58-60.

სიის იბერების ნათესაობის შესახებ, არამედ საქმის კურსში იყვნენ იმ დიპლომატიური ურთიერთობებისა, რაც საქროვე-ლოსა და ესპანეთს შორის არსებობდა საუკუნეების მანძილზე. სამწუხაროდ, მოღწეულია მხოლოდ ამ ურთიერთობის ამსახველი ფრაგმენტული ცნობები. შეიძლება გავიხსენოთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ორი ისტორიული ფაქტი: ესპანეთის და ქართლის სამეფოს პოლიტიკოსების მიერ ერთმანეთის სახელმწიფოებზე ინფორმაციის ქონაზე მიუთი-ოებს ესპანეთის ელჩის მარტინ დიას დე აუქსესის მოსვლა ქართლში კონსტანტინე II-ის (1478-1505) დროს და ქართლის მეფის მიერ საპასუხო ელჩობის გაგზავნა მაღრიდში ძმა ნი-ლოს და ძმა ზაქარიას მეთაურობით<sup>1</sup>.

XVII საუგუნის საქარველოს საგარო ურთიერთობის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ნიკიფორე ირბა-ხის (ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი) დიპლომატიური მისიით მოგზაურობა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი, ესპანეთში 1626-1629 წლებში<sup>2</sup>. ამ ბოლო მომენტის შესახებ მაინც შეიძლებოდა ვახტანგ V შაჰნაგაზეს ჰქონებოდა საკმაო ცნობები თეიმურაზ I-ისგან და, შეიძლება, უშადლოდ ნიკიფორე ირბახისგან.

რა თქმა უნდა, არასწორია კაპუცინების და უან შარდენის მიერ პაპი კლიმენტი VIII-ის და თეიმურაზ I-ის ერთმანე-თთან დაკავშირება. ისინი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ. თეიმურაზმა სცადა კავშირის დამყარება ესპანეთის მეფე ფი-ლიპე IV-სთან და არა მეფე ფილიპე II-სთან. მაგრამ ამჯერად

<sup>1</sup> კრცლად იხ. მამისთვალისწილი ქ., საქართველოს საგარეო პოლი-ტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, გვ. 149-163. იმავე წიგნში იხ. სპეციალური ნარკვევი – ესპანური მასალები XVI საუკუნის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის ხოგიერ-თი ეპიზოდის შესახებ.

<sup>2</sup> მამისთვალისწილი ქ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპ-ლომატია, II, გვ. 213-277.

მთავარი ის კი არ არის რამდენად ზუსტად გადმოგვცა ჟან შარდენმა თეიმურაზ II-ის ესპანეთთან დაკავშირების მცდელობა, არამედ ის, რომ საქართველოში გამოგზავნილი კაპუცინები რომში აღჭურვეს ამ და, ალბათ, სხვა პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაციით და დოკუმენტებითაც კი.

კაპუცინებმა ჟან შარდენს აჩვენეს ერთი სიგელის ასლი, რომელიც 1671 წელს შაპნავაზე რეჩ პოსპოლიტას მეფისათვის მიუწერია. რადგან მისიონერებს ხელთ პქონდათ მეფის სიგელის ასლი, უნდა ვიფიქროთ, რომ მისიონერებმა სიგელი თარგმნეს პოლონურად ან რომელიმე ევროპულ ენაზე და იგი მისიონერის ხელითვე გაუგზავნეს რეჩ პოსპოლიტას მეფეს. ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ სიგელი პოლონურად თარგმნა პოლონელმა ექიმმა ადამმა, რომელიც 1671 წლის იანვარში უკვე შაპნავაზთან იმყოფებოდა თბილისში. მან როგორც ბოგდან გურჯიცეისთან<sup>1</sup> დაახლოებულმა პირმა, შეიძლება საქართველოში მოსკლამდეც იცოდა ქართული. სიგელის ფრანგულად თარგმანი შარდენმა მოათავსა თავის „მოგზაურობაში“. შემოკლებული სახით მოვიყვან შაპნავაზის სიგელს. შაპნავაზი წერს:

....თქვენ მოგმართავთ რეჩ პოსპოლიტას უბადლო დიდო მეფეო, სიბრძნება და ყოველგვარ მეცნიერებაში დრმად განხწავლულო და განვიდებულო პირუთვებული ხოტბით, რომლითაც ოქვებ გამკომებ... უსაზღვრო მადლობას კწირავთ უფალს, ციხა და მიწის შემოქმედს, რომ შევიტყეთ ოქვენი ჯანმრთელობად კოფნის ამბავი იმ წერილების საშუალებით, რომლებიც უდიადესი და უძრწყინვალესი სენიორის, ლეხერნოს გრაფის, ოქვენი სამეფოს დიდი კანცლერის, დიდი რეჩ პოსპოლიტას გენერალ-ლეიტენანტის იოან ლეზუნსკის სახლით მოგზივიდა... ოქვენი კეთილი მსახური გურჯიბეგ დანბეკი, ოქვენი სამეფოს ოფიცერი, ერთგულებითა და კეთილშობილებით ცნობილი დიდებული, მოვიდა აქ, ვითარცა მოციქუ-

<sup>1</sup> ბოგდან გურჯიცეის შესახებ ვრცლად ქვემოთ.

ლი თქვენი სამეფო უდიდებულებობისა, რათა განეახლებინა მშვიდობა და განემტკიცებინა მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა, რომელიც გაქვთ სვებედნიურ ხელმწიფე სულთან სულეიმანთან<sup>1</sup>... თქვენმა ზემოხსენებულმა მოციქულმა ისე გაიარა ჩვენი მიწა, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია და არც არავითარი უსიამოვნება არ განუცდია. ახლა იგი, უცლის შეწევნით, თქვენს სამეფო უდიდებულებობასთან ბრუნვდება. უმორჩილესად გთხოვ თქვენს უდიდებულებობას ამ ურთიერთეთილგანწყობისა და მეგობრობის საწინძრით, რომელიც ჩვენ შორის სუფექს, რომ ეს კეთილი ქვეშევრდომი და ჩემი მსახური, იყოს ისევე სასურველი სტუმარი თქვენი უდიდებულებისა, როგორც ის იყო მის წინამორბედთან. თბილისის სამეფო 26 მარტი, 1671 წ. ისევ მაცხოვრის მოვლინებიდან<sup>2</sup>.

ქართლ-კახეთის მეფის სიგელი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველო-რებ პოსპოლიტასს საკმაოდ ინტენსიურ დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. ვიდრე ამ საკითხზე საუბარს გავაგრძელებდე, მანამდე მოკლედ უნდა ითქვას ირან-რებ პოსპოლიტას ურთიერთობაზე და უნდა გვახსოვდეს, რომ მეფე შაჰნავაზი ირანის შაჰის ვასალი იყო.

7. ირან-რებ პოსპოლიტას ინტენსიური ურთიერთობა იწყება XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, შაჰ-აბას I-ის დროს. შაჰი ირან-ოსამალეთის მეორე ომის მსვლელობის დროს დარწმუნდა, რომ ოსმალეთის დაჯაბნას ეროველი მოკავშირეების გარეშე ვერ შეძლებდა. ასევე ფიქრობდნენ ევროპის იმ სახელმწიფოთა მესვეურებიც, რომლებიც ოსმალეთისაგან შევიწროებულნი იყვნენ და მუდმივ მუქარას განიცდიდნენ. ისინი ირანს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში

<sup>1</sup> ირანის შაჰი სულეიმან I (1666-1694)

<sup>2</sup> შარდენი, მოგ ზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის ხევა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 351-352. ხაზგასმა ჩემია.

პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდნენ. ამ სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნებოდა რეჩ პოსპოლიტა.

შაპ-აბასმა ანტიოსმალური სამხედრო კავშირის შეკვრის მიზნით, 1599 წელს ევროპის სახელმწიფოებში გაგზავნა დიდი ელჩობა, ელჩები უნდა ჩასულიყვნენ რეჩ პოსპოლიტაში, ავსტრიაში, ინგლისში, ვენეციაში, რომსა და ესპანეთში. მოსკოვში მისული ელჩები მეფე ბორის გოდუნოვმა, იმის გამო, რომ რუსეთსა და რეჩ პოსპოლიტას შორის გამწვავებული ურთიერთობა იყო, ელჩობა სამი თვე გააჩერა და მხოლოდ მას შემდეგ მისცა გზის გაგრძელების უფლება, როცა მათ პირობა დადეს, რომ რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე გავლისას მეფესთან მოლაპარაკება არ ექნებოდათ. ელჩებმა პირობა შეასრულეს და კრაკოვიდან ისე გაემგზავრნენ რომ ჟიგმუნტ III ვაზას არ ეახლნენ, რამაც მისი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. რეჩ პოსპოლიტას მეფისათვის კველაფერი ნათელი შეიქმნა მაშინ, როდესაც ირანიდან დაბრუნდა შეფერ მურატოვიჩი, რომელმაც ის მიზეზიც გაარკვია თუ რატომ არ მოინახულეს შაპ-აბასის ელჩებმა რეჩ პოსპოლიტას მეფე და ისიც მოახსენა, როგორ იყო დაინტერესებული ირანის შაპი მის სახელმწიფოსთან კავშირის დამყარებით და ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით. ამის შემდეგ (1601 წ.) ჟიგმუნტ III-მ იგივე შეფერ მურატოვიჩი ირანში გაგზავნა და შაპთან წერილი გაატანა. რეჩ პოსპოლიტას მეფე შაპს მეგობრობას და ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირს სთავაზობდა<sup>1</sup>.

შაპ-აბასი რეჩ პოსპოლიტას მეფეს დასავლეთ საქართველოს სამთავროების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმას ჰქიორდებოდა. რაც შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს, შაპ-აბას I-ს, როგორც ჩანს, ისინი თავისი სურვილის უპირობო შემსრულებლებად ეგულებოდა.

<sup>1</sup> მათისთვალიშვილი კ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 614-616.

თეიმურაზ I-ის მიერ რებ პოსპოლიტასთან დაკავშირება რომის ინტერესებშიც შედიოდა. ამიტომ იყო, რომ პიეტრო დელა ვალეს ჩაფიქრებული ჰქონდა ქართველი მეფე წაეჭებინა სავაჭრო ურთიერთობა დაქმუარებინა რებ პოსპოლიტასთან, რაც ხელს შეუწყობდა უკანასკნელის ირანთან კავშირის განმტკიცებას. შემუშავებული გეგმის მიხედვით საქართველო-რებ პოსპოლიტას კავშირის განმტკიცებაში გარკვეული წვლილი უნდა შეეტანათ კათოლიკე მისიონერებს. რებ პოსპოლიტას მეფესთან მეგობრობდნენ და მიწერ-მოწერაც ჰქონდათ დადიანსა და გურიელს<sup>1</sup>.

როგორც შარდენის ზემოთციტირებული წერილიდან ჩანს, რებ პოსპოლიტას მეფეს ქართლ-კახეთის მეფესთან სიგელები გაუგზავნია, რომელთა შინაარსი ცნობილი არ არის. წერილი, როგორც ჩანს, ვახტანგ V-ს ბოგდან გურჯიცების თხოვნით დაუწერია, რადგან მასში მხოლოდ ელჩის პიროვნებაზე, მის ერთგულებასა და კეთილშობილებაზე, მისი საქართველოში უპრობლემოდ მოგზაურობაზეა აღნიშნული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სიგელის ბოლო ნაწილი, საიდანაც ჩანს, რომ რებ პოსპოლიტასკენ მომავალ ბოგდან გურჯიცების შაპნავაზმა გააყოლა თავისი ის მსახური, რომელიც აღრეც ყოფილა შაპნავაზის დავალებით რებ პოსპოლიტას მეფესთან და მას გაატანა ის სიგელი, რომლის ასლი კაპუცინებმა ქან შარდენს გადასცეს. სიგელიდან ვიგებთ, რომ შაპნავაზსა და რებ პოსპოლიტას მეფეს შორის იმდენად კარგი ურთიერთობა არსებობს, რომ ის თავს უფლებას აძლევდა, რებ პოსპოლიტას მეფისათვის ეთხოვა: ბოგდან გურჯიცები, ეს თქვენი კეთილი ქვეშვრდომი და ჩემი მსახური, იყოს ისევე სასურველი სტუმარი თქვენი უდიდებულესობისა, როგორც ის იყო მის წინამორბედთან.

<sup>1</sup> ოქამ, გვ. 614-617, 620, 622-626, 640-642, 645, 655

1671 წელს შაჰნავაზს ესტუმრა რეჩ პოსპოლიტას მეფის „კეთილი მსახური გურჯიბეგ დანიბეკი“<sup>1</sup>.

8. ბოგდან გურჯიცკი იყო სხვადასხვა სახელით ცნობილი (ბუხტამ ბეგი, ბურბი ბუგდან-ბეგი, ბოგდან ირანი, ბოგდან გურჯი, სამეფო ჯარების როგორისგრი), რეჩ პოსპოლიტას სამსახურში მყოფი, შემდეგში დიპლომატი, წარმოშობით ქართველი. თავდაპირველად ის საქართველოს მეფის სამსახურში იყო, ხოლო მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან უკვე რეჩ პოსპოლიტში იმყოფებოდა, სადაც 1662 წელს მიიღო სამეფო ჯარის როგორისგრის წოდება. როგორც ჩანს, ამ წლების სამხედრო კამპანიების დროს მან გამოიჩინა სამაგალითო ვაჟკაცობა, რადგან 1666 წლის სეიმზე სამხედრო დამსახურების ჯილდოდ მისთვის აზნაურობის მინიჭებას მოითხოვდნენ<sup>2</sup>.

როსტომ მეფის დროს, XVII ს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე, ბოგდან გურჯიცკი საქართველოში იმყოფებოდა, ხოლო 50-იანი წლების მეორე ნახევარში რეჩ პოსპოლიტია და მონაწილეობს ომებში, როგორც სამეფო ჯარების უცხოელთა

<sup>1</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), I, თბილისი, 1962, გვ. 93; გაბაშვილი ვ., იოსებ ქართველის კინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თხუ შრომები, 116, თბილისი, 1965; ცინკაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბილისი, 1966, გვ. 3-4, 41-49, 64-65; 84-85, გვ. 95, 100-101; ტივაძე თ., საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1977, გვ. 127-128, 134, 167, 329-337; ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ახარებზე, თბილისი, 1983; Бантыш-Каменский Н. Н., Обзор внешних сношений России (по 1800 г.), Москва, 1897, с. 166; Армяно-русские отношения в XVII веке. Сборник документов под ред В. А. Парсамяна, Ереван, 1953.

<sup>2</sup> Reychman 1960: Reychman Jan, Bohdan Gurdziccki. Polski Slovnik biograficzny, t. 9, Warszawa, 1960, p. 40-41

ნაწილების ერთ-ერთი მეთაური. 1662 წლი დოკუმენტებში იგი მოიხსენიება როგორის წოდებით. ის ცნობილი იყო როგორც მამაცი მეომარი. ამავე დროს ბოგდან გურჯიცკი, როგორც ჩანს, რეჩ პოსპოლიტას სამეფო კარზე ითვლებოდა აღმოსავლეთის, კერძოდ, ირანისა და კავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპერტად.

რუსეთ-რეჩ პოსპოლიტას ხანგრძლივი ომის (1654-1667) დასრულებისა და ოსმალეთის წინააღმდეგ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუსეთის მთავრობის რჩევით, დიპლომატიური ურთიერთობის და სავაჭრო ურთიერთობის მოსაგვარებლად, 1668 წელს ვარშავიდან ირანში გაიგზავნა ელჩობა ბოგდან გურჯიცკის ხელმძღვანელობით. გურჯიცკის პქონდა საიდუმლო დავალებაც: ირანი შეერთებოდა პოლნეთსა და რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივად საბრძოლველად.

ირანისაკენ მიმავალი ბოგდან გურჯიცკი თბილისში ვახტან V-ს რომ ეწვია და რეჩ პოსპოლიტას მეფის სიგელი გადასცა, ამის შესახებ ჟან შარდენმაც გვაცნობა. ი. ცინცაძისა და გ. ზედგინიძის მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ ბოგდან გურჯიცკი კალავ იმყოფებოდა საქართველოში და როცა უკან გაბრუნდა თან წაიღო ვახტანგ მეფის რეჩ პოსპოლიტას მეფე იან კაზიმეუისათვის დაწერილი სიგელი<sup>1</sup>. როგორც გ. ზედგინიძე ვარაუდობდა, ბოგდანმა ირანთან და საქართველოსთან რეჩ პოსპოლიტის სავაჭრო ურთიერთობის მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. „საგენერით შესაძლებელია, – აღნიშნავდა გ. ზედგინიძე, – რომ თბილისში ყოფნის დროს ბოგდან გურჯიცკის საუბარი პქონდა ვახტანგ მეფეთან იმის შესახებ, რომ ქართული ნედლი აბრეშუმისა და სხვა საქონლის გატანა რეჩ პოსპოლიტში ქართველ

<sup>1</sup> ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბილისი, 1966, გვ. 64-65.

ვაჭრებსა და თვით საქართველოს მეფებს დიდ სარგებლობას მოუტანდა, რადგან რეჩ პოსპოლიტას სამეფო დაინტერესებული იყო აღმოსავლეური საქონლის შეტანით, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოდან გატანილ საქონელს გასაღების ბაზარი უზრუნველყოფილი ექნებოდა. ამაზევე უნდა მიუთოთ ებდებს ის ფაქტი, რომ რეჩ პოსპოლიტ ში ბოგდანის მიკუპებოდა თბილისელი ვაჭარი ავთანდილი, რომელსაც შესაძლებელია, რაიმე პოლიტიკური ხასიათის დავალებაც პქონდა მოცემული<sup>1</sup>.

ბოგდან გურჯიცევი რომ თბილისელი უნდა ყოფილიყო ამაზე მიგვანიშნებს პოლანდიელი მოგზაური იან იანსენ სტრეიისი (1630-1694), როდესაც მოგვითხრობს ბოგდანის დის შემახადან თბილისში გამგზავრებაზე (1671 წლის 9 იანვარი). მას ქართველთა რაზმი აცილებდა: „ბატონ ბოგდანის და 9-ში შეიდი აქლემითა და ქართველი ჯარისკაცების თანხლებით გაემზადრა თავის ქვეყანაში, ქალაქ თბილისში, რომელიც მდებარეობს შემახიდან 8 მილის დაშორებით. მეორე დღეს მის გზას დაადგა მისი ძმა ელჩის (ბოგდან გურჯიცევის – ე.მ.) ექიმთან ერთად, რომელის სახელი იყო ადამი, წარმოშობით პოლონელი. პრინცმა (შაპხავაზე<sup>2</sup> – ე.მ.) დაიყოლია (ადამი ბატონი ბოგდანის თანხმობით) წასულიყო მასთან და (თბილისში – ე.მ.) დარჩენილიყო. დაპირდა, რომ თუ მის სამსახურში შევიდოდა, სახარბიჯლო გასამრჯველოს, უფასო ბინისა და ყოველდღიური ტაბლას გარდა, კუოლება თოხი მონა კაცი და ქალი, ამას გარდა ერთი მისი რელიგიის ან

<sup>1</sup> ზედგინიდე გ., ბოგდან გურჯიცევი დიპლომატიურ ასარეზე გვ. 118.

<sup>2</sup> იან ხერიხის ვახტანგ V-ს პრინცად მთისხენიებს იმის გამო, რომ ირანში ის არ იყო აღიარებული ქართლის მეფედ (ის იყო „ვალი“) და იწოდებოდა ჰავაზად (ირან. „მეფის მიერ მოფერებული“. *Персидско-Русский словарь*, т. 2. Подготовлен авторским коллективом. Руководитель Ю. А. Рубинчик, Москва, 1983, с. 779).

აღმსარებლობის, ე. ი. რომაულ კათოლიკური სარწმუნოების ყველაზე ლამაზი და ძღიდარი საცოლე... პრინცმა (ადამი – ე.მ.) შეიყვარა ჩვენი ელჩის (ბოგდან გურჯიცი – ე.მ.) გამოჯანმრთელების შემდეგ, როდესაც ის პოლონელმა აზნაურებმა სახიკვდილოთ ხმლებით აქცევეს<sup>1</sup>.

ბოგდან გურჯიცის გარდა ელჩობაში იმყოფებოდნენ: რეჩ პოსპოლიტას მეფის აზნაური იან გროსი, რომელიც ელჩის შემდეგ მეორე კაცი იყო და სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი სულ 12 კაცი 4 შინამოსამსახურით. იყვნენ, აგრეთვე მესაყვირეები, მზარეულები და მეეტლეები. ელჩს, ბოგდან გურჯიცის ახლდნენ მისი ყმები, სულ 10 კაცი, უმეტესობა ქართველები. ასე, რომ ელჩობაში სულ იმყოფებოდა 43 კაცი<sup>2</sup>.

როგორც იან სტრეისი გადმოგვცემს ბოგდან გურჯიცის ცუდი ურთიერთობა პქონდა ელჩობის წევრ პოლონელ აზნაურებთან და მათ ძლიერ ავიწროებდა. გამწარებულმა და შეურაცხყოფილმა აზნაურებმა შეარჩიეს შესაფერისი დრო და მისი მოკვდა განიზრახეს, თავს დაესხნენ და ხმლებით აკუწეს, როგორც პოლანდიელი ამბობს. მაგრამ ბოგდანი გადაარჩინა ზემოსხენებულმა ექიმმა ადამმა. ქართველებმა შეთქმულების მოწყობაში ბრალი იან გროსს დასდეს და მოკლეს<sup>3</sup>.

1675 წლის მაისში ბოგდან გურჯიცის ელჩობა რეჩ პოსპოლიტში დაბრუნდა. მას და მის მმას ფარსადანს 1676 წელს სეიმმა რეჩ პოსპოლიტას აზნაურობა – შლიახტიობა მიანიჭა, ხოლო მეფე იან სობიესკიმ სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, მათ ლენჩიცის მაზრაში მამულები

<sup>1</sup> Стрейс Ян, Три путешествия, перевод Э. Бородиной, Москва, 1935, с. 248-250, 254-255.

<sup>2</sup> ზედგინიდან გ., ბოგდან გურჯიცი დიპლომატიურ ასპარეზზე, გვ. 60-61.

<sup>3</sup> Стрейс Ян, Три путешествия, с. 248-250

უბოძა<sup>1</sup>. მეფე თავის ანტითურქულ გეგმებში (მან გამეფებამდე, 1673 წ. ნოემბერში ხოტინთან თურქების ჯარი სასტიკად დაამარცხა) ირანს განიხილავდა მთავარ მოკავშირედ. ამიტომ სობიესკიმ განიზრახა კიდევ ერთხელ გამოეყენებინა ბოგდან გურჯიცეის ირანის საქმეების ცოდნა და იგი შაპთან გაუგზავნა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწოდებით.

1676 წლის 26 აპრილს მეფემ ბოგდან გურჯიცეკი დანიშნა რეჩ პოსპოლიტას რეზიდენციად ირანის შაპის კარზე, სადაც მან ამ თანამდებობაზე დაჟყო 23 წელი. ამ დროის განმავლობაში ირანში რეჩ პოსპოლიტას ელჩის მოვალეობას მისი ძმა ფარსადანი ასრულებდა. ბოგდანი, რომელიც ძირითადად შემახაში იმყოფებოდა, რეჩ პოსპოლიტას ხელისუფლებას საჭირო ინფორმაციას უეზავნიდა.

ვფიქრობ, ბოგდან გურჯიცეკი უნდა იყოს ის გორიელა (Goriella), რომელსაც ახსენებს კაპუცინი მისიონერი ჯუსტო და ლიკონო, თბილისიდან გაგზავნილ წერილში 1686 წლის 7 ოქტომბერს. ის საგმაოდ დაახლოებული იყო ქართლის მეფე გიორგი XI-სთან და კარგად ერკვეოდა მის საგარეო და საშინაო უთიერთობებული. ჯუსტოს გადმოცემით, პოლონეთის სამეფოს სამსახურში მყოფი გორიელა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა შემახაში. მასთან სისტემატურად დაიარებოდნენ გიორგი XI-ის ქვეშევრდომები<sup>2</sup>. ეს იტალიური წყარო,

<sup>1</sup> ზედგინიდე გ., ბოგდან გურჯიცეკი დიალოგატიურ ასარეზე გვ. 140.

<sup>2</sup> საქართველოს მისიონის ვიცე-პრეფექტის ჯუსტინო და ლიკონოს მიერ 1686 წლის 7 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი მიწერილი წერილი. *Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, ff.360r-361r.* ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) / იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურ-

კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ბოგდან გურჯიცკის ქართლის სამეფო ქართან მჭიდრო კავშირში ყოფნაზე.

1699 წელს შაჲ სულთან პუსეინის დავალებით ბოგდან გურჯიცკი ელჩად მიემგზავრება რენ პოსპოლიტში, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. ის 1700 წლის 12 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს<sup>1</sup>.

---

თეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2018, გვ. 135-137.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 164-165. სხვადსახვა დროს რენ პოსპოლიტას მეფეთა სამსახურში მყოფი ქართველების შესახებ ცნობები საფიქრალს ხდის, რომ მათი იქ ყოფნა სისტემატურ ხასიათს ატარებდა. არსებობს ვინე ქართველი აზნაურის, კაპიტან რევაზ ჯომარდიძის 1763 წლის 27 თებერვლის მოსხენება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, რომელშიც რევაზი აღნიშნავს: „1761 წელს საქართველოდან სანკტ-პეტერბურგში გამომაგზავნეს აქ მყოფი, ამჟამად გარდაცვლილ [მეფე] თვითურაზთან წერილებით ჩემ მსახურ ქართველ „პეტენტსან“ ერთად, ასერთან მოსხლისთანავე ადგილობრივ კურიერთან კაპრალ ალექსი კარტაშვილან ერთად ასერთანის საგუბერნიო კანცელარიაში მოცემული საგზაო წერილით. ესლა კი მინდა წახვლა რენ პოსპოლიტში, შელდარებში იქ სამსახურში მყოფი ჩემი მთხოვ პოლკოვნიკ პეტრე ჯუმარდიზოვის სანახევად, ხოლო აღნიშნული ჩემი მსახური კი დარჩება აქ მოსხლეში. საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას მორჩილად კოხოვ მოძევს პასპორტი და ჩემი მოსხენება დააკმაყოფილოს... 1763 წლის თებერვალი“. მოსხენებაზე ქართული ხელმოწერა: „ამ მოსხენებაზე ხელი მოაწერა კაპიტანმა რევაზ ჯომარდიძე“. *Архив 1762-1776: Архив внешней политики России, ф. Сношения России с Грузией, 1762-1776 гг., оп. 110.2, д. 4, л. 4.*

რევაზ ჯომარდიძის მმა პეტრე ჯომარდიძე 49 წლის წინათ დაატყვევეს ლეკებმა და ოურქებს მიჰყიდეს. მათთან იყო რამდენიმე ხანს შემდეგ კი გაიქცა პოლონეთში, სადაც პოლონეთის მეფის სამსახურში შევიდა და პოლკოვნიკის ჩინს მიაღწია. სამი თვის წინათ რევაზმა შეიტყო მმის პოლონეთში ყოფნის შესახებ და მასთან წახვლა მოინდომა. ის წარსდგა საგარეო საქმეთა

9. 1673 წლის 20 თებერვალს ვახტანგმა კაპუცინ პატრიებთან საუბარში სთქვა: „თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მათ ყოველგვარ თავისუფლებასა და პრივილეგიებს მივანიჭებ, რასაც კი მოისურვებენო; ჩემი საბრძანებელი შავ ზღვამდევა გადაჭიმული და, რადგანაც ირანში დიდი პატივით ვსარგებლობ, ხოლო თურქეთშიც მეტად დაფასებული ვარ, ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყნებზე უკეთეს გზას ვერ იძოვიანო; დარწმუნებული ვარ, [ევროპელები] თუ ერთხელ გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ აირჩევნო“<sup>1</sup>.

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ვახტანგ მეფემ, ბუნებრივია, იცოდა ირან-საფრანგეთის 1671 წლის შეთანხმებაზე, რომლითაც საფრანგეთმა თავისი ოსტინდოეთის კომპანიისათვის გაიფართოვა ირანთან ვაჭრობის უფლება: კერძოდ, ფრანგ ვაჭრებს შეეძლოთ ირანის იმპერიის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება<sup>2</sup>. რადგან საქარ-

---

კოლეგიასთან არსებობული საქართველოს „კომისიის“ წინაშე, სადაც იხილებოდა საქართველოს და ქართველების საკითხები. კომისიაში იყვნენ მოსკოვის ქართული კოლონიის წარმომადგენლები – მოსკოვის ობერკომენდანტი ათანასე ბაგრატიონი, ქართველი თავადები და აზნაურები. კომისიაში ჩვეულებრივ დაპიონხდნენ იმ პიროვნებას მისი წარმოშობის შესახებ, ვისაც სურდა პასპორტის აღება. მაჭარამე კ, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-ხაქართველოს ურთიერთობის იხტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I (რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და ხაჯართველო, თბილისი, 1988, გვ. 201-202).

<sup>1</sup> შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 352-353.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 235; პაპა შვილი მ., საქართველოს ხაგარეთ პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1992, გვ. 30.

თველო ირანის იმპერიის ტერიტორიად მოიაზრებოდა, ამიტომ ის საფრანგეთ-ირანის სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობაში გარკვეულ აღგილს დაიკავებდა<sup>1</sup>. აღნიშნული შეთანხმების შესახებ, რა თქმა უნდა, იცოდა შაჰნავაზმა და იგი ამიტომ მიაპყრობს შარდენის ყურადღებას საქართველოზე გამავალ გზაზე.

ეან შარდენმა, გამოცდილმა ნეგოციანტმა, იმდენად მიმზიდველად ჩათვალა მეფის მოსაზრება, რომ იმავე პატრებს თხოვა მეფისათვის გადაეცაო, რომ მის სურვილს აუცილებლად შეატყობინებდა საფრანგეთის კომპანიას ინდოეთში. მაგრამ შარდენის აზრით, შეთავაზებული წინადაღება მეტ მნიშვნელობას და წონას შეიძენდა, თუ მეფე თავის მოსაზრებას წერილობით ჩამოაყალიბებდა. ეან შარდენის დანაბარები ეპისკოპოსმა მეფეს მოახსენა, ხოლო მეფის პასუხი კი 1673 წლის 24 თებერვალს შარდენს გადასცა. „მთავარს დიდ ხანს უფიქრია ჩემს წინადაღებაზე, – გადმოგვცემს შარდენი, – ბარათი მიეწერა ფრანგული კომპანიისათვის საქართველოში ვაჭრობის განვითარებისა და ამ ქვეყნის გასახლელ გზად გამოყენების შესახებ; მთავარი მზად არისო იმისათვის, რათა დაარწმუნოს კომპანია, თუ რა დიდი ხარვებელი შეიძლება პქონდეს ამ ქვეყანაში ვაჭრობას, მაგრამ მაინც თავს იკავებსო, რადგან ირანის ხელმწიფის გასაღია და ეშინია მისმა უდიდებულესობამ დანაშაულად არ ჩაუთვალოს მისი ნებართვის გარეშე საქმიანი წერილის მიწერა უცხოელებისათვის; მაგრამ თქვენ სრული დარწმუნებით შეგიძლიათ გადახცეთ მათ, რომ თუ კომპანია რწმუნებულების გამოგზავნას მოიხურებს ამ ქვეყნებში, ისინი აქ იაფად იშოგნიან გვრო-

<sup>1</sup> პაპა შვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობაზი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 30.

პისათვის გამოხადებ ბევრ საქონელს და მათაც, რამდენადაც შეიძლება, კარგად მიიღებენ“<sup>1</sup>.

სავარაუდოა, რომ ვახტანგ V-მ შემთხვევით არ წამოიწყო შარდენთან მოლაპარაკება ევროპელი ვაჭრების საქართველოსთან დაკავშირებისა და მის სამეფოში მათოვის კარგი პირობების შექმნის შესახებ. მან იცოდა, რომ შარდენი საფრანგეთის და ინგლისის სავაჭრო წრეების წარმომადგენელი იყო. შარდენი, თავის მხრივ მეფეს დაპირდა, რომ ის აუცილებლად შეატყობინებდა მეფის წინადადებას ინდოეთის კომპანიას, მაგრამ ქართლის სამეფოს საფრანგეთთან დიპლომატიურ კონტაქტებს შემდგომი გაგრძელება არ მოელოდა. მალე შავანაგაზე გარდაიცვალა, ქვეყანაში შიდა ფეოდალური არეულობა დაიწყო<sup>2</sup>.

ირან-საფრანგეთის დიპლომატიური კონტაქტები, რომ შედეგიანად გაგრძელებულიყო, შეიძლებოდა სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტი საფრანგეთის მეფის კარზე მთლად უნაყოფო

<sup>1</sup> შარდენი, მოგ ზაურობა ირანსა და აღმოხავლეთის სხვა ქვეყნებში (ცხოველი საქართველოს შესახებ), გვ. 353.

<sup>2</sup> XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საფრანგეთი საგაჭრო-ეკონომიკური წრეები გააქტიურდნენ ირანთან მისასვლელი მშვიდობიანი გზების მოძებნისათვის. „ირანში მიმავალი ხუთი გზიდან ერთ-ერთი საქართველოზე გადიოდა. ეს იყო ეწ. მეორე გზა, პარიზიდან კონსტანტინოპოლიზე გავლით, ხოლო კონსტანტინოპოლის შემდეგ ორი სხვადასხვა გზით შეიძლებოდა ირანში ჩასვლა: სამეგრელოსა და ანატოლიის გზით. სამეგრელოს გზა გადიოდა მარშრუტით: კონსტანტინოპოლიდან კაფამდე, შემდეგ აფხაზეთ-სამეგრელოს სანაპიროებისა (ალაკასა-ბანდერი, ანაკლია) და სამეგრელოს გავლით თბილისამდე. თბილისიდან ეს გზა მიდიოდა ერევანში, იქიდან თავრიზში, ყაზბეგში, ქასანში და ისპაანში“. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 61. ალკასა-ბენდერი, ი. ტაბაღუას ვარაუდით, უნდა ყოფილიყო „ალკასა“ – „აფხაზეთი“, ხოლო „ბენდერ“ – თურქულად ციხე-სიმაგრე. იქვე, გვ. 61, გვ. 114.

არ ყოფილიყო და საფრანგეთ-ოსმალების ურთიერთობის გათვალისწინებით, ვახტანგ VI-ს „ოსმალობაც“ თავიდან აეცილებინა.

10. ზემოთ განხილული წყაროები უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ვახტანგ V შაჰნავაზის, ოოგორც შაჰის ვასალის, მოღვაწეობის ორ ტენდეციაზე:

ა) იმოქმედოს ქვეყნის შიგნით (ვგულისხმობ არა მხოლოდ მის სამეფოს, არამედ მთლიანად იმ საქართველოს, რომელზეც ქართველი მეფების და მთავარ-ერისთავების ხელისუფლება ვრცელდებოდა) დამოუკიდებლად, შესაძლებლობის ფარგლებში და ნაკლებად გაუწიოს ანგარიში შაჰის კარის ინტერესებს;

ბ) ახდილად არ ჰქონდეს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტები ევროპის სახელმწიფოებთან, გაითვალისწინოს და ანგარიში გაუწიოს ირანის საგარეო პოლიტიკას.

## გიორგი XI-ის დიპლომატია

1. უპვე ითქვა, რომ ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი შაჰმა სოლეიმანმა (1666-1694) თავისთან დაიბარა. ვახტანგმა სამეფოს მმართველად დატოვა თავისი მეორე, არჩილის მომდევნო, ვაჟი გიორგი (დაიბადა 1651 წ.). ვახტანგ V გზაში (კუმში) გარდაიცვალა.

ვახტემბის დახასიათებით, „ხოლო იყო ეს გიორგი მეფე გვინე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, შუენიურ-პაეროვანი, პირმხიარული, ენატჯბილი, უხვ და მრისხანე, მოიხარმოასარებელ უებრო“.

შაჰს თავდაპრველად ქართლის ტახტზე ერეკლე I-ის გამეფება უნდოდა იმ პირობით, რომ ის ისლამს მიიღებდა, მაგრამ ერეკლემ უარი თქვა. ნაწყენ შაჰს „განჯის ხანის შვილი აბას უჯლიბეგ ჩაფრათ ქართლს გაეგზავნა გიორგი ბატ-

ონის შვილი სამეფოთ ჩამოუყვანა<sup>1</sup>. ვიდრე გიორგი ირანს გა-  
ემგზავრებოდა, ახალციხის ფაშამ როცა შაპნაგაზის სიკვდი-  
ლი გაიგო, მასთან მყოფი არჩილი შეიძერო და ტყვეობაში  
ჰყავდა. ქართველებმა არჩილი ახალციხიდან გააპარეს, იგი  
ქართლში გადმოვიდა და სურამში<sup>2</sup> (ვახუშტის მიხედვით –  
სადგერი<sup>3</sup>) დადგა.

გიორგი ირანის გზას დაადგა. მან თავის ნაცვლად უმ-  
ცროსი მმა ლევანი დატოვა. მაგრამ ვიდრე დანიშნულების  
აღგილამდე ჩავიდოდა, ირანში ახალი პრეტენდენტი გამოჩ-  
ნდა, მისი უმცროსი მმის, ირანში აღზრდილი, ისპაანის ტა-  
რულის, ალექსანდრეს სახით. ამის შემდეგ საქმეში ჩაერია  
გიორგის უფროსი მმა ბატონიშვილი არჩილი. არჩილმა იცო-  
და რა თავისადმი შაპის უარყოფითი დამოკიდებულება და  
ისიც, რომ ის არ დაუშვებდა არჩილს ქართლის ტახტზე,  
ვითომ განიზრახა შაპის მიერ გიორგისათვის მისაცემი ქართ-  
ლის დაპყრობა „არათუ თუხად, არამედ რათა სცნას ყევენან  
და მოსწრაფედ წარმოავლინოს მმა მისი გიორგი“: როგორც  
აღმოჩნდა არჩილმა სწორად გათვალი. რათა არჩილს არ  
დაეკავებინა ქართლის ტახტი, შაპმა სასწრაფოდ დაამტკიცა  
გიორგი ქართლის ტახტზე<sup>4</sup>.

2. გიორგი XI-ზე საუბრის გაგრძელებამდე ჯერ გაგეც-  
ნოთ მისი ოანამედროვე, ბარძიმ არაგვის ერისთვის შვილის  
ცხოვრების და სახელმწიფო ეროვნული მოღვაწეობის ზოგიერთ  
მხარეს, განსაკუთრებით კი, კათოლიკობაზე გადასვლის მის  
პოლიტიკურ მოტივს.

<sup>1</sup> ვარსადან გორგიჯანიძის იხტორია / ს. კაკაბაძის გამოცემა //  
საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი, 1925, გვ. 275.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 456. სადგუ-  
რი – სოფელი ბორჯომის მახლობლად.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 456-457.

ბარძიმი იყო გიორგი XI-ის თანამედროვე, მისი მაღალი მოხელე (მდივანბეგი), XVII ს. 80-90 წლების ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის მსაჯულთუხუცესის, გიორგი არაგვის ერისთავის ძმა ბარძიმ ერისთვისშვილი. ბარძიმმა კათოლიკობა აღიარა და ამის გამო ის კათოლიკე მისიონერების განსაკუთრებული ყურადღების არეში მოხვდა. მის შესახებ მათ რამდენიმე ისეთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის როგორც ამ ფეოდალის შესახებ, ისე მისი თანამედროვე ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ვითარებაზე.

მ. თამარაშვილის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული ცნობები, რომლებიც დაცულია თბილისში მოღვაწე კათოლიკე პატრების რომში გაგზავნილი წერილებში, შეიცავს ისეთ მასალას, რომელიც ქართულმა საისტორიო მწერლობამ არ იცის. ის რამდენიმე შტრიხი, რომელიც ცნობილია ბარძიმ ერისთვისშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გეხვდება მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში, რომლებსაც ქვემოთ გვვიცნობით.

პირველი წერილი ბარძიმ ერისთვისშვილის შესახებ ეკუთვნის უფროს პატრი ჯულიო კრემონელს და დათარიღებულია 1690 წლით. პატრის მიხედვით, ახალ გაკათოლიკებულთა შორის „არის კიდევ ერთი მთავარი ქართველი თაგადი, ქალაქის აივან ბეგი<sup>1</sup> [მდივანბეგი], რომელიც ისეთი სიყვარულითა და გულითადობით გვეკიდება, რათა ჩაწვდეს ჩენი წმინდა სარწმუნოების არსში, ვჯიქოდ,

<sup>1</sup> უნდა იყოს მდივანბეგი, ანუ ქალაქის უფროსი მოსამართლე, მსაჯულთუხუცესი. გიორგი XI-ის დროს გაკათოლიკებული მდივანბეგი იყო ბარძიმ ერისთვისშვილი. მის შესახებ ის. მამისთვალიშვილი ე., ბარძიმ ერისთვისშვილი // გორის სახელმწიფო სახ-წავლო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №14, თბილისი, 2016,

რომ მაღვე მისი წეალობით შეიძლება განხორციელდეს უწმინდები საიდუმლო და საერთოდ პაპის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდნენ ამ ქალაქის სომხები და ბერძნები<sup>1</sup>.

1690 წლის 1 იანვარს პატრი ჯულიო კრემონელი რომში აცნობებს, რომ ბარძიმმა 1689 წელს საიდუმლოდ მიიღო კათოლიკობა. ბარძიმი ცდილობდა მისი ეს საქციელი არ გახდაურებულიყო. ამიტომ იყო, რომ როდესაც რომში პაპს წერილი გაუგზავნა „თავის ქართულად დაწერილ წიგნზე დაუსევა ასეთი ბეჭედი (ჯვარი - ე.მ.), თუმცა მას თავისი ბეჭედი საცალკეო აქეს, მაგრამ არ იხმარა, ჯერ ერთი იმიტომ რომ არავინ გაუგოს (კათოლიკობის აღიარება - ე.მ.), და მეორედ, უდიდესი სასოების გამო... საჭიროა შეატყობინოთ (ბარძიმის ქართულად დაწერილი წერილის - ე.მ.) მთარგმნელს, რომ გაჩუმდეს და ბატონის გაკათოლიკებაზე არც წერილითა და არც სიტყვით არავის არა უთხრას, რათა არავითარი წინააღმდეგობა შეემთხვევს იმაში, რის აღსრულებასაც ფიქრობს და არც ამას რაიმე უსიამოვნება ემიზე ხოს. ასევე უნდა დააბაროთ (საიდუმლო შეინახონ - ე.მ.) იმ მონაზონებს, რომლებიც საქართველოში მოდიან<sup>2</sup>. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ან ბარძიმი ატყუებდა პატრებს, ან ბარძიმი და პატრები ერთმანეთთან შეთანხმებულნი, ცდილობდნენ შეცდომაში შეეცვანათ რომის პაპი და კარდინალები. ყავლაფერს თუ ვერა, ბარძიმის მიზანს მაინც გავარკვევთ: რატომ უნდოდა მას რომთან დაკავშირება და მისი გავლენის გამოყენება ქართლის სამეფოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის ჯულიო და კრემონას მიხედვით, ბარძიმი იყო ერთ-ერთი უძლიერესი და უწარჩინე-

<sup>1</sup> Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 411r-411v.

<sup>2</sup> თამარა შვილი გ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 277-278. ხაზახმა ჩემია.

ბულესი საქართველოს მთავართაგანი, რომელიც იმავე დროს ლტოლვილობაში მყოფი მეფის, გიორგი XI-ის ახლო ნათე-სავიც იყო, მაგრამ მასაც მიუძღვოდა გარკვეული წვლილი გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში<sup>1</sup>.

ჯულიო და კრემონა 1691 წლის 28 ნოემბერს წმ. კონგრ-ებაცია დე პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთი კარდინალისადმი თბილისიდან გაგზავნილი წერილში კვლავ ლაპარაკობს გი-ორგი მეფის გაძევებაზე<sup>2</sup>.

სანტერესოა გაირკვეს გიორგის წინააღმდეგ მოწყობილი რომელი აჯანყება აქვს მხედველობაში კათოლიკე პატრის?

შაპის კარზე გადაწყვიტეს ირანისადმი შეურიგებელი პოლიტიკის გამო, გიორგი XI ჩამოეშორებინათ ქართლის ტახტიდან. შაპის ვეზირმა აჯი ალიხანმა განიზრახა მეფის წინააღმდეგ მისი ქვემევრდომები აეჯანყებინა. ზოგიერთმა ფერდალმა ისლამზე გადასვლის სანაცვლოდ შაპისაგან ჯა-მაგირი დაინიშნა, ხოლო იასონ არაგვის ერისთავმა მეფეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ოქვე, გვ. 275.

<sup>2</sup> კაპუნინთა მისიონის პრეფექტის ჯულიო და კრემონას მიერ თბილისიდან 1691 წლის 28 ნოემბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპა-განდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილი წერილი. „როცა მეფე იყო გიორგი, წინანდევ მისიონერებს შეუძლოთ იმდენი ცვილის სანოელი ეხარჯათ, რამდენსაც მოისურებებდნენ, რადგან ეს გულუხვი ბატონი<sup>2</sup> ყოველ დღესასწაულზე ძათ ჩუქნიდა 36 სანოელს, თითოეული 6 უნცის, მაგრამ მე ასეთი გულუხვობით სარგებლობა ვერ შევძლი, რადგან ის გააძევებ; უკვე შეუძლებელი იყო ამდენი სანოლის, ამ მოძველებული წესის გამოყენებაზე უარის თქმა, რათა ამას არ გამოუწია კათოლიკოს უკავშიროფილება, მითქმა-მოთქმა და ა.შ.“ *Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 436r-437v.* კერძოდ წარიდები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკა-ნასეხები მეოთხედი), გვ. 188-189.

<sup>3</sup> გახუმები ბატონი შვილი // ქართლის ცხოვრება, IV, 459-460.

სომხითის მეფიქი ქამარ-ბეგი ქართლის მეფეს აჯი ალიხანთან აბეზდებდა. მუხრანის ბატონის ძე ერეკლე, რომელსაც მეფე გიორგი საკუთარი შვილივით ზრდიდა, გადაუდგა. ძმები მაჩაბლები, ზაზა ქსნის ერისთავის შვილები – იქევ და ელიზბარი მოღალატეები იყვნენ. მათ ყველას მეფე ისე გაუსწორდა, როგორც იმსახურებდნენ: ერეკლე და ძმები მაჩაბლები დაპატინრებინა, ქამარ-ბეგი და იასე მოაკვლევინა<sup>1</sup>.

არაგვის ერისთავად დაინიშნა გიორგი ოთარის ძე<sup>2</sup>, მისი ძმა იყო ბარძიმი, კათოლიკე პატრების გმირი.

გიორგი მეფემ რუსეთში არჩილს ორი მონაზონი გაუგზავნა და საქართველოში დაბრუნება სთხოვა. ამ ვაქტს ადასტურებს საქართველოს მისიონის ვიცეპრეზეფექტის ჯუსტინო და ლივორნო 1687 წლის 1 ნოემბერს თბილისიდან წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ მაღალი სასულიერო პირებისადმი გაგზავნილ წერილში<sup>3</sup>.

როდესაც შაპმა ამის შესახებ შეიტყო გიორგი მეფეს ძმა ლევანი მძევლად მოთხოვა. გიორგიმ შაპს ლევანის ნაცვლად შესთავაზა თავისი შვილი, უფლისწული ბაგრატი. შაპმა ახლა ორივე – ლევანი და ბაგრატი მოითხოვა, მაგრამ მეფემ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. უფრო მეტიც, ამის შემდეგ გიორგი კახელებს დაუკავშირდა, აჯანებისაკენ მოუწოდა და ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება შესთავაზა. მეფემ დასახული გეგმის რეალიზაციისათვის გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ მისმა ბიძამ (დედის ძმა), საასპეტმა თამაზმა, რომლის სიძე იყო არაგვის ერისთავი გიორგი, მეფის განზრახვა არ გაიზიარა,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 460.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 392r-394r. კვრობული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 160.

რადგან ქართლისა და კახეთის გაერთიანებით მისი სიძე გიორგი ერისთავი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. სპასკეტმა მეფეს უდალატა. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების კიდევ ერთი ცდა ჩაიშალა.

1688 წელს გიორგი მეფე იძულებული გახდა ბატონიშვილი ბაგრატი და თავისი მმა ლევანი შაჰთან გაეგზავნა<sup>1</sup>. გიორგის ბიძა სპასკეტი თამაზი ირანელების მხარეს გადავიდა, ხოლო როდესაც ერისთავ გიორგის დახმარება მოთხოვა, უარი მიიღო. მეფე გიორგიმ ერთხელ კიდევ თხოვა გიორგი ერისთავს თანადგომა, მაგრამ პასუხი იგივე იყო<sup>2</sup>.

გიორგი ერისთავისა და მისი მმის, ბარძიმის მეფე გიორგისთან შერიგება მოხდა მხოლოდ 1688 წელს.

\*\*\*

ჯულიო და კრემონას განზრახული პქონდა პაპისათვის ჩაეგონებინა გაეგზავნა ბარძიმისათვის წერილი და ზემოქმედება მოეხდინა ლტოლვილ გიორგი XI-ზე, რათა ამ უკანასკნელს მხარი დაეჭირა ბარძიმისათვის და მისი საშუალებით მეფე იმ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რომ ემოქმედა პატრების, როგორც პაპის წარმომადგენლების მითითებით. რაც შეეხებოდა ბარძიმს, როგორც პატრი ფიქრობდა, მისი ერთგულება პაპის ტახტის, კათოლიკური სარწმუნოებისა და პატრების მიმართ გარანტირებული იყო. ჯულიო კრემონელს ამგვარი რწმენის საფუძველს აძლევდა ის გარემოება, რომ ბარძიმს სულიერ მამად მიუჩინეს ბერძნული ტიპიკონის კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა სულიერი შვილის მორჩილებაში ყოლისათვის<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ოქმე, გვ. 461.

<sup>2</sup> ოქმე, გვ. 462.

<sup>3</sup> თამარაშვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 276.

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II თავის ცნობილ ნაშრომში – „იერუსალიმის პატრიარქების ისტორია“, კათოლიკე პატრიარქის საქმიანობას საქართველოში ახასიათებდა ბარძიმის კათოლიკობაზე გადასვლის მიხედვით: „ამავე დროს მათ (კათოლიკებმა – ე.მ.) საერო სიბრძნე იციან და ხალხს ლამაზი სიტყვებით ატყუებენ, მცდარად ხენიან წმ. წერილს და დამახინჯებით განმარტავენ წმ. მამების [ნაწერებს]. ასე გახადეს პაპისტად პარზიმი (ბარძიმი – ე.მ.). ის (ბარძიმი – ე.მ.) შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თავზე შლაპასაც დაიხურავდა“. ამით დოსითეოს იმის თქმა უნდა, რომ ბარძიმი კათოლიკე პატრიარქისავით ჩაცმულ-დახურული ივლიდაო, რაც იმას გამოხატულება იქნებოდა, რომ ის დაუფარავდა აღიარებდა კათოლიკობას<sup>1</sup>.

ბარძიმი არის XVII საუკუნის ერთადერთი ქართველი დიდებული, რომლის საიდუმლო პროზელიტობა, ე.ი. მის მიერ კათოლიკობის აღიარება, კრემონელის რელაციის გარდა სხვა წყაროთიც დასტურდება.

ზემოაღნიშნული წერილის შემდეგ პატრმა ჯულიომ 1690 წ. 10 მარტს რომში გაგზავნა წერილი, რომელშიც გამოსჭვივის სურვილი თავისი და, ზოგადად, მისიონის საქმიანობის წარმატება საქართველოში წარმოაჩინოს ბარძიმის კათოლიკობაზე მოქცევის მაგალითზე და ამით რომი წაახალისოს მეტი დახმარება გაუწიოს საქართველოში მოქმედ კაპუცინების მისიონის. „თუკი რომში დივან-ბეგის, კველაზე წარჩინებული ქართველი პირის, მოქცევის შესახებ ადრე გაიგებდნენ, ჩვენდამი უფრო კეთილგანწყობილი ურთიერთობა იქნებოდა; თვითონ ეს, ბუნებით კეთილი, ბატონი არ უჭვოდა, რომ ის უბრალოდ მოატყუეს, თუმცა თავისი კეთილი ბუნების გამო მისგან სიმპათია არ მოგველებია. კოველოვის გვიღებდა, როგორც საკუთარ ძმებს, განსაკუთრებულ უურად-

<sup>1</sup> მათი ხთვალი შვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), გვ. 225.

დებახა და პატივისცემას იჩენდა ჩვენდამი, გვებმარებოდა და გვმფარველობდა სახელმწიფო მდელვარებების დროს, რომ-ლის დროსაც ჩვენ გულისა და თავისი სარწმუნოების<sup>1</sup> გა-მო ბევრი სიმდიდრე დაკარგა, ამხედრა თითქმის მოელი საქართველო მასში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეროვნებ-ის ჩათვლით<sup>2</sup>.

ამავე დროს, ჯულიო ცდილობს კიდევ მეტად სრულყოს რომში კარდინალების წინაშე ბარძიმის, როგორც მისიონე-რების დამხმარის სახე: „ჰეშმარიტად უნდა მოგახსენო, რომ ღმერთს დიდად უყვარს ეს თავისი სხალი წმინდა ეკლესია, კინაიდან გაჭირვებაში მოუვლენს მას კეთილ ანგელოზთა მისსაც დასაცველად; ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ მთავარს (ბარძიმს – ე.მ.) ნაძღვილი მშვიდობის ანგელოზი, რადგან ჰეშმარიტი შვილია ეკლესიისა და დიდათ მოყვარე და მდაბალი მონა პაპისა“. ჯულიო კრემონელი იმისათვის, რომ მკითხველი თავის ნათქვამის ჰეშმარიტებაში დაარწმუ-ნოს, მოყავს ერთი მაგალითი ბარძიმის მიერ კათოლიკე მისი-ონერებისადმი დახმარებას რომ ასახავს: „ამ შვილი წლის წინეთ, როდესაც მთელი ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ ამდგარი იყო და უნდოდა ჩვენის ეკკლესიის და სახლის დაქცევა, ამან, რადგან კაფუციონები უყვარდა, ლტოლვილ მეფეზე (გიორგი XI – ე.მ.) უძველესად დაგვიცვა, დიდი სიმხეე გამოიჩინა, ხალხი ძალით განაშორა და მთელი არეულობა დააწყინარა; ახლაც, როგორც ერთი მოციქულებრივი კაცი ისე

<sup>1</sup> კათოლიკური სარწმუნოების მიღების გამო.

<sup>2</sup> Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 417r-418 v. კაპუსტინთა მისიონის პრეფექტის ჯულიო და კრემონას მიერ თბილისიდან 1692 წლის 10 მარტს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“ ერთ-ერთი კარდინა-ლისადმი მიწერილი წერილი // ეკროპული წყაროები საქართ-ველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 206.

იქცევა ჩვენის პატივის ასამაღლუბლად და კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. ასეთ დროებში ჩვენთვის სწორებ ასეთი ძლიერი მფარგელი იყო საჭირო<sup>1</sup>.

ის ადშტოოქტული მოქალაქენი, რომლებიც კათოლიკების წინააღმდეგ გამოვიდნენ, როგორც ჩანს სომხები იყვნენ. რადგან ბარძიმმა არ მისცა მათ საშუალება დაერბიათ კათოლიკები, ამიტომ სომხების პატრიარქმა განიზრახა ეკლესიურად დაესაჯა ის სომხები, რომლებიც კათოლიკეთა ეკლესიაში დაღიოდნენ. აღნიშნულის განხორციელება პატრიარქმა დააგალა თბილისელი სომხების ხელმძღვანელს – ვიკარიოზეს. ბარძიმმა, როგორც ჯულიო წერს, ვიკარიოზეს არ მისცა ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება.

სხვა დროს, როდესაც სომხური ეკლესიის იერარქმა, ვართაპეტმა ერთ-ერთი სომხური ეკლესია დააკეტინა იმის გამო, რომ მან ეკვი შეიტანა ეკლესიის პატრონისა და მღვდლის კათოლიკობისაკენ გადახრაში, ბარძიმმა ტაძარი გაადებინა. ამ ფაქტის აღწერისას პატრი წინააღმდეგობაში ვარდება: მას, როგორც ჩანს დაავიწყდა რომში გაგზავნილი წერილის ის ადგილი, რომლითაც პაპის მოხელეებს აფრთხილებდა, არ გაეხმაურებინათ ბარძიმის პროზელიტობა, რადგან თუ ამის შესახებ საქართველოში გაიგებდნენ, კათოლიკებისათვის ძლიერ საჭირო ამ პიროვნებას და ამ აღმსარებლობის მრევლსაც დიდი უსიამოვნება არ აცდებოდა. ახლა კი პატრი ბარძიმს კათოლიკობის მქადაგებლად წარმოგვიდგენს: „ხოლო ბარძიმი თვით მივიდა იქ გააღებინა კებლებია, დაუწყო მას ქადაგება კათოლიკურ სარწმუნოებაზე და ისე იმოქმედა, რომ (ვართაპეტი – ე.მ.) თითქმის დაარწმუნა იმას (კათოლიკობას – ე.მ.) შეერთებულიყო და პაპის მორჩილებაში კათოლიკე სარწმუნოება ეღიარებინა. ამ მთავარმა ეს იმოქმედა ეპოდების სიმტკიცით, გულმოღვინებით

<sup>1</sup> თამარა შვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 278-279.

და გონიერებით, რომ ამ შემთხვევაში ვერავინ შეიძლო მის-  
თვის რაიმე წინააღმდეგი ეპასუხებინა. იმ ვართაპეტს ქადაგე-  
ბაც კი აუკრძალა<sup>1</sup>.

სულ მცირე ხნის შემდეგ (1690 წ. 27 მარტი), ბარძიმის  
საქებარი წერილი პატრმა სილიბისტრებაც გაგზავნა რომში.

პატრების წერილებმა, გარკვეული გაგებით, მიზანს მია-  
დწიეს და პაპმა ალექსანდრე VIII-მ 1691 წელს გიორგი მეფეს  
გაუგზავნა „რჩევის წიგნი, რათა კვალად დამუშავდობოდა ბა-  
რძიმს და მას შეკრთვებოდა, რომ თუ მისი და სხვა ქათოლი-  
კების დახმარებით, ერთად ეზრუნათ საქართველოს საკეთ-  
ილდღეოდ“.<sup>2</sup> ბარძიმისთვისაც მოამზადეს პაპის წერილი, მაგ-  
რამ მისი გაგზავნა ვერ მოასწრეს პაპის გარდაცვალების გა-  
მო. წერილი შეაჩერეს 1692 წლამდე<sup>2</sup>.

პატრების წერილებში, თითქოს სხვათა შორის, სინამ-  
დვილები კი სერიოზული განხრაცვით, გატარებულია აზრი  
ბარძიმის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე საქართველოში,  
ჩანს მისი ამბიცია დადგეს მეფე გიორგიზე მაღლა, როგორც  
ქვეყნის ირანელთაგან და, საერთოდ, მაჰმადიანთა ბატონობი-  
საგან განმათავისუფლებელი. თითქოს ის ამიტომ აუჯანყდა  
მეფეს: „იხილ უნდა ვხოქვა, — წერს ჯულიო კრემინელი, —  
რომ ცოტათი წილი ამასაც უდევს იმაში, რომ საქართველო  
გიორგი მეფეს აუჯანყდა. გიორგიც მეტად განრისხებულა  
მასზე. ეს ბარძიმი რადგან საბმაოდ მსახურებელი და გუ-  
ლიხმიურია, რა სცნო თუ რა ნაირის უსამართლობით ეჭ-  
რობიან ირანელები საქართველოს და თუ რა მოელის მას  
მომავალში, ამისთვის დიდად ნატრობს, არა მარტო თავის-  
გან, არამედ თვით მთელი სამეფოსგანაც მოაშოროს ეს მათი  
სამარცხევით უდელი, აღმოფხვრას ერისგან გახრწილობა,  
შეცოლმილობა, ცრუმორწმუნება და ურწმენობა, და დახერ-  
გოს უკელვან იქსო ქრისტეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სარწ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 278- 279.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 284.

მუნიება“.<sup>1</sup> ჩამოთვლილი ყველა მანკიერების აღმოფხვრის მიზნით ბარძიმი დაკავშირებია კათოლიკურ ეკლესიასა და რომის პაპს<sup>2</sup>. პატრი სილიბისტრე სრულიად ნათლად აცხადებს ბარძიმის ხვაშიადის შესახებ: „ეს ის ბატონია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საქართველოს მეფე, რადგან ყველაზერი ამაზედაა დამოკიდებული და ყველას ეს განაგებს“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, ბარძიმს არ აქმაყოფილებდა პატრების საშუალებით რომთან მიმოწერა. წერილებში ის ყველაფერი ვერ ჩაიწერებოდა, სინამდვილეში რისკენაც ის მიისწრაფოდა. ამიტომ მას განუზრახავს რომში თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, მაგრამ უფროს პატრი მხარი არ დაუჭერია მისთვის ამ განზრახვის აღსრულებაში. პატრები, ალბათ, ხვდებოდნენ რომ ბარძიმი თავისი პოლიტიკური ამბიციების გამო მზად იყო რომიდან მხარდაჭერის შემთხვევაში, ისეთი რამ მოქმოქმედა, რაც პატრებს და პაპსაც პოლიტიკურ სკანდალში ამხელდა და პატრებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა საქართველოში. ვფიქრობ, ამით იყო გამოწვეული რომის მიერ თავის შეკავება ბარძიმთან უშუალო კონტაქტის დამყარებასა და მისთვის წერილის გამოგზვნაზე. პაპმა მნიშვნელოვანი დიპლომატიური მინიშნება გააკეთა, მაშინ როცა წერილი გაუგზავნა გიორგი მეფეს. ამითი მან ხაზი გაუსვა, რომ რომი ქართლის სამეფოში უმაღლეს ხელისუფლად გიორგი XI-ეს ცნობდა. ასეთი პოლიტიკა სწორად მიიჩნია ახალმა პაპმა ინოკენტი XII-ემ. მან თავის წერილში (1692 წ. 26 იანვარი) შეაქო ბარძიმის ღვაწლი კათოლიკების დაცვის საქმეში და კატეკორიულად ურჩია: „საჭიროდ კრაცხო, შეუერთდეთ გიორგი მეფეს. ამითი ჩვენ დიდად გვახიამოვნებთ, მასთანვე ჩვადეთ, რომ დაურღვევლად დაიცვათ ეგ მეგობრობა“-ო<sup>3</sup>. მნელია იმის განჭვრება როგორ განვითარდებოდა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 280.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 287.

მეფე გიორგი XI-ესა და ბარძიმ ერისთვისშვილს ურთიერთობა თუ იქნებოდა ეს უკანასკნელი მხილებული კათოლიკობისადმი ლოიალობაში იგი რომ 1692 წელს არ დაღუპულიყო.

ვახუშტი ბატონიშვილმა სულ რამდენიმე წინადაღება დაგვიტოვა მისი ბიოგრაფიიდან და იგი არცთუ ისეთ დადებით პიროვნებად წარმოჩნდება, როგორადაც მას კათოლიკე მისიონერები გვიხატავენ.

ვახუშტის მიხედვით 1688 წელს ერეკლე I-მა ბარძიმი „დააღვინა კარისა თვისისა გამგედ მსაჯულოუბეუცესად, მმა გიორგი ერისთავისა“<sup>1</sup>. ის მეთაურობდა ერეკლეს მიერ არჩილ II-ის ვაჟების შესაპყრობად დვალეთში გაგზავნილ ლაშქარს, მაგრამ ბარძიმს წინ აღუდგა ადგილობრივი ფეოდალი ელიუანაშვილი და მას მეფის დავალების შესრულების საშუალება არ მისცა<sup>2</sup>. ბარძიმი ერეკლე I-ის მხარეს იბრძოდა გიორგი XI-ის წინააღმდეგ. შემდეგ, 1691 წელს, გიორგი XI-ეს მიემსრო<sup>3</sup>, რომლის დავალებითაც ცდილობდა იმერეთის ტახტზე არჩილ II-ის განმტკიცებას, მაგრამ მისი მეთაურობით გაგზავნილმა სამხედრო ექსპედიციამ მიზანს ვერ მიაღწია და ბარძიმი ხელმოცარული დაბრუნდა ქართლში<sup>4</sup>. 1692 წ. ბარძი-

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 464.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 465.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 467.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 855. გიორგი XI-ის აქტივობაზე დასავლეთ საქართველოში და მის ოპტიმისტურ შედეგებზე, საერთოდ, საქართველოსათვის, საინტერესო მოქლე ცნობა დაგვიტოვა მისიონერმა ჯულიო და კრემონამ 1691 წლის 22 ოქტომბერს: „ოუკი უფალი გიორგი მეფის იარაღს წარმატებას მოუტანს; ეს მეფე<sup>4</sup> ამჟამად დაუუფლა იმერეთს და დაიკავებს კოლხიდას და ამგვარად იმზადებს ნიადაგს საქართველოში შემოსაჭრელად და დასაკავებლად, მთ უფრო, რომ მის მხარეზე არის უკელა დიდი მოაზროვნე“. Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 417 r-418 v. უკროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 178-179. გიორგი

მი გიორგი მეფის ლაშქარს მეთაურობდა, რომელსაც დავა-  
ლებული პქონდა კახეთის ქართლთან შეერთება. სოფელ ნი-  
ნოწმინდასან მომხდარ ბრძოლაში ბარძიმი სასიკედილოდ  
დაიჭრა.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „ხოლო ესე ბა-  
რძიმი იყო ამაფი, თავვედი, კადნიერი და არა რად ვინგე ჩხდა  
და უმეტეს კახნი“.

ბარძიმი ბრძოლის ველზე „ღვარობული და მოვრალი“  
იმყოფებოდა და კახელების ტყვიაში იმსხვერპლადა!

3. უნდა განვიხილოთ გიორგი XI-სთან დაკავშირებული  
კიდევ ერთი საკითხი – მისი დამოკიდებულება კათოლიკობ-  
ისადმი. არაფერს ვამბობ მის „მუსლიმანობაზე“, რომელიც  
მას ძალადობით მიადგებინეს.

XVII საუკუნეში ქართველები ფრანგებს ანუ ლათინებს  
დაუპირისპირდნენ იერუსალიმში თავიანთი ეკლესია-მონას-  
ტრების, განსაკუთრებით გოლგოთაზე ადგილის შენარჩუნე-  
ბისათვის. იერუსალიმში ქართველების და ლათინების დაპი-

---

მეთერთმეტეზე შეევარებულმა ჯულიო და კრემონამ, თავისი  
გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობის მიუხედავად, მისოვს  
დაამზადებინა 8 პიასტრის ღირებულების ოქროს ბეჭედი. *Archivio  
di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol.  
I, ff. 438 r-447r.*

<sup>1</sup> ბარძიმის მეთაურობით ნინოწმინდასთან მისულ ქართლის ჯარს  
(ბარძიმთან ერთად იყვნენ გივი ამილახვარი და სპასპეტი თამაზი)  
კახეთის სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოვაშვილი და ნინოწმინდელი  
მასპინძლობდნენ. ამ დროს ქიზიუს მოურავი დუშია თუშების  
მცირე რაზმით ბარძიმთან წამოვიდა ზავის საოცნელოდ. როცა  
ბარძიმმა გაიგო დუშიას მოსვლის შესახებ, იფიქრა საომრად მო-  
ვიდაო და სიმთვრალის გამო ძალიან განრისხდა. როცა სცადეს  
აქსენათ დუშიას მოსვლის ნამდვილი მიზეზი ბარძიმმა არავის  
მოუსმინა და საომრად გავიდა. შეშინებულმა დუშიამ თოფის  
სროლა დაიწყო, „პკრა ბარძიმს მკერდხა და განვლო ბეჭედის მიხ-  
ხა“. იქნე, გვ. 468.

რისპირება საკმაოდ ხანგრძლივი იყო<sup>1</sup>. XVII ს. 40-იან წლებში ქართველებმა გოლგოთა მიატოვეს. ლათინებმა ამის შემდეგ სხვა ქართული მონასტრების ხელში ჩაგდება მოინდომეს. ასეთი ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ბერძნებს, ანტიკათოლიკური პროპაგანდა ეწარმოებინათ საქართველოში, რაც საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამჯერად ყურადღება მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის წერილებზე უნდა გავამახვილოთ, რომლებშიც მოცემულია ქართველთა და ბერძნები მართლმადიდებლობის დასაცავად ერთობლივი ბრძოლის მოკლე დახასიათება. ის მოუწოდებს ქართველებს კვლავაც ერთობლივად (ბერძნებმა და ქართველებმა) იბრძოლონ იმავე მიზნის განსახორციელებლად. ეპისტოლედან ყურადღებას იპყრობს პატრიარქის ნათქვამი გიორგი XI-ზე, რომელსაც ის შეხვდა 1681 წელს, საქართველოში მეორედ ყოფნისას. ამაზე გვამცნობს „წიგნი ეს მართალი და ჭეშმარიტი, ჩუქებარ მირთმეული“ დოსითეოსისადმი. „წიგნში“ ჩამოთვლილია ის თანხები და საქონელი, რომელიც ქართულ მხარეს მისთვის უნდა გადაეცათ იერუსალიმის ქართული მონასტრების ვალების დასაფარავად<sup>2</sup>. გიორგი მეფეს არც შემდეგში დაუკლია ყურადღება იერუსალიმის ქართული სიწმინდებისათვის. მან 1684 წ. „წარგზავნა იერუსალიმს თრი ათასი თუმანი გოლგოთისა და ჯუარისა მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესაძლო მათნი“<sup>3</sup>. დოსითეოსი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო გიორგი მეფის მიერ 1699 (?) წლის ახლო ხანებში მისი მმისწულის, დომენტის (შემდგომში კათალიკოსი დომენ-

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური ხამგარო, გორი, 1998, 101-105, 110-114.

<sup>2</sup> Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, Тифлис, 1866, с. 26-27; მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 200-201.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 282.

ტი IV) ხელით „მოვალეებისაგან დატყვევებული ჯვრის მონასტრის დასახელები შესაწირავის“ გაგზავნით<sup>1</sup>.

დოსითეოსის ეპისტოლებან ჩანს, რომ გიორგი მეფეს ჯვრის მონასტრის ვალები გადაუხდია და დიდი წვლილი შეუტანია ამ ეროვნულ საქმეში. რაც შეეხება თბილისისა და გორის კათოლიკურ ეკლესიებს, XVII ს. დასასრულს, გორში ეკლესია სომხებს ნამდვილად დაუკავებიათ და ამ დროს ამ ქალაქში პატრები საერთოდ არ იმყოფებოდნენ<sup>2</sup>. თბილისში კი, XVIII ს. დასაწყისში მხოლოდ სამი კაპუცინი იყო და არ ჩანს, ეკლესია ჰქონდათ თუ არა. დოსითეოსი დიდად დაინტერესებული იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერს მეტოქი ჰქონდა თბილისში. ასეთად მას კათოლიკეთა ეკლესია ეგულებოდა, რომლის ჯვრისათვის გადაცემას, თუ დოსითეოსს დავუჯერებთ, გიორგი XI დაპირებია, მაგრამ ის არ შესრულებულა 1706 წელსაც კი. როგორც ზემოთ ითქვა, დოსითეოსი ვახტანგ VI-ს თხოვდა: მიეცით წმ. ჯვრის მონასტერს თბილისში ერთი ეკლესიაო<sup>3</sup>. რაც შეეხება კათოლიკეთა ეკლესიას თბილისში, მოღწეული ცნობებიდან არ ჩანს, ვის ეკუთვნიდა იგი. არც ის ჩანს, კათოლიკეთა სიმცირე თბილისში ამ ქალაქიდან მათი გაძევების თუ სხვა რამის შედეგი იყო. დოსითეოსი, ალბათ, ფიქრობდა, რომ კათოლიკების ეკლესიის ჩამორთმევით გაუარესდებოდა ურთიერთობა რომსა და ქართლის სამეფო შორის. იგი დაინტერესებული იყო მოვლენების ამგვარი განვითარებით.

XVII ს. ბოლო მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება მეფეებს და მაღალ სასუ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. / ტექსტები გამოხაცემად მოამზადა, გამოკვლეული, შენიშვნები და განმარტებები დაუწიო პროფ. ავთ იოხელიანმა, თბილისი, 1980, გვ. 45.

<sup>2</sup> მამისთვალიშვილი კ, გორის ისტორია, I, გვ. 324.

<sup>3</sup> თბილისში იერუსალიმის ჯვრის მეტოქის შესახებ ის. ჩემი, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 225.

ლიერო წოდებას აიძულებდა, ევროპასთან კავშირის დამყარებით, გამოსულიყვნენ ჩიხიდან<sup>1</sup> და უკვე მერამდენედ მიმართავდნენ ერთ ნაცად სერხე: ფორმალურად და საიდუმლოდ ედიარებინათ კათოლიკობი და ამით მიეცეროთ რომის პაპისა და ზოგიერთი ქრისტიანული სახელმწიფოს ყურადღება. ისლამის სახელმწიფოების აგრესის შეკავების მიზანი განაპირობებდა ქართველ მეფეთა „გამუსლიმანებასაც“.

1686 წ. წერილიდან ჩანს, რომ გორში პატრები კვლავ არ იყვნენ, მაგრამ ამ ქალაქში დაბრუნების იმედს არ ჰყარგავდნენ. 1689 წელს ისინი მოითხოვდნენ 64 პიასტრს, რათა სომხების ხელიდან გამოეხსნათ და აღედგინათ მონასტერი. სავარაუდოა, პატრებმა ერთი პირობა ეკლესიის აღდგენა შეძლეს, მაგრამ სომხებმა წაართვეს, ან სომხები მათს ნაეკლესიარ ადგილს დაეპატრონებ. წერილში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ თუ თეატინელებს ეკლესია არ ექნებათ, მაშინ კათოლიკე მდგდლის გორში გაგზავნა შეუძლებელია<sup>2</sup>.

როგორც ჩანს გორში ეკლესიის აღდგენა მისიონერებმა მოკლე ხანში შესძლეს. თავიანთ ხელმოკლეობაზე მოწუწუნე პატრები განუწყვეტლივ სწერდნენ საქართველოდან რომში. ისინი დაუყონებლივ შეკეთებას მოითხოვდნენ თბილისის ეპლესისა და მონასტრის, გორში კი მხოლოდ მონასტრისას. ამ უკანასკნელისათვის პატრები 86 სკუდს მოითხოვდნენ. სულ, თბილისისა და გორის ეპლესია-მონასტრებისათვის 346 სკუდი სჭირდებოდათ<sup>3</sup>.

ამ პერიოდიდან უხვად გვაქვს ცნობები ქართველ მეფეთა, დიდ თავადთა, ეკლესიის იურარქებისა და სხვათა კათო-

<sup>1</sup> Alonso C., *Misioneros Agustinos en Georgia (Siglo XVII)*, Valiadolid, 1978, p. 31-32.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1101, ფ.71.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. 10.

ლიკობზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ისინი სიმართლეს არ შეეფერება.

მაინც გამორჩეულად ბევრია ცნობები ქართლის მეფე გიორგი XI-ის რომთან ურთიერთობაზე. დადგენილია, რომ იმ პერიოდში, როდესაც იგი ეპისტოლარულ ურთიერთობაში იმყოფებოდა რომის პაპთან, რაზეც მიუთითებს მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული მიმოწერა პაპთან<sup>1</sup>, 1677 წლიდან ოფიციალურად აღიარებდა ისლამს.

მისიონერების წერილებიდან ჩანს, რომ მეფე გიორგი კათოლიკურ რწმენას გაეცნო პატრი ჯუსტინო და ლიკორნოს მეშვეობით და „მაშინვე მოინდომა შემოურთება ამადანის ეპისკოპოსის, პიქეს საშუალებით. ეს ეპისკოპოსი ხშირად სწერდა ამას (პაპი ინოკენტი XI – გ.მ.) თქვენი გულკეთილობის ამბავს“<sup>2</sup>. 1686 წლის 25 ოქტომბერს პატრი ჯუსტინო გამოქვამს იმედს, რომ კათოლიკურ რწმენაზე მოაქცევს მეფე გიორგის<sup>3</sup>.

იგივე მისიონერი გადმოგვცემს, რომმევე გიორგიმ ჰამადანში თრჯერ გაგზავნა კაცი და პიქე თბილისში მოიწვია, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. მეორედ პიქე კიდეც აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ გარდაიცვალა. წერილის

<sup>1</sup> ქართლის მეფე გიორგი XI-ის წერილი პაპ ინოკენტ XI-ს – 1687 წ. 29 აპრილი; მისივე წერილი „პროპაგანდა ფიდებ“ – 1687 წ. 29 აპრილი; კათოლიკოს ეკკლესიების წერილი იმავე პაპს – 1687 წ. 1 მაისი; იმავე პაპის ორი საბაზისო წერილი გიორგი XI-ს – 1688 წ. 4 მაისი და 28 მაისი; იმავე პაპის პასუხი იმავე არქიეპისკოპოსს – 1688 წ. 14 მაისი; „პროპაგანდა ფიდებ“ წერილი იმავე მეფე – 1688 წ. 3 აპრილი. ი.ხ. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 263-273.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264.

<sup>3</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 362r-362v. კვრიპული წერილები საქართველოს შეხახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 141.

მიხედვით, 1686 წ. 7 დეკემბერს „მეფემ წარმოხილება სარწმუნოების აღსარება და თან ფიციც დახდო, რომ თავის სამეცნიერო ერთიან დაუმორჩილოს ოქუცნების უწმინდესობას“ – წერს პაპს პატრი ჯუსტინო და ლივორნო<sup>1</sup>.

ჯუსტინო გორის მისიონის ხელმძღვანელის დიონიზიოს მიერ გაიგზავნა ირანში დესახანად. იმავე დროს მეფე გიორგი XI-ის ხდობის მანდატით ის წარმოადგენდა ქართლის მეფეს რომის ეკლესიასთან გაერთიანებისათვის მოლაპარაკების დროს. – წერს ჯუსტინო 1686 წლის 22 დეკემბერს<sup>2</sup>.

ჯუსტინოს შეთანხმებაც კი ჰქონებია მეფე გიორგისთან და მის დიდებულებთან კათოლიკობოზე მათი მოქცევისა და რომის ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ<sup>3</sup>.

მეფე გიორგისთან სიახლოვის გამო, ჯუსტინოს მნიშვნელოვანი გეგმა დაუსახავს: მისი ფიქრით, მისიონერებისათვის უკვე იოლი იქნებოდა ოსებში შეღწევა, რადგან მათი მრავალი სოფელი გიორგის ექვემდებარებოდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მის ბატონიშვილს ცოლად პყავდა ჩერქეზების მთავრის ქალიშვილი. ამის შესახებ ჯუსტინო ესაუბრა მეფე გიორგის, რომელიც შველაფერზე დათანხმდა. ჯუსტინოს განუზრახავს მისიონები დაეარსებინა ქართლის სამეცნიეროს ყველა მნიშვნელოვან პუნქტში – თბილისში, გორში, ალაზი, საციციანოში, საერისთავოებსა და სომხითში. დაეარსებინა მისიონები გიორგი მეფის სამფლობელოების გარეთაც კერძოდ: ლორეში, განჯაში, შემახაში, კახეთში, ქუთაისში, რაჭაში, გურიაში. ყველა დასახელებულ ოლქებსა

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264

<sup>2</sup> *Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 362r-362v.* ეკრობული წერტილი საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 148.

<sup>3</sup> იქვე.

და ქალაქებში ჯუსტინოს უმოგზაურია და კათოლიკობას ავრცელებდა<sup>1</sup>.

იმავე პატრის მიხედვით, მეფე გიორგი ცხრა წელზე მეტი სნის განმავლობაში აღიარებდა ისლამს, მაგრამ გარეგნულად, მოჩვენებით, მხოლოდ იმიტომ, რომ მეფობა შეენარჩუნებინა<sup>2</sup>. კათოლიკური სარწმუნოება უდიარებიათ, აგრეთვე, მეფის ძმას, ლევანს იმავე წლის 19 დეკემბერს, არქიეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილს კი, 20 დეკემბერს. საყურადღებოა, რომ როგორც ჯუსტინო რომში აცნობებდა, გიორგი მეფის მთავარი მრჩეველი მისი ძმა ლევანი იყო.

გიორგი XI-ს დიდი სურვილი ჰქონებია ებრძოლა ურწმუნოების წინააღმდეგ, მაგრამ ამისათვის პაპის ბრძანებას ელოდებოდა. ჯუსტინო სთხოვდა პაპს: „ეს ბრძანება ისეთი იყოს, რომ ირანის მეფეს არაფერი ეწყინოს, რადგან რავდებით წელიწადია (გიორგი XI – ე.მ.) მახთან კარგად კერ არის“. პატრ ანჯელოს უნდა წაედო რომში ჯუსტინოს წერილი, რომელსაც მეფე თავის ელჩიად გზავნიდა. მას კრცლად უნდა ეუწებინა პაპისათვის მეფის ყველა სურვილი, მეფეს განსაკუთრებით უნდოდა, რომ პაპს სხვა ქრისტიანი მთავრებისა და მეფების მსგავსად, ისიც რომის ეკლესიის შვილად გამოიცხადებინა<sup>3</sup>.

პატრმა ანჯელომ რომში წაიყვანა სწავლის გასაგრძელებლად პროპაგანდის კოლეგიაში, ჯუსტინო და ლივორნოს ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე, 19 წლის ობილისელი თავადიშვილი, სოლომონ თუმანიანთი, „ვინაიდვან ეს იმ ტომისა, რომლის მოწოდებაც განსაზღვრა ნებარ ხევნებულმა წმინდა ონოფრიოს კარდინალმა“. ცნობილია, რომ სოლომონი სწავ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 265.

ლის დამთავრების შემდეგ კაპუცინების მონაზონი გახდა, მაგრამ მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს<sup>1</sup>.

პატრმა ანჯელომ პაპ ინოკენტი XI-ს წაულო გიორგი მეფის მიერ იმავე წლის 29 აპრილს შედგენილი წერილი. მეფე უნდოდა თავისი კაცი გაეგზავნა რომში, „მაგრამ, თუ სიმორისა და თუ გზის აღურაცხველი განსაცდელების გამო კერ გამოვგზავნეთ“, – წერდა იგი პაპს.

იმის გარდა რაც ჯუსტინოს წერილში იყო აღნიშნული, გიორგი მეფე თავის მხრივ პაპს აცნობებდა, რომ ერთი ვაჟი ჰყავს, სახელად ბაგრატი, რომელიც უნდა გახდეს დევისაგან კურთხეული პაპის ტახტის ქვეშვრდომი. ამასთან ერთად იგი გამოსთვამს მზადყოფნას პაპის მოწოდებისთანავე თავისი მხედრობით გამოვიდეს ურწმუნოთა წინააღმდეგ საბძოლველად: მიუხადავად იმისა, რომ „ჩვენ და ჩვენი სამეფო კემორჩილებით ირანის მეფეს, – წერს გიორგი XI, – თვინიერ მისი ბრძანებისა არაფერი შეგვიძლია, გარნა მხგავსად თქვენის საყვარელ შვილებისა, გვირგვინოსან მეფეებისა, რომლებიც მუდამ უამს, ურწმუნოებს ებრძიან და მათ ზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენც ვძლევთ ამ ურწმუნოთა... ნეტაი ღმერთმა და დევთის მშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიგოს ზიანი თქვენთა მეტერთა, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეტებთან ერთად შევიარაღდეთ. ესეც სცანით, რომ ჩვენი სამეფო, ჩვენი ბრძანების ქვეშ მყოფნი და მთელი ჩვენი საქართველოს მხედრობა მზად ვართ და მოველით თქვენს ბრძანებას; რასაც თქვენის ლოცვა-კურთხევით გვიბრძანებთ, მზათა ვართ შევასრულოთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 266, 274.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 267-268.

პაპს წერილი გაუგზავნა არქიეპისკოპოსმა ექვთიმე რატიშვილმა<sup>1</sup>. მეფე გიორგიმ ტოსკანის გრანდუპასაც გაუგზავნა წერილი, რომელიც პატრმა ანჯელომ ფლორენციაში გადასცა ადრესატს. ამ წერილს ვერ მიაგნო მ. თამარაშვილმა<sup>2</sup>, ამდენად უცნობია მისი შინაარსი.

პაპმა და პროპაგანდა დე ფიდემ პატრ ანჯელოს გამოატანეს წერილები მეფესა და არქიეპისკოპოსთან, რომლებშიც უქებდნენ იმ მონდომებას, რომელსაც ისინი ამჟღავნებდნენ კათოლიკური სარწმუნოების გაძლიერებისათვის და დარიგებას აძლევდნენ კიდევ როგორ უნდა ეღვაწათ ამ მიმართულებით.

მეფე გიორგი, როგორც ჩანს, XVII საუკუნის ქართლის მეფეების პოლიტიკის გამაგრძელებელია რომთან მიმართებაში და მისი ან ჯუსტო ლივორნოელის წერილები გაგზავნილი პაპთან ან მის კარზე თითქმის ერთი შინაარსისაა, მიზანიც ერთია: ქართლში აინტერესებთ პაპების პოზიცია საქართველოს და ორან-ოსმალეთის მიმართ, შეიძლება თუ არა რაიმე სახის დახმარების მიღება დამოუკიდებლობის აღსადგენად. მისი დიპლომატიური სვლები ძალიან ჰგავს სხვა მეფეების მცდელობებს კათოლიკე მისიონერების საშუალებათ პქონებოდათ კავშირი რომთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რითაც გარკვეული გაგებით, ახდენდნენ ზეწოლას მეზობელ სახელმწიფოებზე.

იმისათვის რათა, გიორგი მეფის გულწრფელობაში დავრწმუნდეთ, რომ მას ნამდვილად განზრახული პქონდა თუ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 268-270. ეპიზოდური ცნობებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტოსკანის პერცოგებთან კონტაქტები პქონდათ ქართველ პოლიტიკოსებს XVII საუკუნეში. შეიძლება დასახელდეს კოზიმო მესამის წერილი გიორგი მეთერთმეტესთან, რომლებშიც ითხოვს მეფემ უერადდება მიაქციოს სომხების მიერ დევნილი კათოლიკების დაცვას იქვე, გვ. 261-262.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 270.

არა ყოფილიყო ჭეშმარიტი კათოლიკე, მან ამისათვის როგორც მეფემ, ახალი რწმენის (ეს უკვე მესამე იყო: ჯერ მართლმადიდებლობა, შემდეგ ისლამი, ეხლა კათოლიკობა) აღიარება იმ ადამიანის კურთხევით მოინდომა, ვინც პაპსა და ქართლის მეფეს შორის შუამავლობდა. სავარაუდოა, მეფე ითვალისწინებდა ეპისკოპოს პიქეს ჯანმრთელობის მდგომარეობას და დარწმუნებული იყო, რომ ის თბილისში ჩამოსვლას ვერ შეძლებდა, ამიტომაც მოითხოვდა (ან კი მოითხოვდა?) მისი კურთხევით კათოლიკობის მიღებას. რაღან ეპიკოპოსი მეფეს ვერ ესტუმრებოდა და გიორგი XI „განზრახვის“ ასრულებას ვერ შეძლებდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მას ყოველთვის ექნებოდა თავის გამართლების შესაძლებლობა მათ წინაშე ვინც მოუთმენლად ელოდნენ მისგან ასეთ ნაბიჯს. რომელი სარწმუნოება იყო გიორგი მეფისთვის უმთავრესი, კარგად გამოჩნდა დედოფალ მარიამის გარდაცვალების გამო მოწყობილი სამგლოვიარო ცერემონიალის დროს. გიორგი ეკლესიაში მივიდა. ჩანს, გიორგის ამგვარი საქციელით უკმაყოფილონი იყვნენ ყიზილბაშები. შაჰმა თავისი ვეზირი აჯი ალიხანი გამოგზავნა ვითომ ქართლის მეფისათვის სამბიმრის გადასაცემად, სინამდვილეში მას დავალებული ჰქონდა გაერკვია რატომ გაბედა მუსლიმანმა გიორგიმ ქრისტიანულ ეკლესიაში შესვლა. როცა აჯი ალიხანმა ასეთი კითხვით მიმართა, მან უპასუხა: „რაღან ის ქართველი დაიბადა და საქართველოში ცხოვრობს, ამიტომ არ უგების თავისი ქვეყნის წესებულებების მიზოვება. ვაირანელების მას ხულიადაც არ უკრძალავს ცოლის გამოხატირებლად შევიდეს ეკლესიაში“<sup>1</sup>.

კათოლიკე მისიონერები უველთვის საიმოვნებით და სიამაყით აღნიშნავდნენ ქართველი მეფე-დიდებულების ყურადღებას მათი ეკლესიის მიმართ. ამ მხრივ გამონაკლისს არ

<sup>1</sup> დიონიზო კარლი, თბილისის აღწერა // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 171.

წარმოადგენდა ჯულიო და კრემონა. ის წერდა: „ჩვენი წმინდა გკლების წიაღში მოვიდნენ ქართველებიც და ოურქებიც<sup>1</sup>. მევე თოხჯერ მოვიდა ჩვენთან თავისი გამოჩენილი სწავლულებით. გარდა ამისა, ყველაზე გამოჩენილი ქართველი სწავლულები მოდიოდნენ ჩვენთან ცალ ცალკე, ასევე ყველაზე დიდგვაროვანი ქალბატონებიც; როცა მათ ნახეს ჩვენი კარგად მორთული გკლებია, ლამაზი საკურთხეველი და შესანიშნავად დალაგებული და მოწყობილი გარემოება, ყველა ჟალებლივ აღიღებდა უფალს, გვეუბნებოდნენ, რომ კათოლიკური გკლებია - ეს ნამდვილი დედაა ქრისტიანების, რომ მხოლოდ კათოლიკები ზრუნავენ ჭეშმარიტად უფლის დიდების ამაღლებისათვის და მისი კულტის სილამაზისათვის<sup>2</sup>.

გიორგი მეფის მიერ ისლამის მიღების მოტივი თავისი თანმდევი პოლიტიკური შედეგებით, მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის გასაგები იყო. იმასაც პქნდა მნიშვნელობა, რომ მუსლიმანი მეფეების მმართველობის გარკვეული ტრადიციაც უკვე არსებობდა. ასეთ ვითარებაში გიორგი ახდილად ისლამის უარყოფას ვერ გაბედავდა, რადგან მის მიერ ისლამის მიღება შაპთან ურთიერთობის გაუმჯობესებასთან იყო დაკავშირებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შაპის კარი, მართალია, მოგვიანებით ზოგჯერ ასევე პოლიტიკური მოსაზრებით, საქართველოში კათოლიკების დამცულებაც გამოდიოდა, მაგრამ იგი ქართლის ტახტზე კათოლიკ მეფეს ვერ შეეგუებოდა<sup>4</sup>. შაპი სულეიმან I (1666-1694),

<sup>1</sup> ალბათ, ზოგადად მუსლიმები.

<sup>2</sup> იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი XI.

<sup>3</sup> Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 417r-418v. ეკროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 178.

<sup>4</sup> განხხვავებული მოსაზრება იხ. პაპა შვილი ქ., საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს., გვ. 220.

ქართლის მეფესთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში ვერც იმას დაუშვებდა, რომ გიორგი მეფეს თავის სამეფო რომის პაპისათვის დაუმორჩილებინა. მაშასადამე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მეფეს სერიოზულად არ განუზრახავს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა. მის მიერ წერილებში გამოთქმული დაპირებები მხოლოდ სამეფო კარს არ სცილდებოდა და მისი წინამორბედი მეფეების მიერ გაგზავნილ დაპირებებთან და წერილებთან ერთად უშედეგოდ იღებოდა ვატიკანის არქივებში.

საქართველოში და მის გარშემო არსებული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი, არ იძლევა მის თქმის საფუძველს (თუ მხოლოდ კათოლიკე მისიონერების რელაციებს არ მივიჩნევთ უცილობელ ჭეშმარიტებად), რომ მეფე გიორგი XI-მ თითქოს კათოლიკობა აღიარა და მისი დროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილიც ამისი მომხრე იყო. მ. პაპაშვილმა გიორგი XI-ის „გაკათოლიკებასთან“ დაკავშირებით, გამოთქვა სერიოზული მოსაზრებანი და ისინი განავრცო საქართველო-რომის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ჯერ გავეცნოთ მკვლევრის არგუმენტებს და შემდეგ გავარკვიოთ რამდენად შეესაბამება ისინი ისტორიულ სინამდვილეს. ამგვარი განხილვა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავს ჩვენში თითქმის გაბატონებულ შეხედულებას საქართველოს რომთან ურთიერთობის მიზეზებსა და შედეგებზე.

მ. პაპაშვილის მიხედვით, გიორგი XI-მ უპირატესობა მიანიჭა „კათოლიკურ დოქტრინებს“, რადგან „კათოლიკობა მისთვის მოწინავეობას ნიშნავდა. იგი იყო საშუალება დასაკლეიობის ცივილიზაციასთან ზიარებისა. მისიონერებთან მშიდრო კავშირში მყოფმა მეფემ, ალბათ, კარგად გაარკვია, თუ რაში მდგომარეობდა ცენტრალიზებული და ეროვნული გეროვანები სახელმწიფოების სიმბიოზე. ამასთან კავშირში გიორგი XI-ს შეეძლო დაეხახა, კათოლიკობის სიძლიერე და იხილო, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო კალებიათა გაერ-

თიანებასა და რომის პაპის უზენაუხობის აღიარებას. თუ გავთვალისწინებო იმ გარემოებას, რომ იმდროინდებო ქართველი მართლმადიდებელი საკულტურო პირები დიდად ჩამორჩებოდნენ კათოლიკე მისიონერებს საღვთისძებულო ცოდნაში (ამის შესახებ მრავალი წყარო გაგვაჩნია), საფიქრებელია, ქვეყნის მესვეურების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება ხშირ შემთხვევაში გამოწვეული ყოფილიყო კათოლიკური დოქტრინების უაირატებელის აღიარებით. მიგვაჩნია, რომ ამ მოქნების გამორიცხვა არ იქნებოდა სწორი. სხვა შემთხვევაში გაუგებარია რატომ კათოლიკებოდნენ ქრონიკის მართლმადიდებელი სასულიერო პირები, ან რატომ არ გამოდიოდა ქართული ეკლესია თეოლოგიურად კათოლიკების წინააღმდეგ<sup>1</sup>.

განვიხილოთ მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულებები:

1) გიორგი XI-ის კონტაქტები რომის პაპთან და მოწინავე ევროპასთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის დამყარების დიდი სურვილით იყო განპირობებული. იგი კათოლიკურ ევროპას საიდუმლოდ და არა ახდილად პირდებოდა იმას რასაც მისგან იგივე ევროპელები მოითხოვდნენ. მაგრამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების არც სურვილი და არც შესაძლებლობა მას არ გააჩნდა. პოლიტიკური მოსაზრებით ცრუ დაპირების მიცემა ან თვალთმაჯურება, მაშინდელი დიპლომატიისთვისაც სრულიად მისაღებად ითვლებოდა.

2) რა თქმა უნდა, მევე მისიონერებისაგან იღებდა ინფორმაციას ევროპის კათოლიკური სახელმწიფოების პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მას ძალიან გაუძნელდებოდა იმის დაჯერება, რომ მათი სიძლიერის წყარო კათოლიკობა იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც იმავე ევროპაშიც კი ბევრს არა მხოლოდ ეჭვი ეპარქებოდა კათოლიკობის უნივერსალობაში, კათოლიკური დოგმების სის-

<sup>1</sup> პაპაშვილი გ., საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 225-226.

წორესა და ეკლესიის ორგანიზაციაში, არამედ სისხლიც დაიღვარა პაპისა და მისი სახელმწიფოს პრეტენზიებისაგან თავის დასაღწევად.

კათოლიკე მისიონერების გარდა არსებობდა ინფორმაციის მოპოვების სხვა წყაროებიც. დაუჯერებელია, რომ XVII საუკუნეში გამოქვეყნებული ანტიკათოლიკური ლიტერატურის ნაწილი მაინც არ აღწევდა საქართველომდე. სხვათა შორის, ამგვარი ლიტერატურის გამრავლება-გავრცელებაში დიდი წვლილი შეპქონდათ სწორედ ანტიკათოლიკური საქმი-ანობით სახელგანთქმულ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ს და მის აღზრდილ ანთიმოზ ივერიელს, გიორგი XI-ის თანამედროვეებს (მეფე გიორგი პირადად იცნობდა პატრიარქ დოსითეოს). ქართული სტამბის დაარსების მთავარი მიზანიც, თავდაპირველად ანტიკათოლიკური ლიტერატურის ქართულად გამოცემა იყო, მაგრამ ეს განხრახვა იმ დროს არ განხორციელდა. ისიც საინტერესო უნდა იყვეს, რომ სტამბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გიორგი XI იყო<sup>1</sup>.

3) რაც შეეხება ქართული ეკლესიის მსახურთა ჩამორჩენილობისა და მათ მიერ ქრისტიანული დოგმების არასწორად შესრულებას და ზოგჯერ უგულებელყოფასაც კი, მართლაც საქმაოდ გაგვაჩნია უცხოური ცნობები. მაგრამ მათ ხელადებით გაზიარება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ვინ და რატომ აკრიტიკებდა ქართულ ეკლესიას, რა მიზნები ამოძრავებდა მათ? ამგვარ ცნობებს ავრცელებდნენ საქართველოზე თავიანთი გავლენის გავრცელების მოსურნე უცხო ეკლესიების მეთაურები (რომის პაპი თავისი მისიონერების საშუალებით, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III და იერუსალიმის პატრიარქები – თეოფანის III და დოსითეოს II, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები). მართლაც ბევრი რამ ქართული საეკლესიო წეს-ჩვეულებებისა განსხვავ-

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ქ., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 103-113.

დებოდა რომაულ-კათოლიკური და ბერძნულ-მართლმადიდებლურისაგან, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა მათს უპირატესობას ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში. საქართველოდან რომში გაგზავნილი წერილებიდან ხომ მაინც ჩანს რომ ქართველები ყოველთვის იცავდნენ ქართული ეკლესიის სიმართლესა და თვითმყოფადობას.

4) გამიძნელდება გავიხსენო თუნდაც ერთი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც კათოლიკობა აღიარა და შემდეგ ამ რწმენის გავრცელება-გაძლიერებისათვის რაიმე მოიმოქმედა. მათ მიერ კათოლიკობის აღიარება (საკითხავია, სინამდვილეში აღიარეს თუ არა), მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდებოდა (რაშიც არ ვარ დარწმუნებული) გარკვეული პოლიტიკური მოტივით, მას ასაიდუმლოებდნენ და უცნობი იყო ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საფუძველს მოკლებულია მ. თარხნიშვილის მიერ კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის იმ მხარის შეფასება, რომლის მიხედვითაც, თითქოს, „XII-დან XIX საუკუნეებდე მისიონერებმა ხალხის დიდი მასა, ბევრი თავადი, ეპისკოპოსი და დაახლოებით 12 მეტე შემატეს კათოლიკურ ეკლესიას. მოღიანად შეკრთხბა რომთან, სამწუხაროდ, მუდმივი პოლიტიკური არეულობის გამო არ მოხერხდა“. თარხნიშვილი მ., ქრისტიანობა საქართველოში // წერილები, თბ. 1994, გვ. 43.

კიოხვის ნიშნებს ბადებს 6. პაპუაშვილის მოსაზრება, თითქოს „ახევ თუ იხ, ჩვენ დაბჯითოებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნიამ და უნიატობამ ხაქართველოში, ხაბერძებითისა და აღმოხავლეთ ეკროპისაგან განხხვავებით, ფეხი ვერ მოიიდა. ამ მიმართულებით ნიკიფორე ირუბაქიძის (ირბაქის), სულხან-ხაბა ორბელიანის, ანგორ კათალიკოხისა და სხვათა ცდებს, წმ. ბახილის წერდების საფუძველზე (კ.ი. ბერძნულ-მართლმადიდებლური ტრადიციის დატოვებით, ამ ტრადიციისათვის ხელის შეხების გარეშე) გაეკათოლიკებინათ ხაქართველო, წარმატება არ მოჰყა. ხაქართველოში ძირითადად... ლათინური წესის კათოლიკობა დაინერგა. ეს ეკლესია აქ განხაუთებით XVII ს-ს დამდგენდან გააქტიური-

5) არსებული ცნობებიდან არ ჩანს, რომ ქართველი სამდგდელოება თეოლოგიურად არ ეპაექტებოდა კათოლიკებს, მაგრამ, პრაქტიკულად რომ ზღუდავდა მათ მოქმედებას, ამის შესახებ მისიონერებს ხმამაღლა გაცხადება არ უნდოდათ, მაგრამ მათს წერილებში მაინც გამოჩნდა ზოგიერთი მომენტი, რომლებიც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. XVIII საუკუნეში რომისადმი, როგორც მოკავშირისა და დამცველისადმი იმედის გაცრუებამ კათოლიკობისადმი ნამდვილი დამოკიდებულებაც გამოამჟღავნა.

\*\*\*

გიორგი XI-ზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რა გააკეთა მან, „მუსლიმანმა“ ან „კათოლიკემ“, ქართული კულტურისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობისათვის.

„ქართული ენა რომ ირანული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI-ის წინადაღებით ამვარი შორმა გამოჩნილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა, რომელსაც მან 30 წელი მოანდომა“<sup>1</sup>. გიორგი მეფე საქართველოში აღარ იმყოფებოდა, ყანდაპარის ბეგლარბეგი იყო, რო-

---

და. მის მხარეზე არცთუ იშვიათად მეფე-მთავრები, ეპისკოპოსები და წარმოიდგინეთ, კათალიკოსებიც გადაღიოდნენ. ეს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოზე, არამედ დასავლეთ საქართველოზეც ითქმის“. პაპუაშვილი ნ. დასახ. ნაშრ., გვ. 5.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 1919, გვ. 3; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომად, ტ. V, თბილისი, 2013, გვ. 62.

დესაც დაინტერესდა სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონის შევხება-გასწორებით<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ მეფე გიორგი XI-მ გამოისყიდა სამცხეში დაგირავებული გორელი მართლმადიდებლების სათაყვანებელი ოქონის ხატი, რის შესახებაც მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი<sup>2</sup>, მაგრამ არ არის ცნობილი ვინ დააგირავა იგი. არსებობს ვარაუდი, რომ რადგან ხატი გიორგი XI-მ გამოისყიდა, იგი მასვე უნდა დაეგირავებინაო<sup>3</sup>. გიორგი მეფე მაშინ, როდესაც ის ხატს აბრუნებს გორში, წინანდელთან შედარებით, სერიოზულ ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა, ეხლა ირანის შაჰის სამსახურშია და მას უკვე იმდენი შესაძლებლობა აქვს, რომ შეუძლია 2 ათასი თუმნით დაეხმაროს იერუსალიმის წმინდა ადგილებს – გოლგოთასა და ჯვრის მონასტერს და გამოისყიდოს ოქონის ხატიც, რომლის დასახსნელად დიდალი თანხა გადაიხადა. მეფემ ხატი გაუგზავნა ქართლის ჯანიშინ (გამგებელ) ვახტანგს (შემდეგში ვახტანგ VI). მოვუსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს: „ძუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელი წინდად უყო ხამცხეს და მესხმან მან მუხ მიუღო ყოველნი და მეფემან მას მიანიჭნა უზომონი ნიჭი. ხოდო ვახტანგს რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თოუება ივლისა ლა განუწეხა დღესასწაული“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გაბაშვილი ვ., სულხან-საბა თრბელიანი როგორც დიპლომატი // სულხან-საბა თრბელიანი. 1658-1958, თბილისი, 1959, გვ. 65

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 482.

<sup>3</sup> ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან // ექვთიმე თავაიშვილის ხახელობის ხაქართველოს ხაისტორიოს ხაზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია, ხაისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015, გვ. 38-39, 44.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 482-483.

ოქონის ხატის დახსნაზე მოგვითხრობს გიორგი XI-ის ასომთავრული წარწერა<sup>1</sup>, რომელიც განთავსებულია ხატის ბუდის სისქეზე: „წ. ღვთისა სიტყვაო, ხატისა შენისა-თვის, კაცთათვეს, მიძღებელო ხატისა ამისა ამის შენისა, ტრფიალებათა მათ მიერ მაძობელი, მეფეთ მეფე გიორგი, ნუმცა ვიქეცვი შენგან სირცხულეული“.

1677 წლიდან „გამუსლიმანებული“ გიორგი XI-ისთვის რომ ჩვეულებრივი იყო ქართული სიწმინდეების დაცვა და პატრონობა, ამაზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იერუსალიმის პატრიარქმა ღოსითეოს II-მ ვახტანგ VI-სათვის გაგზავნილ ეპისტოლებში<sup>2</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მეფის 1681 წლის „წიგნი ეს მართალი და ჭეშმარიტი, ჩუენგან მირთმეველი“ ღოსითეოსისადმი. მასში ჩამოთვლილია ის თანხები და საქონელი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქისათვის უნდა გადაეცათ იერუსალიმის ქართული მონასტრების ვალების დასაფარად<sup>3</sup>. გიორგი მეფეს არც შემდეგში დაუკლია ყურადღება იერუსალიმის ქართული სიწმინდეებისათვის. როგორც აღინიშნა, მან იერუსალიმში წარგზავნა ორი ათასი თუმანი გოლგოთისა და ჯუარისა მონასტრის შესამკობად, შემდეგ კი, თავისი მმიწულის, დამიანეს (დომენტი) ხელით „მოვალეებისაგან დატყვევებული ჯერის

<sup>1</sup> მოგვიანებით ე. თაფაიშვილმა შეიცვალა აზრი და ფიქრობდა, რომ წარწერა დაუთველიდა გიორგი V ბრწყინვალებ. *Такаишвили Е., Оконский образ Распятия // Материалы для археологии Кавказа, т. XII, Москва, 1909, с. 117-131, რასაც ეწინააღმდეგება ვახუშტის თხულების ციტირებული აღგილი და თვით ხატის წარწერის შინაარსი.*

<sup>2</sup> მამისთვალისციდო ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008. გვ. 207, 225, 226.

<sup>3</sup> *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, Тифлис, 1866, с. 26-27; მამისთვალისციდო ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 200-201.*

მონასტრის დახახულები „შესაწირავის“ გაგზავნით<sup>1</sup>. ასე რომ მეფე გიორგი XI-ისათვის ჩვეულებრივი იყო ქართულ სიწმინდებზე ზრუნვა. მან უფრადდებოდა არ დატოვა ქართული კულტურის გენიალურ ძეგლი – მისი ბრძანებით 1680 წელს ბეგთაბეგ თანიშვილმა გადაწერა და ლამაზად გააფორმა „ვეფხისტეფაოსანი“<sup>2</sup>.

გიორგი XI-ის წარწერის ბოლო ფრაზა, რომლითაც იგი ოქონის ხატს შეთხოვს: „ნუმდა კიქცვევი შენგან სირცხვლეული“, არ ნიშნავს იმას, რომ მან დააგირავა ხატი და ამის გამო სცხვენია<sup>3</sup>. მას აწუხებდა ის, რომ პოლიტიკური მოსაზრებით გამუსლიმანდა.

ვფიქრობ, წარწერის ზუსტი დათარიღებაც შეიძლება. შაჲ სულეიმანმა, როგორც ითქვა, 1677 წელს გიორგი მეფე გაამუსლიმანა, შაჲნავაზ-ხანი უწოდა და ქართლის მეფედ დანიშნა. გიორგიმ ამის შემდეგ გააკეთა ყველა ის საქოსტიანო საქმე, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. როდესაც შაჲმა ჰუსეინმა გიორგის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უძოძა და ავდანელების წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დაავალა, მან თავის ძმის შვილის, ვახტანგ ლევანის ძის ქართლის ჯანიშინად დანიშვნა მოითხოვა. მეფის თხოვნა შეიწყნარეს და ვახტანგი ქართლში გამოგზავნეს 1703 წელს. თვითონ გიორგი კი ამის შემდეგ მალე შეუდგა ავდლანეთში მოვალეობის შესრულებას. ამ წელს მეფე გიორგიმ ჯანიშინ ვახტანგს „მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა“. მაშასა-დამე, ვახტანგი ბატონიშვილის თანახმად გიორგი მეფემ ვახტანგს ირანიდან კი არ გამოუგზავნა, არამედ პირადად, 1703

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს., თბილისი, 1980, გვ. 45.

<sup>2</sup> ამირანაშვილი ხ., საქართველოდან ხევადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მის დაბრუნება, გვ. 14, 16.

<sup>3</sup> ალიმბარაშვილი ი., თქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 38-39.

წელს ირანში „მიუთვალნა“ (მიაკუთვნა) ხატი და, ბუნებრივია, წარწერაც, როგორც ჩანს, იმავე დროს იქვე გაუკეთეს.

მევე გიორგი XI, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად მუხლიმანად ითვლებოდა, დიდ უურადღებას იჩენდა მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. მან 1681 წელს გააფორმა ხელშეკრულება და საკმაოდ დიდი თანხებიც გაიღო იერუსალიმში დავალიანებული ქართული მონასტრების ვალებიდან დასახსნელად და შესაბამისი ხელშეკრულებაც გააფორმა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-სთან<sup>1</sup>. სხვათა შორის, პატრიარქი დოსითეოსი კატეგორიულად უარყოფდა გიორგი XI-ის მიერ კათოლიკობის მიღებას. დოსითეოსის გადმოცემა მით უფრო გასაზიარებელია, თუ გავითვალისწინებო გიორგი მეფის ლათინების საზიანო საქმიანობას<sup>2</sup>. ქართლის მეფე თავისი მოქმედებით აბათილებდა მის გაკათოლიკებასთან დაკავშირებით გავრცელებულ აზრს.

დოსითეოსს უნახავს, საქართველოდან გაგზავნილი წერილი, რომლითაც პაპს აცნობებდნენ გიორგი XI-სა და კათალიკოს ექვთიმე რატიშვილის გაკათოლიკების შესახებ. დოსითეოსი თავის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ ამბობს: „მე 1688 წ. გავხეხი იგზუიგების (მიხილებული-ჯ.გ.) წერილი, რომელშიც რომაელს (პაპი ინოკენტი XI-ჯ.გ.) აცნობებდნენ, რომ მათ უკვე მოაქციეს პაპიზმები (კათოლიკობაზე

<sup>1</sup> Акты собранные Кавказскою Археографическою Комисијо, т. I, Тифлис, 1866, с. 26-27. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 592-594). მამისთვალიშვილი კ, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), გვ. 125, 126, 200.

<sup>2</sup> შემდეგში ვრცლად ადინიშნება, გიორგი XI-ის ანდერძის შესახებ, რომელშიც ის პატრიარქ დოსითეოსს ქართლის სამეფოდან ლათინებს გარეავს და თბილისში მათი ეკლესიის ჯვარისმამისათვის გადაცემას პპირდებოდა. მამისთვალიშვილი კ, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), გვ. 224-226.

- ე.მ.) მეფე და სამღვდელოების მეთაურები, რაც ყოველმხრივ ხრული ტექილია<sup>1</sup>.

წერილი, რომელზეც პატრიარქი დოსითეოსი ლაპარაკობს, უნდა ეკუთხნოდეს პატრ ჯუსტინო და ლივორნოს<sup>2</sup>, რომლის შინაარსს ზემოთ უკვე გავეცანით

### „მუსლიმანი“ ერეკლე I და მართლმადიდებლობა

ერეკლე I, ქართლის მეფე (1688-1703), თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ბატონიშვილი დავითის ვაჟი.

რუსეთის კარმა 1649 წელს თეიმურაზ I-სათვის დახმარების გაწევის სანაცვლოდ მოითხოვა ერეკლეს მოსკოვში გაგზავნა „აღსაზრდელად“. თეიმურაზი, სხვადასხვა მიზეზით ცდილობდა არ შეესრულებინა ხელმწიფის მოთხოვნა. როდესაც ცნობილი გახდა ბატონიშვილი ერეკლეს მოსალოდნელი გაგზავნის შესახებ მოსკოვში, ამას მოჰყვა ერეკლე მეფის ისედაც გაჭირვებული მდგომარეობის გაუარესება. გაღიზიანებულმა ყიზილბაშებმა გაახშირეს კახეთზე თავდასხმები. ქართლის მეფე როსტომ მეფესთან და შაპთან დაკავშირებულმა ოდიშის მთავრმა დევან II დადიანმა კახეთ-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ხელის შესაშლელად თვითონაც მოითხოვა ერეკლე მძევლად. ბატონიშვილის მოსკოვში გაგზავნის გასაჭირებლად თეიმურაზ მეფე თავის ცუდ ფინანსურ და პოლიტიკურად რთულ მდგომარეობას იმიზეზებდა. ის მოსკოვის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილებში სწორედ ამ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას.

1652 წლის აგვისტოში ყმაწვილი ერეკლე და მისი დედა ელენე თეიმურაზმა მოსკოვში გაგზავნა. ერეკლე, ფათერაკი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>2</sup> თამარაშვილი ბ, იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264-266.

ანი მგზავრობის შემდეგ, რუსეთის სატახტოში ჩავიდა 1653 წლის 27 დეკემბერს<sup>1</sup>.

თეიმურაზ მეფე, რომელსაც ერეკლე/ნიკოლოზის მეტი მექვიდრე აღარ ეგულებოდა, რუსეთის ხელმწიფესთან მის გაგზავნასთან დაკავშირებული იმედი არ გაუმართლდა და

<sup>1</sup> მოსკოვში ერეკლეს მიღებისა და მიხი იქ ცხოვრების შეხახებ იხ. ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1959, გვ. 107-166. იხ. აგრეთვე: ალექსი ივლიუსის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოს ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოხაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი, 1969, გვ. 177, 178; Помиевков М.А., К вопросу об авторстве статейного списка „С“ // ხერჯ მეცნიერებათა აკადემიის ხაჯართველობის ფილიალის მოამბე, I, №1, 1940, გვ. 69, 73-74; Армяно-русские отношения в XVII веке // Сборник документов под ред. проф. В. А. Парсамяна, Ереван, 1953, с. 21; ცინცაძე ი., რუსეთ-ხაჯართველობის ურთიერთობის წარხელიდან // საქართველოს ხერჯ ცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ხახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955, გვ. 255, 265; Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношений X-XVIII вв., Тбилиси, 1958, с. 75, 79; ბერძენიშვილი ნ., XVII ს. საქართველოს ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 151; პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658) // „ხაისტორიო მოამბე“, 19-20, თბილისი, 1965, გვ. 445, 446, 459-461; Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половины XVII века, Тб., 1968, с. 178, 192; ტოლოხანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოხაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი, 1970, გვ. 33-35, 39-41, 51-54, 75-84, 136, 138; ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტონამდე, თბილისი, 1978, გვ. 188, 191; ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში, „ხაისტორიო მოამბე“, გ. 45-46, თბილისი, 1982, გვ. 21, №14.

ცდილობდა რაიმე საშუალებით იგი საქართველოში დაებრუნებინა. თეიმურაზი 1659 წ. 18 სექტემბრის სიგელით მეფე ალექსი მიქელის ძეს მოსკოვში აცნობებდა, რომ საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც სთხოვა ეშუამდგომლა რუსეთის ხელმწიფის წინაშე, რათა საქართველოში დაებრუნებინა თეიმურაზის შვილიშვილი ერკლე. პატრიარქმა მიიღო მისი თხოვნა და შავი ზღვით გაემგზავრა რუსეთს. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ემ პატრიარქს გააყოლა თავისი ელჩი, რომელსაც იგივე თხოვნა უნდა მოეხსენებინა რუსთ ხელმწიფისათვის<sup>1</sup>.

საინტერესოა, პაისიოსმა, არცთუ ჯანმრთელმა ადამიანმა, რატომ იტვირთა ასეთი როული (როგორც პოლიტიკური ისე ფიზიკური თვალსაზრისით) დავალების შესრულება. საფიქრებელია, პაისიოსი დაინტერესდა ორი მოსაზრებით. ერკლე/ნიკოლოზის მოსკოვიდან წამოყვანით ქართლის სამეფო ტახტზე მართლმადიდებელი ქრისტიანის გამეფების შანსი ჩნდებოდა, რასაც იერუსალიმის საპატრიარქოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პატრიარქს, უფლისწულის გამო, კიდევ ერთხელ ეძლეოდა საბაბი მოსკოვში წასვლისა. პატრიარქი ერთხელ უკვე, 50-იანი წლების დასაწყისში იყო რუსეთის სატახტოში მეფეზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა ის დახმარებოდა ბოგდან ხმელიცკის მეთაურობით უკრაინაში პოლონეთის წინააღმდეგ დაწყებულ გამათავისუფლებელ ბრძოლას. ვითარება საგანგაშო იყო რუსეთისათვის, რადგან ბოგდან ხმელიცკი ყირიმის ხანს დაუკავშირდა, რასაც შეიძლებოდა სახანოს გაძლიერება გამოყენია. პატრიარქის გეგმაში კი, სახანოს განადგურება და, ამის შედეგად ოსმალეთის დასუსტება შედიოდა. მაგრამ მაშინ პაისიოსს უარი უთხრეს

<sup>1</sup> საითიძე გ., მახალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII საუკუნის 50-იანი წლები) // „ქართული დიპლომატია”, წელიწერი, 5, თბილისი, 1998, გვ. 138-139.

აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ რუსეთს პოლონეთთან დადებული პქონდა „მუდმივი ზავი”<sup>1</sup>.

1662 წელს ერეკლე დაბრუნდა საქართველოში და სცადა კახეთის ტახტის დაუფლება. მას თუშები და კახელები ეხმარებოდნენ. ვახტანგ V შაჰნავაზმა ერეკლეს წინააღმდეგ გაგზავნა ქართლის ჯარი. ერეკლემ და მისმა დედა ელენემ თავი შეაფარეს თორდვას ციხეს. შაჰნავაზმა მას აღყაშემოარტყა. ელენეს თხოვნით შაჰნავაზმა ერეკლე თუშეთში გაუშვა კახეთი კი თვითონ დაიპყრო. ამის შემდეგ ქართლის მეფემ შაჰ-აბას II-სთან შეთანხმებით თავისი უფროსი ვაჟი არჩილი დასვა კახეთის ტახტზე. ერეკლე ამის შემდეგაც ცდილობდა კახეთში გამეფებას, მაგრამ წარუმატებლად. იმავე წელს ის იძულებული გახდა მოსკოვში დაბრუნებულიყო, სადაც კიდევ 10 წელი გაატარა.

1674 წელს ერეკლე დაბრუნდა კახეთში, სადაც მას კვლავ მხარი დაუჭირეს კახელებმა და თუშებმა. ამჯერად შაჰმა სულეიმან სეფიმ (1666-1694), გაითვალისწინა კარისკაცების რჩევა და ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. შაჰმა ერეკლეს კახეთის ტახტის სანაცვლოდ გამუსლიმანება მოთხოვა. ერეკლე თავს იკავებდა. ერეკლე I, ვიდრე ქრისტიანად დარჩენის მინიმალური შანსი არსებობდა, მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას. იგი, მისივე სიტყვებით, წარმოგვიდგება, როგორც უდრევა პატრიოტი და ქრისტიანობის დამცველი: „... მე იმისათვის კი არ წავედი მის უდიდებულებებისთან, ირანის შაჰთან, რომ ძალაუფლების მიღებისათვის ხარწმუნობა გამომუვალა, არამედ ღმერთს კუკილებოდი და მხურდა, ჩემი ხამფლობელო მოუკა იმ ხალხის ჯიბრზე, რომლებიც ხამგვოს მიხადებად შაჰის უდიდებულებებისთან თვითონ მიდორენებ თავისი რჯულის შესაცვლელად. თუ ღმერთი არ შემწევა ჩემი მიწა-წყლის მიღებაში, ან ქრისტიანული ხარწ-

<sup>1</sup> Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг), СПб., 1895, с. 363-365.

მუნიკიპალიტეტის შაპის უდიდებულებისაგან რაიმე ძალდატანება მექნიკა, მე მზადა ვარ, ქრისტეს გულისათვის მოგვდე, რათა ასეთი სულმოკლები ამის დანახვით დაისაჯო. თუ დმურთი არ შემძებელია, ჩემი სიკვდილით მაინც გზას გუჩვენებ მათ, ჩემს გვარს და ქრისტიანულ სარწმუნოებას კი შესავინებლად არ მივცემ...“<sup>1</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრანგი მოგზაურის ჟოზეფ პიტონ ტურენფორის ნათქვამი ერეკლე I-ზე შეიძლება გავიგოთ, როგორც ქართველი მეფის მიერ კათოლიკობისა და ისლამისადმი პატივისცემის გამოხატვა და არა რომელიმე მათგანის უპირატესობის აღიარება მართლმადიდებლობის მიმართ. აი რას წერს ტურნეფორი: „მეფე (ერეკლე I - ე.მ.) ორივე რელიგიას აღიარებსო: დადის მეჩეთშიც, ხოლო როცა კაპუჩინებთან საღოცავად მიდის, მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამპო“<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ერეკლე I-ის ამგვარი მოქმედება მისი უპრინციპობის მაჩვენებელი კი არ იყო, არამედ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიების შედეგი. ერეკლე I და მისი დროის ფეოდალური ელიტის წარმომადგენლები რომ ისლამს იღებდნენ პრაგმატული მოსაზრებით (იგივე აზრი უნდა გავავრცელოთ XVII-XVIII საუკუნეთა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა „გამუსლიმანებულ“ მეფეზე), კარგად ჩანს იმავე ტურნეფორის სხვა ცნობიდან. ამ ფრანგი მეცნიერ-მოგზაურის მიხედვით, ისლამის მოქმედების არჯალი იმდენად იყო შეკვეთილი თბილისში, ქართლის სამეფოს დედაქალაქში, ხადაც ყველაზე მეტი მუსლიმანები იყვნენ, რომ თბილისის ციხეში არსებული მინარეთიდან მუქზინი ვერახოდებ ვერ ბედავდა მოეწოდებინა მორწმუნებისათვის საღო-

<sup>1</sup> ციტირებულია: ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის ურთიერთობა XVII ს. მეორე ნახევარში, გვ. 168-169.

<sup>2</sup> ტურენფორი ქ. ა. დე, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმა, შესავალი და კომენტარები დაურთო ბ. ბერლობლიშვილმა, თბილისი, 1988, გვ. 61.

ცავად. თუ ის ამას გაბეჭდავდა ქრისტიანი მოხახლეობა ქვებს დაუშენდა<sup>1</sup>.

გვაქვს ერეკლე ბატონიშვილის ყაზვინში ყოფნის პერიოდის ამსახველი რამდენიმე საინტერესო ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ის ცდილობდა დაკავშირებოდა რომს, რათა თავიდან აეცილებინა მუსლიმანად გახდომა.

კაპუშინი მისიონერი ჯუზეპე ანტონიო რომანოს მიერ თბილისიდან 1675 წლის 15 აგვისტოს წმ. კონგრეგაცია “დე პროპაგანდა ფიდეს” ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „როცა [ირანის] სამეფო კარზე<sup>2</sup> ერეკლე, საქართველოს ნამდვილი მემკვიდრე, იმ თემურაზის შვილიშვილი, რომელმაც პაპ ურბან VIII არაერთი წერილი გაუგზავნა<sup>3</sup>..., მოსკოვიდან ჩამოვიდა. მოსკოვის მხარდაჭერით ის ჩამოვიდა და ითხოვს იმას, რომ მისი სამეფოს სათავეში დააყენონ; პირველად, როცა ის მიიწვიეს მეფესთან მაშინვე მიიწვიეს დირსი მამა პისკოპოვ<sup>4</sup>.“

ნახიჩევანის ვიკარიუსი ფრანჩესკო პისკოპო პაპმა კლემენტ X-მ (1670-1676) ირანის შაჰის სულეიმან I-ის კარზე გაგზავნა. პაპის დავალებით მას უნდა მოეგვარებინა ნახიჩევანის კათოლიკეთა ვალისა და კათოლიკურ და გრიგორიანულ ეკლესიათა გაერთიანების საკითხები. შაჰმა მიიწვია პისკოპო. საზეიმო მიღებას ესწრებოდა ერეკლე ბატონიშვილი. საგარაუდოა, ცერემონიალის დროს, გაუზიდა ერეკლეს იდეა ფრანჩესკო პისკოპოს საშუალებით შესულიყო რომის

<sup>1</sup> ოქვე.

<sup>2</sup> იგულისხმება, სპარსეთის შაჰის კარზე.

<sup>3</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 95, 108, 120-121, 151-152; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 427-428, 458-459, 566, შენ. 2.

<sup>4</sup> ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 69.

ეკლესიის წიაღში<sup>1</sup>. რომის პაპის სახით ბატონიშვილი შეიძენდა მოგავშირებს, რომელსაც შეეძლო გავლენა მოქადინა შაჲზე. რგორც ვარაუდობს მ. პაპაშვილი, „კათოლიკობისადმი მიღრებით მას შეიძლება სურდა შაპისათვის, რომელიც სრულად იწყნარებდა იმპერიის ტერიტორიაზე კათოლიკ მისიონერებს, ეჩვენებინა, რომ ზურგი აქცია მართლმადიდებელ რუსეთს, ემხრობა ირანის კარის დასავლურ კურსს და თავისი გაკათოლიკებით მეტი ხარგებლობის მოტანა შეუძლია შაპის კარისათვის, კიდევ გამუსლიმებით. საკუთრივ კი, კათოლიკობაზე გადასცლით ისევ ქრისტიანად რჩებოდა“<sup>2</sup>.

ჯუზეპე ანტონიო რომანო ერეკლე ბატონიშვილს დაუახლოვდა მას შემდეგ რაც, მან ავადმყოფობისაგან განკურნა ბატონიშვილი და მისი მთელი კარი (დაახლოებით ასი ადამიანი) ერთი თვის განმავლობაში. მადლიერმა ერეკლემ ჯუსტინოს საქართველოში დასაბრუნებლად გზის ფული მისცა. გამგზავრების წინ პატრმა ერეკლეს „სამახსოვრო ბარათი“ დაუტოვა, რომელშიც ეწერა: „მისი სახელმწიფოს [საქართველოს] ერთ-ერთ პროვინციაში პაპის ტახტი ადგილობრივი ქრისტიანების ხამსახურისათვის ფლობს ხახლა, კენახს და მიწას. ამ ქონების ჩვენთვის დაუბრუნებლობა მისი მთავრული დირსებისათვის შეუფერებელი იქნებოდა“. ერეკლემ ხელსაყრელად ჩათვალა ესარგებლა შემთხვევით და ჯუსტინოს „გულთბილად“ უპასუხა: როცა თავისი ქვეყნის დასახელებულ პროვინციებს ფლობდა, მაშინ იქ მისიონერები არ იმყოფებოდნენ და ამდენად მას რაიმე ვალდებულება არ ჰქონდა მათ წინაშე, მაგრამ მისიონერები თუ შაპს ჩააგონებ-

<sup>1</sup> *Raguaglio del Viaggio fatto da'Padri dell'Oriente de'Predicatori, inviati della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Missionari Apostolici nella Tartarie Minore l'anno 1662. Aggiuntavi la nuova spedizione del P. Maestro Fra' Francesco Piscopo in Armenia e Persia. Napoli, 1695, pp. 311-328*

<sup>2</sup> ევროპული წეაროები ხაქართველოს შეხახებ (XVII საუკუნის უბასებელი მეოთხედი), გვ. 62.

ენ, რომ ერეკლეს თავის სამეფო დაუბრუჯნოს, მაშინ ის მათ დაუბრუნებდა ყველა ქონებას<sup>1</sup>. ამასთანავე, ერეკლე ბატონიშვილმა გამოთქვა სურვილი: „თუ აქ ორი ახალი მიხომები ჩამოვა – ერთი ექიმი, მეორე ქორუგი, მაშინ ის თავისი სახლისა და კარისათვის წამლების შესაძენად მათ წელიწადში რეგულარულად 100 სულის გადაუხდიდა. ამის შესახებ მას უნდა ჩვენს ბატონ პაპს მიხეროს“<sup>2</sup>. ჯუსტინომ პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა, უმჯობესად მიიაჩნია დალოდებოდა შაპის კარის გადაწყვეტილებას<sup>3</sup>.

ვიდრე ერეკლე მტკიცედ იდგა მამაპაპათა სარწმუნოებაზე, შაპმა სულეიმანმა მას შესთავაზა: „მოგცემ კახეთს, თბილისს, მოელს საქართველოს და ყოველივე თერგიდან ვიდრე არაქსამდე, – ეს ირანის ერთი მეცენოდია. მე განიჭებ ისპანის დარაგის<sup>3</sup> წოდებას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რაძღენსაც შაპნავაზებანს ვაძლევდი. მხოლოდ სოჭვი: ერთია ალაპი და მაპმადი მიხი წინასწარმეტყველი. სოჭვი, რომ ლებულობ ჩვენს რჯულს, რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არ მკიცხავდნენ გარემო სახელმწიფოთა მეცენი იმის გამო, რომ მიწა, რომელსაც ვლობენ მუსულმანები, მე ქრისტიანს ვუძოძე. ხოლო, როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ირწმუნე ის, რაც ვინდოდება<sup>4</sup>. მაგრამ ერეკლე I-მა უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადაღებაზე. ამის შემდეგ იგი ორი წლის განმავლობაში საპყრობილები გამოკეტეს, მან ვეღარ გაუძლო ცდუნებასა და ზეწოლას და საბოლოოდ აღია-

<sup>1</sup> იგულისხმება გორში თეათინელთა და ავგუსტინელთა ყოფილი ქონება.

<sup>2</sup> კვრობული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 73-74

<sup>3</sup> დარაგა – უმაღლესი ადმინისტრაციული პირი ირანში, ოლქის მმართველი, გუბერნატორი.

<sup>4</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770, Санкт-Петербург, 1861, с. 101.

რა ისლამი, თუმცა გულით ის, როგორც მოღწეული ცნობებიდან ჩანს, ბოლომდე მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა.

რესი დიპლომატი ივანე კაზარინვი, როდესაც ირანიდან მოსკოვში დაბრუნდა, საელჩო პრიკაზში განაცხადა, „რომ ბატონი შვილი ნიკოლოზ დავითის ძე (ერეკლე I – ე.ქ.) ქრისტიანული სარწმუნოებიდან განდგომის შედევები ცხარე ცრემლითა ტირის, ჩუმად წმინდა ხატებს ინახავს და მათზე ლოცვლობს, წირვასაც ისმენს გამუდმებით, მას ფარულად ბელორუსი-ლიტველი ძღვდელი გაბრიელი ემსახურება... შაჰის უდიდებულესობას აუწყეს, რომ იგი უფლისტული, ჩუმად ქრისტიანულ წესს მისდევს და ამისათვის შაჰი მასზე ჯავრს იყრის ხოლმე...“<sup>1</sup>.

საინტერესოა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ის ეპისტოლე ერეკლე I-სადმი. როგორც ჩანს, მეფეს პატრიარქისათვის მიუწერია ქრისტიანობიდან თავისი განდგომის, ამის გამო სულიერი განცდისა და ამ ნაბიჯის გადადგმის არსებითი მიზეზების შესახებ. ერეკლეს პატრიარქისათვის ისიც უცნობებია, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მართლმადიდებელ ქრისტიანად რჩებოდა. როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა, ერეკლე სიმართლეს სწერდა იეჟსალიმის პატრიარქს. ვახუშტი ბატონი შვილის გადმოცემით, „და ეს ერეკლე იყო ისაანს ოდ წელსა, და არა უარჟო ქრისტე, რამთვ იყო აღზრდილი რუსეთს, რომელი წინაცა ვაკენეთ. ამას შეუკრძნებ მის თანა მყოფნი კახნი და უმეტეს მოძღუარი მოხა, მონაზონი ხაცვლი შვილი, და ესენი იტკროვიდნენ ცოდვასა მას, რათა დაუტევს ქრისტე. ამისთვის გამაპმადიანდა

<sup>1</sup> პაიჭაძე გ., რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII საუკუნის მეორე ნახევარში // „ხაისტორიო მოამბე“, გ. 27-28, გვ. 542-543.

ცოდნულითა სრულიად და უწოდეს ნაზარ-ალიხან და წარმოავლინებს ნიჭითა ქართლს მეფე<sup>1</sup>.

ერეკლე I-ის მოჩვენებითი გამუსლიმანება, როგორც ჩანს, საქმაოდ ცნობილი იყო და ეს იცოდა საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედულმა, ზემოხსენებულმა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმაც. მან ისიც კარგად იცოდა, რამ აიძულა ქართველი მეფე შეეცვალა სარწმუნოება და გარკვეულ რჩევასაც არ იშეურებდა, რათა მას რჯულის ფორმალურად შეცვლის მიუხედავად კალავ ეზრუნა ქრისტიანობისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. მას სჯერა, რომ ერეკლემ გასაკიცხი ნაბიჯი გადადგა მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის სურვილით და იერუსალიმის პატრიარქს, როგორც ჩანს, სჯერა მისი გულწრფელობის. ამიტომაა, რომ დოსითეოსი ერეკლეს არიგებს ისე, როგორც პოლიტიკოსი, დიპლომატი და არა როგორც სულიერი მოძღვარი. პატრიარქი ერეკლესათვის გაგზავნილ ეპისტოლეში (დაახლ. 1700 წ.) ერეკლე I-ს სწერს: „გარემოებამ გაიძულა შეგეცვალა მამისეული და უწმინდესი რწმენა. მაგრამ შენ ხომ ეს ცუდი განზრახვით არ გააკეთე, არამედ გარკვეული მიზნით. მიაღწიე განზრახულ ჩაფიქრებული მიზანს, რისთვისაც შეიცვალე უწმინდესი რწმენა. მაგრამ ძალზე მტკიცედ გახსოვდეს ეს მიზანი და განუხრებულად ესწრავე მისკენ. შენი მიზანი იყო, რომ მოჩვენებით კოფილიყავი სხვა რჯულისა, გულში კი მართლმადიდებელი ქრისტიანი, გარეგნული სახით მრავალი სიკეთისათვის მორიგებულიყავი უწმეუნობთან, შინაგანად კი ემსახურებოდე უცდის ეკლესიას, არ გაკლდეს მისი დიდება. როგორც მეფე დავითი გარბოდა საულისაგან დავითმა თავი შეაფარა გათების მეფე აქიშთან. I მეფე, 21: 10.

<sup>1</sup> გახუშტი ბატონიშვილი // გახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 463.

<sup>2</sup> საულისაგან დევნილმა დავითმა თავი შეაფარა გათების მეფე აქიშთან. I მეფე, 21: 10.

რათა მოუტყუებინა ბიწიური მეფე და არ დაღუპულიყო<sup>1</sup>. მაგრამ სულით წმინდა და უმწიულესობა, ერთი და იგივე დავითი. როგორც ნაყამანი სირიელი თხოვდა ელისეს ისრაელის მიწის გოჯის ოდენა ნაწილს<sup>2</sup> და მოჩვენებით ატყუებდა ცოდვილ მეფეს, ასევე შენო უგანათლებულებობაზ, დაიცავი ის მიზანი, რომელიც შენ წინასწარ დაისახე. დაუგარებნულად იყო უცხოტომელი, მაგრამ გულში კი იყავ დამოსმოსავი, არ დაგავიწყდეს შენი ხენა, რომელსაც მეტად კვლარ მოიპოვებ. შეინარჩუნებ რა მიზანს, ბევრი უნდა გააკეთო შენი გამართლებისათვის<sup>3</sup>.

შაჰმა ერეკლე 14 წლის განმავლობაში ირანში გააჩერა. 1688 წელს იგი ქართლის მეფედ დაამტკიცეს გიორგი XI-ის მაგიერ. 1691 წლიდან დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ტახტისათვის ახლად გამეფებულსა და გადაყენებულ მეფეებს შორის. გიორგი დამარცხდა და იმულებული გახდა ირანში წასულიყო, სადაც შაჰის ნდობა მოიპოვა და ქართლის ტახტი დაიბრუნა, ერეკლე კი კახეთის მეფე გახდა, მაგრამ შაჰმა იგი ირანში დაიბარა. ერეკლე I ირანში გარდაიცვალა 1703 წელს.

ერეკლეს მეუღლე ანა ჩოლოფაშვილი და ასული თავდადებული მართლმადიდებლები იყვნენ. ანამ ორჯერ იმოგზაურა იერუსალიმში და თავის დღენი მონაზონად დაასრულა მონასტერში 1716 წელს. მონაზონად შედგა, აგრეთვე, ერეკლეს ერთ-ერთი ასული მაკრინე, რომელმაც შემდეგში თავი

<sup>1</sup> 1 მეფ., 2I: 14.

<sup>2</sup> წინასწარმეტყველი ელისეს მიერ მდინარე იორდანის წყლით კეთრისაგან განკურნებულმა არამის მეფის სარდალმა ნაყამანმა ელისეს სთხოვა: „მიეცეს შენს მორჩილს იმდენი მიწა, რამდენსაც წყვილი ვირი წაიღებს, რომ ამიერიდან უფლის გარდა ხევა ღმერთებს არ შესწიოს მხევერალი შენმა მორჩილმა”. 4 მეფ., 5:17.

<sup>3</sup> მამისთვალიშვილი კ, ხაქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 213-214.

ისახელა, როგორც ქართული საეკლესიო საგადობლების შემქმნელმა და შემკრებმა<sup>1</sup>.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გამუსლიმანებული ქართველი მეფეები გულით, სულით და საქმით მართლმადიდებელ ქრისტიანებად რჩებოდნენ, მიუხედავად იმისა, საჯაროდ თუ შეფარვით, რომელ რელიგიას აღიარებდნენ. ამაზე მეტყველებს მათი მოდგაწეობის ძირითადი მომენტები, რომელთა შესახებ მეტ-ნკლებად ზემოთ უკვე ვიღებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და ევროპული წყაროების ცნობების კრიტიკული ანალიზი არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რადგან ვახტანგ V შავნავაზისის მემკვიდრეები და მართლმადიდებელი იერარქები მფარველობდნენ კათოლიკე მისიონერებს, თითქოს იმისი მაჩვენებელი იყოს, რომ ისინი ირანთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით მზად იყვნენ უარი ეთქვათ მართლმადიდებლობაზე და გადასულიყვნენ კათოლიკობაზე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ტატიშვილი ვლ., ქართველები მოხვოვში, გვ. 166.

<sup>2</sup> ტუხაშვილი ლ., პოლიტიკური კითარება XVIII ს. პირველ ობებებში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV, თბილისი, 1973, გვ. 406-407.

**01 რუსალიმის პატრიარქი დოითეოს II ნოტარა  
დასავლეთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში  
(XVII ს. დასასრული – XVIII ს. პირველი პირველი)**

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობა რუსთან განპირობებული იყო ოსმალეთის ძალადობისაგან თავდაცვისათვის საპირისპირო-საიმედო ძალის გამონახვის ინტერესით.

XVII ს. დასასრულიდან XVIII ს. პირველ მეოთხედამდე, უფრო ზუსტად პეტრე I-ის მეფობის დროს რუსეთის სახელმწიფო იწყებს გაძლიერებას, თავისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, იწყებს ბრძოლას თბილ ზღვებზე, კერძოდ, შავ და კასპიის ზღვებზე გასასვლელების მოპოვებისათვის. მაგრამ რუსეთი დასახული ამოცანის გადაწყვეტას ვერ შესძლებდა კავკასიაში დასაურდენის მოპოვების გარეშე. მოცემულ პერიოდში შეიქმნა ისეთი საერთაშორისო სიტუაცია, როდესაც რუსეთი თავისი ეკონომიკური და სამხედრო რესურსების მობილიზაციის შედეგად წარმატებას მიაღწევდა, რაც საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მეთაურებს ოსმალეთისაგან ხსნის იმედს უსახავდა.

დასახული ამოცანის განხორციელების გზაზე, რუსეთის მთავარი დამაბრკოლებელი ძალა იყო ოსმალეთი. XVII საუკუნის შუა ხანებიდან ოსმალეთი განიცდიდა დაქვეითებას მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ფლობდა ვრცელ ტერიტორიებს აზიაში, ევროპასა და აფრიკაში, ახორციელებდა კონტროლს მნიშვნელოვან სავაჭრო გზებსა და სტრატეგიულ აღგილებზე. მიუხედავად ამისა, ის ძველი დიდების აღდგენას ვეღარ ახერხებდა, რადგან თვით იმპერიის შიგნით მიმდინარეობდა სახალხო გამოსვლები და დაყრიცხილი ქვეუნების შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ოსმალეთისათვის შეიქმნა არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებით ვენასთან განცდილი დამარცხების შემდეგ 1683 წელს. დასრულდა თურქების წინსვლა

ევროპაში. ამის შემდეგ ის ერთმანეთის მიყოლებით ჰკარგავს დაპყრობილ ტერიტორიებს.

1684 წელს ოსმალეთის იმპერიასთან საბრძოლველად შეიქმნა „წმინდა ლიგა“, რომელშიც შევიდა ავსტრია, პოლონეთი და ვენეცია, 1686 წელს მას შეუერთდა რუსეთი.

ამ პერიოდის საბრძოლო მოქმედებებიდან საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო პეტრე I-ის ლაშქრობები აზოვისათვის 1695-1696 წლებში. ეს იყო პეტრე I-ის მთავრობის პირველი სერიოზული საგარეო პოლიტიკური აქცია, აზოვისა და შავი ზღვებისაკენ გასასვლელის მოსაპოვებლად. აზოვის პირველი ლაშქრობა დაიწყო 1695 წლის გაზაფხულზე და დამთავრდა წარუმატებლად სექტემბერში. მარცხის მთავარი მიზეზები იყო ფლოტის უქონლობა და მომარაგების წყაროებიდან სიშორე. იმავე წლის შემოდგომიდან დიწყო მზადება ახალი ლაშქრობისათვის. პირველ რიგში საჭირო იყო ფლოტის მშენებლობა. 1696 წლის მაისში რუსეთის 40-ათასიანმა არმიამ ალექს შემოარტყა აზოვს. 1696 წლის 19 ივლისს ციხე-სიმაგრე მომხდეურებს დანებდა.

ოსმალეთსა და „წმინდა ლიგას“ შორის ზავის დასადებად 1698 წლის ოქტომბერში კარლოვიცაში (სლოვენია) შეიკრიბა კონგრესი. რუსეთმა მოითხოვა შავი ზღვის სანაოსნო გზის გახსნა, რაზეც ოსმალეთმა უარი განაცხადა. მას შავი და აზოვის ზღვები შიდა ზღვებად ჰქონდა გადაქცეული. ოურქეთის წარმომადგენელმა რუსეთის წარმომადგენელს განუცხადა, რომ შავი ზღვა და მისი სანაპიროები სულთანს ეკუთვნის და რუსეთის გემებს სულთანი შავ ზღვაში არ დაუშვებს, უცხო ქვეყნების გემები მაშინ ივლიან თავისუფლად შავ ზღვაში, როდესაც ოურქეთის სახელმწიფო დაემხობა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Ульяницкий В. В., Дарданеллы, Босфор и Чёрное море в XVIII веке, Москва, 1883, с. 26.

1699 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის შეწყდა ომი და ორი წლით დაიდო დროებითი ზავი. აზოვი დარჩა რუსეთს.

რუსებმა გახსნეს გასასვლელი სამხრეთით აზოვის ზღვისკენ, მაგრამ შავ ზღვაში გასვლა ვერ შეძლეს, რადგან მასთან დამაკავშირებელ ქერჩის სრუტეს აკონტროლებდნენ თურქები. პეტრე რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და შავ ზღვაში გავიდოდა, ჩანდა მისი ომისათვის სამზადისიდან, რაც პირველ რიგში გამოიხატა 1697-1698 წლებში პეტრე I-ის დიპლომატიური მისიაში (ე.წ. დიდი ელჩობა) დასავლეთ ევროპაში, რომლის მიზანი იყო მრავალმხრივი. აქედან ჩვენთვის საინტერესოა პეტრეს სურვილი მოეპოვებინა ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ელჩობის ერთ-ერთი მონაწილე იყო უფლისწული ალექსანდრე არჩილ II-ის ძე. პოლანდიაში ყოფნის დროს, პეტრე პირადად მიიწვია ინგლისის მეფე ჯილიამ III-მ. 1698 წლის დასაწყისში პეტრე სამ თანმხლებთან ერთად, მათ შორის იყო ბატონიშვილი ალექსანდრე, ამსტერდამიდან ინგლისში გადავიდა<sup>1</sup>.

1698 წლის 20 ივნისს იერუსალიის პატრიარქი დოსიოფოს II ნოტარი (1669-1707) რუსეთის მეფე პეტრე I-ს სწერდა, რომ აღმოსავლეთში გავრცელდა ხმა მისი საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ და თითქოს ინგლისში ყოფნის დროს მან, პეტრემ იქაურ მეფეს განუცხადა, რომ 1700 წელს კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძარში წირვას გადავიხდიო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Богословский М., Петр I. Материалы для биографии, т. 2 : Первое заграничное путешествие. Часть 1 и часть 2 : 9 марта 1697 — 25 августа 1698 г., Москва, 1941, с. 65-66.

<sup>2</sup> «Агличаня сказали нам и иное слово сладкое делом и именем, си- реч, яко божественный самодержец северных стран сказал королю английскому, яко в лето 1700-е будет пети молебен внутри святые Софии». Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха

ძნელია თქმა რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს გავრცელებული ხმა, მაგრამ იგი, საქართველომდეც აღწევდა და ოპტიმისტურ განწყობილებას უქმნიდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის უინით შეპყრობილ ქართველებს.

რუსეთის აქტიურობამ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ბუნებრივია, მიიპყრო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მეფე-მთავრებისა და, საერთოდ, პოლიტიკოსების, პირველ რიგში კი, მეფე არჩილ II-ის ყურადღება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო თურქების ძალადობისაგან საქართველოს გადარჩენა, იყო რუსეთი. 1700 წლიდან არჩილი თავის ოჯახით და სხვა მრავალ ქართველთან ერთად საბოლოოდ დამკვიდრდა მოსკოვში და თვალს ადევნებდა რუსეთის საგარეო ურთიერთობებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფე არჩილს საკმაოდ ჰყავდა მომხრეები და ერთგული იმერეთის სამეფოში, საფიქრებელია ისინი თავიანთი ყოფილი მეფისგან – არჩილისგან იღებდნენ ინფორმაციას პეტრე I-ის ოსმალეთთან ომისათვის მზადების შესახებ, რაც აუცილებლად გააჩენდა რუსეთიდან დახმარების მიღების იმედს. იმედს კიდევ უფრო ადგივებდა პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც ცდილობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში, რუსეთის მხარეს ჩაება დასავლეთი საქართველო. როგორც პატრიარქი პეტრე I-ს სწერდა, ოსმალეთთან სამხედრო დაპირისპირების დროს მას დაეხმარებოდნენ მეფე არჩილი, ბატონიშვილი ალექსანდრე და სხვა მრავალი ქართველი.

რუსეთთან საქართველოს დაახლოებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პატრიარქმა დოსითეოსმა. მან იცოდა, რომ რუსეთის სამეფო ხელისუფლება ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საქართველო, რომელიც მისკენ

მიისწრაფოდა მოლდავეთისა და ვალახიის მსგავსად. მოვლენების ამგვარი განვითარების მოსურნე იყო დოსითეონიც, მაგრამ მას აწუხებდა კითხვა: რა მოხდება მას შემდეგ, როდესაც რუსეთი პოლიტიკურად დაიმორჩილებდა დასახელებულ ქვეყნებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთისადმი პოლიტიკურად დამორჩილებას მოჰყვებოდა მათი ეკლესიების დამორჩილება მოსკოვის საპატრიარქოსადმი, რაც უზომოდ გაზრდიდა მის გავლენას აღმოსავლეთში და ამით დაზიანდებოდა აღმოსავლეთის საპატრიარქოები. დოსითეონი ცდილობდა ასეთი მოქმედებისგან შეეკავებინა მოსკოვის პატრიარქი<sup>1</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმ მღელვარე, ინტიგებით აღსავსე, თურქების ბატონობისას ქრისტიანთა უფლებებისა და სიცოცხლის დაუცველობის მძიმე პერიოდს, მაშინ გასაგები გახდება დოსითეონის ეპისტოლების პათონი და მათ უკან დავინახავთ იმ პატრიარქს, რომელსაც მთელი მოღვაწეობისას უაღრესად რისკიანი პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯების გადაღვენა უხდებოდა. დოსითეონისათვის უმთავრესი მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და ეკლესიის გადარჩენა იყო და ზეობრივ კომპრომისზე წასვლა მას დიდ დანაშაულად არ მიაჩნდა. დოსითეონი, რა თქმა უნდა, ამ მხრივ სრულიადაც არ იყო გამონაკლისი.

დოსითეონის პიროვნული თვისებების გასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლარული მექანიზმების შეწავლა. მოღწეულია მისი მრავალი ეპისტოლე გაგზავნილი რუსეთის მეფეებისა და პატრიარქებისადმი, ბალკანეთის სამეფო-სამთავროების პოლიტიკური მოღვაწეებისა და ქართველი მეფეებისა და იმერეთის კათალიკოსისადმი.

<sup>1</sup> Каптерев Н. Ф., *Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг)*, с. 262.

დოსითეოსი ყოველთვის ითვალისწინებდა იმ მართლმა-დიდებლური ქვეყნების ხელისუფალთა შესაძლებლობებს, რომლებთანაც მას პქონდა ურთიერთობა.

მართლმადიდებლური სახელმწიფოების სათავეში, დო-სითეოსის აზრით, უნდა ყოფილიყო მისი დროის ყველაზე ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფო – რუსეთი, რომ-ლის საიდუმლო აგენტიც თვითონ იყო თითქმის 40 წლის განმავლობაში. ის თავისი ინფორმაციონური საშუალებით აგროვებდა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ცნობებს და გადასცემდა რუსეთის ელჩებს კონსტანტინოპოლში ან სანდო ადამიანების ხელით აგზავნიდა პირდაპირ მოსკოვში. ზოგ-ჯერ კურიერის როლში იყო მისი დისტვილი და მემკვიდრე, იერუსალიმის მომავალი პატრიარქი ქრისანთოსი (1707-1731). მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დოსითეოსი რუსეთის ხელისუფლებისათვის მხოლოდ ინფორმაციონი იყო. მოსკოვ-ში გაგზავნილ ცნობებს ყოველთვის ახლდა მისი განმარტებანი და მოსაზრებანი, ის მთავრობას აძლევდა რჩევებს და მითითებსაც. იგი ცდილობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკა წარემართა იმ მიმართულებით, რომელიც პატრიარქს მიაჩნდა სწორად. დოსითეოსს შემუშავებული პქონდა რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გეგმა და ცდილობდა რუსეთის სამხედრო ექსპანსია წარემართა სამხერეთით – შავი ზღვისპირეთისა და ბალკანეთისაგნ, რათა ეს დიდი მართლმადი-დებლური სახელმწიფო დაეპირისპირებინა ოსმალეთის სახე-ლმწიფოსათვის და ამ უკანასკნელის განადგურების შედეგად განთავისუფლებულიყო მისი სამშობლო – საბერძნეთი. ის რუსეთის მთავრობას განაწყობდა დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგაც და ა.შ. დოსითეოსის რჩევები იმდე-ნად მისაღები იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, რომ პეტ-

რე I თავის სიგელებში დოსითეოსს მოიხსენიებდა როგორც „საყვარელ მამას და ჩვენს მწყემსეს“<sup>1</sup>.

დოსითეოსის ეპისტოლებისა და „იურუსალიმის პატრიარქთა ისტორიაზე“ დაკვირვება ნათელს ხდის, რომ იურუსალიმის ეს ჭკვიანი პატრიარქი-პოლიტიკოსი დაინტერესებული იყო საქართველოსა და ირანის შორის ასატანი ურთიერთობის არსებობით. უფრო სწორად, რომ ვთქვა, ის მომხრე იყო ქართლისა და კახეთის სამეფოებს მოქმინათ ირანის შაჰების პრეტენზიები. ქართველების ამგვარი დამოკიდებულება ირანის მიმართ, გარკვეული გაგებით, შეესაბამებოდა დოსითეოსის უმთავრეს პოლიტიკურ მიზანს: დაერაზმა მართლმადიდებლური სახელმწიფოები ოსმალეთის, მისი სამშობლო – საბერძნეთის დამმონებლის – ოსმალეთის წინააღმდეგ. დოსითეოსის აზრით, ანტიოქიალურ კოალიციაში შეიძლებოდა ჩაბმულიყვნენ არამართლმადიდებლური და არაქრისტიანული სახელმწიფოებიც კი. ერთ-ერთ ასეთ არაქრისტიანულ სახელმწიფოდ მოიაზრებოდა ირანი. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში, დოსითეოსი მნიშვნელოვან როლს უმზადებდა საქართველოსაც.

რუსეთის სამეფო კარზე, რომ სერიოზულად მსჯელობდნენ საქართველოსთან ერთად ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, ჩანს თანამედროვე წერილობითი წყაროებიდან. საინტერესო ცნობა შემოგინახა ავსტრიის ელჩმა რუსეთში პლეიერმა 1702 წელს. მისი გადმოცემით, პეტერეს გაზრდას უდინო ჰქონდა შვეციასთან ომის დამთავრების შემდეგ გემებით გამგზავრებულიყო საქართველოში და გაა-

<sup>1</sup> Каптерев Н. Ф., Характер отношений России православному Востоку в XVI-XVII столетиях, с. 304.

მეფებდა შვედების ტყვეობაში მყოფ ალექსანდრე არჩილის ძეს<sup>1</sup>.

პეტრე თავისი დიპლომატების საშუალებით გაფაციცებით აგროვებდა დაზვერვით მასალებს პოტენციური მოწინააღმდეგის სამსედრო ტექნიკის, განსაკუთრებით სამსედრო საზღვაო ფლოტის, და შავი ზღვის იმ პორტების (მათ შორის დასავლეთ საქართველოს პორტებისა და მოხერხებული ქურების) შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა რუსეთს გამოეყენებინა ოსმალეთთან ომის დროს.

\*\*\*

ერთ-ერთი პირველი ასეთი რუს დიპლომატოგანი, რომელმაც მოიძია ცნობები, XVIII საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის იმპერიის საზღვაო პოტენციალზე და იმ პორტების შესახებ რომლებსაც ოსმალები აკონტროლებდნენ შავ ზღვაში, იყო რუსეთის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში, 1702-1714 წლებში, პეტრე ანდრიას ძე გოლსტოი. მან საქართველოს შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებისა და სტრატეგიული ადგილების შესახებ ცნობები გადმოგვცა თავის „შავი ზღვის აღწერაში“. მისი ჩანაწერების მიხედვით, „რიზედან... იტალიური 50 მილის დაშორებით არის მდინარე ფასი, რომელიც ჩაედინება შავ ზღვაში. იქ არის გოლფი<sup>2</sup> და მოხერხებული

---

<sup>1</sup> Устрилов Н., История царствования Петра Великого, т. III, Москва, 1858, с. 519; ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი) // საქართველოს ფერდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1972, გვ. 53.

<sup>2</sup> გოლფი (გერმ. გოლფ) – კურე.

პორტი; შემდეგ არის სამეცნიელოს გოლფია ანაკრა<sup>1</sup>... იქ არის მოხერხებული პორტი სახელიად პიკეონბერგა<sup>2</sup>.

„იმ პორტიდან (რიზე-ე.ძ.) თუ გაივლიან 200 იტალიურ მილს მივლენ სამეცნიელოში. იქიდან თუ ვინმე მოიხურვებს გასცუროს 49 მილი ჩრდილოეთის მიმართულებით, აღმოჩნდება... კიონიაში<sup>3</sup>, კოლხიდის ქალაქში, სადაც იმყოფება გუბერნატორი. ძველ დროში ექვემდებარებოდა ივერიის [მევეს], არის კურინ სანის<sup>4</sup> სატახტო ქალაქი. აქედან კურეში შესვლს შეხვდება მდინარე ფასისი, იგერიის ქვეშის საზღვარი. არსებითად თვით მდინარე არის მოხერხებული პორტი... იმ მდინარეში შეიძლება მოთავსდეს მრავალი დიდი და მცირე ბასტიმენტი ყოველგვარი შიშის გარეშე. იმ მხარიდან თურქებმა ააგეს ახალი ქალაქი, რათა დაიცვაა ის პორტი. შიშის გამო მათ იქ პავით 5 ანდატი მებრძოლი, ესე იგი 3 როტა<sup>5</sup>. იმ მდინარის ჩრდილოეთით ახი იტალიური მილის გაცურვის შემდეგ, არის კურე და ევქსინოპონტი, მეცრული ქალაქი, რომელსაც პქვია დიაკრია. კავკასიად წოდებული მთებიდან ჩამოუდინება სამი დიდი მდინარე, რომლებიდან მცირე და შორებით, იმ მდინარეებს შორის მდებარეობს ქალაქი სევან-

<sup>1</sup> ანაკრა – ანაკლია.

<sup>2</sup> პიკეონბერგა – პიცუნდა. Толстой П. А., *Описание Черного моря, Эгейского архипелага и Османского флота*, Москва, 2006, с. 86.

<sup>3</sup> კიონია – საგარაუდოა, ქობულეთი.

<sup>4</sup> კურინ სანი – გურიილი.

<sup>5</sup> იგულისხმება იანიჩართა სამი როტა, რომელშიც, სავარაუდოა, იყო ათასამდე კაცი და მაშასადამე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 3-3,5 ათასი კაცი. Джавелидзе Н.М. Взаимоотношения османской империи с Западной Грузией в I-ой пол. XVIII. Автoreф. кин., Москва, 1986, с. 16-17.

ტოპოლი<sup>1</sup>, სამეცნიეროს [მთავრის] ანუ ლევანდ დიანას<sup>2</sup> სამ-  
ფლობელოების დედაქალაქი, პორტის არხის ძღვომარეობს ზე-  
მოხელებული ძღინარებების მოხურებულ შესართავებში<sup>3</sup>.

„აქდან [ფასისიდან] კვალად შევბრუნდებით დასავლე-  
თით და გავცურავთ 40-მდე იტალიურ მილს, სადაც იქნება  
კავკასიონის მთის განტოვება... იმ მთასთან არის აპასიკის<sup>4</sup>  
პორტი, რომელსაც უწოდებენ პინტოტენ<sup>5</sup>, თურქულად კი ეძა-  
ხიან სოკ-უსის, რაც ნიშნავს „ცივწყლიანს“. მახლობლად  
არის ძველი ბერძნების კომნინებად წოდებულების, დიდებუ-  
ლად ნაშენები წმინდა სოფია და აპაზის მფლობელის სატა-  
ხო ქალაქი. ხელებულ ეკლესიაში წირავენ იძერიელები“<sup>6</sup>.

\*\*\*

რა თქმა უნდა, ოსმალეთის ხელისუფალთ მხედველო-  
ბიდან არ გამორჩებოდათ რუსი დიპლომატის დაზვერვითი  
საქმიანობა და ინტერესი შავი ზღვის პორტების მიმართ და  
შესაბამის დასკვნასაც გამოიტანდნენ. თურქები არცოუ უსა-  
ფუძვლოდ ვარაუდობდნენ, რომ რუსები, თუ ომს დაიწყე-  
ბდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ, ისინი შეეცდებოდნენ საქარ-  
თველოს პორტების გამოყენებას.

პეტრე I-ის საქართველოთი დაინტერესებით არჩილ II-  
ისა და მოსკოვის კოლონიის სხვა ქართველების გარდა, რო-

<sup>1</sup> ხევასტოპოლი, ხევასტოპოლისი – ასე უწოდებდნენ შეა საუკუნეე-  
ებში კეროველები ცხვემს (ხოხემი).

<sup>2</sup> ლევანდ დიანა – პ. ტოლისტო უნდა გულისხმობდეს ლევან IV  
დადიანს.

<sup>3</sup> Толстой П. А., *Описание Черного моря, Эгейского архипелага и  
Османского флота, Москва, 2006, с. 104.*

<sup>4</sup> აპაზიკი, აპაზია – აფხაზეთი.

<sup>5</sup> პინტოტენ – პიტოუნი, ბიჭინტი.

<sup>6</sup> Толстой П. А., *Описание Черного моря, Эгейского архипелага и  
Османского флота, с. 104*

გორც ითქვა, განსაკუთრებით ირჯებოდა იერუსალიმის პატ-რიარქი დოსითეოს II. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან ის დაინტერესებული იყო რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ ომით, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს აწვდიდა ცნობებს რუსეთის სამხადისზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. დოსითეოსის ასეთი მოქმედება, რომ სრულიად დასაშვებია, ამას მაფიქრებინებს თუნდაც ის, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთან გრიგოლ ლოროტქიფანიიქსთან (1696-1742). დოსითეოსი 1701 წლის სექტემბერში ადრიანოპოლიდან გაგზავნილი კისტოლეში კათალიკოს გრიგოლს საყვედურობდა: „შენ ბევრს გვწერ, მაგრამ ვინ გადაგვითარგმნის მას? თარჯიმანი არა გვყავხ. ათასჯერ მოგწერეთ, რათა ვამოგვე ზავნათ ერთი ძირი სახწავლებლად და თქვენთან მიწერ-მოწერისათვის, მაგრამ ეს არ გააკეთოთ...“<sup>1</sup>

იმავე ხანებში, იმერეთისა და სამეგრელოს მსხვილმა ფეოდალებმა გრიგოლ კათალიკოსის, ევდემონ ქუთათელისა და ნიკოლოზ გენათელის თაოსნობით ოურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა და ქუთაისის ციხის განთავისუფლების პირობა დადგეს. ისინი ფიციო შეიკრენენ, რომ „დღეს შემდგომათ იმერეთის წასახდენად და ასაოხრებდლად ჩვენ თათარს არც პირი მივსცეთ და ვინ იცის და თათარი ლაშქრით ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინამდროოთ და არც მათი ვიწამოთ და ამ იმერეთის წახდენის საქმეზედ და კიდევა ან ციხის აღება და წახდენა მართლის გულით მოვიჭირვოთ და არ უსუსტოთ ციხის აღების საქმე<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, გრიგოლ კათალიკოსი 1701 წელს

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ქ., ხაქართველო-იქრუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), თბილისი, 2008, გვ. 219

<sup>2</sup> საქართველოს სიძეგვები, I, მეორე გამოცემა, წიგნი I, თბილისი, 1920, გვ. 44-45; ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი), გვ. 52.

სათავეში ედგა იმერეთის მთავრების თურქების წინააღმდეგ კოალიციას. მართალია, წერილებში არაფერია ანტისმალური აჯანყებისათვის მზადების შესახებ, მაგრამ ასეთი მოლოდინი არც უნდა გვქონდეს, რადგან ასეთი შინაარსის წერილს ან გადაკერით ნათქვამსაც კი არავინ დაწერდა და არც შეინახავდა თურქების შიშით. ასეთი მოქმდება საბედისწერო იქნებოდა როგორც დოსითეონის ისე მისი ადრესატებისათვის.

თურქების აშკარა გამოწვევა და დაუმორჩილებლობის დაუფარავად გამოხატვა იყო 1702 წელს იმერეთის გამგებლის გიორგი აბაშიძის მიერ უარის თქმა ოსმალებისათვის ხარკის მიცემაზე. იმერეთის სამეფოს ასეთი მოქმედება რუსეთიდან დახმარების მიღების იმედით, ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას ნიშნავდა<sup>1</sup>. დასავლეთ საქართველოში არსებული ანტითურქული განწყობილების გამო იყო, რომ პ. ტოლესტოი პეტრეს სწერდა: თურქებს შიში აქვთ რუსეთის ხელმწიფის, რადგან ოსმალეთის შიგნით მრავლად არიან რუსი ხალხის ერთმორწმუნენი, რომლებსაც, თურქები თავიანთ მტრებად მიიჩნევენ<sup>2</sup>.

პეტრე I-მა მოგვიანებით, როდესაც ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა, გაითვალისწინა რა ოსმალეთის და ავსტრიის იმპერიების მართლმადიდებელი მოსახლეობის განწყობილება, განიზრახა მათგან ჩამოეკალიბებინა სამხედრო რაზმები რუსეთის სამხრეთ საზღვარზე. 1711 წლის 3 (14) მარტს პეტრემ დუბროვნიკელ საბა ვლადისლავოვიჩ-რაგუზინსკთან ერთად შეადგინა სიგელი ხერხოგორიელებისათვის, რომელიც გახდა ოსმალეთის მოსახლეობისათვის მომართვის საფუძველი. ევროპის სახელმწიფოების მიბაძვით,

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Арутюнова М. П., «Описание» П.А. Толстого как источник по истории Османской империи // Ближний и Средний Восток, Москва, 1968, с. 37.

პეტრეს უნდოდა შეექმნა მსუბუქად შეიარადგეული პუსართა რაზმები, რომლებშიც იქნებოდნენ სერბები, ქართველები, მოლდაველები და ვალახები. მათი თანდათან გაფართოვების შედეგად ჩამოყალიბდებოდა პუსართა პოლკები<sup>1</sup>.

დოსითეოსი საქმაოდ კარგად იცნობდა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას და დაფინებით ცდილობდა პეტრე I დაერწმუნებინა თურქებთან ომში საქართველოს, განსაკუთრებით იმერეთის სამეფოს მნიშვნელობაში. 1705 წლის იანვარში ის პეტრე I-ს აცნობებდა, რომ განზრახული პეტრი საქართველოში წერილი მიეწერა და მაღე, წმინდა პასხამდე, თავისი კაციც ბაჟგზავნა. „იქაური მთავრები ჩვენი ნაცნობები და მეგობრები არიან, – სწერდა დოსითეოსი პეტრე I-ს, – ჩვენს მიმართ განმსჭვალულნი კუთილად და სიყვარულით. მაგრამ შეუძლებელია იქ მოიქმნოს რუსულის მცოდნე ადამიანები. მხოლოდ როცა ის კურთხეული კაცი, დიდებული ქართველი ბატონი, ბატონი არჩილი (არჩილ II – ქ.ქ.), რომელსაც პყავს რუსულის მცოდნე მრავალი საერო და სახულიერო (პირი – ქ.ქ.), ზოგიერთი მათგანი თარჯიშნად წავა, ყველაზე უფრო საგულისხმოა წავიდეს თვით ბატონი არჩილი, ან მისი ვაჟი, ბატონი ალექსანდრე<sup>2</sup>.

დოსითეოსის ეპისტოლებს დაწერის დროისათვის, ე.ი. 1705 წელს, არჩილ II უკვე კარგა ხნის დასახლებული იყო მოსკოვში და ქართველი საქმისთვის იღწვოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი შვედების ტყვეობაში იყო. დოსითეოსმა, ალბათ, კარგად იცოდა პეტრეს ზრუნვაზე თავისი მეგობრის და თანამებრძოლის ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის გაბარებული ლონისძიებების შესახებ. ყოველივე ამის გათვალი-

<sup>1</sup> Белова Е. В., Православные народы Австрийской и Османской империи в Прутском походе 1711 г. // Вопросы истории, №10, Октябрь, 2009, с. 149-152.

<sup>2</sup> Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг), с. 54..

სწინებით მას იმედი პქონდა, რომ ვიდრე პეტრე ანტიოსმალურ კამპანიას დაიწყებდა, მანამადე ალექსანდრე განთავისუფლდებოდა. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოცდილი დიპლომატი დოსითეოსი, როდესაც პეტრეს სწერდა ანტიოსმალურ კამპანიაში ალექსანდრეს მონაწილეობაზე, ამით რუსეთის ხელმწიფეს აქტებდა უფრო გაეაქტიურებინა მოლაპარაკება შვედებთან უფლისწულის განთავისუფლებისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია, პეტრემ, დიდი მონდომებისა და კარლოს XII-სთან ხანგრძლივი მოლაპარაკების მიუხედავად, ალექსანდრეს განთავისუფლება ვერ შეძლო. როდესაც მძიმედ დაავადებული ბატონიშვილი ტყველიდან გაათავისუფლეს და რუსეთში ბრუნდებოდა, რიგაში გარდაიცვალა 1710 წელს. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ შეძლო პეტრემ ბატონიშვილის განთავისუფლება, საინტერესო ვარაუდი გამოთქვა ქველი ჩხატარაიშვილმა: „საგარაუდებელია, რომ პეტრეს თურქეთზე გალაშქრებას ალექსანდრე არჩილის ძის ტყველ ყოფნაც ავერხებდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შესაძლოა გახაგები გახდეს, თუ რატომ ამბობდა უარს ალექსანდრეს ტყველიდან გათავისუფლებაზე (მიუხედავად მეტად ხელსაჯრელი პირობების შეთავაზებისა) თურქეთის მოკავშირე შვედეთი. ხომ არ ერთა ამაში თურქეთის დიპლომატთა ხელი?“<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, ოსმალეთის მთავრობას შეაშფოთებდა ის გავრცელებული ხმები, რომელზეც ზემოთ ითქვა, რომ პეტრე I-ს განზრახული პქონდა ალექსანდრეს გამეფება დასავლეთ საქართველოში.

დაუჯერებელია, რომ პატრიარქი დოსითეოსი ვიდრე ზემოხსენებულ წერილს პეტრე I-ს გაუგზავნიდა, მანამდე მას მოლაპარაკება და გარკვეული შეთანხმებაც არ პქონებოდა იმერეთის ყოფილ მეფე არჩილთან, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა დასავლეთ საქართველოში.

<sup>1</sup> ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა იხტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი), გვ. 65.

ლოს სტრატეგიული ადგილებისა და პორტების შესახებ. ის არა მხოლოდ თარჯიმნობას გაუწევდა რუსეთის ჯარის ხელ-მძღვანელობას, არამედ მას შეეძლო უაღრესად ქმედითი დახ-მარება გაეწია მათთვის სხვადასხვა სახის რჩევებით.

XVIII საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ პროცესებს თვალს თუ გადავავლებთ დავინახავთ, რომ პატრიარქი დო-სითეოსი მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ამბოხებას აპირებდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1702 წელს ბუ-ქურეშტში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწი-ლეობდნენ კონსტანტინე ბრინჯოვიანუ (დიდი ლოგოფეტი, ვა-ლახის გოსპოდარი), პატრიარქი დოსითეოსი და ვალახის დიდებულები. მათ გადაწყვიტეს, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაიწყების შემთხვევაში ბალკანეთის ხალხები აჯანყდე-ბოდნენ თურქების წინააღმდეგ. მათი გადაწყვეტილების ძირი-თადი შინაარსი მდგომარეობდა შემდგები: რაღან ბალ-კანეთის ხალხებს ოსმალეთის ბაგრონობისაგან განთავისუფ-ლების იმედი რუსეთის დახმარებით ჰქონდათ, ისინი მზად იყვნენ ომის დასაწყისიდანვე დახმარებოდნენ რუსეთს. გადა-წყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ რაღან რუსეთ-ოსმალე-თს შორის მშვიდობა არამყარი და არასაიმედო იყო, ამას-თან ერთად ოსმალეთის სახელმწიფო იყო სუსტი და ეშინო-და რუსეთის. შეთქმულთა აზრით, რაღან თურქებთან ბრძო-ლის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რუსეთმა ზაგი უნდა დადოს შვედეთთან და მთელი ყურადღრება ოსმალეთთან ომ-ზე გადაიტანოს. მათ პეტრე I-თან ელჩი მიავლინეს, რომელ-საც რუსეთის ხელმწიფე უნდა დაერწმუნებინა, რომ ეხლა იყო ხელსაყრელი დრო, ოსმალეთთან ომის დასაწყებად. მათ პეტრეს თურქებთან ომის გეგმაც შესთავაზეს<sup>1</sup>.

ოსმალეთის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, გულხელდა-კრეფილი არ დაელოდებოდა მოვლენების განვითარებას და

<sup>1</sup> Семенова Л. Е. Русско-валашские отношения в конце XVII - начале XVIII в. Москва, 1969, с. 86-88.

გადაწყვიტა რუსებისათვის დაქსწორო, ვიდრე ისინი ფლობს შეიყვანდნენ შავ ზღვაში. აჩქარება აუცილებელი იყო იმის გამოც, რომ რუსეთისგან დახმარების მომედე დასავლეთ საქართველო 1703 წელს აჯანყდა. თურქები დიდ ძალით შეიჭრნენ დასავლეთ საქართველოში და საბოლოოდ დაპყრობით დაემუქრნენ. მაგრამ ოსმალეთში ისეთი ამბები მოხდა, რომ სულთანი იძულებული გახდა საქართველოდან ჯარი გაეწიო<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნაბეჭარში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 455-459.

## გახტანგ VI-ის საბარეო პოლიტიკა და ღიალომატია

### რამდენიმე შტრიხი პატრიარქ დოსითეონის და ჯანიშინ გახტანგ VI-ის ურთიერთობიდან

გახტანგ VI-ის ჯანიშინობის დასაწყისის საგარეო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეპავა იერუსალიმის ორთოდოქსულ საპატრიარქოს. განსჯის მთავარი საკითხი წმინდა ქალაქში ქართული მონასტრების საქართველოსათვის შენარჩუნება იყო. ქართლის მეფე გიორგი XI-მ, მისმა ძმებმა და დიდებულებმა მონასტრების დავალიანების დასაფარად საჭირო თანხა, რომელიც პატრიარქ დოსითეონ II-ს შეამავლობით უნდა დაეფარათ, მთლიანად გადაიხადეს. პატრიარქი ამას არაერთხელ აღნიშნავდა საქართველოსა და რუსეთში გაგზავნილ თავის წერილებში. მაგრამ იმასაც ამბობდა, რომ საქართველოდან წალებულ თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა და იგი მისმა საპატრიარქომ შეავსო, ამას სწერდა ის მონასტრების ვალებისგან განთავისუფლებიდან ათი წლის შემდეგ. ქართული მონასტრების მომართ სხვა ისეთი დონისძიებებიც გაატარა, რომლებითაც ისინი საპატრიარქოს იურისდიქციაში აღმოჩნდა<sup>1</sup>.

გახტანგმა, რა თქმა უნდა, მშვენიერად იცოდა იერუსალიმის ქართული მონასტრების ის განსაკუთრებული მნიშვნელობა რაც მათ საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ ქართული კულტურისა და ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისათვის. მისთვის ამ საკითხის გარკვევას იმიტომაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ იერუსალიმის ქართული ეკლესიების ვალებიდან განთავისუფლებისათვის მისმა მამა-ბიძებმა და დიდებულებმა დიდძალი ფულადი და მატერიალური ხარჯი გა-

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 118-151, 222-229.

სწიეს და 1685 წელს, მონასტრები დაიხსნეს. შემდეგში ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისა და მისი თავდაცვისათვის იბრძოდნენ. ამას ემატებოდა ქვეყნიდან დიდი ხნით წასვლა და ირანის ინტერესებისათვის ბრძოლა. ყოველივე ამის გამო მათ თვალი ვეღარ მიადევნეს იმას, თუ რა ხდებოდა იერუსალიმში ქართულ მონასტრებთან დაკავშირებით. ვახტანგმა, როგორც ჩანს, ჩაიბარა თუ არა ქართლის გამგებლობა, მაშინვე დაინტერესდა ამ საკითხით და პატრიარქ დოსითეოსის საპასუხო წერილებიდან ჩანს, რომ მან მკაცრად მოითხოვა ანგარიში იმის შესახებ როგორ დაიხარჯა საქართველოდან წაღებული თანხა. დოსითეოსის წერილებში გარკვევით ჩანს ქართლის გამგებლის წინაშე თავის დაცვის მცდელობა, რაშიც დაგვარტმუნებს მისი წერილებიდან ამონარიდები ამ ნარკვევის დასასრულს.

იერუსალიმის წმინდა ადგილების საკითხის გარკვევისათვის ვახტანგ VI-ს ეპისტოლარული ურთიერთობა პქონდა იერუსალიმის ორ პატრიარქთან – დოსითეოს II-სთან და ქრისანთოსთან (1707-1731)<sup>1</sup>. რადგან დასახელებულ პატრიარქებთან ვახტანგის ურთიერთობიდან პოლიტიკური საკითხები გვაინტერესებს, ამიტომ ვილაპარაკებ მხოლოდ დოსითეოსთან ურთიერთობაზე. როგორც დოსითეოსის წერილებიდან ჩანს, ვახტანგის ინტერესი სცილდებოდა იერუსალიმის ქართული მონასტრების საკითხის გარკვევას.

დასახელებული პატრიარქების საქართველოში გამოგზავნილი ეპისტოლებიდან გამოქვეყნებული იყო დოსითეოსის ექვსი ეპისტოლები. აქედან ორის ადრესაზი ვახტანგ მეფეა. რა თქმა უნდა, ვახტანგი და მისი წინამორბედი მეფეები დასახელებულ პატრიარქებს უგზავნიდნენ წერლებს, რომლებსაც დოსითეოსი ახსენებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პიროვ-

<sup>1</sup> მესხი თ., იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი და საქართველო // გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №15, 2017, გვ. 73-104.

ნებებისათვის გაგზავნილ წერილებში: დოსითეოსი 1683 წელს  
მეფე არჩილ II-სათვის გაგზავნილ წერილში სხვათა შორის  
აღნიშნავდა: „ლუვან ბატონიშვილისგან წერილი მომიღიდა,  
რომელიც ამა წლის (1681 წ.) დეკენბრის თვეშია დაწე-  
რილი...“; დოსითეოსი დასავლეთ საქართველოს პათალიკოსს  
მიმართავს: „შენ ბეჭრს გვწერ...“; „უგანათლებულებო მუვა  
ვახტანგ! გვეკითხები და ითხოვ...“<sup>1</sup> მაგრამ, როგორც აღინიშ-  
ნა, ჯერჯერობით საქართველოდან გაგზავნილი არც ერთი  
წერილია მიკვლეული და, სავარაუდოა, მათი მიკვლევა ვერ-  
სოდეს მოხდება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ისევ დოსი-  
თეოსის ერთი წერილი (1704 წ. 18 მაისი), რომელსაც იგი  
რუსეთის ელჩს სტამბოლში, პ. ტოლსტოის, სწერდა: „უკელა  
დიდი თუ პატარა წერილი, რომლებიც გამოგვიგ ზავნეთ, გავა-  
ნადგურეთ და ადარც ერთი გვაქვს. ჩვენც ამას გთხოვთ: თუ  
შენახული გაქვთ ჩვენი რაიმე წერილი, ყველა დაწეოთ, არც  
ერთი არ შეინახოთ, რადგან არ კიცით, რას მოიტანს დრო.  
თუ აქაური წყეულები რამეს იეჭვებენ, მოულოდნელად გაგ-  
ჩხრეკენ და წერილებს წაიღებენ... ასე მოუქცნენ ქართველ  
ელჩს. მოულოდნელად დაესხნენ და მიხი ყველა წერილი წა-  
იღებ<sup>2</sup>. სავარაუდოა, დოსითეოსმა რუსეთის ელჩის წერილე-  
ბთან ერთად გაანადგურა სხვა წერილებიც და, მათ შორის,  
იყო საქართველოდან გაგზავნილი ქართული დედნები და მა-  
თი ბერძნულ ენაზე თარგმანებიც. მას რომ საქართველოდან  
მრავალი წერილს უგზავნიდნენ, ჩანს იქიდანაც, რომ ის  
თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში, როგორც ზემოთ ითქვა, დასა-  
ვლეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიეს  
საყვედურობდა: „შენ ბეჭრს გვწერ, მაგრამ ვის გადაგვი-  
თარგმნისათვის სამწუხაროდ, დოსითეოსი არ აღნიშნავს, რო-

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის  
ისტორიიდან, გვ. 207, 219, 223.

<sup>2</sup> Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с  
российским правительством (1669-1707 гг), Москва, 1891, с. 236.

მელ ქართველ ელჩს ჩამოართვეს თურქებმა წერილები ან როდის მოხდა მოთხოვბილი ამბავი.

იურუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან ურთიერთობისას ვახტანგ მეფე ითვალისწინებდა მის საერთაშორისო გავლენას. იცოდა, რომ მართლმადიდებელი ქვეყნების მეთაურები და პოლიტიკოსები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის პოლიტიკურ მოსაზრებებს და კიდევ ითვალისწინებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პატრიარქ დოსითეოსის გავლენა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე<sup>1</sup>. მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართველი ქავლევარების მიერ მის ეპისტოლარულ და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში შემონახული ცნობები საქართველოს შესახებ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Матченко О., Досифей, патриарх иерусалимский и его время. Из душеполезного чтения 1878 года, Москва, 1878; Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.), СПб., 1896; Каптерев Н. Ф., Господство греков в иерусалимском патриархате с первой половины XVI до половины XVIII века // Богословский вестник, СПб., 1897, май; Каптерев Н.Ф., Характер отношений России православному Востоку в XVI-XVII столетиях, Москва, 1914; Померанцев И., Иерусалимский патриарх Досифей II (1669-1707) // СИППО, 1908; ჩხატარაძეილი ქ, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი ძევთხედი) // საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1972, გვ. 48, 50, 54-55, 60-64, 67; მათხოვალი შეიძლება ქ, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 65-75.

<sup>2</sup> Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синай // Материалы для истории архиепископии Синайской Горы. Перевод с греческого И. И. Латышева, ППС, вып. 58-й, 2-я половина, СПб., 1909; Журнал Народного Просвещения, 1943, № №2, 12; თავათშეიძლება ქ, რას შეიცავდა ევრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ ძეფიხა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში // ძევლი

დავუბრუნდეთ დოსითეოსის მიერ ვახტანგისათვის გაგზავნილ სიგელებს. როგორც ჩანს, ისინი დაიწერა ვახტანგ მეფის წერილის/წერილების საპასუხოდ.

პატრიარქ დოსითეოსის მთავარი საზრუნავი, როგორც მისი საქართველოში გამოგზავნილი ექვსი ეპისტოლებან ჩანს, საქართველოდან შესაწირავის უდანაკარგოდ, დიდი რაოდენობით და რეგულარულად წადება იყო. იმავე დროს პატრიარქი დოსითეოსი გამოსთქვამდა მოსაზრებებს ქართველი ადრესატების მიერ დასმულ სხვადასხვა კითხვებზე. ამჯერად შევჩერდები დოსითეოსის უკანასკნელ V და VI ეპისტოლებზე, რომლებიც დათარიღებულია 1706 წლის ივნისითა და ივლისით.

ივნისის ეპისტოლებან ვიგებთ, რომ ვახტანგს აინტერესებდა პატრიარქის აზრი, როგორ უნდა გაგრძელებულიყო ქართლის სამეფოს ურთიერთობა ირანთან, როდესაც ეს უკანასკნელი მუდმივად ითხოვდა ხარკის სახით ქრისტიანი ახალგაზრდების გაგზავნას ირანში. ყურადღებას იქცევს ვახტანგის მიერ კითხვის ფორმულირება. კითხვა ისეა დასმული, რომ კარგად გამოჩნდეს თავისი სამეფოს გაჭირვებით შეწენული მეფის საზრუნავი, როგორმე გადაარჩინოს თავისი ქრისტიანი თანამემამულე ქვეშევრდომები ირანში გაგზავნისა და იქ გარდაუგალი გამაჰმადიანებისგან. კითხვაში

---

საქართველო, II, განკ. III, ობილისი, 1913, გვ. 54-56; ლორთქიფანიძე მ., „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის // თხუ შრომები, 328, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ობილისი, 1999, გვ. 80-84; ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ // ქართული წერილთმცოდნეობა, III, ობილისი, 1971; მამისთვალიშვილი გ., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 59-229.

ჩანს, რომ ვახტანგი ეკითხება პატრიარქს, მართლმადიდებელთა სულიერ წინამძღვანლება და პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის ავტორიტეტს აღირებს და ენდობა. დოსითეონის პასუხობს შემდეგნაირად: „უგანათლებულებო მეფე ვახტანგ! გვა კითხები და ითხოვ დარიგებას: „რადგან ირანის შაჰი უველა მხრიდან ქრისტიანებს ითხოვს, მაჟყავს და თავის სარწმუნოებაზე მოაქცევს, ამიტომ მეც ვაგროვებ და ვუგზავნი. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან შაჰი ივერიიდან სწორედ ასეთ ხარჯს ითხოვს. თუ მრავალს არ გავუგზავნით, მაშინ გაჩაღდება ომი და ხიფათში ჩაცვიდება ივერიის უველა ქრისტიანი“. ასეთია შენი შეკითხვა! – და ითხოვ რაიმე საკანონოს (ეპიტიმიას<sup>1</sup>), რათა დავთის წინაშე ცოდვილი არ დარჩე“.

დოსითეონის პასუხში გამოსჭვივის, რომ ის ითვალისწინებს ქართლის სამეფოს სისუსტეს ირანთან შედარებით. მისი აზრით, ქართლის გამგებელმა უნდა გამოიჩინოს დიპლომატია და მოახერხოს, რომ გასცეს რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი. ამიტომ: „ჩვენი პასუხი ასეთია: რადგან ამ ხარჯის არ მიცემა უკავ შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება ნაკლები ქრისტიანი გაიგზავნოს. იმავე დროს ამ ხარჯით შაჰს უნდა დაუმტკიცოს ერთგულება, მხოლოდ ისე, რომ არ გაიზარდოს გასაგზავნი ადამიანების რაოდენობა. თუ ქართლის გამგებელი შეწყვეტს ამ ჩვეულებას, სხვა მაინც აღადგენს. ცხადი იქნება, რომ იგი ამას აკეთებს თავის ნებით, რაც მომაკვდინებელი ცოდვაა. რა ფორმითაც არ უნდა გახცე ქრისტიანები, მაინც ცოდვად ითვლება. „წმ. მამები ეპიტიმიას ადებებს არა მხოლოდ შეგნებული მკლელობისათვის, არამედ უნებურისთვისაც“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ეპიტიმია (ძველ ბერძნულად სასჯელი) – მორალურ-გამასწორებელი სასჯელი, რასაც სულიერი მამა დაადებს მორწმუნე საერთებს. საჯელი შეიძლება იყოს ხანგრძლივი მარხვა, ლოცვა...

<sup>2</sup> მამისთვალიშვილი კ., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 223.

დოსითეოსი ქართლის გამგებელს, ვახტანგს, ერთ მნიშვნელოვან დარიგებას აძლევს: „კველა ქრისტიანი ხამოქალაქი მმართველი მეფეც უნდა იყოს და ორქიულიც. ის მეფეა, როცა ხამართლიანად განაგებს ხამოქალაქი ხაქმეულებს, არსებს ხამართალს, ერიდება მტაცებლობას, ანგარებას და უხამართლო სიკვდილს და ა.შ. და ა.შ. ის არქიულია, როცა ხაგლებით ხაქმეულებში ეხმარება ორქიულებს, მღვდლებს და ბერძონაზენებს, კალებიებს, მათ ხამოქალაქი ხაქმეულებში ჩარგვის ნებას არ აძლევს, არამედ კალებიებსა და ქრისტიანებზე მზრუნველობისათვის წარმართავს...“<sup>1</sup>.

დოსითეოსისთვის მიუღებელი იყო ლათინი პატრები და გრიგორიანელები ყველგან და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, განსაკუთრებით მიუღრებელი იყო კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა. მისი აზრით, საშიში იყვნენ ლათინი მღვდლები, ხომხებს კი, როგორც პატრიარქი განმარტავს, მხოლოდ თავიანთი ხაქმე აინტერესებდათ, მართლმადიდებლები მათგან შევიწროებას არ განიცდიდნენ

პატრიარქ დოსითეოსს მიზანშეწონილად მიაჩნდა რადიკალური ზომების გატარება კათოლიკების მიმართ საქართველოში. იგი მიმართავს ვახტანგს: „მხოლოდ ერთ მოწყალებას გთხოვთ: ჩამოართვით ლათინ ბერებს კალებიები და ჩამოიშორეთ თქვენგან. იერუსალიმში ლათინები ცდილობდნენ ჯვრის მონასტერი აგარიანებისაგან ეყიდათ, ისინი მოედნენ ფრანგთა ქვეყანაში არც ერთ მართლმადიდებელ მღვდელს არ აწირვინებენ, თუ პაპს არ მოიხსენიებს. მაში, ქართლში წირვა-ლოცვის დროს რატომ მოიხსენიებენ პაპს და არა კათალიკოსს? გარეუეთ ლათინი ბერები თქვენგან“<sup>2</sup>.

1706 წლის ივლისის ეპისტოლეში დოსითეოსი მსჯელობს იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ვალებიდან განთავისუფლებისათვის დოსითეოსის გიორგი XI-ის, მი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 224-225.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 225-226.

სი ძმა ლევანის და პატრიარქ დომენტი III-ის შეთანხმებაზე, ქართული მხრიდან ყველა საჭირო თანხის გადახდასა და დოსითეოსის მიერ გაწეულ შრომაზე ქართული მონასტრების ვალებიდან განთავისუფლებისათვის. მიღწეული შედეგიდან გამომდინარე, დოსითეოსი აცხადებს: ივერიელებს „ვუძრუნებთ როგორც წმ. ჯვრის მონასტერს, ისე სხვებსაც, როგორიცაა: წმინდა ნიკოლოზის, წმ. ოქვდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანას და ებრაული წმ. გიორგის [მონასტრების] ვალების გარეშე და ყოველმხრივ თავისუფალს. არც ჩვენ და არც ჩვენ შემდგომი წმ. ქალაქ იერუსალიმის წმინდა პატრიარქები, არც ერთი წმინდა საფლავის მამა და ნაცვალი, არ მოვითხოვთ ფულს ივერიელთაგან, არც ბეკრს არც ცოტას, არც იმის სანაცვლოს, რაც ჩვენ მივეცით ვალების და პროცენტების დახაფარავად, არც იმისათვის, რაც ჩვენ შევწირეთ განახლების, ხოჯების, ბრძანებების, ხატიშერიფების და სხვა ხარჯებისათვის. დაგ, მათი მონასტრები თავისუფალი იყოს ყოველი მოთხოვნის, ყოველი ვალის და ყოველი შემაწუხებელი მთხოვნებისაგან და ქრისტესმოყვარული ივერიელები სრული ბატონ-პატრონები იყვნენ<sup>1</sup>. ეპისტოლე მთავრდება დოსითეოსის მიმართვით იმათ მიმართ, ვინც აღიარებენ და ვინც შეეწინააღმდეგებიან პატრიარქის მიერ მიღებულ ქართულ მონასტრებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას<sup>2</sup>.

პატრიარქ დოსითეოსის მიერ იერუსალიმში ზოგიერთ სიწმინდებზე, განსაკუთრებით წმინდა ჯვრის მონასტერზე, ქართველთა უფლებების აღიარება ვახტანგ VI-ის მიერ იერუსალიმის საპატრიარქოს მიმართ გატარებული სწორი და სამართლიანი პოლიტიკის შედეგი იყო. დოსითეოსს ვახტანგის მიერ წაყენებული არგუმენტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ის როგორც შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსი და დიპლომატი ითვალისწინებდა თავისი დროის საერთაშორისო

<sup>1</sup> იქვე, გვ. 227-228.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 228-229.

ურთიერთობებს და ხელს არ აძლევდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შეღახვა იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა მართლმადიდებელი ქვეყანა ოსმალეთს უპირისპირდებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ქართველობას, როგორც მისი ეპისტოლეებიდან ჩანს, დე იურე შეუნარჩუნა იერუსალიმის ქართულ სიწმინდეებზე მფლობელობა. ხელო რომ გვქონებოდა ვახტანგ VI-ის წერილები დოსითეოსისადმი, რომლებიც, საფიქრებელია, დაწერილი იყო ულტიმატუმის ტონით (ამიტომ უნდა იყოს დოსითეოსი თავის მართლების პოზიციაში), მაშინ გავიგებდით მეფის იმ არგუმენტებს, რომლითაც იგი იცავდა საკუთრებას და უფლებებს იერუსალიმის ქართულ სიწმინდეებზე. პატრიარქ დოსითეოსის მემკვიდრე პატრიარქმა ქრისანთოსმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბიძის, დოსითეოსის მიერ ვახტანგ VI-სთან ურთიერთობაში „დაშვებული შეცდომები“ გაესწორებია. იგი ქართულ მხარეს ედაგებოდა იმაში, რაშიც არავითარი ბრალი მიუძღვოდა, კერძოდ იმ დამატებით თანხებში, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქომ გადაიხადა დამატებით (?), ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე.

პატრიარქი დოსითეოს II-ს ვახტანგთან მიმოწერისას არ გამორჩენია თავისი აზრი გაეზირებინა ისეთ უმნიშვნელოვანებს საკითხზე, როგორიც იყო ლათინი მისიონერების ყოფნა საქართველოში. იგი განსაკუთრებით მკეთრად აყალიბებს თავის პოზიციას ვახტანგ VI-სთვის გაგზავნილ წერილში (1706 წ.), რომელშიც, შეიძლება ითქვას, მოცემულია ქართლის სამეფოში მოდვაწე კათოლიკე პატრების დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათება და მათი განდევნის მოთხოვნა. მისი ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებულია ოთხ მუხლად. ესენია: 1. მოთხოვნა ლათინი მდვდლების თბილისიდან განდევნისა თუნდაც იმიტომ, რომ ისინი აცდუნებენ ქართლის სამეფოში მცხოვრებ ხომებს, ჰყოფენ მათ ორად და აპირისპირებენ ერთმანეთის წინააღმდეგ (საყურადღებოა, რომ იერუსალიმის პატრიარქი ასეთ შეშფოთებას არ გამოსთქვამს ქართ-

ველების გამო, რაც საგულისხმოს ხდის, რომ მათ გაკათოლიკების საშიშროება არ ემუქრებოდათ); 2. ისინი უნდა განიღებონ იმიტომ, რომ რომში გაგზავნილ წერილებში **ცილის სწამებები** მართლმადიდებლებს, თითქოს მათ კათოლიკობა აღიარეს, რაც ასევე ცილისწამებაა ქართული ეკლესიის მიმართ. ამავე დროს ისინი, საერო სიბრძნით ადჭურვილნი და შეერმებყველნი ხალხს ატყუბებენ, რაც გამოიხატება წმ. წერილის მცდარად ახესნასა და წმ. მამების დვაწლის დამახინჯებით განმარტებაში; 3. კათოლიკე პატრებმა საქართველოში, რომ ფეხი მოიკიდეს, რაც პირველ რიგში გამოიხატა მათვის ეკლესიების მიცემაში, ბრალი მიუძღვის ვახტანგ VI-ის პაპას თემურაზ I-ს. ეს შეცდომა უნდა გამოასწოროს ვახტანგმა; 4. გიორგი XI-ს დოსითეოსისათვის უანდერძია, რომ ჯვრის მონასტრის ვალებიდან განთავისუფლების შემდეგ ლათინებს ეკლესიებს ჩამორართმევდა, სახელდობრ, თბილისის ეკლესიას მისცემდა ჯვრის იღუმენს (ჯვარისმამას), ხოლო გორელი კათოლიკების ეკლესიას კი სომხებს. ამასთან ერთად, ქართლის მეფე პატრიარქს დაპირდა ლათინი ბერების ქართლიდან გარეკვას. პატრიარქ დოსითეოსის აზრით, მეფე გიორგი XII-ის ანდერძის შესრულება ვახტანგის ვალია. ამავე მუხლში ჩამოთვლილია, აგრეთვე, ლათინების ისეთი დანაშაულებები, როგორიც იყო, მაგალითად, მათ მიერ იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ხელში ჩაგდების მცდელობა; სერიოზული ბრალდება იყო ისიც, რომ არც ერთ კათოლიკურ სახელმწიფოში მართლმადიდებელ მდვდელს წირვის უფლებას არ მისცემდნენ, თუ ის პაპს არ მოიხსენიებდა. საქართველოში კი, პატრები წირვა-ლოცვის დროს მოიხსენიებენ მხოლოდ პაპს, ქართველთა კათალიკოსს კი არა. დოსითეოსი თავის ეპისტოლეს ამთავრებს მოწოდებით, რომელშიც სრულად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კათოლიკებისა და რომის პაპის მიმართ. ის ვახტანგსა და ქართველ მართლმადიდებლებს მიმართავს: „გარეკვა ლათინთა ბერები თქვენგან... ეხენი... პაპისტები, რომლებიც ერთ

უწმინდურ და ცოდვილ ადამიანს დედამიწაზე მეორე ღმერთს უწოდებენ. მათ დაღუპეს მართლადიდებელთა საუფლო<sup>1</sup>.

წყაროების უქონლობის გამო ძნელია თქმა იმისა, როგორი ზემოქმედება მოახდინა დოსითეონის ეპისტოლები ვახტანგ მეფეზე, ან მას როგორი ურთიერთობა პქონდა კათოლიკე პატრიეტთან ირანში გამგზავრებამდე, ე.ი. 1703-1712 წლებში.

## ვახტანგ VI-ის ირანთან და რუსეთთან ურთიერთობის გაკვეთილები

XVII საუკუნის ბოლო ოცეულში ქართლის სამეფოში არსებულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ირანის განუწყვეტელმა ზეწოლამ (მეფეები ფაქტიურად ვეღარ მეფობდნენ, მუდმივად ირანის იმპერიის ინტერესებისათვის იქნევდნენ ხმალს) და ლეკების თავდასხმებმა სამეფო ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაასუსტა. ირანის ჯარის სარდლად ყანდაკარში გაგზავნილმა გიორგი XI-მ შაპთან შეთანხმებით გამგებლად (ჯანიშინად, იმ პირობით, მას კვლავაც შეეძლო ტახტის დაკავება) დატოვა თავისი ძმისშვილი ვახტანგი, რომელიც შემდეგში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სახელით მეფობდა.

ზოგად ხაზებში ცნობილია, რომ აღმოსავლეთი საქართველო სეფიანთა ირანის ვასალი იყო, რაც პირველ რიგში გულისხმობდა მის პოლიტიკურ კავშირს სიუზერენთან, მაგრამ ძნელია საქართველო-ირანის ურთიერთობა სეფიანთა დინასტიის ბოლო პერიოდში ზუსტად ჩამოვაყალიბოთ, რაში მდგომარეობდა ეს პოლიტიკური კავშირი.

XVIII საუკუნიდან ირანის იმპერიაში წინა საუკუნეებთან შედარებით თითქოს რელიგიური მომენტი აღარ განსაზღვრავდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის შინაარსს,

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იურუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 224-226.

მაგრამ ქართლის ვალის ოფიციალურ მაპმადიანობას შაპის კარი მაინც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა: „ქართლის მმართველის მაპმადიანობა იმას ნიშნავდა, რომ ირანი „გურჯისტანის“ თავის პროვინციად განიხილავდა; თუმცა ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამას არსებითი ცვლილება არ მოუტანია. აღმოსავლეთ საქართველოსადმი ასეთი პილიტიკით ირანი აშეარად უპირისპირდებოდა რუსეთისა და ოსმალეთის მიწნებს ამ ქვეყანაში. გარდა ამისა, „გურჯისტანის“ „ქრისტიანიზმი“, რასაც ირანი საქართველოში რუსელი ორიენტაციის გამარჯვებად მიიჩნევდა, გამოიწვევდა ირანში სხვა ქრისტიანთა გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომაც შაპი ბევრ დათმობაზე მიღიოდა „გურჯისტანის ვალის“ წინაშე, უმატებდა მას ტიტულებს, უდიდებდა „ჯამაგირს“. აძლევდა ხოვლებს ირანში, ოდონდ ირანის შაპისა და მისი ოფიციალური სარწმუნოების ერთგული ყოფილიყო<sup>1</sup>.

გადავხედოთ ვახტანგ VI-ის ირანთან ურთიერთობას, რომელიც გვესახება როგორც ძალიან მერყევი და ცვალებადი.

ქართველი ხალხისა და ვახტანგ VI-ის პირადი ნამდვილი დამოკიდებულება ირანის მიმართ გამოჟღავნდა სახურველ სამხედრო-პოლიტიკურ „პარტნიორთან“, რუსეთთან ურთიერთობის დროს XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში. აღნიშნულ პერიოდში შემუშავდა საქართველო-რუსეთის გეგმა ირანის წინააღმდეგ. რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები მისი მთავრობის წინაშე დღის წესრიგში აყენებდა დასუსტებული ირანის სამხრეთ კასპიისპირეთის პროვინციების დაპყრობას და ინდოეთთან და ჩინეთთან პირდაპირი სავაჭრო კავშირის დამყარებას. რუსეთის ხელისუფლების განზრახვის სასწრაფოდ სისრულეში მოყვანას უბიძებდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის სამხედრო კონკურენტი

<sup>1</sup> ქიქოძე გ., პილიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ მიედულში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 403-404

ოსმალეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა ირანის დასახელებულ სამფლობელოებზე გაბატონებას, შექმნილ ვითარებას თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევდა. ამიტომ ორივე სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვის მხარეზე დადგებოდა აღმოსავლეთ საქართველო.

\*\*\*

მკვლევრები, ხშირად, როდესაც იხილავენ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების საგარეო პოლიტიკას XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ვახტანგ მეფეს საყვედუროებნ, რომ მან ვერ გამოიჩინა ქვეყნის მეთაურისათვის საჭირო წინდახედულება და რუსეთს მიენდო, იმ რუსეთს, რომელიც ერთი შეხედვით, იმიტომ შემოვიდა ამიერკავკასიაში, რომ ებრძოლოს საქართველოს საუკუნოვან მტრებს – ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც ხშირად საქართველოს გამოც ებრძოდნენ ერთმანეთს.

XX-XXI საუკუნეთა გადასახედიდან თითქოს კარგად ჩანს რომელი შეცდომები დაუშვეს ქართველმა პოლიტიკოსებმა მოკავშირისა და მფარველის ძიების დროს. მაგრამ კრიტიკოსებს მხედველობის მიღმა რჩებათ ის გარემოება როგორ ცდილობდნენ ქართველები საერთო ენა გამოენახათ ძლიერ მეზობლებთან. ისტორიკოსები სინანულით აღნიშნავენ, რომ ვახტანგ მეფე უნდა მიმხვდარიყო პეტრეს მიზნებს კასპიისპირეთში, შეცდომა იყო სუსტი ირანისათვის ზურგის შექცევა და სხვ. მაგრამ თუ გადავხედავთ თუნდაც მხოლოდ სეფიანთა ირანსა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიას რომელიც მშვენივრად იცოდა მეფე ვახტანგმა, დავინახავთ, რომ ქართველები უმეტესად მხარს უჭერდნენ გაჭირვებაში ჩაგარდნილ ირანს, მაგრამ შედეგს ყოველთვის ერთსა და იგივეს – საწინააღმდეგოს იღებდნენ. ასეთი იყო სეფიანთა დინასტიის გამეფებისას ქართველების ისმაილ პირველისთვის შეიარაღებული ძალით მხარდაჭერა; შედეგი – ისმაილისა და მისი მემკვიდრე შაჰ-თამაზისგან აკლება და დახარკვა; ირანის მხარ-

ში დადგომა ეწ. ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს; გაძლიერებულმა შაჰ-აბას I-მა სამაგიერო იმით გადაუხადა ყოფილ მოკავშირებს, რომ ჯერ მათი სრული მორჩილება მოინდომა, შემდეგ კი კახეთი და ქართლი ააოხრა; ასე გაგრძელდა მთელი XVII საუკუნე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გამუდმებით ირანის ინტერესებისათვის იღუპებოდნენ, მაიც ირანი მათი სამშობლოს სრულ დამონებას ცდილობდა ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების მოჩვენებითი შენარჩუნებით.

XV საუკუნის დასასრულიდან აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი ირანის აგრესიის შესაკავებლად ეძებდნენ მოკავშირეს ხან დასავლეთ ევროპაში, ხან რუსეთში. კათოლიკე ეკროპელები იმ დასმარების სანაცვლოდ, რომელსაც ისინი ვერასოდეს გაუწევდნენ საქართველოს, მართლმადიდებელი ქართველებისათვის მიუღებელ პირობას აყენებდნენ, მოსკოვის მეფეები კი ირან-ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დროს ქართლსა და კახეთს, მოგვიანებით (XVII ს.-დან) დასავლეთ საქართველოსაც, მხოლოდ სიტყვიერად იცავდნენ, რაც მეზობელი სახელმწიფოების ქართული სამეფოების მიმართ მტრობას ადგივებდა.

ქართველი პოლიტიკოსების მიერ მოკავშირე-მფარველის დაუდალავი ძიება განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ვახტაგანგ VI-ის დროს. მან სცადა მოეგეარებინა ურთიერთობა ირანთან, მაგრამ არ გამოვიდა, სცადა მოეძებნა მოკავშირე პარიზში, რომში, ვენაში, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში ვახტაგს თვითონ მიაკითხა რუსეთის ხელმწიფები და საქართველოს სხნის პირობა მისცა, თუმცა მხოლოდ სიტყვიერად. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მუსლიმანი ჩრდილო კავკასიელებისა და ირანის წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლის მიზანი საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის მუსლიმანთა უდლისა და ჩაგრისაგან გათავისუფლება იყო.

ამგვარად, საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ ქრისტიანული, ერთმორწმუნე სახელმწიფოს დიპლომატები და ჯარი. ისინი აცხადებდნენ: უნდოდათ ქართველებთან ერთად ებრძოლათ ქართველთა ისტორიული მტრის ირანის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ბრალი უნდა დავდოთ რუსეთის მთავრობას და პირადად პეტრე I-ს, რომ მან მოატყუა ვახტანგ VI და ქართლის სამეფო გაწირა. ოპონენტები ვახტანგის მიმართ ამბობენ – არ უნდა მოტყუებულიყო. როდესაც ვეცნობით შესაბამის დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს, ჩავუკვირდებით ვახტანგის მიერ რუსეთის მიმართ გადადგმულ ნაბიჯებს, თუ გავიხსენებთ საქართველო-ირანის ურთიერთობის ბოლო ორ საუკუნეს, შეიძლება წარმოვიდგინოთ ვახტანგის, როგორც ადამიანის და სამეფოს მეთაურის სულიერი განწყობა: როგორც იქნა გამოჩდა სახელმწიფო, თანაც მართლმადიდებლური, რომელიც მას სთავაზობდა მოკავშირეობას და ერთობლივ ბრძოლას მისი ქვეყნის დამაქცეველი ირანის წინააღმდეგ. როგორ შეიძლებოდა ვახტანგს წარმოედგინა ის შედეგი, რომლითაც დასრულდა მისი ურთიერთობა პეტრესთან. ასეთი გამოცდილება რუსეთთან მიმართებაში იმ დროს ქართველ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ. დაგუშვათ, ვახტანგს გაეზიარებინა სახელმწიფო დაბაზის იმ წევრების აზრი, რომლებიც რუსეთთან კავშირს უარყოფნენ და ირანის გვერდით დადგომას მოითხოვდნენ. ვახტანგ მეფე მათ რჩევას ვერ გაიზიარებდა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ჯერ კიდევ შაპაბას I-ის დროიდან აღმოსავლეთ საქართველოში მრავლად იყვნენ ირანის აგენტები, უფრო მეტიც, მას ასეთად მიაჩნდა და საფუძვლიანადაც ზოგიერთი თავისი ძმებიდანაც კი. თუ გავიხსენებთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ქართლის სამეფოში ვახტანგის ტყვეობისას (იმას რომ არ მივხედოთ რაც ხდებოდა XVII ს. ბოლო მეხუთედსა და XVIII ს. პირველ მეხუთედში), რა თქმა უნდა, მეფეს ჰქონდა ვალდებულება გადაერჩინა ქვეყანა და ხალხი. უნდა მოე-

ძებნა ირანის საწინააღმდეგოდ ის ძალა რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ექვედნენ ბაგრატიონი მეფეები. ვახტანგ მეფე რუსეთისგან დალატს არ მოელოდა, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია ამგვარ ფაქტებს ჯერ არ იცნობდა. რუსი დიპლომატები ისეთი „გულწრფელობით“ ურთიერთობდნენ მასთან, რომ მათგან დალატს ვერ წარმოიდგენდა. „მაგრამ მეფე ვახტანგი ისე გატაცებული იყო რუსთა ხელმწიფის წინადადებით, რომ არავითარი ეჭვიც არ ეპარებოდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ პეტრე I-თან თანხმობრივი სამხედრო მოქმედება საქართველოს ბედნიერებას მოანიჭებდა. ამიტომ ის და მისი თანამოაზრე დარბაისელნი დაუყოვნებლივ გალაშქრების მოხსენი იყვნენ“<sup>1</sup>.

ვახტანგ მეფე მაღე დარწმუნდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ისეთივე დაუნდობელი იყო, როგორც ირანის და ოსმალეთის, რომლებთანაც მუდმივად შეხება პქონდა. გავიხსენოთ მისი სიტყვები ბაადურ თურქესტანიშვილისათვის მოწერილი: „რაც გვატყუჲ, ის გვეყოფის“-ო<sup>2</sup>. ვახტანგის ეს სიტყვები ირიბად მიმართული იყო როგორც პეტრე I-სადმი, ისე მოსკოვის ქართული კოლონიისადმი, საიდანაც ქართლის მეფეს, ადბათ, იმ „საიმედო“ ინფორმაციას უგზავნიდნენ პეტრეს შესახებ, რომელზეც ვრცლად ვისაუბრებ შესაბამის ადგილას. არ გამოვრიცხავ რომ, ბაადურ თურქესტანიშვილი თვითონაც მოტყურბული იყო. რუსი დიპლომატები ასევე ცრუიმედებს უსახავდნენ მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს. ეს უგანასკნელნი კი ყველა მოპოვებულ ცნობას რუსთ ხელმწი-

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის ძ-ХVIII საუკუნეზე, თბილისი, 1919. გვ. 8; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომად, ტ. V, თბილისი, 2013, გვ. 65.

<sup>2</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, С.-Петербург, 1861, с. 155.

**ფის საქართველოს მიმართ „ჯეთილი“ განზრახვების შესახებ,  
გახტანგ მეფეს უზიარებდნენ<sup>1</sup>.**

ზოგადად ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ფეოდალიზმის ეპოქაში (ასე იყო სხვა ეპოქებშიც) პატარა და სუსტი ქვეყნისათვის დიდი და ძლიერი სახელმწიფო არასოდეს ყოფილი უანგარო დამტკელი და მფარველი, მით უმეტეს მეგობარი. დიდი ყოველთვის, ამა თუ იმ საშუალებით და ფორმით იმორჩილებდა მეზობელს. გამონაკლისი არც საქართველოს მეზობლები იყვნენ.

### **გახტანგ VI-ის ურთიერთობა ავსტრიასთან და რომთან**

პეტრე I-ის მიერ ანტიორანულ სამხედრო ავანტიურაში ჩათრეულმა გახტანგ VI-მ, როდესაც დაინახა, რომ მის სამეფოს ირანისა და ოსმალეთის მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა, განიზრახა ერთხელ კიდევ მოესინჯა ევროპიდან დასმარების მიღების შესაძლებლობა.

საფიქრებელია, ვახტანგ მეფე ითვალისწინებდა XVIII საკუნის პირველ მეოთხედშიოსმალეთის სახელმწიფოს მეზობელი სახელმწიფოების – რუსეთისა და ავსტრიის, ასევე ოსმალეთთან მუდმივად მტრულ ოპოზიციაში მყოფი რომის ინტერესებს. ვახტანგი იმასაც გაითვალისწინებდა, რომ დასახე-

<sup>1</sup> ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკაზე, მის მიერ მოკავშირის ძიებაზე, რომ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა არჩილ II-ს, ამის შესახებ თვით ვახტანგი ლაპარაკობს თავის „სალბუნად გულისა“-ში. „მეფეს არჩილსა სძრახევდენ, სხვას თემს, რომ იყო მღლელია, / იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია; / მეც მასკე მძრახევნ, აქ მოვედლ, მაშ, რა კქნათ, რა საქნელია? / მას ლომსა, კეფებრ კისკასსა, ჭეუ პქონია მთელია“. ჩვენი საუნჯე. ქართული მწერლობა თც ტომად, 5, თბილისი, 1960, გვ. 195, სტრ. 83.

ლებული სახელმწიფოების ერთ-ერთი ლოოზუნგი ოსმალეთ-თან დაპირისპირების დროს იყო ქრისტიანების დაცვა.

ვახტანგმა ოსმალეთთან დაპირისპირებულ ავსტრიას მიმართა. ავსტრიის ხელისუფლება რომ საქართველოთი დაუინტერესებინა, ვახტანგმა სხვა ვერაფერი შესთავაზა, გარდა იმისა, რომ ავსტრიელებს ქართლის სამეფოში მცხოვრები კათოლიკები დაუცვათ მუსლიმთა თავდასხმებისაგან. 1722 წ. 29 ნოემბერს ვახტანგ მეფე ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლის წერდა: „გაცნობებთ თქვენ, როგორც მისი იმპერატორობის უდიდებულებების წარმომადგენელს პორტაში, რომ ამჟამად იქაური მაჰმადიანი მმართველი ჩვენს საზღვრებთან ახლოს თავს უკრის მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს, რათა ჩვენზე მოულოდნელი თავდასხმით გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო და ძირფე ძალით გადაინადგუროს ადმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხელება. გვწამს, რომ განსაცდელი და ტანჯვა აქაური უბედური ქრისტიანებისა, რომელთა შორის არის ბევრი ადამიანი, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებს, გამოიწვევს თქვენს გულში სიბრალეულის გრძნობას. და... ვეველრები თქვენს გულმოდგინებას ქრისტიანობისათვის, რათა თქვენ პირადად აიღოთ თქვენს თავზე პორტაში უკეთაზე ქმედით შეამდგომლობა, რაზედაც გევედრებით და კლოცულობ თქვენს გულმოდგინებას ქრისტიანობისათვის, რომ დამერთი ერთი ასად მოგიზლავთ თქვენ და თავისი სურვილისამებრ წარმართავს იმპერატორის იარაღს. წერილი, რომელიც თან ერთვის გთხოვთ კეთილ ინგრეთ, გადაუგზავნოთ იმპერატორს. ამჟამად ჩვენს საზღვრებთან გზებს მაჰმადიანები სდარაჯობენ, რაც არ მაძლევს საშუალებას ეს წერილი ერთ-ერთი ჩემი შიკრიკის ხელით გადმოგიგზავნოთ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერკელე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიდან), თბილისი, 1979, გვ. 77-78.

როგორც ავსტრიის ელჩისათვის განკუთვნილ წერილში იყო აღნიშნული, ვახტანგს გადაწყვეტილი პქონდა ვსტრიის იმპერატორ კარლოს VI-ისათვის (1711-1740) მიემართა. რადგან მას სხვა საშუალება არ ჰქონდა, იმპერატორისათვის განკუთვნილი წერილიც ელჩს გადაუგზავნა კონსტანტინოპოლიში. ვახტანგ მეფე თავისი წერილის ლეიტმოტივად იგივე გამოიყენა, რაც მოცემული იყო მისი ელჩისათვის გაგზავნილ წერილში და მხოლოდ ის დაუმატა, რომ თვითონაც კათოლიკე იყო, მაგრამ საქართველოში არსებული არეულობის გამო ვერ ამხელდა: „პო კეისარო! დეთისაგან ამაღლებულო საიმპერატორო ტახტზე, რათა, კითარცა მთავარი, წინამდებრობა უყოფ ყველა ქრისტიანე ერთა. ვიცი თქვენი მოწყვალე გული აღიძრება ეგოდებ გაჭირვებასა და შეწუხებაზე, რახაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის აქაური ერი, ამ უამაღლეს მაჭადიანების მთავარი ჯარს აგროვებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, რათა აიკლოს ერთანად ჩვენი სამთავრო და ამ მხარეში მთლიად მოსპოს ქრისტიანობა, როგორათაც დაგვეძებულა. ამნაირ გაჭირვებაში მხოლოდ ის გზა დაგვრჩა, რომ მივმართო თქვენს გულმოწყალებას რათა, ან ძალით და ან თქვენი ელჩის შეამდგომლობით პორტაც<sup>1</sup> წინაშე შეაჩეროთ ეს მაჭადიანები, არ მოვიდენ, თავისი მუქარა არ შეასრულონ და არ ამოგვწევიტონ. თუმცა თქვენი საეკისრო მფარველობის ულირსნი არიან ეს ერნი, რადგან განცრილნი არიან შეშმარიტის რომის ეკლესიისაგან, გარნა ამ ჩვენს სამთავროში ძრიელ ბევრი კათოლიკები არიან და მეც ამათ რიცხვში კითხვლები, ხოლო ამ ქვეყნის არეულობა ნებას არ მაძლევს ჩემი კათოლიკობა გამოვაცხადო. ჩემს ვალდებულებად ვცან ეს ვაუწყო თქვენს ხელმწიფობას, რადგან თუ თქვენის გულ-მოწყალებით აქეთ მუფთ კათოლიკე ეკლესიის ერთგულ შეიღებს მფარველობა აღმოუჩინეთ, მაშინ ვინც გაყრილნი არიან, წახალისდებიან და კათოლიკე შეშმარიტებას

<sup>1</sup> პორტა – ამჯერად, სულთნის კარი.

აღიარებენ. ამიტომ დიდად გევედრები და ვითხოვ თქვენს მფარველობას. მაპმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამიტომ ჩვენი ხარისხოვან პირთაგანი გამოვგზავნეთ...“<sup>1</sup>

ამგვარად, ვახტანგ მეფე იმპერატორ კარლს მთელი ქართლის სამეფოს გაკათოლიკების პერსპექტივას უსახავს, იმ შემთხვევაში, თუ ავსტრია ქართლის სამეფოს მუსლიმთაგან დაიცავს. „ამიტომ უმორჩილესად გევედრებით თქვენს დიდ მფარველობას“ – წერდა ვახტანგი<sup>2</sup>. მაგრამ ავსტრიის საიმპერატორო კარი გულგრილი დარჩა როგორც საქართველოში მცხოვრები კათოლიკების, ისე მართლმადიდებლების მიმართ. რწმენის საკითხი, როგორც ავსტრიელი, ისე ქართველი პოლიტიკოსებისათვის, საჭიროების მიხედვით, ერთ-ერთი საშუალება იყო საგარეო პოლიტიკაში თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად.

შექმნილი ვითარებით შემფოთებულმა ვახტანგმა იმავე რიცხვში (29 სექტემბერი) საგანგებო წერილი გაუგზავნა, აგრეთვე, რომის პაპ ინოკენტი XIII-ეს (1721-1724) და სოხოვა შუამდგომლობა ოსმალეთის მთავრობასთან, რათა თავიდან აეცილებინა თურქების შემოსევა. რადგან მასშიც გამეორებულია ზემოთ ციტირებულ წერილებში დახატული სურათი ქართლის გაჭირვებულ მდგომარეობას და ოსმალების თავდასხმის საშიშროებას რომ ასახავს, ამიტომ მის სრულ გადმოცემას მოგერიდები და მხოლოდ იმ ადგილს გადმოვცემ სადაც პვლავ კათოლიკეთა შესახებაა ლაპარაკი: „თუმცა ეს ერი უდირსია თქვენი უწმინდესობის მფარველობისა, რადგან

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 340-341; ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერკალე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), გვ. 78-79.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერკალე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), გვ. 78-79.

მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმინდა საფ-დარსა. გარნა მე გაირდები ვცხოვრობდე თქვენი მორჩილების ქვეშ წმიდა კათოლიკე ხარწმუნოების აღმასრულებელი, როგ-ორც ჩემი წინაპარი: ხამწუხაროდ, აქაური უბედურება და ხალხის დალატი ნებას არ მაძლევს ცხადად აღვიარო კათოლიკობა. ვინაიდან მამის სიკეთე დიდად შეეწევა ჭეშმარიტების ერთობაში განყოილ შვილთა შემოყვანასა, კვლავ პყავთ იმ კათოლიკეთათვისაც, რომლებიც ბლომად არიან ამ ჩენებისამთავრობის. ჩემ მოვალეობად ჩავრაცხე, რომ გაცნობოთ ეს გარემოება...<sup>4</sup> რადგან ვახტანგისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ავსტრია შორს იყო საქართველოს დახმარების სურვილის-გან, ამის შემდეგ მას აღარ უცდია ამ სახელმწიფოსთან რაიმე კავშირის ძებნა.

## გახტანგ VI-ის ურთიერთობა საფრანგეთთან<sup>2</sup>

საქართველო-საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობას ერთი შეხედვით ხანმოკლე ისტორია აქვს. მაგრამ არა-პირდაპირი ცნობები საგულისხმოს ხდის, რომ ეს ურთიერთობა უფრო ხანგრძლივი იყო, ყოველ შემთხვევაში, XVII ს. დასაწყისიდან XVIII ს. 10-იანი წლების შუა ხანებამდე მაინც. იგი დაკავშირებული იყო საფრანგეთის ინტერესთან დაემ-

<sup>1</sup> თამარა შვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 340.

<sup>2</sup> ვახტანგ VI-ის ევოპასთან დიპლომატიური ურთიერთობის ამსახ-ველი საკმაოდ უხვი დოკუმენტური და ნარატიული ცნობები და-კავშირებულია სულხან-საბა ორბელიანის საფრანგათსა და იტა-ლიაში მოზაურობასთან. ეს ცნობები ხელმისაწვდომი გახადეს მ. ბროსემ, მ. თამარა შვილმა, ი. ტაბაღუამ და სხვებმა. ისინი სა-ჭიროების მიხედვით გამოიყენე როდესაც ვიხილავდი სულხან-საბას რწმუნისა და ევროპაში მისი გამგზავრების საკითხებს.

ყარებინა სავაჭრო ურთიერთობა ირანთან და მიზანშეწონილად მიაჩნდა გამოყენებინა საქრთველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგრამარეობა თავისი ეკონომიკური ინტერესებისათვის.

საფრანგეთის ხელისუფლება მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს შესახებ მოიპოვებდა ირანში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების, ვაჭარ-მოგზაურთა საშუალებით და ცდილობდა გაჭირვებაში მყოფი ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სამეფო გადაექცია თავისი ნების აღმსრულებლად ირანთან ურთიერთობაში. ქართველ პოლიტიკოსებს, ბუნებრივია, ექნებოდათ სურვილი საფრანგეთის დაინტერესება საქართველოთი თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის მიესადაგებინათ. ის რაც უან შარდენმა აღნიშნა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის მნიშვნელობაზე, ქართველმა პოლიტკოსებმა კიდევ უფრო გააქტიურეს ვახტანგ VI-ის მეთაურობით.

შემთხვევითი არ იყო ვახტანგ VI-ის დაინტერესება საფრანგეთით. ქართლის მეფისათვის ცნობილი იქნებოდა საფრანგეთის მთავრობის მისწრაფება აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გაფართოებისაკენ, კერძოდ, საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობა ირანთან, რომელიც პოლიტიკურ საკითხებს გვერდს უვლიდა და განსაკუთრებით მახვილდებოდა ყურადღება სავაჭრო-ეკონომიკურ და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობისათვის კარგი პირობების შექმნის პირობებზე.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან საფრანგეთ-ირანის ურთიერთობა თანდათან ინტენსიური ხდება. 1703-1704 წლებში ირანის შაჰი პუსეინი საფრანგეთის მეფეს თხოვდა სავაჭრო ხელშეკრულების დადებას<sup>1</sup>. მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც მომხდება იყო ირანთან ხელშეკრულების დადებისა,

<sup>1</sup> Зоненштадт-Пискарский А. А., Международные торговые договоры Персии, Москва, 1931, с. 50.

ვერ შეძლო მოლაპარაკების გაგრძელება ესპანეთთან დაწყებული სამხედრო დაპირისპირების გამო.

1705 წელს ლუი XIV-მ ირანში ელჩად გაგზავნა ხმელთაშუა ზღვის კომპანიის ყოფილი დირექტორის ძმა ჟანბატისტის ფაბრი, რომელსაც დაავალა შეესწავლა საფრანგეთის საქონლის ირანში შეტანის შესაძლებლობა<sup>1</sup>. ფაბრი მოულოდნელად გარდაიცვალა ერევნში. ელჩობას ახლდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში საქმაოდ ცნობილი ავანტიურისტი ქალბატონი მარი პეტრი, რომელმაც პრეტენზია განაცხადა ელჩობის ხელმძღვანელობაზე. ფაბრის ადგილზე დანიშნულ ლუი მიშელსა და მარი პეტრს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის. მარი პეტრმა ლუი მიშელს ჩაასწრო ისპანში, სადაც იგი კარგად მიიღეს. მან საფრანგეთში დაბრუნებისას, 1707 წელს, საქართველოში გაიარა. მარი პეტრის საქართველოში ყოფნა და მისი კონტაქტები ვახტანგ VI-სთან ამჯერად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას მოჰყვა ქართ-

<sup>1</sup> Lang D. M., *Georgian Relations With France during the reing of Wakhtang VI (1711-24) // Journal of the Roy Asiatik Society, parts 3 and 4, 114-126, Oktober, 1950, p. 116; ლუის დევიდ მ., საქართველოს საფრანგეთის ურთიერთობა ვახტანგ VI-ის (1711-24 წწ.) დროს, დაბეჭდილი „სამეფო სააზიო საზოგადოების უკრნალ აზიატიკში“, ნაწ. 3 და 4 1950 წ. ოქტომბერი, (114-126), გვ. 185; Louis Coquet, Colonel d'E-M. en retraite. *Une ambassade Géorgienne en France au Grand Siecle 1713-1714 Solkan Saba Orbeliani chez Louis XIV // ^Promethee, 1927, Février, №4, pp. 17-25: La Conférence à la Sorbonne, le 26 avril 1925.* ამ ხეტაიის ქართული თარგმანი: ლუი კოექ, გენერალური შტაბის გადამდგარი პოლკოვნიკი: საქართველოს ელჩობა საფრანგეთში დიდ საუკუნეში, 1713-1714 წწ. სულხან-საბა თრბელიანი ლუი XIV-სთან // საქართველოს კვრპისა და ამერიკის სამუცნიურო კლავისთით ინსტიტუტი. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, გ. III, თბილისი, 1996, გვ. 86-96, ვრანგული ტექსტი, გვ. 96-105; ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVII საუკუნის I მეოთხედი), გვ. 67-73.*

ლის სამფო კარსა და საფრანგეთის მაღალი მდგომარეობის პირებს შორის მიმოწერა<sup>1</sup>.

ფაბრის ნაცვლად ირანში გაიგზავნა კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის საელჩოს მეორე მდივანი ლუი მიშელი, რომელიც ისპაანში ჩავიდა 1708 წელს და დადო ხელშეკრულება ირანთან, რომელიც არეგულირებდა ორი ქვეყნის ურთიერთობას. ეს ხელშეკრულება – „კაპიტულაციები საფრანგეთსა და ირანს შორის“, შედგებოდა 31 მუხლისაგან<sup>2</sup>. მათში ლაპარაკია ირანის იმპერიის ტერიტორიაზე ფრანგი ვაჭრებისა და მათი ქონების ცენტრალური და აღგილობრივი ხელისუფლების მიერ დაცვისა და კომერციული საქმიანობისთვის ხელის შეწყობაზე.

კაპიტულაციებში საქართველო, კონკრეტულად თბილისი, ნახევებია მხოლოდ 26-ე მუხლში, იმპერიის სხვა ქალაქებს შორის. დასახელებულ მუხლში ლაპარაკია კათოლიკური ორდენების ბერთა დაცვაზე იმპერიის ტერიტორიაზე არსებუ-

<sup>1</sup> Brosset M., *Traduction de la letter du Prince de Géorgie, écrite ou roi de France // Nouveau Journal Asiatique ou Recueil de Mémoires, d'Extraits et de Notices, t. IX, Paris, 1832, pp. 213-215; „ციხაარი“, 1859, ფ. I, გვ. 151-153; „დროება“, 1876, №43; გაბაშვილი ვ., ხულხან-ხაბა თრბელიანი, 1658-1958 // ხაიუბილეთ კრებული, თბილისი, 1959, გვ. 67; ტაბაღუა ი., ხაქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობა. თბილისი, 1972, გვ. 67-78; ხაბუთები ხაქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I // შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბაღუამ, თბილისი, 1975, გვ. 23-52; ახალაძე ნ., ირან-ხაფრანგეთის ურთიერთობა და ხაქართველო XVIII ხაუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1990, გვ. 14-22; პაპაშვილი მ., მადმუაზელ მარტი პეტერები დაუ XIV-ის თვითმარჯვია ლენი ირანში და მისი ხელშეკრული ხაქართველოში // თხუ ზუგდიდის ფილიალი, შრომები, I, თბილისი, 2002, გვ. 85-98.*

<sup>2</sup> ხაბუთები ხაქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწ. I, გვ. 59-75.

ლი სხვა კონფესიების მიმდევარი მოსახლეობის ხელყოფისაგან<sup>1</sup>.

ეს იქმ ირან-საფრანგეთის სახელმწიფოებს შორის პირველი საგაჭრო კონვენცია. წინა ხელშეკრულებები იდებოდა მხლოდ დაინტერესებული კომპანიების მიერ შაჰის კართან<sup>2</sup>.

1713 წლის 25 აპრილს ვახტანგ მეფე ირანში გადასცეს საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის წერილი, რომლის მოკლე შინაარსის შესახებ ვიგებთ მის მიერ 1714 წლის 7 აპრილს იმავე შეფესთან გაგზავნილი წერილიდან: „... წერილი, რომლითაც თქვენმა უდიდებულებებამ ჩვენ აატივი დაგვდო, ჩაგვბარდა 25 პრილს. მან ისეთი სიხარული მოგვიტანა, რომლის გამოხატვა არ შეგვიძლია წერილით... ეპისკოპოსმა დე გალიე ზონგა, რომელმაც მოწყალებით მისწერა ჩვენს შესახებ თქვენს უდიდებულებებას, ვერ იგრძნო ჩვენს სამფლობელოებში უოველივე ის, რის გაკეთებაც გვხურს და, რასაც გავაკეთებთ უოველოვის, როცა ამის შემთხვევა გვექნება, რათა დავუმტკიცოთ თქვენს უდიდებულებებას ჩვენი უმდაბლესი მაღლობა; გვხურს, რომ თქვენ ამაში კარგად იყოთ დარწმუნებული; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩავვარდით ურწმუნოთ ხელში, რომლებმაც მოატყევს ჩვენი წინამორბედნი და ვართ აქ დახმარებას მოკლებულნი... ჩემი შეილები და ძმები, რომლებიც ჩემს მაგივრად განაგებენ ჩემს სამფლობელოებს, გააკეთებენ ზუსტად და სიყვარულით აღსავს გულით უოველივე იმას, რასაც ჩვენ მათ ვუბრძანებთ თქვენი უდიდებულებების სამხახურისათვის, როდესაც თქვენ ამას გვაცნობეთ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ოქვე, გვ. 72.

<sup>2</sup> Herbette M., *Une Ambassade persane sour Louis XIV*, Paris, 1907, p. 250; პაპა შეიღო მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 31.

<sup>3</sup> ხაბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 193-194.

სამწუხაროდ, არ ვიცით ზუსტად რას სოხოვდა საფრანგეთის მეფე ქართლის მეფეს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის წერილში იყო თხოვნა კათოლიკე მისიონერების და ფრანგი გაჭარ-მოგზაურობისადმი კარგი მოპყრობის შესახებ საქართველოში. ამ პირობის დაყენება სავარაუდოა იმიტომ, რომ ფრანგ ვაჭრებს ასეთი პრობლემები ჰქონდათ ირანში.

1713 წლის 28 ნოემბერს საფრანგეთის მინისტრმა წერილი გაუგზავნა ისპაანში ვახტანგ მეფეს, რომელიც თარგმნა ერთ-ერთმა კაპუცინმა, სახელად მურმორომ. ამის შესახებ ლაპარაკია იმავე კაპუცინის მიერ ვახტანგის ბრძანებით საფრანგეთის მინისტრისადმი გაგზავნილ 1714 წლის 19 ოქტომბერ-ვლის წერლში. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს მეფე არც აქამდე აკლებდა კაპუცინებს ყურადღებას და ასე მოეპყრობა ამის შემდეგაც<sup>1</sup>.

იმავე კაპუცინის ხელით დაწერილი სხვა წერილით ვახტანგ მეფე მადლობას უხდის საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში დეზალორს პარიზში მიმავალი სულხან-საბას კარგი მიღების გამო<sup>2</sup>.

ირანში დაკავებული ვახტანგ მეფის წონა და მნიშვნელობა რომისა და პარიზის ახლოადმოსავლურ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია პაპი კლიმენტი XI-ის დუი XIV-ისათვის გაგზავნილ წერილში (1714 წ. 26 ივლისი). პაპი მეფეს აცნობებს იმის შესახებ, როგორ წარსდაგა მის წინაშე სულხან-საბა თრბელიანი და მასთან საუბარში დარწმუნდა, რომ საქართველოს შეუძლია დიდი სარგებელი მოუტანოს საერთო საქმეს. როგორც პაპი წერდა, ვახტანგ მეფეს, რომელიც ამჟამად ირანის მეფის სასახლეშია დაკავებული, ლუიმ გაათავისუფლოს და, როდესაც იგი თავის ძალაუფლებაში აღსდგება, შესაძლებლობა მიეცემა საქართველო, რომელსაც მაპმადიან-

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 316.

<sup>2</sup> იქცვ.

ურ ურწმუნოებაში ჩავარდნა ელის, გადაარჩინოს და, როგორც ვახტანგ მეფე აცხადებს, აპირებს კათოლიკურ სარწმუნოებაში გადასვლას. ამიტომ პაპი საფრანგეთის მეფეს სთხოვს და ემუდარება ყოველგვარი შესაძლებელი სახსრებით, ღონისძიებითა და საშუალებებით, რასაც ყველაზე საუკუთხესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევს, საქართველოს მეფე უსწრაფესად გაათავისუფლებინოს<sup>1</sup>.

როგორც შემდეგ განხილული მიწერ-მოწერიდანაც ნათლად გამოჩნდება, პარიზსა და რომში სერიოზული ინტერესი არსებობდა ვახტანგ მეფის ყიზილბაშთა ხელიდან დახსნის, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მიზნებისა და საფრანგეთის ირანთან ვაჭრობაში მისი გამოყენებისათვის. მაგრამ რაიმე სერიზული ნაბიჯი არ გადაიდგა ამ განზრახვის რეალიზაციისათვის. მოცემულ პერიოდში საფრანგეთი დიდად იყო დაკავებული ევროპელ მეზობლებთან დიპლომატიური და სამხედრო საქმეებით. საფრანგეთმა ევროპაში პეგამონობის მოპოვებისათვის დაწყებულ ხანგრძლივ ე.წ. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში (1700-1714), წარმატებას ვერ მიაღწია. იწყება მისი თანდათანობით დაქვეითება.

საფრანგეთისა და რომის უმოქმედობამ საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ვახტანგ VI-ის პირადი ცხოვრებისა და ქართლის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტის შეცვლაზე.

### გახტანგ VI-ის ურთიერთობა რუსეთთან

XV ს. 80-იანი წლებიდან ქართლისა და კახეთის მეფეები ცდილობდნენ რუსეთთან დაემყარებინათ ისეთი ურთიერთობა, რომ ამ პერსპექტიულ სახელმწიფოს დაეცვა ერთმორწმუნე ქართული სამეფოები. ადრე უკვე აღვნიშნე, რომ ქარ-

<sup>1</sup> ხაბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 322-323. იგივე წერილი იხ. იქვე, გვ. 326-328.

თლის და კახეთის სამეფოებს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტირები პქონდათ – ქართლი იხრებოდა კათოლიკური ქვეყნებისაკენ, კახეთი კი – მართლმადიდებელი რუსეთისკენ. XVII საუკუნის დასასრულიდან და XVIII საუკუნეში ქართლის სამეფოც უმეტესად რუსეთისკენ იხრებოდა, მაგრამ იმავე დროს ზოგჯერ ზონდირებას ახდენდა უვროპის პოლიტიკურ წრეებში.

\*\*\*

XVII ს. დასასრულიდან XVIII ს. პირველ მეოთხედამდე, უფრო ზუსტად პეტრე I-ის მეფობის დროს რუსეთის სახელმწიფო იწყებს მანამადე არნახულ გაძლიერებას და, როგორც ხშირად რუსი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ და როგორც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსიც იმეორებდა, რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა გასასვლელების მოპოვებას თბილ ზღვებზე – მხედველობაში პქონდათ შავი და კასპიის ზღვები. მაგრამ რუსეთი დასახული ამოცანის გადაწყვეტას ვერ შესძლებდა კავკასიაში გაბატონების გარეშე. თითქოს შეიქმნა ისეთი საერთაშორისო სიტუაცია, რომ რუსეთი თავისი ეკონომიკური და სამხედრო რესურსების მობილიზაციის შედეგად წარმატებას მიაღწევდა.

ოსმალეთი სუსტდებოდა თავის მთავარ სამხედრო მოწინააღმდეგებთან მიმართებაშიც. არახელსაყრელი შეიქმნა ოსმალეთისათვის საერთაშორისო ვითარება. 1683 წელს ვენასთან დამარცხებამ დასასრულა თურქების წინსვლა ევროპაში. ამის შემდეგ ის ერთმანეთის მიყოლებით პკარგავდა დაპყრობილ ტერიტორიებს.

1684 წელს ოსმალეთის იმპერიასთან საბრძოლველად შეიქმნა „წმინდა ლიგა“, რომელშიც შევიდა ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია, 1686 წელს ლიგას შეუერთდა რუსეთი. ლიგის ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ გახანგრძლივდა. ამ პერიოდის საბრძოლო მოქმედებებიდან მნიშვნელოვანი იყო პეტრე

I-ის ლაშქრობები აზოვისათვის 1695-1696 წლებში, შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის.

ოსმალეთს დიდ დახმარებას უწევდნენ ინგლისისა და პოლანდის დიპლომატები. მათ ინტერესებში არ იყო რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება. როგორც რუსი ელჩი პეტრე I-ს სწორდა, ინგლისისა და პოლანდის ელჩებს ერველთვის ოსმალეთის მხარი ეჭირათ, რადგან უძველესი დროიდან მასთან პქონდათ ფართო ვაჭრობა, შენ რომ გემბის შენება გააჩადე და შენი გემბი აზოვთან დაცურავენ, შურთ, რადგან თავიანთი საზღვაო ვაჭრობის შეფერხებისა ეშნიათო<sup>1</sup>. 1698 წლის ოქტომბერში კარლოვიცაში (სლოვენია) შეიკრიბა კონგრესი ოსმალეთსა და „წმინდა ლიგას“ შორის ზავის დასადებად. 1699 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის შეწყდა ომი და ორი წლით დაიდო დროებითი ზავი, რომლის ძალითაც აზოვი დარჩა რუსეთის მფლობელობაში.

\*\*\*

მოსკოვის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს, ქართველი პოლიტიკოსები ხახს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მათ რუსეთის მფარველობა სურდათ. მის მფარველობაში შესვლა მათ ესმოდათ ისე, რომ ხარჯის სანაცვლოდ მიიღებდნენ სამხედრო აღჭურვილობას, რუსი სამხედრო სპეციალისტები მოამზადებდნენ ქართველ სამხედრო სპეციალისტებს, საჭიროებისდა მიხედვით მიიღებდნენ სუბსიდიებს შეიარაღებული ძალების განსამტკიცებლად და თავიანთი ძალით შეძლებდნენ მტრებისგან თავდაცვას.

როგორც ზ. ავალიშვილი წერდა, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკოსების მიერ პროტექტორატის მოპოვებისათვის ზრუნვა იყო ბუნებრივი შედეგი იმ განწყობილებისა,

<sup>1</sup> Соловьев С., История России, кн. VII, т. 14, Москва, 1965, с. 611.

რომ თუნდაც არასრული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ირანის ან ოსმალეთის მიერ თავსმოხვეული ვასალური დამოკიდებულება იყო ფორმა, რომელსაც საქართველო სიხარულით მიიღებდა ერთმორწმუნე სახელმწიფოსგან. თითქმის ერთნაირი იყო საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროს პოზიცია, უკანასკნელ მომენტამდე, ვიდრე რუსეთი ბოლოს მოუღებდა მათ დამოუკიდებლობას<sup>1</sup>.

მოცემულ პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესასწავლად მნიშვნელოვანია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II ნოტარის ცნობები, რომელიც გვიჩვენებს მის დაინტერესებას რუსეთის შავი ზღვის კამპანიაში ჩაება საქართველო. მისი ეპისტოლებიდან კარგად ჩანს, რომ დოსითეოსი იყო ის პოლიტიკოსი რომლისთვისაც მიზანი ამართლებდა საშუალებას.

მართლმადიდებლური სახელმწიფოების სათავეში, დოსითეოსის აზრით, უნდა ყოფილიყო მისი დროის ყველაზე ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფო – რუსეთი, რომლის საიდუმლო აგენტიც თვითონ იყო თითქმის 40 წლის განმავლობაში. ის თავისი ინფორმატორების საშუალებით აგროვებდა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ცნობებს და გადასცემდა რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლიში ან აგზავნიდა პირდაპირ მოსკოვში. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს დოსითეოსი რუსეთის უბრალო ინფორმატორი იყო. მოსკოვში გაგზავნილ ცნობებს ყოველთვის ახლდა მისი განმარტებანი და მოსაზრებანი, ის მთავრობას აძლევდა რჩევებს და მითითებებს, ზოგჯერ ძალიან დაჟინებით ცდილობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკა წარემართა იმ მიმართულებით, რომელიც მას სწორად მიაჩნდა<sup>2</sup>. დოსითეოსი ცდილობდა რუსეთის

<sup>1</sup> Авалов З., *Присоединение Грузии к России*, с. 50.

<sup>2</sup> Каптерев Н. Ф., *Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.)*, СПб., 1896, с. 71.

სამხედრო ექსპანსია წარემართა სამხერეთით – შავი ზღვის-პირეთისა და ბალკანეთისაკენ. ის რუსეთის მთავრობას განაწყობდა დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგაც, შემუშავებული პქონდა რუსეთის ომის გეგმა ოსმალეთის წინააღმდეგ და ა.შ. ყოველივე ამის გამო იყო, რომ პეტრე I თავის სიგელებში დოსითეოსს მოიხსენიებდა როგორც „საჭ-ვარელ მამას და ჩვენს მწერებს“<sup>1</sup>.

იერუსალიმის პატრიარქი ცდილობდა რუსეთის მთავრობა და ეინტერესებინა ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად შემუშავებული თავისი გეგმით. ის ითვალისწინებდა რუსეთის სწრაფვას შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისაკენ და მევეს ურჩევდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი ყირიმზე შეტევით დაეწყო. 1704 წლის 20 ივლისის ეპისტოლეთი დოსითეოსი მოსკოვის ხელმწიფეს პეტრე I-ს აცნობებდა ოსმალეთის საიდუმლო მზადებაზე ყირიმში ომის დასაწყებად რუსეთის წინააღმდეგ და ურჩევდა სასწრაფოდ დაედო ზავი შვეციასთან, რათა მთელი სამხედრო ძალა წარემართა ოსმალეთის წინააღმდეგ. იმავე ეპისტოლეთი დოსითეროსი პეტრეს აცნობებდა რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომში საქართველოს განსაპუთოებულ მნიშვნელობაზე რუსეთისათვის, კერძოდ, ის, რომ საქართველოში არის დიდი და მყუდრო ნავსაყუდლები. იქ დვთისმოში და ძლიერი ქრისტიანები ცხოვრობენ. თურქები მათ ეჭვის თვალით უყურებენ. თუ შენი ძლიერი მეუფება თურქებს შეუტევს, ქართველები დიდად დაგეხმარებიან, შენს გემებსაც მოხერხებული ნავსადგომები ექნება. თურქებმა სხვადასხვა მიზეზით მათი მრავალი სახელგანთქმული მონასტერი და ეკლესია დაანგრიეს, მრავალი ქალაქი დაიპყრეს და მრავალი ქრისტიანი დაატყვევეს. დიდ ნაგმისად-

<sup>1</sup> Каптерев Н.Ф., Характер отношений России православному Востоку в XVI-XVII столетиях, с. 304.

გომში ააგეს ქალაქი ბათუმი (ბატონა) და დიდალი სურსათ-სანოვაგეც მოიმარაგეს<sup>1</sup>.

დოსითეოსის ეს გეგმა არ იყო ორიგინალური. შავ ზღვაზე რუსეთის გასვლის და ოსმალეთისათვის ხიფათის შექმნის გეგმა საქართველოში კარგა ხნის წინათ არსებობდა. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ რუსეთ-ოსმალეთს შორის წინააღმდეგობა გამოეყენებინათ და რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზეც ზემოქმედება მოქმდინათ. ფრიად საინტერესოა 1651 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული სიგელი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა რუსეთის ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძისადმი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს თეიმურაზ I-თან შეთანხმებით. იმერეთის მეფეს ძლიერი მოწინააღმდეგებ პყავდა ლევან II დადიანის სახით. ამიტომ რუსთ ხელმწიფეს სთხოვა, რომ „ამ ურჯულოხა და ქრისტიანობის მტკრს დადიანზე“ მოქმდაროს. დადიანის დაძლევა იმის გამოც ჭირს, რომ „ქართლის ხანის (როსტომის – ე.მ.) მოყვარე არის და უკენეს ელჩისა და მოხაკითხავს უგზავნის და მის ჯამაგირს სჭამს. ყოზილია მის ზურგით არს, თვარად მარტო ამას (ლე-

<sup>1</sup> «Но и понеже в грузинской земле суть пристани великия и добрыя, и суть и христиане богообоязливые и сильные, и подзывают их турки, да не како великое твое царствие, наступив на них, будет иметь великую помочь от грузинцов, и судна ваши будут имети пристани довольныя ко упокоению нужды; того ради послали с иными причинами и обрушили многия и достославныя монастыри и церкви их, попленив многия грады, а особливо множество души христианских. Поставили купно и город на большой пристани, которая называется Батона, и иные припасы многия суть, которых подробно написати невозможно». Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.), СПб., 1896, с. 50.

ვან დადიანს – ემ)... რაც გვინდოდა, იმას ვუზამდით. თუ ამ-დენად შეგვიძრალებს ხელმწიფე რომ მოინდომებს, ქართლის ბრძანების მეტი არა დაეხარჯება რა, და შავ ზღვას დაიჭირავს და სტამბოლს საქმეს ამისის დაჭირვით რაც უნდა ისე გაირიგებს”<sup>1</sup>.

ქართველი მუფები ითვალისწინებდნენ მოსკოვის ხელი-სუფალთა განსაკუთრებულ დაინტერესების ქართული სიწმინდეებით და თავიანთ სიგელში არც იმის აღნიშვნა დაავიწყდათ, რომ თუ რუსთა ჯარი ოდიშში შევიდოდა, „მას იძღენი პატიოსანი ნაწილი და ხატი და ჯვარი დარჩების, რომ პელ-მწიფესაც გაუქვირდებს, და ამოს”<sup>2</sup>.

პატრიარქი დოსითეოსი, როგორც ითქვა, კარგად იცნობდა საქართველოს მდგომარეობას და ცდილობდა პეტრე პირველისათვის ჩაეგონებინა, რომ ოსმალეთის სახელმწიფოსთან ომის დროს შეიძლებოდა საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია რუსეთისათვის. მან თავისი მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე, ჩამოაყალიბა 1705 წლის იანვარში პეტრესთვის გაგზავნილ წერილში: მას განზრახული ჰქონდა ჯერ წერილი გაეგზავნა საქართველოში, შემდეგ კი, მცირე ხანში, წმინდა პასხამდე, თავისი კაციც გაეგზავნა. ამ გადაწყვეტილების განხორციელებას მას უადვილებდა ის გარემოებანი, რომ ქართველი მეფე-მთავრები მისი ნაცნობები და მეგობრები იყვნენ, გამსჭვალულნი კეთილად და სიყვარულით პატრიარქისა და რუსეთის ხელმწიფის მიმართ. მაგრამ დოსითეოსის აზრით, არსებობდა ერთი პრობლემა: ქართველებმა არ იცოდნენ რუსული, რათა ქმედითი დახმარების შესაძლებლობა ჰქონებოდათ. მან გამოსავალი ხახა შემდეგში: მისი აზრით, ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ რუსეთში მცხოვრებ არჩილ II-ს და შვედების ტყვეობაში მყოფ

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1639 г. по 1770 г., с. 67.

<sup>2</sup> Тамже.

ალექსანდრე ბატონიშვილს. ჩანს დოსითეოსი იმედოვნებდა, რომ ვიდრე რუსეთი სამხედრო ოპერაციებს დაიწყებდა ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მანამდე პეტრე შეძლებდა ალექსანდრე ბატონიშვილის დახსნას შვედების ტყვეობიდან. ეგეც არ იყოს, არჩილს ჰყავდა რუსულის მცოდნე მრავალი საერო და სასულიერო ადამინები, რომელთაგან ზოგიერთი თარჯიმნად წავიდოდა<sup>1</sup>.

\*\*\*

XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში კავკასიაში დიდი სახელმწიფოების – რუსეთის, ოსმალეთის და ირანის ინტერესები გადაიკვეთა, რაც ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებით. რუსეთის მიერ ჯერ შავ ზღვაში, შემდეგ კი კასპიის ზღვაში თავისი ინტერესების დეკლარირებას ახდენდა. ბუნებრივია, რუსეთის შესვლა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სივრცეში მიუღებელი იყო ამ რეგიონის მთავარი სახელმწიფოების – ოსმალეთისა და ირანისათვის. ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკოსებმა იგრძნეს თუ არა ერთმორწმუნე ძლიერი სახელმწიფოს გამოჩენა კავკასიის პო-

<sup>1</sup> «О грузинцах добрый пристойный совет есть, и мы будем писати туды и пошли и человека ныне вскоре по Святой Пасце, и скажем и действовати будем, Богу благоволяющу, нуждная потому, что тамошние начальники суть наши знакомцы и друзья, и имеют к нам склонность, благоговение и любовь. Однакож сыскати тамо людей, которые б знали по-русски, невозможно, только как приидет тот благословенный человек тамо, вельможный господарь грузинский, господин Арчил, имеет многих, которые знают по-русски и мирских и старцов, и пойдут вкупе некоторые из их переводчики, наипаче буде поедет вместе господин Арчил, или сын его господин Александру, имут утвердити большая». Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством, с. 54.

ლიტიკურ ასპარეზზე, მაშინვე სცადეს შეცვლილი ვითარების გამოყენება. რამდენადაც რუსეთმა პიველად სცადა შავ ზღვაში თავისი აღილის მოპოვება, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებმა, თავის მხრივ, სცადეს ამ ფაქტორის გამოყენება თურქების ძალადობისაგან თავის დასახესნელად, რის შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა. მათი პოლიტიკური მესვეურები ხედავდნენ, რომ დასახელებული სახელმწიფოებიდან ყველაზე დახუსტებული ირანი იყო. ირან-ოსამალეთის დაპირისპირების მთავარ ობიექტს კასპიისპირეთის აბრეშუმით მდიდარი სახანოები წარმოადგენდნენ, სადაც ოსმალეთს შედარებით ძლიერი პოზიციები ეკავა და მიაჩნდა, რომ შავ და კასპიის ზღვებზე ერთპიროვნული ბატონობის უფლება ჰქონდა. ოსმალეთის მდგომარეობას ამყარებდა ისიც, რომ დაღესტანისა და აზერბაიჯანის ანტიირანული მოძრაობის ხელმძღვანელები აშკარად ოსმალური ორიენტაციისა იყვნენ. სულთნის კარს ყაბარდოს ერთგულების იმედიც ჰქონდა, რომლის ტერიტორიაზე გავლითაც შეიძლებოდა ყირიმის ხანის ჯარის გადმოსვლა ოსმალების დასახმარებლად.

რუსეთისა და ოსმალეთის ანტიირანული მოქმედება XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, შეიძლება ითქვას, წამახალისებული იყო კავკასიის ხალხების, საყოველთაო აჯანყებისათვისა და ირანის უდლისგან განთავისუფლებისათვის. ახასიათებდა რა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ, პოლონელი მისიონერი იან კრუშინსკი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ისპანის კათოლიკურ მისიაში, აღნიშნავდა, რომ ისინი ლოცულობდნენ რათა მოსკოვიტები ჩქარა მოსულიყვნენ და გაეთავისუფლებინათ ირანელთა უდლის-გან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Ашрафян К. З., Падение державы Сефевидов // Очерки по новой истории стран Среднего Востока. Москва, 1951, с. 202.

კავკასიის გარდა ირანს აუჯანყდა ქურთისტანი, ავღანეთი, ირანის ყურის არაბული ქვეყნები. ამას ერთვოდა ანტიფეოდალური აჯანყებები სეფევიდების წინააღმდეგ თვით ირანში. ავღანელებისა და ოსმალების მიერ ოკუპირებული იყო ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ოსმალეთის იმპერიამ არ დააყოვნა, ისარგებლა თავისი ძველი მეტოქის დასუსტებით და კავკასია დაიპყრო. კავკასიაში თხმალეთის აქტივიზაციის პირობებში შეიქმნა მის მიერ დადეხეტნის სრული ოკუპაციის საშიშროება, რამაც შეაშფოთა რუსეთი. თუ არ მოხდებოდა ოსმალეთის შეჩერება, 1. ის მოიპოვებდა მოხერხებულ პლაცდარმს რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში შესაჭრელად; 2. ოსმალეთის მიერ დასავლეთი კასპიისპირეთის სანაპირო ხიფათს შეუქმნიდა კასპიის ჩრდილო სანაპიროს და ზღვასთან დამაკავშირებელ რუსეთის ქალაქ ასტრახანს; 3. ოსმალეთის წარმატება გამოიწვევდა პროტურულული განწყობილი ვოლგისპირეთის მოსახლეობის ანტირუსული განწყობილებისა და მოქმედების გააქტიურებას.

რუსეთსაც ჰყავდა თავისი მომხრეები ამიერკავკასიაში ქართველებისა და სომხების სახით და ყოველივე ამას რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო მეტიც, რუსეთი თუ მოხერხებულად გამოიყენებდა მასზე ორიენტირებულ ძალებს, ის ოსმალეთთან და ირანთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მაგრამ რუსეთმა ცოტა ხნის წინათ დაასრულა ხანგრძლივი ომი შვეციასთან ბალტიისპირეთისათვის, ამდენად ის არ იყო მზად მაშინვე დაეწყო ფართომასშტაბიანი ომი ოსმალეთთან.

რუსეთს უკვე დიდი ხანია ჰქონდა ირანთან ვაჭრობის ინტერესი, რომელთან მისვლა უველაზე მოხერხებულად კასპიის ზღვით შეეძლო. ჯერ კიდევ 1653 წელს გაიგზავნა ელჩობა შახის მთავრობასთან ვაჭრობის საკითხების მოსაგვარებლად.

ირანთან სავაჭრო ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა XVIII საუ-

კუნის დასაწყისიდან, პეტრე I-ს მეფობის დროს მოიპოვა<sup>1</sup>. მან თავდაპირველად გადაწყვიტა შეეგრიბათ ცნობები კასპიის-პირეთისა და მისი მიმდებარე მიწების შესახებ, „იმ სასარგებლო განზრახვით, ომ თავისი ხახელმწიფოს ხაზღვრების უშიშროება უზრუნველეყო“<sup>2</sup>.

რუსეთის მრეწველობა განიცდიდა ზოგიერთი ისეთი ნედლეულის ნაკლებობას, რომელიც ირანის კასპიისპირა პროვინციებში მოიპოვებოდა. ტრადიციულად, რუსეთი დაინტერესებული იყო ირანის ვაჭრობა ევროპის ქვეყნებს დაკავშირებოდა ე.წ. ჩრდილოეთის სავაჭრო-სატრანზიტო გზით, რომელიც გადიოდა კასპიის ზღვისა და ვოლგაზე. თუ ეს განხორციელდებოდა, მაშინ რუსეთი გადაიქცეოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობაში შუამავლად. სავაჭრო გზის რუსეთისათვის სასარგებლოდ გადანაცვლებას სავაჭრო-ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. სავაჭრო-სატრანზიტო გზის ჩრდილოეთისკენ გადანაცვლება გამოიწვევდა რუსეთის კონკურენტი ოსმალეთის ეკონომიკურ და, შესაბამისად, სამხედრო დასუსტებასაც. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამ მხრივ განვითარების საქმეში შეეძლოთ დიდი როლი ეთამაშათ ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლური და მჩაგვრელური პოლიტიკით შეწუხებულ ამიერკავკასიის ხალხებს. მათთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად პეტრე I-ს განზრახული ჰქონდა მტკვრის კასპიის ზღვასთან შესართავთან დაეთვისებინა სავაჭრო ქალაქი, სადაც კონცენტრირებული იქნებოდა ქართველების, სომხებისა და ირანელების ვაჭრობა. ეს ქალაქი დაუკავშირდებოდა ასტრახანს. პეტრე I

<sup>1</sup> Куканова Н. Г., *Русско-иранские торговые отношения в конце XVII – начале XVIII в.* // Исторические записки, т. 57, Москва, 1956, с. 232.

<sup>2</sup> Соймонов Ф. И., *Описание Каспийского моря и чиненных на оном российских завоеваний, яко часть истории государя императора Петра Великого, СПб., 1763, с. 4.*

რუსი ვაჭრების გამოკითხვით ცნობებსაც კი აგროვებდა როგორ შეიძლებოდა მის მიერ ჩაფიქრებული ქალაქიდან მდ. მტკვრის საშუალებით დაკავშირებოდა თბილისს, სადაც მოაწყობდა სავაჭრო კონტორას. თბილისიდან შეიძლებოდა მდ. თერგამდე მისვლა და ა.შ. აღნიშნული გზის გავლა-დათვალიერებას რუსთ ხელმწიფე პირადადაც აპირებდა<sup>1</sup>.

რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობის განვითარება სერიოზულად ფერხდებოდა დადგესტანსა და შირვანში, ლეპების მიერ ვაჭრების მარცვის გამო. 1712 წელს პეტრე I-ს ირანის სამინაო საქმეებში ჩარევის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა. აჯანყებულომა ლეპებმა და სხვა მთიელებმა აიღეს და გაძარცვეს ქ. შემახი. ძლიერ დაზარალდა ზოგიერთი რუსი ვაჭარიც.

მანამადე, 1711 წელს პეტრე I-მა სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ირანში გაგზავნა პოდპოლკოვნიკი არტემ ვოლინსკი<sup>2</sup>, რომელსაც ხელმწიფის სახელით შაპისთვის უნდა შეეთავაზებინა დახმარება აჯანყებული ავღანელების წინააღმდებ.

ა. ვოლინსკი პეტრებურგიდან გაემგზავრა 1712 წლის 7 ივნისს და დაბრუნდა 1718 წლის 12 დეკემბერს. მან პეტრეს

---

<sup>1</sup> Соймонов Ф. И., *Описание Каспийского моря и чиненных на оном российских завоеваний, яко часть истории государя императора Петра Великого, трудами Тайного Советника, Губернатора Сибири и Ордена святого Александра Кавалера Федора Ивановича Соймонова, выбранное из журнала Его Превосходительства, в бытность его службы морским Офицером, и с внесенными, где потребно было, дополнениями Академии Наук Конференц-Секретаря, Профессора Истории и Историографии, Г. Ф. Миллера. В Санкт-Петербурге при Императорской Академии Наук 1763 года, с. 99, 107.*

<sup>2</sup> Тамже, с. 32.

მოახსენა, რომ ირანის კასპიისპირა პროვინციები დიდი საში-შროების წინაშე იყო. შეიძლებოდა ისინი ავღანელებს დაეპუროთ. საჭირო იყო რუსეთის საზღვრების დაცვა და მის მი-მდებარე ტერიტორიებზე რუსეთის ჯარის ჩასახლება. ამის განხორციელება კი შეიძლებოდა მხოლოდ კასპიის ზღვის გზით, რომელის სანაპიროები რუსებს ჯერ კიდევ შეუსწავ-ლელი ჰქონდათ. არ იცოდნენ, სად იყო მოხერხებული ნავთ-საფუდლები. საჭირო იყო გაგზავნა საზღვაო ოფიცრების, რო-მლებიც ყველაფერს ზუსტად ჩაინიშნავდნენ და რუსაზე გადაიტანდნენ მარშრუტს ასტრახანიდან დერბენდამდე, გი-ლანამდე, მაზანდარანამდე და ასტრაბადამდე.

1719 წელს შეიქმნა კომისია კაპიტან-ლეიტენანტ კარლ ფონ გერდენის და ლეიტენანტ ფედორ სოიმონოვის ხელმ-ძღვანელობით. კომისიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფედორ სოიმონოვმა დაგვიტოვა საინტერესო ცნობები საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთირთობის პერსპექტივაზე, რომელიც მოცემული იყო კასპიისპირეთის დაპყრობის პეტრე I-ის გეგმაში. ასტრახანიდან ნიზაბატში ჩასული სოიმონოვი გადმოგვცემს რა იქაური იარმარკის შესახებ, სადაც იმუამად ვაჭრობა შემცირებული იყო ამბოხებული ლეკების მიერ ყვე-ლა გზის გადაკეტვის გამო. სოიმონოვის თქმით, ეს იყო მი-ზეზი რომ აქ ვეღარ მოდიოდნენ ქართველი (ქართლელი) და მეგრელი ვაჭრები, რომლებსაც გასაყიდათ მოქანდათ თავი-ანთი საქონელი. ამიტომ იყო, რომ ბაზრობაზე მხოლოდ რუ-სები და ირანელებ ვაჭრობდნენ<sup>1</sup>. ფ. სოიმონოვის მხედვით, მტკვრის სამდინარო გზის გამოყენებით თბილისი უნდა გამხ-დარიყო ამიერკავკასიის ვაჭრობის ცენტრი<sup>2</sup>.

ფ. სოიმონოვი, როგორც პეტრე I-თან ახლოს მდგომი, კო-მერციული საკითხებით დაინტერესებული ადამიანი იმეორებს საიმპერატორო კარის მიერ გავრცელებულ დემაგოგიურ

<sup>1</sup> Там же, с. 38-39.

<sup>2</sup> Там же, с. 107.

ლოზუნგს, ვითომ რუსების სამხედრო ექსპედიცია ამიერკავკასიაში უმთავრეს მიზნად ისახავდა ქრისტიანების გათავისუფლებას მუსლიმანთა უდღისაგან, კერძოდ საქართველოში „ქრისტიანობის აღდგენას“<sup>1</sup>. იმპერატორი საქართველოსი ქრისტიანობის აღდგენაში, ალბათ, გულისხმობდა გამუსლიმანებული ვახტანგ VI-ის და ზოგიერთი ქართველი დიდებულის დაბრუნებას ქრისტიანობაზე, ოსმალეთისა და ირანის სახელმწიფოების ზოგიერთი ქართული მხარის მოსახლეობაში ისლამის გავრცელების მდგომარეობას<sup>2</sup>. როგორც ვნახავთ, ასეთივე ლოზუნგით შემოვიდა რუსეთის ჯარი საქართველოში ეკატერინე II-ის ბრძანებით 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

შაპმა გაგზავნა ელჩობა წინადადებით ორ ქვეყანას შორის დადებულიყო მეგობრული და სავაჭრო ხელშეკრულება. ელჩებმა პეტრე I-ს დიდალი საჩუქრები მიართვეს. პეტრე I-მა შაპს შესთავაზა დახმარება ლეკების წინააღმდეგ. მაან 1715 წელს ირანში გაგზავნა დიპლომატიური მისია პოდპოლკოვნიკ არტემ პეტრეს ძე ვოლინსკის<sup>3</sup> მეთაურობით, რომელსაც

<sup>1</sup> Там же, с. 99.

<sup>2</sup> შდრ. ქორთუა ზ., 1722 წლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები XVIII საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები, III, ისტორიის სერია, თბილისი, 2003, გვ. 136.

<sup>3</sup> არტემ პეტრეს ძე ვოლინსკი (1689—1740), პეტრე I-ის მიერ დაწინაურებული სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, წარმოშობით თავადთა გვარიდან. პეტრემ 1719 წელს ის დანიშნა ასტრახანის პირველ გუბერნაციორად, 1725 წელს ყაზანის გუბერნაციორად. ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1730 წლამდე. 1733 წლიდან იმპერატორ ანა იოანეს ასულმა დანიშნა კაბინეტ-მინისტრად. ინტრიგების შედეგად დააპატიმრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. Сухарева О. В., Кто был кто в России от Петра I до Павла I, Москва, 2005; Орлов А. С., Георгиева Н. Г., Георгиеев В. А., Исторический словарь. 2-е изд. Москва, 2012, с. 92.

უნდა შეეგროვებინა დაწვრილებითი ცნობები შამახაში რუსი ვაჭრების გაძარცვის, ირანის შეიარაღებული ძალების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების, საზღვრებისა და ირანის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. ამგვარი ცნობების შესაგროვებლად ვოლინსკის გააყოლეს რამდენიმე სწავლული.

ა. პ. ვოლინსკი პეტერბურგში დაბრუნდა 1718 წლის 12 დეკემბერს შაპის სიგელით, რომლის მიხედვით ორ ქვეფანას შორის გაფორმდა მეგობრობის და, რუსებისთვის უაღრესად ხელსაყრელი, სავაჭრო ხელშეკრულება. ა. ვოლინსკიმ პეტრეს წარუდინა, აგრეთვე, ირანის დაწვრილებითი აღწერა. იქვე იყო რუსა აღნიშვნებით – სად იყო მოხერხებული გზები და ჯარისათვის საჭირო გასავლელი. ა. პ. ვოლინსკიმ იმპერატორს შესთავაზა კასპიისპირეთის მდიდარი ოლქების დაპყრობა, იმ მოტივით, რომ, თუ რუსეთი არ დაეუფლებოდა დასახელებულ ტერიტორიებს, მას ავდანელები დაიპყრობდნენ და ხიფათი შეექმნებოდა რუსეთის საზღვრებს. ვოლინკის წინადადებით კასპიისპირეთში უნდა დაესახლებინათ რუსეთის ჯარის ნაწილები. პეტრემ მოიწონა ეს პროექტი<sup>1</sup>.

რუსეთის მიზანი იყო დაუფლება კასპიის ზღვის სანაპიროს დადგესტნიდან გილანამდე. ვოლინსკის დაევალა აგრეთვე დაკავშირებოდა საქართველოს, როგორც პოტენციურ მოკავშირეს ამიერკავშირში.

რა თქმა უნდა, ა. ვოლინსკისთვის ცნობილი იყო, რომ ვახტანგ მეფე საპატიო პატიმრად ჰყავდა შაპს. ვახტანგსა რუს დიპლომატს შორის დამყარდა კავშირი. მათ შორის მოლაპარაკება გასაიდუმლოებული იყო ხრულიად გასაგები მიზეზის გამო. მოლაპარაკების საკითხი იყო ირანის წინააღმდეგ ერთობლივი გეგმის შემუშავება. ვახტანგმა ვოლინსკის აცნობა, რომ მზად იყო ჩამდგარიყო რუსეთის ხელმწიფის სამსახურში და ებრძოლა ირანის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ

<sup>1</sup> Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. I, СПБ, 1869, с. 4-6.

მისი სამეფო რუსეთის დახმარებით გათავისუფლდებოდა ირანის უდლისაგან<sup>1</sup>.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რუსეთის ხელმწიფის ელჩმა ისე თხტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს პეტრე I ვახტანგ VI გაჭირვებული მდგომარეობით შეწუხებული, მის საშველად და დასახსნელად ამხედრდა ირანის წინააღმდეგ. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხროკები სინამდვილედ მიიჩნიეს<sup>2</sup>.

რუსი დიპლომატები ირანის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაკვირვებით მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყანაში რუსეთს დიდი წარმატება ექნებოდა. 1717 წელს ვოლინსკი პეტრე I-ს სწერდა: „როცა აქაურ სისუტეებს ვხედავ, შევვიძლია ხრულიად უშიშრად დავიწყოთ ომი, რადგან არათუ მთელი არმია, არამედ მცირე კორპუსითაც კი შეიძლება (ირანის) დიდი ნაწილი ადვილად შევუერთოთ რუსეთს“<sup>3</sup>.

როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით აქტიურობდა ა. ვოლინსკი, რომელმაც პეტრე I-ს ურჩია დაეკავებინა აბრეშუმის წარმოებით მდიდარი კასპიისპირა პროვინციები, რაც სერიოზულად დაზიანებდა ოსმალეთის როლს აბრეშუმით საერთაშორისო ვაჭრობაში ოსმალეთის ინტერესს. პეტრემ მიიღო ა. ვოლინსკის გეგმა და 1719 წელს გაიგზავნა ექსპედიცია სამხრეთ კასპიისპირეთის შესასწავლად. რუსეთი ამ

<sup>1</sup> ფირცხალაიშვილი აღ., ხაქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობაზი XVIII ს-ის II ნახვაზე, თბილისი, 2000, გვ. 40.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეებში // ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის იხტორია ხუთ ტომად, V, თბილისი, 2012, გვ. 65.

<sup>3</sup> Соловьев С. История России с древнейших времен, кн. IX, т. 18, Москва,, 1963, с. 368.

გეგმის განხორციელებას შეეცადა პეტრეს კასპიისპირეთში ლაშქრობის დროს.

ირკვევა, რომ რუსეთის გეგმა აბრეშუმით მდიდარი კასპიისპირა რაიონების დაპყრობის შესახებ იცოდნენ ინგლისელებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის გასვლას თბილ ზღვებში. ამიტომ ინგლისის ელჩმა თურქეთში ა. სტანიანმა, რუსეთის მოქმედებით შეშფოთებულ ოსმალეთის მთავრობას განუცხადა: რუსეთი „ამ ლაშქრობის შედეგად არა მხოლოდ ხელოთგდებს სპარსეთის აბრეშუმით ვაჭრობას, არა მედ ინდურ ნაწარმსაც მისი ძველი გზიდან კასპიის ზღვის ნავსადგურებით რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანს. მის ცხობილ პროექტს, რომ სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობა ბალტიის ზღვისკენ წარმართოს, ხელს შეუწყობს ისიც, რომ მას აქვს იაფი საშუალებები (გემები და მარხილები) ამ საქონლის გადასაზიდად, რითაც ის აჯობებს თურქებს<sup>1</sup>.

ასეთი გეგმის არსებობისას, ბუნებრივია, რუსეთისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებდა აღმოსავლეთ საქართველო. ამან გამოიწვია მოლაპარაკების გააქტიურება ვახებანგ VI-სა და ა. ვოლინსკის შორის, ვახებანგის ქართლში მეფედ დაბრუნების შემდეგ. რუსეთის წარმატების მოიმედე მეფე იმაზეც ოცნებობდა, რომ რუსეთის ოსმალთა სახელმწიფოზე წარმატების მოპოვების შემთხვევაში დაიბრუნებდა სამხრეთ საქართველოს.

ა. ვოლინსკი 1720 წელს დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად და დაევალა ფარულად მომზადებულიყო ირანის წინააღმდეგ ომისათვის. მასვე დაევალა შეეგროვებია ცნობები ვახებანგ VI-ის შესახებ და მიემხრო იგი. საჭირო იყო, აგრეთვე კახეთის მეფე კონსტანტინე II-ის (მაჰმად ყულიხანი, 1722-1732) მხარდაჭერის მოპოვება, რომელიც ნამყოფი

<sup>1</sup> Jacob I., Beziehung Englands zu Russland und zur Turkei in den Jahren 1718 bis 1727 (Eine historisch-diplomatische Studie), Basel, 1945 (Basler Beiträge zur Geschichtswissenschaft 18), S. 71.

იყო ისპაანის მმართველდად. რუსეთის მთავრობას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ კახეთის მეფე ქართლის მეფის მოწინააღმდეგმ იყო.

ევროპელი დიპლომატები, განსაკუთრებით კი, ინგლისელები, ითვალისწინებდნენ საქართველო-რუსეთის საერთო და თითოელი მათგანის ინტერესებს, ცდილობდნენ წაექეზებინათ ოსმალეთი იარაღით დაეცვა თავისი გავლენა და ინტერესი კავკასიაში. ზემოხსენებული სტანიანი ოსმალეთის დიდგაზირს ჩააგონებდა: „იმ დროს, როცა რუსეთის რეზიდენტი პორტას სთხოვდა, კასპიისპირეთში რუსეთის უფლებები ეცნოთ, თუ თურქები თბილისსა და საქართველოს მთლიანად არ დაიკავებდნენ, არ მოიხსნებოდა იქიდან საშიშროება, თუნდაც, რომ რუსებმა გაიყვანონ ჯარი კასპიისპირეთიდან. ეს კონფლიქტი განმეორდება მომავალშიც. ამიტომ სულთანმა იარაღით უნდა დაიმორჩილოს საქართველო და სომხეთი, რათა ეს საშიშროება საბოლოოდ აღკვეთოს“<sup>1</sup>.

1721 წელს პეტრე პირველმა წარმატებით დაასრულა შევედეთთან ომი. ამ დროსათვის ირანში ისეთი ვითარება იყო, როდესაც შეიძლებოდა კასპიისპირეთის ოლქების ოკუპაცია. პეტრეს მთავრობას, უპირველესყოვლისა, უნდოდა დაეცყრო ვოლგა-კასპიის გზა და აბრეშუმის წარმოების უმთავრესი რაიონები კასპიის ზღვის სანაპიროზე. განზრახული გეგმის სისრულეში მოყვანისათვის, რუსეთის მთავრობის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ირანის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ საქართველოს და სომხებს, რომლებმაც რუსეთს მიმართეს დახმარებისათვის. განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის რუსების აჩქარებაში დიდი მნიშვნელობა პქონდა ოსმალეთიდან მიღებულ ცნობებს ამ ქვეენის სამზადისის შესახებ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის. ოსმალეთს

<sup>1</sup> *Ibidem, S., 74.*

ოდითგანვე აინტერესებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის იმ რაიონების დაპყრობა, რომლებზეც რუსეთს ეჭირა თვალი.

1721 წლიდან რუსეთმა დაიწყო მოლაპარაკება ვახტანგ VI-სთან. ამ მოლაპარაკების მსვლელობის შესასწავლად გვაქვს მხოლოდ ვახტანგის მიერ გაგზავნილი წერილები მოსკოვში.

თქმებერ-ნოებერში ვახტანგ მეფემ ვინმე საგნიას და რუსის ეპისკოპოს გიორგის საშუალებით ა. ვოლინგის გაუგზავნა წერილი. მასში დასმული იყო საქმიანი კითხვები, რომლებზეც გაცემულ პასუხებზე დამოკიდებული იქნებოდა საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დაწყება. ასტრახანის გუბერნატორისათვის ნოებერში გაგზავნილ საპასუხო წერილში ვახტანგ მეფე მადლობას უხდის ადრესატს რუსეთის ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მიერ დახმარებაზე დაპირებისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს დაიხსნას თავი ირანის მონობისაგან. წერილში შემდეგ გამახვილებულია ყურადღრება იმ გეგმის განხორციელების გზებზე, რომელიც აინტერესებს რუსეთის მთავრობას თავისი ჯარის საქართველოში შემოსაყვანად: „ჩვენი ივერიის ქვეყანაში ჯარის ვასაგზავნად დაბრკოლება არ იქნება, რადგან არ არიან მტრები, ვინც ხელს შეუშლიან... თუმცა ამჟამად ირანის დახუცებება და მისი ძლიერების დაცემა საშუალებას მოგვცემს დაგიწყოთ საქმე, მაგრამ ჩვენ გადაგწვიტეთ, რომ უძლიერები ხელმწიფის და უძლიერების წინამდღოლის მხარდაჭერით შევძლებთ უხილვოდ და წარმატების გარანტით მოქმედებას<sup>1</sup>.

შემდეგ ვახტანგი პასუხს სცემს ა. ვოლინგის მიერ დახმულ კითხვებს: „პირველ კითხვაზე – რამდენი ჯარი გვჭირდება? გპასუხობთ: სრულიად საკმარისია ათი ათასი. ჩვენი უგანათლებულისთვის მხრიდან კი საჭიროა მეტი მეტროლი.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 222.

მაგრამ ოქვენი ბრწყინვალება თუ ინებებს გამოგ ზავნოს და-პირებულ ზე ძეგი ჯარი, გამოგ ზავნეთ, უფრო სახიამოვნო იქნება<sup>1</sup>. ვახტანგი ა. ვოლინსკის ურჩევს, ჯარი საქართველოს-კენ წამოვიდეს ჩერქეზეთის ვაკეთი, რადგან ის ყველაზე მოკლეა, მხოლოდ რვა დღის მანძილია ქართლის სამეფოს დედაქალაქმდე – თბილისამდე.

„მეორე კითხვაზე, თუ რამდენი დღე შეიძლება ჩვენი ჯარი ბანაკად იდგეს, გეტევით: ჩვენი მყარი კანონით გრაფები და თავადები მე უნდა მახლონებ იმში. შემიძლია თხის თვის განმავლობაში ჩემთან მყავდეს ორმოცდაათათასიანი კორპუსი; შემიძლია საზღვარგარეთ წაგიფანო მხოლოდ ოცი ათასი. როცა ბანაკი გაშლილია, ისინი ჩემთან რჩებიან მანამ, ვიდრე ჩემს ხელში არსებული პროგიანტი ამის საშუალებას იძლევა“<sup>2</sup>

მესამე კითხვა ეხებოდა საკვები პროდუქტების მომარაგებას. შეძლებდა თუ არა ქართლის სამეფო საკითხის მოგვარებას. მეფის პასუხი იყო: საქართველოში ყველაფრის შეძენა შეიძლებოდა იოლად ფულით. მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ „ოქვენი სახელმწიფო-დან აქეთკენ მომავალმა ჯარმა აუცილებლად უნდა წამოიღოს ათი დღის სამყოფი სურსათ-სანოვაგე, რადგან მოუხერხებელია დასახელებულ ადგილას (ჩერქეზეთში – ე.მ.) მიხი შოვნა“<sup>3</sup>.

ბოლო, მეოთხე კითხვა ეხებოდა იმას, სად უნდა აგებულიყო ციხეები რუსეთის ჯარის განლაგებისათვის. ვახტანგ მეფე პასუხობს: საქართველო ბუნებრივად იმდენად გამაგრებულია, რომ რუსეთიდან მოსულ დამხმარე ჯარს არსაიდან თავდასხმის საშიშროება არ ემუქრება. მიუხედავად ამისა აუცილებლად უნდა აიგოს ციხეები ოთხ ადგილას. აქვე ჩანს

<sup>1</sup> Тамже, с. 223.

<sup>2</sup> Там же.

<sup>3</sup> Там же, с. 224.

ვახტანგის ოცნება რუსეთის ჯარის დახმარებით დაიბრუნოს მტრის მიერ ძალით დაპყრობილი ტერიტორიები. „მათ დავიძრუნებთ თქვენი ჩარევით, რაღაც ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ვიქნებით ყოვლადმოწყალე ხელმწიფება და უძლეველ წინამდოლოან მუდმივ კავშირსა და სრულ დამოკიდებულებაში“

ვახტანგ მეფე წერილს ამთავრებს ორივე მხარის მიერ სიფრთხილის გამოჩენის მოთხოვნით, რომ საიდუმლოდ დარჩეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, რათა იგი ცნობილი არ გახდეს იმ მესამე ქვეყნისათვის, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ორ ქვეყანას შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება. ამიტომ იყო, რომ ვახტანგმა თავის-თან გააჩერა ის ადამიანები, რომლებმაც მას ვოლინსკის წერილი გადასცეს. ა. ვოლინსკის წერილზე პასუხი გაატანა თავის მსახურს, იოსებს და დაელოდება ასტრახანიდან გამოგზავნილ წერილს. გაზაფხული დადგომისათვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებითო — წერდა ვახტანგ მეფე<sup>1</sup>.

1721 წლის ნოემბერში ვახტანგ VI პეტრე I-ს აცნობებს იმ სიხარულის შესახებ, რომელიც მან განიცადა რუსეთის მხედართმთავრისაგან (ეს უნდა იყოს ა. ვოლინსკი) მიღებული წერილით, მასში იყო დაპირება რუსეთის მიერ ქართლის სამეფოსათვის დახმარების გაწევის შესახებ. „გვევით არ გვეპარება, — წერდა ვახტანგი, — რომ მფარველობითა და თქვენი ჯარის დახმარებით გვექნება წარმატება“<sup>2</sup>.

საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური კონტაქტების პერიოდს უნდა განეცუთვნებოდეს პეტრეს წერილი (თარიღი უცნობია) ვოლინსკისადმი, რომელშიც იგი ითხოვს ასტრახანის გუბერნატორმა მასთან გაგზავნოს ვახტანგ მეფის წერილი, რათა მას გაეცნოს პირადად. ამის მიხედვით იმპერატორს სურდა გაეგზავნა გემები კასპიის ზღვაში და ვოლინსკის უბრძანებდა გაემზადებინა ისინი დანიშნულების

<sup>1</sup> Тамже.

<sup>2</sup> Тамже, с. 138.

ადგილზე გასაგზავნად. იმავე დროს პეტრეს აუცილებლად მიაჩნდა ვოლინსკის დაწვრილებით გამოეკითხა ვახტანგის პაცი და უკელაფერი პეტრესთვის ეცნობებინა. „ქართველ პრინცს კი (იგულისხმება მეფე ვახტანგი – ე.მ.), რომელმაც ის გამოგზავნა, როცა დმერთი შეგვეწვა, მივიღებთ ისე, როგორც საჭიროა“.

1721 წლიდან ავდანელების აჯანყებამ ირანის წინააღმდეგ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ სეფიანების დინასტიის არსებობას სერიოზული ხიფათი შეექმნა. შაჰ ჰუსეინმა ვახტანგს, თავის ვასალს, არაერთხელ მიმართა დახმარების თხოვნით, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო, რადგან მას რუსებთან ერთად ირანისაგან გათავისუფლების იმედი პქონდა, რაც რუსეთის ინტერესების არასწორად შეფასება-გათვალისწინებით იყო გამოწვეული. ვოლინსკი თავის მხრივ დაპირებებს არ აკლებდა ვახტანგს. ალბათ, სრულიად გასაგებია ვახტანგ მეფისა და მისი ერთგული პოლიტიკოსების სულიერი მდგომარეობა: „თუ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები ამაռდ თხოვდნენ დახმარებას რუსეთის ხელმწიფეებს, ახლა თვითონ დიდი და ძლიერი, რუსეთის უკლაზე გამოჩენილი ხელმწიფე უწოდებდა მათ ხელს სამეგობროდ და დახმარებას თხოვდა იმ ირანის წინააღმდეგ, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში სისხლიდან დაცალა საქართველო... აბა, ამაზე ბედნიერ შემთხვევას როგორ წარმოიდგენდა ქართველი პოლიტიკის ხელისუფალი და ვახტანგ VI ხრულიად უყოფმანოდ, ხრულიად დაუფიქრებლად შეუდგა პეტრეს წინადადების ახრულებას“<sup>1</sup>.

ქართლის სამეფოს დიდებულები რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარებას ერთნაირად არ აფისებდნენ, ერთ ნაწილს ეს გეგმა სახიფათოდ მიაჩნდა, რადგან რუსეთის შემო-

<sup>1</sup> გელეიშვილი პ., XVIII ს-ის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. ალ. ამილახორი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მთაზროვნე, ტფილისი, 1936, გვ. 14-15.

სვლას ამიერკავკასიაში მიუღებელი იყო საქართველოს მეზობლებისათვის და ისინი ყველაფერზე წავიდოდნენ პეტრე I – გახტანგ VI-ის გეგმის ჩასაშლელად და ვიდრე რუსეთის ჯარი მოვიდოდა მანამდე ისინი საქართველოს ააოხრებდნენ. ვახტანგმა „არა სცნა ბრძნელი რჩევა ვეზირებისა, რომელნიც 1722 წ-ს მევეს უუბნებოდნენ: გვეყოფა ამდენი წყვეტა-ტმასნობა, ორი საბეჭი (ირანთა და ოსმალთა) გვაბია და მესამესაც ნუ მოვიბამთო, სამს დიდს ხელმწიფებს რომ პირი მივცეთ გარს მოგვეჭირება მუხრუჭიო“<sup>1</sup>. რადგან მევე უდრევი იყო თავის გადაწყვეტილებაში, მაშინ დარბაზის წევრები კომპრომისზე წავიდნენ და წინადადება შეიტანეს: ემოქმედათ საიდუმლოდ, გამოეყვანათ მცირერიცხოვანი ჯარი და ფარულად მიმსრობოდნენ რუსეთის ხელმწიფებს<sup>2</sup>. ვახტანგ VI-ს თავდაპირველად მიაჩნდა, რომ რუსეთი თუ საქართველოში შემოიყვანდა ჯარის 5 ათასიან კონტიგენტს, ეს გამოიწვევდა საქართველოში ენთუზიაზმის გაღვივებას და ძალების მობილიზებას და რუსეთიც, რომლის ჯარი საქართველოში იქნებოდა უფრო ენერგიულად შეეცდებოდ მის დაცვას. იმავე დროს, საქართველოს მეზობელი მუსლიმანი სახელმწიფო მოერიდებოდნენ რუსის ჯართან უშუალო სამხედრო კონტაქტს, რასაც შეიძლებოდა რუსეთთან ურთიერთობის სერიოზული დაძაბვა გამოეწვია. სავარაუდოა, ვახტანგი ფიქრობდა, რომ იმ დროს ასეთი ძალის მქონე არც ირანი და არც ოსმალეთი იყო.

ისე ჩანდა, რომ ქართლის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ირანის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებისათვის. მაგრამ იურიდიულად ეს ხელ-

<sup>1</sup> ჯანაშილი გ. საქართველოს ისტორია / ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1894, გვ. 398.

<sup>2</sup> პაიჭაძე გ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში // ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, IV, გვ. 415.

შეკრულება წერილობითი სახით არ გაფორმებულა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკებული მხარეები ერიდებოდნენ საიდუმლო შეთანხმების დოკუმენტად გაფორმებას.

თუ ვახტანგ მეფის მოქმედებას ჩავუკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა პეტრესთან შეუთანხმებლად რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა. იგი პეტრესგან დაძახებას ელოდებოდა, მანამ კი ფარულად ემზადებოდა გადამწყვეტი მოქმედებისათვის.

ზოგიერთი სენატორის წინააღმდეგობის მიუხედავად იმპეტრატორმა მხარი დაუჭირა ასტრახანის გუბერნატორის აზრს ირანთან ომის დაწყების შესახებ. 1722 წლის გაზაფხულზე ლაშქრობისათვის განკუთვნილი ჯარი და ხომალდები თავმოყრილი იქნა ასტრახანში. აკვირდებოდა რა პეტრე I-ის სამზადისს ლაშქრობისათვის, ფრანგი დიპლომატი დე კამპრედონი თავის მთავრობას აცნობებდა, რომ პეტრეს უნდოდა დაასწროს თურქებისათვის, რომლებიც აპირებდნენ მხარი დაეჭირათ ჩრდილო კავკასიელ მეაბოხეებისათვის, რომლებმაც მოახდინეს ამ ომის პროვოცირება იმით, რომ გაძარცვეს რუსი ვაჭრები<sup>1</sup>.

1722 წლის აპრილში პოლანდიის შეერთებული შტატების რეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში დე ვალდე, შტატებს აცნობებდა რუსეთის გემების მოსკოვიდან ასტრახანის მიმართულებით გადადგილების შესახებ. დე ვალდე წერდა: „ამბობენ, რომ მისი სამეფო უდიდებულებები თავს უყრის ასტრახანში მნიშვნელოვან ძალებს მხოლოდ იმისთვის რათა თავის მოთხოვნები დაიკმაყოფილოს რუსი ვაჭრების წინააღმდეგ ამბობებული ხარსესების მიმართ, მაგრამ არავითარი დაპყრობითი მიზნები არ გააჩნია“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Донесения французских посланников и резидентов при русском дворе (1722-1741 гг.) // Сборник Императорского русского исторического общества, СПб., 1885, т. 49, с. 93.

<sup>2</sup> Материал для истории русского флота, ч. 4, СПб., 1867, с. 303.

იმავე წლის მაისში დე ვალდე პოლანდიის შტატებს ახალ ინფორმაციას უგზავნის მოსკოვიდან. ყოველ დღე ასტრახანში იგზავნება ჯარითა და ტვირთით სავსე გემები. უველავერი ეს ხდება იმდენად საიდუმლოდ, რომ მნელია დაადგინო სიმართლე ახალი სამხედრო ექსპედიციის დანიშნულების შესახებო. დე ვალდემ მხოლოდ ის შეიტყო, რომ გამები მიემართება შემახასა და დერბენდისაკენ, რათა დაუუფლონ ამ ქალაქებსა და კასპიის ზღვის სხვა პორტებს და ამით უზრუნველყონ რუსეთის თავისუფალი ვაჭრობა აბრეშუმით<sup>1</sup>.

1722 წლის 2 ივნისს იმპერატორმა ასტრახანიდან საქართველოში სიგელით გაგზავნა თავადი ბორის თურქესტანოვი<sup>2</sup>. პეტრე ვახტანგს აცნობებდა, რომ მალე მივიდოდა ირანის ნაპირებთან. თურქესტანოვს დაევალა დაეყოლიებინა ვახტანგი რაც შეიძლებოდა მალე შეეტია ლეკებისათვის მათსავე ტერიტორიაზე, რადგან ისინი აზიანებდნენ როგორც რუსებს, ისე ქართველებს, მოემზადებინა თავისი ჯარი რუსეთის ჯართან შესაერთებლად. ხელმწიფე არ აცნობებდა ვახტანგ მეფეს, სად უნდა მომხდარიყო შეერთება. ვახტანგს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 308.

<sup>2</sup> ბაადურ თურქესტანიშვილი, XVIII ს. პირველი ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მონაწილეობდა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის მოლაპარაკებებში. მის შესახებ ორიოდე ცნობა დაგვიტოვა ვახუშტი ბატონიშვილმა. ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 399, 400, 504. ვახტანგ მეფის შეფასებით, მან უარყოფითი როლი ითამაშა ქართულ-რუსულ მოლაპარაკებში. *Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскойми государствами от 1639 по 1770 гг., с. 155.*

არსებობს აზრი, რომ ბაადურ თურქესტანიშვილი ვახტანგ VI-ს გაჟევა რუსეთში. *Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, с. 65*, რაც სიმართლეს არ უნდა შეეფრებოდეს. ბ. თურქესტანიშვილზე იხ. გ. პაიჭაძის ინფორმაცია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ტ. 5, გვ. 19, ხვევი 1.

განზრახული პქონდა 40 ათასიანი ჯარით წასულიყო ირანთან საომრად<sup>1</sup>.

ლაშქრობის დაწყების წინ, 15 ივლისს გამოქვეყნდა მანიფესტი კავკასიისა და კასპიისპირეთის მოსახლეობისადმი. მასში იყო მოწოდება, რომ მოსახლეობას არ დაეტოვა საცხოვრებლები რუსეთის ჯარი სიახლოვეს. ლაშქრობის მიზანი იყო მხოლოდ იმ ამბოხებულთა დასჯა, რომლებმაც ამოწყვიტეს რუსეთის ქვეშვერდომები შემახაში<sup>2</sup>. იმავე დროს სპეციალურ კონსულს ირანში აბრამოვს, იმისავის რათა გაეფანტა შაჰის კარის ეჭვები რუსეთის განზრახვის შესახებ, მასთან უნდა დაეწყო მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ, იმ პირობით, რომ ირანს რუსეთისათვის დაეთმო კასპიისპირეთის პროვინციები. თუ ამ მოთხოვნაზე თანხმობა არ იქნებოდა, მაშინ რუსეთი იძულებული გახდებოდა ძალით დაეპყრო იგი, რათა არ დაეშვა თურქების შესვლა კასპიისპირეთში<sup>3</sup>.

იმავე წლის აგვისტოში (?) რუსეთის ელჩი სტამბოლში ი. ი. ნეპლიუევის მოხსენებიდან ვიგებთ, რომ ის ვეზირის ადამიანებს (კეგას და რეის-ეფენდის) შეპაირდა 1000 ჩერვონეცს იმისათვის, რომ შეეცადონ რუსეთან მეგობრობის შენარჩუნებას, მანამადე, ვიდრე სულთნის კარი მიიღებდა პასუხს რუსებთან გაგზავნილი თავისი მოციქულისაგან. ელჩი პეტრეს აცნობებდა, აგრეთვე, რომ პორტა თავის ქვეშეგრდო-

<sup>1</sup> Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, СПБ, 1869, с. 19.

<sup>2</sup> Русско-дагестанские отношения в XVII – начале XIX в. Сборник документов, № 1, январь 28, 2011. <http://constitutions.ru/?p=4761>

<sup>3</sup> Сотавов Н.А., Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях XVIIIв., Москва, 1991.

<http://kumukia.ru/books/0002/pages/page14>.

მად იღებდა დაუდ-ხანს<sup>1</sup>. განზრახული პქონდა აგრეთვე თავ-დაპირველა დაეუფლოს ირანის საქართველოს, შემდგბ კი გა-აძვოს რუსეთის ჯარი დადესტნიდან<sup>2</sup>.

\*\*\*

1722 წლის ზაფხულში პეტრე I-მა დაწყო სამხედრო ოპერაციები კასპიისპირეთში. ამის შესახებ მან ვახტანგს აც-ნობა იმავე წლის 2 ივლისს და წინადაღებას აძლევდა დაეწ-ყო ლაშქრობა ლეკების წინააღმდეგ. 23 აგვისტოს რუსთა ჯარი შევიდა დერბენდში<sup>3</sup>.

30 აგვისტოს პეტრემ ვახტანგთან წერილით გაგზავნა პოდპორუჩნიკი ივანე ტოლსტოი, რომელსაც უბრძანა მეფეს-თან დარჩენილიყო მანამდე, ვიდრე ბრძანებას არ მიიღებდა. მეფისათვის წერილში ნათქვამი იყო, რომ ის ცდილიყო თავისი მრჩეველების საშუალებით დაერწმუნებინა შაპი რომ მას მიეღო რუსეთის დახმარება ამბოხებულთა წინააღნდებ, სამაგიროდ დაეთმო ირანის ის პროვინციები, რომლებიც მდებარეობს კასპიის ზღვის სანაპიროზე. იმავე დროს პეტრე ტოლსტოის უბრძანებდა დაერწმუნებინა ვახტანგ მეფე (და არა პრინცი, როგორც პეტრე ყოველთვის მოიხსენიებდა ქარ-თლის მეფეს), რომ ის მიიღებდა დიდ სარგებელს თუნდაც იმით, რომ გათავისუფლდებოდა ურწმუნოთა უდლისგან და

<sup>1</sup> ხაჯი-დაგური – აღმოხვდებოთ კავკასიის მთიელების ხახალხო-განმათავისუფლებელი მომრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზორგანში თეოქატიული ხახლმწიფოს დამაარსებელი და ქოთაური. Бутаев А.А., *Народно-освободительное движение на Восточном Кавказе под руководством Хаджи-Давуда Мюшкюрского: первая треть XVIII века, Махачкала, Мавел, 2006.*

<sup>2</sup> *Русско-дагестанские отношения в XVII-начале XIX в. Сборник документов, № 1, январь 28, 2011 <http://constitutions.ru/?p=4761>*

<sup>3</sup> Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. I, с. 26*

ისარგებლებდა ხელმწიფის წყალობით, აგრეთვე მიიღებდა ხელისუფლებას ადგილობრივ (კავკასიელ) ქრისტიანებზე. პეტრე ცდილობდა დაერწმუნებინა ვახტანგი, რომ რასაც ხელმწიფე განიზრახავს, იმას ბოლომდე მიიყვანს კიდეც. პეტრეს მხედველობაში ჰქონდა კასპიისპირეთში დაწყებული კამპანია, რომელსაც კარგად მომზადების შემდეგ, წარმატებით დაასრულებდა.

პეტრე I-მა ასეთივე წერილი გაუგზავნა სომხების პატრიარქ ისაის<sup>1</sup>.

ვახტანგმა, როგორც პ. ბუტკოვი წერდა, სიამოვნებით იკისრა, წარედგინა შაჰისათვის იმპერატორის წინადაღება.

6 სექტემბერს რუსთა ბანაკში მიიღეს ცნობა, რომ დაახლოებით 30 ათასი ქართველი შეიკრიბა მდ. მტკვრის ნაპირას და იგი მზად იყო დაეწყო სამხედრო მოქმედება რუსებთან ერთად. ვახტანგი თაგს იკავებდა დამოუკიდებლად ემოქმედა და წინ წასულიყო, რადგან შემახა რუსებს ჯერ დაკავებული არ ჰქონდათ<sup>2</sup>.

ქართლის მეფე აღმოჩნდა საბედისწერო დილემის წინაშე. ორი გზიდან უნდა აერჩია ერთი: რუსეთი ან ირანი<sup>3</sup>. სულ მალე გამოჩნდა მესამე გზაც – ოსმალეთი.

ვახტანგი ბატონიშვილის გადმოცემით: „კუალად მოვიდა თურქისტანიშვილი ბაადურ დიდის პეტრეს იმპერატორისაგან<sup>4</sup>, კინაითგან გამოსულ იყო სოლახს, რათა მივიდეს შირვანს მეფე მისთანა. კუალად მოვიდა დესანი ხონთქრისა დამორჩილებისა მისისათვეს, არამედ განუტევნა ყოველნი და აღირჩია რუსთ მეფე, რამეთუ პგონებდა განთავისუფლებასა გელებითასა და ძალება ქრისტიანობისას“<sup>5</sup>. ვახტანგ მეფემ

<sup>1</sup> Тамже, с. 31.

<sup>2</sup> Там же, с. 30.

<sup>3</sup> Авалов З., Присоединение Грузии к России, с. 56.

<sup>4</sup> დღე იყო 3 აგვისტო 1722 წლისა.

<sup>5</sup> ვახტანგი ბატონიშვილ // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 499-500.

რუსეთის გზა არჩია და პეტრესგან დაძახებისთანავე შეჰვარა ჯარი და განჯისაკენ გაიღამქრა. რუსის ჯარის მომლოდინე ვახტანგი, თანახმად პირობისა, შამქორში დაბანაკდა. ამ დროს კი რუსეთის იმპერატორი, რომლისთვისაც ცნობილი იყო ქართლის მეფის სამხედრო მოქმედება, 7 ოქტომბერს, როცა მას წინა დღეს აცნობეს ვახტანგის ჯარით მოსვლის შესახებ, დერბენდიდან აიყარა და ასტრახანში დაბრუნდა. „ხოლო მეფე ვახტანგ მივიდა განჯას და დაჰყო სამ თოუე მუნ და ვერა რად სცნა გელმწიფის პეტრების<sup>1</sup>.

ასეთსავე საბედისწერო მდგომარეობაში მიატოვა პეტრემ ყარაბაღელი სომხები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გახდებოდნენ პეტრეს ქვეშევრდომნი და რუსების დახმარებით მოიშორებდნენ დამპყრობითა უღელს

სამ თვეს ელოდა ვახტანგ მეფე პეტრე I-ს. იმ დროს ქართლის მეფის მიერ განცდილი ვნებების შესახებ ვიგებთ მის მიერ რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილი წერილებიდან.

1722 წლის ზაფხულის კამპანიის დროს რუსეთის ჯარმა დაიკავა მხოლოდ აგრახანის ნახევარკუნძული, მდ. სულაკის განტოტება და აგრახანი, სადაც რუსებმა საფუძველი ჩაუყარეს წმ. ჯვრის ციხე-სიმაგრეს.

ვახტანგთან მივიდნენ ბაადურ თურქესტანიშვილი და პეტრეს დესპანი და მიიტანეს იმპერატორის დანაბარები, რომ რუსთ ხელმწიფე რუსეთში დაბრუნდა, მაგრამ ვახტანგს აღუთქვამდა, რომ გაზაფხულზე კვლავ გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ბაადურმა და დესპანმა პეტრეს დანაბარები ვახუშტი ბატონიშვილს მოახსენეს, რომელმაც ყოველივე მეფეს აუწყა<sup>2</sup>. აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს ლეპებთან შეტაკება არ მოუხდა, მაინც უდიდესი დახმარება გაუწია პეტრე პირველს. ორ ცეცხლს შეა (ქართველებსა და რუსებს შორის) მომწყვდეული, შე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 507.

<sup>2</sup> იქვე.

შინებული დაღესტანი თითქმის სრულიად უბრძოლველად დასთანხმდა პეტრეს ყველა მოთხოვნის შესრულებაზე. პეტრემ ასევე უბრძოლველად მოაგვარა სხვა საქმეები: ანგქისა უყო ირანის მდიდარ პროვინციებს და უკან გაბრუნდა. ამის შესახებ მან მხოლოდ რუსეთიდან შემოუთვალა ვახტანგს ისე, რომ მიზეზიც კი არ აუხსნა. როგორც ჩანს, მას ნაკლებად აწუხებდა მომაკვდინებელ ხიფათში მიტოვებული მოკავშირე – ქართლის სამეფო და მისი მეფე.

1722 წლის 19 სექტემბერს ვახტანგ მეფე პეტრეს სწერდა იმის თაობაზე, რაც მან მოიმოქმედა იმპერატორის მიერ მიცემული დავალების შესასრულებლად: განჯაში ჩავიდა და რუსთა ჯარს ელოდებოდა. ამის შემდეგ პეტრეს კაცი, ვინმე ანდრია შვილი მივიდა და ვახტანგს მოახსენა იმპერატორის რუსეთში გაბრუნების შესახებ. ვახტანგმა იმ ყველაფრის გამო, რაც მან პეტრეს დახმარებისათვის ჩაიდინა, ის შედეგი მიიღო, რომ მართალია განჯიდან უკან გამობრუნდა, მაგრამ „ამ საქმით ყერიც დაგვემდურა, კახო ბატონიც აგვეშალა და ხონთქიც წყინობს და იმუქრების“. ყველაფრისდა მიუხედავად, ვახტანგი მაინც პეტრეს ერთგულობდა და, რაც არ უნდა მომხდარიყო, მისი სამსახურისთვის თავს დადებდა, ოდონდ მან ის გააკეთოს, რაც დაპირდა. „კიაჯებით მაგათს მაღალს გელმწიფობასა, რომე რაც იმუდი გვაქვან აღვგისრულონ და შეწუხებული არ დაგვაგდონ“ ვახტანგი იმასც ითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას მფარველობა გაეწია ქართლის სამეფოსათვის და ირანისა და ოსმალეთის თავდასხმა აეცილებინა. ვახტანგი იმის გამოც წუხდა, რომ მათ მიერ შეგულიანებული კახეთის მეფეც მოსვენებას არ აძლევდა<sup>1</sup>. ვახტანგ მეფე დაუბრუნდა თავის წინანდელ გეგმას, რომ რუსეთმა ქართლის სამეფოში ჩააყენოს ცხენოსანი ჯარი,

<sup>1</sup> კახეთის მეფესთან ბრძოლის ეპიზოდები იხ., იქვე, გვ. 501

„რომე ჩვენ და ამ ქვეყანას ვიმედებოდეთ და ზურგად მოებ-  
ძოდებ“<sup>1</sup>.

4 ოქტომბერს ვახტანგმა პეტრეს მორიგი წერილი გაუგ-  
ზავნა, რომელშიც იმპერატორს მოკრძალებით თხოვდა: რად-  
გან იგი სხვა გადაუდებელი საქმეებით იყო დაკავებული და  
არ შეეძლო პირადად მიედო მონაწილეობა სამხედრო ექსპ-  
დიციაში, მაშინ ყარაბაღში დაბანაკებულ ქართველ-სომებთა  
ჯარს<sup>2</sup> თუ მცირე რიცხვან თავის ჯარს წააშველებდა, ვიდ-  
რე ჯერ კიდევ დრო იყო, შირვანის დამორჩილება მოხერ-  
ხდებოდა. ვახტანგ მეფე ასევე მოკრძალებით წერდა, რომ მან  
კარგად იცოდა აქაური ამბები („ამ ალაგების ბეჭადობა  
გვეთქმის“ – აცხადებდა ვახტანგ მეფე). ის მიმოიხილავდა  
კამპანიის დაწყების დროიდან ოქტომბრის დასაწყისამდე

---

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими  
государями от 1639 по 1770 гг., с. 140-142.

<sup>2</sup> სომები საეკლესით მოდგაწე, მთიანი ყარაბახში განხასარის კათა-  
ლიკოსი ესაი პასან ჯალალიანცი შემდევნაირად აღწერს ქართ-  
ველთა და სომებთა ჯარების შეხვედრას. ის მოგვითხრობს იმ  
ზემოს შესახებ, რომლითაც აღინიშნა ირანის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის ჟინით შეპყრობილი ორი ერის ჯარის შეერთება. „როდებაც  
ვახტანგმა იხილა ჩვენი ლაშქრის ასეთი სვლა, სულით და გუ-  
ლით გაიხარა. მაშინვე გამოვ ზავნა შიკრიკი და თავისთან მივვი-  
ძო, სარდლებად განაწეხა ყმაწილები (ოთხი იუბაში) და  
მელიქები და გამამხნევებელი სიტყვებით დაგვაიძედა, რწმენა ჩაგ-  
ვიდგა და მოვგმართა: „ამიყრიდან გამხნევდით და ვაჟაცურად  
იყავით, ისე როგორც თქვენს ძლევამოხილებას შეეფერება, ნურა-  
ვრისა და ნურავისი ნე შეგეშინდებათ, რადგანაც აკა უკვე მო-  
წია ქრისტიანობის ხენის უმმა“. ასეთი სიტყვებით მოგვმართავდა  
და ძალზე მადლიერი იყო ჩვენი. მეორე დღეს კველა სარდალი  
საბატიო ხალათებით დაახახუქრა“. ესაი პასან ჯალალიანცი, ალ-  
განთა ქვეყნის მოქლე ისტორია / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,  
თარგმნა და კომუნიკაციი დაურთო კარლო კუციამ, თბილისი,  
1971, გვ. 34.

მოხდარ ამბებს და არსებული ვითარების მოკლე, მაგრამ მკაფიო ანალიზს სთავაზობდა, არც იმის თქმა გამორჩენია, რომ ავდანელებისგან დაჯაბნილი შაპი ქართლის მეფეს კიდევ ერთხელ სთხოვდა დახმარებას, მაგრამ პეტრეს პასუხეს ელოდებდა. „ამას მოვახსენებ მაღალ კარზედან. ჩვენთვინ წამოსვლა და ლეგის მტერობა რომ ებრძანა, წამოვედით და კარგა ხანი არის აյ ყარაბახში ვლგვვართ. ვინცავინ აქათი ლეგინი არიან, შეშით თავის სამლიდან ვერ დიძრნენ. ერთი სულთანი არის, ისიც შემორიგებას გვეხვეწება, მაგრამ კახი ბატონი, რომე ჩვენთან ქიში და მტერი არის, ეს ზურგს უბამს, უნდა რომე ჩვენი სამსახური გელმწიფესთან არ გამოაჩინოს... ჩვენ აქამდინ შირვანსაც გამოვიდოდით, მაგრამ მაგათი ბძანება, რომ არ მოვგივიდა, ის გვაგვიანებს. ამ ჩვენგან რჩევა და მოხსენება არ იკადრების, მაგრამ, ვითამც ამ ალაგების ბეჭადობა გვეთქმის, ამიტომ მოვახსენებთ. აქათს ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომე აქაური საქმეები დიად არეული არის და ერთი ასეთი არა გამოვარდეს რა, რომე აქათური საქმე არ წახდეს... თუ გელმწიფე ჯერ მანდაურის საქმესაგან მოუცდელად ბრძანდებოდეს და აქათ წამობრძანება იმიტომ გვიანდებოდეს, ეს მაიც იქნას, ერთი მაგათი ასეთი ჯარი შარვანს მოვიდეს, აქედან ჩვენ ვიქნებით, შევიტრებით და კოველი საქმე დოთით გარიგდების. ერევნამდინ რაც ალაგია დავიჭროთ და ვეცდებით რომე ერევანიც დავიჭიროთ... ეკენს მირვეისის შვილმა კიდევ უფრო ხაქმე გაუჭირა, არც შემხველებიდა არის, არც გამომხვდელი. შვილი ყაზმის პავანები, ჯარს ცდილობები, მაგრამ ვერგინ იშვიათი. ჩვენ წიგნება გვწერს, ჯარის მიშველებას გვიკვთოს, მაგრამ ჩვენ თქვენის ბრძანების მაყურებელი გართ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 142-143.

ფრიად საინტერესოა ვახტანგ მეფის მიერ 4 სექტემბერს ა. ვოლინსკისთვის გაგზავნილი მოკლე წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართლის მეფე ჯარით დგას ყარაბახში და ხელმწიფის პასუხს ელოდება. მან არც ის დაუმალა ხელმწიფის მოხელეს, რომ მის მბრძანებელს წერილი გაუგზავნა და თავისი მოსაზრებები მოახსენა. ვახტანგი ფიქრობდა, რომ სწრაფად მოვიდოდა მისი პასუხი.

წერილი განსაკუთრებით საინტერესოა იმითიც, რომ ვოლინსკის შაპ-თამაზ II-სთან ელჩი გაუგზავნია, რომელიც უკან ვოლინსკითან გაუბრუნებიათ და თან ერთი კაციც გაუყოლებიათ, რომელსაც ვახტანგისთვის შაპის წერილი გადაუცია. მასში იყო თხოვნა ქართლის მეფისადმი, „ეცადეთ დიდხ ბეჭდმწიფესა და ჩვენში მშვიდობა მოახდინოთ“. ვახტანგი ა. ვოლინსკის სთხოვდა ეხლა რომ წერილი გამოგიგზავნე, მაგ კაცს ნურას შეატყობინებოთ მანამდე, ვიდრე აქეთ არ წამოხვალთო<sup>1</sup>.

რადგან ვახტანგ მეფის შემორიგებისა და კვლავ ირანის სამსახურში ჩაყენების პერსპექტივა არ ჩანდა, შაპმა მას ოფიციალურად მიმართა (1722 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) წერილით. შაპი პუსეინ-ფული-ხანს, ე.ი. ვახტანგ მეფეს, გურჯისტანის, ქართლის გამგებელს და უძლეველი ჯარის მეთაურს აცნობებდა, რომ მან მკაცრად უბრძანა ერევნისა და აზერბაიჯანის ბეილერბეგებს, რომ სასწრაფოდ გაუგზავნონ თავიანთი ჯარი. როდესაც გავანადგურებოთ ავდანელებს და მოვაწესრიგებოთ სატახტო ქალაქ ისფაჰანის და შირვანის საქმეს, იოლად მოგვარდება სხვა პროვინციების საქმეებიც. თქვენ იოლად შეგიძლიათ მცირე ჯარით შირვანში დაამყაროთ წერიგიო. შაპი მოითხოვდა, რომ ბატონიშვილმა ბაქარმა იმის მიზეზით, რომ რუსები მოვიდნენ ან სხვა რაიმე უსიამოვნებათა გამო, თავი არ აარიდოს და გურჯების ჯარით მივიდეს

<sup>1</sup> Тамже, с. 141.

შაპის დასახმარებლად<sup>1</sup>. შაპი, იმის დემონსტრირებისათვის რომ ანგარიშს უწევდა ვახტანგ მეფის თხოვნას ყარაბახის გამგებლის მუკამედ ამინის განთავისუფლების შესახებ, წერს, რომ ბრძანება გასცა მისი თხოვნის დასაქმაყოფილებლად<sup>2</sup>.

ბაქარმა გადაწყვიტა შაპის თხოვნის შესაბამისად წასულიყო მის დასახმარებლად და მომზადებული იდგა ტაშირში, მაგრამ ვახტანგმა გადააფიქრებინა და უკან დააბრუნა. „ქან უი [1722], თებერვლის ე, მოუხდა ისპაანს შვილი მირვეისისა ყანდაარიდამ მაპტედ, მირვეისი მამკუდარ იყო. რა მოუვიდა ამბავი ყენენა მოსულა მათი, გააგება ჯარი ისპაანისა აღაჯსა სამსა, შეიძნენ, დაუმარცხდა ყიზილბაშთა, მოკლეს ყულარადასი როსტომ, მმა მეფისა ვახტანგისა და მოსწყვიტეს, გამოექცენ, შემოადგნენ ისპაანს, დადგა ჯულფას, შეუკრა ყოვლით გზა და შეწუხდა ისპაანი შიმშილითა. ამა ამბავსა შიგან გამოუგზავნა ყაენმან ხალათი და ყულარადასობა მეფის ბაქარისათუის და ხევწნა მიშველებისა. მოინ დომა მეფემ ბაქარ წასულა და დადგა ტაშირზედ. მაგრამ არ ამჯობინა მეფემ ვახტანგ წასულა მისა თქაისა, დააბრუნა“<sup>3</sup>.

რაც უფრო მირაჟს ემსგავსებოდა რუსეთის დახმარება ქართლის სამეფოსათვის, მის მეზობლებს შიში უნელდებო-

<sup>1</sup> შაპმა ბაქარს გაუგზავნა ხალათი და ყულარადასის წოდება მიანიჭა. სენიორ ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა“ [<sup>2</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 гг., с. 145-146.](https://wikisource.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A%E1%83%94_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%22.33.</p></div><div data-bbox=)

<sup>3</sup> სენიორ ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა“.

დათ და შურისძიების წყურვილით აღვხილნი ვახტანგ VI-ის და მისი სამეფოს განადგურებისათვის ემზადებოდნენ.

პირველი, ვინც იარაღი აღმართა ქართლის სამეფოზე, იყო კახეთის მეფე კონსტანტინე II, რომელმაც თავისი მოქმედება შაჰ-თამაზთან შეათანხმა. მის შესახებ ვახტანგ მეფემ პეტრე I-ს მოუთხრო 1723 წლის 10 მაისს გაგზავნილ წერილში: მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე განჯას გაეშურა იმპერატორთან შესახვედრად, კახო ბატონი მტრად აგვიდგაო. კონსტანტინემ შაჰს მისწერა, ვახტანგს „დიდი კელმწივე მოჟყავხო“. შაჰმა კონსტანტინეს ერევნის ხანობა და სხვა სამფლობელოებიც უბოძა და ვახტანგის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ოსმალეთის სულთანმაც არზრუმის ფაშას იგივე დავალება მისცა. არზრუმის ფაშა ქართლის საზღვარზე დადგა და ვახტანგს შეუთვალა: „გვეუმეო“, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ სულთანმა ფაშას უბრძანა „წაახდინეო“. შაჰი და სულთანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ პირველი დაბრტყამდა ქართლის სამეფოს. თავდაპირველად შაჰმა იმარჯვა და ქართლი კახეთის მეფე კონსტანტინეს მისცა. მანაც არ დააყოვნა და ყიზილბაშთა ჯარით ავლაბარში შევიდა. ვახტანგმა ქართლის ჯარი შეჰყარა და კონსტანტინეს ებრძოდა. რა დაინახეს ოსმალებმა ვახტანგის გაჭირვება, შეუთვალეს: „თუ არ გვეუმობოთ, ჩვენ აქვთამ მოვალოთ“. რუსეთი იგიანებდა. ორ მცერს შორის მოქცეული ქართლი დიდხანს გერგაუძლებდა და ვახტანგმა ოსმალეთის ყმობა არჩია. მაგრამ ქართლის მეფის ვარაუდით ეს დროებითი, თავის გადარჩენის საშუალება იყო, თავი უნდა გადაერჩინა მანამდე ვიდრე რუსები მოვიდოდნენ, როგორც ის ფიქრობდა. „თუ არა და მაღლი ღმერთსა, რაცა გვჭირს, ყველა ჩვენის ცოდვით არის“-ო<sup>1</sup>, წერდა ვახტანგ მეფე რუსთ ხელმწიფეს.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 147-148.

პეტრე I-მა, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება გაანალიზა, დარწმუნდა, რომ რუსეთი ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით არ იყო მზად სერიოზული საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად.

ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „იმ დროს რუსეთი ირანისადმი მხოლოდ იმ ეკონომიკური გამორჩენის თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომელიც პეტრე I მხოლოდ თეორიულად, გეგმის მიხედვით ეხატებოდა. მაშინ რუსეთს იმდენად მოჭარბებული ძალობრე არ პქონდა, რომ მისთვის ირანის ბაზარი სააღებმიცემო ასპარეზად აუცილებლად საჭირო ყოფილიყო. ირანში იგი თავის მრეწველობის ნაწარმოების გასაღებისათვის კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის საგაჭრო მოქმედების გეგმა მხოლოდ უბრალო შეაძალობაზე იყო აგებული<sup>1</sup>.

აფასებდა რა ზოგადად რუსეთის ურთიერთობას კავკასიის ხალხებთან, ა. ფადუევი წერდა: „რუს მეფეებს, რომლებიც ზრუნავდნენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოებაზე კასპიისპირეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში პქონდათ თავისი ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლევამოხილების განმტკიცება და არა მცირე ხალხების დაცვა თურქეთსა და ირანს კქსპანიისაგან<sup>2</sup>.

1723 წელს, როდესაც რუსეთის ჯარმა კვლავ დაიწყო აქტიური მოქმედება, პარალელურად განახლეს წმ. ჯვრის მშენებლობა, გაამაგრეს დერბენტი, გილანი, შტურმით აიდეს ბაქო, დაიკავეს სელიანი, რეშტი და ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები დაკავებულ ტერიტორიაზე.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, V, თბილისი, 2012, გვ. 66.

<sup>2</sup> ფადეევ ა. ვ., *Россия и Кавказ первой трети XIX в., Москва, 1961, с. 17.*

1723 წლის 18, 19 და 20 აპრილს პეტრემ ვახტანგს წერილები გაუგზავნა გვარდიის კაპიტან ბასკაკოვის ხელით. მას დავალებული ჰქონდა, აგრეთვე, საომარი ოპერაციების წარმოება საქართველოში. გენერალ-მაიორ მატიუშკინს კი ებრძანა ვახტანგისათვის გაეგზავნა ჯარის ნაწილი ბასკაკოვის მეთაურობით.

იმავე წლის 7 ნოემბერს ხელმწიფემ მისწერა ვოლინსკის, რომ მას უკელაფრით უზრუნველყო საქართველოში გასაგზავნი 2 ათასი ჯარისკაცი, იმ რაზმის გარდა, რომლიც მიღიოდა ბასკაკოვთან ერთად. უცნობია, რატომ ვერ განხორციელდა პეტრეს განზრახვა. ის კი ცნობილია, რომ ბასკაკოვი 1724 წლის 29 მაისს უკვე რუსეთში იმყოფებოდა. ერთი ვარაუდით, განზრახვის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ამ დროს ვახტანგი გაძევებული იყო ქართლიდან<sup>1</sup>.

ვახტანგმა 1723 წლის 15 მაისს იმპერატორ პეტრეს ერთი ძალიან მოკლე წერილი გაუგზავნა, რომელშიც ჩივის იმის გამო, რომ „ახლა ჩვენი ცოდვისაგან ერთი ანაზღი რისხვა მოგვევლინა“, რომლის შესახებ ტოლსტოიმ და თურქესტანიშვილმა იცოდნენ, მევე კი თავს იკავებს მასზე საუბრისგან, ერთს კი დაასკვნის, რომ თუ იმპერატორი არ დაგვეხმარება, „ჩვენი ქვეყანაცა და ჩვენცა საეჭველი არ არის საუკულოდ გახდება“<sup>2</sup>.

ძალზე საინტერესოა თვით ვახტანგ მეფის მიერ შეფასებულ ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მას შემდეგ, რაც პეტრემ და მისმა ჯარმა დატოვა კასპიისპირეთი და უკან, რუსეთში გაბრუნდა. ვახტანგი იმპერატორის უახლოესი მრჩეველს მახლობელი აღმოსავლეთის საქმეებში არტემ ვოლინსკის თავის მოკლე წერილში (24. 05.

<sup>1</sup> Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч.

I, c 51-52.

<sup>2</sup> Тамже, с. 149-150.

1723), რომელიც ივანე ანდრია შვილის ხელით გაუგზავნა, ქართლის მდგომარეობას შემდეგნაირად აღწერს: „არტემი პეტრე შვილო: ქ დიდებულო და პატიოსანო ძმაო, ბატონო... მერმე, ეს მოგახსენო ჩვენი ხატე. კახმა ბატონმა ყენს დამა- ბეზღა და ხვანოქარსაც, ამათ ორთავ. დიდის პელმწიფის გა- მოსვლა და ჩემგან მაგათის სამსახურის მონდომება. ამაზედ ორნივ გაგვიწყრენ და ჯარი გამოგვიხვეხ. ჩვენ რადგან ამთონის მეზობლებისა დიდის პელმწიფების ბოლო ვეღარ შევიძლით და ხონთქარს უთხარით. „გვემობითო!“ სანამდი სტამბოლის ამბავი მომივიდეს, ეგება, მაგათი (რუსეთის ჯა- რის – ე.მ.) გამობრწყინება გველირსოს: წვრილად აქაურს ამბავს პატიოსანი ივანე ანდრია შვილი მოგახსენებსო. ახლა, თქვენის მთბისაგან და მოწყალებისაგან მოველით, დიდმა პელმწიფემ არ დაგვაგდოს და არ უგულებელს გვეოს, ამ- თენს მოგვეხმაროს. აქამდი რომ ფოცხვირის ჭანგისგან გამ- ობგეხნას ვეხვეწვებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგ- დონ. თუ ამთონს ქრისტიანობას უპატრონებო რასმე – კარ- გია, თუ არა ნება თქვენია<sup>1</sup>. ეს იყო ვახტანგ მეფის მიერ ა. ვოლინსკისადმი გაგზავნილი უკანასკნელი წერილი.

ასტრახანში მიბრუნებულმა პეტრე I-მა ვახტანგ მეფეს- თან მოლაპარაკება პოდპორუჩქ ივანე ტოლსტოის დაავალა. ზემოთ ციტირებული წერილი ვახტანგმა თოქმის უცვლელად გაუგზავნა ტოლსტოისაც<sup>2</sup>.

როგორც ჩანს ტოლსტოი და თურქესტანიშვილი მოწმე- ნი იყვნენ იმ კრიზისული პოლიტიკური მდგომარეობისა, რო- მელიც ქართლის სამფოში შეიქმნა, ერთდროულად სამი მტრულად განწყობილი ძალის შეტევის შედეგად. ამჯერადაც პირველმა კახო ბატონმა კონსტანტინე II-მ დაიწყო ქართლზე შეტევა. ვახტანგს შაპის ბრძანებით თბილისში მყოფი ყიზილ- ბაშთა ჯარი აუჯანყდა და მხარი დაუჭირა კონსტანტინეს. ეს

<sup>1</sup> Тамже, с. 149.

<sup>2</sup> Там же, с. 149-150.

უკანასკნელი თბილისს მიადგა თავისი ჯარით, რომელშიც დაქირავებული ლეკებიც იყვნენ. კონსტანტინეს ეხმარებოდნენ, აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანები. ამავე დროს ვახტანგს ულტიმატუმი წაუყენა ოსმალეთის სულთნის დავალებით, არზრუმის ფაშამ, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა სულთნის ქაეშევრდომობა ეღიარებინა<sup>1</sup>. ეს უნდა ყოფილიყო იმ „რისხვის მოვლინება“, რომლის შესახებაც ვახტანგი პეტრეს სწერდა 15 მაისის წერილში.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინებ თბილისი აიღო. ვახტანგი ცხინვალში გაიხიზნა, სადაც დარბაზი მოიწვია პოლიტიკური არჩევანის გადასაწყვეტად. დარბაზის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ოსმალეთის სახელმწიფოს მოთხოვნას, რაც ქართლში სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების საშუალება იქნებოდა. დარბაზის სხდომას ესწრებოდნენ პეტრე I-ის წარმომადგენლები – ტოლსტოი და თურქებისტანიშვილი. ისინი მოითხოვდნენ დალოდებოდნენ რუსეთის ჯარის ჩამოსვლას. როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციაში ვახტანგმა სხვა გზა ვერ გამონახა და იძულებული გახდა რეალურად შეეფასებინა ოსმალების შემონათვალი: „თუ არ გვკეთიო, ჩვენ აქვთან მოვალით“ – ასე აუხსნა ვახტანგმა პეტრეს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი: დაეტოვებინა თავის სამეფო და რუსეთში ეძებნა თავშესაფარი.

გვაქს ვახტანგ მეფის კიდევ ერთი წერლი, რომელიც მას საკუთარი ხელით დაუწერია. იგი გადმგვცემს თავის ჯარითურ მტკვრის პირას დგომას და პეტრეს ჩამოსვლის იმედით უაზრო ლოდინს. ვახტანგი ფიქრობს, რომ ის, რაც ამ სამხედრო ღონისძიებასთან იყო დაკავშირებული აგებული იყო სიცრუეზე. ვახტანგი უველავერ იმაში, რაც მას კასპიისპირეთში კამპანიის დროს გადახდა, მთავარ დამნაშავედ თოთქოს მიაჩნდა ბაადურ თურქესტანიშვილი, რომელიც არა-

<sup>1</sup> პაიჭაძე გ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური ჯავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში, გვ. 419-420.

სწორ ინფორმაციას აწვდიდა მას. ვახტანგი ბაადურს საყვედურობს: „თქვენი ანბავი კერა გაგვიგია, რა ქენით, რა, შენ ხომ კარგად იცი ქართველი კაცი ამდენის ხნის ლაშ-ქრობას კერ გასძლებს. ნუზღო შემოაკლდების და შესწუბ-დებიან. რა ქენით, რატომ ერთი თქვენი ანბავი არა გვა-ცოდინეთ რა. ამას უვადეთ თქვენი ანბავი ერთი რომ გვაცო-დინოთ, მართალი რომ შეგვატყობინეთ. პელმწიფე წამობ-რძანდების. რა ახე თხერივით კერივართ, რაც გვატყევ ის გემოფის, მართალი ამბავი მოგვწერეთ“<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, ბა-ადურის მიმართ გამოთქმული საყვედური უფრო რუსეთის იმპერატორს ეკუთვნოდა.

ვფიქრობ, ვახტანგ მეფეს უჭვი ჰქონდა, რომ რუსეთი მის ზურგსუკან ოსმალეთთან რაღაც გარიგებაზე მიდიოდა. ამ ეჭვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ბაადურ თურქესტა-ნიშვილისათვის მიწერილი შემდეგი სიტყვები: „ჩვენ რომ გან-ჯის კარაბადში ჩამოგეულ ვარ, ის მეხამე კაცი არის, რომ გამოვგზავნეთ... თქვენი ანბავი კერა გაგვიგია“<sup>2</sup>. ეს სიტყვები არის რეაქცია პეტრე დიდის მოთხოვნაზე, რომ ვახტანგს 1723 წლის ზაფხულამდე დაეცადა განჯაში, მანამდე კი რუსთ ხელმწიფე კახეპისაპირეთში დაბრუნდებოდა ლაშქრობის გან-საახლებლად<sup>3</sup>. საქმე ისაა, რომ ამ დროს პეტრესთვის ცნო-ბილი იყო, თურქეთი აღმოსავლეთ საქართველოში შესაჭრე-ლად რომ ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1722 წლის 13 სექტემბერს ი. ი. ნეპლიუევი იტყობინებოდა, რომ სულთანმა თავის ქვე-შევრდომად მიიღო დაუდ-ხანი, რომელიც ჯერ ირანის საქარ-თველოს დაუფლებოდა, შემდეგ კი რუსები გააძევებინა დაღვ-სტინიდან<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 155

<sup>2</sup> Лысцов В. П., Персидский поход Петра I. 1722-1723, Москва, 1951, с. 213.

<sup>3</sup> Соловьев С. М. История России, кн. 9, т. 18, с. 394

1722 წლის 12 ოქტომბერს სტამბოლში რუსეთის წარმომადგენელი ივანე ნეპლიუეგვს, რომელიც 1720-1734 წლებში იყო რუსეთის რეზიდენტი, განუცხადეს, რომ ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ქართლის ოკუპაციის მიზნით 50 ათასიანი არმიის შეუვანა და თბილისის დაკავება<sup>1</sup>. ასეთი მოლოდინი ქართულ მხარეს ისედაც უნდა ქონებოდა. ოსმალეთის სხვადასხვა რანგის წარმომადგენლები, როგორც ვახტანგ მეფის წერილებიდან ჩანს, ამგვარ გაფრთხილებებს და მუქარას ყოველთვის გამოჰქმდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ირანის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო ოპერაციების წარმოების შესახებ<sup>2</sup>. ოსმალეთის დამოკიდებულება ვახტანგ VI-ისადმი კარგად ჩანს არზრუმის სერასკირის იბრაჟიმ-ფაშას მიერ დერბენდში რუსეთის ჯარის სარდლობისათვის გაგზავნილ წერილში: „... ახლა თბილისის ხანმა ... თავისი ეშმაკური და ფუჭი მოქმედებით თქვენზე დაიმედებულმა მოგიწოდათ ახტახანიდან დაღესტანში მოსულიყავთ, სადაც თქვენ დაიკავეთ დერბენზი. ახლა კი თბილისის ხანი (ვახტანგ VI-რ.გ.) ჩვენს წარმომადგენელს აცნობებს, რომ მისი უდიდებულებელი (პეტერ I-რ.გ.) ირანის შაპს სოხოვდა ქალაქებს შირვანს, განჯას და გილანს, მას ხანს (ვახტანგ VI-რ.გ.) ამის აკრძალვა არ შეეძლო... შირვანის მცხოვრები, კი მაშადის რჯულის მიმდევარნი არიან და მვარგელობას სოხოვებ სულთნის ხელისუფლებას...“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Лысцов В. П., Персидский поход Петра I. 1722-1723, с. 223.

<sup>2</sup> იხ. ვახტანგ მეფის წერილი პეტერ I-ს. Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 гг., с. 155

<sup>3</sup> ციტირებულია: გოგოლაური რ., ჩრდილო კავკასია-სამცხე-ჯავახთის ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII საუკუნეებში, ახალციხე-თბილისი, 2016, გვ. 30.

სერასკირის წერილი ფრიად საინტერესოა. იქიდან ისე მოჩანს, რომ ვახტანგი ორმაგ პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა. ერთსა და იმავე ღროს რუსეთს გაატიქებოდა ირანის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი ოსმალეთის ინგერესს იცავდა. საფიქრებელია, რომ სერასკირი სიმართლეს არ ამბობდა, მისი მიზანი იყო ბზარი შეეტანა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ვახტანგ მეფე მთლიანად პეტრე I-ზე იყო მინდობილი. კარგი იქნებოდა, რომ მართლაც ისეთი ყოფილიყო ვახტანგ მეფის დიპლომატია, როგორსაც სერასკირი აგვიწერს.

ვახტანგ მეფე, ვიდრე რუსეთის იმედი ჰქონდა, პრინციპულად რომ არ უნდოდა ოსმალებთან ურთიერთობა, ჩანს კიდევ ერთი ცნობიდან, რომელიც ისევ დაკავშირებულია არზერუმის ფაშასთან. ფაშამ ვახტანგს შეუთვალა, რომ სულთანს განზრახული ჰქონდა ირანის წინააღმდეგ ომი. თუ ვახტანგი სულთნის მხარეს გადავიდოდა და მის მფარველობაში შევიდოდა, სამაგიეროდ სულთანი მას მთელი საქართველოს გადაცემას პპირდებოდა. ვახტანგმა უარყო ეს წინადადება იმ მოტივით, რომ ირანის შაჰს ვერ უდალატებდა<sup>1</sup>.

პეტრე დიდს რომ საქართველო მხოლოდ ირანის წინააღმდეგ და დასახელებული ადგილების დასაპყრობად ჭირდებოდა, გამოჩნდა 1724 წლის რუსეთ-თურქეთის შეთანხმების დროს. შეთანხმება იმდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათ-

<sup>1</sup> Соловьев С. История России с древнейших времен, в пятнадцати книгах, IX, Москва, 1963, с. 405; პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბილისი, 1960, გვ. 91-92; პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებანი, გვ. 86. მ. პაპაშვილის ეს მონოგრაფია გამოიცემდება წერტილებით, ლიტერატურითა და გამოთქმული მოსაზრებებით, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობის შესახვავლად, იხ. გვ. 58-94.

ვის, რომ ჩნდება ეჭვი, რუსეთის ხელისუფლება ოსმალეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით მოწადინებული იყო ვახტანგ მეფე, არც თუ მცირე ჯარით, მოშორებოდა თავის სამეფოს. ეჭვი რომ უსაფუძღლო არ არის, იქიდან ჩანს, რომ იმ დროს, როდესაც პეტრე განჯაში მყოფ ვახტანგს თხოვს შემდეგი წლის ზაფხულამდე დაელოდოს მის დაბრუნებას და ერთობლივად შეუტიონ ირანს, ამ დროს რუსი დიპლომატები ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და სხვა ტერიტორიების განაწილების შესახებ. ასეთ ვითარებაში მეტად გასაოცრად გამოიყურება რუსთა იმპერატორის საომარი მოწოდება ქართლის მეფისადმი. ეს აშკარად ნიშნავდა ომის პროვოცირებას თურქეთ-საქართველოს შორის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგმა მხოლოდ მაშინ დაინახა ის დიდი საფრთხე, რომელიც ქართლს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან, როდესაც მიიღო ცნობა პეტრეს ასტრახანში დაბრუნების შესახებ. პეტრეს ამგვარი გადაწყვეტილების გამართლება იმ სხვადასხვა მიზნით, რომელსაც ისტორიკოსები ასახელებენ (სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა, რუსეთის გემების დაღუპვა კასპიის ზღვაში დელვის გამო, ჯარში ეპიდემიის გავრცელება...) გამართლება არ შეიძლება. როგორც ო. პ. მარკოვა აღნიშნავდა, პეტრეს კავკასიიდან წასვლის მიზეზი იყო ოსმალეთთან ომის თავიდან აცილება<sup>1</sup>.

ოსმალეთის ხელისუფლების მკაცრი პოზიცია გამოავლინა რუსების ბანაკში მისულმა სულთნის წარმომადგენელმა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის არმიის

<sup>1</sup> Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения, Москва, 1966, с. 27.

შემდგომი წინსვლა კავკასიაში სულთნის კარზე განიხილებოდა როგორც რუსეთისათვის ომის გამოცხადების მიზეზი<sup>1</sup>.

პეტრე I-მა ჯარის ერთი ნაწილი დატოვა კავკასიაში გუნერალ ა. მატიუშკინის მეთაურობით და 29 სექტემბერს ძირითადი ძალებით დაბრუნდა ასტრახანში.

ოსმალეთის პოლიტიკას კავკასიაში აქტიურად უჭერდნენ მხარს ინგლისი და ავსტრია. მათ სურდათ გაჩადებულიყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი. მათი წარმომადგენლები სტამბოლში ჩაგონებდნენ სულთნის მინისტრებს, რომ პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში იყო რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის დასაწყისი.

1722 წლის მეორე ნახევარში სტაბოლში ვრცელდებოდა სხვადასხვა ხები: რუსეთის ჯარის სასწრაფოდ გაყვანა კავკასიიდან გამოწვეული იყო რუსეთის მარცხით; პეტრე I საიდუმლოდ ჩავიდა საქართველოში და მიტროპოლიტან აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთის არმიის მიერ მთელი საქართველოს ოკუპაციის შესახებ და სხვ. პორტა იყენებდა ყოველგვარ საშუალებას, კერძოდ, ინტრიგას, დეზინფორმაციას, მოსყიდვას, ირანელების რუსების წინააღმდეგ წაქეზებას. საქართველოს „დაცვის“ საბაბით სერასკერ იბრაჟიმ-ფაშას გაუგზავნეს დამატებითი ძალები, რათა მორჩილებაში ყოლოდათ საქართველოს ხანი, თუნდაც მას თავისი თავი დაეყენებინა რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ<sup>2</sup>.

1722 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში იბრაჟიმ ფაშამ მიიღო ბრძანება 50-ათასიანი ჯარით შესულიყო ქართლში და დაქმორჩილებინა ვახტანგ VI, შემდეგ კი არზერუმის ფაშა 20-ათასიანი ჯარით უნდა შესულიყო დაღესტანში, რათა რუსეთის ჯარის წინსვლა შეეჩერებინა.

<sup>1</sup> Сотавов Н.А., *Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях в XVIII в.* <http://kumukia.ru/books/0002/pages/page14>.

<sup>2</sup> Shaw Lucile M., *The Ottoman Empire from 1720 to 1734. Illinois, 1944, p. 96.*

დაძაბულობის განმუხტვას ვერ უშველა საფრანგეთის ელჩის დე ბონიაკის შუამავლობამ. პორტა ცდილობდა დაეცვა თავისი „უფლება“ სომხეთზე, საქართველოზე, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაზე. მან დაიწყო დასახელებული ქვეყნების პირდაპირი დაპყრობა.

ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ოურქმა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევარმა ახმედ ჯევდეტ-ფაშამ თავის 12-ტომიან „ოსმალეთის ისტორიაში“, რომლიდანაც რუსულად ითარგმნა და 1888 წელს გამოქვეყნდა ის ადგილები, რომლებიც ეხებოდა კავკასიას<sup>1</sup>. როგორც ოსმალო მკვლევარი აღნიშნავდა, სულთანმა აქმად III-მ (1703-1730) იჩქარა დაუფლებოდა გურჯისტანის დედაქალაქ თბილისს, შემახაში, შირვანის მთავარ ქალაქში დასვა გამგებელი, ააშენა ქალაქ ფაშის (ფაზისი, ფოთი) ციხესიმაგრე შავი ზღვის ნაპირზე, გაგზავნა მოხელეები და ინჟინერები მათ აღსაწერად. ამგვარად მან იქიდან გახსნა გზა თბილისისაკენ და გააიოლა მისი და დაღესტნის მომარაგება იარაღით, რომელიც ფლოგს მოჰკონდა ფაშში<sup>2</sup>.

ნოემბრის ბოლოს ოსმალეთის მთავრობამ მოითხოვა რუსეთს გაეყვანა კავკასიაში დარჩენილი ჯარი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Джевдемет-паша, Описание событий в Грузии и Черкесии, по отношению к оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджры (1775-1784 гг.) // Переведен с турецкого. «Русский архив», 1888, 3, (с. 369-392), с. 312. ცნობილია შემდეგი სათაურომ: Описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год Хиджры (1775-1784).

<sup>2</sup> Там же, с. 372; Сотавов Н.А., Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях в XVIII в. <http://kumukia.ru/books/0002-pages/page14>.

<sup>3</sup> Мельгунов Г.В. Поход Петра Великого в Персию. 1728 год // История, география и этнография Дагестана XVIII–XIX вв., Москва,

1723 წლის 15 თებერვალს ნეპლიუევი პეტრე პირველს სწერდა, რომ სულთანი ითხოვდა რუსეთს ხელი აედო და-დასტანზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ თავის საომარ შე-საძლებლობებს გამოიყენებდა კავკასიის ქვეყნების დასაცა-ვად ამ გაზაფხულზე<sup>1</sup>.

რაც დრო გადიოდა ოსმალეთი მით უფრო აგრესიული ხდებოდა

ვახტანგ მეფე ჩაშლილ ერთობლივ ლაშქრობას თითქოს შევაჭა, მაგრამ, როცა პეტრეს ჯარი სთხოვა ოსმალების ქართლში შემოჭრის აღსაკვეთად, იმპერატორისაგან უარი მი-იღო.

ცარიზმის დროინდელი ისტორიკოსებიც კი, ზოგჯერ ცდილობდნენ თბიექტურნი ყოფილიყვნენ პეტრეს საქართვე-ლოსთან ურთიერთობის შეფასებისას. პ. ბუტკოვი აღნიშნავ-და, რომ პეტრემ ვიდრე ამიერკავკასიაში ვახტანგის მხარდა-ჭერა სჭირდებოდა, მას მრავალი დაპირება მისცა, რომ დაეხ-მარებოდა მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მან ისე მიატოვა ირანთან და ოსმალეთან დაპირის-პირებული ვახტანგი, რომ არც კი დაფიქრებულა როგორი დამდუპველი შედეგით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ყოვე-ლივე მის მიერ ავანტიურაში ჩათრებული ქართლის სამეფოსა-თვის<sup>2</sup>.

1723 წლის სექტემბერში ირანთან გაფორმებული კ. წ. პეტერბურგის ხელშეკრულებით რუსეთს „მუდმივ“ მფლობე-ლობაში დარჩა დერბენდი, ბაქო და მისი მიმდებარე კასპი-

---

1958, с. 193; Козубский Е. И., История города Дербента. – Темирхан-Шура, 1906, с. 72.

<sup>1</sup> Сотавов Н.А., Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях в XVIII в. <http://kumukia.ru/books/0002/pages/page14>.

<sup>2</sup> Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. I, СПБ, 1869, с. 29-30.

ისპირა ტერიტორიები. რუსეთმა ირანს აღუთქვა დახმარება მისი მტრების წინააღმდეგ.

რუსეთ-ირანის ხელშეკრულებამ გამოიწვია ოსმალეთის გაძტიურება. მისი სამხედრო მოქმედება ამიერკავკასიაში განახლდა 1723 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი არმია გავიდა თბილისიდან დაუდ-ბეგთან შესაერთებლად, მაგრამ განადგურებულ იქნა სომები, ქართველი და დაღესტნებელი აჯანყებულების მიერ. უკანდახეულ თურქებს თავს დაესხნენ კახეთის მეფის და დაღესტნების ჯარი და იძულებული გახდეს დაეხიათ ქართლისკენ<sup>1</sup>.

ოსმალეთს დარჩა საქართველო (თბილისი), სომხეთი (ერევანი), აზერბაიჯანი (შემახა და თავრიზი) და ჩრდილო ირანი ყაზვინთან ერთად<sup>2</sup>.

თურქებმა ქართლში ვახტანგის მმა იქნება გაამეფებ. ვახტანგმა დაკარგა თავის სამეფოში დაბრუნების იმედი და გადაწყვიტა თავი შეეფარებინა რუსეთში. 1724 წლის ივლისში ვახტანგი 1200-კაციანი ამალით ჩავიდა ცხინვალში, გაიარა რაჭა, მამისონის უდელტეხილი, დიგორი, ჩერქეზეთი, დიდი ყაბარდო, ჯვრის ციხე, ასტრახანი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Абрамян Г. Документы из истории совместной борьбы народов Закавказья против турецких захватчиков в первой четверти XVIII в. // Инженерно-физический журнал, 1964, №2 (25), с. 252.

<sup>2</sup> Лысцов В. П., Персидский поход Петра I. 1722-1723, Москва, 1951; Большая Советская Энциклопедия, т. 22, Москва, 1975, с. 423.

<sup>3</sup> ვახტანგთან ერთად რუსეთში გაემგზავრა: 5 არქიელი, 5 არქიმანდრიტი, 6 იღუმენი, 1 დეკანოზი, 1 არქიდიაკონი, 1 პროტოდიაკონი, 8 ლვდელი, 7 დიაკონი, 3 იპოდიაკონი, 3 უკლესიის მსახური, 2 ბერი, მასთან ერთად და მის შემდეგ 1738 წლამდე გაემგზავრა 43 თავადი და აზნაური. მათ შორის იყვნენ: თავადი ლიმიტრი ორბელიანი, თავადი ნოდარ ბარათაშვილი, თავადები მამუკა და შიოშ ჯავახიშვილები, დიმიტრი შალიგაშვილი, მამუკა დავითაშვილი, მელვინდეკ (მელქისედეკ?) ბარათაშვილი, ვახტანგ თურქესტანი-

თურქების ექსპანსიამ საქართველოში წარმოშვა დღო-  
ლვილები, რომლებიც სხვადასხვა მხარეში გადასახლდნენ.  
ქართველთა ერთი ასეთი დასახლება შეიქმნა დადგესტანში.  
სადაც მათ თავიანთი მონასტერიც კი დაარსეს<sup>1</sup>.

ვახტანგ მეფის ამალის დიდი ნაწილი ასტრახანში დარ-  
ჩა, თვითონ კი, 80 კაცის თანხლებით მოსკოვისკენ გაეშურა.

ჯევდეთ-ფაშა, იხილავდა რა კავკასიაში შექმნილ სიტუ-  
აციას რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებისას XVIII ს. პირ-  
ველ მესამედში, წერდა: „ამ არჯელობის დროს რუსეთმა აჯე-  
მის მიწაზე დაიპყრო დემირ-კაპუჭ<sup>2</sup>. უკანასკნელ ხანს (რუსებ-  
ის მიერ – ე.მ.) შაჰ-თამაზთან დადგებული სამშეიდობო ხელ-  
შეკრულებით დათმობილ იქნა დერბენის ციხე, ბაქო და  
გილანის პროვინცია, ძახანდარანი და ასტრაბადი. მაგრამ რადგან იმ მხარეებში რუსების დაბინავება ეწინააღმდეგე-  
ბოდა (ოსმალეთის – ე. მ.) უმაღლესი ხელისუფლების ინტერე-  
სებს... უმაღლესმა ხელისუფლებამ სულტან აშმედის დროს...  
იჩქარა დაუფლებოდა გურჯისთანს თბილისითურთ, თავისი  
სახელით დასხვა გამგებელი შემახაში, შირვანის ოლქის მთა-  
ვარ ქალაქში და ააშენა რა ფაში<sup>3</sup> შავი ზღვის ნაპირზე, და-  
სახელებული ადგილების აღსაწერად გაგ ზავნეს ჩინოვნიკები

---

შვილი, სალაგოვები (?), ხერხეულიძეები, ამილახვრები (იგორ ვა-  
სილის ძე, სამამულე კოლეგიის პრეზიდენტი, გარდ. 55 წლისა  
მოსკოვში; ევგენი ვასილის ძე, მოსკოვის სამოქალაქო პალატის  
თავმჯდომარე, გარდ. 65 წლისა მოსკოვში; ევგენი პოტაპის ძე,  
გენერალ-მაიორი, გარდ. 1767 წელს). აზნაურები: ბორის ეგოროვი  
(?), გაბრიელ და ივანე მაჭავარიანები, მიხეილ და მათე ჩხეიძეები,  
დავით თუხარელი. *Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, с. 65;* პაიჭაძე გ., *რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 206-233.*

<sup>1</sup> *Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, с. 57.*

<sup>2</sup> დერბენი.

<sup>3</sup> ფაზისი, ფოთო.

და ინჯინერები. (ვაშიდან – ემ.) გაიხსნა გზა თბილისისაკენ  
და ამით გააღვიძლდა თბილისისა და დაღებტანის მომარაგება  
იარაღით, რომელიც გემებით მიჰქონდათ ვაშიში<sup>1</sup>.

1724 წლის 12(23) ივნისს სტამბოლში ხელი მოეწერა  
რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებას კავკასიის გავლენის სფერო-  
ებად გაყოფის შესახებ. ოსმალეთმა რუსეთის კუთვნილებად  
სცნო ის ოლქები, რომლებიც ირანმა გადასცა პეტერბურგის  
ხელშეგრულების მიხედვით, ასევე შირვანის ზღვის სანაპირო  
ზოლის ორი მესამედი და სხვ. ოსმალეთის იმპერიას გა-  
დაეცა ირანის იმპერიის ყოფილი ტერიტორიები აზერბაიჯან-  
ში (არდებილის გარეშე), საქართველო, სომხეთი და ირანის  
დასავლეთი ტერიტორიების ნაწილი. შეთანხმებით რუსეთმა  
შეინარჩუნა კასპიისპირეთის დასავლეთი და სამხრეთი ტერი-  
ტორიები<sup>2</sup>.

ამ დროს სრულად გამოჩნდა პეტრე I-ის უდიერი დამო-  
კიდებულება მის მიერ გაუბედურებული გახტანგ მეფის მი-  
მართ.

ვახტანგმა თავისი გადაწყვეტილება რუსეთში გადასახ-  
ლების შესახებ აცნობა ასტრახანის გუბერნატორ ა. ვო-  
ლინსკის, რომელმაც დაუყოფნებლივ შეატყობინა პეტრეს და  
არც ის დაუმალა, რომ ვახტანგს იმპერატორის სახელით  
აღუთქვა, რომ მას და მის ოჯახს შესაფერისი პატივით  
მიიღებდა ასტრახანში. ქართველი მეფისათვის ამგვარი ნე-  
ბართვის მიცემით განრისხებულმა პეტრემ, განაცხადა, რომ  
„მიუხედავად იმისა, რომ მეფე გაჭირვებაშია, მაინც ამავად  
იქცევა“. ხელმწიფეს უნდოდა ვახტანგი დასახლებულიყო წმ.  
ჯვრის ციხე-სიმაგრეში<sup>3</sup>, ან სადმე რუსეთ-საქართველოს საზ-

<sup>1</sup> Джевдем-паша, История Турции, с. 312.

<sup>2</sup> Сборник Императорского Русского Исторического Общества, СПб., 1886, т. 52, с. 19 – 29.

<sup>3</sup> 1722 წლის ზაფხულის კამპანიის დროს პეტრე I-მა მდინარე  
კოისუხა მარცხენა ნაპირზე დაიწყო წმ. ჯვრის ციხე-სიმაგრის მშე-

დვარზე. მაგრამ რადგან უხერხულობა იქმნებოდა იმის გამო, რომ ა. ვოლინსკის იმპერატორის სახელით მიცემული პქონდა პირობა ვახტანგისათვის და იმის გამოც, რომ ვახტანგის დამ, იმერეთის დედოფალმა ეკატერინე დავითის ასულმა, არჩილის მეუღლემ, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, მისწერა პეტრეს ვახტანგის უბედურების შესახებ. ამის შემდეგ ის იძულებული გახდა მიეწერა მეფისათვის წერილი, რომელიც გაატანა თურქებანოვსა და დავით ნაზაროვს, რომ უფლებას აძლევდა ჩასულიყო რუსეთში და იმასაც დაპირდა, რომ ეთველთვის იქნებოდა ხელმწიფის წყალობის ქვეშ<sup>1</sup>.

**„პასუხი იმპერატრიცა ეკატერინე I-ის სახელით  
საქართველოს მმართველის პუსეინ-უული-ხანის  
[ვახტანგ VI] მოსაზრებებზე“<sup>2</sup>**

ეს არის ვახტანგ მეფის მოსაზრებები დაწერილი თურქულ ენაზე არაბული ანბანით. გაუგებარია რატომ მოიხსენიება იგი იმ სახელით, რომელიც მას ირანში შეარქვეს გამუსლიმანების შემდეგ. ძნელია დაჯერება, რომ ვახტანგ მეფე პეტრებურგში გაგზავნიდა თურქულად შედგენილ წერილს, მაშინ როდესაც ის უკვე რუსეთში იმყოფებოდა, დაეწერა თურქულად და საკუთარი თავი კი მუსლიმანური სახელით მოეხსენიებინა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ებატერინეს სახელით დაწერილი მემორანდუმში, პეტრე I-ისა და ეკატერენე

---

ნებლობა, რომელიც დამთავრდა 1724 წელს. ეს ციხე უნდა გადაქცეულიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების დასაყრდენად დაღუსტანში. ნადირ შაჰის ბრძანებით ის დაანგრიეს და მის ნაცვლად ძღვრებულ იქნა ყოზლარის ციხე.

<sup>1</sup> Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, с. 63.

<sup>2</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770, с. 183-189.

I-ის ვახტანგ მეფესთან ურთიერთობის მთელი პერიოდი, ქართლის მეფის დიპლომატიისა და მოქმედების უარყოფითი შეფასებაა. რადგან ვახტანგ მეფე არ ეთანხმებოდა რუსეთის მთავრობის მთელ რიგ მოთხოვნებს და გულმოღვინედ იცავდა საკუთარ თავს, სამეფოსა და ქვეშევრდომებს, რაც, როგორც მემორანდუმში გამუდაგნებული დამცინავი ტონიდან ჩანს, ძლიერ აღიზიანებდა ეკატერინესა და მის მთავრობას.

წერილი შედგება ორი ნაწილისაგან: ა) ვახტანგ მეფის წერილი ეკატერინე I-ს და ბ) ეკატერინე I-ის მთავრობის პასუხი ვახტანგ მეფეს.

ვახტანგ VI თავის წერილში ცდილობდა შეეფასებინა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII ს. 20-ანი წლების პირველ ნახევარში. მემორანდუმის შექმნის წინაპირობა იყო ვახტანგ VI-ის მიერ 1725 წლის 29 ივნისს რუსეთის მთავრობისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები პეტრე I-ისა და ეკატერინე I-ის მეფობის პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ:

1. რუსეთს ყველა ღონე უნდა ეხმარა, გაეთავისუფლებინა საქართველო ოსამლებისაგან და ამის შანსი არსებობდა. ვახტანგი თავის ამ მოსაზრებას გამოსთქვამს იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნა კასპიისპირეთში პეტრეს ლაშქრობის დაწყების წინ და მის დროს. ამ მოთხოვნას მეფე აფუნქნებდა იმ თავდასხმის შიშჩე, რომელსაც ოსმალეთი მოელოდა ჩრდილოეთიდან, ე.ი. რუსეთის მხრიდან, მაშინ, როდესაც იგივე ოსმალეთი ასეთ ხიფათს არ მოელოდა დასუსტებული ირანისაგან.

2. რუსეთის წარმატებებმა კასპიისპირეთში, წაახალისა კავკასიის ქრისტიანი ხალხები და ისინი რუსეთს მიემხრნენ. ამან აიძულა ოსმალეთი, რუსეთის შემდგომი წინსვლის შესაჩერებლად დაეპყრო ქართლი, კახეთი და შირვანი. თუ რუსეთი არ იაქტიურებდა, ვახტანგ მეფის გაგებით, ოსმალეთი ჩრდილო კავკასიასაც დაიპყრობდა, რითაც საბოლოოდ გადაუკეტავდა გზას რუსეთს კასპიისპირეთისა და ირანისაკენ.

3. თუ რუსეთი ვახტანგ VI-ს დაეხმარებოდა ტახტის დაბრუნებაში, მაშინ ქართლის მეფეს მიემსრობოდნენ იმერეთის და კახეთის სამეფოები და კავკასიელი მთიელები. მაგრამ ვახტანგ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთი იოლად არ შეელეოდა საქართველოს დაკარგვას. ამიტომ რუსეთს კავშირი უნდა დაემყარებინა იმ სახემწიფოებთან, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ მის კავკასიურ პოლიტიკას. ის, ალბათ გულისხმობდა ავხტრიას.

4. ირანი დაეთანხმებოდა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაკავებას იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დაეხმარებოდა ავღანელებთან ბრძოლაში.

5. ვახტანგ მეფის აზრით, აუცილებელი იყო რუსეთის მთავრობას ჩრდილო კავკასიაში აეგო ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავს მოიყრიდა რუსეთის ჯარი. მას მხარს დაუჭერდნენ ყაბარდოელები და სხვა მთიელები, თუ ისინი რუსეთის სამსახურში იქნებოდნენ. ალბათ, ვახტანგ მეფემ ამ საკითხზე იცოდა დასახელებული მთიელების აზრი. ამგვარად რუსეთი დაუბრკოლებლად დაამყარებდა საქართველოსთან კავშირს<sup>1</sup>.

6. სიმაგრის მშენებლობასთან დაკავშირებით ვახტანგ მეფეს პკითხეს, თუ დასახლდებოდა იმ ადგილას სადაც ურჩევდა რუსეთის მთავრობას სიმაგრის აგებას და დასახლებდა თუ არა ქართველებს იმ ადგილებში, ისინი ხომ გამოიკვებოდნენ თავიანთი ხელით მოწევდი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ვახტანგმა ამ წინადადებაზე უარით უპასუხა. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ იქ თავი მოეყარა რუსეთის ჯარს, რომლის დახმარებითაც ვახტანგი დაბრუნდებოდა საქართველოში. რუსეთის მთავრობის წარმომადგენლების პასუხი იყო: მთავრობას გაუჭირდებოდა ვახტანგის-თვის სასურველ ადგილებში სურსათის შეზიდვა და ურჩიეს დასახლებულიყვნენ მდინარე სოლახის რაიონში, მაგრამ მან

<sup>1</sup> პაიჭაძე, ვახტანგ მეუქვე, გვ. 128-129.

ამაზეც უარი თქვა იმის გამო, რომ აქედან საქართველოსკენ მიმავალ გზაზე ლეკები თარეშობდნენ.

7. ვახტანგ მეფემ პვლავ მოითხოვა რუსეთის ჯარის გაგზავნა საქართველოში და ის წერილებიც წარადგინა, რომ-ლებითაც ქართველები და სომხები დახმარებას ითხოვდნენ.

8. ირანთან დაკავშირებით ვახტანგ VI-მ გაიმუორა, რომ საჭირო იყო შაპ-თამაზისათვის დახმარება და მისი მომხრეობის მოპოვება. მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ შაპ-თამაზ II-ს არ სურდა მოლაპარაკება რუსეთთან, ვახტანგს შესთავაზეს შაპთან გაეგზავნა თავისი კაცი. ვახტანგმა განაცხადა: თვითონ გაემგზავრებოდა შაპის დასახმარებლად ჯარით. რუსეთის მთავრობამ კი გადაწყვიტა გაეგზავნათ ვახტანგთან დაახლოებული ვახტანგ ამილახვარი, რომელიც შაპს წაუღებდა ვახტანგ მეფის წერილს<sup>1</sup>.

1725 წლის აგვისტოში ვახტანგმა შეიტყო, რომ ეკატერინე I-მა მის შესანახად სჭირო თანხა გაიღო, გასაგები გახდა, რომ რუსეთის მთავრობა ახლო მომავალში არ გეგმავდა მის დაბრუნებას საქართველოში, არც შეიარაღებული ძალით და არც დიპლომატიური საშუალებებით. მეფემ მადლობა მოახსენა იმპერატრიცას მზრუნველობისათვის და გადაწყვიტა ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა რუსეთის მთავრობასთან ბოლო პერიოდის ურთიერთობაზე:

1. მან დაიწყო იმ ხარჯების (3 მილიონი მან.) აღნიშვნით, რომელიც დაეხარჯა პეტრე I-ის ლოდინში საქმაოდ დიდი ჯარით განჯაში ყოფნის დროს. ვახტანგმა ამის სამაგიეროდ პეტრეს სთხოვა მხოლოდ 5 ათასი მანეთით დახმარება და შეპირდა სამაგიეროდ დაეხმარებოდა კასპიისპირეთის დაპყრობაში. ის მოითხოვდა დასახელებული თანხა ესესხებინათ იმ პირობით, რომ, როდესაც საქართველოს გაათავისუფლებდა, რუსეთის მთავრობას ვალს დაუბრუნებდა ორმაგად.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 129-130.

2. ვახტანგ მეფემ, სხვათა შორის, ისიც გაიხსენა, რომ მან უარყო შაპისა და სულთნის მიერ შეთავაზებული მფარველობა და უპირატესობა მიანიჭა პეტრეს თხოვნას გადასულიყო რუსეთში<sup>1</sup>. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მიატოვა თავისი სამეფო, სადაც მისი გვარი 500 (?) წლის განმავლობაში მეფობდა.

3. ვახტანგ მეფე იმითიც იყო უკმაყოფილო, რომ რუსეთის მთავრობა მას მოიხსენიებდა არა მეფედ არამედ პრინცად.

4. მეფისათვის გასაგები იყო, რომ მის თხოვნა-მოთხოვნებს რუსეთში იმპერატრიცას გარდა ვერავინ დააკმაყოფილებდა და ითხოვა აუდიენცია, მაგრამ უარი მიიღო.

როდესაც რუსეთის მთავრობა გაეცნო ვახტანგის განცხადებას, საგარაუდოა, ეკატერინეს ბრძანებით გადაწყვიტა ეპასუხა ისე, რომ იგი გაეხადათ მორჩილი. ამისათვის შეიქმნა ცინიზმით აღსავსე მემორანდუმი, რომელიც წარმოადგენს ეკატერინე I-ის და მისი მთავრობის მიერ გარდაცვლილი პეტრე I-ის და ეკატერინე I-ის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამართლების მცდელობას. ის, რაც ქართლის მეფესა და მის ქვეყანას დაატყდა თავს პეტრეს ავანტიურაზე აყოლის შედეგად, სურდათ მთლიანად გადაებრალებინათ ვახტანგ მეფისათვის. მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ ვახტანგ მეფის მიერ პეტრე I-ის, მისი მოხელეებისა და აგენტებისათვის გაგზავნილი უკმაყოფილების გამომხატველი წერილები (ზემოთ იქნა განხილული) და ახლა ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მიერ განცდილ ყველა უბედურებაში ბრალი დაედოთ ვახტანგისათვის.

როდესაც ვახტენგის მოხსენებაზე პასუხი წარუდგინეს ეკატერინეს, მან უკიდურესად მწვავედ მიიჩნია და ბრძანა

<sup>1</sup> როგორც ჩანს ვახტანგ მეფემ არ იცოდა, რომ პეტრე მხარს უჭერდა მის ჩასახლებას საქართველო-რუსეთის საზღვართან და მას განზრახვა გადააფიქრებინა არტემ ვოლინსკიმ, რის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა.

თავი შეეკავებინათ და იგი არ გადაეცათ მეფისათვის. ეპატერინე და მისი მთავრობა იხედებოდა მომავლისაკენ. მათ ჯერ არ იცოდნენ, როდის გამოადგებოდათ ქართლის მეფე და საქართველო თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის, ამიტომ იყო, რომ მემორანდუმ-პასკილი არ გაახმაურეს, მაგრამ არ გაანადგურეს და შეინახეს.

ღოკუმენტი გამოაქვეყნა მ. ბროსემ<sup>1</sup>. მისი გაცნობით ქართველი მკითხველი, რომელსაც მეტ-ნაკლები ცოდნა გააჩნია ვახტანგ VI-ის რუსეთთან ურთიერთობაზე, სრული წარმოდგენა შეექმნება რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა დამოკიდებულებასა და ზრაცხებზე საქართველოს მიმართ. რუსეთის მთავრობა ისეთ სურათს ხატავდა, რომლითაც თითქოს მას როგორც წარსულში, ისე ამჟამად საქართველოსა და ქართველი ხალხის, ისევე როგორც, ზოგადად, ქრისტიანების მიმართ, მხოლოდ ქრისტიანული სიყვარული ამოძრავებდა. მან ბევრი რამ სასიკეთო გაუკეთა, მაგრამ „უმაღურმა“ ვახტანგ მეფემ არ დაუფასა. მან თავისი არასწორი მოქმედებით ხელი შეუშალა პეტრე I-ს კასპიისპირეთის დაპყრობაში და ვედარ შეძლო გაეთავისუფლებინა ქრისტიანული მოსახლეობა მაკმადიანთა უდლისაგან.

შინაარსის მიხედვით მემორანდუმი შეიძლება დავყოთ 13 მუხლად. იგი იწყება პასუხით ვახტანგ მეფის მიერ გამოთქმულ იმ საყვედურზე, რუსეთის მთავრობა რატომ არ მოიხსენიებდა მას მეფის ტიტულით და მიმართავდა დამდაბლებით, უწოდებდა პრინცს.

„[1]<sup>2</sup> თქვენი ძველი გვარწარ-მომავლობა ჩვენთვის ცნობილია; ამიტომ თქვენი უგანათლებულებისობა ყოველთვის სარგებლობდა მისი დიდი მნიშვნელობით. იგივე ტიტული „ძლიერი“ ..., რომელიც მიენიჭება რომის იმპერატორის მიერ,

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770, с. 183-189.

<sup>2</sup> დანომრილია პირობითად.

ჩვენც ვანიჭებთ თქვენს უგანათლებულესობას. თქვენს მიერ მითოებულ რომის პაპის სიგელში თქვენ მონიჭებული გაქვთ ტიტული „პატივცემული“<sup>1</sup>... ეს ტიტული კი, არ არის მაღალი, ეძლევა ყველა სამხედრო მეთაურს. თქვენთვის უგანათლებულესობავ, ხედავთ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მხრიდან თქვენს კეთილშობილურ გვარწარმომავლობას. თუ თქვენი უგანათლებულესობა გაიხსენებს, თქვენი გვარის ძველ მეფების, მაშინ იმასაც გაიხსენებთ, როგორ დიდ დახმარებას და მოწყალებას უწევდნენ ჩვენი ძველი რუსი ხელმწიფები. ეს დახმარება მათ ეძლეოდათ ქრისტიანული სიყვარულით, რათა შემსუბუქებოდათ მაჰმადიანთა მძიმე უღელი. თქვენმა უგანათლებულესობამ იცის ქართველი მმართველები – თეიმურაზი, ნიკოლოზი (ერეკლე I), და ბოლოს მეფე არჩილმა დედოფალთან და შვილებთან ერთად, იმისათვის რომ არ გამაჰმადიანებულიყვნენ, დატოვეს თავისი სამფლობელოები და ჩამოვიდნენ რუსეთის სახელმწიფოში. ისინი მიიღეს და დაეხმარენ, რამდენადაც შესაძლებელი იყო; ისინი აქ ცხოვრობდნენ, სარგებლობდნენ იმ დირსებითა და პატივისცემით, რაც ეკადრებოდა მათ მაღალ გვარწარმომავლობას. იმპერატორი [პეტრე I] თავისი მამებისა და პაპების მიბაძვით, ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულით,

<sup>1</sup> მიქელ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ პაპ კლემენტე XI-ის 1714 წლის 17 აგვისტოს ვახტანგისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ბრწყინვალე და უძლიერეს ვახტანგს, აზის იძრის მეფეს. კლემენტე XI. ბრწყინვალე და უძლეველო მეფევ...“ (*Illustri ac Potentissimi Vactanch Asiaticæ Iberia Regi. Illme, ac Potentissime Rex Salutem...*). თამარაშვილი მ, ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, გვ. 726. ვახტანგი სამეფო ტიტულითაა მოხსენიებული სულხან-საბას და საფრანგეთის მეფის ქვეშევრდომთა ფრანგულენოვან მიმოწერაში. ამდენად, მნელია გარკვევა, პაპის რომელი სიგელი წარუდგინა ვახტანგ მეფემ ეკატერინე I-ის კარისპეციებს.

სურდა დახმარებოდა თქვენს უგანათლებულესობასაც. თქვენო უგანათლებულესობავ, გახსოვთ ამის გამო როგორ სთხოვდით და აწუხებდით მის იმპერატორობით უმაღლესობას? [2] იმისათვის წამოწყო ხელმწიფე იმპარატორმა საარსეთის ლაშქრობა, რათა, იქ თქვენ უგანათლებულესობასთან შეერთებით გაეთავისუფლებინა ქრისტიანები მაკმადიანთაგან შევიწროებისაგან, თქვენ გაეთავისუფლებინეთ მაკმადიანთა უდლისგან, და ექციეთ დამოუკიდებელ ქრისტიანულ ხელმწიფედ, გაეძლიერებინა თქვენი ხელისუფლება; [3] თქვენ იცით რამდენჯერ მოგმართეს სხვადასხვა წინადადებით, უფრო მეტიც, თურქესტანიშვილის საშუალებითაც. ამ თავად თურქესტანიშვილის საშუალებით გადმოგცეს, რომ იმპერატორს ეწადა შეერთებოდა თქვენს უგანათლებულესობას ბაქოსა და დერბენდს შორის. ხელმწიფე იმპერატორის სურვილი მდგომარეობდა იმაში, რომ რადგან თქვენ გქონდათ მეგობრობა და კარგი განწყობილება შათან, მოღალატე ლეკებისათვის მიგეუენებინათ ზიანი, ამისათვის გამოგეძებნათ რაიმე საბაბი. ხელმწიფე იმპერატორი არ ზოგავდა ძალას, ძვირფას ჯანმრთელობას და აგრძელებდა ლაშქრობას. აიღო რა დერბენდი, ის წავიდოდა შემახისკენ, თუ არ შეიქმნებოდა სამწუხარო დაბრკოლებები; სამართლიანი კაცია თქვენი უგანათლებულესობა; თქვენ იცით მდებარეობა და მდგომარეობა იმ ადგილების და თქვენ თვითონ განსაჯეთ ჩვენთვის შეხედრილი წინააღმდეგობების მიზეზები; თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენს პოლკებს და ლაშქარს არ შეეძლოთ სწრაფად გადაადგილება. ხელმწიფე იმპერატორმა გაშინვე აცნობა თქვენს უგანათლებულესობას მოხელე ოფიცრის საშუალებით იმ დაბრკოლებათა შესახებ და ინება მოეცა ზოგიერთი დარიგება თქვენი უგანათლებულესობისათვის; ლმერთის იმედი გვექნდა, რომ თქვენ თუ მოიქცეოდით ამ დარიგებათა შესაბამისად (ხოლო ამ დარიგებების მიხედვით მოქმედება კი თქვენთვის საკადრისი იყო), მაშინ ყველაფერი მოგვარდებოდა ჩვენი სურვილის მიხედვით. ნუ იწყენს თქვენი უგანათლე-

ბულესობა, თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენ არც ერთი და-სახელებული საქმე არ შეასრულეთ. თქვენი ჯარით დიდ ხანს უსაქმურად იდექით განჯაში. თქვენ უნდა შეერთე-ბოდით ხელმწიფე იმპარატორს; როგორც გვარწმუნებდით თქვენ იოლად დაამარცხებდით შაჰის წინააღმდეგ აჯანებულებს. მაშინ ხელმწიფე იმპერატორი იოლად გაივლიდა. თქვენთვისაც იოლი იქნებოდა შემახაზე წასვლა, მთელი იმ ადგილების დაყრობა და იქ გამაგრება, რადგან იმ ადგი-ლებში არავინ იმყოფებოდა მოღალატეების გარდა. იმ დროს თურქების სხენებაც კი არ იყო. უფრო მეტიც, როცა თქვენი უგანათლებულესობის მოქმედების შესახებ შეიტყობდნენ, ყველა სომეხი თქვენს მხარეს დადგებოდა. ეჭვსგარეშეა, რომ თქვენი ჯარით და იმ მხარეში მყოფი სომხების მხარდაჭე-რით, შეძლებდით მტრისგან გაგეწმინდათ გზა, შეერთებოდით რუსეთის არმიას, თურქების მხრიდან ყოველგვარი შიშის გა-რეშე გაგეფართოებინათ თქვენი სამფლობელოები და გაგე-დიდებინათ თქვენი სახელი. მაგრამ თქვენმა უგანათლებულე-სობამ ესენი არ მოიმოქმედე, მხოლოდ წაეჩეუბე კახეთის მეფეს. თქვენი ამ ჩხუბის შედეგად უგულებელჲყავით ხელმ-წიფე იმპერატორის ქრისტიანული განზრახულობანი, განჯი-დან ისევ საქართველოში წახვედით. [საქართველოში] ყოვნის პერიოდში საბოლოოდ დაგამარცხათ კახეთის მეფემ, შემდეგ გაიქცით მოებში, თქვენი სამფლობელოები დაუთმეთ კახეთის მეფეს, და ბოლოს თვითონაც თურქების მფარველობაში აღმოჩნდით, თუმცა იმ დროს საქართველოში არ იყო თურქე-თის ჯარი. ამ სამწუხარო ამბებით გამოუშვით ჩვენი მოხელე ოფიცერი და დააბარეთ, რომ სასწრაფოდ აღმოგვეჩინა თქვე-ნთვის დახმარება, ან თქვენ გაგვეთავისუფლეთ იმ ქვეუნები-დან. თქვენმა უგანათლებულესობამ უნდა იცოდეს, რომ კა-ხეთის მეფესთან თქვენი მტრობის შედეგად და იმის გამოც, რომ თქვენ თვითონ შეხვედით თურქების მფარველობაში, თურქები დაუბრკოლებდად დაეუფლენენ საქართველოს. თქვე-ნი უგანათლებულესობის თავგადასავალის გაგების შემდეგ,

ხელმწიფე იმპერატორმა, ქრისტიანული სიყვარულით, მოიდო წყალობა. ყველა სიძნელის და გზის საშიშროების მიუხედავად, რომელთა შესახებ მოახსენებდნენ თქვენი უგანათლებულების მიერ გამოგზავნილი თავადი ზურაბი და თავადი თურქესტანიშვილი, მან [იმპერატორმა] თქვენი უგანათლებულების დასახმარებლად გამოგზავნა ორიათასი კაცი თავისი არმიიდან. მაგრამ ვიდრე ეს ჯარი სულაკის სიმაგრედან გავიდოდა, თქვენი უგანათლებულებისგან მოვიდა შეტყობინება, რომ მთელი საქართველო თურქებმა დაიკავესო. თქვენ ითხოვდით თქვენი უგანათლებულების გამოხსნას იმ ადგილებიდან. [4] ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც მუდამ მოწყალების თვალით უყურებდა თქვენი უგანათლებულების უბედურ მდგომარეობას, თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო მეფე, რომელიც თურქეთის მფარველობის ქვეშ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო შეიძლებოდა მომხდარიყო სახიფათო ომი თურქეთთან, როგორც ეს ცნობილია თქვენი უგანათლებულებისათვის. [5] თქვენ უგანათლებულებისას აგრეთვე უნდა ახსოვდეს, რამდენჯერ თქვენ და თქვენი და პრინცესა დარია<sup>1</sup> აწუხებდით თხოვნით ხელმწიფე იმპერატორს, მიეღეთ მისი მფარველობის ქვეშ. თქვენმა უგანათლებულებისმბმ ასევე ინებოს გაიხსენოს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა სესხებულ თქვენს დას, პრინცესას, გამოეგზაფნა თქმნთან წერილი, რომ თქვენ წამოსულიყავით რამდენიმე ათასიანი ქართული ჯარით. ხელმწიფის განზრახვა მდგომარეობდა იმაში, რომ შეერთებინა თავისი არმია ქართულ ჯართან, გაეთავისუფლებინა ქრისტიანები, რომლებიც იმყოფებოდნენ სპარსეთის სახელმწიფოში და თქვენი უგა-

<sup>1</sup> არჩილ II-ის ქალიშვილი დარეჯანი, ვახტანგ VI-ის ბიძაშვილი, 1985 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში, იყო განათლებული, მწიგნობარი, დიპლომატი, ქართული ახალშენის მეთაური, აქტიურად მოდგომარეობდა საქართველო-რუსეთის დაახლოებისათვის, დიდ პატივს სცემდა პეტრ I.

ნათლებულესობა დაემკვიდრებინა ტახტე. [6] რადგან ყოველი რთული საქმე მოყვანილი უნდა იქნას სისრულეში, ხელმწიფე იმპერატორმა აწონ-დაწონა და თქვენს უგანათლებულესობას უბრძანა და თვითონაც ერიდებოდა, რომ მისი ამგვარი ჩარევით არ მომხდარიყო თურქებთან ნააღრევი ომი. [იმპერატორის] გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ დაუფლებოდა მისოფის საჭირო ზღვის ნაპირს<sup>1</sup>, უშიშარი გაეხადა გზა თქვენი უგანათლებულესობის სამფლობელოებისკენ. ხელმწიფე იმპერატორი თუ პირველი დაიწყებდა ომს თურქებთან, მაშინ ისინი თავიანთ სამეზობლოში დაიწყებდნენ ყველა ქრისტიანის ჩაგვრას, ხელმწიფე იმპერატორი კი, როელიც არ ფლობდა რაიმე ხელისუფლებას იმ ადგილებში, ვერ შეძლებდა ქრისტიანების დახმარებას. ამიტომ თქვენი უგანათლებულესობა მიხვდება, რომ თქვენ მიერ სამეფოს დაკარგვის მიზეზი იყო არა ხელმწიფე იმპერატორი, არამედ იყავით თვითონ თქვენ. [7] ხელმწიფე იმპერატორის [კატერინე I-ის] გაგებით, თქვენ უგანათლებულესობას თქვენს სამეფოში არ გიმოღვაწიათ ერთი წუთითაც კი, დაბრუნდით თუ არა განჯიდან საქართველოში, მაშინვე დაგამარცხათ კახეთის მეფემ, მას დაუთმეთ თქვენი სამფლობელო და მიიღეთ თურქების მფარველობა. ამის გამო თურქები იმ მხარეში გაძლიერდნენ, დაეუფლენენ ურევანს და სხვა ადგილებს, თავიანთ მფარველობაში აიყვანეს დაუდ ბეგი<sup>2</sup> და იქაური მრავალრიც-

<sup>1</sup> იგულისხმება კახიის ზღვის დასავლეთი სანაპირო.

<sup>2</sup> ლეგების მთავარი დაუდ ბეგი აუკანედა ირანის შაჰს და თავი გამოაცხადა ოსმალეთის სულთნის ქვეშვერდომად. 1724 წლს 12 ივნისს ოსმალებმა დატოვეს შემახა და იგი ჩააბარეს თავიანთ მოხარეები დაუდ ბეგს. ხაინტერესო, რომ კახიის ზღვასა და შემახას შორი სივრცე გაიყვეს პეტრე I-მა და დაუდ ბეგმა, თუმცა ამ უკანასენელს შედარებით ნაკლები ტერიტორია შეხვდა. პეტრე მოითხოვდა, რომ რომ თურქებს თავისი ქრისტიანი ქვეშვერდომებისათვის მიუცათ ნება, კერძოდ, ხომხებისა და ქართველებისა-

ხოვანი მაპმადიანი ხალხები, ისინი წინაღუდგნენ რუსეთის ჯარის მოქმედებას. სხვათა შორის, ხელმწიფე იმპერატორი, მიუხედავად ასეთი როგორი მდგომარეობისა, არ ივიწყებდა ქრისტიანების გათავისუფლების ქრისტიანულ განზრახვას. [8] ამიტომ, მაშინ როდესაც ხელმწიფე იმპერატორმა რუსეთში გადასვლის ნება დაგროვოთ, მასთან ერთად ბრძანა, რომ თქვენ უგანათლებულესობას თქვენი ჯარიდან წამოგეყვანათ იმდენი, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა. [9] ხელმწიფე იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ როცა თქვენი უგანათლებულესობა დატოვებდა იმ ადგილებს და გადმოსახლდებოდით რუსეთში, მაშინ თქვენ ძალაუფლების ქვეშ მყოფი ქრისტიანები, რათა დააღწიონ თავი მაპმადიანებს, თუ ყველა ერთობლივად ვერ შეძლებდა გადმოსახლებას, შემდგომში ნაწილ-ნაწილ გადმოსახლდებოდნენ. [10] ხელმწიფე იმპერატორის სურვილი მდგომარეობდა იმაში, რომ დასაწყისში მათ დაასახლებდა კარგ ადგილებში და შეუქმნიდა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობას, მანამდე, ვიდრე ხელმწიფე იმპერატორის [ეკატერინე II] ჯარი არ დამაგრდება სპარსეთსა და მდინარე მტკვრის ნაპირზე, როგორც თქვენს უგანათლებულებობას გამოუცხადეს. თქვენი უგანათლებულესობაც მოახსენებთ.

---

თვის, გადასახლებულიყვნენ რუსეთის წილხვდრილ სპარსეთის პროვინციებში. პეტრე დებდა პირობას, თავის მხრივაც ხელს არ შეუშლიდა მაპმადიანებს გადასახლებულიყვნენ თხმალეთის იმპერიაში. Костемаров Н. И., *Русская история в жизнеописаниях, ее главнейших деятелей, Москва, 2004, с. 528.*

ჩანს, პეტრე I-ს უნდოდა ირანის ჩრდილოეთით და ოსმალების მიერ სამხრეთ კავკასიაში დაპყრობილ ტერიტორიებს შორის შეექმნა ბუფერული ზონა, რომელიც დაიცავდა რუსეთის სამფლობელოს ხაზღვარს, სადაც ქრისტიანების ჩახახლებით შექმნიდა პლატფორმები ირანსა და ოსმალეთზე შეტყვისათვის. იმპერატორი თავის ამ გეგმას ნიღბავდა ქრისტიანების დაცვისათვის ზრუნვით. ამ გეგმის ნაწილი უნდა ყოფილიყო ვახტანგ VI-ხა და ხევა ქართველების ჩახახლება რუსეთის ხაზღვრისპირა რაიონებში.

ნებდა, რომ ჩვენი ჯარი თქვენი ქვეყნის გასათავისუფლებლად მისვლას ვერ შეძლებდა ვერც ერთი სხვა გზით. [11] ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ თქვენი უგანათლებულების ჯარი, დვთის შეწევნით, თქვენთან ერთად მოვიდოდა კარგ აღგილებში, რადგან გაერთიანებულნი, გზაში შეძლებდით დახმარებოდით ხელმწიფე იმპერატორის ჯარს თქვენი ქვეყნის და ქრისტიანების გათავისუფლებაში. ხელმწიფე იმპერატორიცას უნდოდა იგივე. ამისათვის მან ბრძანა თქვენი უგანათლებულებისათვის გამოეცხადებინათ, რომ თქვენ თქვენი სამფლობელოებიდან მოგეწვიათ ქართველები და სხვები, იქ მცხოვრები ქრისტიანები და ჯარი დაგეხსახლებინათ ისე, როგორც ითქვა, რათა რამდენიმე ხანი ეცხოვრათ თავიანთი ქვეყნის სიახლოეს ყოველგვარი შიშის გარეშე ხელმწიფე იმპერატორიცას დაცვის ქვეშ. მაგრამ თქვენმა უგანათლებულებისამამ არავინ წამოიყვანა და გამოაცხადეთ, რომ არავის სურს საქართველოდან ამ ადგილებში დასახლება, და რომ მათ ურჩევიათ დარჩენ მაჰმადიანების ქვეშევრდომობაში, ვიდრე რწმენის გამო მცირე ხნით მიატოვონ სამშობლო. როგორ შეიძლება ამის შემდეგ გვქონდეს მათი იმედი, მაშინ, როდესაც მათ არ უნდათ იღონონ რაიმე თავიანთი გათავისუფლებისათვის? [12] თქვენმა უგანათლებულებისამ ისურვა, აშენდეს სიმაგრე ჩეჩენეთისა და მდინარე ასტის მახლობლად, მაგრამ ასეთი მშენებლობა შეუძლებელია, სიმაგრის უსარგებლობის გამო, რადგან თქვენმა უგანათლებულებისამ მოგვახსენა, რომ იქ თქვენი ყოფნა არ შეიძლება. უფრო მეტიც, ამ სიმაგრეში მცხოვრები თავიანთ თავს ვერ შეინახავენ, რადგან იმ მხარეში მაჰმადიანები იმყოფებიან. თქვენო უგანათლებულებისობავ, იფიქრეთ, შეიძლება ასე შორეულ სიმაგრეში მცხოვრებთათვის მუდამ სახმელეთო გზით პროვიანტის გაგზავნა? ამასთან ერთად, რათა დაცული იქნენ მაჰმადიანებისაგან საჭირო იქნება მასში ძლიერი ჯარის ყოფნა. ამ ჯარისთვის საჭირო იქნება პროვიანტი; პროვინტის მისაზიდად კი კვლავ საჭირო იქნება ჯარი. იმდენად უსარგებლო იქნებოდა ეს სა-

ქმე, რომ ადამიანებს ექნებოდათ მუდმივად შიში. [13] ხელმწიფე იმპერატრიცას სურვილის თანახმად, თუ შეიქმნებოდა დასახლება, მაშინაც კი, შეუძლებელი იქნებოდა თქვენი უბანათლებულესობის ყველა თხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ ხელმწიფე იმპერატრიცა თუ გადაწყვეტს თავის მფარველობაში მიიღოს თქვენი უგანათლებულესობა, დაგაკმაყოფილოს საკუთარ სახელმწიფოში რამდენადაც შეიძლება, ვიდრე უფალი დმერთი არ მისცემს რაიმე შემთხვევას, გაგიწიოთ ძლიერი დახმარება, რათა გათავისუფლდეს თქვენი ქვეყანა და იქ მყოფი ქრისტიანები“.

ასეთი იყო პეტრე I-ისა და ეპატერინე I-ის მთავრობის რეალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ბევრი არაფერი შეცვლილა ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაში XVIII საუგუნის ბოლომდე, რაც ნათლად გამოჩდება შემდგომში განხილული ისტორიული მასალების მიხედვით.

\*\*\*

დავამთავრე რა საუბარი ვახტანგ VI-ის საქართველოში მოღვაწეობაზე, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ვახტანგ VI-ის „კათოლიკობის“ შესახებ. ამის თაობაზე მისიონერების საეჭვო ცნობების გარდა, სხვა რაიმე წყარო არ გაგვაჩნია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის პირობებში, როდესაც ვახტანგ მეფე მუდმივი თვალთვალის, ზედამხედველობის ქვეშ და ხელმწიფის მოწყალებით ცხოვრობდა, კათოლიკობისადმი მისი მიდრეკა შეუქმნეველი არ დარჩებოდა. ვახტანგ მეფისათვის ასეთი რამ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მოჰყვებოდა არასასურველი რეაქცია. საყურადღებოა პ. ბუტკოვის ცნობა, რომლის მიხედვით, „მეფე ვახტანგმა, როცა 1722 წელს საჯაროდ მიიღო ქრისტიანული [მართლმადიდებლური] სარწმუნოება, კახეთის ბატონი კონსტანტინე, რომელიც მაპმადიანური სარწმუნოებისა იყო, გუ-

ლითა და სულით ერთგულობდა ირანულება..., გახდა ვახტან-  
გის შეურიგებელი მტკრი<sup>1</sup>.

სავარაუდოა, ვახტანგის ხელმეორედ და თანაც საჯა-  
როდ „გაქრისტიანება“ მოხდა რუსების მოთხოვნით. საქართ-  
ველოში, ბუნებრივია, არავის მოუვიდოდა აზრად ეჭვი შეე-  
ტანა ვახტანგის მართლმადიდებლობაში. მითუმეტეს, როდე-  
საც ცნობილი იყო, რომ ირანის ტყვეობიდან საქართველოში  
დაბრუნებული ვახტანგ მეფე მაშინვე ხელახლა მოინათლა,  
როგორც ამას გადმოგვცემს ფრანგი ავტორი<sup>2</sup>.

ვახტანგ მეფის კათოლიკობაზე საუბრის დროს კი გასა-  
თვალისწინებულია მისი უარყოფითი დამოკიდებულება ევრო-  
პიდან ახალდაბრუნებული სულხან-საბას მიმართ, რომელსაც  
მართლმადიდებელი სამღვდელოება აუმსედრდა, მის მიერ კა-  
თოლიკობის აღიარების გამო.

---

<sup>1</sup> Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, СПБ, 1869, с. 51.*

<sup>2</sup> Peyssonel Ch. de, *Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754, p. 61.*

## ვახტანგ VI-ის დიპლომატი – სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი განსაკუთრებით ნათლად გამოჩდა საფრანგეთსა და რომში. მისი მოგზაურობისა და მოლაპარაკებების შესახებ დოკუმენტები დაცულია ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში, რომელთა გამომზეურებაში განსაკუთრებული დამსახურება აქვთ მ. ბროსებს<sup>1</sup>, მ. თამარაშვილის<sup>2</sup>, დ. ლენგისა<sup>3</sup> და ი. ტაბადუას<sup>4</sup>. თავიანთ ნაშრომებში მათვე გაანალიზეს ქართველი დიპლომატის მოლაპარაკებები ფრანგ და ვატიკანელ პოლიტიკოსებთან. ამ საკითხისადმი ინტერესი არ განელებულა და კვლევა გრძელდება<sup>5</sup>.

ქართველმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს რამდენიმე ძალიან მოკლე ცნობა სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისით მოგზაურობების შესახებ: „ქორონი-

<sup>1</sup> Brosset M., *Dokuments originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du régime de Louis XIV // Nouveau Journal Asiatique~. Psris, 1832, t. IX, pp. 205-221, 329-334, 347-357,359-363, 437-441, 451-454.*

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 311-334.

<sup>3</sup> Lang D. M., *Georgian Relations With France during the reign of Wakhtang VI (1711-24) // Journal of the Roy Asiatik Society, parts 3 and 4, pp. 114-126, Oktober, 1950, p. 114-126.*

<sup>4</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 126-142, 145-155, 162-164, 174, 180-192, 198-202, 258-267, 275-281, 286, 290-295, 304, 314-361.

<sup>5</sup> წინამდებარე თემისათვის საინტერესო წერილობითი წყაროებისა და ნაშრომების კრიტიკული ანალიზი გადმოცემული და მითოვებული იქნება სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და დიპლომატიურ მოღვაწეობაზე საუბრისას.

კონს ჩრი, დეკემბერს ა ხვარასანს წავიდა, – მეფე ქაიხოსტოს ებძო და ოუგურვალს 20-ს გამოიხუმრა მრავლის ნიჭით. მაის ია ქართლს მივიდა. ქორონიკონს ჩრიდ 23 ისპასნებს წავიდა, მეფე ვახტანგს გაჲყა. ბ ნოემბერს გამოაბრუნა. დეკემბერს ოცს ქართლს მივიდა. ქორონიკონს ჩდიგ, აგვისტოს იზ საფრანგეთს ვაიპარა<sup>1</sup>.

სულხანს-საბა გიორგი XI-ის დავალებით იმყოფებოდა ახალციხის საფაშოში; როგორც ვახტანგ VI-ის მრჩეველი, აწარმოებდა მოლაპარაკებას რომის პაპთან; ორჯერ – 1710, 1712 წლებში იმყოფებოდა ირანში; დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთში, რომში, გარკვეულ დავალებას ასრულებდა რუსეთში და სხვ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი და დასაბეჭდიად გამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, ტ. IV, №1658

<sup>2</sup> გაბაშვილი გ., სულხან-საბა თრბელიანი როგორც დიპლომატი // სულხან-საბა თრბელიანი. 1658-1958. საიბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 69-76. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაზე XVIII საუკუნის პირველ ათეულში: იხ. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა. თბილისი, 1972; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, შეხავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო იღია ტაბაღუამ, თბილისი, 1975; პაპაშვილი გ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995, გვ. 247-258; მისივე, კავკასიაში კათოლიკობის გავრცელების საკითხი საფრანგეთის სამეფო კარზე ს. ს. თრბელიანის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში // ეურ. „საქართველო“, 1-2, თბილისი, 1999, გვ. 44-49; მისივე, რატომ ვახდა სულხან-საბა თრბელიანი კათოლიკე? // ეურ. „საბა“, 7, თბილისი, 2003, გვ. 5-7; მისივე, რა მიზნით მიიღო სულხან-საბა თრბელიანმა კათოლიკობა? // ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამცნიერო სესია, თბილისი, 2003, გვ. 48-52; მისივე, მაღმუაზელ მარი პეტი ლუკ XIV-ის თვითმარქია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველო

სულხან-საბას ცხოვრების სხვადასხვა დროის ეპიზოდებიდან ჩანს, რომ ის ავტორიტეტული დიპლომატი იყო. იგი თავის ნიჭისა და გამოცდილებას ერთგულად ახმარდა ჯერ გიორგი XI-ს, შემდეგ კი ბოლომდე დაიხარჯა თავის საყვარელი და საამყო მეფის, ვახტანგ VI-ის სამსახურში.

### რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში?

„ქორონიკონსა ჩრიგ, აგვისტოს იზ  
(სულხან-საბა) საფრანგეთს გაიპარა“.

ქრონიკიდან ციტირებულ ამ ერთ წინადაღებაში აისახა XVIII საუკუნის პირველ ოცეულის ქართლის სამეფოში არსებული პოლიტიკური ვითარება. სულხან-საბა ორბელიანის თანამედროვე ქრონისტის ცნობაზე დაყრდნობით ვცადოთ გავარკვიოთ რატომ „გაიპარა“ ეს დვაწლმოსილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი დასავლეთ ევროპაში, ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის დასახსნელად მოკავშირის მოძიების მიზნით. ქართლის სამეფოს ევროპასთან კავშირის დამყარების მცდელობისათვის მოსალოდნელი იყო ირანისა და ოსმალეთის უარყოფითი რეაქცია, როგორც სულხან-საბას ისე პატიმრობაში მყოფი მისი მეფის მიმართ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფრო საშიში იყო ქართლის სამეფოში არსებული ვითარება. ამიტომ სულხან-საბამ, რათა ვახტანგის სიცოცხლეს ხიფათი არ დამუქრებოდა და ოვითონაც დაუბრკოლებლად გამგზავრებულიყო ევროპაში, საჭიროდ ჩათვალა მოეხდინა ევროპაში გაპარვის ინსცენირება.

XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის განსაკუთრებული მნიშ-

---

ლოში // თხუ ზუგდიდის ფილიალი, შრომები, I, თბილისი, 2002,  
გვ. 85-98.

ვნელობის მოვლენად ითვლება სულხან-საბა თრბელიანის ელჩობა ევროპაში, რომელიც მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს.

ვიდრე უშუალოდ სათაურში დასმულ კითხვას ვუპასუხებდე, მანამდე აუცილებლად უნდა ითქვას სულხან-საბას მიერ კათოლიკეთა სარწმუნოების აღიარების დროსა და მიზეზებზე. ამ საკითხის წინ წამოწევა იმ აუცილებლობით არის გამოწეული, რომ მაშინ ევროპაში პოლიტიკური მიზნებით მოგზაურობაც კი, იქდან დახმარების მიღებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წინასწარ კათოლიკობის მიღების გარეშე, თითქოს უაზრობა იყო. როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ზოგიერთი წარმომადგენელი, წინამორბედთა გამოცდილებიდან გამომდინარე, კათოლიკობის აღიარებით ამზადებდა ნიადაგს რომთან და სხვა კათოლიკურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დასაწყებად. წინამდებარე ნაშრომში, როდესაც სულხან-საბას წინამორბედ იმ ქართველ დიპლომატებზე ვსაუბრობდით, ვინც ევროპაში მოკავშირის მოსაპოვებლად იმოგზაურეს, მათ მხოლოდ რომში მოთხოვნის შემდეგ, მოჩვენებით, აღიარეს კათოლიკური სარწმუნოება. ვნახოთ როგორ ვითარებასთან გვაქვს საქმე სულხან-საბა თრბელიანთან მიმართებაში.

სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მომენტზე:

### **სულხან-საბას მიერ კათოლიკობის აღიარების საკითხისათვის**

სულხან-საბა, ერთ-ერთი უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და დიპლომატი, დღეისათვის მიღებული მოსაზრების მიხედვით, ევროპაში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე გახდა კათოლიკე. მისი პროზელიტობის თარიღად მ. თამარაშვილი ჯერ 1687 წელს თვლიდა. მას საბუთად მოჰყავდა ჯუსტინ და ლივორნოს იმავე წლით დათარიღებული

წერილი, რომელშიც ახლად გაკათოლიკებულ ქართველთა შორის დასახელებულია მინისტრის შვილი სულხანი. „ბაზონი სულხანი (Sulchan), ლიფი კანჩილიერის (gran Cancillieri)<sup>1</sup> შვილი, მთავრის ღვიძლი ბიძაშვილი<sup>2</sup> კაბელანიართა (Capellaniarti)<sup>3</sup> ქართველ დიდებულთა გვარეულობიდან. მან უდირსებულებად წარმოადგინა თავი ქრისტიანული მოძღვრების ცოდნაში, რომლის მიხედვით თვით მე შევადგინე კითხვარი, მოინათლა იმავე წლის 25 აგვისტოს<sup>4</sup>. მ. თამარაშვილმა იყი სულხან-საბა ორბელიანად მიიჩნია<sup>5</sup>. შემდეგში მან შეიცვალა აზრი და სულხან-საბას გაკათოლიკების თარიღად 1701 წელი გამოაცხადა. მან სულხან-საბას მიერ კათოლიკობის მიღებით

<sup>1</sup> ეს არის თანამედროვე იტალიურში სიტყვა-„cancelliere”, რაც ნიშნავს მდივანს. უდავოა, ამ შემთხვევაში მოხელის აღმნიშვნელი ეს ტერმინი – „დიდი მდივანი“ გამოყენებულია XVII-XVIII სს. საქართველოში არსებული „მდივანბეჭის“ („უფროსი მოსამართლე“, „მსაჯულთუხუცესი“) მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, სულხანი იყო ქართლის სამეფოს მდივანბეჭის ანუ მსაჯულთუხუცესის შვილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულხანი იდგნებითიცირდება დიდ სულხან-საბა ორბელიანთან, რომელიც იყო მდივანბეჭ ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანის შვილი და დედის მხრიდან კი, ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბიძაშვილი.

<sup>2</sup> ქართლის მეფე გიორგი XI.

<sup>3</sup> „ყაფლანიანთა“, ე.ი. ყაფლანიშვილთა, იგივე ორბელიანთა ცნობილი საგვარეულო.

<sup>4</sup> Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol .31, ff.392r-394r. საქართველოს მისიონის ვიცე-პრეფექტის ჯუსტინო და ლიკორნოს მიერ 1687 წლის 1 ნოემბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდექს“ მაღალი სასულიერო პირებისადმი თბილისიდან გაგ ხავნილი წერილი // ევროპული წერილი საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 155.

<sup>5</sup> ტიტორებული ტექსტის განსხვავებული გაგება იხ. თამარაშვილი გ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 262.

ასესნა ის, რომ მან, ბერად შედგომის წინ, თავისი „უზარმაზარი ადგილ-მამულები დაუტოვა ძმებს, ცოლხაც კი გაშორდა და ძერათ შედგა წმინდა ბახილის წესით<sup>1</sup>, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო საქართველოში<sup>2</sup>. მართალია მ. თამარაშვილმა არ მიუთითა, თუ რას ეყრდნობოდა, როცა საბას გაკათოლიკის დროდ 1701 წელს ასახელებდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მას მხედველობაში პქონდა ქართველი დიპლომატის მიერ 1714 წლის 24 ივნისს „პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალ-პრელატის საკრიპანტისათვის წარდგენილი მოხსენება, რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მ. თამარაშვილის არქივში. ეს დოკუმენტი მოიძია მ. პაპაშვილმა და აღნიშნა, რომ „უტყუარი დოკუმენტით მტკიცდება“, რომ საბა გაკათოლიკიდა 1701 წელს<sup>3</sup>.

1701 წელს სულხან-საბას გაკათოლიკის საკითხს მ. პაპაშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა. ეკამაოუბა რა მათ (მათ შორის მეც), ვინც 1713 წელს მიიჩნევენ საბას

<sup>1</sup> ბახილიანთა ორდენის ფუძემდებელი იყო ბერძენი საეკლესიო მოღაწე ბახილი დიდი კესარიელი (330-379). ორდენი დაარსდა 1579 წ. 1 ნოემბერს. ბახილიანელთა ლათინურ ბერძონა ზენურ თრდენად მიხი გარდაქმნა მოხდა XVII საუკუნიდან და მიიღო უნიატური ხასიათი. ბახილიანელთა ორდენის წევრი თითქმის ყველაფერში იცავდა მართლმადიდებლური გელესის პრინციპებს. რელიგიურ საიდუმლოებასა და მარხვის დაცვაში მთლიანად უკრძანობოდა აღმოხავდური გელესის წევებასა და ტრადიციებს. კათოლიკური იყო მხროლოდ ორი რამ: ორდენის წევრს უნდა ედიარებინა რომის პაპის უზენაესობა და სარწმუნოების სიმბოლოზე დაემატებინა, რომ სული წმინდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისგანაც.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, გვ. 646.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკისა, კურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, №18, თბილისი, 2009, გვ. 30.

გაკათოლიკების დროდ, წერს: „ვფიქრობთ, ეს არ არის საფუძვლიანი არგუმენტი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, საბამ 1713 წელს მიიღო კათოლიკობა. უფრო მეტიც: საფრანგეთსა და რომში დიპლომატიური მიხილით გამგზავრების წინ სულხანსაბა კათოლიკობას ოფიციალურად გერ აღიარებდა, რადგან საქართველოში ირანოფილურ პარტიას, ესე ივი ვახტანგ VI-ის მოწინააღმდეგებებს მიხი პოლიტიკური მოსაზრებით აღჭურვილ ელჩობაში ეჭვი არ შეეტანათ“<sup>1</sup>. იბადება კითხვა, სულხანსაბამ თუ 1713 წელსაც კი ოფიციალურად ვერ აღიარა კათოლიკობა, მაშინ 1701 წელს როგორ მიიღო მან ეს აღმსარებლობა? სხვათა შორის, ადრე მკვლევარმა ასეთივე წარმატებით გაიზიარა სულხანსაბას მიერ ნაოქვამის მიხედვით, რომში დაწერილ მოხსენებაში დასახელებული თავის გაკათოლიკების თარიღი 1692 წელი<sup>2</sup>.

ის, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი საიდუმლოდ, ყველასგან დაფარულად აღიარებდა კათოლიკობას და რას ნიშნავდა ამგვარი მოქმედება, ამაზე ვრცლად შევჩერდები ქვემოთ.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ მ. თამარაშვილმა ყურადღება არ მიაქცია თავის მიერ გამოქვეყნებულ ერთ მოხსენებით ბარათში მითითებულ თარიღს, რომელიც შედგენილია საბას მონათხოვის მიხედვით. მასში ნაოქვამია: „როგორც ჩანს, სულხანსაბას საქართველოში გადლენა აქვს ხალხსა და მეფის სახახლებე. უგრეთვე ეტყობა, რომ დიდი სახეობა აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა და უნდა მიაღებინოს ეს სარწმუნოება თავისი ქვეყნის მოქლ ერს, რომელიც რომისაგან განყოლიაო. თვითონ 22 წელიწადია, რაც კათოლიკობა მიიღო და შემდგომ გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვაწოს შეერთებისათვის, ამიტომაც იმ სიშო-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> პაპა შვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა (VI-XXbb.), გვ. 247.

რიდან მოვიდა საფრანგეთხ...“<sup>1</sup> ამ „მოხსენებაზე“ დაყრდნობით გ. ლეონიძემ შესაძლებლად ჩათვალა, რომ სულხან-საბამ 1687 წელს მხოლოდ სიმპათია გამოამჟღავნა კათოლიკობის მიმართ და აღნიშნა, რომ „მისიონერმა ეს ამბავი გადაჭარბებით აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოვინებისა. ასეთ ხერხს თბილისელი მისიონერები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად საქართველოში“<sup>2</sup>. გ. ლეონიძეს მიაჩნდა, რომ 1692 წლიდან, ევროპაში გამგზავრებამდე, სულხან-საბა მხოლოდ „ნომინალური კათოლიკე“ იყო და მხოლოდ ფარულად აღიარებდა კათოლიკობს<sup>3</sup>.

აღნიშნული წლიდან სულხან-საბას კათოლიკობას, ოუნდაც ნომინალურად, საეჭვოს ხდის ის გარემოება, რომ იგი 1698 წელს ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. მხოლოდ გაპვირვების გამოხატვა

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 323. ეს დოკუმენტი ი. ტაბადუას უნახავს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ტაბადუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. პირველი მეოთხედი), გვ. 139. მკვლევარი არ უთითებს მოხსენებითი ბარათის პირველ გამოქვეყნებელ მ. თამარაშვილზე და ოც გ. ლეონიძეზე, რომელმაც სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით სულხან-საბას გაკათოლიკების დროდ 1692 წელი მიიჩნია. ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი // სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I. გამოსაცემად მოაზადეს ხ. უკანეთშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 390.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, 1957, გვ. XIX; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 390. გ. ლეონიძის მოსაზრება საბას მიერ 1687 წელს კათოლიკობის მიმართ მხოლოდ სიმპათიას გამოხატვის შესახებ, შემდეგ გაიზიარეს კ. გევალიძემ, ალ. ბარამიძემ, ი. ტაბადუამ, ივ, ლოლაშვილმა, რ. ბარამიძემ, მ. პაპაშვილმა.

<sup>3</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი // სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 390.

შეიძლება იმის გამო, რომ თუნდაც კათოლიკობის საიდუმლოდ მაღიარებელი სულხან-საბა მართლმადიდებლური მონასტრის ბერი გახდა. ამას გარდა, იბადება კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკური ეკლესიის მესვეურთათვის სულხან-საბას მიერ კათოლიკობის აღიარებას ჩუმად, საიდუმლოდ, თუ ამ პატივცემული და ავტორიტეტული ადამიანის ამგვარი ნაბიჯი საყოველთაოდ ცნობილი და მისაბაძი არ გახდებოდა მართლმადიდებელი ქართველებისათვის. რა თქმაუნდა, სულხან-საბაშ ყველაზე კარგად იცოდა მის მიერ კათოლიკობის აღიარებას როგორი რეაქცია მოჰყვებოდა, როგორც მართლმადიდებელი საეკლესიო იერარქების, ისე საერო ხელისუფალთა მხრიდან, მით უმეტეს გაუგებარი არ დარჩებოდა მის მიერ თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავების გაკათოლიკება, რაც მისი მხრიდან უაღრესად დაუფიქრებელი მოქმედება იქნებოდა.

### **წყაროები სულხან-საბას რელიგიური ორიენტაციის შესახებ**

სულხან-საბას ევროპაში გამგზავრებამდე მის რელიგიურ ორიენტაციაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი თხზულებები – „სამოთხის კარი“ და „მოგზაურობა ეროპაში“. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია (სულ არსებობს ოთხი რედაქცია). პირველი რედაქცია დაწერილია 1701 წელს და პქვია „საქოსტიანო მოძღვრება პირველი სასწავლო ყრმათათვის“ ანუ „სამოთხის კარი“. პირველ რედაქციაში არ შეიმჩნევა სულხან-საბას კათოლიკობისაკენ მიდრეკა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ თხზულება დაწერილია დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ბერობაში ყოფნის დროს. ავტორის ასეთი მდგომარეობა (მართლმადიდებლურ მონასტერში ბერად ყოფნა), თავისთავად გამორიცხავს მის კათოლიკობას ან მისადმი მიდრეკას.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია, რომელიც, როგორც ივ. ლოლაშვილი აღნიშნავდა, ჟეადგენს სხვადასხვა დროს დაწერილ თხზულებათა კრებულს. მასში შეტანილია ისეთი მასალა, რომელიც სულხან-საბას დასჭირდებოდა ევროპაში მოგზაურობის დროს კათოლიკური ეკლესიის მესვეურებთან და, საერთოდ, კათოლიკებთან ურთიერთობის დროს. იგი გადაწერილი უნდა იყოს საქართველოში, ევროპაში გამგზავრების წინ, 1713 წელს. მკლევრებს მიაჩნიათ, რომ საბა მასში ამჟღავნებს კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებას: აღიარებს რომის პაპის პრიმატსა და მართლმადიდებლებისათვის ასევე მიუღებელ დოგმას – „მამა უშობელ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოსულია“<sup>1</sup>. ალბათ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია მოთავსებულია უბის წიგნაკში, რომელშიც ასევე თავმოყრილია ისეთი მასალა, რომელიც სულხან-საბას გამოადგებოდა ევროპაში მოგზაურობის დროს<sup>2</sup>. იგი ემზადებოდა მკაცრი გამოცდისათვის. მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ეჭვი ჩნდება, რომ „სამოთხის კარის“, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი იყოს სულხან-საბა. ასეთი ეჭვი პირველად გამოსთქვა პ. უმიკაშვილმა 1887 წელს. მან „სამოთხის კარის“ ხელნაწერზე მიაწერა: „ეს სამოთხის კარი არის რომის კათოლიკეთა კატეხიზმო, რომელსაც უწოდებენ საქრისტიანო მოძღვრებას (ხალხში „კინ დაგბადას“). იქნება ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან ხომურ კათოლიკოთა კატეხიზმოსი? 1887 წ. პეტერ უმიკაშვილი“. სხვათა შორის, პეტერ უმიკაშვილმა უფრო ადრე, 1875 წელს, ხელნაწერიდან ამოხეული ფურცლების გამო

<sup>1</sup> ლოლაშვილი ივ., სულხან-საბა თრბელიანის „ხწაგლანი“ და „სამოთხის კარი“ // სულხან-საბა თრბელიანი 1658-1958. საიუბილუ კრებული, თბილისი, 1959, გვ. 146-147.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 146.

იმავე ხელნაწერზე გაკეთებულ სხვა შენიშვნაში ასევე ეჭვი გამოსთქვა, რომ აქ მრწამსის განმარტება ისეთი იყო, როგორც რომის კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა და ამიტომ ამოუხევიათო<sup>1</sup>.

\*\*\*

„სამოთხის კარის“, როგორც საბას ორიგინალური თხულებისადმი სკეპტიციზმს აძლიერებს პატრი ჯუსტინო და ლივორნოს მიერ 1687 წელს თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამი, „მან ულირსეულესად წარმოადგინა თვით ქრისტიანული მოძღვრების ცოდნაში, რომლის მიხედვით თვით მე შევადგინე კითხვარი, მოინათლა იმავე წლის 25 აგვისტოს“. ამონარიდიდან, რა თქმა უნდა არ ჩნას, რომ სულხან-საბამ მოახდინა ჯუსტინოს მიერ ქართულად ნათარგმნი „საქრისტიანო მოძღვრების“ რედაქტირება<sup>2</sup>, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ სულხან-საბა და ჯუსტინო კატეხიზმოსთან დაკავშირებით თანამშრომლობდნენ. რადგან დასახელებული თხულება მიკვლეული არ არის, „არაა გამორიცხული, რომ „სამოთხის კარის“ სახით საქმე გვქონდეს რომელიმე ჩვეულებრივი დასავლურქრისტიანული კატეხიზმოს... ქართულ თარგმანთან“<sup>3</sup>.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ XVII ს. 60-იანი წლების პორტულ ნახევარში თბილისში პატრი სერაფინოს განზრახული ჰქონდა კაპუცინელი პატრებისათვის შეედგინა სახელმძღვანელო

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბედიანი, თხულებანი, I, 341.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 262-263.

<sup>3</sup> დადანიძე მ, „სამოთხის კარის“ რედაქციათა გამო // II საქრთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურული თანამედროვე პრობლემები. თემატური სამეცნიერო კონფერენცია. სულხან-საბა ორბედიანი და ქართული კვრთავიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება (მახალები), თბილისი, 2009, გვ. 145.

ლო, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა „შვიდ საიდუმლოუბათა შეხახებ“ და იქვე აღინიშნებოდა ქართველთა ცდომილებანი. ამ ნაშრომის რომში გაგზავნა და გამოქვეყნება მაშინაც პქონდათ განზრახული<sup>1</sup>. 1671 წლისათვის თბილისში უკვე არსებული იქ მოღვაწე ერთ-ერთი პატრის მიერ ქართულად თარგმნილი რობერტო ბელარმინოს ქრისტიანული დოქტრინის მოკლე გადმოცემა – კატეხიზმო, გამოქვეყნებული 1597 წელს<sup>2</sup>. პატრებს განუზრახავთ კატეხიზმოს ქართული თარგმანი რომში გამოქვეყნებინათ ბეჭდური სახით<sup>3</sup>. თარგმანი შეუსრულებია პატრ ფრანჩესკე პიემონთელს. ამას ვიგებთ პროპაგანდა ფიდეს 1672 წლის 14 მარტით დათარიღებულ წერილიდან, რომელიც დასახელებულ პატრს გამოუგზავნეს. პროპაგანდა ფიდე პატრს თხოვდა, რომ მან „თავისი ქართულად ნათარგმნი კათეხიზმო საჩქაროდ გაგზავნოს რომში დასაბუძდათ“<sup>4</sup>. მნელია იმის თქმა პატრმა ფრანჩესკე პიემონთელმა ყურად არ იღო თხოვნა თუ სხვა რამ მოხდა, მაგრამ ცხადია, რომ ახლა უკვე თბილისის მისიონის უფროსს რომიდან თხოვენ, „რომ ქართულად ნათარგმნი კათეხიზმო შეახწოროს და გაუგზავნოს რომს დასაბუძდათ“<sup>5</sup>. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კათეხიზმოს ქართული თარგმა-

<sup>1</sup> თამარა შვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 225.

<sup>2</sup> პეტრო ზოლი პ., ქრისტიანობის ლექსიკონი // სულხან-ხაბა თრბელიანის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 152. როგორც ჩანს, ხაქართველობი მოღვაწე მისიონერები ხწორედ ბეჭდარმინოს კათეხიზმოთი სარგებლობდნენ. როგორი დიდი მნიშვნელობა პქონდა მისიონერების მიერ სამოღვაწეო ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის ენის ცოდნას და მის გარეშე, რომ რაიმე სერიზული შედეგი კერ მიღწეოდა, საყოველთაოდაა ცნობილი.

<sup>3</sup> თამარა შვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 237, 241.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 242.

<sup>5</sup> იქვე გვ. 243.

ნი ოომში გააგზავნეს, სადაც თარგმნის სიზუსტესა და ხარისხი ეჭვი შეიტანეს, მაგრამ იქ ქართულის მცოდნე არ ჰყავდათ და ნაშრომი ისევ თბილისში დააბრუნეს. რაღაც ამ სამუშაოს შესრულება პატრების ძალას აღემატებოდა, ალბათ, ამიტომ შემდეგში, მათ სულხან-საბა ორბელიანს თხოვეს დახმარება და მას გააკეთებინეს რედაქტორობა. როგორც ჩანს, პატრებმა თავიანთი განზრახვა, ბეჭდურად გამოეცათ ზემოადნიშნული კატეხიზმოს ქართული თარგმანი, ვერ განახორციელეს. ამაზე მოგვანიშნებს XVII ს. 70-იანი წლების მეორე ნახევარში პროპაგანდაში წარდგენილი ანონიმური წერილის ერთი ფრაზა: „ხელოთნაწერი საქრისტიანო მოძღვრება მოულ საქართველოში მოვფინეთ“<sup>1</sup>.

საფიქრალია, ფრანჩესკე პიემონთელის მიერ თარგმნილი კათეხიზმო არ შეესაბამებოდა მოთხოვნას და ბელარმინოს ნაშრომი ხელახლა უთარგმნია პატრ ბერნარდეს. მისი ნაშრომი დაიბეჭდა რომში 1681 წელს. წიგნის სათაური იყო „ქ. საქრისტიანო მოძღვრება სიმოვლებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა კაპუჩინი და მედავებელი და მდროთის მეტყველი იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულის ენითა. ქ. კ. ჩ. ქ. ა. (1681 წ.)<sup>2</sup>. გამოქვეყნდამდე წიგნის რედაქტირება-რეცენზირება მოუხდენიათ მრავალი ენის მცოდნე ქართველ კათოლიკეს, ენიბეგანთ ზალინას და საქართველოდან რომში დაბრუნებულ პატრ იოსებ ანტონ რომაელს<sup>3</sup>. ასეთივე კათეხიზისი ლათინურიდან ქართულად უთარგმნია რომის კოლეგიაში აღზრდილ გორელ დავით ტულუკაშვილს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 255-256.

<sup>4</sup> *Dottrina Christiana per uso missioni della Georgia da David Tlukaanti giorgiano... per il commune e spirituale profitto dei cattolici della medesima na-*

არ გვაქვს საფუძველი, რომ დასახელებული წიგნის ბეჭდურად გამოქვეყნებაში ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ საკითხავია, როგორი იყო წიგნის ტირაჟი და მოაღწია თუ არა მან საქართველოში მოღვაწე პატრებს მართლმადიდებელ ქართველებთან საურთიერთობოდ და კათოლიკური პროპაგანდის სახელმძღვანელოდ ესაჭიროებოდათ. სავარაუდოა, სულხან-საბამაც „სამოთხის კარი“ ქართველი მართლმადიდებლებისათვის კათოლიკური დოგმების გაცნობისათვის, მაგრამ არა ამ აღმსარებლობის პროპაგანდისათვის შეადგინა.

\*\*\*

საეჭვოდ მიმაჩნია, რომ სულხან-საბას მიერ 1709 წლის 15 აგვისტოს პაპთან გაგზავნილ წერილით<sup>1</sup> თითქოს დგინდება, რომ იგი XVII ს. 80-90-იან წლებში უკვე კათოლიკობის აღმსარებელი იყო. ივ. ლოლაშვილის თქმით, „ამ წერილიდან ირკვევა, რომ საბა ორბელიანი მიიჩნევდა რომის პაპს, როგორც ამქვეყნად ქრისტეს მიერ დადგენილ მწევმეს, პეტრე მოციქულის მოსაყდრება და „წმიდათა უაღრესესა“, რომელსაც თავისი და მეუღლის ცოდვათათვის ლოცვასა და შენ-

---

*tione, Roma, 1741. ა. ხახანაშვილს უნახავს დოკუმენტი, რომელშიც დასახელებული იყო 1633-1753 წლებში რომში განათლებამიღებული 27 ქართველი. მეცნიერი მხოლო ხუთი მათგანის (ანდრია მეგრელი, მიხეილ ანჯელი, ხოლომონ ქართველი, ჯუწევე აბებალომიანი ქართველი და ოთანე) შეხახებ გვაწვდის მცირე ცხობებს. ხახანოვ A. C., ესტ ლი ერუნი-კათოლიკი? (Вопрос и ответ г. Саруханову), с. 169-170.*

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ. იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 312.

დობას თხოვს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საბა უკვე კათოლიკე იყო<sup>1</sup>.

ზემოთ განხილული მასალებიდან და მათზე სხვადასხვა მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას: სხვადასხვა მკვლევარი საბას მიერ კათოლიკობის მიღების ოთხ სხვადასხვა თარიღს (1687, 1692, 1701, 1713 წლები) უჭერს მხარს და საყურადღებო, ანგარიშგასაწევ არგუმენტებსაც იშველიებენ. პირველი სამი თარიღის მოწმობა საბას გაკათოლიკების შესახებ, გვიქრობ, გვიჩვენებს ქართველი დიპლომატის დიპლომატიურ სვლებს (დიპლომატიურ თამაშს) ქვეყნის შიგნით და, იმავე დროს, სატყუარას საქართველოში მოღვაწე პატრებისა, ამ უკანასკნელთა საშუალებით კი, მათი პატრონებისათვის რომში. საბა ცდილობს დაარწმუნოს ისინი კათოლიკობის მიმართ თავის არა მხოლოდ ლოიალობაში, უფრო მეტი, მის მიერ ამ სარწმუნოების საიდუმლოდ აღიარებაშიც. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ კათოლიკე მისიონერებიც, თავის მხრივ ცდილობდნენ თავიანთ დამსახურებად გამოეცხადებინათ დოდი ქართველი მოღვაწის კათოლიკობზე მოქცევა და ამით თავიანთი საქმიანობისათვის მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ. რაც შეეხება მეოთხე თარიღს – 1713 წელს, ეს არის სულხან-საბას მკაცრი რეალობის წინაშე დადგომის დრო, როდესაც რამე ორჭოფობის გამომჟღავნება კათოლიკობთან მიმართებაში, დიპლომატისათვის მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ყველა დასახელებულ თარიღიდან უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს 1713 წელს – როგორც სულხან-საბა ორბელიანის მიერ არა მხოლოდ პატრების მიმართ, არამედ კათოლიკობისადმისაც კეთილგანწყობის გამოვლენის წელს. ეს ის წელია, როდესაც სულხან-საბა დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად.

<sup>1</sup> ლოდიაშვილი ივ., სულხან-საბა თრბელიანის „ხწავლანი“ და „ხართხის კარი“, გვ. 147-148.

## ქათოლიკობისადმი ზოგადი დამოკიდებულება სულხანსაბამდელ საქართველოში

სულხან-საბა ძალიან კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის სავალალო პოლიტიკურ მდგომარეობას, მის გამომწვევ მიზე-ზებს. მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ევროპის ცენტრალიზებული კათოლიკური ქვეყნების შესახებ, რომელთა სულიერ მეთაურად რომის პაპი გამოდიოდა. ამიტომ „იმ ქვეყნის შეილი, საღაც ეკლესიის სახე პოლიტიკურ კოთარებას ასახავს, საღაც საგვალესიო იერარქია ვერ აკონტროლებს მდგომარეობას, საღაც არც ერობა ში, არც ეკლესია არ არსებობს ძლიერი ხელი, რა გასაკვირია, რომ გადაიხაროს პაპობის შეუვალი და შეუმცდარი ავტორიტეტის აღიარებამდე... საბას გადახრა, შესაძლებელია, იხევ და იხევ ტრადიციული პოლიტიკური მიზეზით აქხსნათ. შესაძლოა, ამ სფეროში და ამ აზრით ხედავდა საბა ჭეშმარიტებას რომის ეკლესია ში. და რაჯი დაიხახა, მისდამი რწმენაც გულწრფელი იქნებოდა“<sup>1</sup>. მაგრამ სულხან-საბას მიერ კათოლიკობის აღიარებასთან და-კავშირებული დღეისათვის ცნობილი დოკუმენტები, ამ საკითხის სხვაგვარად გაანალიზებისა და დასკვნის გამოტანისას მიგვანიშნებს.

სულხან-საბა თავის დიპლომატიურ თამაშში სრულიადაც არ იყო ორიგინალური. ქართველმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა, დიდი ხნის წინათ (განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოგზაურობის დროიდან) შეიმუშავეს რომის პაპებთან საურთიერთობო ქნა, რომელიც უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე კათოლიკობისა და რომის პაპისადმი ნამდვილი დამოკიდებულების გამომხატველი. მაგრამ სხვა ქართველი პოლიტიკოსებისაგან განსხვავე-

<sup>1</sup> კიკნაძე ზ., კვლავ დაბრუნების თუ გადასცლის თაობაზე. პასუხი მერაბ დაღანიძე // „დიალოგი“. აღმოსავლეურ-დასავლეური ქრისტიანული უწერნალი, №1 (2), თბილისი, 2005, გვ. 19.

ბით მხოლოდ სულხან-საბა აღმოჩნდა მკაცრი რეალობის წინაშე, როდესაც მას უკან დახევა აღარ შეეძლო და კათოლიკობისადმი ლოიალური დამოკიდებულება უნდა გაემჟღავნებინა, მაგრამ ისიც მხოლოდ მართლმადიდებელ თანამომეთა საიდუმლოდ. ამგვარი პრაქტიკა საქართველოში უკვე დიდი ხნისა იყო. გავიხსენებ რამდენიმე მაგალითს.

ჯერ მოვუსმინოთ სვიმონ I-ს, რომელიც მიმართავს „ყოვლად მაღალს, დიდად ბედიურს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპას, რომელიც ხართ ოქროს ნადარა დიდის რომისა, ლეთის მიერ ჩაგონებული ორდანო, პეტრეთ მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეთ ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამაღლდა მესამე ცამდე და მოიხმინა კაცთაგან გამოუთქმელი ხიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო კალებიათა... მფლობელო კათოლიკე ქალებისა, მმართველო დიდისა და განთქმულისა რომისა, მზეთ მოულის დასავლეთის მანათებელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო...<sup>4</sup>. პაპის მიმართ ამგვარი მაღალფარდოვანი ეპითეტების მიუხედავად, სვიმონ მეფეს არასოდეს არ უდიარებია კათოლიკობა. ის კათოლიკური სამყაროს სულიერი მეთაურის გულის მოგებას და მისი მეონებით ევროპის მეფე-მთავრების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა.

1626 წლის 20 ნოემბერს თეიმურაზ I პაპ ურბან VIII-ს მიმართავს: „ოქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უძებეად ამაღლებული მწერები... რიდითა და მიხალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფერხთა... ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი ხარწმუნებისა, მთავარი მოული ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყოველთა... თქვენი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით მივიღეთ მეფობა... მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგო-

<sup>1</sup> იქვე, გვ 76

რათაც ღმერთი მამაა ყველა არხთა, მხგავსათვე თქვენც  
ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა“. ეს წერილში იყო ნათ-  
ქვამი, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში თეიმურაზ მეფე კათო-  
ლიკური პროპაგანდის წარმატებისათვის არაფერს აკეთებდა,  
მით უმეტეს იგი შორს იყო ამ რწმენის აღიარებისაგან. კათ-  
ოლიკე დამკვირვებლები, გარკვეული დროის განმავლობაში  
ვითომ ცდილობდნენ ქართველი მართლმადიდებელი მეფის  
ამგვარი მოქმედების ასენას. ბარტოლომეო ფერო წერდა:  
„მაშინ ამ ძალიან ფრთხილმა მეფემ იფიქრა, რომ უსიამოვნე-  
ბის თავიდან ასაცილებლად აჯობებდა ყველაფერი მაღუ-  
ლად გაეკეთებინა. ამიტომ რომაული რწმენის მსახურებას  
საიდუმლოდ აღასრულებდა და ასევე ფარულად გამოაცხადა  
თავი რომის ეკლესიის მორჩილად. ამგვარად, თავისი მფარ-  
ველობით ხელს უწყობდა საკუთარ სამეფოში მყოფი რომა-  
ელი კათოლიკების ორდენის განვითარებას მანამ, სანამ ხა-  
ლხი ბოლომდე შეისისხლხორცებდა ამ რწმენის დოგმებს და  
შეძლებდა მეტი გონივრული სიფრთხილით სახალხოდ ქადა-  
გებას“<sup>1</sup>.

მ. თამარაშვილი მის ხელთ არსებული თეიმურაზისა და  
პაპის მიმოწერის ამსახველი დოკუმენტების შეფასებისას,  
წერდა: „მეფე ძლიერ ყოფმანობდა და სახალხოდ გერ აღია-  
რებდა ამ სარწმუნოებას (კათოლიკობას – ე.მ.), რაღაც  
ეშინოდა აჯანყების საფუძველი არ მიუცა თავისი დიდებუ-  
ლებისათვის, რომელთაგან ზოგიერთი ამბოხების საბაბს ეძ-  
ბდა. გარდა ამისა, ბერძენი ბერები ხალხში ათასგარ ჭორს  
ავრცელებდნენ ლათინთა და რომაული ეკლესიის წინააღ-  
მდეგ. ამიტომ მეფემ გერ გადაწყვიტა ეს საქმე და უფრო შე-  
საფერისი დროისათვის გადასდო. ვარაუდობენ, რომ თვითონ  
ამ რწმენას ფარულად იზიარებდა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 566, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე გვ. 566. ხაზგასმა ჩემია.

მიუხედავად იმისა რაც მ. თამარაშვილისათვის ცნობილი იყო თეიმურაზ მეფის კათოლიკობისადმი დამოკიდებულება, 1626 წლის 20 ნოემბრის ზემოთ ციტირებული წერილის მიხედვით მაინც დაასკვნიდა: „ამ წერილით მეფე აღიარებს თავისს სარწმუნოებას, პაპს ქრისტიანების მამად და მთავრად სცნობს და პპირდება ყველა ნაირ მორჩილებას და პატივებს<sup>1</sup>. უცნაურია ამგვარი დასკვნის გამოტანა, მაშინ, როდესაც მ. თამარაშვილმა კარგად იცოდა, რაც უპასუხა თეომურაზ მეფეს პაპმა, რომელიც ქართველი მეფის მაღალფარდოვანი სიტყვების მიღმა რეალურს ვერაფერს ხედავდა. პაპს არ აქმაყოფილებდა თეიმურაზის მიერ ვითომდაც საიდუმლოდ და მარტო კათოლიკობის აღიარება და მოითხოვდა ქართველ მეფეს საქვეყნოდ, დაუფარავად გამოეცხადებინა თავისი ერთგულება პაპისა და კათოლიკობის მიმართ. ისიც საინტერესოა, რომ, როცა საქმე საქმეზე მიღვა, თეიმურაზმა საერთოდ უარყო პაპთან გაგზავნილი წერილების ავტორობა<sup>2</sup>.

არანაკლებ მოსაფერებელი წერილები გაუგზავნა ვახტანგ V შაჰნავაზმა პაპს. გამორჩეულად სახოტბო და იმავე დროს მინიშნებებით აღსავსეა მისი 1675 წლის წერილი პაპ კლემენტე ხ-სადმი: „მოგიყითხავ სიყვარულითა და გაქებ სახელის დიდებით თქვენ აღმაღლებულო და ყოველთა ცისკოდეთა ქუეშთა საჩინო მნათობო ელგარეო, მწერებსად ცხვართა პირმეტყველთა გამორჩეულო და ქრისტეს ძცნებისა ქადაგებად გამოჩენილო, მაღლისა და აღმატებულისა სამოციქულო საყდარსა გამორჩევით და უხასიდღოს დადგინდებულო, პეტრე მოციქულისა ტახტის ჭირველო და ცხვართა მიხთა დამცემლო და კლდეო სიმტკიცისაო...“ ამის შემდეგ შაჰნავაზი პაპს შეახსენებს რა სიკეთე უქნია მას საქართველოში მოღ-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 95.

<sup>2</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა დიპლომატია, II, გვ. 282-283.

ვაწე პატრიკისათვის, რომლებიც პაპის „სახელისა და სიკუ-  
თისათვის“ შეუწყნარებია. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა,  
შაპნავაზი, იმავე დროს, რომის პაპსა და კაპუცინების მეთა-  
ურს აფრთხილებს, თუ მისიონერებს ფინანსიურად არ დაეხ-  
მარებით „და არას ნაღვლობთ, ჩვენც არ დავაყენებთ, საყ-  
დარს ისევ დავაკუვთ და ამათ ვამოვყრით“<sup>1</sup>. ამის შემდეგ,  
ვფიქრობ, არ შეიძლება ლაპარაკი შაპნავაზის კათოლიკობი-  
სადმი მიღრეკაზე. ადარ მოვიხმობ ამონარიდებს გიორგი XI-  
ის, ექვთიმე არქიეპისკოპოსის, ვახტანგ VI-ის, აღმოსავლეთ  
საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზ X-ისა და სოლომონ  
I-ის პაპებისათვის გაგზავნილი წერილებიდან. ამ წერილებში  
ავტორების რელიგიური მრწამსის დანახვა შეუძლებელია.  
ისინი პოლიტიკოსების მიერ პოლიტიკური მიზნით შეთხზუ-  
ლი წერილებია.

ვფიქრობ, ზემოხსენებულ 1707 წლის წერილში ჩანს შორს-  
ჭკვრებელი პოლიტიკოსისა და დიპლომატის სულხან-საბა  
ორბელიანის ზრუნვა იქონიოს კონტაქტი რომის პაპთან და  
მისი სახით განათლებულ, მოწინავე ევროპასთან. მას აუცი-  
ლებლად სჭირდებოდა პატრიკის მხარდაჭერა, რომლებიც  
შეიძლებოდა ყოფილიყვნენ პაპთან და კათოლიკურ სახელ-  
მწიფოებთან დაკავშირების საშუალება. რომში გაგზავნილ  
წერილებსა თუ მოხსენებებში მათ უნდა შეექმნათ საბას, კა-  
თოლიკობის ერთგული ადამიანის პორტრეტი, რასაც ქართვე-  
ლმა დიპლომატმა წარმატებით მიაღწია კიდევ. მაგრამ ყოვე-  
ლივე, რაც მის კათოლიკობასთან იყო დაკავშირებული, გასა-  
იდუმლოვდებული უნდა ყოფილიყო. ამითიც, სხვა მიზეზებთან  
ერთად, გაპირობებული იყო მისი გაპარგის ინსცენირება. არ  
გამოვრიცხავ, რომ საბას მიერ ბასილიანობის ფორმალური  
აღიარება საქართველოში არ იყო შეთანხმებნული მის სათა-  
ყვანებელ ვახტანგ მეფესთანაც კი და, ამ უკანასკნელმა,  
მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო ამის შესახებ, როცა საბა საქ-

<sup>1</sup> ოქუმ, გვ. 228-229, 246-247.

ართველოს საზღვრებს გასცდა. ალბათ, ამითიც იყო განპირობებული ვახტანგის უარყოფითი დამოკიდებულება ევროპიდან ახალდაბრუნებული საბასადმი.

### **სულხან-საბას დამოკიდებულება ქათოლიკებთან მისივე მონათხრობის მიხედვით**

შემთხვევითი არ იყო საბას, ამ გამობრძმედილი დიპლომატის მიერ ბასილიანთა ორდენის წევრის სახით წასვლა ევროპაში. ის ერთსა და იმავე დროს მართლმადიდებელადაც რჩებოდა და კათოლიკეც ხდებოდა. ამგვარი რწმენის მიმართ დასავლეთში, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, შემწყნარებლობას იჩენდნენ. ბასილიანობის მიღებას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. მოგზაურობის დროს წმ. ბასილის ორდენის ბერებმა ჯეროვანი უურადღება გამოამჟრავნეს მის მიმართ, რაც უმნიშვნელო არ იყო მოხუცი, დასწეულებული და მატერიალურად ხელმოკლე დესპანისათვის. მაგრამ, როგორც თვით საბას მონათხრობიდან ჩანს, იტალიაში არ იყვნენ დარწმუნებულნი ქართველი დიპლომატის კათოლიკობისადმი გუდრწყველ მიღრეკილებაში.

საბა რომში მივიდა 29 ივნისს. თავის „მოგზაურობა ევროპაში“ ამ თარიღის აღნიშვნასთან ერთად იგი, რატომდაც (შემდეგში გაირკვევა რატომ) ამბობს, რომ კარდინალები პირველნი არ მივლენ ვინმეს სანახავად, ვიდრე მათ არ ინახულებენ და ამას მოაქოლებს თხრობას პირველ ივლისს მასთან ფრანგი კარდინალის სტუმრობის შესახებ, რომლის ვიზიტის მიზანი, თითქოს საბასთვისაც გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული იყო: წასვლისას „კარამდინ არც გამოგება, არც გამიყოლა, ვთითამ და ჩემს სანახავად არ მოხულაორ“<sup>1</sup>. მეორე დღეს (2 ივნისი) საბას სანახავად მივიდა ბასი-

<sup>1</sup> სულხან-საბა თრბელიანი, თხულებები, I // გამოხატვებად მოაზხადებს ხ. უუბანეთმილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 161.

ლიანთა მეთაური (პეტი) და „სხვა ეპისკოპოსები და წინაძლებრები“. მათი სტუმრობა ქართველმა დიპლომატმა ორიოდე სიტყვით შეაფასა: იმდენი გვიაღერსეს, რომ შეგვაჭირვეს, ე.ი. შეგვაწუხესო<sup>1</sup>. სავარაუდოა, სულხან-საბა მიგვანიშნებს, რომ სტუმრები მასზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ, პირველ რიგში მის რწმენაზე, სხვა რაიმე მომენტზე ფირი ამ შემთხვევაში, შეუძლებელია. ქართველი დიპლომატის ამგვარი სულისკვეთება გამოსჭვივის იქ, სადაც იგი პაპთან აუდიენციაზე გადმოგვცემს.

ხუთ ივლისს პაპმა სულხან-საბა ისტუმრა. სულხან-საბამ პაპს თავისი სათხოვარი შემდეგნაირად ჩამოუყალიბა: „წმიდავ მამა მეთქი, რა შენდა შვილმა (ვახტანგ VI – ემ), მტკიცე ქრისტიანმა თვისი საქმე შენზე მიაგდო, მაშინვე გულხავე შევიქწნ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ მეფეს არას არგებს. აგს ალაგს არის მეთქი. (პაპმა – ემ) მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო, ვახტანგისა და შენის ქვეწის სასარგებლოდ იმასაც დასაქცევად მოგცემო. მადლი გარდავისადე და მოვახენებ: მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლიდება ჩემს ქვებანაშია და მოსვლით მართლმადიდებლობას მოვმატება მეთქი. თვარა მე სხვა საქმე არა მაქს რა. მოხუცებულს სიმეონსავით გეხვეწები: აწ განმოტკიცე მეთქი. გამიცინა და მიბრძანა: მე შენთვის ლოს გეხვეწებით. დოდი დღე მოგცეხო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკრთოო<sup>2</sup>.

\*\*\*

ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ საკითხზეც: საქართველოში მოღვაწე მისიონერებთან, კერძოდ, სულხან-საბას კაპუცინებთან ურთიერთობასა და მათდამი დამოკიდებულებაზე.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>2</sup> სულხან-საბა მრავალიანი, თხზულებანი, I, გვ. 163.

რომში სულხან-საბა გამოვიდა კაპუცინების წინააღმდეგ. მან უარი თქვა ამ ორდენის ბერების საქარველოში წამოვანაზე<sup>1</sup>. ქართველი ელჩის ამგვარი მოთხოვნა თითქოს არ უნდა ასახავდეს ქართველ მოღვაწესა და კაპუცინელ მისიონერებს შორის დადებით ურთიერთობას. მაგრამ სულ სხვა განწყობილება ჩანს კაპუცინების მიერ რომში გაგზავნილ წერილებში. მათი გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სულხან-საბას მათთან ნორმალური ურთიერთობა პქონდა, მაგრამ ზოგიერთი მომენტი ასეთ ურთიერთობას საეჭვოს ხდის. ალბათ, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სულხან-საბა პარიზში ლაზარისტელების მონასტერში გაჩერდა, იმ ორდენის მონასტერში, რომელსაც უან რიშარი ეპუთვნოდა<sup>2</sup>. და ბოლოს, ერთი გარემოებაც იპყრობს ყურადღებას: კათოლიკე მისიონერების მიერ ევროპაში გაგზავნილ ყველა წერილში სულხან-საბას ამ სახელით მოიხსენიებენ. **თუ მან კათოლიკობა აღიარა, მაშინ კათოლიკე ბერებს შესაბამისი სახელიც უნდა დაერქმიათ, მაშინ როდესაც მას მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მინიჭებული სახელით – საბა და საერო სახელით – სულხან მოიხსენიებდნენ.**

<sup>1</sup> თამარა შეილი ქ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 660. სულხან-საბას მონათხრობის მიხედვით, რომელსაც ზემოთ გავეცნით, როგორც 6. ჯიქა შენიშნავს: არ რჩება ეჭვი, „რომ საბა მართლმადიდებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, უხერხელი იქნებოდა და კერც შეძლებდა საბა თავისი ძმობის წევრებზე მხვავხის განცხადებას“. ჯიქა ა., რამდენიმე დაკვირვება სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარზე“ // რელიგიის ისტორიის საკითხები, 2, ობილისი, 2013, 189-216.

<sup>2</sup> ტაბადუა ი., საქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 173.

## პოლიტიკური ვითარება საქართველოში სულხან-საბას ევროპაში გამგზავრებამდე

რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში, ამის გასარკვევად აუცილებელია გადავხედოთ იმდროინდელი ქართლის სამეფოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, რომლის ძირითად წეაროს ვახუშტი ბატონიშვილის ოხზულება წარმოადგენს.

იმისათვის, რათა ქვემოთ გამიაღვილდეს მეოთხევლის უერადდება მივაპყრო ზოგიერთი მომენტის ჩემებურ გაგებაზე, მოკლედ მოვიყვან ვახუშტის იმ ცნობებს, რომლებიც ეხება 1712-1713 წლებს.

\*\*\*

მანამდე კი, უნდა ითქვას შემდეგი:

1712 წლის გაზაფხულზე შაპმა თავისთან დაიბარა ვახტანგი („შემდგომად მოვიდა მჯპმანდარი კუკისა მიმწოდებელი“). ვახტანგმა გამგზავრების წინ ქართლის გამგებლობა თავის ნახევარმმას სვიმონს ჩააბარა, ხოლო თავისი ოჯახი, „დედოფლი და ძენი თჯხნი დაადგინა გორჩ“<sup>1</sup>. შაპმა ვახტანგს ქართლში გამეფების სანაცვლოდ ისლამის მიღება მოსთხოვა. გრაფ დეზალორს მდვდელი მისიონერი სწერდა: „ირანის შაპმა მიიწვია საქართველოს მეფე და ეწევა მასთან მოლაპარაკებას, რათა წესის მიხედვით, ის აიძულოს, მიღოს მაჟმადითანობა და რათა (არ – ე.მ.) გადაეცეს ქართლი კახეთის მმართველს. ფიქრობენ, რომ ეს მეფე აჯანყდება ან გადავა მოხვოვეთში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 491.

<sup>2</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 105.

არ ვიცი ცნობა, რომ 1710-იან წლებში ვახტანგ მეფეს რაიმე სახის კავშირი ჰქონდა მოსკოვთან. მაგრამ მაინც საჭურადღებოა მისიონერის ბოლო ფრაზა (შეიძლება, ეს აზრი ცნობილი იყო შაპის კარზეც), ვახტანგი აჯანყდებოდა ირანის წინააღმდეგ ან „მოსკოვეთში“ გადავიდოდა. მისიონერის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური იყო, იმდენად, რამდენადაც ათი წლის შემდეგ (1722-1724 წწ.) ვახტანგ მეფე მართლაც აუჯანყდა ირანს და გადავიდა „მოსკოვეთში“. შემდგომი პერიოდის ზოგიერთი ცნობა სავარაუდოს ხდის, რომ ვახტანგს მართლაც ჰქონდა კონტაქტები მოსკოვის მთავრობასთან, პირდაპირ თუ არა, მოსკოვის ქართული კოლონიის საშუალებით.

საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის და არა მხოლოდ მის შესახებ, პეტრე I-ს და მის გარემოცვას ინფორმაციის მოპოვება შეეძლოთ მოსკოვში დასახლებული ვახტანგის ბიძის, არჩილ II-ის ოჯახისგან, რომლისადმი კარგი განწყობილება, განსაკუთრებით არჩილის უფროს ვაჟ ბატონიშვილ ალექსანდრესადმი, საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია, აგრეთვე, ვახტანგის ქალიშვილის დარეჯანის კარგი ურთიერთობა რუსეთის სამეფო კართან<sup>1</sup>. სრულიად ბუნებრივია, რომ ვახტანგი გარკვეული ინფორმაციას იღებდა მოსკოვიდან პეტრე I-ის საშინაო და საგარეო წარმატებების შესახებ. ასევე კავკასიის საკითხებით დაინტერესებული პეტრე აუცილებლად გაამახვილებდა უკრადღებას ვახტანგ მეფის მდგომარეობაზე, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებინა თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის, კერძოდ კავკასიაში და ირანთან მიმართებაში.

არჩილ II-მ იყო რუსეთის მთავრობის მნიშვნელოვანი ინფორმატორი საქართველოს საკითხებში. მან რუსეთის საელჩო პრიკაზის ხელმძღვანელის (საგარეო საქმეთა მინისტრი)

<sup>1</sup> იხ. ტატიშვილი კლ., ქართველები მოსკოვში, მეორე შევხებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1959.

გრაფ ფეოდორ ალექსანდეს ძე გოლოვინის თხოვნით დაწერა წერილები საქართველოზე, შეადგინა საქართველოს რუკა და მუდმივი კავშირი პქონდა სამშობლოსთან თავისი კაცების საშუალებით. იგი მოპოვებულ საინტერესო მასალებს რუსულ ენაზე თარგმნიდა და ფ. ა. გოლოვინს უგზავნიდა<sup>1</sup>.

საგარეო საქმეების ხელმძღვანელი დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება შეეძლო ერეპლე I-ის დროს დაარსებულ მოსკოვის ქართულ კოლონიას, რომელიც არჩილის დროს შესამჩნევად გაიზარდა. „არჩილთან ერთად მოსკოვში ჩავიდნენ და საბოლოოდ დამკვიდრდნენ თავადები – ამბრასაძე (რომელიც შემდგომში ამზანცევად იქცა), ხერხეულიძე (შემდგომში ხერხეულიდზევი), ხოლოდაშვილი (ხოლოვოვი), დადიანი (დადიანოვი), ქვარიანი, ჯაფარიძე, ხავვარეულიძე, ბეჭანიშვილი, ალადაშვილი და ბეჭრი სხვა. ოცამდე დიდი ქართველი გვარი შეაღგენდა XVII საუკუნის მოსკოვში ქართველთა კოლონიას“: თავადებთან ერთად იყვნენ თავიანთ ბატონებთან ერთად მოსკოვში გადასახლებული სხვადასხვა დაბალი წარმოშობის ყმა გლეხები და სამდვდელო პირები – 150 ქართული გვარი<sup>2</sup>. კოლონიის შევსება პერიოდულად ხდებოდა სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით რუსეთში გადახვეწილი ახალი ქართველი კოლონისტებით.

არჩილს უნდოდა, რომ საქათველოსა და მოსკოვის კოლონიას შორის არასოდეს შეწყვეტილიყო კავშირი. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე<sup>3</sup>, არჩილ მეფე პეტრე I-ს სწორდა: „დე, ძრძანოს თქვენმა უდიდებულებობამ, რომ აზნაურები და ჩვენს (ქართულ – ე.მ.) ენაზე მოლაპარაკე კველა წოდების აღაიანები, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ მოსკოვ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 216-217.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219-220.

<sup>3</sup> არჩილ მეფე გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს. დაიკრძალა მოსკოვის დონის მონასტერში შვილების გვერდით.

ში და ჩვენს შემდგომაც ჩემი ქვეყნიდა ჩამოვლენ, მოვიდნენ  
და წავიდნენ წინანდებურად დაუბრკოლებლად. დე, მოხეოვში  
ჩამოსულნი, მიღებული ჩვეულებისამებრ, აუცილებლად ჩვენს  
სახლში ცხოვრობდნენ<sup>1</sup>.

პეტრე I-ის არჩილის ასულ დარეჯანთან კარგი ურთი-  
ერთობის დამაგვირვენებელ ბოლო აქტად უნდა მივიჩნიოთ  
შვედებზე გამარჯვებული იმპერატორის მიერ ზეიმის აღნიშ-  
ვნა 1722 წლის 30 იანვარს ვსესვიატსკოეში, დარეჯანის სასა-  
ხლეში.

ასე, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს და  
ვახტანგის შესახებ ცნობებს სისტემატურად თუ არა გარემო-  
ული პერიოდულობით მაინც იღებდა. ასევე სავარაუდოა, რომ  
ვახტანგიც თავისი სანდო ადამიანების საშუალებით რუსეთ-  
ის ამბები საქმის კურსში იყო.

ასე რომ გადაჭარბებული არ იქნება იმის ვარაუდი, რომ  
ძალდატანებით გამუსლიმანების საშიშროების წინაშე მდგო-  
მი ვახტანგ მეფე იძულებულ გამხდარიყო რუსეთში შეეფარუ-  
ბინა თავი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ფრან-  
გებს, კერძოდ, გრაფ დეზალორის კორესპონდენტ მდვდელ  
მისიონერს, უშუალოდ ვახტანგისგან უნდა მოესმინა, რომ თუ  
აიძულებდნენ რჯულის შეცვლას, შეიძლებოდა თავი შეეფა-  
რებინა რუსეთისათვის.

\*\*\*

ვახტანგმა უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე. მიუხე-  
დავად ამისა შაპი თავიდან ვახტანგის ქართლში ქრისტიანად  
დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ კარისკაცების მოთხოვნითა  
და ვახტანგის ნახევარმმის იესეს ინტრიგების გამო პირვან-  
დელი განზრახვა შეცვალა და იგი ირანში გააჩერა.

1713 წლის 20 იანვარს კაპუცინების მისიონერი პიერ  
დ'ისუდენი ირანიდან სწერდა გრაფ დეზალორს, რომ საქარ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 227.

თველოს მეფე უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ჩამოვიდა ისპანში. შაპმა ის დაიბარა რათა გაემაპმადიანებინა. შაპს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა დაეყოლიებინა იგი დათანხმებოდა მის მოთხოვნას, მაგრამ მეფემ დიდი სიმტკიცით გაუწია წინააღმდეგობა. დ'ისუდენმა ორ-სამჯერ მოინახულა ვახტანგი, რომელმაც განუცხადა: „უფრო ადრე მას ნაკუწნაკუწად აქცევენ, ვიდრე თავის სარწმუნოებას მიატოვებინებენ“. ამგვარად, დასაშვებია, რომ ვახტანგ მეფეს პირადად ეთქვა მისიონერისათვის, რომ ფიქრობდა რუსეთში გაქცევაზე. მისიონერი, ითვალისწინებდა რა ქართველების „არამდგრადობას“ სარწმუნოებაში, წერდა: „უოველოვის საშიშია, რომ ამ მეფემ, როცა დაინახავს, რომ ის მოკლებულია თავის სამცდობელოებს არ მიანებოს თავი ისევე, როგორც გააკეთეს მასზე ადრე მიხმა ბაძუამ, მიხმა მამამ, მიხმა ბიძამ და ორმა მიხი ძმებიდან. თუმცა კი ჩანს, რომ მას მტკიცედ აქეს გადაწყვეტილი უფრო ადრე დატოვოს თავისი სამცდობელოები ვიდრე სარწმუნოება“<sup>1</sup>.

დ'ისუდენი 1713 წლის 11 მაისს ისპანიდან ვერსალს აცნობებდა, რომ მან ვახტანგ მეფეს 4 მაისს გადასცა ლუი XIV-ისა და გრაფი დე პონშარტრენის სპარსულ ენაზე დაწერილი ბარათები. „ჩემს თავს უფლებას ვაძლევ მოგწეროთ თქვენ, და თქვენ გაცნობოთ, რომ მიმდინარე თვის ოთხში, მე მივიღე აღვაპოს გზით მისი უდიდებულესობის (ლუი XIV-ის – ე.მ.) წერილი და წერილი თქვენი აღმატებულებისა (პონშარტრენის – ე.მ.). მე ისინი მას მივუტანე მეორე დღეს და განვუმარტე მას იმიტომ, რომ არ იცოდა რა კარგად კითხვა ირანულ ენაზე, მან კერ შეძლო ქსარგებლა ირანული თარგმანით, რომელიც იყო წერილში და არ უნდოდა წაგეითხებინა იგი ადგილობრივი პირებისათვის იმის შიშით, რო ამ (შაპის – ე.მ.) კარს არ სცოდნოდა მისი შინაარსი და ადმ-

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის იხტორიიდან, გვ. 110.

როდა უქვე. ვინაიდან ეს საბრალო მეფე იმყოფება აյ აი უკვე წელიწადია, როგორც ტყვე... მე მგონია, რომ მისი უდიდებულების წერილი, რომელიც მან თაყვანისცემისა და მაღლიერების დიდად გამოვლინებით მიიღო, იქნება მისთვის კიდევ ერთი საბაბი, რათა ის გახადოს კიდევ უფრო მტკიცე. მე არაფერს არ უცულებელვყოფ, რათა გავამაგრო იგი ამ სიმტკიცეში, მაგრამ მე მხოლოდ სიტყვები გამაჩნია მისთვის. ბატონი აბატი რიშარი იქნება აღჭურვილი პატუხებით, რომლებსაც მევე (ვახტანგი – ე.მ.) მისწერს მის უდიდებულებითას (ლუი XIV – ე.მ.) და თქვენს აღმატებულებას (პონშარტერენი – ე.მ.)<sup>1</sup>.

კაპუცინი მამა ჟან ბატისტ დე მონმორო ისპანიდან წერდა, რომ 1714 წლის 14 თებერვალს ვახტანგ მეფეს საკუთარ ხელში გადასცა ზემოაღნიშნული წერილები. მეფემ კაპუცინს უბრძანა, რომ წერილებზე პასუხები დაეწერა იმავე ენაზე, რომელზეც მან მიიღო. იმავე დროს მან ბერს დაავალა გამოეჩინა მის მიწერ-მოწერაში სიფრონილე. ამიტომ იყო, რომ ვახტანგი თვითონ არ წერდა წერილებს და არც ხელს აწერდა. „ამიტომაცაა, რომ მან განიზრახა, – წერს მამა ბატისტ დე მონმორო, – მან განიზრახა რამდენიმე დღეში გაეგზავნა თქვენს აღმატებულებასთან ურანგი პატიოსანი ადამიანი (ჟან რიშარი – ე.მ.), რომელიც გაცნობებთ თქვენ თავის მოსაზრებებს, ისე, რომ არ პქონდეს შიში, რომ მისი წერილები ვინმე ხელში ჩაუვარდეს...“<sup>2</sup>

ვახტანგ მეფე სრულიად გამიზნულად იჩენდა სიფრონილეს, არ წერდა წერილებს ქართულად, რათა ისინი ხელში არ ჩავარდნოდათ მის მტრებს, რომლებიც მას საკმაოდ ჰყავდა როგორც საქართველოში ისე ირანში. თავისი ასეთი მდგომარეობის შესახებ ვახტანგ მეფე უფრო ნათლად ლაპარაკობს სულხან-საბასადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც

<sup>1</sup> იქვე, გვ. 116-117.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 157-158.

წაიღო ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელმა 1714 წლის 20 თებერვალს, რომლიდან ამონარიდს ზემოთ უკვე გავეცანით. ვახტანგი თავის დაუძინებელ მტრად თავის ძმას იქნეს ასახელებს<sup>1</sup>.

\*\*\*

ვახტანგისთვის სასურველი ვითარება არც ქართლში იყო. ქართლის გამგებელი სვიმონი დაქორწინდა ვახტანგის მტრის, გიორგი ერისთავის ასულზე „და ოწყეს ქველვამხედველობა ვახტანგის“<sup>2</sup>. ვახტანგს ასმენდნენ შაპის წინაშე, „რათა სცნას, რა ბოროტი უქმნიეს მაჭადიანთა ზედა ვახტანგ“ ამიტომ შაპმა სინამდვილის შესასწავლად ქართლში გამოგზავნა ვინმე ხოლოფა. მან მიიღო მითითება: თუ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, თვითონ დაეყრო ქართლი, სვიმონი კი ირანში გაეგზავნა. „მოპერულის ხოლოფას თანაშეიზრახნენ სკმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგისა ბოროტსა ზედა“ მათ მხარი დაუჭირა ქართლის სამდველოებამ კათალიკოს დომენტის მეთაურობით. როდესაც ხოლოფას ნამდვილი ზრახვები გამჟღავნდა, ის განდევნეს და შაპს მისწერეს: „არა გვნებავს ვახტანგი, არამედ მოგვივლინე იქნე“<sup>3</sup>.

\*\*\*

მართალია, ვახტანგი ბატონიშვილი როგორც ამბის თანამედროვე, სუბიექტურია ზოგიერთი ფაქტის შეფასებისას, მაგრამ მისი ცნობები უცილობლად სანდო და ანგარიშგასაწევია. ვახტანგის თეზულების ის ადგილები, რომლებიც ვახტანგ VI-ის ისპაანში ყოფნის პერიოდს ეხება, კრიტიკულად შეისწავლა კ. დონდუმამ, ვახტანგის მიერ უარყოფითად შეფა-

<sup>1</sup> ოქებ, გვ. 163.

<sup>2</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 492.

<sup>3</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493.

სებული ქართლის გამგებლის სვიმონის რეაბილიტაციის მიზნით. ამისათვის საჭირო იყო ვახუშტი ბატონიშვილის გამტკუნება, რაც მან, ერთი შეხედვით, კიდევ შეძლო. მაგრამ, ოუფაქტებს ჩავუკვირდებით, ჩვენი სასიქაღულო მეცნიერისადმი წაყენებული ბრალდებები მკაცრი აღმოჩნდება. ვ. დონდუა სვიმონის დასაცავად ისეთ შეუფერებელ გამოთქმებს ხმარობს ვახუშტი ბატონიშვილის მიმართ, როგორიცაა: „ვახუშტი ამ თავის ძიძის (სვიმონის – ე.მ.) ხახლს გეხლში ამოვლებული კალმით უკავშირებს ვახტანგის რეაქციულ მოწინააღმდეგეთა საქმიანობას“<sup>1</sup>; „ვახუშტი, ხაერთოდ მომულე სვიმონისა“<sup>2</sup>; „სვიმონი ვახუშტის... მიერ ისევ მწარედ დადაღული“<sup>3</sup>. ყოველივე ამის გახსენება იმისათვის დამჭირდა, რომ თუ არ ადსდგა ისტორიული სინამდვილე (ეს კი ასახულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში), მაშინ გაუგებარი იქნება, რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა საფრანგეთში.

### **ვახტანგის დამოკიდებულება ძმებთან**

როგორც ითქვა, ვახტანგ VI-ის პოზიციები საკმაოდ შეიძლახა ქართლის სამეფოში. ამიტომ მისთვის აუცილებელი იყო ქართლში ისეთი თანამზრახველისა და ერთგული ადამიანის ყოლა, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი პიროვნება? რა თქმა უნდა მისი მამილაშვილი და აღმზრდებული სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში. ვახტანგი ირანში გაემგზავრა 1712 წლის 23 აპრილს. სულხან-საბა ვახტანგის ამალაში იმყოფებოდა. ვახტანგმა,

<sup>1</sup> დონდუა ვ. ვახტანგ VI-ის დროინდებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745. საისტორიო ძიებაზი, I, თბილისი, 1967, 33-37; გვ. 37.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 45 და ხევ.

იმავე წლის დასასრულს სულხან-საბა უკან დააბრუნა ქართლის სამეფოშო.

ამგვარად, ქართლში შექმნილი ვითარება იყო მთავარი მიზეზი სულხან-საბას ქართლში დაბრუნებისა და არა „ეპროპაში გასამგზავრებლად და გახტანგის მჯარველთა დასაძებნად“ სამზადისი<sup>1</sup>. შემდეგში დავრწმუნდებით, რომ სულხან-საბას ევროპაში გამგზავრება მოგვიანებით გადაწყდა.

ქართლში დაბრუნებული სულხან-საბა გახტანგის ოჯახთან დასახლდა გორში. ისმება კითხვა: რით იყო გამოწვეული გახტანგის მიერ ირანში წასვლის წინ დედოფლისა და უფლისწულების თბილისიდან გორში გადაყვანა<sup>2</sup>.

გახტანგის ასეთი მოქმედება პირველ რიგში განპირობებული იყო თავისი ოჯახის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. საფიქრებელია, გახტანგმა დედოფალი და უფლისწულები განარიდა თავის ძმას, ქართლის გამგებელს სვიმონს. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გახტანგმა თავისი სურვილით დანიშნა სვიმონი ქართლის გამგედ. სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს მოხდა გახტანგის სურვილის საწინააღმდეგოდ. მართალია გახუშტი ამბობს, რომ გახტანგმა „მაშინ (ირანს გამგზავრების წინ – ე.მ.) დაუგვევა ძმა თვეს სკიმონ გამგედ ქართლისა“, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ გახტანგი შაჰმა დაიბარა, მაშინ უფრო საგულისხმოა, მან იქვე მიიღო ბრძანება, ვინ უნდა ყოფილიყო მისი შემცველელი. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვიმონის ქართლის გამგებლად დანიშნვაში იესე ბატონიშვილისა ხელი ერია, რომელიც იმ დროს ისპაანში ცხოვრობდა და, როგორც მაშინდელი საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, საკმაო გავლენითაც სარგებლობდა. იესე და სვიმონი რომ ერთობლივად

<sup>1</sup> მენაბდე ლ., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953, გვ. 46; ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი // სულხან-საბა ორბელიანი, თხულება, I, თბილისი, 1959, გვ. 400.

<sup>2</sup> გახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 491.

მოქმედებდნენ ვახტანგის წინააღმდეგ, კარგად ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან. მაშასადამე, ვახტანგის მიერ თავისი სახლობის გორში გადაყვანა სვიმონისაღმი უნდობლობით იყო გამოწვეული, ხოლო როდესაც იქსე გამეფდა, დედოფალმა და უფლისწულებმა საერთოდ მიატოვეს ქართლი.

დაზუსტებას მოითხოვს ის მოსაზრება, რომლის მიხედვით, როცა სვიმონმა მხარი დაუჭირა ქართლში გამეფებულ იქსეს, თითქოს ეს ვახტანგის ინტერესებს შეესაბამებოდა. ვ. დონდუა ვახუშტი ბატონიშვილის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ვახტანგ ძევეს ოფიციალურ დაპადებია მის ირგვლივ შექმნილ პირობებში აზრი – ტახტი დაეთმო თავის გამუხლიძანებული „ძმებისთვის“, აღმართ ხელი და იუსტიციას“<sup>1</sup>. საინტერესოა რას ეფუძნება ასეთი დასკვნა.

ვახუშტი გადმოგვცემს, რომ როდესაც შაჰ ჰუსეინმა ვახტანგს ქართლში გამეფების სანაცვლოდ გამუსლიმანება მოსთხოვა, ასეთი პასუხი მიიღო: „მე მოვუდ, რათა არა დამართონ მეტერთა და შეირყებ ქართლი: გარნა არიან ძმანი ჩემი მაკადიანნი და რომელ გნებავს წარავლინე და მე ვეგო წინაშე შენსა“<sup>2</sup>.

ვახტანგის სიტყვებში გამოსჭვივის შეგნება თავისი დირსების, იმ უპირტატესობისა, რომელიც მას გააჩნია თავისი ძმების წინაშე. მას თავისი რომელიმე ძმის გამეფება მიაჩნია „შერყევად ქართლისა“, მაგრამ მაინც თუ შაჰს სურს ქართლის ტახტზე მაკმადიანი ქართველი მეფე, მაშინ აღსრულდეს ნება მისი, ვახტანგი ისპაანში დარჩება, ხოლო ქართლის საქმეებს მისი რომელიმე ძმა გაუძღვება, რაც ვახ-

<sup>1</sup> დონდუა გ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 39.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 492.

ტანგს, მისი სიტყვებიდან ასე ჩანს, საეჭვოდ მიაჩნია. ვახტანგის დირსეული შემცვლელის მოძებნა ქართლში მაშინ მართლაც შეუძლებელი იყო. ვახტანგი რომ მხარს არ დაუჭერდა იქსეს გამეფებას, კარგად ჩანს ვახტანგის ქვემოთ მოყვანილი სიტყვებიდან. სულხან-საბა ორბელიანის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელიც ვახტანგის კარნახით ერთ-ერთმა კაპუცინმა დაწერა 1714 წლის 20 თებერვალს ისპანში. მასში ვგითხელობთ: „ვერ ვგედავ და ჩემის ხელით ვერაფერს ვწერ, — ამბობს ვახტანგი, — რაღგან მეშინია ჩემის მის არტილერიის გენერლის იქსესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამოქაც<sup>1</sup>. კიდევ ერთიც: ვახტანგს რომ იოლად შეძლებოდა ქართლის ტახტის დათმობა, მაშინ რადად შეეცდებოდა უაღრესად სახიფათო რისკით დაკავშირებოდა საფრანგეთის კარსა და რომის პაპს. სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობაც ხომ ვახტანგის ქართლის ტახტზე დაბრუნებას ისახავდა მიზნად.

სვიმონისა და იქსეს თანადგომაზე მიუთითებს ისიც, რომ ახალგამეფებულ იქსეს, შაპის ბრძანების მიუხედავად, სვიმონი, რომელმაც ბოროტად გამოიყენა ქართლის გამგის უფლება, ირანში უნდა გაეგზავნა, მაგრამ არ შეასრულა<sup>2</sup>. იქსემ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, კათალიკოსობა აღუდგინა დომენგი IV-ს, მაშინ, როდესაც ვახტანგის ოჯახი — დედოფალი რუსუდანი და უფლისწულები რაჭას გაიხიზნება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> თამარაშეიდი მ, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, გვ. 317; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 163.

<sup>2</sup> დონდურა კ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური იდეალი. 1712-1745, გვ. 39.

<sup>3</sup> ვრცლად იქნება ქვემოთ.

როგორც აღინიშნა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სვიმონმა და ქართლის დიდკაცობამ გარკვეული როლი ჟეას-რულეს იქსეს გამეფებაში. მათ შპს მისწერეს: „არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იქსე“<sup>1</sup>. სვიმონი გატეხილ ხიდზე მიეგება მეფე იქსეს, „გარდაეხვივნებ ძმები ერთმანეროსა, შექმნეს ლხინი და უკუყრა“<sup>2</sup>.

შპს ვერც იქსემ გაუმართლა იმედი. ხელმოცარული სულხან-საბას ერობიდან დაბრუნების შემდეგ, 1716 წელს ვახტანგი გამაპმადიანდა. შპს ვახტანგი ქართლის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ დროებით ირანში დატოვა. ქართლის გამგებლად (ჯანიშინად) დაინიშნა ვახტანგის გამაპმადიანებული ვაჟი ბაქარი (შპსავაზ II, 1716-1719). ბაქარი სდევნიდა და სჯიდა ვახტანგის მოწინაღმდეგებს. მაგრამ ვ. დონდუას მიერ მოხმობილი ფაქტი, რომ სვიმონს დევნა არ განუცდია<sup>3</sup>, სრულებითაც ვერ გამოდგება იმის არგუმენტად, თითქოს იგი პირშავად არ იყო ვახტანგ მეფესთან. არც სვიმონის ვახტანგთან ერთად რუსეთს გამგზავრება 1724 წელს არ ნიშნავს, რომ ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (1712-1713) ის ვახტანგის ერთგული და თანამზრახველი იყო<sup>4</sup>. ხომ ცნობილია, რომ დამნაშავე ბატონიშვილებიდან არც ერთი რეპრესიორებული არ ყოფილა, გარდა ნომერ პირველი დამნაშავესი – იქსესი, რომელიც ჯერ თბილისის ციხეში ჩამწყვდიეს, შემდეგ მასაც აპატიეს შეცოდებანი და თავისუფლება და ქონება დაუბრუნებს.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, 492-493.

<sup>2</sup> ჩხეიძე ს., ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, II, 1854, გვ. 326.

<sup>3</sup> დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 44.

<sup>4</sup> იქვე, 47.

ასეთი შიდაპოლიტიკური ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ სულხან-საბა რობელიანის დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მიზნით მოგზაურობის მომზადება.

უკვე ითქვა, რომ ირანიდან ქართლში დაბრუნებული სულხან-საბა გორში დასახლდა და, საფიქრებელია, მას პირველ რიგში, მფარველობა უნდა გაეწია ამ ქალაქში თავშეფარებული ვახტანგის ოჯახისათვის. რამდენად ახლობელი და ძვირფასი იყო ეს მხცოვანი მოღვაწე ვახტანგის ოჯახისათვის, კარგად ჩანს ფრანგი მისიონერისა და დიპლომატის ჟან რიშარის 1713 წლის წერილიდან: „ამ თავადმა (სულხან-საბამ – ე.მ.) აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა, ამისათვის იხეთ პატივს სცემენ და იხე უყვართ, როგორც საკუთარი მამა; უკრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია“<sup>1</sup>.

### სულხან-საბას გამგზავრება ევროპაში

სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების გარემოებათა შესასწავლად ძირითადი წყაროა ჟან რიშარის წერილები.

აბატი ჟან რიშარი ფრანგი იყო და ეკუთვნოდა ლაზარისტების კონგრეგაციას<sup>2</sup>. რიშარი 1710 წლიდან ირანში მოღვაწეობდა. ვახტანგს იმდენად დაუახლოვდა, რომ ვ. დონდუას

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 312; მცირედი განხსნავებით იხ. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 146-147.

<sup>2</sup> ლაზარისტები კონგრეგაცია დაარსა წმინდა გინჩენცო დევი პაოლიდ 1625 წელს. კონგრეგაცია დაამტკიცა პაპმა ურბან VIII-მ 1632 წელს. თემი თავდპირეველად განთავსებული იყო პარიზში პონანფანის კოლეჯიში. 1632 წელს მათ გადაეცათ სან-ლაზარის მონასტერი და ამის შემდეგ მათ მოიხსენიებდნენ ლაზარელთა სახელით. ლაზარელები ეწევიან მისიონერობას, ასწავლიან სემინარიებში და ხხვ. Католическая энциклопедия. Т. 2, Москва, 2005; პეტროზოვლი ქ., ქრისტიანობის ლექსიკონი, თბილისი, 2011.

თქმით, ის გახდა „ვახტანგის მეხაიდუმლებ, როგორც საფრანგეთის ელჩის მოციქული“<sup>1</sup>. როგორც ჩანს, რიშარი მალე დაბრუნდა საფრანგეთში, რაღგან მას 1711 წლის აგვისტოში ვხედავთ საქართველოში ირანში მიმავალ საფრანგეთის ელჩთან, აგათოპოლელ ეპისკოპოს, ბაბილონის კოადიუტორ<sup>2</sup> გატი დე გალოკსონთან ერთად. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში შეჩერდნენ. ი. ტაბაღუას მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით დგინდება: „ვახტანგი 1711 წლის აგვისტოში, თბილისში ყოფნის დროს გაიცნო ვახტანგ მეფე და სულხან-ხაბა თრბელიანი და შედგა საუბარი საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ; ამ საუბრებს ეხმრებოდა აგათოპოლელი ეპისკოპოსი, რომელთან ერთად იყო ვახტანგი, რომელიც აღმოხავლეთის ქვეყნებში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას განავებდა... აგათოპოლელმა ეპისკოპოსმა და ვახტანგმა თბილისიდან მისწერებს წერილები რომში და პარიზში და სრული წარმოდგენა მისცეს ვახტანგ მეფეზე, სულხან-ხაბაზე და, საერთოდ, საქართველოზე საფრანგეთის სამეფო კარსა და რომის პაპს, რისი შედეგიც იყო: საფრანგეთის მეფე დაური XIV-ხა და კანცლერი გრაფი დე პონშარტრენის მიერ და რომის პაპის კლემენტ XI-ის აჭტიურობა საქართველოს სასარგებლოდ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დონდეუა კ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 40.

<sup>2</sup> კოადიუტორი – ასე ეწოდება ეპისკოპოსის დირექტორი თანამშრომელს, რომელიც სადიოცეზო ეპისკოპოსს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში ეხმარება. პეტროზოლი პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, გვ. 158.

<sup>3</sup> Tabagua I., I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, I, Tbilisi, 1996, p. 28. ციტირებულია, პაპაშვილი გ., როდის იყო ვანზრახული სულხან-ხაბა თრბელიანის ელჩობა დასავლეთში. „ხაისტორიოგრაფია“, №18, 2009, გვ. 76.

1713 წელს შაპმა რიშარს დაავალა საპასუხო წერილების წაღება საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან. ამ დროს ირანში მყოფმა ვახტანგმა შემთხვევით ისარგებლა და რიშარს ასევე თავისი საპასუხო წერილი გაატანა იმავე მეფესთან. მე შემთხვევით არ ვამბობ ვახტანგმა „შემთხვევით ისარგებლაო“. დღეისათვის ცნობილი წყაროები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ვახტანგს არ ჰქონდა საშუალება და დრო წინასწარ შეემუშავებინა ევროპაში თავისი ნდობით აღჭურვილი პირის გაგზავნის გეგმა. საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, თავდაპირველად აუცილებლად უნდა დადგინდეს, როდის მიიღო მან ირანში საფრანგეთის მეფის და მისი ელჩის წერილები.

ადნიშნული წერილები თავრიზში მიიტანა პატრმა დე ბურჟმა 1712 წლის აგვისტოში<sup>1</sup>. ამ დროს ვახტანგი უკვე ერთი თვის ჩასული იყო ისპაანში. მხოლოდ 1713 წლის 15 მაისს რიშარის მიერ ისპაანიდან გაგზავნილი წერილებით ვიგებთ, რომ პატრმა პიერ დ'ისუდენმა წერილი ადრესატს, ე.ი. ვახტანგს ჩააბარა<sup>2</sup>, მაგრამ ზუსტად როდის, არ ვიცით. პატრებს ამ წერილების ვახტანგისათვის გადასაცემად მოხერხებული დრო უნდა შეერჩიათ, წინადადევე შემთხვევაში სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა როგორც ვახტანგს, ასევე პატრებს. იმ ინტენსიურ მომოწერას თუ გავითვალისწინებთ, რომელიც ფრანგ მისიონერებს სტამბოლში საფრანგეთის ელჩთან ჰქონდათ, მაშინ შეიძლება დაგუშვათ, რომ ფრანგ ელჩს მისთვის ასეთ საინტერესო ამბავს (ვახტანგს რომ წერილები ჩაბარდა) სწრაფად აცნობებდნენ. მაშასადამე ვახტანგს წერილები უნდა მიეღო არაუგვიანეს 1713 წლის აპრილის დასასრულს ან მაისის დასაწყისში.

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 301.

<sup>2</sup> იქვე გვ. 302.

ეხლა დგება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა 1712 წლის ნოემბერში ისპანიდან ქართლში წამოსულ სულხან-საბას სცოდნოდა ვახტანგის გეგმა დასავლეთ ეკროპაში ელჩობის გაგზვნის შესახებ, ან როგორ შეეძლო ვახტანგს მისთვის დაევალებინა ქართლში დაბრუნება „საფრანგეთში წასვლის შესამზღვდებლად“, როგორც გ. ლეონიძე ფიქრობდა<sup>1</sup>.

ხელსაყრელი შემთხვევა ვახტანგისგან სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა. მას წერილის პასუხიც უნდა დაეწერა და სანდო კაციც მოექმნა, რომელსაც გაანდობდა თავის მნიშვნელოვან საიდუმლოს და გარანტირებული უნდა ყოფილიყო, რომ იგი არ გახმაურდებოდა. სავარაუდოა, ვახტანგს საფრანგეთის მეფის წერილის პასუხი რიშარისათვის უნდა გადაეცა მისი გამგზავრების წინ, მცირე ხნით ადრე.

დაზუსტებას მოითხოვს ი. ტაბაღუას მოსაზრება, რომ უან რიშარის საქართველოზე გავლით გამგზავრება იმით იყო განპირობებული, თითქოს მას სურდა სულხან-საბას წაყვანა საფრანგეთში<sup>2</sup>. როგორც შემდგომში დავინახავთ, რიშარი ამ მიზნით არ სტუმრებოდა საქართველოს. მას სხვა ინტერესი ჰქონდა. ჯერ ერთი, მაშინ კათოლიკე მისიონერებისათვის ნაკლებად სახიფათო იყო საქართველოს გზა. ამას გარდა რიშარი, თავის საქმიანობიდან გამომდინარე, დაინტერესებული იქნებოდა საქართველოში მოღვაწე მისიონერების მდგომარეობის გაცნობით (ეს ის დროა, როდესაც მისიონერები დევნას განიცდიდნენ ირანში. ამაზე ქვემოთ), ამიტომ უშუალოდ უნდა გასცნობოდა ვითარებას. გავისხენოთ, რომ რიშარი სულხან-საბას განსაკუთრებულ დამსახურებად უთვლიდა მისიონერებისადმი მხარდაჭერას და იმასაც, რომ ეს ქართველი სასულიერო პირი თვითონაც კათოლიკობას აღია-

<sup>1</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბელიანი // სულხან-საბა თრბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 400.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ეკროპის არქივებისა და წიგნსაცავებში, I, გვ. 147.

რებდა, როგორც კაპუცინი მისიონერები აცნობებდნენ რომსა და პარიზში. საფრანგეთის მთავრობაც ხომ იმიტომ ამყარებდა კავშირს ვახტანგ VI-სთან, რომ მას ხელი შეეწყო პატრების მოღვაწეობისათვის საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ სერიოზული ანტიკათოლიკური განწყობილება სუფევდა ქართლის სამეფოში XVIII ს. პირველ მეოთხედში. ასეთი ვითარება განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა სულხან-საბა თრბელიანის საქმიანობაში ევროპაში გამგზავრების წინ და იქიდან დაბრუნების შემდგომ ქართლის სამეფო კარის და ეკლესიის მისადმი მოპყრობაში. ქვემოთ შევეცდები ვაჩვენო, რომ ირანში გრიგორიანი სომეხი სამდვდელოების მიერ განხორციელებულ კათოლიკების დევნას, XVIII საუკუნის პირველ ოცეულში გამოძახილი პქონდა საქართველოში<sup>1</sup>.

არ გამოვრიცხავ, რომ რიშარი ვახტანგის რჩევით მოვიდა საქართველოში. საქვო, მაგრამ დასაშვებია, ვახტანგმა საქართველოს გზით მიმავალ რიშარს წერილი გამოატანა სულხან-საბასთან.

რიშარი ერევანზე გავლით თბილისში მივიდა. ის შემდგნაირად გადმოგვცემს თავის მოგზაურობას ერევნიდან თბილისამდე: „ერევნიდან წაველ საქართველოში ტფილისს, საცა მფლობელადაა ძმა ვახტანგ მეფისა, რომელიც არის ისხაანს. თექხსმეტი დღე<sup>2</sup> თავისთან დამიჭირა, შემდგომ რაძღენიმე აფიცერი მომცა, რათა გამყოლოდნენ შავ ზღვამდე<sup>3</sup>. ამ დროს, ქართლის გამგებელია სვიმონი. რიშარის სვიმონთან დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში დარჩენა, მაგლევარებს იმის მოწმობად მიაჩნიათ, რომ ვახტანგსა და

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 302-304, 307, 310.

<sup>2</sup> წერილის ფრანგულ დედანში 15 დღეა. იქვე, გვ. 722.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 312, 722. მცირეოდენი განსხვავებით იხ. ტაბადუა ი., საქართველო უკროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 146.

სვიმონს ერთნაირი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია (ამ შემთხვევაში დასავლეოევროპული) პქონდათ. მოვუსმინოთ ვ-დონდჟას: „სვიმონს, ჩანს, სწადდა რიშარისა და მისი მთავრობის იმავე მიზნით გამოყენება, რა მიზნითაც ვახტანგ მეფე იყო ჩაბძული დიპლომატიურ ურთიერთობაში აღნიშნულ მთავრობასთან. უკველია, სვიმონიც, მსგავსად ვახტანგისა, ეძებდა ყაენის ზურგს უკან ევროპასთან დაკავშირების საშუალებას, მასთან დაახლოებას<sup>1</sup>. ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, იზიარებდა ი. ტაბაღუაც<sup>2</sup>. ასეთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა რიშარის მიერ თბილისში გატარებულ დღეებზე ნათქვამი ორიოდე სიტყვიდან, გაზვიადებული მიმართია.

სვიმონს რომ რაიმე ინტერესი გამოემუდავნებინა საფრანგეთის სამეფო კართან კავშირის დამყარების შესახებ, მაშინ რიშარი, როგორც ამ ქვეყნის წარმომადგენელი, ვალდებული იყო თავისი მთავრობისათვის მოეხსენებინა. უფრო სწორი იქნება რიშარის ნათქვამის შემდეგნაირი გაგება: ის უქმაყოფილო სვიმონმა, მისთვის გაუგებარი მიზეზით, 15 დღით თბილისში რომ დააკავა. ჩემი აზრით, სვიმონს სურდა გაეგო რიშარის ქართლში მოსვლის მიზანი, ვისთან დაამყარებდა იგი კონტაქტს. ვფიქრობ, რიშარმა არავერი გაუმხილა სვიმონს ვახტანგის განზრახვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭკვოა, რიშარის მოგზაურობა საქართველოში ისე გაგრძელებულიყო, როგორც დღეისათვისაა ცნობილი. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, რიშარმა არ იცოდა სულხან-საბა მას ევროპაში რომ გაჰყვებოდა. ვახტანგმა, ალბათ, ისე მოაწყო საქმე, რომ რიშარს, ვიდრე ის სა-

<sup>1</sup> დონდჟა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 40.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებას და წიგნსაცავებში, I, გვ. 146.

ქართველოდან არ წავიდოდა, არ სცოდნოდა იმ მისის შესახებ (მხედველობაში მაქვს სულხან-საბას რიშართან ერთად გამგზავრება. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ვახტანგ მეფე შაპის ხელისუფლებისათვის მიუდებელ პიროვნებებთან მიმოწერისას იცავდა მკაცრ კონსპირაციას), რაც ვახტანგის გეგმით მას უნდა შეესრულებინა. ასეთი კონსპირაცია კი მაშინდელ ქართლში შექმნილი ვითარებითაც იყო ნაკარნახევი.

საქართველოში და, ალბათ, სხვაგანაც მოგზაურობისათვის რიშარს აუცილებლად ექნებოდა შაპისაგან ნაბოძები დაცვის სიგელი, რომელიც ქვეშევრდომებს ავალდებულებდა ყოველგვარი დახმარება აღმოჩენათ და დაეცვათ მისი დავალებით საფრანგეთს მიმავალი ფრანგი. ამით უნდა აიხსნას სვიმონის დიდი „ყურადღება“ რიშარისადმი. რიშარის თავისუფლად გადააღგილებას, გარკვეული გაგებით, ზღუდავდა სვიმონის მიერ მისთვის გაყოლებული „დაცვა“, რომელსაც, ალბათ, ფრანგისადმი თვალთვალიც ევალებოდა. თუ გათვალისწინებული იქნება ეს გარემოება, მაშინ გასაგები გახდება რატომ დასჭირდათ ვახტანგსა და სულხან-საბას, ამ უკანასკნელის დასავლეთ ევროპაში გაპარვის ინსცენირება.

### სულხან-საბას და უან რიშარის შეხვედრა გორში

რიშარი თბილისიდან გორს მივიდა და იქ შეხვდა სულხან-საბას. როგორც რიშარის ზემოხსენებული წერილიდან ჩანს, ის გორში მცირეხანს გაჩერდა<sup>1</sup>. საფრანგეთის მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის გრაფ დე პონშარტრენი-

<sup>1</sup> ადრე, როდესაც, უან რიშარისა და სულხან-საბას გორში შეხვედრაზე ვწერდი, არ გავიზიარე ი. ტაბაღუას მოსაზრება სულხან-საბას და რიშარის ნაცნობობის შესახებ და ვფიქრობდი, რომ ისინი პირველად გორში შეხვდნენ 1713 წელს.

სადმი გაგზავნილ მოხსენებაში სულხან-საბა ამაზე პირდაპირ მიუთითებს: „ჩემთან მუხური რიშარი ძღვდელი არის, რომ ქართლიდან ამან მომიყვანა. რა გახტანგ ეს (რიშარი – ე.გ.) შეისწავლა, დიად განეწყო. ამისთვის ეთქვა თავის პასუხი<sup>1</sup>. რიშარი კი ასე გადმოგვცემს სულხან-საბასთან შეხვედრას: „რა გავიარე გორში, აქ დამხვდა სულხან-საბა, ბიძა საქართველოს მეფისა; მონა ზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროცენტია, რომელიც მისი საკუთრება იყო. ამიტომ პყო, რათა უფრო აღვილად აღვარებინა ქართლიკე სარწმუნოება<sup>2</sup>. ამონარიდიდან იმ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, თითქოს სულხან-საბასი და რიშარის შეხვედრა გორში წინასწარ იყო დაგეგმილი<sup>3</sup>. რიშარი სულხან-საბასთან შეხვედრას უფრო იმიტომ აღნიშნავს, რომ მისი სახით გაიცნო კათოლიკე ქართველი დიდებული – ყველასგან პატივცემული და დაფასებული პიროვნება, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს.

უურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც. სულხან-საბას, როგორც რიშარის წერილიდან ირკვევა, თავდაპირველად დიდი უურადღება არ გამოუჩენია მის მიმართ. შეიძლება საბა ასე იქცეოდა კონსპირაციის მიზნით, სხვების დასანახად. მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ რიშარი შემთხვევით არ მიაქცევს მკითხველი უურადღება იმ გარემოებას, რომ როცა სულხან-საბამ გორში მიიღო ვახტანგის წერილი,

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 317-318; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 299.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 312, 722; მცირედი განსხვავებით იხ. ტაბაღუა ი., საქართველო კვრობის არქივება და წიგნსაცავებში, I, გვ. 146.

<sup>3</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კვრობის არქივება და წიგნსაცავებში, I, გვ. 144.

ამის შემდეგ „რაც მისმა საფრანგეთის მიმართ ხიყვარულმა ჩააგონა, ყოველი პატივი მცა“<sup>1</sup>. რიშარის ეს ერთი ფრაზა მაფიქრებინებს, რომ ვახტანგის მიერ სულხან-საბასათვის გამოგზავნილ წერილში იყო ისეთი რამ, რამაც სრულიად შეცვალა ქართველი დიპლომატის ფრანგისადმი განწყობილება, რაღაც მნიშვნელოვანი შთააგონა მას. ასეთ ვარაუდს თუ მივიღებთ, მაშინ ვერ გავიზიარებ გ. ლეონიძის ზიგიერთ მოსახრებას, საქართველოდან ევროპაში გამგზავრების წინ სულხან-საბას საქმიანობის შესახებ. გ. ლეონიძე წერს: „საბა... ანა ზღეულად სტოკებს ისპაანს და ქართლში ბრუნდება... საბა ალბათ გამომგზავრებულა საფრანგეთში წასევლის შესამზადებლად მეფის პაროლის მოლოდინში და აი, როდესაც ევროპაში მიმავალი რიშარი ხდება მას გორში, საბაც თავისი წერილის პასუხს იღებს ვახტანგისაგან... ჩვენ არ ვიცით, რა შინაარხისა იყო ეს წერილი და ეხებოდა თუ არა საბას ევროპაში გამგზავრების საკითხს, მაგრამ საყურადღოებოა, რომ სწორედ ამ წერილის მიღების შემდეგ საბამ გამოუცხადა რიშარს თავისი სურვილი ევროპაში წასევლისა“<sup>2</sup>.

რიშარის წერილიდან ამოღებული ფრაზა ვერ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს სულხან-საბა ირანიდან ქართლში იმიტომ დაბრუნდა, რომ საფრანგეთში წასასევლელად შემზადებულიყო. უკვე ითქვა, რომ მისი დაბრუნება სხვა მიზანებით იყო განპირობებული. არც ის არის სწორი, თითქოს აღნიშნული წერილის მიღების შემდეგ გაუჩნდა მას ევროპაში გამგზავრების სურვილი. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ასეთი სურვილი მან გამოსთქმა სხვაგან, სხვა წერილის მიღების შემდეგ.

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 312.

<sup>2</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბევლიანი. სულხან-საბა თრბევლიანი, თხზულებანი, I, გვ. 400.

მაშ რა ეწერა გორში მიღებულ წერილში? ჩემი აზრით, ამ წერილით ვახტანგი საბას აცნობებდა ვინ იყო რიშარი და ვახტანგის რა დავალება უნდა შეესრულებინა. საბამ, ალბათ, ზოგადად იცოდა ვახტანგის განზრახვა საფრანგეთთან კავშირის დამყარების შესახებ. ვახტანგს ეხლა, როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა და ის ამ გეგმის რეალიზაციისაკენ კონკრეტულ ნაბიჯს დგამდა, მისთვის უაღრესად საინტერესო იქნებოდა საბას, როგორც გამოცდილი დიპლომატის აზრი.

### **სულხან-საბამ ევროპაში გამგზავრება გადაწყვიტა გორში**

თავდაპირველად, დასავლეთ ევროპაში მიდიოდა მხოლოდ რიშარი, როგორც ვახტანგ მეფის ნდობით აღჭურვილი პირი. ამაზე გარკვევით მიუთითებს თვით საბა. რიშარი რომ შემდგომშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ვახტანგის ტყვეობიდან დასახსნელად და მხოლოდ საბას გამყოლი არ იყო, ამაზეც თვით საბა განსაკუთრებით მიუთითებს. პარიზში მისულმა ქართველმა დიპლომატმა დაუ 14-ის მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს გრაფ დე პონშარტრენს მისწერა: „ქართველი მეფის პასუხები დიდებულთანაც (საფრანგეთის მეფე დაუ 14 – ებ.) და თქვენთანაც მოვიტანე, როდესაც გინდათ თქვენთან მოვალ და მადლხაც გარდავისძირ“<sup>1</sup>. მაგრამ საბას უმჯობესად ჩათვალა, რომ დასახელებულ მინისტრთან მივიდეს რიშარი, რომელმაც იცის ფრანგული ენა (პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში სპაეციალურად იყო აღნიშნული, რომ სულხან-საბამ არცერთი ევროპული ენა არ იცოდა), მშვენივრად ერკვევა ვახტანგისა და საქართველოს საქმეებში, ყველაფერს უკეთესად

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., იხტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 317.

აუხსნის მინისტრს. „ამის სიტყვას უკეთ შეიტყობ, - წერს ხაბა, - და ჩემსა ეს შეიტყობს და ჩემი საქმე და სანდომი რაც არის, ამან უველა კაი იცის და თუ უბრძანებთ უფალკას ეს მოგახსენებს და გაგისინჯვებს<sup>1</sup>. სხვა წერილებიდან ირკვევა, რომ რიშარი საბას საფრანგეთიდან გამომგზავრების შემდეგაც იღწვოდა ვახტანგის დასახმარებლად.

როგორც ვთქვი, პირველად მარტო რიშარი მიდიოდა საფრანგეთში. ამიტომ ვერ გავიზიარებ ი. ტაბაღუას მოსაზრებას, თითქოს უან რიშარს საფრანგეთის მეფისათვის უნდა წაედო ვახტანგის საპასუხო წერილი, უნდა გაევლო გორში, საიდანაც გაჟყვებოდა სულხან-საბა და პირადად გადასცემდა ლუი XIV-ს ვახტანგის წერილს<sup>2</sup>. ცნობილია ერთ-ერთი ფრანგი მისიონერის მიერ 1713 წლის 11 მაისს (დაახლოებით ორთვენახევრით ადრე საბას ირანიდან სამშობლოში გამგზავრებამდე) სტამბოლიდან გაგზავნილი წერილი, საიდანაც ვიგებთ: „ბატონი რიშარი წაიღებს საპასუხო წერილებს, რომლებსაც მეფე (ვახტანგი – ე.მ.) მისწერს მის უდიდებულებებას (ლუი XIV-ს – ე.მ.) და თქვენს აღმატებულებას (დეზადორს – ე.მ.)<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, მისიონერის ეს ინფორმაცია რიშარისაგან მოდიოდა. საეჭვოა რიშარს სცოდნოდა, რომ მასთან ერთად უნდა წასულიყო ქართველი კაცი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ელჩობას და ამის შესახებ არ აცნობებდა დეზადორს, რომელიც, როგორც მაშინდელი მიმოწერიდან ჩანს, დიდად იყო დაინტერესებული და აქტიურადაც მონაწილეობდა ვახტანგის დასახსნელად მიმდინარე საქამიანობაში. ვახტანგმა რომ რიშარს დაავალა პასუხის წაღება საფრანგეთის მეფესთან,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 318.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო კვრთის არქივებისა და წიგნსაცავებში, I, გვ. 144.

<sup>3</sup> იქვე.

ამაზე მიუთითებს თვით ფრანგი მისიონერი<sup>1</sup>. ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ „მალე (იგულისხმება 1712 წ. – ე.მ.) გადაწყდა, ეს წერილები ვახტანგის ელჩს – სულხან-ხაბა ორბელიანს უნდა წაეღო, რომელიც კან რიშართან ერთად კიდევ გაემზავრა საფრანგეთში 1713 წლის აგვისტოს<sup>2</sup>, საფუძველს მოკლებულია.

საფურადდებოა ის გარემოებაც, რომ რიშარი მხოლოდ მარსელიდან მინისტრ ტორსისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებს, რომ „ამას (სულხან-ხაბა – ე.მ.) მოაქვს პასუხი იმ წერილებისა, რომელიც კეთილ ინგბა და მისწერა ხელმწიფებ (ლუი XIV-მ – ე.მ.) და ოქვენმა დიდებულებამ<sup>3</sup>. ეს მიგვანიშნებს, რომ მას შემდეგ, რაც ელჩობა გასცდა საქართველოს საზღვრებს, საბამ წარუდგინა რიშარს ვახტანგის მიერ ელჩის უფლებით მისი აღჭურვის საბუთი.

ამგვარად, ჩემთვის ცნობილი წყაროებიდან არ ჩანს, რომ ვახტანგს საბას დასავლეთ ეკროპაში გამგზავრება რიშარის გორში მისვლამდე უპავე გადაწყვეყტილი პქონდა.

რომ გვცოდნოდა რამდენ ხანს დარჩა რიშარი გორში (სავარაუდოა, ის მალე გაემგზავრა), მაშინ გაადვილდებოდა ერთი საინტერესო მომენტის ახსნა. კერძოდ, როდის შეთანხმდნენ ვახტანგ VI და სულხან-ხაბა ამ უკანასკნელის საფრანგეთის სამეფო კარზე წასვლის შესახებ. რიშარის წერილში მინისტრ ტორსისადმი არის ერთი ფრაზა: სულხან-ხაბამ „ისპაანიდან მიიღო თავისი წერილის პასუხი, რომელიც ხელმწიფებ (ვახტანგ VI – ე.მ.) გამოუგზავნა“<sup>4</sup>. ი. ტაბადუას მიაჩ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>3</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 312.

ნია, რომ აქ ლაპარაკია ვახტანგის მიერ საფრანგეთის მეფისადმი რიშარის ხელით გაგზავნილ წერილზე<sup>1</sup>. მაგრამ რიშარის წერილში სულ სხვა რამება ნათქვამი. რიშარი მოკლედ მოახსენებს მინისტრს თავის მოგზაურობაზე საქართველოში, აწვდის რამდენიმე ცნობას სულხან-საბას პიროვნებაზე, მის დიდ ავტორიტეტზე საქართველოში და იქვე, სხვათა შორის ამბობს, რომ სულხან-საბამ ვახტანგისა-გან საპასუხო წერილი მიიღო. არ ჩანს, რომ რიშარმა წერილი თვითონ გადასცა აღრესატს. მაგრამ იგი გარკვევით მიუთითებს, რომ ამ წერილის მიღების შემდეგ საბამ ჯერო-ვანი სიყვარული გამოხატა საფრანგეთისა და მისი წარმო-მადგენლის მიმართ. სტუმრისადმი პატივისცემის მიზნით, საბამ მისი შავ ზღვამდე გაცილება მოისურვა. საყურადღე-ბოა, რომ რიშარი ჯერ არ ლაპარაკობს სულხან-საბას გან-ზრახვაზე დასავლეთ ევროპაში გამგზავრების შესახებ. მაშასადამე, საბას ჯერ საბოლოოდ არ გადაეწყვიტა წავი-დოდა თუ არა<sup>2</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც იმას გა-ვიზიარებ, თითქოს “მისიონერს ქალაქ გორში დასჭირდა იქ მასთან შემხვდური სულხან-საბა თრბელიანის გულითადი თხოვნის დაქმაყოფილება და ასე მისი თან წაყვანა საფრან-გეთს”<sup>3</sup>.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI სულხან-საბას წერილით აცნობებდა თავის გეგმაზე – დაკაგშირებოდა სა-ფრანგეთის სამეფო კარს. მაგრამ მასში არაფერი იყო ნათქ-

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 149-150.

<sup>2</sup> იხ. ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბელიანი // სულხან-საბა თრბე-ლიანი, თხულაძენი, I, გვ. 400; გაბაშვილი გ., სულხან-საბა თრ-ბელიანი როგორც დიპლომატი // სულხან-საბა თრბელიანი. 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 71.

<sup>3</sup> დოხორება ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლი-ტიკური იხტორიიდან. 1712-1745, გვ. 40.

ვამი ქართლის სამეფოს წარმომადგენლის გაგზავნაზე საფრანგეთში. ასე რომ საეჭვოა ი. ტაბაღუას ნათქვამი, თითქოს ვახტანგი და სულხან-საბა ადრე იყვნენ შეთანხმებულნი ამ უკანასკნელის დიპლომატიური მისით დასავლეთ ევროპაში გამგზავრაების შესახებ<sup>1</sup>. შეიძლება ვახტანგს აინტერესებდა სულხან-საბას აზრი, უკეთესი ხომ არ იქნებოდა ქართველი კაცი ხლებოდა საფრანგეთის მეფეს და ასეთი კანდიდატის შერჩევასაც ავალებდა.

ამდენ ვარაუდთან ერთად ერთიც დაკუშვათ. საბამ ვახტანგს წერილი გაუგზავნა და თხოვა მისთვის მიენდო ამ საპასუხისმგებლო მისის შესრულება. იმავე დროს იგი ფრანგ დიპლომატს არაფერს ეუბნებოდა ვახტანგთან წერილის გაგზავნაზე, მანამდე, ვიდრე თავის მეფისაგან პასუხს არ მიიღებდა. ამიტომ ვერ დავეთანხმები ვ. გაბაშვილის ვარაუდს, დამყარებულს დ. ლენგის ნაშრომზე, რომ სულხან-საბამ ვახტანგისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტა საფრანგეთში წასვლა<sup>2</sup>.

იმისათვის, რათა სვიმონის მიერ რიშარისათვის გაყოლებულ დაცვას არაფერი ეეჭვა, სულხან-საბამ, ვითომ რიშარისადმი დიდი პატივისცემის გამო, მისი შავ ზღვამდე გაცილება მოინდომა. საბა ვახტანგის პასუხს ელოდა ისპაანიდან. მან, ალბათ, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ რიშარი, რაც შეიძლებოდა, დიდხანს შეეყოვნებინა დასავლეთ საქართველოში.

რიშარის მიერ სტამბოლიდან ტორსისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მას 40 (!) დღე დაუყვია დასავლეთ

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 150.

<sup>2</sup> გაბაშვილი ვ., სულხან-საბა თრბულიანი როგორც დიპლომატი, გვ. 71.

საქართველოში კათალიკოს გრიგოლთან<sup>1</sup>. კათალიკოსმა რიშარს თხოვა, მის სამწყმსოში მისიონერების მისვლი-სათვის შეეწყო ხელი. ამ საქმის მოსაგვარებლად კათა-ლიკოსმა რიშარს თავისი ერთი ბერი გააქოლა, რომელიც მისიონერებს ჩამოიყვანდა საქართველოში<sup>2</sup>. სხვა, კერძოდ, საბას მომავალ მოგზაურობაზე ან პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე მოლაპარაკება მაშინ არ უნდ ყოფილიყო. რიშარი, თავის საქმიანობას დასავლეთ საქართველოში გადმოგვცემს შემდეგნაირად: „სამეგრელოში იმ პატრიარქთან 40 დღე დავრჩი. ძრიელ კარგი ხასიათის და გონიერი კაცია, კათოლიკე სარწმუნოების სიუგარულით და ჩემის პატივის-ცემით ბევრ გზის მეხვეწა, რათა მისთვის მომუკანა მიხი-ონერები. მეც მის მრავალგზის განმეორებულ ვედრებას უარი ვეღარ ვუთხარი და ამიტომ ვიკისრე ეს მონდობილობა. მას რა ვაცნობე ეს ჩემი თანხმობა, მომანდო წამეუკანა ხეენებული მონაზონი (დავითი – ე.მ.)“<sup>3</sup>.

კათალიკოსი გრიგოლი რომ მხოლოდ მისიონერების გაგზავნას ითხოვდა თავის სამწყმსოში, ამას ადასტურებს სულხან-საბას და რიშარის მიერ ლუ XIV-სათვის წარ-დგენილი მოხსენება. „ამ კაიხუათხს (კათალიკოსი გრიგოლი – ე.მ.), – ნათქვამია მოხსენებაში, – ძრიელ დიდი ხანია ვიცნობთ ხათხო კაცად, როცა მის პროვინციაში გამოვიარე, დიდი ვედრებით შემუვდრა, რათა რვა ანუ ათი მისიონერი

<sup>1</sup> თამარაშვილი ბ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314; ტაბაღუა ი., საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსა-ცავებში, I, გვ. 152.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 153-154.

<sup>3</sup> თამარაშვილი ბ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314-315, 724-725.

კონფრონტაციას, რომელიც ცნობილია მთელ აღმოსავლეთში ყველა მისიონერის მფარველად და შემწედ<sup>1</sup>.

მოყვანილი ციტატიდან გამომდინარე, საქართველო, რომ სულხან-საბას თუნდაც კათოლიკოს გრიგოლისათვის გაენდო თავისი განზრახვა. დასაზუსტებელია ი. ტაბაღუას ვარაუდი, რომ „სულხან-საბა და რიშარი ხვდებოდნენ დასავლეთ საქართველოს საერთ და სასულიერო მოღვაწეებს და შეძლებისძაგვარად აცნობდნენ მათ ვახტანგის გვევმებსა და სულხან-საბას ეპისკოპოში გამგზავრების მიზანს“<sup>2</sup>. მისაღებად მიმაჩნია მ. პაპაშვილის მოსაზრება, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, სიფრთხილის გამო<sup>3</sup>. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო გაემგზავრებოდა თუ არა საბა ეპისკოპოში. გადაწყვეტილება მიღებული იქნა მაშინ, როცა მან დასავლეთ საქართველოში (კონკრეტულად სად ცნობილი არ არის) ვახტანგისაგან მიიღო წერილი, რომელშიც მისი თანხმობა იყო საფრანგეთში საბას გამგზავრების შესახებ. ამის შემდეგ საბამ რიშარს გაახდო თავისი გულისხადები. უან რიშარი წერს: „ამ დროს მიიღო რა წერილი ვახტანგისაგან, მაცნობა მე სურვილი, რომელიც ყოველთვის ქრისტიანი, ეხახა მისი უფიდებულებობა და მითხრა, რომ კერ ნახავდა უკეთეს შემთხვევას. საჭირო იყო რომ მე ამგლო ჩემ თავზე ზრუნვა მის შესახებ, თუ მე იგი მიყვარდა და თუ ესუურებდი მეღიარებინა ის სამხახური, რომელიც მან გაუწია მისიებს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ეპისკოპოს არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 152.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან ერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიონ გაგზანის შესახებ. // საქართველო-ეპისკოპო-ამერიკა, 1, თბილისი, 1997, გვ. 46.

<sup>4</sup> შდრ. თამარა შვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 312, 723: „დიდი ხანია ხელმწიფებს (ლუდოვიკე) ნახვა

გ. ლეონიძეს რატომდაც მიაჩნდა, რომ სულხან-საბამ რიშარს გორში გაანდო ევროპაში წასვლის სურვილი. იგი ამის გამო წერდა: „გავიხეხნოთ გულის აღმძერელი სურათი ქ. გორიდან საბას ევროპაში გამზავრებისა. მისიონერი რიშარი აგვიწერს, თუ განშორების ამბავმა რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დედოფალზე და საუროვნო სამეფო კარზე<sup>1</sup>. რიშარის წერილიდან კი, რომელსაც იმოწმებს გ. ლეონიძე, სრულიად სხვას ვიგებთ: სულხან-საბას ამ გადაწყვეტილებაზე მისმა მსახურებმა მის ნათესავებსა და ვახტანგ VI-ის ოჯახს დასავლეთ საქართველოდან აცნობეს<sup>2</sup>. ასევე საეჭვოა, რომ საბამ საქართველოზე გამავალი საგაჭრო გზის შესახებ თავის მოსაზრებანი გორში გაუზიარა რიშარს<sup>3</sup>. ახალი გზის შესახებ რიშარი ლაპარაკობს მას შემდეგ, როცა ის ამთავრებს თხრობას დასავლეთ საქართველოს კათალიკოსზე<sup>4</sup>.

იმის თქმა, ზუსტად სად გაანდო საბამ თავისი განზრახვა რიშარს, შავი ზღვის სანაპიროზე თუ სხვაგან, ცნობილი წერილიბითი წყაროებით არ ხერხდება. ცხადია, რომ ეს მოხდა დასავლეთ საქართველოში.

ფრანგი დიპლომატი გაოცებული უნდა დარჩენილიყო სულხან-საბას მიერ მოულოდნელად გამოთქმული სურვი-

---

მინდა და უკეთესი შემთხვევა არ მექნებათ და ამიტომ მთხოვა, – ამბობს რიშარი, – თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან რაც ამაგი მისიონერებს მივაგე, თუ დამიფახო, თან წამიუგანეთ“ გვ. 312, 723.

<sup>1</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბელიანი. სულხან-საბა თრბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 395.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 313.

<sup>3</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბელიანი. სულხან-საბა თრბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 399.

<sup>4</sup> თამარაშვილი მ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 313.

ლით, თანაც საბას მიზანი ბუნდოვანი იყო: „ხელმწიფის ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არ მექნება“<sup>1</sup>. რიშარმა, ალბათ, ამის მეტი არ იცოდა, თორემ დაწვრილებით მისწერდა მინისტრს. ის პირდაპირ თუ არა გადაკვრით მანიც მიანიშნებდა მინისტრს საბას საფრანგეთში ვიზიტის მოტივის შესახებ. რიშარი ხახს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბა ვახტანგის მითითებით მოქმედებს. „ამ დროს (დასაჯლეთ ხაქართველოში) ამან ვახტანგისაგან წერილი მიიღო და გამომიცხადა დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკ) ნახვა მინდა უკეთესი შემთხვევა არ მექნება“ – წერს რიშარი.

სავსებით მართალი იყო გ. ლეონიძე, როდესაც აღნიშნავდა: „რაკი საბას ეპროპაში გამგზავრება არსებითად ერანისა და ერანოფილური პარტიის წინააღმდეგ იყო მიმართული, ცხადია, საბას დიდი სიფრთხილე და კონსპირაცია სჭირდებოდა“<sup>2</sup>. იმისათვის რათა ვახტანგს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები ასცილებოდა, საბას ისეთი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ვახტანგის მოწინააღმდეგე რეაქციონერ თავადაზნაურობაზე, ირანისა და ოსმალეთის მმართველებზე, თითქოს ის თავისი მეფის დაუკითხავად გაიპარა ევროპაში. საბა სტამბოლიდან პონშარტერენისათვის გაგზავნილ წერილში პირდაპირ აცხადებდა: „ჩემი აქ ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის რომ ვინ იცის თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ ვამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“<sup>2</sup>. საბას ეს სიტყვები მხოლოდ მინისტრის აჩქარებას არ ისახავდა მიზნად. ისინი რეალურ ვითარებასაც ასახავდა. არ უნდა გახმაურებულიყო საბას მოგზაურობა ევროპაში ვახტანგის მფარველთა მოსაძიებლად.

<sup>1</sup> ლეონიძე გ., ხულხან-საბა თრბელიანი. ხულხან-საბა თრბელიანი, თხულებანი, I, გვ. 400.

<sup>2</sup> თამარაშილი მ., ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 33; ლეონიძე გ., ხულხან-საბა თრბელიანი. ხულხან-საბა თრბელიანი, თხულებანი, I, გვ. 400.

## სულხან-ხაბა მარხელში

1714 წლის 22 იანვარს სულხან-ხაბა და მისი თანამგზავრები მარხელში ჩავიდნენ და ორი თვე დარჩნენ. ამ ქალაქიდან პროპაგანდა ფიდეში გაგზავნილი წერილით (1714 წ. 14 მარტი) სულხან-ხაბამ ერთ-ერთ კარდინალს აცნობნდა იმ მიზნების შესახებ, რისთვისაც ის ლუი XIV-ის ნახვას იყო მოწადინებული. კერძოდ: 1. საფრანგეთის მეფეს გადასცეს ვახტანგისათვის გაგზავნილი წერილების პასუხი; 2. ემთხვიოს ლუი XIV-ის ფეხს; 3. საფრანგეთის მეფემ ბრძანოს უფრო მეტი პატრები ჩავიდნენ საქართველოში; 4. მასვე შესწევს ძალა დაეხმაროს ვახტანგ მეფეს გათავისუფლდეს შაჰის ტყვეობიდან. 5. ვახტანგი თუ თავისუფლებას მოიპოვებს და თავის ქვეყანაში დაბრუნდება, ის კათოლიკობასთან „გუნებით და სიყვარულით“ ახლოს მყოფი კიდევ უფრო გააძლიერებს ამ სარწმუნოებას.

სულხან-ხაბამ იცის, რომ რომში დაინტერესებული არიან იმ საკითხებით, რომლის მოგვარებაც მან პარიზსა და ვერსალში უნდა სცადოს, მაგრამ დარწმუნებული არ არის თავის წარმატებაში. ამიტომ დიპლომატი თავისი წერილით უკავშირდება იმ კარდინალს, რომელიც ხელმძღვანელობს კაპუცინი პატრების საქართველოში გაგზავნას, რომლისთვისაც სულერთი არ არის როგორი წარმატებით წარიმართება კათოლიკური პროპაგანდა და როგორი იქნება კაპუცინების მდგომარეობა აღმოსავლეთში.

სულხან-ხაბას უნდა პროპაგანდა ფიდეს კარდინალი წერილით აამოქმედოს ვახტანგ მეფისათვის სასიკეთოდ, კერძოდ, იშუამდგომლოს პაპთან, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ლუი XIV-სთან ვახტანგ მეფის დასახმარებლად. „ეს ვიცი, – წერს სულხან-ხაბა, – თუ უფროხად წმიდა მამა ჩვენი (პაპი – გ.მ.) თავის შვილს ვრანცისის მეფეს ტბილდად ახწავლის და ფრანცისის მეფე მოიხდომებს ჩვენს მეფეს (ვახტანგი –

ე.მ.) ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზადო ჩუქითვის დიდი  
საქმე იქმნება. რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის<sup>1</sup>.

სულხან-საბას, მის უახლოეს მრჩეველს და დამხმარეს – უნ რიშარს კარგად ესმოდათ, რომ როდესაც ვახტანგის გათავისუფლებისთვის აწუხებდნენ და კვლავაც შეაწუხებდნენ საფრანგეთისა და რომის უმაღლეს ხელისუფალთ, სამაგიეროდ უნდა შეეთავაზებინა რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი, რომელიც გამოიწვევდა მათ დაინტერესებას საქართველოთი. სავარაუდოა, ვახტანგ მეფემ ამგვარი უფლებამოსილება მისცა ჯერ რიშარს, რომელსაც წერილები გაატანა საფრანგეთის მეფესთან, შემდეგ კი მასთან ერთად გამგზავრებულ სულხან-საბას.

საფრანგეთის ხელისუფლებისათვის შესათავაზებელი პოლიტიკური და ეკონომიკური წინადადების შედგენის აუცილებლობა ელჩებმა მარსელშივე იგრძნეს და სწორედ ამ ქალაქში ყოფნისას შეიქმნა უაღრესად საინტერესო დოკუმენტი – „მემორანდუმი“<sup>2</sup>. იგი შეადგინა მარსელის ვაჭრობისა და გალერების ინტენდანტმა დ’არნუმ სულხან-საბას თხოვნითა და მისი უშუალო მონაწილეობით<sup>3</sup>.

დოკუმენტის პრეამბულაში ვკითხულობთ: „მემორანდუმი შესახებ იმისა, თუ რისი გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური სარწმუნოების, ახევე როგორც ვაჭრობის დასამყარებლად საქართველოში და იმ ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად არიან; ისევე როგორც მეფის ძალაუფლებისა

<sup>1</sup> თამარაშვილი ქ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 315.

<sup>2</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 211-238

<sup>3</sup> იქვე, გვ. 238, გენ. 2. „მემორანდუმი“ ვრცლად განიხილეს ი. ტაბადუაშ, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 183-206 და მ. პაპაშვილმა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 45-51.

და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ლეგანტში და აღმოსავლეთში, კერძოდ თურქებთან და ირანელებთან<sup>1</sup>.

მემორანდუმში ჩადებული მოსაზრებები და წინადაღებული გამიზნული იყო საფრანგეთის მთავრობის დასაინტერესებლად და დასარწმუნებლად აღმოსავლეთში სარფიანი ვაჭრობის საწარმოებლად და იმ როლზე რომელსაც საქართველო ითამაშებდა ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში. მართალია, ირანის მთავრობას საფრანგეთთან ვაჭრობის დიდი სურვილი პქონდა, მაგრამ არც ერთ დოკუმენტში, რომელშიც აისახა ეს საკითხი, არ ჩანს კონკრეტულად საქართველოს, როგორც ირანის ვასალის მნიშვნელობა. შპაჰის კარი სხვადასხვა წერილობითი მიმართვებით ცდილობდა გაეაქტიურებინა საფრანგეთის მთავრობა და ვაჭრები 1708 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად, ზოგჯერ მუქარასაც კი მიმართავდა. როგორც პიერ დ'ისუდენი გრაფ დეზალორს სწერდა, ირანის ზოგიერთი მაღალი რანგის მოხელე იმუქრებოდა, რომ თუ საფრანგეთი პირობას არ შეასრულებდა და ირანთან მაღალ დონეზე არ დაიწყებდა ვაჭრობას, ირანიდან განდევნიდნენ მისიონერებს<sup>2</sup>.

მემორანდუმი შეიცავს საფრანგეთისა და ირანის ურთიერთობის შემდეგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს (გავეცნოთ იმ თანმიმდევრობით როგორც არის მემორანდუმში):

1. კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება საქართველოსა და მის მეზობელ ხალხებში, რაც მოქმედებას გაუადგილებდა ფრანგებს კავკასიაში;

2. საქართველოზე გამავალი შავი ზღვა-კასპიის ზღვის დამაკავშირებელი გზის გამოყენება ფრანგ ვაჭრებს მისცემს

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 211.

<sup>2</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. III.

საშუალებას დაუკავშირდნენ არა მხოლოდ აბრეშუმით მდიდარ აღმოსავლეთ კასპიისპირეთს, იმავე დროს ამ გზაზე საქონლის გადატანა ბევრად იაფი დაჯდება, ვიდრე ოსმალეთის გზებით სარგებლობისას. იგი ხელსაყრელი იქნება ირანთან და ინდოეთთან დასაკავშირებლადაც. დასახელებულ ქვეყნებში გაბატონებულ პოლანდიელ და ინგლისელ ვაჭრებს ფრანგები იმდენად დაჯაბნიან, რომ მათი ვაჭრობა თანდათან დაქვეითდება, სამაგიეროდ გამდიდრდებიან ფრანგები და მათთან ერთად საქართველოს მეფე და მისი ქვეყნა. როგორც მემარუნდუმშია ნათქვამი, ინგლისელები, პოლანდიელები და სომხები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ სავაჭრო მონოპოლია ირანში და იძულებული გაეხადათ „შაჰი გაეუქმებინა 1708 წლის სექტემბრის ხელშეკრულება საფრანგეთან, მაგრამ მათ მარცხი განიცადეს<sup>1</sup>. დ'არნუს ეჭვი არ ეპარება, რომ სულხან-საბას მიერ შეთავაზებული წინადადებები ირანული აბრეშუმის საქართველოს გზით დასავლეთ ევროპაში გატანის შესახებ იყო ცდა, რომ საფრანგეთის მთავრობა დაეინტერესებინა იმდენად, რომ მას დაეხსნა ვახტანგ მეფე რომელიც ხელს შეუწყობდა და დაეხმარებოდა ფრანგებს პროექტის წარმატებით განხორციელებაში. დ'არნუს ეჭვი არ ეპარება, რომ სულხან-საბას ფრანგებისთვის შეთავაზებული „ეს წინადადება არ წამოუკენებია მისი ვახტანგისათვის შეტყობინების გარეშე<sup>2</sup>. სამწუხაოროდ არ არის ცნობილი სულხან-საბა რა გზითა და საშუალებით ინარჩუნებდა კავშირს ვახტანგ მეფესთან.

წინასწარმეტყველური იყო დ'არნუს მოსაზრება და იგი ამის შესახებ წერდა კიდევ, „რომ სულხან-საბამ და თვითონ ვახტანგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ მეფის (ლუი XIV-ებ.) დახმარება არ მოუტანდა მას იმ ეფექტს, რომელზედაც

<sup>1</sup> იქვე, გვ. 132

<sup>2</sup> იქვე, გვ. 215.

ისინი იმუდოს ამყარებდნენ. მას შეეძლო ცუდი შეღეგი მოე-ტანა მიხოვის<sup>1</sup>.

ეს რიშარი თავის ერთ-ერთ წერილში ლაპარაკობს იმ გზის შესახებ, რომელიც გადიოდა გურიის სამთავროს ტერიტორიაზე. ამ გზით შეიძლებოდა ჩასვლა გილანამდე იმ ტრადიციული გზის – ტრაპიზონის, ახალციხის, არზერუმის და ბენდერ-აბასის გავლის გარეშე, ე.ო. ოსმალეთის სამფლობელოების გვერდის ავლით. ამ გზით წაღებული აბრეშუმი და სანთელი, რომლებიც უხვად მოიპოვება ამ მხარეში, შეიძლებოდა კონსტანტინოპოლიში გაყიდულიყო 50%-იანი მოგებით<sup>2</sup>.

პარიზიდან ირანში მიმავალი ხუთი გზიდან, როგორც ი. ტაბადუა წერს, ერთი საქართველოზე გადიდა. ეს იყო პარიზიდან კონსტანტინოპოლის გავლით. ოსმალეთის სატახტოდან ორი სხვადასხვადსხვა გზით შეიძლებოდა ირანში ჩასვლა. ერთი გადიოდა ანატოლიაზე, მეორე კი სამეგრელოზე. სამეგრელოს გზა იწყებოდა კონსტანტინოპოლიდან, გაივლიდა კაფა→აფხაზეთ-სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო→ სამეგრელო→თბილისი→ერევანი→თავრიზი→ყაზბინი→ქაშანი→ისუაპარიზი<sup>3</sup>. საქართველოზე გამავალი გზა, რომ მნიშვნელოვნად ამცირებდა მანძილს პარიზიდან ისპაანამდე განსაკუთრებით ნათელი გახდა მაშინ, როდესაც სულხან-საბამ დარნეუს წარუდგინა, ამ უკანასკნელის თხოვნით შედგენილი რუპა. ერთ-ერთმა ირანელმა ვაჭარმაც დაასტურა, რომ საქართველოზე გამავალი გზა უაღრესად ხელსაყრელი იქნებოდა ფრანგი ვაჭრებისათვის. შემახადან შავ ზღვამდე და შავი ზღვიდან კონსტანტინოპოლამდე საქონლის ჩატანას დაჭირდებოდა 26

<sup>1</sup> იქვე, გვ. 215; ტაბადუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 189.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 61.

დღე, მაშინ, როდესაც ძველი, ტრადიციული გზით საჭირო იყო სამთვენახევარი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 216. ფრანგები, რომ სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული საქართველოზე გამავალი გზის ირანთან და ვაჭრობისათვის გამოყენებით, სანტერესო ცნობები შემოგვინახეს თბილისისა და გორის მისიებზე მოღვაწე კაპუჩინმა მისიონერებმა. საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა ფრანცისკანელი ბერები კვიპროსიდან გადმოეყვანა საქართველოში, ხოლო კაპუჩინები, რომლებიც ძირითადად იტალიელი ბერები იყვნენ, გადაეყვანათ კვიპროსზე. კაპუჩინების მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოვას 1674 წლის 18 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის თბილისიდან გაგზავნილ წერილში გვითხულობთ: „ფრანგებს სურთ, რომ ჩვენი ეს [თბილისისა და გორის] მისიონები მიიღონ, რათა მათმა ხოვდავრებმა აქ ადგილად იგაჭრონ. ასევე სურთ საგაჭრო გზა გაკვალონ შეგი ხდით სამეცნიელომდე, აქედან აღმოსავლეთ საქართველოს გავლით ხარსეთამდე. თუმცა უფალმა გაჭრებს აქვთ გზა დაუკეტა, რომ აქ მეტად არ შემოიხდომ“. Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 178 r-179 v. ურთიერთობი წერტილი საქართველოს შეხახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 49. იგივე პრეცექტი 1674 წლის 29 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალ პრეცექტისადმი თბილისიდან გაგზავნილ წერილში ნატრობს: „ნებავ, უფალმა გზა დაუგმანოს აქვთ ფრანგ გაჭრებს, რომ ისინი აქ [საქართველოში] არახოდეს გამოჩნდნენ... ასევე ფრანგ გაჭრებს სურთ, რომ ეს მისიონი საკუთარ ერს მოუპოონ, რათა გაკვალონ საგაჭრო გზა კონტანტინოპოლიდან სამეცნიელომდე, აქედან საქართველომდე<sup>1</sup> და შემდეგ – სპარსეთამდე<sup>1</sup>. მაშინ უკვე ამას მისიონი არ ერქმება“. იქვე, გვ. 57-58.

როგორც ვნახეთ, პიერ დ'ისუდენის ხელმძღვანელობითა და სულხან-საბას და ჟან რიშარის მონაწილეობით შედგენილ მემორანდუმში მნიშვნელოვანი ადგილი პქონდა დათმობილი საქართველოს, მაგრამ მან ასახვა ვერ პპოვა საფრანგეთ-ირანის 1715 წლის 13 აგვისტოს ხელმოწერილ ახალ სავაჭრო ხელშეკრულებაში. უფრო მეტიც საქართველო იგნორირებულია ამ დოკუმენტში, რაც, უნდა მომხდარიყო შაპის კარის მოთხოვნით. დოკუმენტში ჩანს, რომ ფრანგი ვაჭრები საქართველოში ან საერთოდ არ უნდა შემოსულიყვნენ, ან, თუ შემოვიდოდნენ, ისინი დიდ ხანს ვერ გაჩერდებოდნენ, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, შაპი ვალდებულებას კისრულობდა გაეცა ბრძანება, რომ ფრანგი ვაჭრებისათვის მიეცათ ირანში, სპარსეთის ყურის ნავსადგურებში, თურქეთისა და საქართველოს საზღვარზე საცხოვრებლად ისეთი სახლები, რომლებსაც ისინი გამოიყენებდნენ სავაჭრო კონტორებად და მაღაზიებად<sup>1</sup>. გამოდის, რომ ფრანგებს შეეძლოთ ევაჭრათ საქართველო-ირანის საზღვრისპირა რაიონებში, სადაც ისინი დიდხანს ვერ გაჩერდებოდნენ, თუ მათ ქართველები ვერ შეუქმნიდნენ ცხოვრებისა და კომერციისათვის საჭირო პირობებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ვახტანგ მეფე შაპის ტყვეობაში იმყოფებოდა და, საერთოდაც, აღმოსავლეთ საქართველოში არ იყო ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია იმდაგვარი, რომ ფრანგი ვაჭრების მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულიყო<sup>2</sup>.

3. მემორანდუმში გათვალისწინებულია ირანისა და ოსმალეთის უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა საქართ-

<sup>1</sup> ახალაძე ნ., ირან-საქართველოს ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისი, 1990, გვ. 51.

<sup>2</sup> ქვემოთ გამოჩენება საფრანგეთის მთავრობა როგორი კონფორტული პირობების შექმნას მოითხოვდა ფრანგებისათვის, როდესაც ისინი საქართველოში იქნებოდნენ.

ველო-საფრანგეთის კავშირისადმი; გათვალისწინებულია ვახტანგ მეფის სამხედრო პოტენცია<sup>1</sup>; საფრანგეთი თუ შესძლებს კავკასიელების გაერთიანებას ერთ რელიგიაში (რა თქმა უნდა კათოლიკურში!) საქართველოს მეთაურობით, მაშინ „ვერავითარი ძალა მხოლოდიოში ვერ შესძლებდა მათ განადგურებას, მათი ძღვომარების უპირატესობის გამო კავკასიის მოებში, რომელიც მათ თანაბრად აკრავთ ერთი და მეორე მხრიდან და შესაძლებელია ისინი თვითონ გახდნენ საშიში ორივე (ირანელი და თურქი – ე.მ.) ხალხისათვის...“<sup>2</sup>

4. მემორანდუმის ავტორებს გაცნობიერებული აქვთ, რომ საქართველო ტექნიკური განვითარების მხრივ სერიოზულად ჩამორჩება ევროპას. მათ განიზრახეს საფრამგეთის დახმარებით ამ ხარვეზის გამოსწორება. „მათ შეიძლებოდა ესწავლათ რაიმე ხელოვნება ან ხელოსნობა, რომელიც მათ აკლიათ, როგორიცაა, კერძოდ, (ლითონის – ე.მ.) დნობა და ზარბაზნების (გაკეთება – ე.მ.), გვარჯილის წარმოება, დენოს და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება; იციან რა მათ უკვე რკინის დნობა, რომელიც უხვად აქვთ; ასევე გვარჯილაც, რომლის ნახევრად გაწმენდა მათ იციან; რომ მათ შეეძლოთ ამასთანავე პყოლოდათ რამდენიმე ინფინიტი; და რომ ამავე დროს მათ შეეძლოთ ისწავლონ სამხედრო დისციპლინა და ის, თუ რანაირად იბრძიან და იცავენ აღგიღებს ევროპაში“<sup>3</sup>;

5. მწვავედ დააყენეს ადამიანებით ვაჭრობს აკრძალვის საკითხი, რომელიც, როგორც ხაზგასმულია მემორანდუმში, განსაკუთრებით მძვინვარებდა დასავლეთ საქართველოში, კურძოდ, სამეგრელოსა და გურიაში. მემორანდუმის ავტორები ამ ნაკლის აღმოფხვრის საქმეში განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებდნენ კათოლიკე მისიონერებს.

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 220-221.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>3</sup> იქვე.

6. საქართველო განიცდიდა ევროპული განათლების მქონე ადამიანების ნაკლებობას. ამ ხარვეზის აღმოფხვრა თავის თავზე უნდა აედო საფრანგეთის ხელისუფლებას. ქართველი ახალგაზრდებს წაიყვანდნენ, სახედრო საქმეში განათლებს მისცემდნენ, გაწვრთნიდნენ და უკან დააბრუნებდნენ სამშობლოში. „როცა ეს აზრი გამოთქმულ იქნა ხულხან-საბახთან ხაუბარში, მან დაგვიდახტურა, — წერს დარჩუ, — რომ დაწეული ამ ქვეყნის უკლაზე დიდი ბატონებიდან უკლა გაგზნიდა თავის შვილებს საფრანგეთში დიდი სიამოვნებით და საკუთარი თაოსნობით, რათა მიიღონ განათლება და ჩამოყალიბდნენ ფრანგების მხგავსად და შეძლონ შემდეგ ში გაანათლონ და ჩამოაფალიბონ ისინი, ვინც დარჩებოდა ქვეყანაში, როგორც კი ისინი იქ დაბრუნდებოდნენ; და ხულხან-საბამ გარდა ამისა, დასხინა, რომ ისინი განიხილავდნენ ასეთ პროექტს, როგორც [საფრანგეთის] მეფის დამოუკიდებლის მისი ბუნებრივი მიღრეკილების შედეგს...“<sup>1</sup>

„მემორანდუმში“, სულხან-საბას ინიცატივით, ხაზი გაევა იმ გარემოებას თუ, როგორ დიდი მნიშვნელობა შეიძლებოდა შეეძინა მომავალში საფრანგეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისათვის ვახტანგ მეფეს, ამის შესახებ აღნიშნულია დოკუმენტის დასაწყისსა და დასასრულს. პიერ დარჩუ წერს: „თუმცა, როგორც ჩანს, სულხან-საბამ თავის მოგზაურობა საფრანგეთში წამოიწყო მხოლოდ საკუთარი გულის წადილით, მის წინადადებებს და მის ზრახვებს, ასევე ის, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს ამასთან დაკავშირებით, შეეძლოთ მაინც გვგონია, დაეთმო აღვილი ერთ-ერთი დიდი პროექტისათვის, რომელიც შეიძლებოდა შედგენილი იყო თანამედროვე კითარებაში, რათა გავრცელებულიყო რომის კათოლიკური სარწმუნოება, გაეხსნა სრულად ახალი გა-

<sup>1</sup> მემორანდუმში ახალგაზრდების ფრანგულ ყაიდაზე აღზრდის საკითხზე, იხ. იქვე, გვ. 224-228.

საქანი (ვახტანგ – ე.მ.) მეფის დიდებისათვის თავისი ძალ-დონისა და ბუნებრივი მიღრეკილების მიხედვით, დახმარებოდა უძედურებაში ჩავარდნილ (ქართველ – ე.მ.) მთავრებს, გაეჭლიერებინა მის (ლუი XIV – ე. მ.) ქვეშევრდომთა ვაჭრობა, მირს დაუცა პოლანდიელების ვაჭრობა, რომლის ძლიერებაც ამის ვამო ბევრად შემცირდებოდა, ვაურია მისთვის კონკურენცია ინდოეთში, საიდანაც მათ ვამოაქვთ მთელი მათი სიმდიდრე, მოწიწებაში პყოლოდა იქ პორტუგალიელები, აეგვიპტებინა იქ ინგლისელები ეშინოდეთ და პატივსა გვცემდნენ ჩვენ და ასევე იყოლიონ თურქები და ირანელები ერთგვარ დამოკიდებულებაში<sup>1</sup>

### სულხან-საბა პარიზში

1714 წლის 21 მარტს სულხან-საბა ორბელიანი, დავით მეგრელი და ქან რიშარი პარიზში ჩავიდნენ. საბამ სენ-ლაზარის მონასტერში დაბინავდა<sup>2</sup>.

25 მარტს სულხან-საბამ მეფესთან წარსადგენად პონშარტრენს გადასცა თავისი სახელით შედგენილი მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო: ვახტანგის ირანში დაკავებულ მდგომარეობაში ყოფნა მთელ საქართველოს გამუსლი-მანებით ემუქრება. მაგრამ თუ ის სამშობლოში დაბრუნდება, მაშინ საქართველო არა მხოლოდ ქრისტიანად დარჩება, არამედ კათოლიკობასაც აღიარებს. იგი კათოლიკე მისიონერებს დაეხმარება ჩერქეზეთის გაკათოლიკებაში. მას ცოლად ჰყავს ჩერქეზეთის მთავრის ერთ-ერთი ქალიშვილი. ვახტანგის განთავისუფლებისათვის საჭიროა ირანში ჩავიდეს საფრანგეთის მეფის რწმუნებული, რომელიც მოაგვარებს ამ

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 211-212, 232-237.

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 173.

საქმეს. ვახტანგ მეფის გასათავისუფლებლად საჭირო იქნება 300 ათასი ეკიუ, რომელიც მას არ გააჩნია.

სულხან-საბა მეფეს თხოვდა დაეგმაყოფილებინა იმერეთის კათალიკოსის სურვილი და მისთვის გაეგზავნა 8 ან 10 მისიონერი. კათალიკოსს განზრარუხული ჰქონდა შეერთებოდა პაპის წმინდა ტახტს და მისიონერებთან ერთად მოქცია აბხაზები. იმავე დროს, სულხან-საბას აზრით, ლუ XIV-ს შეეძლო ეთხოვა შაპისათვის, რომ ის ჩარეცდის საქართველოს საშინაო საქმეში და ებრძანებინა მათოვის ვინც ვახტანგის ტყველის დროს განაგებდნენ საქართველოს, კერძოდ მათ მიიღონ ზომები, რათა ფრანგმა ვაჭრებმა, რომლებიც ისარგებლებენ იქაური გზით თავიანთი საქონლის ირანში ჩასატანად, გაიარონ სრულიად უშიშრად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე<sup>1</sup>.

1714 წლის 25 მარტს სულხან-საბამ სამახსოვრო ბარათი გადასცა სახელმწიფო მინისტრს, გრაფ დე პონშარტრენს იმპერატორისათვის წარსადგენად. ქართველ დიპლომატს დაერწმუნებინა იმპერატორი, რომ ვახტანგ მეფის პატიმრობიდან დახსა თრივე ქვეყნის – საქართველოს და საფრანგეთის ინტერესებშია. თუ ვერ მოხერხდება ვახტანგ მეფის გამოხსნა ისპაანიდან, მაშინ საქართველოს გამაპმადიანების საფრთხე დაემუქრება. ის თუ დაბრუნდება სამშობლოში საქართველო არა მხოლოდ ქრისტიანულ ქამწნად დარჩება, არამედ თავისი მეფის მიბაძით, რომელიც კათოლიკოსისადმი დადგითად არის განწყობილი, მისი ქვეშევრდომებიც კათოლიკობას აღიარებენ. სულხან-საბას სიტ-

<sup>1</sup> Brosset M., *Dokuments originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV // Nouveau Journal Asiatique~. Psris, 1832, t. IX, pp. 347-351. ციტირებულია: ტაბადუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხდენი), გვ. 175-177. იხ. აგრეთვე: თამარაშვილი გ., იხტოია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 321-322.*

ყვებით ვახტანგი თავის უბედურებას მიაწერს იმას, რომ მან დააგვიანა კათოლიკობაზე გადასვლა. იგი ამ შეცდომას გამოასწორებს უმაღვე როცა თავის სამეფოში დარუნდება. მას, ამ მხრივ, ფართე გეგმა აქვს: დაეხმარება მისიონერებს კათოლიკობა მიაღებინონ ჩერქეზეთს, რომლის მთავრის ასული მას ცოლად ჰყავს. კათოლიკობის გავრცელება მთელ მსოფლიოში ხომ საფრანგეთის მეფის მიზანიც არის. ასე, რომ ქართველი დიპლომატის სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ დაუი XIV-ს და ვახტანგ VI-ს კათოლიკობის გავრცელების შესახებ ერთნაირი მიზნები აქვთ.

სულხან-საბას არც თავისი დგაწლი ავიწყდება: „ეს დოღი მოგ ზაურობა მე წამოვიწყე მხოლოდ ამ ხალხების ხსნისათვის და მოვედი, რათა დავვებო ეკლესის უფროხი შეიძლის ფეხქვეშ, რათა მან გაუგ ზავნოს წერილი ირანელ დიდებულებს და მისცეს დაპირებები, რათა მათ დააბრუნონ ვახტანგი მის სამეფოში, რაც მათთვისაც სასიკეთო იქნება. ისინი საფრანგეთისგან ვერაფერს მიიღებენ სასიკეთოს ვახტანგის უცნებელად და ჯანმრთელად თავის სამეფოში დაბრუნებამდე“. სულხან-საბას მხედველობაში პქონდა ფრანგების პასიურობა ირანთან ვაჭრობის გაფართოებისათვის, რაშიც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა საფრანგეთის მთავრობას.

ამის შემდეგ ქართველი დიპლომატი გადადის იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომლებიც აუცილებელია ვახტანგის გასათავისუფლებლად: „300.000 კრიუ აუცილებელია და საკმარისი, მაგრამ რომელი მხრიდან შეუძლია დაიმსახუროს საქართველოს მეფებ ეს წეალობა?“ – სვამს კითხვას სულხან-საბა და პასუხობს კიდევ ისე, როგორც ფიქრობდა ვახტანგ მეფე. კერძოდ: არიან მეფეები, რომლებსაც გაჭირვების ქამს დაუი XIV დაეხმარა და კვლავაც ეხმარება. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ვახტანგ მეფე და იგი ვერ შეძლებს „უავგუხებულების და მეტად დიდხულოვანი მონარქის“ და-

სმარების გარეშე თავისუფლების მოპოვებას და თავის სამეფო დაბრუნებას.

„სამახსოვროში“ სულხან-საბამ ვახტანგის გათავისუფლებასთან დააკავშირა, მისი გაგებით, ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც იყო „სამეგრელოს პატრიარქის“ თხოვნა საფრანგეთის მეფეს სამეგრელოში გაეგზავნა 8-10 მისიონერი. პატრიარქის განზრახვაა „შეუერთდეს პაპის წმინდა ტახტეს და იმუშაოს ამ მისიონერებთან ერთად აბაზების მოქცევისათვის... მან მე გამომატანა ბერი სახლად დავითი... რომელმაც მას უნდა ჩაუყვანოს მისიონერები...“ აბაზების ჭეშმარიტ ღმერთამდე მიყვანის პირობა არის „უზრუნველყოფილ იქნას ვახტანგის დაბრუნება თავის სამფლობელოებში“. მაგრამ ირანის დიდებულები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ შაპზე, არწმუნებენ მას, რომ სეფიანების ინტერესებშია არ დაბრუნდეს ვახტანგი თავის სამეფოში. მათი მომხრობა შეიძლება მხოლოდ საჩუქრების საშუალებით, რომელიც ქართლის მეფეს არ გააჩნია. მისი დახმარება შეუძლია მხოლოდ საფრანგეთის მეფეს, რომელსაც შეუძლია თავისი სანდო კაცი გაგზავნოს წერილით ირანის ბატონების გულის მოსაგებად, „რომლითაც მისი უდიდებულებებია თხოვს (შაპს - ე.მ.) უბრძანოს მათ ვინც ბრძანებლობს საქართველოში, მიიღონ ზომები რათა ფრანგებმა, რომლებიც იქ გაატარებენ თავისთვის საქონელს ირანში წასაღებად, ეს გააკეთონ სრულიად უშიშრად“<sup>1</sup>.

პარიზში სულხან-საბას პქონდა რამდენიმე სურვილი, რომელთა აღსრულებას ის რიშარის შუამავლობით თხოვდა დაუი XIV-ის მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს გრაფ დე პონშარტრენს. მას უნდოდა პარიზში ყოფნის დროს ეცხოვდა

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 182-185. სულხან-საბას „სამახსოვრო ბარათი“ გამოქვეყნებულია რამდენჯერმე. ის. ი. ტაბაღუას შენიშვნები იქვე, გვ. 185-186.

„სადგომ სახლში“, პქონებოდა ვიზიტი მეფესთან და ეხილა პარიზის დირსშესანიშნაობანი<sup>1</sup>.

არ არის ცნობილი პირველად როდის მიიღო ლუი XIV-მ სულხან-საბა. ჩემი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1714 წლის 9 აპრილს, ორშაბათს, დვოთისმშობლის დღეს. ამაზე მიგვანიშნებს საფრანგეთის მეფის 9 აპრილის დღის განრიგი, სადაც ჩამოთვლილია ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს მეფემ. ესენია: 1. მეფემ მოიწვია საგანგებო საბჭო, შემდეგ მოისმინა ლოცვები. საბჭოსა და ლოცვებს შეუ ითაბირა დე პონშარტენთან; 2. დილით მარკიზმა დე ვილარმა მეფეს თავის კაბინეტში გადასცა პროვინციის მმართველის წერილობითი ფიცი; 3. მეფე დაესწრო ნათლობის ცერემონიალს; 4. მეფის დღის წესრიგის დასასრულს ნათქვამია: „რამდენიმე დღეა რაც აქ ჩამოვიდა წმ. ბასილის ძერი, საქართველოს მეფის ბიძა, რომელიც ითხოვს [საფრანგეთის] მეფის მფარველობას ამ ქვეყნის [საქართველოს] კათოლიკებისათვის. ის არ არის ძლიერები, ვინაიდან ის იყო დაქორწინებული ორჯერ. ის არ ლაპარაკობს ევროპის არც ერთ ენაზე, მაგრამ მას თან ახლავს ერთი ფრანგი მისიონერი (ჟან რიშარი – ი.ტ.), რომელიც მისი თარჯიმანია<sup>2</sup>. რატომ უნდა ყოფილიყო მეფის დღის წესრიგში სულხან-საბას პარიზში ჩასვლისა და მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები თუ კი მეფე მას არ მიიღებდა კონკრეტულად 9 აპრილს? ამიტომ მგონია, რომ სულ-ხან-საბას პირველი ვიზიტი ლუი XIV-სთან შეხდგა სწორედ ორშაბათს, 9 აპრილს.

ააპი კლიმენტი XI-ის ლუი XIV-ისათვის გაგზავნილი წერილიდან (1714 წლის 13 აპრილი), რომელიც სარეკომენდაციოც არის ქართველი ელჩის, სულხან-საბა ორბელიანისა-

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან,  
I, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198.

თვის, რათა იგი ლუიმ მიიღოს და მოუსმინოს, ვიგებო, რომ რომში მნიშვნელოვან იმედს ამყარებდნენ კათოლიკური სარწმუნოების წარმატებაზე საქართველოში თუკი ჯეროვან დახმარებას გაუწევდნენ ვახტანგ მეფეს. „როგორც უფრო დაწერილებით შეიტყობ, – წერს პაპი, – მოციქულისა, სარწმუნობრივი შვილისა, კაცისა სულხან-საბა ორბელიანისა ბერისაგან, წმინდა ბახილის მონასტრისა, ქართველთა იმავე მთავრის ნათესავთა, რომელიც ამ ჩვენ წერილებს შენ გადმოგცემს... ამრიგად, მას ისე, როგორც შეგვევრება, წეალობით მოუსმენდე, აგრეთვე ხსენებული მთავრის გათავისუფლებაზე სათანადო თანამდებობის პირებს გადაუდაპარაკებდე და ოქვენი უდიდებულესობისაგან უგულითადეს ვთოხოვთ... აშკარად მხარს დაუჭერდით...“<sup>1</sup>

პაპმა იმავე საკითხზე კიდევ გაუგზავნა წერილი ლუი XIV-ს იმავე წლის 26 ივნისს.

17 აპრილს უან რიშარმა მიიღო წმინდა კონგრეგაციის პრეფექტის საკრიპანტის წერილი რომიდან. მასში ლაპარაკია კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებაზე საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებში. ამიტომ რომში ელოდებიან სულხან-საბას ჩასვლას. ამავე დროს სულხან-საბას უგზავნიან წერილს, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაეცეს ქართველ ელჩს, „რომელსაც ექნება პატივი წარუდგინოს ის მის უდიდებულესობას (ლუი XIV-ს – ე.მ.)“<sup>2</sup>.

პაპის იმავე წერილის მოკლე შინაარსი გადმოცემულია სხვა წერილში, რომელიც შედგენილია უან რიშარის მიერ. მასში ნათქვამია, რომ პაპი თხოვს ლუი XIV-ს დაქმაროს საქართველოს მეფეს, რომელიც დაკავებული ჰყავთ საპარსე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 200. პაპის მიერ საფრანგეთის მეფისათვის გაგზავნილ ამავე წერილის ასლი რიშარს გაუგზავნა დე ტორსიმ. არ ჩანს ადრესატი ვისაც აცნობს პაპის წერილის შინაარსს რიშარი იმავე წლის აპრილის თავის ერთ-ერთ წერილში. იქვე, გვ. 210.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 207-208.

ლებს. იგი დირსია დახმარებისა თუნდაც იმიტომ, რომ თავის სამფლობელოებში ყოველთვის მფარველობდა მისიონერებს. ვახტანგ მეფეს განზრახული აქვს კიდევ უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რაც კათოლიკური სარწმუნოების ფართედ გავრცელების პარსპექტივას ქმნის. ყოველივე ამის გაგება შეუძლია მის უდიდებულესობას სულხან-საბასგან, რომელიც მას თხოვს მოუსმინოს „ჰუმანურად“<sup>1</sup>.

გრაფმა დე პონშარტრენმა 1714 წლის 30 აპრილს საფრანგეთის სახელმწიფო მდივანს საგარეო საქმეებში მარკიზ დე ტორსის ლუი XIV-ისათვის ნათარგმნ ვახტანგ მეფის წერილთან ერთად წარუდგინა მოსაზრებები, რომლებშიც გამახვილებულია უურადღება ვახტანგის ირანელთა ხელიდან განთავისუფლების შემდეგ როგორი პერსპექტივა ექნება საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობას და საფრანგეთ-ირანის ვაჭრობას.

პონშარტრენის აზრით სულხან-საბას მისიის მიზანია:

1. რაც შეიძლება ბევრი მისიონერი წაიყვანოს საქართველოში რათა თავისი ქვეყნის ხალხი გაანათლოს კათოლიკური სარწმუნოების საფუძვლებით.

2. ყველა ფრანგი ვაჭარი, რომელიც მოისურვებს საქართველოში ვაჭრობას, ან საქონლის გატანას საქართველოს მეფეზე დაქვემდებარებულ პროვინციებში, ან საქონელს გაგზავნის ირანში, მათ ამ ქვეყანაში გაუწევენ მფარველობას და არ მოაკლებენ წყალობას.

3. სულხან-საბა მოითხოვს, რომ მისმა უდიდებულესობამ გაუწიოს მფარველობა ვახტანგ მეფეს სეფიანების წინაშე, რათა მან შეძლოს დაბრუნდეს თავის სამეფოში.

4. ვახტანგ მეფემ გადაწყვიტა დასახელებული ბერი (სულხან-საბა – ე.მ.) გაგზავნოს რომში, რათა იქ გადაწყვი-

<sup>1</sup> ოქვე, გვ. 210.

ტონ კათოლიკური მისიების საკითხი. სულხან-საბა რომში გაემგზავრება რიშარის თანხლებით.

5. სულხან-საბას ითხოვდა, ვიდრე საფრანგეთიდან გაემგზავრებოდა, მის უდიდებულესობას სანუგეშებელი წერილი გაეგზავნა ვახტანგისათვის

6. ლუი XIV-ს უთქამს, რომ კარგი იქნებოდა, თუ საფრანგეთის კონსული ირანში გავლენას მოახდენდა შაპის მინისტრებზე, რომ მათ გაეიოლებინათ ვახტანგის მიერ თავისუფლების მოპოვება.

7. ლუი XIV-ის სურვილია ეთხოვოს ვახტანგ მეფეს, რომ მან გასცეს ბრძანება საქართველოში თავისი არყოფნის დროს სამეფო-სამთავროების მფლობელები მოექცნენ ფრანგ ვაჭრებს მთელი იმ პატივისცემით, რომელსაც ის პირდება საფრანგეთის ხელისუფლებას<sup>1</sup>.

ამის შემდეგ უან რიშარმა მისწერა სულხან-საბა ორბელიანს, რომ მან მიაქციოს უურადღება მეფე ლუი XIV-ის ნათქვამს, რომლიც მასთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, მისიონერების საკითხზე მიმართოს პაპს და პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას<sup>2</sup>.

1714 წლის მაისში შედგენილ იქნა საქართველო-საფრანგეთის შეთანხმების პროექტი, რომელიც უან რიშარმა სულხან-საბას სახელით წარადგინა მთავრობას. საინტერესოა, რომ ქართველი დიპლომატი არ ამჟღავნებდა საჭირო ენთუზიაზმს საქართველო-საფრანგეთს შორის რაიმე ხელშეკრულების დადებისათვის, რადგან არ პქონდა თავისი მეფის რწმუნება ამგვარი ხელშეკრულების დადებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაადასტურებდა ყოველივეს,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 261-262; Lang D. M., *Georgian Relations With France during the reining of Wakhtang VI (1711-24)*, p. 121; პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობაზი, გვ. 52.

<sup>2</sup> ხაბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიაზე, I, გვ. 264-265.

რასაც მისი ბიძა და დიპლომატი გააკეთებდა საფრანგეთში. მიუხედავა თავისი მეფისგან გამოცხადებული ასეთი დიდი ნდობისა, წერს რიშარი, სულხან-საბას მაინც არ უნდოდა რაიმე ხელშეკრულება დაედო. ამის შემდეგ, ჩამოთვლილია ექვსი მუხლი, რომელიც, მართალია არ არის აღნიშნული, მაგრამ სულხან-საბასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული, რომლებსა ვახტანგ მეფე გაიზიარებდა. სრულიად გასაგები იყო ქართველი დიპლომატის მდგომარეობა, რომელმაც უკვე იცოდა რა აინტერესებდა საფრანგეთის მთავრობას საქართველოში, მაგრამ მას არ ჰქონდა საშუალება მოთათბირებოდა მეფეს და გადაწყვეტილება ისე მიედო.

ჯერ გავეცნოთ ხელშეკრულების მუხლებს, რის შემდეგაც ნათელი გახდება, რატომ იყავებდა თავს სულხან-საბა საფრანგეთთან ამგვარი ხელშეკრულების დადებაზე.

1. ვახტანგ VI მისცემს შესაფერის სახლს საფრანგეთის კონსულს სამეფოს დედაქალაქ თბილისში;

2. მეფე თავის ხარჯით შეინახავს კონსულს და საფრანგეთის ყველა ქვეშევრდომს, რომლებიც ჩამოვლენ ან გაივლიან საქართველოში;

3. საქართველოს მეფე დაიცავს ფრანგების მიერ საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოტანილ ყველა საქონელს და იმასაც, რომელსაც ისინი ამ ქვეყანაში გატარებენ ირანში წასაღებად, ან პირიქით;

4. ის თავის ხარჯით ფრანგ ვაჭრებს წააღებინებდა ყველა საქონელს ირანიდან შავ ზღვამდე და შავი ზღვიდან ირანის საზღვრამდე;

5. მეფე მათ მისცემდა საჭირო საწყობებს, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე, სამეგრელოში, ასევე თავის სამფლობელოში;

6. მეფე ფრანგ ვაჭრებს მისცემდა საშუალებას ეწარმოებინათ ვაჭრობა აბრეშუმით, მატყლით, ცვოლით და სხვა

საქონლით საქართველოს მეზობელ ჩერქეზებთან, მეფის ქვეშევრდომებთან და მეგრელებთან<sup>1</sup>.

ვჯიქრობ, სრულიად გასაგებია ქართველი დიპლომატის თავშეკავება დაედო ხელშეკრულება საფრანგეთთან. ჩამოთვლილი მუხლები კაბალურია გახტანგისა და მისი სამეფოსათვის. ხელშეკრულების არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებს საქართველოს ინტერესებს. ერთი სიტყვაც კი არ არის მასში გახტანგ მეფის გათავისუფლების, მისი სამეფოს ირანის აგრძელისგან დაცვის, ფრანგების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ან მისი გავლით წარმოებული გაჭრობიდან რაიმე სარგებლის მიღების ან სხვა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ზემოთგანხილულ მემორანდუმში.

სულხან-საბამ რომ ნაკლები ან საერთოდ არაგითარი მონაწილეობა მიიღო დასახელებული სახელშეკრულებო მუხლების შემუშავებაში, რომ ისინი თავსმოხვეული იყო და ამას დიპლომატი მკაცრად ან რბილად აპროტესტებდა, გამოჩნდა შემდეგში: „ის (სულხან-საბა – ე.მ.) მხოლოდ ევედრება ბატონ დე პონშარტრენს კეთილი ინებოს და მისწეროს ახლავე მეფის მხრიდან ამ პრინცს (ვახტანგს – ე.მ.) და აცნობოს მას, რომ მისი უდიდებულესობა განწყობილია შეუმსუბუქოს მას ყოველივე, რასაც იგი შესძლებს და რომ ამისთვის მან განკარგულება გასცა წაიყვანონ სულხან-საბა რომში, მისი უწმინდესობა პაპთან, რათა მასთან ერთად განიხილოს, რაც უფრო უკეთ შეეფერება (ვახტანგის საქმეს – ე.მ.), ვინაიდან მან აღნიშნა, რომ მის საქმეში საკითხი ეხებოდა სარწმუნოების გავრცელებას. ბატონი დე პონშარტრენის წერილი შეიძლება მიეცეს ფრანგ მისიონერს (რიშარს – ე.მ.) რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ირანში“.

<sup>1</sup> ოქტომბერი 275-276.

სულხან-საბა, აგრეთვე ევედრება მინისტრ პონშარ-ტრენს, რომ რიშარმა, რომელსაც ვახტანგი და სულხან-საბა ენდობიან, აწარმოოს მოლაპარაკება ვახტანგთან და მისცეს ამის უფლებამოსილება, რომ პაპთან მოთათბორების შემდეგ, ლუი XIV-ის ბრძანების შესაბამისად დაუყოვნებლივ გაემგზავროს ირანში საქართველოს მეფესთან<sup>1</sup>.

1714 წლის მაისში სულხან-საბა მეორედ მიიღო საფრანგეთის მეფემ. ამ შეხვედრიდან, სამწუხაროდ, ცნობილია მხოლოდ ქართველი დიპლომატის მეფისადმი მისალმება და შესაფერისი ხევბის შესხმა. მან აღნიშნა, რომ აქვს პატივი მის უდიდებულესობას გადასცეს პაპის ეპისტოლე, რომელიდანაც ჩანს, რომ მან ინება კეთილი თვალით გადახედოს ვახტანგ მეფეს<sup>2</sup>.

### სულხან-საბა რომში

1714 წლის 17 ივლისს კარდინალი დე ლა ტრემუაი საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს ატყობინებდა, რომ სულხან-საბა რომში ჩავიდა და პირველი ვისაც ის ეწვია, იყო წერილის ავტორი. პაპმა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის პრეფექტს კარდინალ საკრიპინტის და კარდინალ ალბანის დააგალა ელჩის მიღება, დაბინავება და პატივისცემით მოჰყრობა. 16 ივლისს სულხან-საბა პაპთან იყო აუდიენციაზე. მასთან ერთად იმყოფებოდა და თარჯიმნობდა უან რიშარი. რიშარი აწესრიგებდა იმ მოხსენებით ბარათებს, რომლებიც უნდა წარედგინა პაპისთვის. პაპი იმ ქადალდებს განსახილველად გადასცემდა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას ან პაპის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კონგრეგაციას. კარდინალ დე ლა ტრემუაის ვარაუდით, დასახელებული კონგ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 276-277. შდრ. პაპა შვილი მ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობაზი, გვ. 53-53.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 279-280.

რეგაციები მალე განიხილავდნენ საბუთებს და სულხან-საბას მალე მისცემდნენ სამშობლოში დაბრუნების საშუალებას, რაც თვიდან ააცილებდა ვატიკანს იმ ხარჯებს, რომლებიც უნდა გაეწიათ ქართველი ელჩის შესანახად<sup>1</sup>.

აუდიენციის დროს პაპს აღუთქვამს სულხან-საბასთვის, რომ არ გაატანს არც ერთ იმ მისიონერს, რომლებსაც სურთ იყვნენ დამოუკიდებელი და არ ცნონ სხვა იურის-დუქცია. აღნიშნულია ისიც, რომ თავადი სულხან-საბა სა-დარბაზოდ დადის კარდინალებთან<sup>2</sup>.

არის ერთი ანონიმური წერილი (1714 წ. ივნისი) რო-მელშიც გადმოცემულია სულხან-საბას საფრანგეთსა და რომში მოგზაურობის მიზნებსა და მათი განხორციელების გზების შესახებ. არ ჩანს ვინ არის წერილის ადრესატი.

როგორც აღნიშნულია წერილში, სულხან-საბამ საფ-რანგეთში მეფეს თხოვა ორი წელობა: მეფე ვახტანგისათვის დახმარება და 12 მისიონერის გაგზავნა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ლუი XIV ელჩს დაპირდა, რომ ის თანახმა იყო მისი ორივე მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა ერველივე ამის შესახებ მის უწმინდესობა პაპს აცნობოს. მეფე სიამოგნებით გააკეთებს ყველაფერს, რაზეც პაპი მიუთითებს.

პაპმა იმ ორ თხოვნაში, რომლებიც ქართველ ელჩს ჰქონდა, დაინახა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული, რამ: ჯერ ერთი, საქართველოს მეფე ვახტანგის განთავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია სეფიანებზე. საფრანგეთის მეფემ მათთან სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებით შეიძლება მო-აგვაროს ვახტანგის საქმეც. ამ საქმის წარმატებით დასრუ-ლებაში გარკვეული მნიშვნელობა ექნება ირანის ელჩის ჩასვლას საფრანგეთში და მასთან მოლაპარაკებას. რაც

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან,  
I, გვ. 314.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 316-317.

შექება 12 მისიონერის გაგზავნას და მათ რჩენას, მეფემ და პაპმა ჩათვალებს, რომ ამას არავითარი საერთო არ ჰქონდა არც ირანის ელჩთან და არც საქართველოს მეფის გათავისუფლებასთან: „1. იმიტომ, რომ სამეგრელოს არავითარი კავშირი არა აქვს ქართლთან, რომელსაც პყავს თავისი ცალკე მთავარი და რომელიც დამოკიდებულია სულთანზე. 2. სამეგრელოს პატრიარქს, რომელმაც ითხოვა ეს მისიონერები, თვითონ ხურს მხარი დაუჭიროს მათ, დაკავშირებულია რა ამ მხარის მთავართან და დიდებულებთან; და, რომ ამრიგად საჭიროა განხილული იქნას ეს საქმე, როგორც სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული...“<sup>1</sup>

წერილის ავტორი დე პონშარტრენს გაუფრთხილებია, რომ სასურველი იყო ირანის ელჩს არ სცოდნოდა სულხანსაბას საფრანგეთში ჩასვლის და საქართველოში კათოლიკური მისიის გაგზავნის შესახებ. „ეს ღირსეული მოხუცი დიდად დამწუხერდება, როცა შეიტყობს, რომ მას არამც თუ უგზნიან მისიონერებს და როგორც უმეტესობან ჩანს მათ სრულიად არ გაგზნიან, თუ მათი გაგზნა აღმოჩნდა ელჩის ჩამოსვლაზე და მისი ეღლების წარმატებაზე დამოკიდებული“.

ეს რიშარი ზემოთმოხმობილ არგუმენტებს მისიონერების დასავლეთ საქართველოში გაგზავნასთან დკავშირებით იმეორებს თავის ერთ-ერთ წერილში 1714 წლის 21 ოქტომბერს ნათქვამს: „თითქოს სრულიად არაა აუცილებელი ამისათვის დაგელოდოთ ირანის ელჩის ჩამოსვლას, რაც ძლიერ გაურკვებელია, რადგან ამ საქმეს, როგორც მას იცნობს მისი უწმინდებობა და წმინდა კონგრეგაცია, არა აქვს არავითარი კავშირი საქართველოს მეფის გამოხსნასთან, რომელიც იმყოფება სეფიანებთან. რამდენადაც სამეგრელოს ფაქტ თავისი საკუთარი მთავარი, რომელიც დამოკიდებულია სულთანზე და, რამდენადაც პატრიარქს, რომელიც [ღებუ-

<sup>1</sup> იქმვ, გვ. 304-305.

ლობს] ამ მიხოონერებს და დაქავშირებულია ამ მხარის ყველა დიდებულთან, ხურს თვითონ შეუწყოს მათ ხელი, აღუთქვა რა მათ მისცეს საცხოვრებელი ბინა, ასევე მნიშვნელოვანია, რათა სეფიანების ელჩმა და იმათ, ვინც მის ამაღლაშია, არაფერი არ იცოდნენ ამ ბერის (სულხან-საბა თრდელიანი – უმ.) საფრანგეთში ჩამოსკლის შესახებ. ასევე, მაშახადამე, სამეგრელოში მიხოონერების მიხილ შესახებ<sup>1</sup>.

წერილის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ისეთს არაფერს დაპირდნენ სულხან-საბას, რაც არ შესრულდება. ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონებოდა საშუალება ყველგან მიეწერა, რომ მისმა უდიდებულესობამ მეფე ლუიმ მას აღუთქვა ყველაფერი, რაც სოხოვა<sup>2</sup>. კიდევ ერთხელ ჩანს, საფრანგეთის და არა მხოლოდ მისი ხელისუფლება, რამდენად ითვალისწინებდა ირანისა და ოსმალეთის ინტერესებს და პრეტენზიებს და ფრთხილად ეკიდებოდა საქართველოსთან ურთიერთობის დამყარების საკითხს.

1714 წლის 11 ან 17<sup>3</sup> აგვისტოს პაპმა სულხან-საბას გაუმართა გამოსამშვიდობელი აუდიენცია. პაპმა ელჩს მიარ-

<sup>1</sup> იქვე გვ. 357. მ. ქიქოძე ეკამათებოდა კ. გაბაშვილს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ირანის „მოპამედ რეზა ხანის ელჩობამაც შეუშალა ხელი საბას დიპლომატიური მისიის წარმოებას საფრანგეთში“. გაბაშვილი კ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 74. მისი აზრით, დასახელებულ ელჩობას გადამწვევები მნიშვნელობა არ ჰქონდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაში. ქიქოძე მ. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოუნივერსიტეტის მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და ხოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბილისი, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე გვ. 305.

<sup>3</sup> 11 აგვისტო ჟან რიშარისათვის რომიდან გაგზავნილ წერილში (საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 341), თვით საბა კი ამ მნიშვნელოვან მოქენეს თავისი მოგზაურობიდან ათარიდებს 17 აგვისტოთი. სულხან-საბა თრდელიანი. თხზულებანი, I, თბილისი, 1958, გვ. 202. საბა საქმაოდ

თვა სხვადასხვა საჩუქრები და გამოსთქვა სურვილი, რომ იგი რომიდან გაემგზავროს ყოველმხრივ კმაყოფილი და შესაბამისი ბრძანებაც გასცა. „რაც გინდა მთხოვეთ. მადლი გარდავიხადე, — წერს საბა, — ჩემი სათხოვარი უველა უთხოვრად აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია, მაკოცა. ვეხს ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა. გამომისტუმრა. მიბანა: ასე მალე არ გაგიშვიბდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებათ, და წადი მისი საქმე მოიჭირვეთ“<sup>1</sup>

ზემოთ დამოწმებული 1714 წლის 17 აგვისტოს წერილიდან ვიგებთ, რომ სულხან-საბას, საქართველოში გამგზავრების წინ, რომში წერილის ავტორისთვის უთხოვია მიეწერა რიშარისათვის, რომ მან არაფერი დაიშუროს, რათა დაუყოვნებლივ გაემგზავროს ირანში და წინ წაიყვანოს მისთვის საინტერესო საქმეები, ასევე დაუყოვნებლივ გააგზავნონ მასთან მისიონერები, რათა თვითონ ჩაიყვანოს ისინი საქართველოში<sup>2</sup>.

თავდაპირველი გეგმის მიხედვით სულხან-საბა პაპთან მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ გეგმა შეიცვალა რადგან პარიზში ირანის ელჩის ელოდნენ. გასაზიარებელია ვ. გაბაშვილის აზრი, რომ ოუ არა შაპის ელჩის ჩასვლა საფრანგეთში შეიძლებოდა სულხან-საბას ელჩობა ქართლის სამეფოსათვის რაიმე დადგებითი შედეგით დასრულებულიყო.

---

დაწვრილებით გადმოგვცემს პაპთან ვიზიტის დეტალებს. ვვიქრობ, გასაზიარებელია საბას მიერ შემოთავაზებული 17 აგვისტო.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 341.

## სულხან-საბას დაბრუნება სამშობლოში

13-20 სექტემბერს სულხან-საბა იმყოფებოდა ფლორენციაში, ორი კვირა გაატარა ლივერნოში და დატოვა იტალია, უკან მოიტოვა სიცილია, მალტა და 17 იანვარს კონსტანტინოპოლში ჩავიდა. აქ 17 თვე გაჩერდა. საბა არ გვამცნობს, რით იყო გამოწვეული მისი ამ ქალაქში დიდი ხნით გაჩერდა. საბა წერს: დიდი წვალებითა და თავგადასავლების შემდეგ „მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანას. მოვედი აძოცე“.

სამშობლოში დაბრუნებულ საბას კიდევ უფრო მძიმე განსაცდელი ელოდა. მმას პაცი გაეგზავნა და „ქართლში ჩასვლა დაეშალა“. ქართლში მეფედ ვახტანგისა და მისი უკელა მომხრის მოძულე იესე იჯდა. ბუნებრივია, მისთვის მიუღებელი იყო ვახტანგისათვის თავდადებული სულხან-საბა ორბელიანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის სამეფოში ტერორი მდგინგარებდა, იესემ ევროპამოვლილი დიპლომატი პატივით მიიღო.

საბამ საფრანგეთსა და იტალიში ყოფნისას რამდენ-ჯერმე განაცხადა, რომ მის ყოფნას ევროპაში ცუდი შედეგი ექნებოდა. განსაკუთრებით საშიში იყო მის მიერ კათოლიკობის აღიარა.

მისი შიში უსაფუძვლო არ იყო. 1716 წლის მაისში სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოში დაბრუნდა. მას თავის და ვახტანგის მოწინააღმდეგებმა „ცოდვები“ არ აპატიეს.

იმაზე, რაც მას გადახდა, გაგვაჩნია ურთიერთსაპირისპირ ცნობები. ესენია მისიონერების ცნობები და თვით საბას მონათხოვბი მისი მოგზაურობის აღწერის დასახრულს.

მისიონერების ცნობებით, საბას ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება დაუწყია და ბევრი მომხრეც გასხვნია. მაგრამ მის ამგვარ საქმიანობას საერო და სასულიერო დიდკაცობის მკაცრი რეაქცია მოჰყოლია. სომხებმა ქართველების მხარდაჭერით დაიწყეს კათოლიკებისა და პატრიკების

დევნა, რომლის მსგავსი მანამადე საქართველოში არ მომხდარა. პატრია ანტონიო რომაელმა საქართველოდან რომში დაბრუნების შემდეგ განაცხადა: „1717წ. სომხებმა ჩვენი სახლი გაძარცვეს და ერთიანად დაანგრიეს. თავიანთი ჩვეულების წინააღმდეგ, ქართველებიც შეუერთდნენ, თუმცა ისეთის სიბრაზით არ მოქმედებდნენ, როგორც სომხები, გარნა მაინც ცეცხლის გაღვიძებას ხელი შეუწყებ“<sup>1</sup>. პატრია ანჯელო პოპიელი თავრიზიდან რომში გაგზავნილ (1718 წ. 8 აპრილი) წერილში მოგვითხოვთს როგორ დაარბიეს მისიონი თბილისში. „ახლა ჩვენი საბრალო პატრიები დარჩენენ უმონასტროდ და უეპელებით, დგანან ერთ პატარა სახლში. მანდეთ და რომში ნამყოფ ბატონ საბაზე განრისხებულ ქართველებს, თუმცა ასეთი მკრებელობა და უღმრთო დეპნელობა არ ჩაუდენიათ, მაგრამ კი წააქეზეს სომხები და ჩაადგინებს ასეთი უღმერთობა... ასეთი უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ (სომხებს – კ.მ.), ქართველებს რომ ნება არ მიეცათ“<sup>2</sup>.

ევროპიდან სამშობლოში ახალდაბრუნებულ დასხეულებულ და ვალებში ჩავარდნილი სულხან-საბას კეთილი შეხვედრა არ მოუწყებს<sup>3</sup>. საბა არაფერს ამბობს აღმფოთებული თბილისელების მიერ კათოლიკეთა მისიონის და ეკლესიის აკლებაზე. ის მხოლოდ თავს დატეხილ უბედურებასა და ვალების შესახებ გადმოგვცემს: „იღლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსი და სამღვდელონი რომს წახვდისათვის გამიმტერდენ და ასე შეკრეს კოველი. ჩემი ნათე-

<sup>1</sup> თამარა შვილი ქ., პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარპყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა), თბილისი, 2008, გვ. 67.

<sup>2</sup> თამარა შვილი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 334-336; მისივე, პასუხად სომხის მწერლებს, 68-69.

<sup>3</sup> ბარამიძე ალ., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 103-109.

სავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია, ვალის მიცემაც გამიჭირდა<sup>1</sup>. სულხან-საბას, როგორც თვითონ განმარტავს, ქართველმა იერარქებმა და სამღვდელოებამ რომში პაპთან წასვლა და შეხვედრა არ აპატიეს. დიპლომატის სიტყვებიდან ჩანს, რომ მისმა მოწინააღმდეგებებმა არ იცოდნენ მის მიერ კათოლიკობის აღიარების შესახებ, თორემ მისადმი მოპყრობა შეიძლებოდა უფრო მკაცრი ყოფილიყო.

სულხან-საბას მონათხრობს თუ მივყვებით სამშობლოში დაბრუნებული დიპლომატისათვის პირველ ხანებში განსაკუთრებით საწუხარი იყო ის ვალები, რომლებიც მას ევროპიდან საქართველოში მობრუნების შემდეგ დაედო. დანადვლიანებულ სულხან-საბას ვალების გასტუმრებაში დახმარება გაუწია მხოლოდ ერთმა დავრდომილმა თბილისელმა „ნათლი დედამ“<sup>2</sup>.

„მერმე სამღვდელოთ შფოთი აღმრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე (იასე – ემ.) ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე ბაქარ დასჯდა მეფედ<sup>3</sup>. ვისოფისაც ესოდენ ჭირი მენახა და

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბეგლიანი, თხზულებანი, I, გვ. 245.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვახტანგ VI 1716 წელს ფარაბადში გამაჰმადიანდა და ჰუსეინ ყული-ხანის სახელით მოინათლა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, „ხოლო ვინათვან ვერდარა აღასრულა იესებ დაველრული ყევნისა, მაშინ მოიყვანა ყევნმან ვახტანგ, მიხცა ქართლი და სპასალარობა ერანისა და მიაქციეს რჯულხა მათხა... და მოხცეს განმგეობა ქართლისა ბაქარს, ძესა მისხა“. ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 495. შემდეგ როდესაც ვახუშტი გადმოგვცემს ბაქარის ქართლში გამეფებაზე, იხევ უბრუნდება ვახტანგის გამაჰმადიანებას და წერს: „არამედ ვინათვან პვონებდა მეფე ვახტანგ წარხლვასა ხორახანს, ამისთვის პკადრა ყევნისა, რათა მიხცეს მეფობა ქართლისა ძესა თჯხსა ბაქარს. უბმინა და მოხცა და მიაქციეს რჯულხა მათხა, მხოლოდ სიტყვითა და არა

ვისაც მეფობას ვსცდილობდი, თხუთმეტის წლისა იყო. მოატ-  
ყენს. **მცხეთას, ჩემი სიკვარული და სამხახური ხულ**  
**დააგიწყეს.** კრება მიუვეს და წმიდის პაპის გინება მო-  
**ძიღვეს.** მე მართლმადიდებლობა (კათოლიკობა – ე.მ.) ვერ  
უარყვავ. და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერომან ყო-  
ვლისაგან დაგვისნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი  
ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყე-  
ნოდა და ყოველნი დაეტუქსა<sup>1</sup>.

სულხან-საბას მონათხერობიდან რამდენიმე გარემოება  
ზე უნდა გამახვდეს უურადღება. 1. საბას აუმსედრდნენ ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი, რომლებსაც  
მხარი დაუჭირეს მისმა ნათესავებმა, მოყვრებმა, მეფემ, დიდე-  
ბულებმა, ზოგადად, მას ყველამ ზურგი შეაქცია. უკმაყო-  
ფილების მთავარი მიზეზი იყო მისი მიერ კათოლიკობის  
აღიარება და რომში ყოვნა და არა ის, რომ მან საფრან-  
გეთში პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებები  
აწარმოა, ე.ი. მას ედავებოდნენ არა პოლიტიკური ორი-  
ენტაციის, არამედ პოლიტიკობის გამო. გასაზიარებელია გ.  
ლეონიძის აზრი, რომ სულხან-საბას საწინააღმდეგო აქციის  
„ორგანიზაციონი და შთამაგონებელი იმ ინკვიზიციისა, რომე-  
ლიც საბას გაუმართეს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ“, იყო  
კათალიკისი დომენიტი სვიმონ-იასეს ბლოკთან ერთად. „შე-  
საძლოა ეს ბრძოლა სვიმონისა და იასეს ძალდატანებითაც  
იყოს მომხდარი, მაგრამ ერთი უმჯობესია, მას ეკლესიის  
მეთაურის ხელი აწარმოებდაო“ – წერდა გ. ლეონიძე<sup>2</sup>.

---

**ხაქმითაცა“.** ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV,  
გვ. 496. ქართლს ბაქარი განაგებდა 1719 წლამდე, ვახტანგის ქარ-  
თლში დაბრუნებამდე.

<sup>1</sup> სულხან-საბა თრბულიანი, თხზულებანი, I, გამოხატვებად  
მომზადეს ს. ეკბანებულებითაც და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ.  
245.

<sup>2</sup> ლეონიძე გ., სულხან-საბა თრბულიანი. თბილისი, 2004, III.

2. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია სულხან-საბას ნათქვამი თავის „ნათლიდედაზე“, რომელიც მის მიხედვით **კათოლიკე მართლმადიდებელი** იყო. საქართველო-რომის ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინებით სრულიად მართებულად მიმაჩნია ლ. აბაშიძის მოსაზრება: „საბას სიტყვებისა და ქმედებების გაგება მხოლოდ კონფესიონალიზმის გამორიცხვით შეიძლება. დიახ, არც საბა და არც ანტონი არსად არ გადახულან. მათთვის აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთ კკლესიად რჩებოდა“<sup>1</sup>. ლ. აბაშიძის ეს მოსაზრება შეიძლება გავავრცელოთ იმ ყველა „გაკათოლიკებულ“ მართლმადიდებელ ქართველებზე, რომელთა შესახებ ცნობები დაგვიტოვეს მისიონერებმა. შესაბამის ქართველი ქრისტიანებისათვის ქრისტიანული ეკლესია ყოველთვის ერთიანი იყო. სულხან-საბას მიერ თავისი ნათლიდების მოხსენიება კათოლიკე მართლმადიდებლად სწორედ მის მიერ ამ ორი აღმსარებლობის ერთიანობაში აღქმის მაჩვენებელი უნდა იყოს. ქართველი მართლმადიდებლისათვის გაუგებარი იყო ქრისტიანობიდან (მართლმადიდებლობიდან) ქრისტიანობაში (კათოლიკობა) გადასვლა. ასევე მიუდებელი იყო კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების მიერ ქრისტიანული ღოგმების კორექტირება, რაც ქართველ მართლმადიდებლებში უარყოფით რეაქციას იწვევდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითია მოყვანილი წინამდებარე ნაშრომშიც. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მსვლელობის დროს ქართველი დელებაზის მიერ პაპისათვის განცხადებული: „ჩვენც... ქრისტიანები ვართ. ჩვენი ეკლესია მოსაზონია და ჩვენს ღოგმებს გემორჩილებით. ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ მცნებას

<sup>1</sup> აბაშიძე ლ., კათოლიკე და მართლმადიდებელი. პასუხი ზურაბ ჯობაძეს და მერაბ დაღანიძეს. დიალოგი. აღმოსავლურ დასავლური ქრისტიანული ურნალი, №2(3), თბილისი, 2005, 15.

ჩვენი უფლის იქნო ქრისტეს, ასევე წმინდა მოციქულთა ტრადიციებსა და ხინოდისა და თქვენში წარმოშობილ იმავე კალების სახელგანთქმული მასწავლებლების სწავლას მაშინვე გადმოვიდებთ ხოლმე [ჩვენ ენაზე]. ამისგან არა-ხოდეს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიძატებია, არაფერი მალულად არ წაგვიღია, [წარმოსადგენი] მინიჭებიც კი...“ ამის შემდეგ საქართველოს წარმომადგენელი აკრიტიკებს რომის ეკლესიას, რომელმაც მრავალი რამ სიახლეები შეიტანა ქრისტიანულ რელიგიაში. ამან გამოიწვია ორი ეპლების ერთმანეთისგან დაშორება.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, თეომურაზე I-ის მიერ ესპანეთის მეფისა და რომის პაპისათვის გაგზავნილ წერილების ერთი ფრაზა: „ჩვენ ყოველნი (მართლმადიდებლები და კათოლიკები) მმანი გართ და ერთი არს დმერთი ჩვენი“<sup>1</sup>. ქართველი მეფე ადრესატებს აგრძნობინებს, რომ ქრისტიანები ყველანი ერთნი ვართ და სარწმუნოების საკითხი ჩვენს ურთიერთობაში განსჯის საგანი არ უნდა იყოსო.

3. უნდა ითქვას, აგრეთვე, სულხან-საბას ერთ ფრაზაზე „მოგზაურობიდან“. სულხან-საბა ამბობს: „კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდგება“-ო. სიტყვას – „მომიდგეს“ სხვადასხვა გვარად იგებენ: თითქოს სულხან-საბა ამბობს, რომ „მას პაპის შეურაცხოფა დახმატებ“ და ამის გამო მცხეთაში საკალესიო კრებაზე გაკიცხეს<sup>2</sup>. კონტექსტიდან გამომდინარე, გფიქრობ, „მომიდგეს“ – „მომთხოვეს“

<sup>1</sup> ტაბაძე ი., საქართველო კვრობის არქივებსა და წმინდაცავებში, II, თბილისი, 1986, გვ. 160.

<sup>2</sup> იხ. პაპაშვილი მ., კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა თრბელიანმა კათოლიკობა, გვ. 35; მიხივე, კალებიათა უნის ხაითხო საქართველოში XVIII საუკუნეში // ხაისტორიო კერტიკალები, დამატება, თბილისი, 2009, №18, გვ. 119; კიკნაძე ზ., კვლავ დაბრუნების თუ გადახვდის თაობაზე პასუხი მერაბ დაღანიძეს, გვ. 18.

უნდა ნიშნავდეს, ე.ო. საბა ამბობს, რომ მას რომის პაპის გალანძღვა მოთხოვეს, რაც მისი გაგებით, ქრისტიანი ქართველისაგან ასეთი მოქმედება არაუთიკური იქნებოდა, მით უმეტეს დიპლომატს არ ეკადრებოდა<sup>1</sup>. მცხეთაში მომხდარი კონფლიქტი იყო „კონფლიქტი პიროვნებისა თემთან, – პიროვნებისა რომლისთვისაც მიუღებელია კონფესიონალური განყოფა და თემისა, რომელმაც კონფესიონალიზმი ასხოლურ და გაქვავებულ კატეგორიად აქცია“<sup>2</sup>.

ავის მდომებმა მაინც შეძლეს ვახტანგის აყოლიება. „ქილილა და დამანას“ ანდერძში საბა ამბობს, რომ ვახტანგი საბას და მისი ძმების წინააღმდეგ განაწყეს. გადმოცემულია ევროპიდან სამშობლოში დაბრუნებული სულხან-საბას სულიერი განცდა ბოროტი კაცების მოქმედების შედეგად მეფეებთან მისი წამხდარი ურთიერთობის შესახებ.

ქირმანში ტყვეობაში მყოფმა ვახტანგმა სპარსულიდან ქართულად თარგმნა „ქილილა და დამანა“, რომლის გაშალაშინება სთხოვა სულხან-საბას მაშინ, როდესაც მათ შორის აღარ არსებობდა სასურველი ურთიერთობა: „აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია, ეს საქმე კარგა მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რულია“. ვახტანგის შაირის სახით შენათვალს სულხან-საბა ასეთ კომენტარს ურთავს: „ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო, და მისგანეუ შვილურად გაზრდილი და გასწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფელის სიმუხლეში ერთმანეთს მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შეა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო, მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექმნეს. და მერმე ეს ბძანება მოუკიდა (ქილილა

<sup>1</sup> „მომიდვებ“ „მომთხოვედ“ აქეს გაგებული აგრეთვე 6. პაპუა შვილს. ი. მისი მართლმადიდებლები და კათოლიკები <http://church.ge/index.php?showtopic=8289>

<sup>2</sup> აბაშიძე ლ., კათოლიკე და მართლმადიდებლები, გვ. 16.

და დამანას გამართვა ხოხოვა – ე.ქ.), უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწევს და ურიგო<sup>1</sup>.

სულხან-საბა თავს ადარებს იმ ვარდს, რომელსაც მზე არ აკლებდა თავის სხივებს, ცვარსა და წყალს. „მისგანვე განეურნებულნი კაცნი აღუშურდნენ ვარდსა მას და აღა-კვამლეს პატი მნელად და შერთეს დრუბელთა და განფინეს ნისლი ცათა შინა, რათა ვერდარა იხილოს მზემან მან ვარდი იგი. და მოაკლდა ნათელი მზისა და დაწნეს ყვავილინი ვარდისანი და განქარდეს სუნელება მისნი“<sup>2</sup>.

საბა-სულხანს „აუმტერდნენ მისგან გამოზრდილნი კაცნი და სხვანიცა და პოეს ჯადეგი ვინძე და აღმოუწოდეს ქარსა ჩრდილოსასა. აღაქოთეს ზღვა იგი დელვითა და და-დომან გაიტაცა დელფინი ხმელად და დარჩა მუნი<sup>3</sup>.

საბამ მეფესთან თავისი ურთიერთობა ალეგორიულად ასახა სამ იგავ-არაკში (“მზე და ვარდი”, “ზღვა და დელ-ფინი” და “მეფე და მეძებარი”). საბოლოოდ მეფისა და საბას შერიგება მოხდა, მაგრამ სამდველოება მას სიკვდილის შემეგაც არ პატიობდა „სამოთხის კარში“ კათოლიკობის მართლმადიდებლობაზე მაღლა დაყენებას. ამიტომაც იყო, რომ მისმა მმამ ნიკოლოზმა, საბას ეს თხზულება გაწმინდა მართლმადიდებლობისათვის მიუღებელი აზრებისაგან, მაგრამ მმებმა დედანი (მეორე ნუსხა) გადაარჩინეს, რომლის არსებობა მაინც ცნობილი გახდა.

მეორე ნუსხის მიხედვით მსჯელობდა ანტონ I კათო-ლიკოსი სულხან-საბას რელიგიურ რწმენაზე და ამიტომაც უწოდა მის „სამოთხის კარს“ „ჯოჯოხეთის ბჟე“. გ. ლეონი-ძემ ანტონ კათალიკოსის მიერ სულხან-საბასგან მართლმა-

<sup>1</sup> ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა, დიდად შეჭირვებულ-შეღო-ნებულისა // ქართული მწერლობა, ტ. VII, თბილისი, 1989, გვ. 291-292.

<sup>2</sup> იქვე, 292..

<sup>3</sup> იქვე, 293.

დიდებლობის უარყოფა და კათოლიკობის მიღების, როგორც ფაქტის კრიტიკული შეფასება იმის საბუთად ჩათვალა, რომ სულხან-საბა კათოლიკებ გარდაიცვალა. მაგრამ კათალიკოსის ლექსად გამონათქვამში, ვფიქრობ, საბას მიერ კათოლიკობის მიღების ფაქტია აღნიშნული და არაფრიდან ჩანს, რომ იგი ამ რწმენის ერთგულად დარჩენილად მიაჩნია: „საბას არ ვაქებ, ამად ვითარმებ ეს // უკლესიასა წმიდასა მტერგანულგა, // წინააღმდეგომ-მბრძოლ ექმნა ჭეშმარიტებას; // „სამოთხის კარი“; გარნა ჯოჯოხეთის ბჯე // აღწერა სულთა წარწერმედად, თბილი წარწერმდა“. სამაგიეროდ, ანტონ კათალიკოსი მაღალ შეფასებას აძლევდა სულხან-საბას საერო შემოქმედებას: „მაგრა შაირნი მისნი საქებელობენ: // შაირთა ვაქებ, სადაც არა ლათინთა // განხეთქილება ან შეკრია წვალება; // უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა, // რაცა ხოვდიოთ გამოთქვა სულხან-საბა<sup>4</sup>.“

სულხან-საბა ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში გადასახლდა. მ. თამარაშვილი, სულხან-საბას რუსეთში ცხოვრების და სიცოცხლის ბოლო პერიოდის შესახებ გავრცელებული (პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე ცაგარელის) აზრის საწინააღმდეგოდ, რაიმე საბუთის დამოწმების გარეშე აღნიშნავდა: „სრულიად უხაფუძვლოდ მიგვაჩნია საბა ორბელიანის შესახებ ის აზრი, კითომ მას რუსეთში კათოლიკობა უარ ეყოს. საბამ თითქმის 40 წელიწადი აღიარა კათოლიკობა და მისთვის ბევრი შეწუხებაც დაითმინა; ეგრეთვე თავისი მეცადინეობით ბევრი გააკათოლიკა და რომთან უკანასკნელ დრომდე ერთგული განწყობილება იქონია. სრულებით არ არის შესაწყნარებელი, რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წელს, ვახტანგთან წასულს რუსეთში, უარესო ეს სარწმუ-

<sup>1</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილხიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოდა შვილმა, თბილისი, 1980, გვ. 282, ხტრ. 805-806.

ნოება, როდესაც მიხი სიკვდილის შემდგომ, თვით ვახტანგმა მტკიცებ დაიცვა კათოლიკობა<sup>1</sup>.

საბას მიერ კათოლიკობის მიღების ფაქტთან დაკავშირებით გ. ლეონიძე, რა თქმა უნდა, სავსებით სწორად ფიქრობდა, რომ იგი გაპირობებული იყო პოლიტიკური მოტივებით, მაგრამ მკლევარი შემდეგში ამ მოსაზრებასთან წინააღმდეგობაში მოდის. თუ კი საბას მიერ კათოლიკობის მიღება მხოლოდ პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახვი, რესეთში გადახვეწილ მეფესა და მის ერთგულ მსახურს – სულხან-საბას რაღად სჭირდებოდა ან რა სარგებელს მოუტანდა პოლიტიკური მოტივით მიღებული კათოლიკობა. მაშასადამე, იგი, ამგვარი ლოგიკიდან გამომდინარე, ადვილად შეეღლეოდა კათოლიკურ ქვეყნებთან საურთიეროობო რელიგიას და სიცოცხლის ბოლოს დაუბრუნდებოდა მამა-პაპათა რწმენას, რასაც კატეგორიულად უარყოფს გ. ლეონიძე<sup>2</sup>.

პეტერბურგს მიმავალი ვახტანგ მეფის ამაღლაში მყოფი სულხან-საბა მოსკოვში ავად გახდა და უპანასკნელი დღეები არჩილ II-ის სასახლეში, სოფ. ვსესვიტსკოვეში, გაატარა. საბა იქვე გარდაიცვალა და არჩილის ასულმა დარეჯანმა თავის კარის ეკლესიაში დაკრძალა. „საბა მიიცვალა ქრისტეს აქთ, ჩრეგ (1725) იანვარსა, კხ (26), მწუხრს დიდს მოსკოვს, ხელებწეს, ბატონის არჩილის სასახლეში და იმავე საყდარს დაგძარსა ბრძანებითა და მრავლის ხარჯით და თანაწარლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარგვანისათვის“<sup>3</sup>

<sup>1</sup> თამარა შეიღი ქ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 341.

<sup>2</sup> ლეონიძე გ., ძეგბანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბილისი, 1949, გვ. 84

<sup>3</sup> ხოველი „ხელებწეს“ პეტერ I-მა არჩილ II-ს ხაუფლისწელოდ უმოძა. იქვე, 104.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია პ. კეკელიძის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, რადგან 1725 წ. 26 იანვარს სოფელ ვსესვიტსკოეში გარდაცვლილი სულხან-საბა არჩილ მეფის კარის ეკლესიაში დაკრძალეს, „საფიქრებელია, რომ ის კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, წინა-აღმდევ შემთხვევაში მართლმადიდებელთა ეკლესიის გა-ლავანში ის ვერ დაიმარხებოდა“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> კეკელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, 453.

## პათალიკოს ღომენტი IV-ის პორტრეტისათვის

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო, პოლიტიკური და კულტურულის მოღვაწე იყო ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი დომენტი (დამიანე) IV (1705-1741).

კათალიკოსი დომენტის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკაფიოდ გამოჩნდა XVII ს. ბოლო მეოთხედის და XVIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს უაღრესად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. როდესაც ქვეყნის მესვეურები გამუდმებით მოკავშირის და „მშველელის“ ძიებაში იყვნენ, მაგრამ ამაოდ.

კათალიკოსი დომენტი ახალგაზრდობიდან ცდილობდა როგორმე შეუმსუბუქებინა ეკლესიისა და სამწყმსოს მდგომარეობა. ის გამუდმებით მოგზაურობდა. თავისი აქტიური ცხოვრების წესით მრავალი ოპონენტი და მტერიც გაიჩინა, როგორც სამშობლოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მის შესახებ ვრცელდებოდა ანეკდოტური ამბები. ვცადოთ, ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ ამ საინტერესო მოღვაწის სინამდვილესთან მიახლოებული სახე.

ბატონიშვილი დამიანე დაიბადა 1676/1677 წელს. მან თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო, რაც აისახა მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში. უცხო ენების ცოდნა აძლევდა საშუალებას ემოგზაურა და ეცხოვრა სხვადასხვა ქმეშნებში. მოიარა იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ვლახეთი, რუსეთი, ირანი, ოსმალეთი, ბოლოს, თითქმის 9 წელიწადი მოუხდა ცხოვრება ბერძნულ გარემოში.

სრულიად ახალგაზრდა დამიანემ მნიშვნელოვანი მიზნით იმოგზაურა იერუსალიმსა და ვლახეთში. შეისწავლა საქართველოს განათლებისა და კულტურული განვითარებისათვის აუცილებელი წიგნის ბეჭდვა. სავარაუდოა, მან ამ დროს გაიცნო ვლახეთის ეკლესიისა და კულტურის ერთ-

ერთი უდიდესი მოღვაწე ანთიმ ივერიელი და პირველი ქართული სტამბის მოამაგე მიხაილ იშტვანოვიჩი. დომენტის ყოფნა იერუსალიმში აისახა ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში<sup>1</sup>. დომენტი იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ რამდენ ხანს, ცნობილი არ არის. დომენტიმ ამ დროს განახორციელდა ის, რაც კერ შესძლო კათალიკოს-პატრიარქმა დომენტი III-მ, რომელსაც მონასტრის დასახმარებლად დიდადლი თანხის წაღება პქონდა განზრახული 1675 წლამდე ახლო პერიოდში, მაგრამ ვერ შეძლო. გიორგი XI-მ მოვალეებისაგან „დატყვევებული“ წმინდა ჯვრის მონასტრის დასახსნელი ფული დამიანეს გაატანა<sup>2</sup>.

იერუსალიმში ყოფნისას სუსტი ჯანმრთელობის დამიანე ავად გახდა. იგი ჯვრის მონასტრის „მამებმა მიიღეს, ვითარც დვოის ანგელოზი. როცა ავად გახდა უპატრონებ“. ამას წერდა იერუსალიმის ცნობილი პატრიარქი დოსითეოს II ნოტარა (1669-1707)<sup>3</sup>.

პატრიარქმა დოსითეოსმა დომენტი იეროდიაკონად აკურთხა 1689 წელს. ამ მოგზაურობის დროს, როგორც პ. კარბელაშვილი გადმოგვცემს, დომენტის წიგნის ბეჭდვის საქმე შეუსწავლია. არჩილ II-მ ის წაიყვანა მოსკოვში და მასთან იყო წიგნის გამოცემისათვის სამზადისის მთელი დროის განმავლობაში. როგორც პ. კარბელაშვილი წერდა, „ეჭვი არ გვაქვს, რომ დომენტი სამშობლოში მოსვლის უმაღლეს შეუწიდა თავის ძმას ვახტანგ VI და გაახსნევინა სტამბა.

<sup>1</sup> მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, გვ. 10-11.

<sup>2</sup> ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიურების ისტორია, I, ტფილისი, გვ. 45.

<sup>3</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიადან (XVI-XVII სს.), გვ. 223.

რომ დომენტიმ გაიცნო ანთიმოზ მღვდელ-მთავარი იერუსალიმში ყოფნის დროს, არც ეს მიგგაჩნია საეჭვოდ. იმ დროს ქართველთათვის შეუძლებელი იყო უნგრო-ვლახიაში სიარული სტამბის საქმეზე. რომ დომენტიმ და ანთიმოზმა მოილაპარაკეს და დაიწყეს თადარიგი საქართველოში სტამბის გასასწავლის იერუსალიმშივე, და გამობრუნებულთ იერუსალიმიდან ერთად უნდა ემგზავრათ კონსტანტინოპოლამდე – ჩვენ ჰეშმარიტად მიგვაჩნია<sup>1</sup>.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როგორც აღინიშნა, დომენტი თავის ბიძა არჩილ II-ს რუსეთში გაპყვა სასწავლებლად, სადაც საფუძვლიანი სასულიერო განათლება მიიღო. რადგან მას სასტამბო საქმის გარკვეული ცოდნა გააჩნდა, აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართული სტამბის მოწყობაში მოსკოვში. ის 1705 წელს დაბრუნდა თბილისში და იმავე წელს საეკლესიო კრებამ კათალიკოს პატრიარქად აირჩია. ამის შემდეგ იგი ცნობილია კათალიკოს დომენტი IV-ის სახელით.

\*\*\*

მოღწეულია მრავალი უცხოური წერილობითი ცნობა, რომლებიც კათალიკოს დომენტის ახასიათებენ უარყოფით პიროვნებად. ასეთი სიმრავლის უარყოფითი უცხოური ცნობები არ არსესებობს არც ერთი ქართველი საეკლესიო ან პოლიტიკური მოღვაწის შესახებ. ამ ცნობების მიმართ ინტერესი გამოიჩინეს ირანში მოღვაწე ფრანგმა მისიონერებმა. მათი წერილებით ისარგებლებს და, თავის მხრივ, გაავრცელებს შემდეგი დროის სხვა მისიონერებმა.

<sup>1</sup> კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს კალუხისა, კათალიკოსი და მღვდელმთავარი, ტფილისი, 1900, გვ. 131-132; ბერიძე გ., XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994, გვ. 190.

დომენტი IV-მ, თანამედროვე ფრანგული წეაროების მიხედვით, პრეტენზია განაცხადა ქართლის ტახტზე<sup>1</sup>. ამის შესახებ იქთუიტი მამა დ’ისუდენი 1714 წლის 8 ივნისს საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს სწერდა სპარეთიდან. ირანისა და საქართველოს მდგომარეობის მიმოხილვასთან ერთად, დ’ისუდენი წერდა, რომ მეფე ვახტანგის 50 წლის მამა<sup>2</sup>, რომელიც მართლმადიდებელი პატრიარქია, მისწერა ირანის შაჰს და სთხოვა დანიშნოს საქართველოს მმართველად, მიათხოვონ მას ცოლად კახეთის მთავრის ქალიშვილი, სამაგიეროდ, გამაჰმადიანდება. ამასთან ერთად ის მზად იყო შაჰისთვის გაეგზავნა მონათა დიდი რაოდენობა, გადაეხადა ხარჯი, გაეგზავნა ვახტანგის ოჯახი და სამეფოს თავადები და დიდებულები<sup>3</sup>.

სხვა ცნობით დომენტის ადრეც (1707 წ.) პქონდა მცდელობა შაჰის მხარდაჭერით დაეკავებინა ქართლის ტახტი. ის გაეგზავრა ირანს მაჰმადიანობის მისაღებად, მაგრამ ირანში კარმელიტმა ბერებმა აზრი შეაცვლევინეს და კათოლიკურ

<sup>1</sup> დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდებლი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745 // საისტორიო ძიებანი, I, თბილისი, 1967, 33-37; დონდუა ვ., დავით ვურამიშვილი და საქართველოს ისტორია // საისტორიო ძიებანი, III, თბილისი, 1985, გვ. 93; ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 187, 303.

<sup>2</sup> კათალიკოსი დომენტი 1714 წლის უნდა ყოფილიყო 38-39 წლის.

<sup>3</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I / შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბაღუამ, თბილისი, 1975, გვ. 299; ვრცლად: ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 303-305; ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 495.

ეკლესიასთან შესაერთებლად განაწყვეს. მან პაპს წერილი მისწერა და განზრახვა გაუზიარა<sup>1</sup>.

დასაზუსტებელია ის გადმოცემა, რომლის მიხედვითაც დომენტის მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, მითუმეტეს კათალიკო-პატრიარქისათვის შეუფერებელი განზრახვა რომ გამოამჟღავნა, გამაჰმადიანება და ცოლის შერთვა რომ მოიწადინა, მაგრამ სისრულეში არ მოიყვანა. ერთი ცნობის მიხედვით, მას ამ განზრახვაზე ხელი ააღებინეს კარმელიტმა მისიონერებმა. სხვა ცნობით, დომენტი მისმა მამამ ლევანმა, რომელიც იმ დროს ისპაანის მსაჯულთუხუცესი იყო, თავისი კათალიკოსი შვილი, შეუფერებელი საქციელისათვის ფეხის-გულებზე ჯოხის ცემით დაასჯევინა<sup>2</sup>.

ფრანგი დ'ისუდენი კი გვამცნობს, რომ შაპსა და დომენტის შორის გარიგება მოხდა. შაპი დაპირდა, რომ თხოვნას შეუსრულებდა და ქართლის სამეფოს მას ჩააბარებდა. როდესაც დომენტი საქართველოში დაბრუნდა დიდებულებმა შეიძყრეს და ოსეთში დაამწევდის, საიდანაც შაპი ვერ შესძლებდა მის გამოყვანას. ქართველმა დიდებულებმა შაპს მისწერეს, რომ ვახტანგის გარდა სხვა არავინ უნდოდათ მეფედ<sup>3</sup>.

1714 წლის 29 ოქტომბერს ქან რიშარი წერდა, რომ მამა პიერ დ'ისუდენმა აცნობა თავრიზიდან, „რომ ქართველებმა თვალები დათხარეს საქართველოს პატრიარქს იმისათვის, რომ მან მოისურვა გამხდარიყო მაჰმადიანი და ამით ხელთ-

<sup>1</sup> თამარაშვილი ბ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 429-430;

<sup>2</sup> დონდუა კ., ვახტანგ VI-ის დროინდებლი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 152; ჯუბატაძე ბ., უპრიციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიაში (კათალიკოსი დომენტი IV) // ქართული დიპლომატია, წელიწერი, 4, თბილისი, 1999, 256-257 გვ. 254.

<sup>3</sup> საბუთები საქართველო-ხაფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 299.

ეგდო საქართველო, და, რომ ყველა დიდებული განწყობილია თავი დაიცვას სეფიანებისაგან<sup>1</sup>. ამ წერილის გაცნობის შემდეგ გასაგებია, როგორი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ირანიდან და საქართველოდან საფრანგეთში გაგზავნილ ინფორმაციებს საქართველოს შესახებ.

არ გამოვრიცხავ, რომ კათალიკოს დომენტის, თავისი ძმების – იესესა და სვიმონის მსგავსად, მართლაც სურდა ქართლის ტახტის დაუფლება, მაგრამ რადგან შაჰმა ამისათვის უმძიმესი გადასახადი – გამაჰმადიანება მოითხოვა, მან სხვა გზა აირჩია – პაპს სთხოვა დახმარება და კათოლიკობაზე გადასვლასაც შეჰქირდა. ამას გვაცნობებს მისიონერის მიერ რომში გაგზავნილი და მასზე საპასუხო წერილი. დომენტის პქონდა მაგალითობით თავისი მამა-ბიძების ცხოვრებიდან, რომლებიც ტახტისა და მშვიდობის მოსაპოვებლად ფორმალურად იცვლიდნენ სარწმუნოებას. მაგრამ ისინი საერო პირები იყვნენ და თანამედროვეებისათვის გასაგები იყო პოლიტიკური მოტივით პროზელიტობა. სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა დომენტი – კათალიკოს-პატრიარქი. ის ერის სულიერი მამა იყო.

გამოოქმულია მოსაზრება, რომ დომენტის რუსეთში არჩილ II-სთან ყოფნის პერიოდში უნდა დაემყარებინა კონტაქტი კათოლიკური ეკლესიის მისიონთან<sup>2</sup>, რაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ცნობილია კათოლიკებისა და, საერთოდ, რომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთში.

რა თქმა უნდა, დომენტისთვის უფრო მოხერხებული იყო კონტაქტი საქართველოს მისიაში მყოფ კათოლიკებთან, მაგრამ არც ეს იყო უხილვათო. შედარებით იოლი უნდა ყოფილიყო კათოლიკებთან დაკავშირება ირანში. აი რას ვკითხულობთ 1708 წ. 13 აგვისტოს რომიდან ისპაანში ფეხშიშველ

<sup>1</sup> ოქმა, გვ. 359-360

<sup>2</sup> ჯუბაზაძე ბ., უპრიციამო კომპრომისი ქართულ დიპლომატიაში (კათალიკოსი დომენტი IV), გვ. 252-253.

კარმელიტ პატრ მარია იოსები იესოსათვის გაგზავნილ წერილში: სპრექტის სატახტოდან საქართველოს პატრიარქ დომენების და მის ძმას ხოსრო მირზას, ისპაანის მსაჯულს, წერილი გაუგზავნიათ რომის პაპისათვის. წერილში არ არის აღნიშნული რა აინტერესებდა ხოსროს (ქაიხოსრო), კათალიკოს-პატრიარქი დომენები კი პაპისადმი მორჩილებას გამოსთქვამდა, მას სცნობდა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურად და იქსო ქრისტეს მონაცევლედ. როდესაც შაპს გაუგია დომენების განზრახვაზე, მართლმადიდებლობა კათოლიკობაზე შეეცვალა, მისთვის გამუსლიმანება მოუთხოვია, რაზეც დომენების უარი უთქვამს. ამის შემდეგ მას გადაუწყვეტია ირანიდან გაპარვა და რომში ჩასვლა რათა პაპის წინაშე კათოლიკე სარწმუნოება ედიარებინა<sup>1</sup>. საეჭვოა წერილში დასახელებული ფაქტების ნამდვილობა. განსაკუთრებით ის, რომ შაპმა ქართველ პატრიარქს გამამადიანება მოსთხოვა. მსგავსი არც ერთი მაგალითი არ არის ცნობილი საქართველოირანის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიიდან. დომენების შაპთან ხლების კონკრეტული მიზეზი რაც იყო, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ირანის მბრძანებელმა შეუსრულა და ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

პროპაგანდა ფიდემ დომენების საკმაოდ დაგვიანებით, 1711 წლის 24 იანვარს გაუგზავნა წერილზე პასუხი. პატრიარქს რომიდან აცნობებდნენ, რომ პაპს ძლიერ გაეხარდა მის წერილში გამოთქმული სურვილი და მოუწოდა მყარად იდგეს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად<sup>2</sup>. პაპმა არ დარღვია ტრადიცია და საიმედო არაფერი დაპირდა. არ მცოდას ხინამდვილეს შეეფერებოდეს კათალიკოსს განზრახვები ჯერ გამაჭმადიანების შემდეგ კი გაძათოლიკების შესახებ. ირანი-

<sup>1</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 306-307.

დან რომი გაგზავნილი წერილის მიზანი იყო მისიონერებს დაქმტკიცებინათ რომში თავიანთ უფროსებისათვის, როგორი დიდ გავლენით სარგებლობდნენ ირანში და მოხერხებულად მოქმედებდნენ.

ეხლა გავეცნოთ იმ ქართულ წყაროებს, რომლებიც კათალიკოს დომენტი IV-ზე გადმოგვცემენ მართალია ძუნშ,  
მაგრამ საინტერესო ცნობებს მისი ირანში ყოფნის მიზანზე.  
ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო კათალიკოზებს დომენტის არა აუფლეს კახთა კახეთს მამული თვის. ამისთვის წარგიდა წინაშე კუთხისა ქსა ჩდნ, ქარ. ტუ. მისრულსა კათალიკოზებს პატივ-ხცა კუთხმან და მისცნა კოველნი მამულნი თვისნი და ნიჭი დიდი“<sup>1</sup>. ამის შემდეგ დომენტი კათალიკოსი მოვიდა თბილისს 1708 წელს, მერე ჩავიდა კახეთს იმამ ყელისანთან „და აუფლეს მამულსა თვისნა და იმყოფებოდა მოხარული მცხეთას“.

მაშასადამე, ვახუშტის მიხედვით, დომენტი ირანის შაპს არ ეახლა ქართლის ტახტის სათხოვნებლად.

\*\*\*

კათალიკოს დომენტის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკაფიოდ გამოჩნდა XVII ს. ბოლო მეოთხედის და XVIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს უაღრესად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგრმარეობა, როდესაც ქვეყნის მესვეურები გამუდმებით მოკავშირის და „მშველელის“ ძიებაში იყვნენ, მაგრამ ამაოდ.

კათალიკოსი დომენტი ახალგაზრდობიდან ცდილობდა როგორმე შეუმსუბუქებინა ეკლესიისა და სამწყმსოს მდგომარეობა. თავისი აქტიური და პრინციპული ცხოვრების წესით მრავალი ოპონენტი და მტერიც გაიჩინა, როგორც სამშობ-

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 482.

ლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მის შესახებ ვრცელდებოდა ანეკდოტური ამბები.

ეხლა შევჩერდეთ კათალიკოს-პატრიარქის იმ „ცოდვაზე“, რომლის მიხედვითაც იგი შაპს პპირდებოდა, რომ ქართლის ტახტისს სანაცვლოდ: გაუგზავნიდა მონათა დიდი რაოდენობას, გადაუხდიდა ხარჯს, გაუგზავნიდა შაპის მიერ დატყვევებული ვახტანგ VI-ის ოჯახს და სამეფოს თავადებსა და დიდებულებს<sup>1</sup>.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, მას შემდეგ რაც დომენტი გახდა კათალიკოსი (1704 ან 1705 წელი), მან ყურადღება გაამახვილა ქართული რეალობის ისეთი მახინჯ მოვლენაზე, როგორიც იყო ადამიანებით ვაჭრობა. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში ეს საშინელება ისეთი სისახტიკით არ მტვინვარებდა, როგორც დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მაინც მოწინავე საზოგადოებას არ შეიძლებოდა თვალი აერიდებინა იმ შედეგებისათვის, რა საფრთხესაც უქმნიდა ეს მოვლენა ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას.

მოღწეულია 1712 წლის 2 აგვისტოს პირობის წიგნი, გაცემული რუსულან დედოფლისა და ბაქარ ბატონიშვილის მიერ (ამ დროს ვახტანგ VI ჟავე ირანში იმყოფება), რომელიც, ვფიქრობ, დაწერილი უნდა იყოს კათალიკოს დომენტის მოთხოვნით. ტყვის სყიდვის აკრძალვა, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით საგარეო პოლიტიკის იმ კურსის დემონსტრირება იყო, რომელიც თავისი არსით მიმართული იყო ზოგადად ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესის წინააღმდეგ, მაგრამ იმ გამონაკლისით, რომ კონკრეტულად ყაენისათვის

<sup>1</sup> ხაბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 299; ვრცლად: ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 303-305; ბატონიშვილი ვახტანგი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493

განკუთვნილ ტყვეებზე არ გავრცელდებოდა დოკუმენტის ძირითადი სულისკვეთება. დედოფალი და უფლისწული ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ქართლში ეს სენი შემთხვევითი ხასიათისაა: „რომე ზოგს-ერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქუცნი ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწყინეთ და გამოეკიდებით. ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია თქუცნის წინაშე, სადაც ან სადედოფლოში და ან საუფლისწულოში, ან საცა ჩუცნის საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამსყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან **საყე-ენოს გარდა**, ჩუცნის საბატონოში ტყვე მოიყუანოს გასასუიდელი და ჰყუანდეს ვინმე და წართვათ და თქუცნ გაუწყრეთ და გამოენახნეთ, მოიკითხოთ, არცა-ვის ამისთანა საქმე აქნევინოთ, არც ვიწყინოთ და დიდათაც პელი მოგიმართოთ და თუ ვინმე წინ აღგიდგეთ და თქუცნი ნება არა ქნას, დიდათაც გამოვენახოთ და უწყინოთ. ეს ასრე მოგვისენებია და დაგვიმტკიცებია... თუ იმერელმან კაცმან მოიყუანოს ტყუცნ, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ შესანახავათ დაიხსნას, თვარა გასასყიდლათ ნუ იყიდის და ნურც გაყიდის“<sup>1</sup>.

პირობის წიგნიდან ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დომენტი მზად იყო პოლიტიკური მოსაზრებით კომპრომისზე წასასვლელად ოსმალეთის სულთნის ინტერესის მიმართ, რათა არ შეფერხებულიყო „საყაენო“ ტყვეების გაყვანა ქვეყნიდან. სავარაუდოა, დომენტიმ იცოდა პატრიარქ დოსითეონის პასუხი ვახტანგ VI-ის კითხვაზე (1706 წ. ივნისი): როგორ მოქცეულიყო მაშინ, როდესაც შაპი ქართლის მეფისგან ხარკის სახით ითხოვდა ქრისტიანების გაგზავნას, დოსითეონმა მეფეს ურჩია არ შეეწყვიტა ხარკის გაგზავნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფო უფრო მეტად

<sup>1</sup> Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, Тифлис, 1866, с. 55, №5.

დაზარალდებოდა<sup>1</sup>. ღომენტი ითვალისწინებდა ოსმალეთის სულთნის ძალას და გავლენას და მზადა იყო წასულიყო დათმობაზე.

გვაქვს ერთი საყურადღებო და საინტერესო ღოკუმენტი, რომელიც შექმნილია ფადიშაჲ ახმადის (1703-1730) კანცელარიაში და გასაგებს ხდის, რომ საქართველოდან მოჩების გაყვანა არ იყო ოსმალეთის სახელმწიფოს იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც იგი ატარებდა საქართველოს მიმართ. სულთანი ბრძანებდა, რომ აკრძალულიყო საქართველოდან ტყველის გაყვანა, მაგრამ უნდა გაირკვეს ვის ეკრძალებოდა ეს ხელობა. ჯერ გავეცნოთ ღოკუმენტს:

„ქართველი ხალხის შემციწროებელი ზოგიერთი სამხედრო პირის და ლეკი გაჩაღების შეზღუდვის შესახებ.

ებრძანოს ჩილდირის და თბილისის ვილაიეთების მფლობელს და თბილისის ციხისთავებს, კეზირ ისპაჲ ფაშა<sup>2</sup>.

ჩემს სასახლეში მცხოვრებმა საქართველოს პატრიარქმა<sup>3</sup> წარმოადგინა განცხადება, რომელშიც გვაცნობებს, რომ

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI-XVII სს), გვ. 223.

<sup>2</sup> ისაყ ფაშა იყო სამცხის ათაბაგების გამუსლიმებული შთამომავალი, ახალციხის ფაშა (1723-1735), რომელიც განაგებდა თბილისის ვილაიეთსაც. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოდან თოთქმის ყველა ვილაიეთის გამგებელი ვეზირის ტიტულს ატარებდა. ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული ღოკუმენტი // თხუ შრომები, გ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბილისი, 1962, გვ. 153-172; ხამი თხმალური წყარო თბილისის ისტორიისათვალის (1730-1732) / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, ტერმინლოგიური დაქსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა 6. შენგალიამ, თბილისი, 2008, გვ. 100, გენ. 1.

<sup>3</sup> ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების შემდეგ აღარც კათალიკოსი დომენტი გაჩერდა საქართველოში. დომენტი თხმალებს გაერიდა და ლორეში გადავიდა. დომენტის ლორეში დაუკავშირდა რა-

თბილისში და მის შემოგარენში ოხმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანი მოხახლეობის სიცოცხლის, ქონებისა და ცოლ-შვილის უსაფრთხოების შესახებ მრავალგზის გამოგზავნლი უმაღლესი ბრძანების და ჩემს მიერ უსაფრთხოების გარანტი-ის მიცემის მიუხედავად, ზოგიერთი სამხედრო რაზები და ლეგების ყაჩაღთა ჯგუფები სოფელ-სოფელ დაღიან, ძარცვა-ვებ და მონად გაყიდვის მიზნით იტაცებებ ბაზშებს. მას (ჯა-თალიკოსმა დომენებით – ე.მ.) გამოთქვა მწუხარება და იო-ხოვა მოწყალება. დიადი სახელმწიფოს მორჩილებაში შეოფი საქართველოში მცხოვრები ადამიანების გატაცება და მონად გაყიდვაზე ან მათთვის იოტისოდება ზარალის მიუკენებაზე ფადიშაპის უმაღლესი ნება არ ყოფილა. შენ კი, ჩემთ კე-ზირო, თბილისის ციხისთავი ხარ. ჩემი მითითების მიხედვით მოძალადე და ადამიანის გამტაცებული ყაჩაღები ხელში ჩა-იგდე და დააკავებ. გატაცებული ბავშვები და დამაღული ქო-ნება პატრონებს დაუბრუნებ. დამნაშავეები კანონის შესაბამი-სად და შენი კომპეტენციის ფარგლებში დასაჯე. ქართველი ხალხი დაიცავი და მათ დაჩაგვრას ნუ შეურიგდები. ამ ხა-კითხზე ძალიან ყურადღებით იყავი, რითვისაც ამ ფირმანის მიღების დირსი გახდი.

---

ჯაბ ფაშა და კათალიკოსი „მოინდო“. როგორც ვახუშტი ბატონი-შვილი // ქართლის ცხოვრება, IV, წერს, დომენები ფაშას შეევედ-რა, რომ ხონთქართან გაეგზავნა, რადგან ვარაუდობდა, რომ იქ-დან შეძლებდა ქართლისათვის დახმარებას. ვახუშტი ბატონიშვი-ლი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508. ფაშამ თხოვნა შეუსრულდა. სტამბოლში ჩასულ დომენების დიდი პატივი მიაგო სულთანმა. სრულიად განხსნვავებულ დამოკიდებულებას ადამიანებით ვაჭრო-ბის მიმართ, ამჟღავნებდა სულთნის კარი იმავე საუკუნის მეორე ნახევარში, თუნდაც დასავლეთ საქართველოს მიმართ და იარა-დით ცდილობდა სოლომონ პირველის მიერ ადამიანებით ვაჭ-რობის აკრძალვის გაუქმებას.

ციტირებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სულთანი ახმა-  
დი თავისი წინამორბედი სულთნების მსგავსად უბრძანებდა  
სახელმწიფო მოხელეებს და სამხედრო მოსამსახურეებს, რომ  
შორს დაქვირათ თავი დაპყრობილი მოსახლეობის შევიწრო-  
ებისა და მონებით ვაჭრობისაგან და, თუ სადმე მოხედებოდა  
ამგვარი დანაშაული, მაშინვე აღედგინათ სამართლიანობა.

ქნელია იმის თქმა როგორი ეფექტი ჰქონდა კათალიკოს  
დომენტის თხოვნით დაწერილ სულთნის ბრძანებას, მაგრამ  
ზოგადად თუ განვიხილავთ დოკუმენტს, შეიძლება ეჭვი არ  
გაგვიჩდეს სულთნის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, გულ-  
წრფელობაში, მაგრამ არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ფადი-  
შაჰმა იცოდა რამდენად სარფიანი იყო თურქი მონათმოვა-  
ჭრების საქმიანობა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრე-  
ბით ზღვის სანაპირო ზოლში. მათ ათასობით ქართველი და  
არაქართველი გოგო-ბიჭები გაჰყავდათ საქართველოდან და,  
ალბათ, სახელმწიფო ხაზინაც გარკვეულ შემოსავალს იღებ-  
და. განხილული დოკუმენტი იმის თქმის უფლებას იძლევა,  
რომ სამარცხებინო საქმიანობა მხოლოდ სახელმწიფოს სამ-  
სახურში მყოფ ადამიანებს უკრძალებოდათ, თორემ ვაჭრობის  
თავისუფლება „ცოცხალ“ საქონელზეც ვრცელდებოდა.

ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის მცდელობას არ აკ-  
ლებდა კათალიკოსი დომენტი მთელი სიცოცხლის მანძილ-  
ზე, როცა კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ამასთან დაკავში-  
რებით უნდა გავიხსენო გადასახლებაში მყოფი დომენტის  
მიერ გაგზავნილი წერილი თავის მონაცემე აღმოსავლეთ  
საქართველოს კათლიკოს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელი-  
შვილსადმი (1724-1737). დომენტი საყვედურობს იმ გულგრი-  
ლობისათვის, მან რომ გამოიჩინა საქართველოდან სტამბოლ-  
ში გასაყიდად წაყვანილი 50 ყმაწვილის მიმართ: „რა

<sup>1</sup> საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებიში, 2012, გვ. 163.

მოვითხრა, თუ ვითარ აოხრებულ არს ქვეყანა ჩვენი. მე არა მწყენია, რომ მამა-პაპათა სარწმუნოების უარმყოფელმა იუ-სემზე შენ დაგადგინა ჩემს ნაცვლად-კათალიკოზად, მე ვსახო-ებდი, რომელ მეფესთან ეგრე დაახლოებებული მცველ და მფარველ ექმნებოდი სარწმუნოებასა ჩვენსა და კაკლების დამშვიდებასა; ...50 ყრმათა დახსნისათვის ოსმალთა ტყველ-ბისაგან, უნდა აღეძრათ გული შენი და დაგეხსნა ივინი საუკუნოება და დროებით დაღუპვისაგან. ერთი მაგ ყრმათა-განი აქ კონსტანტინოპოლიში გამოსყიდულ იქმნა სომხის გასპარას მიერ და ჩემდა მოყვანებულ მოხამხახურედ. ყრმა ესე არის მუხრანიდამ და ძე ბონიაშვილისა; დღე და დამ აფრქვეს ცრემლთა და ვერ ივიწყებს სამშობლოს განშო-რებასა. ვერა რამე ვერ ანუგეშებს მას და მის მწარე სიცო-ცხლებს სამშობლოს მოშორებისა გამო უაღრესად ამაფრებს სულიერთა ჩემთა წყლილთა. სხვა 49 ყრმანი სტამბოლის სალაყბოზე განსყიდულ იქმნებ და წაყვანებულ ტყვეებად ეგვიპტეში და ალჟირში. რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მის-ცე ღმერთსა, რომელმან მოგმადლა შენ დაცვა ქრისტეს გაკლებისისა შვილთა? კერძო სულიოთ, რომ შენს მოვალე-ობას მოგავონებ, თუმცა მე ღირხი არ ვარ განკიცხვად შენდა. პეტერ, რა ცა გსურს: მე განშორებულ ვარ გამგეო-ბასა, გარნა სიყვარული ღვთისა და თვისთა მაიძულებს მოგავონო მოგალეობა შენი ვითარცა უხუცესსა მწყემსსა გაკლებისა გაკლებისას<sup>2</sup>.

ყოველივე რაც ზემოთ ითქვა დომენტი IV-ის ტყვეთა სყიდვასადმი დამოკიდებულებაზე, დაუჯერებელს ხდის ამ ნარკვევის დასაწყისში ფრანგი დ'ისუდენის გადმოცემას,

<sup>1</sup> ქართლის მეფე იესე, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის მმა (ალი ყული-ხანი, 1714-1716).

<sup>2</sup> კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკო-კონკრეტული და მღვდელმთაგარნი, გვ. 136-137.

რომ კათალიკოსი მზად იყო შაპისთვის გაეგზავნა მონათა დიდი რაოდენობა, გადაეხადა ხარჯი, გაეგზავნა ვახტანგის ოჯახი და სამეფოს თავადები და დიდებულები.

\*\*\*

დომენტი IV-ის საგარეო ურთიერთობებიდან ყურადღებას იპყრობს მისი ურთიერთობა იერუსალიმის ორთოდოქ-სალურ საპატრიარქოსთან.

კათალიკოს დომენტის თავიდანვე დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა იერუსალიმის ახალარჩეულ პატრიარქ ქრისანთოსთან. ორ პატრიარქს შორის დაპირისპირების მიზეზი, როგორც შეიძლება ვიგარაუდოთ, პატრიარქ დოსითეოსის დროს იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ წმინდა მიწაზე ქართული მონასტრების ნაგებობათა მითვისება იყო. პატრიარქი ქრისანთოსი ცდილობდა დაესაბუთებინა საპატრიარქოს „სამართლიანი“ მოქმედება და ამისათვის ის საქართველოში აგზავნიდა „ფაქტებით“ გაჯერებულ წერილებს.

ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია ვერ შეეგუებოდა ქართული ტაძრების საპატრიარქოს იურსდიქციაში გადასვლას<sup>1</sup>, იმ მიზეზის გამო, რომელსაც ბერძნები ქართულ მხარეს უყენებდნენ. 1709 წელს ქრისანთოსმა კათოლიკოს დომენტის გაუგზავნა წერილი, რომელშიც აუწყებდა, რატომ ჩავარდა ქართული მონასტრები ვალებში, როგორ ცდილობდნენ პატრიარქი დოსითეოსი და ქართლის მეფე გიორგი XI, ერთობლივად ემოვათ საჭირო თანხა და მონასტრები გამოესყიდათ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯერის მონასტრის ისტორია. თბილისი, 2016, გვ. 118-148.

<sup>2</sup> „პირობის წიგნი“ გამოქვეყნებულია სამჯერ: პირველად უთარი-დოდ, მეორედ 1678-1688 წლების ქვეშ. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, Тифлис, 1866, с. 26-27; ქართული სამართლის ძეგლები, III. ხავალიშვილ ხავანონმდებლოւ ძეგლ-

კათალიკოსმა დომენტიმ კარგად იცოდა, როგორ იზრუნა ქართულმა მხარემ ვალების დასაფარავად. მან 1699 წლის ახლო ხანებში თავისი ხელით ჩაიტანა თანხა იერუსალიმში და პატრიარქ დოსითეოს გადასცა<sup>1</sup>. მანამდეც, „პირობის წიგნის“ თანახმად, მეფე გიორგი XI-მ და დიდებულებმა დიდადი თანხა და სხვადასხვა ძვირფასეულობა და საჭონელი გაუგზავნეს პატრიარქ დოსითეოს. სავარაუდოა, კათალიკოსმა დომენტიმ, იმისათვის, რათა იერუსალიმის ახალი პატრიარქისათვის ეგრძნობინებინა საქართველოს ეკლესიის უარყოფითი განწყობილება იმის გამო, რაც მოხდა ქართულ მონასტრებთან დაკავშირებით, მან თბილისში არსებული ჯვარისმამის ეკლესია<sup>2</sup>, რომელიც იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის მეტოქი იყო, ჩამოართვა ბერძენ ბერძებს.

1709 წელს პატრიარქმა ქრისანთიოსმა კათალიკოს დომენტის გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი ადრესაც შეასენებდა იმ დროს, როდესაც კარგ მდგომარეობაში მყოფი საქართველოდან იერუსალიმში დიდადი ფული იგზავნებოდა.

---

ები (XI-XIX ს.ს.). ტექსტები გამოხცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 592-594; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორია. თბილისი, 2016, გვ. 123-127, 200-201. რამდენადაც „პირობის წიგნი“ დოსითეოსის საქართველოში ყოფნის დრო შეადგინეს, მისი თითქმის ზუსტად დათარიღება შეიძლება – 1681 წლის 15 ივნისი – 30 ივლისი.

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX ს. / ტექსტები გამოხაცემად მოამზადა, გამოკვლეულები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო, პროფ. ავთ. იოსევლიანმა, თბილისი, 1980, გვ. 45.

<sup>2</sup> ჯვარისმამის ეკლესია დღესაც არსებობს და მდებარეობს ძველ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოეს, იერუსალიმის ქუჩაზე. აგებულია XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ბერძენი კ., XVI-XVII საუკუნეების ქართული ხაგლებით ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994, გვ. 25-26.

შემდეგში ქართული მონასტრები ვალებში ჩავარდნენ, რამაც გამოიწვია მათი თანდათანობით დასუსტებება და, საბოლოოდ, ისინი დაიკეტა. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როცა გამეფდა გიორგი XI და და იერუსალიმის პატრიარქი იყო დოსითეოს II-ის. ეს უკანასკნელი საქართველოში ჩავიდა, ხოლო მეფემ და პატრიარქმა ქართლის დიდებულებთან ერთობლივად განიზრახეს ქართული მონასტრებისათვის ეშველათ. მაგრამ საჭირო თანხა ვერ შეგროვდა და დანაკლისი საპატრიარქო შეავსო, რის გამო წმინდა უფლის საფლავს ვალები დაედო. მეფე გიორგი პატრიარქ დოსითეოსს ჰპირდებოდა, რომ საჭირო თანხას იშოვიდა და ვალებს დაუარავდა, მაგრამ გიორგი მეფე ირანში გაიწვიეს და დანაპირების შესრულება ვეღარ შეძლო. წერილის დასასრულს ქრისანთოსი დომენტი კათალიკოსს სთხოვდა, იერუსალიმის ჯვრის მონასტერისათვის დაებრუნებინა სახლი თბილისში და გადაეცა იგი იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენელ არქიმანდრიტ სერგისათვის<sup>1</sup>.

როდესაც პატრიარქ ქრისანთოსის პრეტენზიებს ვეცნობით, ბუნებრივია უნდა მოვიხმოთ ის დოკუმენტები, რომლებითაც დოსითეოსი აცნობებს ვახტანგ მეფეს, რომ ქართულ

<sup>1</sup> ქრისანთოსის ადრესატები იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს კათათალიკოსი დომენტი IV და მეფე ვახტანგ VI. მესხი თ., იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი (1707-1731) და ხაქართველო // გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი. პუბლიციარულ ძეგნიერებათა ფაულდებული. იხტორისისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №15, თბილისი, 2018, გვ. 73-104.

წერილში ხეხებული სერგი 1688-1709 წლებში იყო იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის პირველი ბერძენი წინამდებარი. ჯვარისმამობის დამთავრების შემდეგ პაპა სერგიოსი საქართველოში დარჩა. იგი მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის დროს ქართლის სამეფოში გაჩადებულ კულტურულ ცხოვრებაში. მამისთვალიშივლი კ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრი, თბილისი, 2016, გვ. 182-183.

მხარეს არავითარი ვალი აქვს და მონასტრები მათი საკუთრებაა, მხედველობაშ მაქვს „პირობის წიგნი“ და დოსითეოსის 1706 წლის ინისისა დ ივლისის ეპისტოლები ვახტანგ VI-ისადმი. პატრიარქ ქრისანთოსს უნდა ვუპასუხოთ პატრიარქ დოსითეოსის იმ სიტყვებით, რომლებითაც ის ამთავრებს 1706 წლის ივლისის ეპისტოლებს: „ვინც მართლმადიდებელი ქრისტიანია, ის აღიარებს ყოველივე ამას, ხოლო ვინც წინააღმდეგი იქნება, ან სხვანაირად აზროვნებს, ის წარმართო და მწვალებელი, ეკლესიის მტერი, ივერთა ღირსების ცილისმწამებელი, და დადლის და დავთის დიდებას მოკლებულია...“<sup>1</sup>

ქრისანთოსის წერილში ლაპარაკია იმ სახლზე, რომელიც 1678 წელს გიორგი XI-მ ჯვარისმამასა და მონასტრის ბერს თბილისის გალავნის გარეთ უბოძა. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი მანამდე რომ მეტოქის სახით თბილისში უკვე ფლობდა ჯვარისმამის ეკლესიას, ჩანს ქართლის მეფე ერეკლე პირველის მიერ 1692 წელს გაცემული სიგელიდან<sup>2</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვთქვათ: **ქათალიკონი დომენტი IV კველგან და ყოველთვის იცავდა ქართული კლესიის ინტერესებს.**

\*\*\*

შაპის მიერ ვახტანგ VI-ის ირანში გაწვევას და ქართლის ტახტზე მის დამტკიცების სამაგიეროდ გამაჰმადინების მოთხოვნას, შედეგად მოჰყვა ვახტანგის უარი და მის ირანიდან აღარ გაშვება. ის ქირმანში გადასახლეს, სადაც იმყოფებოდა 1719 წლამდე. ვახტანგისათვის ამ კრიტიკულ დროს კათალიკოსმა დომენტიმ გადადგა უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი: მისი თაოსნობით ეპისკოპოსებმა და,

<sup>1</sup> იქვ. გვ. 201-202, 222-229.

<sup>2</sup> დოკუმენტები XVI-XIX სს. თბილისის ისტორიისათვის, შეკრძილი ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძნიშვილის მიერ, I, თბილისი, 1962, გვ. 126.

საერთოდ, სამღვდელოებამ „ქრისტეგეთჟს იძულებულისა ვახ-  
ტანგისათვეს ნება-მოწმობა სცენა“<sup>1</sup>. მაშასადამე, ეკლესიის მსა-  
ხურებმა შექმნეს ღოკუმენტი, რომლითაც ვახტანგს ეკლესია  
ნებას რთავდა ქვეყნის სასიკეთოდ, რადგან სხვა გამოსავალი  
არ არსებობდა, მას ფორმალურად შეეცვალა სარწმუნოება.  
ცნობილია ქართული ეკლესიის მსგავსი მოქმედების სხვა  
ფაქტებიც ე. წ. მაპმადიან მეფეების მიმართ, რაც მათს პატ-  
რიოტულად და პოლიტიკურად გამართულ აზროვნებას ადას-  
ტურებს.

ამგვარად, დომენტიმ და მასთან ერთად აღმოსავლეთ  
საქართველოს ეკლესიამ დაუფარავად გამოხატა ვახტანგი-  
სადმი მხარდაჭერა. ამის შემდეგ ვახტანგის მოწინააღმდე-  
გენი, პირველ რიგში მისი ნახევარმები – სვიმონი და იესე  
დომენტის, ვახტანგის ნამდვილი ძმის, მოწინააღმდეგენიც  
იყვნენ. იესე „რომელი იყო თოფჩბაში“ და მის ხელქვეით  
მყოფი თბილისის გუშაგნი, „შეასმენდნენ ყევნსა დაწვითა  
ურანისათა და სხვათა მრავალთა უჯერთა მაპმადიანთა ზე-  
და“<sup>2</sup>. სვიმონსა და იასეს პყავდათ თანამოაზრები, რომლე-  
ბიც ვახტანგს ასევე შაპთან „შეასმენდნენ“: მოვუსმინოთ ვა-  
ხტანგი ბატონიშვილს: „შეიზრახენ სკონ და მთავარნი ქართ-  
ლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა, რამეთუ, რაუმე დაიპყრა  
ვახტანგ ოხეთი და განაწყო მცველნი თუსნი, მიერით  
ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათ-  
თა დაპყრობისა, ამისთვეს მიუწერენ ყევნსა: „არა გვნებავს  
ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იუხე“<sup>3</sup>. ვახტანგსა და დომე-  
ნტის შორის განხეთქილების გამოსაწვევად მათ გაავრცელეს  
სმა თითქოს დომენტიც უმიზნებდა ქართლის ტახტს. ვახ-  
ტანგის ნაცვლად ქართლის გამგებლად დანიშნულმა მისმა

<sup>1</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 492

<sup>3</sup> იქვე, გვ. 492-493.

ნახევარმმა სვიმონმა, „შეიპყრო დომენტი და ვახტანგ VI-ის ვაჟს, მემკვიდრე ბატონიშვილს, ბაქარს გადასცა. ვახტანგი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „შეიპყრა სემონ ქათალიკოზი დომენტი ზაქტ და წარმოუკლინა ბაქარს, რათა აღმოგადოს თუალნი. გარნა არა პყო ესე დედოფალმან რუსულდან და იყოფოდა მათ თანა პატივითა. ხოლო ყევნსა რა ესმა ვახტანგისათვის ესენი, აღუძნდა და არა ინება ეგრეთ. არამედ ომარათაგან<sup>1</sup> იძულებულმან წარმოავლინა იუსტიციური ქართლისად ნიჭითა, ვინათვგან აღეთქვა იუსტიციური უკანისათვის წარვლნებად დედოფალი და ქენი ვახტანგისანი და ხუთანი ქართველნი ცოლშვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს<sup>2</sup>. როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება მოყვნალი ამონარიდიდან? ვახტანგი ხაზგასმით გვეუბნება, რომ სვიმონმა ბოროტი განზრახვით (ზაკვით) შეიპყრო დომენტი. მან ასევე ბოროტი განზრახვით გაუგზავნა ბაქარს დომენტი დასასჯელად, რაც მგონია, იმისათვის გააკეთა, რომ ბაქარის, რო-

<sup>1</sup> კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს ომირას მნიშვნელობით, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „არს დესპანი ხანგრძლივად მყოფი“. სულხან-საბა ორბელიანი, თხელულებანი, ტ. IV // ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოხაცემად მოამზადა იღია აბულაძემ, თბილისი, 1965, გვ. 516. სხვადასხვა დროის ქართულ წყაროებში დაცულია შემდეგი დიპლომატიური ტერმინები, რომელთა განმარტებები კიდევ უფრო ნათელს გახდის ომირას მნიშვნელობას: მოციქული, დესპანი, ელჩი და ომირა და ისინი თითქოს ერთნაირი მნიშვნელობით არის ნახმარი. იქვე, გვ. 295.

ეს ტერმინები სულხან-საბა ორბელიანს შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „მოციქული ესე არს დათიხა მიერ მოცლინებული შპულის მასწავლებელად; დესპანი არს მეფისაგან მეფესთან მიგზავნილი მოციქულად ხაქმება რახამე ზედა; ომირა არს დესპანი ხანგრძლივად მყოფი“. დიდ დექსინიკოლოგს ელჩი, როგორც არაქართული (თურქელი) სიტყვა განმარტებული აქვს ცალკე: ელჩი – „ქართულად დესპანი და ომირა“. იქვე, გვ. 519.

<sup>2</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493.

გორც ვახტანგის მემკვიდრის დისკრედიტაცია მოქმდინა. თავის ადგილას ვიტყვი, რომ სვიმონი იქსეს გამეფების მომხრე იყო. დედოფალი და ბატონიშვილი სრულიად კარგად ხვდებოდნენ დომენტის დაპატიმრებისა და ბაქარისათვის გადაცემის მიზანს, მიუხვდნენ ვახტანგის საწინააღმდეგო ზრახვებს, დომენტი თავიანთ ოჯახში შეიფარეს და ამით დაიცვეს ხელყოფისაგან. მოსალოდნელი იყო ვახტანგის ოჯახზე შურისძიება. ამიტომ ვახტანგ VI-ის მეუღლემ, დედოფალმა რუსუდანმა და ბატონიშვილებმა – ბაქარმა და გიორგიმ რაჭას შეაფარეს თავი. დომენტი კათალიკოსი ქართლში დარჩა<sup>1</sup>.

ფრიად საყურადღებოა ის რაც შემდეგ მოხდა: შაჰს თურმე ვახტანგის სასიკეთო ზრახვები ჰქონდა, მაგრამ გადაიფიქრა მას შემდეგ რაც მას მოახსენეს ზემოაღნიშული. ირანში დიდი ხნით მყოფმა ვახტანგის მოწინააღმდეგებმა, რომლებიც სასახლესთანაც დაახლოებული იყვნენ და ქართლის სამეფოს წარმოადგენენ (ომირები), აიძულეს შაჰი, რომ ქართლის მეფედ დაენიშნა იქსე, რომელმაც აღუთქვა ვახტანგის ცოლშვილის და ხუთასი ქართველი დიდებულის ცოლშვილით ირანში გადასახლება. ვახტანგი ტყვეობაში დატოვეს. იქსე, მართალია გამეფდა, მაგრამ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, შეუსრულა თუ არა დანაპირები შაჰს. შეიძლება ის ბრალდება (შაჰს რომ ვახტანგის ცოლშვილსა და ხუთას ქართველ დიდებულს ირანში გადასახლებდა) ვახტანგის მომხრეების ფანტაზიის ნაყოფი იყო.

ამგვარად, დომენტი IV ვახტანგ VI-ის და მისი ქართლში მეფობის მომხრე იყო.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 494.

\*\*\*

ქართლში გამეფებულმა იესემ დომენტი ისევ აღადგინა კათალიკოსად, რაც, საგარაუდოა, ვახტანგის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის კომპრომისის შედეგი იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კათალიკოს დომენტის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოს სამდვდელოებაში, რასაც ისევ, მიუხედავად მაპადიანობისა, აუცილებლად გაუწევდა ანგარიშს. კათალიკოსი თვალს არ ხუჭავდა იესეს ქრისტიანობისა და ქართველისათვის მიუღებელ საქციელზე: „ხოლო ისევ იყო მშეუებელი და განძცხომელი უწესობითა ყრძათა თანა და უგვანთა ძღვრათა“ მან თავის დედის ბიძა ქაიხოსრო ამირეჯიბს წაართვა ცოლი და თვითონ შეირთო. ყოველივე ამის გამო კათალიკოსმა და ეპისკოპოსებმა ამხილეს იესე<sup>1</sup>.

ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების შემდეგ დომენტიც აღარ გაჩერდა საქართველოში. ამით ისარგებლა იესემ და მის ადგილზე დასვა ბესარიონ ბარათაშვილი.

ვახტანგი ბატონიშვილის თხზულებაში შემონახული ცნობების გაცნობის შემდეგ, გასაგებია ვინ ავრცელებდნენ ჭორებს დომენტი კათალიკოსზე. ამ საქმეში დიდი „დამსახურება“ ჰქონდათ ვახტანგის ნახევარ მმებს, სამეფოს გაძლირების მოწინააღმდეგ დიდებულებს და განსაკუთრებით შაჰის კარზე მოკალათებულ ე.წ. „ომერებს“, რომლებიც კათალიკოსზე ჭორებს აწვდიდნენ ისპაანში მყოფ ფრანგ მისიონერებს, რომლებიც დისუდენის საშუალებით იგზავნებოდა პარიზსა და ვერსალში.

1719 წელს ვახტანგი ქართლის მეფობას შეუდგა. მან მაშინვე რეპრესიები განახორციელა მოწინააღმდეგების მიმართ. მას რომ ეჭვი ჰქონებოდა კათალიკოსის ლოიალობაზე, ის როგორც აიყვანა კათალიკოსის ტახტზე, ისევე ჩამოყ

---

<sup>1</sup> ოქტომბერი 494

ვანდა და სხვა მრავალ უსიამოვნებასაც შეამოხვევდა. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, უფრო მეტიც, ადრე მინიჭებული წყალობები განუახლა.

ემიგრაციაში (რუსეთში) მყოფი მეფე ვახტანგი, ომგორც ჩანს, წუხდა ოსმალეთის ტყვეობაში მყოფი დომენტის მდგომარეობით და ცდილობდა მის გათავისუფლებას რუსეთის ხელისუფლების ჩარევით. 1731 წლის მარტში ვახტანგმა თხოვნით მიმართა რუსეთის საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელ ა. ოსტერმანს, რომ სულთნის წინაშე ოფოციალურად დაეყენებინათ საკითხი დომენტის განთავისუფლებისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ<sup>1</sup>.

მოხმობილი მაგალითები სარწმუნოს ხდის, რომ **მეფე ვახტანგი დარწმუნებული იყო კათალიკოსი დომენტი IV-ის ერთგულებაში.**

\*\*\*

ცნობა კათალიკოს დომენტის ვახტანგთან დაპირისპირების, უფრო სწორად დალატის შესახებ, შემოგვინახეს სომხურმა ქრონიკებმა. ერთი ანონიმურია მეორე კი ეპუთვნის აბრაამ ერევანცის. სომეხი ავტორები კახთა მეფის მიერ თბილისის აკლებას (1723 წლის 4 მაისი) დომენტი კათალიკოსის ხელის შეწყობის შედეგად მიიჩნევენ. ანონიმი ქრონისტი მოგვითხრობს ავდანელების მიერ დამარცხებული შაჰ-თამაზ II-ის (1722-1732) ცუდ მდგომარეობაზე, რომ მას დარჩა მხოლოდ 500 მეტროლი და უდიდესი საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. თამაზმა შიგრიკები გაგზავნა ვახტანგ მეფეთან და დახმარება ითხოვა<sup>2</sup>. მეფემ შაჰს უარი უთხრა იმ

<sup>1</sup> პაიჭაძე გ., ვახტანგ VI, თბილისი, 1981, გვ. 170.

<sup>2</sup> „შაჰ-თამაზმა შიგრიკები გაგზავნა ქართლში მცხეთის „იშხან“ გაღდანთან და (შეუთვალი) მასთან საშეკლად მისება. ხიბელიც გაეგზავნა ხადაც ამბობდა: „ავღანეთის გოროზი აღიმართა ჩემს სახელმწიფოზე, ერთა მამაჩემს... მოკლა მამაჩემი და ჩემი

მიზეზით, რომ არ ძალუდა მიატოვება თავის ქვეყნისა, რომელსაც მტრები აუმსხედრდნენ. ასეთი პასუხით განრისხებულმა თამაზმა კახეთის მეფე მაპმად ყული-ხანს (კონსტანტინე II, 1722-1732) უბრძანა ვახტანგი შევპყო და მასთან მიუკვანა<sup>1</sup>.

კონსტანტინემ, ვახტანგის მტკიცებულებით მოსთხოვა ვახტანგის ქართლის მეფობიდან გადაყენება. შაპი იძულებული იყო კონსტანტინეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. იმავე დროს ის გამოაცხადა შაპის ნაცვალად და ერევნის გამგებლად. ვახტანგ VI-ემ კონსტანტინე დაამარცხა.

სომები ქორნისტები ამის შემდეგ მოგვითხრობენ კონსტანტინეს მიერ 6 000 ლეკის გადმოიყვანისა და ვახტანგის სამეფოზე შეტევის ახალ განზრახვაზე. მას კათალიკოს დომენების დახმარების იმედი ჰქონდა, რომელიც მცხეთის<sup>2</sup> გადაცემას დაპირდა, სამაგიეროდ კონსტანტინე მას კახეთს დაპირდა თუ მცხეთას და ვახტანგს ხელში ჩაგდებინებდა.

როგორც ანონიმი მოგვითხრობს, 1723 წლის 2 მაისს კა-  
თალიკოსმა საიდუმლო წერილი გაუგზავნა კონსტანტინეს და  
იმედი გამოთქავა, რომ შეხვდებოდა მას მცხეთაში, რომლის  
კარს გადებულს დაახვედრებდა. ვახტანგმა არაფერი იცოდა  
მის წინააღმდეგ შეთქმულების მზადების შესახებ. ქრო-

ძმები, მოძალადეობით ააოხრა ჩვენი სამეცნი, ახლა იქარებ ჩემთან მოსვლა, რათა შევძლო ჩვენი სამეცნის დამანგრევლის განდევნა“.<sup>1</sup> აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია / ძელი სომხურიდან თარგმნა, შესავალით და კომენტარით გამოსცა ლ. დავ-ლიანიძემ, თბილისი, 1976, გვ. 17.

<sup>1</sup> *od3g, 33: 17-18.*

<sup>2</sup> Ձեռնության վերաբերյալ ամենահայտնի գործակը պահպանվել է Հայոց Արքայության ազգային պատմական առաջնահամար Տիգրան Մակար կողմէն՝ 1722-1736 թվականներին:

ნისტის გადმოცემით, როდესაც ვახტანგს აცნობეს, რომ მზადდებოდა დალატი, კონსტანტინესთან შეთანხმებულმა კათალიკოსმა დაარწმუნა ქართლის მეფე, რომ რასაც მას უუნებოდნენ დალატის თაობაზე, ტყუილი იყო. „გამაჯმაღიანებული მჯმედ უული-ხანი და კათალიკოსი შეთანხმდნენ, რომ უკანასკნელს ისე დაჭირა თავი როგორც მჯმედ უული-ხანის მტერს და ვახტანგის მეგობარს. დათქმულ დღეს, გათენებამდე, ლექები მიაღენენ ქალაქ მცხეთას და მოულოდნელად შეცვიდნენ. ისინი გაიფანტნენ ქალაქში, ხოცავდნენ უკლას კიხაც შეხვდებოდნენ, ძარცვავდნენ კუკლაფერს რაც ხელში მოხვდებოდათ, მათ შორის ოქროს და ვერცხლის საგნებს. ლექები არ იყვანდნენ ტყვებს და როცა ციხის დამცველებას დაუწეუს ბრძოლა, მათ გაიტაცეს ნაძარცვი და ამჯობინეს მხუბუქად გასცლოდნენ ქალაქს. ამ არეულობის ქამს ვახტანგს აღარაფრის გაკეთება შეეძლო. მან ცოლშვილი წაიყვანა, ქალაქი ჩუმად დატოვა და მოსკოვში გაიქცა. რაც შეეხება მოღალატე კათალიკოსს, ლექებმა მიატოვეს თუ არა ქალაქი, ის მათთან ერთად წავიდა და მჯმედ უული-ხანს შეუერთდა. მათ დაიწეუს უფრო მეტი ჯარის შეკრება, რათა ახლიდან დასხმოდნენ მცხეთას“.

<sup>1</sup> Ճարաամ յրաբանցո, ռմջօնս ութորոս, զշ. 18-19; Արմանական անոնիմ քրոնիկա 1722-1736, ս. 7. յշաբաժածյ ծ., յարուցօձտ յամերամիօն յարտ-շլլ քուծարմահուածո (յատագոյտսո քումեյի 4). զշ. 256-257. Յ. յարծալուանցուոնու „յրանուցյ ծո“ արու Շյմայցո ձասայու: „յաեեաթոն թարցուո յարշո դա յամուցանա յարու լոյցուս, մուջցա տօնուուս և դա քայուուրա. դ մասու [մայատել] 1723 թ. յի քայուուցյ մրացալոն քարծանուույլո, զուրցո ամուլակեռո դա եեց. [Ելալաթյ մյցյ մելյցյ լու և մմյօնս եզօմոնիս և ոյեց և յցըլանո տայտացուուցուս թացուո-թամուցուուցյ բ. մոշցարա մյցոնիօնյ ցեյցյ ծա] մյցյ յաեթանց օյուու գորե, ծայարո քյմյուտե: յարծալուանցուոնու և, ոյրարյու եայարտայլուս յըլյեսուս, յատագոյտսունո դա մուցուումտայարնո, զշ. 88.

მეორე სომები მემატიანე აბრაამ ერევანცი შედარებით მოკლედ და შინაარსობრივად მცირეოდენი განსხვავებით გადმოგვცემს იგივე ამბავს: მაპმუდ-უული-ხანს „აზრად პქონდა მოულოდნელად, ღამით დასხმოდა თავს, რათა ქალაქის კარები უურდულოდ, დაუკეტავი დახვედროდა, თავისი ჯარისკაცებითურთ სწრაფად შეჭრილიყო შიგ და უკელა ბოროტი საქმე სწრაფად ერთ საათში დაეხრულებინა. ამ საქმეში მას თავის მშველელად პყავდა ქართველი კათალიკოსი, რომელსაც ფარული ცბიერებით შეგნიდან უნდა გაეცა ქალაქი. ამისთანა საქმეზე მან თანხმობა მისცა იმის გამო, რომ მაპმად-უული, რომელიც (სარწმუნოების) უარმყოფელი იყო, მას ენათესავებოდა და წერილობით და სიტყვით კახეთის მხარეს საჩუქრად პირდევბოდა, თუკი მისი ღალატის საშუალებით მცხეთას და ვაღლდას ჩააგდებინებდა“<sup>4</sup>.

ქართულმა წყაროებმა არ იციან კახეთის მეფისა და კათალიკოსის რაიმე შეთანხმება ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ. ვის ცნობებს ეყრდნობიან სომები მემატიანეები? აბრაამ ერევანცის თხულების ქართულ ენაზე მთარგმნელი ვარაუდობდა, რომ ალბათ რაღაც კავშირი არსებობდა დომენტისა და კახო მეფეს შორის თბილისზე თავდასხმის დროს, თორებ მთლად უსაფუძვლოდ სომები მემატიანეები ვერ შეთხავდნენ. როგორც ჩანს, სხვა ბრალდებების მსგავსად ესენიც უსაფუძვლოა.

**უულაზე სანდო მოწმე კათალიკოსის უდანაშაულობისა არის თვით კათალიკოსი.**

ადინიშნა, რომ კახთა მეფემ ლეპების რაზმით თბილისი აიღო 1723 წლის 4 მაისს, დომენტი 13 მაისს სწერს პეტრე I-ს: „ქ. უზემთავს ბრწყინვალესა თვით-მკურობელსა, მაღალხა იმპერატორსა... მოვახსექნებ... აწე, ჩემი სამწერლო საქართველოს უხალუონი მოერივნებ და მმა ჩემი ვახტანგ, იავარ პყვებს,

<sup>1</sup> აბრაამ ერევანცი, მემების იხტორია, გვ. 18-19

ხატნი და ჯვარნი, ეკლესიანი ცეცხლისა მიერ დაწვნებს და  
მრავალნი სულნი ქრისტიანები მოხვეულიდნებს, ოპერ ჟვეებ  
ქალაქები და სოფელები და, ჩვენ რომ აქაური ამბავი წვრილად  
მოგვეწერა და მოგვეხენებინა, გრაძლად მოგიღოდა და  
მთელს აქაურს ამბავს ტოლსტოი ივან ანდრევიჩი<sup>1</sup> წვრილად  
მოახსენებს. ჩვენ ხელის კაცის გაძლება ახლა აქ ძნელია,  
რახანაც უსჯულონი მოგვერივნებ. ხელმწიფებს ამას ვეხვეწებით,  
ვინ იცის, რომ გზა ვიზოვოთ და მანდ ვიახლოთ,  
მაგათის მოწყალებისაგან შეგვიწყალოს და უერი მოგვიგოოს  
და შეგვინახოს, მლოცველი და მოსამსახურე გვამყოფოს მათ  
საფარგვლს ქვეშე და ყოვლის დღით დღე მაგათს წყალობის  
მომდევნი ვარ თუ იქნებოდეს, თუ არა, ამისი ბრძანების  
წიგნის მომღლოდინე ვარ<sup>2</sup>.

ქრონისტების მონათხრობის მიმსგავსებული რაიმე  
ცნობა ქართულმა საიტორიო მწერლობამ არ იცის. მაგრამ  
ის კი ცნობილია, რომ კახელებისა და ლეპების მიერ  
მცხეთის აკლების გამო დომენგიმ თავისი წესილი გამოხატა  
1725 წელს „სჯულის კანონზე“ წარწერაში. ის ამბობს:  
„...დავისხებ სჯულის კანონი ეხე... პატრიახმან დომენგიმ  
ოდეს ჯერ ლემთა გარეხებს ხვევი ცხოველი... ურუმნი  
მოვიდნებ და დაიკურებ ქვეყანა ეხე ჩვენი ქართლი, მაშინ...  
წარმოსტყვენებს საყდარი და ტყვე პყვებს საყდრის ამის  
რაოდენ (?) წიგნები, ხოლო ჩვენ ძიება ეყვან და რაოდენ  
გვოვეთ დავისხენით ვასითა და იხევ ხვევი ცხოველს  
შევხწირეთ... ქა (უ)იგ<sup>3</sup>.“

<sup>1</sup> პეტრე I-ის წარმომადგენელი საქართველოში.

<sup>2</sup> კათალიკოსის წერილი მიიღეს პეტრებურგში იმავე წლის 25 ივნისს, მაგრამ მასზე პასუხი არ არის ცნობილი. Акты Собранные Кавказского Археографического Комиссиию, т. I, Тифлис, 1866, с. 152

<sup>3</sup> ქრონიკები და ხევა მასადა საქართველოს ისტორიისა, შეკრიბილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახხნილი და გამოცემული თ.

\*\*\*

ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლის შემდეგ, დომენტი ოსმალებს გაერიდა და ლორეში გადავიდა. მის ნაცვლად იქ-სემ კათალიკოსად ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი და-აყენა (1724-1737). აუცილებლად აღსანიშნავია, რომ როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, დომენტიმ, დიდი ხნის განმავლობაში სამშობლოდან მოწყვეტის მიუხედვად, აღმოსავლეთ საქართ-ველოს პატრიარქი მასთან შეთანხმების გარეშე მნიშვნე-ლოვან გადაწყვეტილებებს არ იღებდა, რაც საქართველოში დომენტის დიდ ავტორიტეტზე და მისადმი პატივისცემაზე მიუთითებს. დომენტი, ფაქტიურად, „მთავარი“ პატრიარქი იყო.

დომენტის ლორეში დაუკავშირდა რაჯაბ ფაშა და კათალიკოსი „მოინდო“. როგორც ვახტანგი ბატონიშვილი წერს, დომენტი შეეველრა ფაშას, რომ ხონთქართან გაეგზავნა, რადგან ვარაუდობდა იქიდან შეძლებდა ქართლი-საოვის სიკეთის გაკეთებას<sup>1</sup>. ფაშამ თხოვნა შეუსრულა. სტამბოლში ჩასულ დომენტის დიდი პატივი მიაგო სულ-თანმა. იქსეს გარდაცვალების შემდეგ (1727 წ.) ახალციხის ფაშა ისაყი, რომელიც იმავე დროს თბილისის ვილაიეთსაც განაგებდა, ქართლის ფაქტიური მეფე გახდა. მას შეშურდა კათალიკოს დომენტის პატივი სულთნის კარზე, შეთხხა ცრუ ბრალდება, რომელიც ზოგიერთა ქართველმა დაუმოწმა და ხონთქართან დაასმინა. ფაშამ, ალბათ, იქვეა, რომ კათალი-კოსი სულთნის კარზე სამეფო ტახტის მოპოვებას ცდი-ლობდა. ის ხომ წარმოშობით ქართლის ტახტის პოტენციური კანდიდატი იყო, რასაც ფაშა ვერ დაუშვებდა. მისი დასმენით

---

კორდანიას მიერ, III. გამოსაცემად მოამზადეს გივი კორდანიან და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967, გვ. 99.

<sup>1</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508.

დომენტი დააპატიმრეს და ტენიდოსს გადაასახლეს<sup>1</sup>, სადაც ცხრა წელი გაატარა.

თვით კათალიკოსი დომენტი სულთანთან სტამბოლში თავისი გამგზავრების მიზეზს აღწერს 1737 წლის 12 მაისს რუსეთის იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისათვის გაგზნილ წერილში<sup>2</sup>. წერილი გაგზავნილია პატრიარქის მიერ ტენიდოსიდან სტამბოლში დაბრუნების შემდეგ: „ახლა ამას მოვახევებ თვითმყრობელს, დიდს კელწიფებს. აქამდის ბოხჩას<sup>3</sup> ექვთირია კიუკენით. ახლა კიზილაშის კლჩა გვითხვადს, აქ სტამბოლს მოგვიყანებს. ახლა ამას მოვახევებთ (იმპერატრიცას – ე.მ.) და კეცენწებით, რომ ჩვენი ქვეყანა და სამწერო საქართველო უსჯულოთ თათართ როგორ წახდინებ კველა მოქანება. იქ ჩვენგან აღარ გაიძლება, აქ მცველი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 508-509.

<sup>2</sup> არხებობს კათალიკოს დომენტის მიერ პეტერბურგში გაგზნილი ორი წერილი, რომლებიც გამოქვეყნებულია ასეთი თანმიმდევრობით: 1737 წ. 15 მაისის წერილი იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულისათვის (1741-1762), მეორე კი, დათარიდებულია 1737 წლის 12 მაისით. ამ წერილის აღრესატია იმპერატრიცა ანნა იოანეს ასული (1730-1740). რა თქმა უნდა, პირველი წერილი კერ გავგზავნებოდა იმ ადრესატს, ვის სახელზეც იგი დაიწერა, რამდენადაც ელიზავეტა პეტრეს ასულის გამეფების დროისათვის დომენტი გარდაიცვალი იყო. შენარხის მიხედვით, თრივე წერილი ანნა იოანეს ასულისათვის არის განკუთხილი. Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770, с. 216-219. დომენტის მიერ ამგვარი შეცდომა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სავარაუდოა, საქმე გვაქს გამომქვეყნებლის ხარჯებთან.

<sup>3</sup> ბოხჩა, იგივე ტენიდოს. „რომელსა უხმოდებ თათართა ენითა ბორჩა ადას, ხოლო ბერძნელებ სახლი ხდებ ტენიდო“. Такашвили Е., Материалы для истории Грузии, Тифлис, 1885, с. 68.

<sup>4</sup> ხაზახმა ჩემია.

და მფარველი არავინა გვევავს, არც რა საზღვო გვეპოება რამ. ამთონი დიდის კემწიფის წყალობა იყოს რომ უკრი მოგვიგდოს, მოწყალება კორ, გვიპატრონოთ. ერთს ადაგს დაგვაყენოთ და გაგვაძლებინოთ. აშტარხანი იყოს, თუ თერგი, თუ სოლადი, თუ თრღუ, თუ დარუბანდი. ამაებს ალაგ ში საზღვოს და სარჩოს წყალობაც გვიყონ. მაგათი მღოცველი და მომხსენებელი მაგათ საფარველს ქვეშ ვიყვნეთ, რომ არავისი ფიქრი და შიში გვქონდეს, რომ არავინ რა შეგვცოდოს და გვაწყინოს, ჩვენთვის უზრუნველად ვიყვნეთ. კიდევ ამას ვეგვეწებით დიდს გემწიფებს და მოვახსენებ: საცა ვიყვნეთ, აქა თუ სხვაგან, გემწიფის წყალობა და ულუფის წყალობა გვეძლეოდეს, მაგათი მღოცველი და მომხსენებელი დღივ და დამე გვაძყოფონ<sup>4</sup>. ამგვარად, კათალიკოსი დომენტი იმპერატრიცას სოხოვდა რუსეთის იმპერიის სამხრეთში, საქართველოსთან ახლოს დასახლების უფლება მიეცა და არსებობის საშუალებებითაც უზრუნველეყო. რუსეთში გაგზავნილ წერილებში ჩანს ქვეყნისა და მისი პირადი ტრაგედია.

მნელია თქმა, რა აუცილებლობამ განაპირობა კათალიკოს დომენების მიერ 2-3 დღის შემდეგ, 15 მაისს, პეტერბურგში იმავე იმპერატრიცასთვის, რომელიც ქართულ ტექსტში მოხსენიებულია ელისაბედად, სხვა წერილის გაგზავნა. ელისაბედი დაახლოებით ოთხი წლის შემდეგ გამეფდა, როცა დომენტი უპარ ცოცხალი აღარ იყო. ამასთან ერთად საინტერესო ისიც, რომ წერილს თვით კათალიკოსი წერს და ელისაბედს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ბრწყინვალეთ და კეთილ-მორწმუნეო, დიდებულო, დიდისა სამეფოსა ქალაქისა მოსკოვისა და ყოვლისა რუსეთისა ტელმწიფისა და თვით-მკურობელისა პეტრეს ასულო, უფალო, უფალო ელისაბედ... აწ, თუ იკითხოს და ინებოს ბრწყინვალებამან

<sup>1</sup> Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиою, т. I, с. 219.

თქვენმან ჩვენისა ამას ცხოვრებას საქმენი, რაოდენნი ჭირნი  
 და განხაცდელნი მოიწინებ ქვეყანასა და სამწეოსა კუ-  
 ლებისა ა ჩვენთა ზედა ყოველივე მოხენებულ არს და უწ-  
 ყით. წარტყენებს და მოახერებს და იავარ უკეს და ტუშ უკეს  
 სულნი ურიცხვნი ქრისტიანები. ქწუხდი და გზრუნავდი დღე  
 და დამგ და ვეძებდი შემწეობასა და კურნებასა მათხა ამიხა.  
 შემდგომად უკვე მოვიდა ბძანება ხელმწიფისა (ოსმალეთის  
 სულთანი - ე.შ.): „თუ მოხვალ და მონახაო (? - ე.შ.), შენხა  
 ქვეყანასათ სამწეოსა და უკლესიასა ყოველსაგე შვებითა და  
 მუკლოროებითა ვამყოფებო“. ამისთვისცა მცა ვითარცა გვიბ-  
 ძანებს უფალი ჩვენი იქნო ქრისტე წმინდასა სახარებასა  
 შინა „დახდევ სული შენი ცხოვათა შენთაოვისო“, დაგხდევ  
 სული ჩემი და წარმუშლ წინაშე მათხა. მოვიწიე რა წინაშე  
 მათხა წელ ნახევარს უკან ეხორია მყვეს ბოხჩასა და იქ  
 ვიყოფოდი ცხრა წელ დიდხა ჭირსა და შეწუხებასა შინა, და  
 მერმე, მოვკიყვანებს აქა, კონსტანტინოპოლის და გვითხრებს  
 ვითარცა წესია მათი ზფირთა და სიცრულითა სიტყვანი და  
 თქმანი მათნი „ყიზილბაში ხართო, ყიზილბაშში წადითო“.  
 ყიზიბაშის ელჩს ძლევა დაგვწეულ და ჩვენ არა ვინებეთ და  
 არცა დავითქმნით წარმართხა მათ შინა და თავი  
 დავიხხენით ვითმე ცამეტი ქისა გაგვივიდა და მივეცით, ვალი  
 ავილევით და ვალი გვაქს ქისა ცამეტი<sup>1</sup>.

რუსეთში გაუზავნიდდ წერილებში, როგორც ზემოთაც  
 ადინიშნა, ჩანს ქვეყნისა და კათალიკოს დომენტის პირადი  
 ტრაგედია. წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ ოსმა-  
 ლეთი და ირანი აღმოსავლეთ და დასავლეთ „საქართვე-  
 ლოებს“ თავიანთ სამფლობელობად ყოფდნენ და ერთმანეთის  
 ინტერესებს აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ. ირანის ელ-  
 ჩის მოთხოვნის შესაბამისად ოსმალეთის ხელისუფალთ გა-  
 ნიზრახეს კათალიკოსის ყიზილბაში ელჩისათვის გადაცემა.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770, с. 217.

ამგვარი მოქმედების გამართლება იმით სცადეს, რომ რადგან აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშური ირანის გავლენის სფერო იყო, იქაური ქართველებიც, მათი გაგებით, ყიზილბაშური იყვნენ.

როგორც ზემოთციტირებული წერილებიდან ჩანს თხმა-ლეთის მთავრობას ირანის სამეფო კარის (ელჩის) მოთხოვნით კათალიკოსი დომენტის ირანში გაგზავნა უნდოდა, მაგრამ დომენტიმ დიდი ქრთამის (13 ქისა) გადახდით თავიდან აიცილა სულთნის გადაწყვეტილების განხორციელება. საჭირო თანხა ვალით აიღო იერუსალიმის საპატრიარქოსგან, მაგრამ მის გადახდას ვეღარ ახერხებდა. კათალიკოსი რუსეთის იმპერატრიცას სთხოვს: „ახლა ამას ვევედრებით დავთის მოვარეობასა თქვენსა, რომ წყალობა გვიყოთ და ხელი აღვიპყროთ, მოგვეხმაროთ, მოწყალება პყოთ, რომ ეს ვალები გადავხეწყვიტოთ...”<sup>1</sup>. დომენტის გაჭირვებულ ყოფას თხმალეთში ადასტურებს იქსე ტლაშაძე. მის მიხედვით კათალიკოსმა 1739 წლის 20 მარტს იერუსალიმის საპატრიარქოდან 4300 ლევი სესხად აიღო. ამ ვალის გადახდას ითხოვდნენ იერუსალიმის პატრიარქები: მელეტიოსი (1731-1737 წწ.) და პართენიოსი (1737-1766 წწ.).<sup>2</sup>

როცა კათალიკოსი ბესარიონი გარდაიცვალა, დომენტი ჯერ იმერეთში მივიდა, შემდეგ ქართლში გადმოიყვანეს და ადადგინეს კათალიკოსად<sup>3</sup>, რაც ნადირ შაჰის მონღომებით მოხდა: „პატივით შეიწყნარა და წარმოავლინა ქართლსავე კათალიკოზად“ – წერს გახუშტი ბატონიშვილი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Тамже, с. 217

<sup>2</sup> ტლაშაძე ი., კათალიკოზ-ბაქარიანი / ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1895, გვ. 26; ალიმბარაშვილი ი., დომენტი IV კათალიკოსი // სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ. 115.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 516.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 518.

\*\*\*

დაუჯერებელია ყველა ის ცნობა, რომლებიც კათალიკოს დომენტი IV-ს სახავენ მართლმადიდებლობის მგმობელად და ვახტანგ VI-ის კონკურენტ-მოწინააღმდეგელ, მის მტრებთან შეთანხმებულად მოქმედ პიროვნებად. ნუთუ შეიძლება იმ ყველა ბრალდების სერიოზულად მიღება იმ კათალიკოსის მიმართ, რომელსაც ეპუთვნის ქვემოთ ციტირებული წერილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი დომენტიმ თავის ძმა იქსეს დასახასიათებლად დაწერა, მაგრამ მასში, ზოგადად, თავის მრწამსსაც გამოხატავს: „განა არა ფიქრობდა იქსე ქრისტეს უარმყოფელი, რომ რდესმე წარსდგებოდა წინაშე მისსა, რომელიც უარჲყო მხოლოდ იმიტომ, რომ მტრებთან ერთათ აღეღო მახვილი სათრგუნავად სამშობლოსა ყოველთა სიწმინდეთა? ქვეყნიერი ტანჯვანი წარმავალნი არიან, დმერთი განკურნავს წყლულთა მორწმუნეთა ძეთასა, გარნა ვად მათ, რომელნი თავ ერისა სდგან და უდებებით არა იფარავენ თანამდებობისაებრ მომაკვდავთა ერისაგანთა. კურთხევა დვთისა იყავნ სამშობლოსა ზედა ჩვენსა, განუსვენოს დმერთმა სულსა აღწყველილთასა სახუვეველსა თვისსა! აკურთხნებს დმერთმან იგინი, რომელნი ზეციერთაებრ შემწედ ქრისტიანებ ერისა იღვწიან და ექმნებიან მამად და ნუგეშინისმცემლად დაობლებულთა და ჩაგრულთას<sup>1</sup>.

თუ გაფითვალისწინებო რა ხდებოდა დომენტი IV-ის თანამდეროვე საქართველოში, როდესაც იშვიათობა არ იყო

<sup>1</sup> კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს კალებისა, კათალიკოსის და მდგრელმთავარნი, გვ. 118. კათალიკოს დომენტი IV-ის მიერ სარწმუნოების შეცვლისა და სამეფო ტახტისაკენ სწრაფვის უარმყოფელი არგუმენტები ვრცლად იხ. ალიმბარაშვილი ი., დომენტი IV კათალიკოსი. გვ. 97-100.

ცრუ დასმენა და ჭორების გავრცელება, ჩემი აზრით, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ვახუშტი ბატონიშვილის მონათხოვობს, რომელიც იყო ამბის თანამედროვე და სამეფო კართან ახლოს მდგომი. ვფიქრობ, ვახუშტი არ დაინდობდა და არც დაინდო ვახტანგ მეფის მოწინააღმდეგები თუნდაც ისინი ბატონიშვილები ყოფილიყვნენ და სიმართლეს შემოუნახავდა შემდგომ თაობებს.

\*\*\*

არამართებულად მიმაჩნია საეჭვო ფრანგული წყაროების მიხედვით მსჯელობა იმაზე, რომ თითქოს ქართლის ტახტზე პრეტეზზია განაცხადა კათალიკოსმა დომენებიმ და იმაზეც, რა საშინელებანიც დაატყდა თავს მას ამგვრი საქციელის გამო<sup>1</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ კათალიკოს-პატრიარქ დომენების ირანის შაჰთან ვიზიტმა სათავე დაუდო მითქმა-მოთქმას ვახტანგ VI-ს მოწინააღმდეგ ქართველ პოლიტიკოსებსა და ბატონიშვილებში. ყველა დაინტერესებული პირი დასახელებული ფაქტიდან ისეთი დასკვნის გამოტანას ცდილობდა როგორიც მის ინტერესებში ჯდებოდა.

როგორ იქმნებოდა საქართველოში და ირანში დომენების გასაკიცხი ჭორები, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკე. ისიც აღინიშნა, რომ ქართულმა საისტორიო მწერლობამ დომენები IV-ის შესახებ შემოგვინახა ძირითად დადებითი ცნობები. უნდა გაირკვეს რა მიზანს ემსახურებოდა მისი კომპრომიტირება და რატომ იყო დაინტერესებ-

<sup>1</sup> დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745, გვ. 33-37; დონდუა ვ., დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბილისი, 1985, გვ. 93; ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 303.

ბული ქართველთა ერთი ნაწილი და ზოგიერთი უცხოელი გაევრცელებინა დომენტის „საძრახისი“ მოქმედებანი.

1. ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, სარწმუნოს ხდის, რომ დომენტი IV-ს არასოდეს გამოუთქმამს პრეტენზია ქართლის სამეფო ტახტზე; იბრძოდა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ; აგტიურად უჭერდა მხარს წიგნის ბეჭდვას; იგი არც თვითონ წასულა ზნეობრივ და სარწმუნოებრივ კომპრომისზე და არც სხვებს პატიობდა; მან არ დაინდო თრი გენიალური ქართველიც კი – შოთა რუსთაველი<sup>1</sup> და სულხან-საბა ორბელიანი. ეს უკანასკნელი არ ასახელებს დომენტი კათალიკოსს, მაგრამ უეჭველია ის უნდა ყოფილიყო ორგანიზატორი იმ რეპრესიული დონის-ძიებისა, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულ სულხან-საბას მიმართ განხორციელდა<sup>2</sup>. მისი წაქტებით უნდა მომხდარიყო კათოლიკების დევნა, სულხან-საბას ეგროპიდან მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ<sup>3</sup>. მისი უკომპრომისობა იყო მთავარი მიზეზი მისი მოწინააღმდეგების გამრავლებისა. ამიტომ მოთქვამდა გამწარებული კათალიკოსი დომენტი: „მე მამიგონებ ტყუილი, კაცის კურს ხმოდეს არღვებ“-თ<sup>4</sup>.

2. აღინიშნა, რომ უარყოფით ცნობებს კათალიკოს დომენტი IV-ის შესახებ, წერილობითი სახით ვნახულობთ პიერ დ'ისუდენის მიერ საფრანგეთში გაგზავნილ წერილებში. ის პირადად იცნობდა ირანში ტყვეობაში მყოფ ვახტანგ VI-ს და

<sup>1</sup> ბარამიძე ა., შოთა რუსთაველი. მონორაფიული ნარკვევი, თბ., 1958, გვ. 375-376; ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 2004, გვ. III.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხულებანი, I, გამოსაცემად მოაზრდეს ს. კუბანიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 245.

<sup>3</sup> თამარაშვილი გ., ისტორია კათოლიკოსის ქართველთა შორის, გვ. 334-336.

<sup>4</sup> ტლაშვაძე ი., კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 49.

შეძლებისდაგვარად ცდილობდა დახმარებოდა. მისი საშუალებით იგებდა საფრანგეთის მთავრობა ირანსა და საქართველოს ამბებს და ღომენტი კათალიკოსის შესახებაც. მას უნდოდა „გამაჭმადიანებული“ ყოფილი პატრიარქის საპირისპიროდ გამოექვეთა ვახტანგის სახე, რომელიც იყო ერთგული ქრისტიანობის (კათოლიკობის) და საფრანგეთის მფიის. დ’ისუდენის აზრით, ყოველივე ის, რაც ვახტანგის ირგვლივ არასასიამოვნო ხდებოდა, პირველ რიგში ირანში მაღალ თანამდებობებზე მყოფი მისი მმების, სვიმონისა და იესეს ინტრიგების შედეგი იყო. დ’ისუდენს და მასთან ერთად სხვა კათოლიკე მისიონერებს ქართლის ტახტზე დაბრუნებული ვახტანგი მიაჩნდათ საფრანგეთის სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესების გამტარებელად ამიერკავკასიაში. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე მათ შექმნეს დომენტის უარყოფითი პორტრეტი, რათა ჩაეგონებინათ საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ მოსალოდნელი იყო დომენტისნაირ პიროვნებას დაეკავებინა ქართლის სამეფო ტახტი, რაც ეწინააღმდეგებოდა სფრაგეთის ინტერესებს. საჭირო იყო საფრანგეთის მთავრობის გააქტიურება შაპის ტყვეობიდან ვახტანგის დასახსნელად.

3. სომეხი ქრონისტების ნაშრომების ქრონოლოგიური ჩარჩო არის XVIII ს. 20-30 იანი წლები. ისინი საქართველოს ამბებს გადმოგვცემენ 1722-1723 წლების ქანშ. გვიყვაბიან ქართლისა და კახეთის მეფეთა დაპირისპირებასა და ურთიერთბრძოლაზე; ჩანს, რომ მათი სიმპატია ვახტანგის მხარეს არის; ვფიქრობ, მათი პოზცია განპირობებული იყო სომხების ქართლის მეფისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით. სომხებს ვახტანგი მიაჩნდათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ბელადად, რომლის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხალხები რუსეთთან ერთად ირანის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ წამოწყება, რომელშიც სომხები საგრძნობლად აქტიურობდნენ, ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი პეტრე I-ის

არაპროგნოზირებადი მოქმედების შედეგად. ვახტანგის მომართ განწყობილება მაინც დადებითი დარჩა.

რომ გგცოდნოდა რომელ აღმსარებლობას ეკუთვმოდნენ სომეხი ქრონისტები, მაშინ იოლად გასაგები იქნებოდა მათ მიერ დომენტი IV-ის უარყოფითად წარმოჩენის მოტივები. შეა საუკუნეებში ადამიანების დახასიათების დროს უპირატესი მნიშვნელობა პქონდა იმას თუ რომელ კონფესიას განეკუთვნებოდნენ დასახასიათებელი და დამხასიათებელი. იმ დროსაც იშვიათობა არ იყო სხვა რელიგიის წარმომადგენლებისთვის ისეთი რამის დაბრალება, რაც ბუნებაში არ მომხდარა. რადგან ქრონისტები უარყოფითად ახასიათებენ ქართველ პატრიარქს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი გრიგორიანელები იყვნენ და მართლმადიდებელ პატრიარქს მიაწერენ ისეთ ცოდვებს, რომლებიც მას არ ჩაუდენია. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ქრონისტებზე გარკვეული გავლენა მოახდინეს დომენტისთან დაპირისპირებულმა ქართველმა დიდებულებმა და ვახტანგის მომხსრე კათოლიკებმა.

## პახთა მეფე კონსტანტინე II-ის საბარეო კოლიტიკა და დიპლომატია

კონსტანტინე II — კახეთის მეფე 1722-1732, ერეკლე I-ის ძე, ნაშობი მხევლისაგან, თემურაზ II-ის ძმა. კონსტანტინე დაიბადა და აღიზარდა ისპაპანში (ამის შესახებ ის აღნიშნავდა 1724 წელს პეტრე I-ის წარმომადგენლის, გენერალ ა. მატიუშკინისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში<sup>1</sup>). მისი მაჰმადიანური სახელი იყო მაჰმად უული-ხანი. მეფობა მიიღო ძმის, დავით II-ის (იმამული-ხანის) გარდაცვალების შემდეგ. შაჰმა კახეთის ტახტთან ერთად უბობა ერევანი, შამშადილი და ყაზახი, მალე ერევნის ხაცვლად ებობა განჯისა და ყარაბაღის გამგებლობა.

ვახუშტი ბატონიშვილის დახსასიათებით: „ხოლო იყო ესე მაჰმად-უულისან ფრიად მაჰმადიანი, ლალი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილისა“<sup>2</sup>. კონსტანტინეს გამეფებიდან მთელი ორი წელი აღსავსე იყო ვახტანგ VI-სა კახეთის მეფეს შორის ბრძოლებით, არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ პირველობისათვის აზერბაიჯანის ზემოდასახელებულ პროვინციებშიც<sup>3</sup>.

კახეთში ახალგამეფებულ კონსტანტინეს ლეკების თავდასხმების ასალაგმავად შაპის მხარდაჭერა სჭირდებოდა. შაჰ-თამაზის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით დაუპირისპირდა შაპის მორჩილებიდან გასულ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს.

პირველი, ვინც იარაღი აღმართა ქართლის სამეფოზე იყო კახეთის მეფე კონსტანტინე II, რომელმაც თავისი მოქ-

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 167.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 619.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 619-622.

მედება შაპ-თამაზთან შეათანხმა. მის შესახებ ვახტანგ მეფემ პეტრე I-ს მოუთხრო 1723 წლის 10 მაისს გაგზავნილ წერილში: „მას შემდეგ რაც ქართლის მეფე განჯას გაეშურა იმპერატორთან შესახვედრად, კახო ბატონი მტრად აგვიდგაო. მან შაპს მისწერა, ვახტანგს „დიდი გელმწიფე მოჰყავს“<sup>1</sup>.

შაპმა კონსტანტინეს დაავალა შეეპურო ვახტანგი და ისპაანში ჩაეყვანა<sup>2</sup>. კონსტანტინემ მოითხოვა ვახტანგის მეფობიდან გადაყენება, რაზეც დამაპმაყოფილებელი პასუხი მიიღო. მან 6 ათასი ლეპი გადმოიყვანა და მათი შეწევნით აიღო მცხეთა, რაც დასტურდება დომენტი IV კათალიკოსის მიერ „სჯულის კანონზე“ 1725 წლს გაკეთებული წარწერით<sup>3</sup>.

1723 წელს შაპის მიერ ვახტანგ VI-ის გადაყენების შემდეგ ქართლი კონსტანტინე II-ს ებოძა. თავდაპირველად ქართლისათვის ბრძოლაში კონსტანტინე II დამარცხდა, მაგრამ ლეპების დახმარებით 1723 წლის 4 მაისს თბილისი აიღო. ვახტანგ VI, მისი ძე ბაქარი (შაპნავაზ III) და მათი მომხრეები შიდა ქართლში გამაგრდნენ. ამ დროს ირან-ოსმალეთს შორის ომი (1723-1727) იყო და ოსმალთა ლაშქარი არზრუმის ფაშა იბრაჟიმის სარდლობით თბილისისაკენ მიიწვდა. ვახტანგ VI-მ მას დამორჩილების ნიშნად ბაქარი და იუსე მიაგება. კონსტანტინე II თვითონ მიეგება ოსმალთა სარდალს სოდანლუდში, თბილისის ციხის გასაღები ჩააბარა და ქართლის მეფობის შენარჩუნება სოხოვა, თანაც ერევნისა და განჯის დამორჩილება აღუთქვა.

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 147-148.

<sup>2</sup> Армянская анонимная хроника 1722-1736. Перевод с турецкого З. М. Бунякова, Баку, 1988, с. 7.

<sup>3</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. კორდანიას მიერ, III, გვ. 99.

კონსტანტინე მთავრის მიერ ვახტანგის დამარცხების შემდეგ (1723 წ.) ოსმალებმა იგრძნეს საშიშროება, რომ ირანი თავისი სატელიტის საშუალებით აღმოსავლეთ საქართველოს დაუუფლებოდა. ივნისში ოსმალები თბილისს მიადგნენ, კონსტანტინემ სატახტო უბრძოლებელად დათმო. ოსმალები თბილისსა და აღმოსავლეთ ამირკავკასიას დაუუფლენენ. თბილის ადგბამ სტამბოლში დიდი სიხარული გამოიწვია. როგორც ინგლისის ელჩი სტონიანი ლონდონში მოახსენებდა, დამატებითი ჯარის ნაწილები საქართველოში სულთანს მისი, სტაიანის, რეკომენდაციით გაუგზავნია<sup>1</sup>.

1723 წლის 12 ივნისს ოსმალები თბილისში შევიდნენ. ვახტანგ VI-მ მოქრთამა ფაშა და მან ქართლის გამგებლობა ბაქარს მისცა, ხოლო კონსტანტინე II დააპატიმრა. მალე ბაქარის ფარული ხელშეწყობით კონსტანტინე II ციხიდან გაიპარა, კახეთში გადავიდა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. მას კვლავ ლეკების დახმარების იმედი ჰქონდა, ამიტომ მათ საშუალებას აძლევდა კახეთზე გავლით მოეწყოთ თავდასხმები ქართლზე, რომელიც ამ დროს ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. ბუნებრივია, ეს გარემოება ოსმალებს არ დარჩათ შეუმჩნეველი და კონსტანტინეს შეპყრობა სურდათ. კონსტანტინე ფშავები გაიხიზნა. შემდეგ ბაქარიც განუდგა ოკუპანტებს და ოსმალებმა თბილისის გამგებლობა ვახტანგის ძმა იქსეს გადასცეს.

რუსეთს მხედველობიდან არ გამორჩენია კახეთის სამეფოში შექმნილი მფგომარეობა და განიზრახა, საჭიროების შემთხვევაში, მისი გამოყენება თავისი კავკასიური პოლტიკის განხორციელებისათვის. როგორც აღინიშნა, ა. ვოლინსკი 1720 წლს დაინიშნა ასტრახანის გუბორნატორად და დაევალა შეეგროვებინა ცნობები ირანის ეკონომიკური, პოლიტიკური

<sup>1</sup> Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения, Москва, 1966, с. 28.

და სამხედრო მდგომარეობის შესახებ. რუსეთი ფარულად უნდა მომზადებულიყო ირანის წინააღმდეგ ომისათვის. ა. ვოლინისკის დაევალა, აგრეთვე, როგორც ვახტანგ VI-ის, ისე კონსტანტინე II-ის შესახებ შეეგროვებინა ცნობები და მიემხრო იგი. კახეთის მეფე რუსეთისათვის განსაკუთრებით იმიტომ იყო საინტერესო, რომ ის ნამყოფი იყო ისპანის მმართველად და, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა ირანის საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ქართლიდან განდევნილი ვახტანგ VI რაჭიდან სწერდა უშბის სახანოში, სალიანში<sup>1</sup>, მდგომ იმპერატორის ელჩს, გენერალ-ლეიტენანტ ა. მატიუშკინს (ადრესატმა წერილი მიიღო 1724 წლის 21 მაისს): „ქ. დიდებულო, ამაღლებულო და პატიოსანო ელჩო... მე, მეფე ვახტანგ, სიყვარულით მოგიკითხავ: მერძე, შათორები გამოვგ ზავნე და თქვენი წიგნი არა პქონდა. ახლა ეს კაცი გვიახლებია და თქვენი ამბავი უკეთა სომხურებ დააწერინე და ისრე მოგვწერე. რადგან გელმწიფის ბძანება ეგ არის. „ჯარით კახეთში გამოპრანდებით“. ჩვენ აქ ჯარს შევიყრით, კახეთში მოგვებებით, რომელიც ამ ქვეყნების საქმე არის უკეთას მოგახსენებთ და ნება თქვენია“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, ქართლისა და კახეთის მეფეები შერიგებულან და ვახტანგი ამიტომ აპირებდა კახეთში ჩასვლას და თავისი ჯარის იქაურ ჯართან შეერთებას. დაზუსტებას მოითხოვს გ. პაიჭაძის მოსაზრება: რადგან კონსტანტინე თავის წერილებში არ ასახელებს ქართლის მეფის სახელს,

<sup>1</sup> მატიუშკინის სალიანსში ყოფნის შესახებ აღნიშნულია კონსტანტინე II-ის მიერ პეტრე I-სათვის გაგზავნილ მხოლოდ ერთ, წერილში, *Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 169.* საერთოდ კი, მატიუშკინის მიერ პეტრესათვის გაგზნილი წერილები გაგზნილი ხალიანიდან, მრავლად არსებობს.

<sup>2</sup> *Тамже, с. 156.*

იმით უნდა აიხსნას, რომ ვახტანგ მეფე მას არ შეურიგდა<sup>1</sup>. ქართლისა და კახეთის მეფებს შორის იმდენად ძლიერი კონფრონტაცია და შეიარაღებული შეტაკებები, ერთმანეთის სამფლობელოების აკლება მოხდა, რომ, ბუნებრივია, მათი შერიგება ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით ვერ მოხდებოდა. ისინი შერიგდნენ მხოლოდ მოცემული მომენტისათვის და არა სამუდამოდ, რაც კარგად გამოჩნდა შემდეგში, როდესაც კონსტანტინე ცდილობდა რუსეთის საიმპერატორო კარის მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ ეს მიუღწეველი აღმოჩნდა სხვადასხვა გარემოებათა, მათ შორის, მოსკოვში ვახტანგის მომხრე ქართული დიასკორის მოქმედების შედეგად..

ვახტანგ მეფის შემდეგ, რომელიც უკვე ჩრდილო კავკასიაში იყო გადასული, საქმეში ჩაერთო მისი მექავიდრე, მეფე ბაქარი. არის ძალიან მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი დოკუმენტი – ბაქარ მეფის წერილი, რომლითაც ის მიმართავს კახელებს: „ქ. ჩვენი ბრძანება არის სიღნაღის მოლაშერებო და სხვას სომხითის მოლაშერებო. მერმე, თქვენმან შათორმაზ<sup>2</sup> რაც გვიანდო, გავიგონეთ. დიდის იმპერატორის ელჩი მანდ მოხულა<sup>3</sup>, თქვენ ხომ დიდის პეტრიცის ერთ-

<sup>1</sup> პაიჭაძე გ., კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში (1724-1725 წლები) // საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოსთან არხებული საარქივო სამმართველო. სამუცნიერო-საინფორმაციო ბიუღაგებინი №1 (9), თბილისი, 1963, გვ. 25.

<sup>2</sup> შიკრიკი.

<sup>3</sup> „დიდის იმპერატორის ელჩი მანდ მოხულა“ («посоль величайшего Императора прибыль туда») არ გულისხმობს ელჩის ჩასვლას საკუთრივ კახეთში, რაც კარგად გამოჩნდება ქვემოთ განხილულ წერილებში. ამავე წერილში ნათქვამია, რომ ქრთლის ჯარი კახეთში შეუერთდებოდა ადგილობრივ ჯარს, მაგრამ არ არის აღნიშნული შემდეგ სად წავიდა ქართლ-კახეთის ჯარი. ბაქარი, ვფიქრობ, დაპარაკობდა კონსტანტინე II-ის გამგებლობაში არსებულ ტერიტორიებთან სიახლოეს, სალიამში ელჩის ეოფნაზე.

გულნი ხართ და ჩვენიც ერთგულნი ხართ, რასაც მაგ ელჩს კარგად მოეპყრობით და მსახურებთ, თქვენზე პკიდია<sup>1</sup>. იმის გარდა, რომ ვიგებთ რუსეთის ელჩის კახეთში ყოფნის შესახებ, უურადღებას იპყრობს ის, რომ ბაქარი კახეთის მეფე კონსტანტინე II-ს კი არ მიმართავს, არამედ გაურკვეველ ადრესატებს. შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, რომ კონსტანტინეს სურვილი იყო რუსეთთან დაემყარებინა ურთიერთობა და დახმარება მიეღო. ამიტომ დასაშვებია, რომ კახეთის მეფეს სიდნალის და სომხითის „მოლაშქრეთა“ სახით ჰყავდა ირანის მომხრე დიდებულთა ოპოზიცია, რომლებიც არ იყვნენ კახეთ-რუსეთის კავშირის მომხრენი.

ამგვარად, კონსტანტინე II-სთვის არა მხოლოდ ცნობილი იყო რუსეთის ინტერესი კახეთის სამეფოსა და მისი მეფის მიმართ, არამედ ის, სავარაუდოა, აქტიურად იყო ჩაბ-მული პეტრეს წარმომადგენელთან მოლაპარაკებაში. კონსტანტინემ გენერალ მატიუშკინს წერილი გაუგზავნა და გამოხატა სიხარული რუსეთის სარდლის ჯარითურთ კახეთის საზღვართან მისვლის გამო: „ქ. თქვენის მრავლის სიკეთით შემკობილის და ჩვენგან სანახავად სანატრელის კაის თავის აღრე შეკრის, მუსაიძობის დიდად მონატრე, მეფე კონსტანტინე. მოგახსენებ, ჩვენი დიდად პატივ საფარველო და სანახავად დიდად სანატრელო, ბატონო. მრავალი თქვენთვის სიკეთ მოუკალებელისა და ჩვენთვის ზურგად და იმედად მოსალოდნელის თავის შესაფერი მოკითხვა და ხლების და აღერსის ნატრა მოგვიხსენებია: მერძე, დიდისა და ყოვლის ქვეყნის მპყრობელისა, პეტრი მეფე პეტრი მეფე, დიდისა და ძლიერის ლაშქრისა და სარდლის აქათ მობრძანება გავი-გონეთ და ღმერთს მადლი მივუცით და დიდათ გავიხარეთ.

<sup>1</sup> წერილი გადაგზავნილია პეტრებურგში გენერალ-ლეიტენანტ მა-ტიუშკინის მიერ 1724 წლის 29 მაისს. *Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 гг., с. 156.*

ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის. ამის უკეთესი დოსტ წყალობა რაღა იქნება. აწე, რადგან დმგრომან იმათი აქვთ მობძანება გვალირსა და თქვენი ასე ჩვენზედ ხიახლოვები მობძანებული ხართ, კაცი მიახლებია და ამას ნებ იქმ, რომ აქ არ მობძანდეთ. მობძანდით, მნახეთ და რომელიც ბატონის სარდლის ბძანება არის, შევვატყობინეთ და ჩვენც იმათს ბძანებას გავათავებთ და ხუთიოდ გქვხი მანდაური უფროსი ქვეიდაც<sup>1</sup> წამოყვანეთ<sup>2</sup>.

ციტირებული დოკუმენტიდან ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მეფე კონსტანტინეს თხოვნა რუსი სარდლისადმი, რომ ის როდესაც კახეთში მივიდოდა თან მიეყვანა ქევხიედები ანუ ქევხუდები. ვფიქრობ, გასაზიარებელია ამ ტერმინის ის გაგება, რომელიც გულისხმობს დიდ ვაჭარს. ამ თხოვნაში კონსტანტინეს ჩადებული აქვს აზრი, რომელიც ერთსა და იმავე დოსტ გამოხატავს კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. მეფე ცდილობდა რუსი პოლიტიკოსი დაქინტერესებინა კახეთით, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე აბრეშუმის ყაჭის მწარმოებელი სამეფოთი, და ამგვარად გაედვივებინა კახეთისადმი რუსეთის ყურადღება, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ამ საქონლის რუსეთის გზით ტრანზიტით. რა თქმა უნდა, როგორც კონსტანტინე ვარაუდობდა, გენერალი მატიუშკინი კახეთში წაიყვანდა ადმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების (შაქის, შირვანის...) დიდვაჭრებს, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ

<sup>1</sup> გამომცემლის განმარტებით უნდა იყოს – ქვემცვედაც. ქეგხუდა, ქვეხა – „იგივეა, რაც მამასახლისი“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეტეული, თბილისი, 1986. ქეთხუდა – გადატანითი მნიშვნელობით – ხნიერი, პატივსაცემი, დარბაისელი კაცი. იქვე. ქეგხუდა – დიდი ვაჭარი, პირველი მოქალაქე. ერთმანეთის გამოსავლებისას კალაქების, შაქის, შირვანის...)

<sup>2</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 гг., с. 165.

საერთაშორისო ვაჭრობაში. მათ იცოდნენ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ და რუსეთის წარმომადგენელს მისცემდნენ საჭირო ასესნა-განმარტებებს<sup>1</sup>.

მაგრამ კონსტანტინე ი-ს იმედი არ გაუმართლდა. რუსი გენერალი კახეთს არ ეწვია. როგორც ჩანს, პეტრე პირველი უკმაყოფილო იყო ვახტანგ და კონსტანტინე მეფეებს შორის არსებული ურთიერთდაპირისპირებით, შეიარაღებული ბრძოლებით და კონფლიქტში დამნაშავედ მიაჩნდა კონსტანტინე. კახთა მეფემ ამის შესახებ იუჭვა, თუ აცნობეს, ძნელია, ზუსტად რაიმეს თქმა. ყოველ შემთხვევაში ჩანს, რომ კონსტანტინე ცდილობდა სინათლე შეეტანა ამ საკითხში ა. მატიუშკინისათვის გაგზავნილი წერილით. მის წერილში კითხულობთ: „ქ. ბედინიერ ბატონებ, სარდალებ, ერთი ეს მოვახსენოთ, რომ ეგება ჩემი და ქართლის ბატონის სამდურავი და შედლი მოხსენდებოდეს. ამას უწინ ჩვენში სამდურავი იყო, მაგრამ ახლა, ჩვენ შერიგებულნი და ერთმანერთის ძმანი და მოყვა-

<sup>1</sup> საქართველოს მნიშვნელობაზე საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, იხ. ე. თავაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ XVII-XVIII საუკუნეთა მზითვის წიგნები. საქართველოს სიძღველები, II, ტფილისი, 1909, გვ. 432-434; საქართველოს სიძღველები, III, ტფილისი, 1910, გვ. 477-500; მასალები საქართველოს კონომიური ისტორიისათვის, წ. III (აღმუშებლობა, სახელმწიფო კონომიკა, ქონება) / მასალები შეარჩია და გამოხატებად მოამზადა ნ. ბერძენისებილმა, თბილისი, 1955, გვ. 225, 339, 360, 416, 444-445, 470, 484, 513, 520, 529, 530-535; გეგრელაძე დ., მასალები საქართველოს კონომიური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი) // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბილისი, 1963; გაბაშვილი ვ., XVI-XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შექმნები // ნარკევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966; კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბილისი, 1990 და სხვ.

რენი გართ და ჩვენი რჩევა და ქართული ერთი არის და, რაც შეგვიძლია, საქართველოს მტრების პასუხება ვხვდო-ლობთ და ორნივე მაღლისა და ქვეყნის განმანათლებლის გელმწიფეთ მლოცვით გართ<sup>1</sup>. იმის დასამტკიცებლად, რომ ვახტანგოან პარგი ურთიერთობა ჰქონდა, კონსტანტინე იმასაც აცნობებდა, რომ, როდესაც მან გაიგო რუსების სალიამში ყოვნის შესახებ, მაშინვე გააგებინა ვახტანგს: „იმასთან წიგნი მივხვერე და თქვენი მობანება შევატუ-ბინეთ, იმისი სამი თავადიც აქ ჩემთან არიან და იმისი კაცი და წიგნი აქ ჩემთან მოვა, და ჩემს კაცსა და იმის კაცს თრ-სავ ერთად თქვენს სამსახურზე კიდევ გახლებთ და ეს ჩემი კაცი ადრე გამოაბრუნეთ და თქვენი ამბავი მალე გვიბ-ძანეთ, რომ ქართლის ბატონხაც შევატყობინოთ და საქართ-ველოს ქვეყანამც თქვენი ამბავი შეიტყონ და თქვენის იმ-დით თავისი თავი მტრის გელმწიფეთ შეინახონ და გამაგ-რდებ<sup>2</sup>.

1724 წელს მეფე კონსტანტინემ კიდევ ერთხელ, მესამედ და, საბოლოოდ, გაუგზავნა წერილი იმპერატორის წარმომად-გენელს. წერილში ხაზგასმული იყო, რომ დმერთს შეებრალა მტერთაგან გაოხრებული საქართველო და მონასტრები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ხელმწიფეთ თავისი უძლეველი ლაშქა-რი და სარდალი გამოგზავნა. „ჩვენ მუდამ დმერთს ამას კეხვებრობით, რომ უგძა ლმერთმან ძლიერის გელმწიფეთ გელმწიფის უძლეველი ლაშქრის ჩვენის ქვეყნის სიახლოვეს მობანება გვედირსობა<sup>3</sup>.

მეფე კონსტანტინე რუს სარდალს შეახსენებს, რომ კა-ხეთის ამჟამინდელი მეფის პაპა და მამა, თეიმურაზ I და ერეკლე I რომანოვების ოჯახს ემსახურებოდნენ, მათი მამა-

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государствами от 1639 по 1770 гг., с. 164-165.

<sup>2</sup> Тамже, с. 164-165.

<sup>3</sup> Тамже, с. 166.

პაპაც კონსტანტინეს წანაპრებს წყალობას არ აკლებდა, რისი დამადასტურებელი წყალობის წიგნები ხელთ ჰქონდა. მეფეს უნდა, რომ ქართულ და რუსულ სამეფო კართან ურთიერთობის ტრადიცია გაგრძელდეს. „აწ, ეს მოვახსენოთ, რაღაც ღმერთმან თქვენი აქთ გამობძანება გვადირსა, კაცი გვიახლებია და რომელიც მაღლის პელმწიფეთ პელმწიფის ნება და ბძანება იყოს, გვიბძანეთ, რომ ჩვენი თავი მათს ერთგულად სამხახურზე გავხაჯოთ“<sup>1</sup>.

წერილის დასასრულს მეფე კონსტანტინე აღნიშნავდა, რომ მან რუს გენერალს რამდენჯერმე კაცი გაუგზავნა და სურდა საქართველოს ამბების შეტყობინება, მაგრამ მისმა შიკრიკმა, გზის სირთულის გამო, ადესატამდე ვერ მიაღწია. რა თქმა უნდა მეფემ თავის ვერცერთ წერილზე პასუხი ვერ მიიღო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გზის სირთულე, რომელზეც კონსტანტინე მიუთითებს, არ იყო იმპერატორის წარმომადგენელთან კონტაქტის დაუმყარებლობის ნამდვილი მიზეზი. იმპერატორის კაცი, სავარაუდოა, საგარეო საქმეთა კოლეგის მითითებით მოქმედებდა. მას დაავალეს, რომ არ ჰქონებოდა კონტაქტი მეფე კონსტანტინესთან, რომლის შესახებ, ალბათ, ბევრი რამ უარყოფითი იცოდნენ უშუალოდ ვახტანგ მეფის, არჩილისა და მოსკოვის ქართული დიასპორის საშუალებით. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა თვით მეფე კონსტანტინე და ვახტანგთან შერიგებასა და კარგი ურთიერთობის დამყარებაზე ამახვილებდა ყურადღებას.

რადგან მატიუშკინისგან პასუხს ვერ ეღირსა, კახთა მეფემ გადაწყვიტა უშუალოდ პეტრე პირველისათვის მიემართა. „ახლა ჩემი კაცი პელმწიფის სამხახურზედ გამიგ ზაგნია, (არ ვიცი – ე.მ.) მიაწიგა, თუ არა“ - აცნობებდა კონსტანტინე იმპერატორის ელჩს.

---

<sup>1</sup> Там же.

როგორც ჩანს, მეფე კონსტანტინემ არ იცოდა, როგორ შეიცვალა (დროებით) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთის კაგვასიური პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება ირანისა და ოსმალეთის მიმართ მათთან დადებული საზავო ხელშეკრულებებით, მაშინ, როდესაც იგი ელჩს მოუწოდებს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ: „ცოტა რამ ურუმის ლაშქარი ქალაქში დგანან, თოხი, ხუთი ათასი კაცი ჰყავთ, ჯერ მაგდენი ძალა არა აქვთ, ჩემსა და ქართლის ბატონის (ბაქარის – ე.მ.) კელში ჩაგდებას ცდილობენ, მაგრამ ჩემი და ქართლის ბატონის ქართული და რჩევა ერთი არის, და რაც შეგვიძლია ერთმანერთის ძალითა ვცდილობთ, რომ საქართველო სრულ იმათ კელში ვერ ჩაიგდონ. თუ დაქროთმან გვაღირსა, რომ თქვენ ადრე წინ წამოხდებით და მალე მობძანდით, სადაც გვიძანებთ, მე და ქართველი ბატონი, ორნივ, იქ გიახლებით და თქვენის ჯარის ბეჭადობას და სამხახურს დთით შევიძლებთ და თუ თქვენ დაიგვიანეთ, მეცა და ქართველ ბატონსა მტრები დიალ საქმეს გაგვიშირებენ და საქართველოს რაც დარჩომილა ამასაც გაოხრებენ... რაც აქ ურუმის ჯარია, ამათ თქვენ წინ დადგომა არ შეუძლიანთ. ლეკინც თქვენგან შეშინებულან, თქვენი შებმა არ შეუძლიანთ. დთით, თუ თქვენ ახლოს მობძანდეთ, ადრე მე და ქართლის ბატონი, თქვენის ძალით ამათ პასუხს ძლიერს დაუწეუბთ“. მეფე კონსტანტინეს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ელჩმა „კახეთის ქვეყანას“ ერთი იმედიანი წერილი მისწეროს, რომ რუსების მისვლა მართლა დაიჯერონ და გამხნევდნენ. მნიშვნელოვნანია კონსტანტინეს ის სურვილიც, რომ რუსმა ელჩმა წერილი გაუგზავნოს სომხებს, რათა მათი ლაშქარი ქართველთა ლაშქარს შეუერთდეს. როგორც ჩანს კონსტანტინეს უნდა მანაც ის როლი შეასრულოს, რომელიც შეასრულა ვახტანგ მეფემ ამიერკავკასიის დარაზმვაში რუსებთან ერთად ირანის წინააღმდეგ გამოსახვლელად. „რომ თქვენად მობრძანებამდინ მტერს წინ დაუდგეთ და, რაც

დარჩომილა საქართველო, შევინახოთ, განჯა და ყარაბახი  
ხომ ჩემს ჯელთ არის და ამას გარდა სხვა ყოზილბაშის  
ქვეყნებიც მაგათის მობანების მდომი არიან და სამ-  
სახურიც უნდათ“<sup>1</sup>.

მართალია, მატიუშკინი კონსტანტინეს არ პასუხობდა,  
მაგრამ თავის მთავრობას კი აუცილებლად მოახსენებდა ყო-  
ველივე იმას რა ინფორმაციასაც შეიცავდა კონსტანტინეს  
წერილები. ერთ-ერთი წერილი მატიუშკინი აცნობებს თავის  
მთავრობას: კახეთის მეფე მაჟმად ყული-ხანის მიერ განჯი-  
დან წერილით გაგზავნილ ისაი-ბეგს ბრიგადის გენერალ  
თავად ბარიტინსკისთვის უცნობებია რომ კახეთის ხანს გაუ-  
გია თურქების განზრახვაზე თავსდასხმოდნენ და აედოთ გა-  
ნჯა და დაეპყროთ მთელი სპარსეთი. იმისათვის რათა  
თურქებს განზრახვა ვერ განეხორციელებინათ, კონსტანტინე  
ითხოვდა განჯაში გაეგზავნათ რუსეთის ჯარი. კახეთის მეფე  
არ მალაგდა, რომ განჯის დაცვით დაინტერესებული იყო პი-  
რადად. უკვე სამი წელი იყო რაც ირანის შაჰმა მას გადასცა  
განჯის გამგებლობა. თბილისში მიიღეს ცნობა, რომ ოსმა-  
ლთა ჯარი რამდენიმე ფაშის მეთაურობით (ჩამოთვლილია  
რომელი ფაშა, რომელი მხრიდან) შეიჭრება ირანში. მაგრამ  
მეფემ არ იცის ოსმალეთის ჯარის რაოდენობა, ის კი იცის  
რომ განჯელებს გადაწყვეტილი აქვთ მტკიცედ დაუხვდნენ  
თურქებს. მაგრამ თუ მათი ძალა საკმარისი არ იქნება, შაჰ-  
თამაზს განზრახული აქვს მივიღეს გილიანში ან ბაქოში, იქ  
სადაც რუსეთის ჯარი დგას. შაჰმა კახეთის ხანსაც უბრ-  
ძანა, რომ საჭიროების შემთხვევაში განჯიდან ბაქოში მივი-  
დეს, სადაც შეძლებს გადაირჩინოს სიცოცხლე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Там же, с. 167-168.

<sup>2</sup> АВПР (Архив внешней политики России), ф. Сношения России с  
Грузией, 1724 г. д. №2, л. 87; პაიჭაძე გ., კონსტანტინე კახთა მეფის  
ჯლჩები რუსეთში (1724-1725 წლები), გვ. 26.

რადგან რუს ელჩზე ამ შეგონებამაც არ გაჭრა, ამის შემდეგ კონსტანტინე II-მ პეტრე I-ს დაუწერა წერილი, მაგრამ მისი რუსულად მთარგმნელი რომ არავინ იყო ამიტომ იგი იმპერატორის ელჩს გადასცეს სალიანში, მან კი გადააგზავნა პეტერბურგში. კონსტანტინე ჩიოდა, რომ იმპერატორისგან პასუხი ვერ მიიღო. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ:

1. კონსტანტინეს ელჩისათვის გაუგზავნია ორი თავადის შვილი, მაგრამ არ ჩანს, რა მიზნით. უნდა ვიგარაუდოთ, რომ ახალგაზრდები მძევლებად გაგზავნეს<sup>1</sup> ელჩთან, მაგრამ არ არის ცნობილი, ისინიც წერილთან ერთად გაგზნეს პეტერბურგში, თუ ელჩმა თავისთან დაიტოვა სალიანში;
2. კონსტანტინე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კახეთის მეფე და სასულიერო იერარქია ერთ პოზიციაზე არიან („ჩვენ და ვინცა ვინ კაისეკოპოზ დარბაისელი გვევანან ერთ სიმაგრეში ვართ შეკრულნი“);

3. კახეთი დაცულია ციხე-სიმაგრეებით;

4. კონსტანტინე არანაკლებ მნიშვნელებას ანიჭებს ისტორიულ გამოცდილებას ქართულ-რუსულ ურთიერთობაში („წიგნი მიგვირთმევინა, ბეჭედი მიგვირთმევია, ნახონ და გახინჯონ ჩვენი მამისა და პაპის ნამსახურობა და მათი წყალობა ჩვენ ზედან“).

5. მეფე კონსტანტინეს განაცხადის სიმტკიცისა და ნამდვილობის დასამტკიცებლად სამეფოს იერარქებმა და დარბაისლებმაც არზა გაუგზავნეს იმპერატორს და ქვეყნისა და თავიანთი გასაჭირის შესახებ მოახსენეს („კინებულობა და

<sup>1</sup> რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოდან მძევლების წაყვანის შესახებ ის. მძევლის საკითხი თვითმეტაზე I-ხა და მოხვევის კარის დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVI ს. 80-ანი წლები – XVII ს. პირველი ნახევარი), ჩემ წიგნში: საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 414-433.

დარბაისელოთაც არზა მოართვებს, აქაური ამბავიდა თავისი  
საჩივარი მოახეგება”<sup>1</sup>.

გვაქვს 1724 წელს შედგენილი სათხოვარი რუსეთის  
ხელმწიფისადმი, დაწერილი კახეთის ყველა სოციალური ფე-  
ნის სახელით. ესენი იყვნენ: „ამბა ალავერდელი ნიკოლოზ  
ბოდელი, რუსთაველ-ნინოვმინდელი, სამებელ-ხარჭაშელ-ჯ-  
რემელი, ნეკრესელ მოძღვარო მოძღვარი, წინამდღვარნი და  
არქიმანდრიტი კალებიათანი, თავადი და აზნაურნი ქვეყნი-  
სა ამისანი, თავადი და სარდალი ხიზიეთსა, მოურავი გორ-  
გი, სახლო-ხუცესი, საზევერელი, ენისელი მოურავი ზაალ,  
თიანეთის მოურავი გარსევან, თარხანი ასლან, ეშიქ-აღასბაში  
აბელ და სხვანი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, ესე ყოვე-  
ლნი ქრისტეს ხჯულის მოსავნი ქრისტეს უარისძოფელ-  
თავან შეწუხებულნი, შეურვებულნი და დაჩაგრულნი მიწასა  
ზედან...”<sup>2</sup> მათ იმედი პქონდათ, რომ ხელმწიფე მოვიდოდა და  
მტრისგან დაიხსნიდა. ეს გაიგო მტრებმაც და „უფრო გული  
გაუფიცხდათ და ნამეტნავი ქვეყნის ოხრება, ტყვეობა და კა-  
ცის კვლა განამრავლებ“.<sup>3</sup> იმის გამო, რომ რუსეთის მეფე რო-  
მელიც ქართველებს დახმარება-დახსნას პპირდებოდა იყო  
ქრისტიანი, ამიტომ ქრისტიანობის მტრებმა დაიწყეს ეკლესი-  
ების დაწვა და ნგრევა, საეკლესიო წიგნების განადგურება,  
სიწმინდეებისა და საკურთხევლების ნგრევა, მოსახლეობა  
შეწუხებული იყო სიმშიდლითა და წყურვილით. ხელმწიფის  
იმედი და ჯარის მოსვლა გვაძლებინებსო, – წერდნენ კახე-  
ლები. ხელმწიფე „ერთი სარდალი და ჯარი გვიბოძოს... ჩვე-  
ნი პელმწიფე და ჩვენ ნიადაგ შზას ვიუკენით დიდის პელმ-  
წიფის სახლებლად... ერთს აღაგხ შეკრებილნი გართ. ჩვენი  
პელმწიფეც ჩვენთან ბრძანდების, ჩვენთან სიკვდილი არჩივა  
სხვას აღაგხ წახვლას“: წერილის ავტორებიც შეახსენებდნენ

<sup>1</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими  
государями от 1639 по 1770 гг., с. 168-170.

<sup>2</sup> Тамже, с. 169-170

იმპერატორს, მეფის წინაპრების მიერ პეტრეს წინაპრებისთვის გაწეული დიდი სამსახურის შესახებ, კონსტანტინეც მაგათი მოიძება არის. თუ ორ-სამ თვეში რუსის ჯარი არ მოგვეშველება, კახეთის ციხეებს ყიზილბაშები დაიკავებენ და იძულებული გავხდებით თავები დავიხოცოთ, რათა არ გაგვამაჰმადიანონო<sup>1</sup>.

ბაქარმა ვერ გაუძლო ძლიერ მტერს და ისიც მამის კვალს დაადგა. ამის გამო იყო, რომ მისი რუსეთში წასვლის (1724 წლის 15 ივნისი) შემდეგ ქართლისა და კახეთის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე II, რომელიც არაგის ხეობაში გამაგრდა, კავშირი დაამყარა ოსმალო დამპყრობლების ბატონობის წინააღმდე აჯანყებულ ერევნის, განჯის, შამშადილის მოსახლეობასთან. მაგრამ კოალიციამ ვერ შეძლო ერთობლივად გამოსვლა. ოსმალებმა ჯერ გამათავისუფლებელი მოძრაობის სამხრეთ აზერბაიჯანის დაჯგუფება გაანადგურა, შემდეგ კი, 1724 წლის სექტემბერში, კონსტანტინე II და მისი მომხრეები — ატენის ხეობაში, გუფთასთან, და საარწივედ წოდებულ ქედთან მომხდარ ბრძოლაში. კონსტანტინე II ჯერ შანშე ქსნის ერისთავს შეეხიზნა, შემდეგ კი მთელი წელი ფშავში გაატარა, რადგან თითქმის მთელ კახეთში ლეკები დათარებოდნენ.

მას შემდეგ, რაც კონსტანტინე II-ს იმედი გადაეწურა, რომ რაიმეს მიაღწევდა, რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობის დამყარებისა და იქიდან დახმარების მიღების საქმეში, სალიანში მყოფი თავისი წარმომადგენლის საშუალებით, მან 1724 წელს, ვინმე როსება გაგზავნა პეტებურგში, რომელმაც საგარეო საქმეთა კოლეგიას მოახსენა იმ

---

<sup>1</sup> Тамже, с. 170-173.

ბრძოლის შესახებ, რომელსაც ის თხმალების წინააღმდეგ აწარმოებდა<sup>1</sup>.

კონსტანტინე მეფის მიერ ასეთი სახელდახელო შიკრიკის საშუალებით რუსეთის მთავრობისათვის ხმის მიწვდება უაზრობა იყო. ძნელია თქმა, ამას მეფე თვითონ მიხვდა, თუ მიახვედრეს და იმავე წლის 1 ნოემბერს ასტრახანში ჩავიდნენ მის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი კახეთის სამეფოს დესპანები – ბერები ზებედე და ქრისტეფორე და თავადი დავით ბეჟანის ძე ხუთი მსახურის თანხლებით<sup>2</sup>. დასახლებული სამი პიროვნებიდან შედარებით მეტი ცნობები გაგვაჩნია ბერ ზებედეზე.

ზებედე ზებედეს ძე იქო XVIII ს. პირველი ნახევრის მოსკოვის ქართული კოლონიის წარმომადგენელი. ცნობილი ისტორიკოსის ნ. უსტრიალოვის ნაშრომში პეტრე პირველზე არსებული ცნობის თანახმად, 1703 წლის 20 იანვარს ავსტრი-ის ელჩი პლეიერი თავის მთავრობას წერილობით აცნობებს, რომ იმერეთის ერთ-ერთი თავადი სტოჭოლმას წასულა იმ მიზნით, რომ მოეგვარებინა ტყვე შვედ ოფიცრებზე ალექსან-დრე არჩილის ძის გაცვლის საკითხით. მაგრამ იქიდან დაბ-რუნებულმა თავადმა ჩამოიტანა ცნობა, რომ უფლისწულის გათავისუფლებისათვის შვედები მოითხოვდნენ 10 ტონა (კასრ) ოქროსო. ჩვეულებრივი წესით პრინცის გათავისუფლე-ბაზე ისინი არ თანხმდებიან<sup>2</sup>.

<sup>2</sup> АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724 г. д. №2, л. 1—2.

<sup>3</sup> Устрилов Н., История царствования Петра Великого, том четвертый, част II. Приложение, VI, 1863, с. 599; Ծածովագրություն, Ժամանակագիր մասեցած Թօ. Ջուրջ Մյասեցյալու քա զամանակացյալու զամուշացման, տեսաբառ, 1959, գլ. 214.

ზებედემ კარგად იცოდა ტყვეობაშ მყოფი ალექსანდრე არჩილის ძის მძიმე მდგომარეობა, რადგან, თვითონაც ტყვეობაში იმყოფებოდა ბატონიშვილთან ერთად. 1724 წელს ის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხკოვის კანტორის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში თავისი ვინაობის შესახებ წერდა: „მოვახსენებთ პერი ზებედე საქართველოდან, წინათ ბოიარი თავადი ზაალი, რომელიც იმყოფებოდა ტყვეობაში იმერეთის უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძესთა ერთად<sup>1</sup>.

ამგარად, ზებედე ზებედეს ძეს ერისკაცობაში რქმევია ზაალი და რუსეთში მოხვედრილა, როგორც არჩილის ამალის წევრი. მას, როგორც ჩანს, უკვე საქართველოდანვე ალექსანდრე ბატონიშვილის პატრონობაშზე უნდობა ჰქონდა ჩაბარებული, ამის გამო იყო ის ალექსანდრეს თანმხლებ პირად შვედეთში და მასთან ერთად აღმოჩნდა ტყვეობაშიც. როგორც ჩანს, შვედებმა ის გაათავისუფლეს პეტრე I-თან, ალექსანდრეს უახლოეს მეგობართან, მოლაპარაკების წარმოების მიზნით, მაგრამ ისეთი პირობით, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ შეეძლო მასზე დათანხმება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> АВПР, ф. ჩიношения России с Грузией, 1724 г. д. № 12; პაიჭაძე გ., კონსტანტინე ჯახოვა მეფის ულამაზე რუსეთში (1724-1725 წლები), გვ. 27.

<sup>2</sup> როდესაც არჩილ II-მ თხოვნით მიმართა პეტრე I-ს, რომ ედონა რამე მისი ვაჟის ალექსანდრეს გასათავისუფლებლად. პეტრემ ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდო ალექსანდრეს, რათა თვითონ გადაწყვეტა გადაეხადათ თუ არა გამოსასყიდო, რაზეც იყო პასუხებ: „არა თუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსევლია რამე ზარალი მოუკიდეს სახელმწიფოს არა თუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისთვისაც კი, რომდებიც ჩემზე ათასკუცად მეტი ლირან; ჩემს ამისთვის ვართ მოწოდებული: ვთმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“ უსტრალოვ Н., История царствования Петра Великого, том четвертый, част II. Приложение, VI, с. 599; ტატიშვილი ვლ., ქართველები მოხუც-

ზებედეს მცდელობას, შეეთანხმებინა სტოკოლმი და პეტერბურგი, ალექსანდრე ბატონიშვილის გათავისუფლების საკითხეში, შედეგი არ მოჰყვა. ზებედე რუსეთში დარჩა. ალექსანდრესა და არჩილის გარდაცვალების შემდეგ, სავარაუდოდ, XVIII ს. 10-იან წლებში, როგორც თვითონ წერდა, ზებედე საქართველოში (იმერეთში) ჩამოვიდა. იმერეთის დედოფალმა ეკატერინე დავითის ასულმა ზებედე რაღაც დავალებით ქართლში გაგზავნა, სადაც ჩასვლისთანავე ძლიერ ავად გახდა და დარწმუნებული, რომ ავადმყოფობას ვერ გადაუწეულდა, ბერად აღიკვეცა ზებედეს სახელით<sup>1</sup>. მაგრამ გადარჩა.

1724 წელს, ქართლში მოულოდნელად შეიძრნენ ოსმალები, რომლებმაც აიღეს და გაანადგურეს თბილისი და სხვა ქალაქები, საშინელ მდგომარეობაში ჩაყარეს მოსახლეობა, გაანადგურეს ტაძრები. ამის შემდეგ ჩავიდა ზებედე მოსკოვში თავის ბიძაშვილ კრისტოფორესა და სამ მსახურთან ერთად<sup>2</sup>. ის არ ასახელებს იმ მიზანს, რომელმაც დასახელებული პირები ჩაიყვანა მოსკოვში.

---

შო. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი,  
1959, გვ. 215.

<sup>1</sup> АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1722 г. д. №2, л. 83 პაიჭაძე  
გ., კონსტანტინების კახთა მეფის კლიერი რუსეთში (1724-1725 წლები),  
გვ. 28.

<sup>2</sup> АВПР, ф. Вношения России с Грузией, 1724 г. д. №12, л. პაიჭაძე გ.,  
კონსტანტინების კახთა მეფის კლიერი რუსეთში (1724-1725 წლები),  
გვ. 27.

მოსკოვში იწყება ზებედეს ლიტერტურული საქმიანობა. 1730 წ. მას მოსკოვში გადაუწერია სულხან-საბას „სამოთხის კარი“. ამ დროისათვის მისი საცხოვრებელი ადგილი, როგორც ჩანს, მოსკოვის ბოგოიავლენსკის მონასტერი იყო. ამ მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე კირილე, ზებედეს უძღვნის თავის გადაწერილ კონდაქს. 1730 წ. ზებედესაც გადაუწერია კონდაქი, რომელიც ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

1724 წელს, ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ, კონსტანტინემ გააგზავნა ელჩობა ზებედეს, როგორც დიპლომატიურ საქმეებში გამოცდილის, ხელმძღვანელობით. მეფემ ზებედეს გაატანა წერილი რუსეთის ხელისუფლებასთან კახეთისათვის დახმარების თხოვნით. კონსტანტინეს ელჩობა შორის ზებედე იხსენიება მის ძმის წულ ქრისტეფორესთან და თავად დავით ბეჟანის ძესთან ერთად<sup>1</sup>. ელჩობას შედეგი

1737 წ. ზებედეს ოცნება აუხდენია და საქართველოში დაბრუნებულა. მას მარტვილის მონასტერში „გულანი“ გადაუწერია და ხოტევის მონასტრისათვის შეუწირავს. მისი ცხოვრების შემდგომ წლებს ნათელს პფენს სანკტ-პეტერბურგის ისტორიულ არქივში დაცული ანტონ IV კათალიკოსის წერილი წმ. სინოდისადმი: „ლოცვა-კურთხვით წარმოებულ ზებედე ითანა დაზოისმეტყველის მონასტრის იღუმენი ზებედე გთხოვთ, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს დახმარების ხელი გაუწიოდოთ მას და მიეშველოთ ოურქთაგან აკლებულ და გაღატაკებულ ჩეგნეს მონასტრებებს“. ანტონის ამ თხოვნის საფუძველზე სენატმა ზებედეს ნება მისცა პეტერბურგის მართლმადიდებლურ მრევლში შეეგროვებინა მოწყალება დასახელებული ეკლესია-მონასტრების აღსაღენად. საეკლესიო დაზოისმსახურების ჩატარების ნებართვა ზებედესათვის სენატს არ მიუცია, მაგრამ აღუთქვამს შუამდგომლობა სანკტ-პეტერბურგის არქიმანდრიიტ თეოდოსისთან. ზებედეს ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ არაფერია ცნობილი. ბაქრაძე ანა, ზებედე ზებედეს ძე, XVIII საუკუნის პირველი ნახევარი. მოსკოვის ქართული კოლონიის წარმომადგენელი, სასულიერო პირი. ინტერნეტ რესურსი. <https://qim.ge/zebede%20zebededesdze.html>

<sup>1</sup> ფსიქოლოგ გელა გარაგანიძის საინტერესო გამოკვლევით, „დავით გურამიშვილს პყავდა უფროხი ძმა – იღუმენი ქრისტეფორე, პოლიგრაფი, მისიონერი და სასულიერო მოღვაწე. ამ ქრისტეფორეს შესახებ ამბობს ცნობილი ისტორიული პიროვნება, ზაალ გარაგანიძე (ბერი ზებედე) – ქრისტეფორე ჩემი დისშვილიათ. ამ ამბიდან ახლო ხანებში ზაალს რადაც სენი შეეკარა და მძიმე დაავადდა. სიკვდილის პირას მყოფს, დმერთისთვის უთხოვია, თღონდ გადამარჩინე და, ბერად „შევდგები და დარჩენილ ხიცოცხლებს შენი სა-

არ მოჰყოლია. ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო პეტრე I, რომლის იმედიც ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს კიდევ შერჩნოდა. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი, ცოცხალიც რომ ყოფილიყო, ელჩობა მაინც იმავე შედეგით დასრულდებოდა.

საყურადღებოა, რომ, როდესაც პეტებურგში მიიღეს შეტყობინება ასტრახანში ქართველთა ელჩობის ჩასვლის შესახებ, გადაწყვიტეს ისინი ასტრახანიდანვე გაებრუნებინათ უბან<sup>1</sup>. ამისათვის ეკატერინე II-მ ასტრახანის გუბერნატორს ა. ვოლინსკის გაუგზავნა განკარგულება, რომლის მიხედვით მას ქართველი ელჩებისთვის უნდა გადაეცა იმპერატრიცას ზეპირი პასუხი: კახეთის ხანს და მთელ მოსახლეობას სურდა, რომ ნეტარი იმპერატორი პეტრე დახმარებოდა ქართველებს. ასეთივე განზრახვა პქონდა გარდაცვლილ პეტრეს და ამის მომსრება თვით ეკატერინეც. მაგრამ ამჟამად ამის გაპეოება რუსეთს არ შეუძლია. თუ კახელებს არ შეუძლიათ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე დარჩნა და უნდათ თავიანთი რწმენა შეინარჩუნონ, მაშინ მისი უდიდებულესობა

---

ხელის დიდებას შევწირავო... ბერიბაში მისი საურო სახელი ხებედეთი შეიცვალა. 1724 წელს კონსტანტინე კახთა მეფემ ახალგორიძიან ელჩები გაუგზავნა პეტრე პირველს. ელჩობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ზებედე ბერი ქრისტეფორე (გურამიშვილი) და ზებედეს ბიძაშვილი დავით ბეჭანის ძე (გარაფანიძე) ხეთ მსახურთან ერთად<sup>2</sup>. გარაფანიძე გ., რისთვის უბოძა ვახტანგ მეგმასებ ზაალ გარაფანიძეს ხოველი თეთრი წევრო და რა ურთიერთობა პქონდა ამ უკანასკნელს დავით გურამიშვილთან. ამგარად, გარაფანიძემ დადგინა, რომ ელჩობის ერთი წევრი – ბერი ქრისტეფორე დავით გურამიშვილის ძმა იყო, ბერი ზებედე – დედის ძმა, დავით გარაფანიძე ძვ. – დედის ბიძაშვილი.

<http://tbilisilebi.ge/index.php?newsid=5459#sel=1:17,18:178>

<sup>1</sup> АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724 г. д. №12, л. 45; პაიჭაძე გ., კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში (1724-1725 წლები, გვ. 27).

კახეთის ხანი და მოსახლეობის ის ნაწილი ვინც ისურვებს, შეუძლიათ მოვიდნენ და კასპიისპირეთში, წმინდა ჯვრის ციხის მახლობლად და სხვა იქაურ ადგილებში დასახლდნენო<sup>1</sup>. თავის ადგილას უკვე ითქვა, რომ პეტრე I-ს მართლაც ჰქოდა განზრახული ვახტანგ VI და მისი თანმხლებნი სწორედ დაესახლებინა იმ ადგილებში, რომელსაც ეკატერინე I სთავაზობდა კახთა მეფეს და კახელებს.

ერთხელ ვახტანგ მეფეს რუსეთის სამეფო კარმა პირდაპირ განუცხადა, რომ პეტრე I-ს ვახტანგისა და მისი ამალის წმინდა ჯვრის ციხეში დასახლება სურდა, რაც როგორც ვიცით, ვახტანგისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა.

ეკატერინე I ცდილობდა ვახტანგ მეფე დაეყოლიებინა მიედო მისი წინადაგია, რომ ქართველები და სომხები დასახლებულიყვნენ წმინდა ჯვარსა და მის მიდამოებში და დარუბანდნება და ბაქოში.

1725 წ. ივნისში ზებედევმ ეკატერინე I-ს რუსეთში დარჩენის ნებართვა სთხოვა. მათვის საცხოვრებლად შესთავაზეს მოსკოვის დონის მონასტერი, სადაც დაკრძალული იყო არჩილ მეფე და ბაგრატიონთა სხვა წარომადგენლები. ზებედევმ ქრისტეფორეეთან ერთად დასახელებულ მონასტერში დასახლდა. რუსეთის მთავრობა უიქრობდა კოლონისტებისაგან შეექმნა ლაშქარი, რომელიც იბრძოლებდა დაღესტნელების წინააღმდეგ. როდესაც რუსეთი დასახელებულ ადგილებში განიმტკიცებდა მდგომარეობას, ამის შემდეგ ვახტანგი შეძლებდა თავის სამეფოში დაბრუნებას. უკრადღება უნდა გამახვილებულიყო იმ ქართველებზე, რომლებიც კარგად იცნობდნენ გზას იმერეთიდან უბანამდე და ტამანამდე. აინტერესებდათ, ჰქოდა თუ არა ვახტანგს იმ ადგილების რუკები და ნახაზები. 1725 წელს წმინდა ჯვრის სიმაგრის კომენდანგს,

<sup>1</sup> АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724 г. д. №12, л. 49-50; ასიჭაძე გ., კონხახანგიძე კახთა მეფის ეღმები რუსეთში (1724-1725 წლები, გვ. 27.

გენერალ კროპოტკოვს სპეციალური ინსტრუქცია მისცეს ქართველების დასახლების შესახებ<sup>1</sup>.

კახთბატონმა კონსტანტინემ, როდესაც ვახტანგისა და ბაქარის იმერეთში წასვლა შეიტყო, 1724 წ. ჯარი შეჰყარა და ქართლის დასაპყრობად წამოვიდა. ოსმალებმა თავი შეაფარეს გორის ციხეს და ომისათვის მზადებას შეუდგნენ. ოსმალთა ჯარს მეთაურობდნენ ვახტანგ VI-ის ძმა იასე და ახალციხის ფაშა<sup>2</sup>.

კონსტანტინე გორის მახლობლად ხელთუბანში დაბანაკდა და ქართლელებს დასახმარებლად მოუხმო. იქსე ტლაშაძე ასე გადმოგვცემს ქართლელების განწყობილებას:

„გული არ გვითქვაძე თმისა: მე ვიცი გამოგვაძევებ, // ამოვგიწყვეტებ ლაშქარსა, ხისხლსა ღვარულად აქცევებ, // ააოხრებებ ქვეყანას, არ აშენებებ აქცევებ, // ჩვენ თუ მთ აყოლა რას გვარგებს, წავლებ, ზურგ შემოგვაძევებ“<sup>3</sup>.

ი. ჰამერის მიხედვით, კონსტანტინეს საქმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა: 10 ათას ქართველთან ერთად იყვნენ განჯის, შამშადილუს და ლეკოა რაზმები<sup>4</sup>. ვარაუდობენ, რომ აქვე უნდა ყოფილიყვნენ აზერბაიჯანელები და სომხები, რადგან კონსტანტინე ერევნის ბაზონიც იყო<sup>5</sup>.

კონსტანტინე თავისი ჯარით 3 კმ-ით დაშორებულ „გორს ზეით, კარალეთის პირისპირ, ლიახვს დასაკლიოთ, რუსის

<sup>1</sup> პაიჭაძე გ., ვახტანგ მეუქენე, გვ. 127. ამ დროისათვის უკვე არხებობდა ქარიახტიანული მოსახლეობა კასპიისპირეთში. იქვე, გვ. 128.

<sup>2</sup> იუსტინიანი / გამოხატული მოამზადა ხოდ. უკანასკნელი შეკვეთი, თბილისი, 1962, გვ. 31, ხტრ. 112-113.

<sup>3</sup> იუსტინიანი, ბაქარიანი, გვ. 34, ხტრ. 139.

<sup>4</sup> Hammer I, Geschichte des osmanischen Reichs, IV, 1836, S. 223.

<sup>5</sup> დონდურა გ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 122.

მთის ძორე<sup>4</sup>, თედოწმინდაში გადავიდა და იქიდან სცადა გორზე შეტევა.

დავით გურამიშვილის თქმით, რომელიც მკვლევართა აზრით, ამ ამბების მოწმე და მონაწილე იყო, კახელებმა და ქართლელებმა „ერთმანეთს მისცეს პირები, არჩივეს: „გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები“<sup>5</sup>.

ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულმა ქართველებმა გორზე შეტევა დაიწყეს ორი მხრიდან – ჩრდილო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან, სახელდობრ, ზედაველას მხრიდან<sup>6</sup>. შეტევა დაიწყო მაშინ, როცა „დილა და ბინდია“. ისინი, როგორც ირკვევა, ქალაქს დაუუფლნენ, მაგრამ ციხე კი ვერ დაიპყრეს, რადგან იგი ოსმალებს ძლიერ გამაგრებული პქონდათ. ოსმალებმა მოიერიშებს არტილერიის ცეცხლი შეაგებეს<sup>7</sup>. კონსტანტინეს ჯარი რომ გორის ქალაქში ნამდვილად შევიდა, ამაზე მიგვითითებს ი. პამერის ერთი ცნობა: კონსტანტინეს გორელი სომხები გაუშოლტია, რათა „მათ სიმშეიდე დაუცვათ და იარაღი აედოთ ოსმალების წინააღმდეგ“<sup>8</sup>.

ციხეში გამაგრებული ოსმალები სასტიკ წინააღმდეგობას სწევდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ მათ დასახმარებლად მოვიდა შაპ-თამაზ II-ის წინააღმდეგ ამხედრებული მეფე იქსე ოსმალთა ჯარით. კონსტანტინეს ჯარმა უკან დაიხია და ზედაგელაზე გაჩერდა. თავდაპირველად წარმატება ქართველების მხარეს იყო. „მათ ჩვენმა ჯარმა აჯობა პირველ მისვლაზე შეგვევით“ – ამბობს დ. გურამიშვილი<sup>9</sup>. მაგრამ ამის შემდეგ განხევთქილებამ იჩინა თავი. გაურკვეველი მიზეზით, ჯარის

<sup>1</sup> კახუშები ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 369.

<sup>2</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1964, გვ. 69-70.

<sup>3</sup> დონდურა, გ., ხაისტორიო ძიებანი, III, გვ. 121-122.

<sup>4</sup> იქევ ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ 34.

<sup>5</sup> Hammer I., Geschichte des osmanischen Reichs, IV, S. 323.

<sup>6</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 70.

ერთმა ნაწილმა, ოთარ არაგვის ერისთავის წინამდღოდობით, ატენის ხეობაში დაიხია და ატენის ბოლოს, საარწივეს ქედთან, ბრძოლა გაუმართა ოსმალებს. ოსმალთა ჯარს მეთაურობდნენ „თბილისის ნაცვალი რეჯებ-ფაშა, გორის ციხისთავი იუსუფ-ფაშა და ჩილდირის ბეგლარბეგი ისაფ-ფაშა“<sup>1</sup>. თავდაპირებულად აქაც ქართველებმა იმარჯვეს და ოსმალები გააჭციეს. მაგრამ იქსემ შეძლო ოსმალთა უკან მობრუნება და ახალი შეტევა დაიწყო. ახლა უკვე ქართველები შედრკნენ. ქართველთა დამარცხებაში გარკვეული როლი ოთარ არაგვის ერისთავის სიმხდალემ ითამაშა<sup>2</sup>. გორის ციხეში მყოფმა ოსმალებმა დაინახეს რა გაქცეული ქართველთა ჯარი, ციხის კარი გააღეს და ცხენოსანი ჯარი გამოუსიეს. დატრიალდა საშინელი ტრაგედია. კონსტანტინე გაიქცა. უმეთაუროდ დარჩენილი ქართველთა ჯარის დიდი ნაწილი ოსმალებმა ამოწყვიტეს. „თავები დასჭრეს, გავიდნენ, დაყარეს მოედანზედა, // მას გორელებმა დახედეს, ხელსა იცემენ თავზედა, // „ამდენის კაცის დახოცა არ ქმნილა ქვეყანაზედა, // ამისი ქმნელიც მინახავს კერ დაჯდომილი ტახტზედა!“<sup>3</sup>

ოსმალებმა დაღუპული ქართველების თავებით ჯინდაღგმული ხუთი ურემი გაავსეს და ერასტი ფალავანდიშვილმა რაჯაბ ფაშას თბილისში მიართვა, „რომელმან მოხცა ოცდათო დრაპანი ჯილდოთ“<sup>4</sup>. კონსტანტინემ კვლავ კახეთს შეა-

<sup>1</sup> Hammer I, Geschichte des osmanischen Reichs, IV, S. 323; დონდურა, კ., ხაისტორიო ძიებანი, III, გვ. 123.

<sup>2</sup> იქსე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ. 35.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>4</sup> გახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508; იქსე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ. 37. 1721 წ. ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და იგი ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად დაყვეს, სომხეთ-საბარათიანო ერასტი ყაფლანიშვილს გადასცეს. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 510.

ფარა თავი. მისი უგუნური მოქმედების შედეგად კი ქართლი გავერანდა.

1725 წელს ქახეთის მოსახლეობამ ლეპები განდევნა და მიიწვია ფშავში გახიზნული კონსტანტინე II, რომელიც თელავს ჩავიდა და შეეცადა ლეპების გამოყენებას ოსმალების წინააღმდეგ. კონსტანტინე მოურიგდა მათ იმ პირობით, რომ ქახეთით გზას მისცემდა იმ ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სააძრცვავად, რომელიც ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე II იძულებული გახდა დაზავებოდა ოსმალებს: ქახეთმა ოსმალეთისათვის ხარჯის მიცემა იკისრა, მაგრამ მხარეები არ ენდობოდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც ოსმალოა წინააღმდეგ ბრძოლებში (1730-1732) წარმატებას მიაღწია ნადირმა (შემდეგში ნადირ-შაჰი), ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა ტალღამ იფეთქა. კონსტანტინე II ოსმალეთისათვის მთლად მიუდებელი აღმოჩნდა. ქახეთში ლაშქრით მოსულმა ახალციხის ფაშამ უსუფმა (თბილისის ფაშის ისაყის შვილმა) კონსტანტინე II ზავზე მოსალაპარაკებლად ბეჭანბაღს (ქახეთში) მიიწვია, სადაც ის ვერაგულად მოკლა ისაფ-ფაშას მსახურმა მაპმადბეგმა. ვახუშტის მიხედვით, ეს მოხდა 1729.

## ბიზო II ამილახვარი – პოლიტიკური მოღვაწე და დამაყრობითა ჭინაძემდებ აჯანყების მეთაური

1. გივი II ანდუქაფარის ძე (1689-1754 ან 1757) XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამსედორ მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. მამამისი ანდუქაფარი 1703 წლიდან მცირე ხანს იყო გორის მოურავი, დაიღუპა ნადირობისას<sup>1</sup>. ქართლის გამგებელმა ლევანმა 1704 წელს ამილახვრობა უბობა და გორის მოურავად დანიშნა გივი ამილახვარი, რომელიც ამ სახელოს განაგებდა (1714-1716 წლების გამოკლებით) 1752 წლამდე<sup>2</sup>.

2. გივი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს 1722 წლიდან. ამ დროიდან იწყება ქართლის სამეფოს პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მწვავე პერიოდი.

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ და რუსეთთან კონტაქტებმა გაამწვავა ურთიერთობა ირანთან. შაჰთამაზ II-ემ ვახტანგის დასჯა განიზრახა. ამას დაემატა ოსმალეთის სამზადისი ქართლში სალაშქროდ. გამწვავდა ურთიერთობა ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინეს II-ს (მამად ყული-ხანი) შორისაც. ეს უკანასკნელი ირანისა და დაღესტნელების მხარდაჭერით ქართლში გამეფებას ცდილობდა. ქართლი ომის არენად გადაიქცა. განსაკუთრებით აქტიურობდა კახობატონი.

1723 წლის დასაწყისში კონსტანტინე ქართლში შეიჭრა და თბილისს მიაღგა. ვახტანგმა „აჭყარა დედოფალი და ბარ-

<sup>1</sup> კარბელაშვილი პ., ამილახვართა ხაგგარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II, ტფილისი, 1913, გვ. 136.

<sup>2</sup> როგორც ქვემოთ ვნახავთ გივი ამილახვარი გორის მოურავად იყო არა სიკვდილამდე, არამედ 1752 წლამდე, შდრ. იქნა, გვ. 137.

გი მძიმე და გაგ ზავნა გორხა“<sup>1</sup>. თავდაპირველად კონსტანტინე თბილის ვერ დაეუფლა, მაგრამ, როცა მას ლეგის ჯარი მოუვიდა, ვახტანგმა თავდაცვა ვეღარ შეძლო და „წაბრძანდა გორხ, მე მიხი ბაქარ წავიდა დუშეთს“<sup>2</sup>. შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაქარიც გორში მივიდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება სენია ჩხეიძისა / ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინა შვილის გამოცემა, ხანგტ-აქტერბურგი, 1854, გვ. 331; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი ოკურდანიას მიერ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გვ. 88.

<sup>2</sup> საქართველოს ცხოვრება სენია ჩხეიძისა, გვ. 331.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 504. სომები ანონიმი ქრონისტი გადმოგვცემს: ვახტანგის ერთ-ერთი ვაჟი სახელად შაპნავაზი ანუ ბაქარი თავის მამასთან ერთად არ გაიქცა რუსეთში, მან თავი შეაფარა არზრუმის ფაშასთან. ფაშამ მისგან შეიტყო უკელაფერი რაც მოხდა და მაშინვე მოხსენება გაუგზავნა სულტან აშმედს (აშმედ III – 1703-1730) სტამბოლში, რომ მასთან თავშეფარებულია ვაჟი საქართველოს მეფის, რომელმაც ლეკების თავდასხმის გამო მიატოვა თავის ქვეყნა და წავიდა მოსკოვში. ამიტომ სულთანს შეუძლია გაგზავნოს ჯარი და დადაიპყროს მცხეთა და შეუერთოს თავის სამფლობელოებს. სულთანმა არზრუმის ფაშა დანიშნა მთელი იქაური ჯარების სარდლად, უბრძანა გაილაშქროს ვახტანგის ვაჟთან ერთად და დაიპყროს მცხეთა. ამიტომ იბრაჟიმ ფაშა 12 ათასიანი ჯარით დაიძრა მცხეთის წინააღმდეგ და 1723 წლის ივნისში დაიპყრო. ამის შემდეგ ფაშამ ბრძანა ბაქარზე გაეძლიერებინა თვალთვალი და მცხეთაში ერთ-ერთ სახლში მოათავსეს. სახლს ექვსი მცველი მოუყენეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ქართველი. რადგან ბაქარმა არ იცოდა თურქელი ენა, მასთან საუბარი შეეძლო მხოლოდ იმ ქართველს, რომელიც ფაშას ბრძანებით ემსახურებოდა მას. ეს მცველი დაუახლოვდა უფლისწულს, რომელიც ეცოდებად და მოიფიქრა მისი განთავისუფლების გეგმა. ერთხელ როდესაც სხვა მცველებს ეძინათ, ამ ქართველმა გამოიყვანა ბაქარი სახლიდან

ვახტანგი მცირე ხანს გაჩერდა გორში და ცხინვალში გადავიდა და იქ ელოდა თავისი სიმარისაგან, არაგვის ერისთავ გიორგისაგან დახმარებას<sup>1</sup>. მაგრამ გიორგი ერისთავმა კონსტანტინეს დაუჭირა მხარი.

ვახტანგის თხოვნით, ოსმალთა 20 ათასიანი ჯარი შემოვიდა ქართლში და თბილისს მიადგა. 1723 წ. 10 ივნისს კონსტანტინე თავისი ნებით თბილისიდან გავიდა, ოსმალებს მიეგება და ქალაქის კლიტენი მიართვა. 11 ივნისს ოსმალებმა თბილისი დაიკავეს, კონსტანტინე შეიჰყრეს და ქართლის სამეფოს საგახტო ბაქარს გადასცეს. ბაქარმა კონსტანტინეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ის ქართლის წინააღმდეგ ადარასოდეს ამხედრდებოდა და გაათავისუფლა. იმავე წელს, ვახტანგის ძმა იესემ, რომელიც მანამდე შაპის სამსახურში იყო, საერთო ენა გამონახა თხმალებთან და ქართლის გამგებლობა მიიღო.

3. 1723 წლიდან გივი ამილახვარი, ქართლის ზოგიერთ სხვა თავადთან ერთად ოსმალებს ებრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფე იესე თხმალებს მიემსრო და ქართლის გამგებლობა მიიღო, გივი მაინც ბრძოლას აგრძელებდა და ოსმალები გუფთასთან დაამარცხა. მაგრამ იესემ მტერი გაამხნევა და გივი იძულებული გახდა უკან დაეხია<sup>2</sup>.

საგარაუდოა, გივი ამილახვარის ოსმალებთან შერიგება დაიწყო მაშინ, როდესაც მათ, 1726 წელს, თბილისის სიონის მიზგითად გადაკეთება და ქართველების გამაპმადიანება განიზრახეს. ოსმალთა ამ განზრახვას წინ აღუდგა გივი ამილახვარი. მან სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, ფაშასთან

---

და ორივენი გაიქცნენ მოსკოვში. ინტერნეტ რესურსი,  
[http://www.vostlit.info/Texts/rus16/Arm\\_Christian\\_1722\\_1736/frametext.htm](http://www.vostlit.info/Texts/rus16/Arm_Christian_1722_1736/frametext.htm)

<sup>1</sup> ქრონიკები და ხევა მახალა ხაჯართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწერილი და ახსნილი ო. ურდანიას მიერ. III, გვ. 89.

<sup>2</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508.

მივიდა, საჩუქრები მიართვა და სიონის მეჩეთად გადაკეთების განზრახვაზე ხელი ააღებინა. ამილახვარის ასეთმა მოქმედებამ მართლმადიდებლებში მისაღმი დიდ სიყვარული და პატივისცემა გამოიწვია, რაც ნათლად გამოჩდა მისი გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ხალხის მისაღმი თანადგომაში. ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესიის გივი ამილახვრისადმი პატივისცემა. გივისათვის მიცემულ წიგნში თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტი აღნიშნავდა: „რაღაც ახალკირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმების ამბავი, ისევ ახალკირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახესენებლად. ამ დღეს იქმო ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილნი უამს გიმირულით თქვენ და თქვენთა შეიღილის შვილთა დაუკიტყებლად მოვიხენებდეთ“<sup>1</sup>.

დამპყრობლები ითვალისწინებდნენ რა გივი ამილახვრის სიმამაცეს და მის ავტორიტეტს ქართლის მოსახლეობაში, თავიანთ სამსახურში მისი ჩაეცენება მოინდომეს. 1727 წელს, როდესაც მეფე იქსე გარდაიცვალა, ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და ექვს მსხვილ ფეოდალს გაუნაწილეს: სომხით-საბარათიანო – ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეითი – ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი – გივი ამილახვარს, მუხრანი – ქსნისა და არაგვის საერისთაონი მისაგე ერისთავებს დაუტოვეს.

ოსმალების სამსახურში ჩამდგარი გივი ამილახვარი, როგორც მისი თანამედროვე ისტორიული ცნობებიდან ჩანს, რაც დრო გადიოდა ოსმალების ნდობასა და პატივს იმსახურებდა. ის მათ ეხმარებოდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც სინამდვილეში იცავდა ქართლის ისედაც გაწამებულ მოსახლეობას.

<sup>1</sup> გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, 1955, გვ. 410.

**„ოსმალობის“** პერიოდის გივი ამალახვარის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აქამოდე უცნობი 1728 წლის 30 ნოემბრის დოკუმენტი, გაცემული ფადიშაპის მიერ. ფადიშაპის ფირმანი ისედაც მრავალმხრივ საინტერესოა. მასში ჩანს, როგორ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გივი ამილახვარი, როგორ გადადიოდნენ ოსმალო ხელისუფალთ სამსახურში ქონებასა და თანამდებობებს მოწყერებული ქართველი ფეოდალები, როგორ ცდილობდა ოსმალო ხელისუფლება სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭებით ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფისაკენ წაექმნებინა მართლმადიდებელი ქართველები. ეს საინტერესო დოკუმენტი, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, გაიცა გივი ამილახვრის თხოვნით. ის რეკომენდაციას უწევს თავის მეგობარ ვინმე არისტოს, რათა მას უწყალობონ ოსმალო ხელისუფლების მიერ დევნილი აბდულქერიმის მამული.

მოკლე, საინტერესო დოკუმენტს მოვიყვან მთლიანად.

„თბილისელი ქართველი ბეგის მიერ ისლამის მიღების შესახებ. ჩაბარდეს დანიშნულებისამებრ. 19 ზიღჯიჯე წელი 1141.

თბილისის ხანჯაფის ბერათლის რაიონში ხოფელ გუმულეთის-7900 აქნიან თიმარზე ჩაწერილი აბდულქერიმი ხამბერო ვალდებულებას არ ასრულებს. თანაც ხევა ადგილას ცხოვრობს და თიმარის საქმეებით არ იჩტერესდება. ამ მიზანთ ხენებული თიმარი 40-50 წელია თბილისელი თავადის იმღარეობით რდლუ გივის (გივი ამილახვარი) მეგობრის, არისტო ბეგის მფლობელობაშია. იგი წლების გპანმავლობასი ხახელმწიფო ხამსახურში ერთგულად და გულმოდგინედ მხახურობს. არისტომ ბოლოს თბილისის ხასამართლოში ისახელა თავი ისლამური რელიგიის ცოდნით. მის მიერ ისლამის მიღების შემდეგ კიდევ მეტი ადამიანი შეიყვარებს და მოინდობებს ისლამის მიღებას. არისტო, რომელმაც ახალი ხახელი აბდულაპი დაირქვა, ითხოვს უწყალობონ აბდულქერიმის მი-

ერ მიტოვებული თიძარი. ფირმანი ფადიშაპისაა<sup>1</sup>. გივი ამილახვარი რომ თავის ერთგულ ადამიანებს მფარველობდა ოსმალების წინაშე, ამის სხვა მაგალითს შემდგომშიც გავიცნობით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ოსმალებმა ქართლი ექვს მსხვილ ფეოდალს გაუნაშილეს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დაყოფა მოხდა 1728 წელს<sup>2</sup>. დამპყრობლებმა ზემო ქართლის გამგებლობა გივი ამილახვარს არგუნეს. როგორც ჩანს, გივიმ, როგორც თავისი წინაპრებისაგან მეტკვიდრეობით გორის მოურავობა ეკუთვნოდა, ოსმალებთან იმ წარმატებასაც მიაღწია, რომ გორის გარკვეულ ტერიტორიაზე საკუთრების და დასახლების უფლება მოიპოვა, რაც გივის დიდი წარმატება იყო. ამილახვრებს საუკუნეების განმავლობაში გორელების სახტიკი წინააღმდეგობის გამო, დასახლების უფლება არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის მოურავის სახელო მათ ეკუთვნოდათ<sup>3</sup>.

გივი ამილახვრის ოსმალების წინაშე დამსახურებაზე ნათქვამია სულთან აქმედ III-ის მიერ 1727 წელს გივი ამილახვარისათვის ნაბოძებ ფირმანში. მას ებობა თბილისის სანჯაყსა და გორის ნაპიეში მდებარე სოფელი სხილვანი 66 832 ახნის შემოსავლით. ფირმანის მიხედვით, გივი ამილახვარმა ეს ჯილდო იმით დაიმსახურა, რომ ის ერთგულად ემსახურებოდა ოსმალეთს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გორისციხის ლეგებისაგან დაცვისას. „თბილისის კილავეთში მცხოვრებ თავადთაგან მაღალდირსებული სამეფო ფირმანის მქონე ამილახვრი გივი ამ ქვეყნის... დაბურობის დროიდან მოკიდებული სრული მორჩილებითა და ერთგუ-

<sup>1</sup> საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გვ. 181.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 510.

<sup>3</sup> მათისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I. მეორე გადამუშავებული და შეცვებული გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 198, 289-293.

ლებით გვემსახურება, ლეკოა შემოსევის ქამს თავისი ქვე-შევრდომებით დღე და ღამ იცავდა გორის ციხესა და მის შემოგარენს, იძრმოდა და დახმარებას უწევდა მუხლიძებს...“<sup>1</sup>.

სულთანმა გივი ამილახვარს გამოუყო თოხი სოფელი: ტბეთი, ფხვენისი, ქორდი და ბიჯნისი 52 060 ახჩა შემოსავ-ლით<sup>2</sup>. ტბეთი და ფხვენისი საამილახვროში იყო, ბიჯნისი საციციანოში, ქორდი კი, საერთოდ ნახსენები არ არის გორის ლივას სოფლების ნუსხაში.

დავთარი გარეგნულ ცნობებს გვაწვდის „ოსმალობის“ პირველი პერიოდში გივი ამილახვარის ქონების შესახებ. მასში ნათქვამია, რომ „მეორე კუდულეთი ექვემდებარება გივი ამილახვარს, ექვემდებარება ხეგებულს“, ე. ი. ექვემდებარება საციციანოს<sup>3</sup>. ეს სოფელი სხვა მხრივაც არის საინტერესო. იქ ერთი სახლია და მასში ცხოვრობს 4 კაცი: ამელ ძე დათუნასი, როსტომ ძმა მისი, ავთანდილ ძმა მეორე, ფარსვან ძმა მეორე (უნდა იყოს ძმა მესამე) მუსლიმია<sup>4</sup>. როგორც ჩანს, გამუსლიმანების პროცესი იმდენათ ინტენსიურათ მიმდინარეობს, რომ იგი იქრება ისეთ მიგარდნილ და მცირე მოსახლეობიან სოფელშიც კი, როგორიც მეორე კუდულეთია.

ამილახვრის ნაპიეს მეთაურის მთავარი სიმდიდრე იყო „მამული ჭალა ამილახვრის შეილის გივებ მფლობელობაში ექვემდებარება ხეგებულს“. ჭალაში ცხოვრობდნენ გივი და მისი ძმები თავიანთი თჯახებით: თვით „გივი ძე ანდუაზარისის<sup>5</sup>, ანდუაზარ ძე მიხი, იოთამ ძმა მისი, დიმიტრი ძმა

<sup>1</sup> აბულაძე ც., ოსმალობის ხანის ხამი თურქული ფირმანი // აღმოსავლეთი ფილოლოგია, III, თბილისი, 1973, გვ. 296.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>3</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 223.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ანდუაზარ III. ირანიდან დაბრუნებულმა ლევან ვახტანგ V-ის ძემ 1704 წელს ამილახვრობა მას უბოძა, მაგრამ მალე (1704 წ.) ნადი-

მისი, იახე ძმა მისი, ბარძინ ძმა მისი, ამირინდო ძმა მისი, ოთარ ძმა მისი, ოგიმურაზ ძმა მეორე, ერთხო ძმა მისი, ბარამ ძმა მისი, დავით ძმა მეორე, რევაზ ძმა მისი, ოთამ ძმა მისი<sup>1</sup>, ყველა ისინი ერთ სახლში ცხოვრობენ, აქვთ 20 დღიური სამეუფეო ველი, 5 დღიური სამეუფეო ვენახი. ისინი ერთობლივად იხდიან 3000 ახას<sup>2</sup>. გივი ამილახვრის სამფლობელოებში ყველა თავადი და აზნაური ერთობლივად იხდიდა 8200 ყურუში ესედის გადასახადს.

XVIII ს. 20-იან წლებში, „ოსმალობის“ დროს, გივიმ იმას მიაღწია, რომ გორში სასახლე და ე. წ. ამილახვრების ეკლესია ააშენა. მან ისიც შეძლო, რომ ქალაქის იმ ნაწილზე, სადაც მას სასახლე და საგვარეულო ეკლესია ჰქონდა, ოსმალებმა განსაკუთრებული უფლება მიაჩიქეს. ეს ის დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელსაც 1728 წლის აღწერის დავთარში „გივის დასახლება“ პქვია. ვიქირობი იგი მდებარეობდა იქ, სადაც 1802 წლის გორის გეგმაზე, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ამჟამინდელი ი. ბ. სტალინის მემორიალური კომპლექსის, IX საჯარო სკოლისა და სასტუმრო „გეორგიას“ ტერიტორიაზე აღნიშნულია ამილახვრების ეკლესია. იქვე უნდა აშენებულიყო მათი პირველი სასახლე გორში. „ოსმალობის“ პერიოდამდე ამილახვრების სასახლე გორში საისტორიო წყაროებში არ აღინიშნება.

4. როგორც XVIII ს. 30-იანი წლების დასაწყისის ცნობებით ირკვევა გივი ამილახვარი ოსმალებთან თანამშრომლობის პერიოდში, იმავე თამალების მიერ დევნილი, რუსეთ-

---

რობისას დაიღუპა. კარბელაშვილი პ., ამილახვართა ხაგვარეულო გუჯრები // ძველი საქართველო, II, გვ. 109.

<sup>1</sup> 1728 წლის თბილისის კოლაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 407-408.

<sup>2</sup> ყურუში ესედი – მონეტის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ოდენობა ცვალებადი იყო. ხამ თამალური წყარო თბილისის იხტორისათვის (1730-1732), გვ. 16.

ში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის და ბატონიშვილ ბაქარის აღმოსავლეთ საქართველოში დევნილ ერთგულთა შემწედ გვევლინება. ამაზე მიგვანიშნებს ბარძიმ არაგვის ერისთავის მიერ რუსეთში ვახტანგთან გაგზავნილი 1731 წლის წერილი. წერილიდან ვიგებთ, რომ ბარძიმი ვახტანგ მეფეს გაჰყოლია რუსეთში და წერილის გაგზავნის დროისათვის ის ახალი დაბრუნებული უნდა იყოს საქართველოში, რაღაც საგანგებო დავალებით<sup>1</sup>. კახეთის მეფე კონსტანტინე ბარძიმი ქართლის გამგებელ ისაფფაშასთან დაუბეჭდებია. ბარძიმი ვახტანგს შესჩივის: „რა წამხ კევს მოველ, ხულ ჩემი ყმა მოვიდნენ და შემომეხვეწენენ. ახლა კახმა ბატონმა ფაშასთან დაგვაბეჭდა. „მეფეს [ვახტანგს ბარძიმისთვის] ჯარი მოუცია, ჯარით მოვიდო, უკან ჯარით ბაქარი მოსდევეს“. როგორც ბარძიმი წერს, კონსტანტინე შენათვალს ისაფფაშა ძლიერ შეუშინებია და ბარძიმთან შუაკაცად გივი ამილახვარი მიუგზავნია, რომელიც ერისთავს თავდებად დაუდგა<sup>2</sup>. სავარაუდოა, ბარძიმისათვის ხიფათის არიდების მიზნით გივი ამილახვარმა თვითონ შესთავაზა ფაშას ერისთავთან შუამდგომლობა და მისგან მტკიცე პირობაც მიიღო ბარძიმის უსაფრთხოების შესახებ, მაგრამ წერილში ეს არ ჩანს. გივი რომ ერისთავის მიმართ მტრულად განწყობილი ყოფილიყო, მას ძალა შესწევდა სხვაგვარად ემოქმედა და ფაშაზეც გავლენა მოეხდინა. გივის და ბარძიმის კარგ ურთიერთობაზე მეტყველებს, შემ-

<sup>1</sup> გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს ხოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 353.

<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილს სხვაგვარად აქვს გაგებული ეს ადგილი ბარძიმის წერილიდან და აღნიშნავს, რომ გივი ამილახვარმა ერისთავს ისაფფასთან უშუამდგომლაო. იქვე ბარძიმის წერილში კი ნათქვამია: „ამაში ისაფფაშა დიაღ შეშინებული იყო, ამილახვარი გადას გამოევზავნა. თავდებად დამიღვა და იქ [თბილისს] ჩაველ“. *Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., с. 190.*

დეგი: ისაყ-ფაშას შემცვლელმა როსტომ-ფაშამ კახთ ბატონის წაქეზებით ბარძიმი ვახტანგ VI-ისადმი ერთგულების ბრალ-დებით შეიპყრო და ნარიყალაში ჩაამწევდია. მის სამფლო-ბელოს ერისთავისავე ნდობით აღჭურვილი გივი ამილახვარი განაგებდა<sup>1</sup>. რაც შეეხება ქსნისა და არაგვის ერისთავების ურთიერთობას, იგი ხშირად არაკეთილმეზობლური იყო.

გივი ამილახვარმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის სამე-ფოში ფეოდალური აშშილობის დროს მეფე ალექსანდრე V-სა (1720-1741, 1741-1746, 1749-1752) და ოტია დადიანის დაპი-რისპირების განმუხტვაში. ოსმალებმა, რომლებსაც იმერეთის მეფის გაძლიერება არ აწყობდათ, ალექსანდრეს მოთხოვეს დატყვევებული ოტიას განთავისუფლება. საქმეში ჩაერია ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა, რომელმაც დადიანისგან დიდი ქრთამი აიღო და იმერეთში გაგზავნა ოსმალებისა და ქართველებისგან შემდგარი ჯარი მამედბეგისა და გივი ამილახვარის მეთაურობით. იმერეთის მეფე დათმობაზე წავი-და და დადიანი გაათავისუფლა<sup>2</sup>.

ქართლში უმეფობის ხანაში გივი რომ უპირველესი პო-ლიტიკური და წარმატებული სამხედრო ფიგურა იყო, ჩანს ლეკებთან ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებიდან. 1732 წელს ლეკებმა ტეზერი, ბეკამი, გვერდისუბანი აიკლეს და დიდალი ნადავლი იშოვეს, წრომში გადავიდნენ, სადაც გო-რის ფაშა დაამარცხეს და მოკლეს. გათამამებულ ლეკებს მეჯვრისხევთან გივი ამილახვარი დახვდა, დაამარცხა და მთლიანად ამოწყვიტა<sup>3</sup>. იმავე წლის ზაფხულში გივი „გორის ჯართან“ ერთად მონაწილეობდა იკორთასთან ლეკების განა-

<sup>1</sup> Там же, Г. 191.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოხტა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძე, თბილისი, 1962, გვ. 176.

<sup>3</sup> საქართველოს ცხოვრება ხეხნია ჩხეიძისა, გვ. 335.

დგურებაში. დეკემბერში ლეკები კვლავ შემოიჭრნენ, მაგრამ გივის მეთაურობით წლევთან გაანადგურეს<sup>1</sup>.

4. ოსმალთა ბატონობამ ისეთი მასინჯი სახე მიიღო, რომ უკმაყოფილოთა რიცხვი დღითიდდე იზრდებოდა. ქართლში არსებული გაუსაძლისი მდგომრეუბის, ანტიოსმალური ძალებისა და ვახტანგ VI-ის ან მისი ძის ბაქარის დაბრუნებისა და წარმატების შანსის შესახებ, საინტერესო ცნობებია შანშე ქსნის ერისთავის მიერ 1733 წელს ვახტანგ მეფისათვის გაგზავნილ წერილში. მასში მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით გივი ამილახვრის როლზე ანტიოსმალური აჯანყების დროს.

შანშე ერისთავი ვახტანგ მეფეს თხოვს დაუბრუნდეს თავის სამეფოს: „ნებავი დმერთან ისე მაღირსოს თქვენი ხმა გავიგონოთ და მითომ ჩემს უამში ავი არა მინახამს რა... თუ რაც ჰქეუა მაქსე და კერძავ, თუ არ თქვენის სამჯობისაროსათვის ამას უკეთესი დრო არ იქნება აქა, და მანდ რა მოსვლია, არ ვიცით: საქართველოს გაურთებსა ბძანებდით რომ. „შეღლობთო, თქვენ ერთმანერთის მტერნი ხართო“<sup>2</sup>.

ვახტანგ VI როდესაც შანშეს და ქართლის დაუდევარ სხვა ფეოდალებს საყვედურობს „შეღლობთო, თქვენ ერთმანერთის მტერნი ხართო“, მას პირველ რიგში შანშე და მისი მამა პყავდა მხედველობაში. როდესაც ვახტანგი 1712 წელს ირანში გაიწვიეს, მან ქართლის მეფედ ბაქარი დატოვა, რომელსაც შანშეს მამა დათუნა ქსნის ერისთავი აუჯანყდა. ბაქარმა აჯანყება ჩააქრო და საერისთავოს დაეპატრონა.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., с. 205. ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508. ამის შემდეგ შანშე არ ეპუბოდა ოსმალებს და უჯანყდებოდა კიდევ. იქვე გვ. 510, 511.

შანშე ირანში შაპთან გაიქცა, სადაც დააპატიმრეს და ბაქარს გამოუგზავნეს, რომელმაც „ატიმარ-ჰუთ ტფილის“<sup>1</sup>.

ირანიდან ახალდაბრუნებულ ვახტანგს 1719 წელს შანშე აუჯანყდა. აჯანყება იმდენად სეროზული იყო, რომ მეფემ მისი ჩაქრობა იმერლების, კერძოდ, შოშიგა რაჭის ერისთავის და სფიმონ და ლევან აბაშიძების დახმარებით შეძლო. შანშე მეფეს დანებდა. იმერეთში გაბრუნებულ სტუმრებს მეფე შანშე თან გააყოლა. მაგრამ ერისთავი გაიპარა, თავის მამულში დაბრუნდა და 1720 წელს ახალი აჯანყებისათვის მზადებას შეუდგა. მან ისევ მარცხი განიცადა და მეფეს ერთგულების ფიცი მისცა. მეფემ შეუნდო და „მისცნა მამული სრულიად“<sup>2</sup>. ამის შემდეგ შანშემ თითქოს ხასიათი გამოიცვალა და ვახტანგს ერთგულებდა<sup>3</sup>.

ოსმალებმა ქართლის დაპყრობისთანავე შანშეს საერისთავო ჩამოართვეს<sup>4</sup>. ამის შემდეგ შანშე არ ეპუებოდა ოსმალებს და უჯანყდებოდა კიდეც<sup>5</sup>.

ბარძიმ ერისთავი მეფე ვახტანგის საყვედურს სამართლიანად მიიჩნევს და თავის მხრივ იმასაც უმატებს, რომ თქვენს წინაშეც ბევრი დავაშავეთო. ბარძიმი ქართველ თავადთა ურთიერთდაპირისპირების და მეფისადმი დაუმორჩილებლობის საქციელს ყმაწვილობითა და სიგიჟით ხსნის. წერილში განსაკუთრებით საინტერესოა მეფის მიერ ხაზგასმა, რომ ბარძიმ ერისთავი და გივი ამილახვარი, ეს ორი უმსხვილესი ფეოდალი ერთმანეთს იყვნენ დამდურებული, მაშინ, როდესაც მათ ერთობლივად ბევრის გაკეთება შეეძლოთ ქვეყნის სახიკეთოთ. ბარძიმი თავისი ეპოქისათვის და-

<sup>1</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 496-497.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 498.

<sup>3</sup> გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 318.

<sup>4</sup> ვახტანგი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 510, 511.

მასასიათებელ ამ მოვლენას მარტივად განმარტავს: დროებითი დაპირისპირება საყვარელ მამაშვილის შორისაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ისინი კვლავ ასეთად დარჩებიან. რაც შეეხება კონკრეტულად გივი ამილახვარს, ამჟამად ის ჩვენთან არის და შენი ერთგულიაო. ამის დასტურად ის მეფეს სწერს: „ოფიციალური ამილახვარმაც წიგნი გაახლოოთ. შენ ჩუ მომიკვდები, დაიჯერეთ, დიდად ერთგული არის ოქვენი და დიდის სამსახურის მცდელი არის და მომჭირნე. ამა ზე გუნება დააჯერეთ. ამას გონებაში თქვენი ურიგო და უმსახურება არა ძებ, ამისი თავდები და მოპირე მე ვიყო“<sup>1</sup>.

ბარძიმი ვახტანგს აცნობებს თავისი დიდი ხნის მეტოქის არაგვის ერისთავის მეფისადმი ერთგულების შესახებ: „არაგვის ერისთავია და უხეც ერთგულია. რომ არ იყოს არ იქნება. დამიჯერეთ, ეს ორი კაცია, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ“<sup>2</sup>. როგორც ჩანს ქსნის ერისთავი პასუხისმგებლობას იღებდა ორ უმსხვილეს ფეოდალზე – გივი ამილახვარსა და ბარძიმ ერისთავზე. ბარძიმი რომ გივის წინაშე ვალში იყო, ამის შესახებ ზემოთ ითქვა, გივიმ ის ისაყვაშასთან მოარიგა და, საგულისხმოა, მოცემულ პერიოდში, ისინი ერთ პოლიტიკური პოზიციაზე იდგნენ, ვახტანგ VI-ს ერთგულობდნენ.

ბარძიმი მეფეს არწმუნებს: „ეს ორი კაცია, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ, სხვა ვინ არის ქართლში, რომ უარი და ჩვენი დაუჯერებლობა ქნას და შეიძლოს: ოქვენი სიძიხა აბაშიძისა თქვენ იცით“. ბარძიმ ერისთავი ოსმალების ქართლიდან გამევებასა და ვახტანგის მეფობის ქართლში ადდენაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას გივი ამილახვარის მხარდაჭერას ანიჭებს: „ამას უკეთესი დრო არ იქნება,

<sup>1</sup> Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., с. 206.

<sup>2</sup> Там же.

ამილახვარმაც ხომ მოგწერათ და ზეპირადაც დააბარა<sup>1</sup>. რაც შეეხებოდა მეფე ვახტანგს, ბარძიმის აზრით, მას რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა უნდა მოკოვებინა, რათა სამი პოლკი რუსული ჯარი წამოეყვანა. ბარძიმს წარმატების მნიშვნელოვან პირობად დასუსტებული ირანი მიაჩნდა. „დმურთი მამუკეს თავდებად, დაიჯერეთ ეს ქვეყანა დაკარგული არის თქვენგანა, თუ თავს არ შეიღებთ, დამიჯერეთ ასეებებ დმურთი და უცადებით რახმე, დმურთმა მოგაყენათ დრო, ნუ გვიანობთ, თუ ეს ქვეყანა გინდათ დრო ეს არის, თუ არა და ნება თქვენია<sup>2</sup>.

ეხლა გავეცნოთ გივი ამილახვარის მიერ რუსეთში გადახვეწილი მეფის გარემოცვიდან ვინმე გივისათვის (ამილახვარი მას „სეხნის“ უწოდებს) გაგზავნილ, მაგრამ „ჩვენის ხელმწიფის მოსამსახურებისათვის“ გასაცნობ იმ წერილს, რომლის შესახებ რამდენჯერმე აღნიშნავს ბარძიმ ერისთავი. გივის წერილი არ შეიცავს, რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან სამხედრო ხასიათის ინფორმაციას. ეს მოკლე წერილი მხოლოდ „ოსმალობის“ პერიოდში მისი დამპყრობლებთან სამსახურის გამო მონანიებას გვამცნობს, მაგრამ ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მეფის უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებაში ამილახვარის არაკეთილ მოსურნეებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ....თუ რაც ჩვენს უმსახურობას გაეწყობა ამას... ბატონი არ გვიწყებოდებს, ამათი ბედნიერად ყოფნის ანბავი გვიწყალობოს: კიცით, ჩვენ ხელმწიფებს ჩვენი უმსახურობა მოცონობით, თორებ, ერთხელაც არის მათის ბედნიერად ბძანების ანბავს გვიწყალობებდა: რაღა თავი ვაწყინოთ. თუ რომ შეეცოდეთ, დმურთმან დიდად გარდა გვახდევინა ჩვენი ამგვარი განსაცდელი. თუ ბატონს არ მოხსენდება, თქვენ მაინც შეიტყობთ. ხელმწიფებს თუ ჩვენი ბევრი არ მოხსენებოდათ, ულირსად მოწყალეს გულს ასე არ გამო-

<sup>1</sup> Тамже.

<sup>2</sup> Тамже, с. 207

*იცვლიდენ:* დასაჯერი ხომ არ არის რომ მე მაგათი თუ-გული ვიყო. ეგების მართალი მოხსენდებოდესთ, რაღა თავი ვაწყონოთ, არც ეს გაიძეგებოდა ჩემგან: დოთა გუნდის გამითხავი, სხვა აქიდამ რა შეიტყობა; დმურთმან ამდენი მოწყალება მაღირსოს. მაგათ წინ სისხლი დაგაქციო, ხომ კარგია, თუმცა არ მეღირსა, სხვით რით ვიმართლებ თავსა“<sup>1</sup>.

5. 1734 წ. ქართლში ანტიოქიალური აჯანყება დაიწყო გივი ამილახვარის მეთაურობით<sup>2</sup>. თბილისის მიდამოებში მფოფი ოსმალები ამოწყვიტეს, გივი ამილახვარი „შეეტყუა გორის ციხეს თხმალთა და მოხრნა იგინი და დაიპყრა ციხექ“<sup>3</sup>.

როგორ „შეეტყუა“ გივი ამილახვარი გორის ციხეს, ამაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სეხნია ჩემიდე: „ამავე ქორონიკნა დვინობის თვეებ (1735 წ. ოქტომბერი – ე.შ.) შემოადგა თამაზ ხან ციხეს განჯისასა, მოუკიდა ქართველთ ბრძანება და აშლა ურუმთა, დაიწყებ ბრძოლა, შეეარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუქს დამით, დაიქვეითა თვითონ და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ დამით და დაიმალა ჯარი სასახლეშია,

<sup>1</sup> იქმა გვ. 203-204.

<sup>2</sup> გივი ამილახვარის მეთაურობით აჯანყების შესახებ იხ. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის ხაკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 175-182; ვკრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და ირან დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება // საქართველოს ხერ მეცნიერებათა აკადემიის ივ ჯაგახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, თბილისი, 1953, გვ. 109-131; საქართველოს ისტორიის ნარკევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 445-454).

<sup>3</sup> სხვა წეაროში გორის განთავისუფლება 1735 წლით არის დათარიღებული და ნათქვამია შემდეგი: „გივმა ამილახორმა შემოიყარა რჩეულნი ვაჟაცხი და მოვიდა რამე ბერბუქს, აქედან ეზრახა გორელებსა, შეუხდა გორის ციხეში და ურუმთა ჯარი ამოწყიობა“. საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩემიდისა, გვ. 438.

ვერა იგრძნებ ურუმთ, ციხეში მიუჩინებ თოხი გამოჩენილი ვაჟაცი, მიხედვებ საბოძვარი, ვითარცა ურუმნი ხევბა ზიდავებ, ვიცა აუგანდათ არას უკითხევდნებ. გათენდა, ამ თოხმა კაცმა შეიღვებ ძელები მხარეთ, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდგან, ერთი აქათ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ. გაადგეს კარი ციხისა და გამოვიდნებ ციხიდან ურუმნი, ჩამოვიდნებ ქალაქება გორისასა, აიგანებ ძელები და დააგდებ კართა ზედა: იდროებ, გამოვიდა დამალული ჯარი, თურმე კარაულმა იგრძნა, მოასწრებ კარი ქვეითა გალავნისა, შეიქმნა ცემა გორში. ამ თოხმა კაცმა გაიკრა სატევარს ხელი, თურმე დამალული პქონდათ. შეუხდებ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მოუხდებ ენგიზარ აღას, დასჭრებ: გამოვიდნებ მშვიდობით. ჩამოვიდნებ კარსა გალავანისასა, მოკლეს მცველი კარისა, დალეწებ კლიტები, გამოვიდნებ უზიანოდ და ვინცა ციხიდამ ურუმნი გამოვიდნებ ამოსწყვიტებ, დაიჭირებ<sup>1</sup>.

გივი ამილახვარმა გორის ციხეში ჯარი ჩაყენა. გამარჯვების მაცნედ მან შაჰის სარდალთან კაცი გაგზავნა და ოსმალთა მოკვეთილი თავები გაატანა. მცირე ხნის შემდეგ გივიმ და ყიზილბაშებმა თბილისის განთავისუფლება სცადებს, მაგრამ დამარცხდნენ. გივი გორში დაბრუნდა და აქედან თავს ესხმოდა ბორჯომის ხეობასა და ახალციხეში მოკალათებულ ოსმალებს<sup>2</sup>.

6. 1735 წლიდან „ოსმალობა“ კიდევ უფრო მძიმე „ყიზილბაშობით“ შეიცვალა. აღნიშნულ წელს ნადირ შაჰმა სომხეთში, ერევანში შაჰ-თამაზ II-სთან დაიბარა თეიმურაზ II და ქართლისა და კახეთის დიდებულები. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ისინი ვინც ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაურები იყვნენ, მათ შორის, გივი ამილახვარიც, დააპატიმრებ. პ. გუციას ვარაუდით, შაჰ-თამაზ II-ის სარდალი თამაზ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 438.

<sup>2</sup> იქვე.

ყული-ხანი (შემდეგში ნადირ-შაპი) ეჭვობდა, რომ ქართველ დიდებულებს კავშირი პქონდათ ვახტანგ VI-სთან, რაც უნდა ყოფილიყო მათი დაპატიმრების მიზეზი<sup>1</sup>.

შაპ-თამაზის მიერ გივი ამილახვრის დაპატიმრების მიზეზი, სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ის ყოფილა, რომ მან ამ ქართველ დიდებულს, ამილახვარს ქალიშვილი სოხოვა, რაზეც უარი მიიღო. შაპმა გივი დაპატიმრა. მიუხედავად იმისა, რომ ამილახვარმა ბოლოს დაუთმო და თავისი ქალიშვილი შაპს მისცა, იგი მაინც არ გაათვისებდეს.

სხვა ვერსიით, გივი ამილახვრის, ამ ძლიერი ფეოდალის სიძეობა სურდა ქართლის ტახტის მაძიებელ უფლისწულს, იესე მეფის ძე თეიმურაზს და დაინიშნა კიდეც. მაგრამ ნიშნობა ჩაშალა კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის მეუღლემ, დედოფალმა თამარმა. თამარს, როდესაც თეიმურაზ-ანგონთან ერთად ნადირ შაპთან სტურობდა, შაპისთვის უთქვამს: გივი ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, შაპის ცოლობის დირსიო. ამით სურდა თეიმურაზისა და გივის ნათესაობა-მოკავშირების ჩაშლა, რადგან თეიმურაზ II-ეს თვითონ ეჭირა თვალი ქართლის ტახტზე. თამარ დეოფალმა მიზანს მიაღწია. 1736 წელს გივი ამილახვარი იმულებული გახდა შაპისათვის თვითონვე მიეგვარა თავისი ასეული. თეიმურაზ-ანგონი კი იმერეთში გადავიდა და ბერად შედგა<sup>2</sup>.

1735 წლის 6 ოქტომბერს თამაზ-ყული-ხანი თბილისში შევიდა. აქედან დააგზავნა თავისი რაზმები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადსახვა მხარეებში და დაიმორჩილა. აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო „ყიზილბაშობა“.

<sup>1</sup> კუცია კ., ნადირ-შაპი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბილისი, 2002, გვ. 120.

<sup>2</sup> გაჩეხილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწერი, II, თბილისი, 2004, გვ. 510-511.

გივი უპირისპირდებოდა ქართლში გამეფების მოსურნე კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს (1733-1744), რომელიც ქართლის ტახტზე პრეტენზიას აყენებდა იმის გამო, რომ იყო ერეკლე I ნაზარალი-ხანის ძე (1688-1703) და კახეთის მეფე კონსტანტინე II მამაღ-ყული ხანის (1722-1732) ძმა. თეიმურაზ II-ეს გივი ამილახვარი დაუპირისპირდა, რომელიც მხარს უჭერდა ქართლის ტახტის მეორე პრეტენდენტს, მეფე იესეს (იესე ქართლში ორჯერ მეფობდა – 1714-1716 და 1725-1727 წლებში) ვაჟს თეიმურაზს (შემდეგში კათალიკოსი ანტონ I).

1735 წლის ოქტომბერში თამაზ-ყული ხანი თბილისისკენ წამოვიდა და დატყვევებული ქართველები თან წამოიყვანა. გზაში ტყვეები გაიპარნენ. თეიმურაზი კახელებითურთ ფშავში გადავიდა. ქართლის თავადებმა კი იმერეთსა და რუსეთს შეაფარეს თავი<sup>1</sup>. ქართლელი დიდებულები – გივი ამილახვარი, მუხრანბატონი და ქაიხოსრო ავალიშვილი თავიანთ საბატონოებში დაბრუნდნენ<sup>2</sup>. გივი შემდეგ იმერეთს გადავიდა. სხვებმაც სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი.

1736 წელს შაჰ-ყული-ხანი გამეფდა ნადირ-შაჰის სახელით (1736-1747). მუდანის ყურულთაიზე, სადაც მისი არჩევა მოხდა, სენია ჩეკიძის მოწმობით, მონაწილეობდნენ ქართველებიც – ქართლის დიდებულები.

ხელდასხმის შემდეგ ისინი გამოუშვეს ქართლში, რომელთაც დააკისრეს 3 ათასი თუმანი, ხოლო ხუთასი შეიარაღებული ნოქარი თავიანთი ოჯახებით უნდა მდგარიყო თბილისში. ზემოქართლელებმა ვერ შეძლეს ამ მოთხოვნის შესრულება. შანშე ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა, ვახუშტი აბაშიძემ და მთლიანად ზემო ქართლმა და თარხან ლუ-

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973, გვ. 320-322; აბრაამ ერევანცი, თმების ისტორია / დევლი სომხურიდან თარგმნა, შესაბამის, შენიშვნები და საინტერესო დაურთო ლითანა დავლინიძემ, თბილისი, 1976, გვ. 14

<sup>2</sup> საქართველოს ცხოვრება სენია ჩეკიძისა, გვ. 336.

არსაბმა და მისმა ნათესავებმა ქართლის გამგებლად დანიშნულ ყიზილბაშ სარდალს, სეფიხანს თხოვეს: „როგორც ხევა შაკებს კემსახურებოდით და როგორი მოვალეობანიც გვეკისრა, ხება მოგვეცით ასე ვიმსახუროთ, ძველი დროიდან ჩვენ შაპის კურმოჭრილი ყმები ვიყავით“<sup>1</sup>. როდესაც ამ მოხსენიაზე უარი მიიღეს, უკაყოფილოთა შორის განხეთქილება მოხდა: ბარძიმ არაგვის ერისთავი, ყველა ციციშვილი, ყველა ბარათაშვილი ყიზილბაშებს მიემხრნენ.

ყიზილბაშებმა დაიწყეს განდგომილთა მამულებზე თავდასხმები. რამდენჯერმე შეიტრნენ ქსნის საერისთავოში, მაგრამ წარუმატებლად. კეხვში სამჯერ დაესხნენ გივი ამილახვარს, მაგრამ სამჯერვე გივიმ გაიმარჯვა და ყიზილბაშები ამოწყვიტა. იმავდროულად თავს დაესხნენ სააბაშიოს, საჩხეიძოს და სურამის ხეობას, დაწვეს და გაძარცვეს, მაგრამ გამაგრებული ადგილები ვერ დააზიანეს. აჯანყებულები სხვაგანაც წარმატებით მოქმედებდნენ<sup>2</sup>.

ამგვარად, 1736 წელს ყიზილბაშების წინააღმდეგ აღსდგა ქართლის მოსახლეობა, რის მიზეზიც ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველების მიმართ უნდობლობა და მძიმე ხარკი იყო. აჯანყების მთავარ კერად ქსნის საერისთავო გადაიქცა. დამარცხებულმა ქართლის გამგებელმა სეფიხანმა ცხვენისში დაიწყო მოლაპარაკება განდგომილებთან და მოჩვენებით შეურიგდა კიდეც. ამის შემდეგ ის ხელთუბანში გადავიდა, სადაც მიიწვია კახთბაგონი თეიმურაზი, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახვარი, კახთა სახლთუხუცესი გივი ჩოლოფაშვილი, თარხანი ლუარსაბი, ქიზიუის

<sup>1</sup> Сехниა Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976, с. 46. აღმოსავლეთ საქართველოში „ყიზილბაშის“ დროს მძინარე გეორგიურ გაჭირვებაზე ვრცლად ის. კუთა კ, ნადირ-შაპი და საქართველო, გვ. 125-131.

<sup>2</sup> Сехниა Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей»), с. 45-46.

მოურავის ძმა თამაზი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, ყველანი შეიპყრო და თბილისის ციხეში დაატყვევა<sup>1</sup>. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სეფიხანს თავისი ვერაგული ქმედება გორში მოუხდენია, შანშე ქსნის ერისთავს გაქცევა მოუხრია, ხოლო დანარჩენი დატყვევებულნი ისპაანში გაუგზნიათ: „მოიტყვენა გორს ქართველნი, შეიტყრა თეიმურაზ, გივი ამილახვარი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლო შანშე ივლობოდა. და წარუკლინა ისპაანს შაპნადირს“<sup>2</sup>. სენია ჩხეიძის მიხედვით შაპსეფი ამის შემდეგ მივიდა გორში, რომლის ნაიბად (გამგებლის ნაცვალი) დანიშნა მეფე იესეს შვილი აბდულა-ბეგი<sup>3</sup>.

შაპმა შეიწყალა თეიმურაზ II, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახვარი, თარხანი ლუარსაბი, ისინი დაასაჩუქრა და სალათები უბოძა. როცა ნადირ-შაპი ყანდაპარში გაემგზავრა, დასახელებული ქართველები თან წაიყვანა<sup>4</sup>.

1738 წელს შაპმა გივი ამილახვარი ქართლში დააბრუნა და აჯანყებულ შანშე ერისთავთან დასაპირისპირებლად ქსნის საერისთავო გადასცა და „დასხდეთ ამ ქვეყნის ბელადობა“<sup>5</sup>. მასგე ჩააბარა „ვექილობა ქართლისა“<sup>6</sup>.

1740 წელს სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და გივი ამილახვარი ინდოეთიდან დაბრუნებულ ნადირ-შაპს ყაზინში ეახლენებ და ქართლში არსებული ვითარება გააცნეს. შაპმა გაგზავნა შიკრიკი და ქართლის დიდებული თავადები თავისთან დაიბარა. თავადები მაშინვე გაემგზავრნენ. აუდიენციის

<sup>1</sup> Тамже, с. 46-47.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 515.

<sup>3</sup> Сехниა Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей»), ც. 47.

<sup>4</sup> Там же, с. 47.

<sup>5</sup> პაპუნა თრბელიანი, ამბავნი ქართლისანი / ტექნიკი დაადგინა, შესავალი, ლექსიონი და საძიებლები დაურთო ელექტრიკისა და გარემონტისათვის, თბილისი, 1981, გვ. 47

<sup>6</sup> ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 518.

დროს მათ შაპს „მოახსენებ ქვეყნის გაოხრება ლუკისაგან, შანშე ერისთავისაგან ბელადის ძღვა და შეჭირვება ყოველი. იწყინა ტელმწიფებ და დაპირდა დაღისტნის გახსოვთებასა. მოსცა ჯარი შანშე ერისთავის წახახდენად: „თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველიო“. შაპმა გივი ამილახვარს მისცა ქსნის ერისთაობა „და დახდვა იმ ქვეყნის ბელადობა“. შანშე და მისი მმა ახალციხეში გადავიდნენ, სადაც „შეიწენარებ პატივით და დააყენებ ქალაქსა შინა“<sup>1</sup>. ქართლის ნაიბმა (ნაცვალი) იმამ-ყული-ხანმა ბეგლარ-ბეგობა მიიღო და დიდი ჯარით ქართლში გაიგზავნა. ქსნის საერისთავო სახტიკად აიკლეს.

ნადირ-შაპი დაღესტანში შეიქრა. მან ქართველი დიდებულები თავისთან დაიბარა. ამილახვართა სახლიდან გივი და ოთარი ეახლნენ შაპს, რომელიც მათ „დახვდა მხიარულის პირითა და დაუმადლა ერთგულობა“. გივი ამილახვარს მიანიჭა მეორე ვექილობა, ქსნის ერისთაობა და ასი თუმანი დაუნიშნა<sup>2</sup>.

7. გივი ამილახვარს კიდევ ერთხელ მოუწია იმერეთში მეფე-ფერდალების კონფლიქტში ჩარევა 1741 წელს. ალექსანდრე V-მ თავის სიძის (დის ქმარი), ზურაბ აბაშიძის შვილი დავითი და პაპუნა წერეთელი სიკვდილით დასაჯა. მეფის ასეთი მოქმედებით აღშფოთებულმა იმერეთის დიდებულებმა – ზურაბ აბაშიძემ, გრიგოლ რაჭის ერისთავმა და ოტია

<sup>1</sup> 1741 წელს ნადირ-შაპმა ახალციხის ფაშას თხოვა შანშე ერისთავის და მისი მმის გადაცემა. ფაშას ბრძანებით შანშე შეიპყრეს და დაბორკილი თბილისში ჩაიყვანეს, მცირე ხნის შემდეგ კი შაპს გაუგზავნეს, რომელიც იმ დროს დაღესტნელებს ებრძოდა და იქ მიპვარეს. შაპმა მისი მოსმენა არ ინება და დარუბანდის ციხეში გამოკეტეს, შემდეგ მაშათში გადააგზავნეს. იქვე ჩაიყვანეს მმების ცოლებიც. პაპუნა თრბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 51.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 46-49.

დადიანმა მეფეს დიდი ზიანი მიაყენეს. მეფე ალექსანდრემ თავისი ძმა გიორგი და ლევან აბაშიძე ქართლში თავშეფარებული ვახუშტი აბაშიძის შესაპყრობად გაგზავნა. მათ მეფის ბრძანება შეასრულეს. ვახუშტის განთავისუფლების შუამდგომლობით ალექსანდრეს მიმართა კათალიკოსმა დომენტი IV-ემ და ქართლის გამგებელმა, მაგრამ უარი მიიღეს. იმერეთის მეფის მიმართ საყოველთაო უკმაყოფილებამ აიძულა ალექსანდრე მცირე მხლებლებით ქართლში გადმოსულიყო<sup>1</sup> და სურამთან გაჩერდა. გივი ამილახვარი ამ დროს სურამში იდგა. მეფემ მას აცნობა თავის გასაჭირის შესახებ. გივი წავიდა ხანთან, ომელიც ზემო ქართლში იმყოფებოდა და მოახსენა მნიშვნელოვანი სტუმრის შესახებ. ხანმა გივის დაავალა ალექსანდრე მეფის მასთან მიყვანა. ხანმა მეფეს შესაფერისად უმასპინძლა და მაშინვე ნადირ-შაპს აცნობა მის შესახებ. შაპის ბრძანებით, ალექსანდრე ჯერ თბილისში ამყოფეს საუკეთესო პირობებში, შემდეგ ახალციხის ფაშის თხოვნით შაპმა იმერეთის მეფე ახალციხეში გაგზავნა, ფაშამ კი იგი ისევ სამემკვიდრეო ტახტზე ადადგინა<sup>2</sup>.

1741-1742 წლებში ნადირი დაღესტნელებს ეომებოდა და ქართლის დიდებაცნობა დაღესტნებიში დაიბარა. ამილახვართა სახლიდან შაპს გივი და ოთარი ეახლნენ. შაპმა გივის მეორე ვექილობა, ქსნის ერისთავობა მისცა და ასი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა<sup>3</sup>.

აღმაშფოთებელი იყო ქართლის ხანის მოქმედება (1741 წ.), როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV გარდაიცვალა და ახლად არჩეულ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ნიკოლოზ X-ს (1741-1744) „რაც მცხეთას ხაქონელი იყო, წირვის იარაღი ანუ ეკლესიისა, სულ თავისთან მიატანინა“. როგორც პაპუნა

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველო ცხოვრება, გვ. 177.

<sup>2</sup> პაპუნა თრბედიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 50-51.

<sup>3</sup> იქმა, გვ. 49.

ორბელიანი ამბობს, ვიდაცამ ხანს ჩააგონა, რომ როცა კათა-  
ლიკოსი გარდაიცვლება, „საქონელი“ სახელმწიფოსი არისო.  
„მაგრამ სამღოთ ძალმა აღარ მიუშვა. ორბელიანი, სარდალი  
ქაიხოსრო და გივი ამილახორი გულმოღვინებით გაისარჯებენ.  
ისევ დაიხსნებ და მიაპარებ უკლებრივ კათალიკოზე საქონე-  
ლი მცხეთისა“<sup>1</sup>.

8. ირანელთა ბატონობა სულ უფრო მძიმდებოდა. ასე  
გაგრძელება რომ აღარ შეიძლებოდა, განსაკუთრებით მაშინ  
გახდა ნათელი, როცა ისედაც ეკონომიურად უდიდეს გასაჭი-  
რში მყოფ მოსახლეობას შაჰმა კიდევ უზარმაზარი გადასა-  
ხადი და ბეგარა შეაწერა<sup>2</sup>.

დაიწყო აჯანყება, რომლის სულისხამდგმელი და მე-  
თაური იყო გივი ამილახვარი. როგორც ზემოთ მრავალჯერ  
აღინიშნა გივი ამილახვარს პირად ცხოვრება ისე პქონდა  
მოწყობილი, რომ სამდურავი არ ეთქმოდა, მას არ აკლდა  
თანამდებობა, ქონება და ქვეყანაშიც დიდი ავტორიტეტით  
სარგებლობდა. მაგრამ მან პირადული გვრდზე გადასდო და  
ქვეყნისა და ხალხის გასაჭირით შეწუხებული სახიფათო  
გზას დაადგა. „ამა ამბავთა შინა, (1742 წ. – გ. მ.) თვესა  
აპრილისა ია (II – გ. მ.), დამესა ბზობისას, ქალაქიდამ  
(თბილისი – გ. მ.) დამე გაიპარა და ამილახორი, რომელი  
იჯდა კექილად, წავიდა თავისის ცოლშვილით და თან  
გაიტანა პატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთავისშვი-  
ლის ცოლი<sup>3</sup>. როგორც მოვლენების შემდგომი განვითარე-  
ბიდან ჩანს, ამილახვარს წინასწარ შემუშავებული პქონდა  
აჯანყების გეგმა და მომხრენიც მრავლად პყავდა – ზემო  
ქართლმა, ქსნის და არაგვის ხეობებმა მას ერთიანად მხარი  
დაუჭირეს: პაატა აბაშიძე და ის სხვა თავადები, რომლებიც  
ქართლის ხანს იორზე ახლდნენ იმავე ბზობის დამეს გამო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 52-53.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 53.

იპარნენ და გივისთან დადგნენ; აჯანყებას მიემხრო არაგვის ერისთავი ბექანი თავის ჯარით, ქსნისა და არაგვის ხევის-კაცები და სხვ. ყველამ ერთგულების ფიცი მისცეს გივი ამი-ლახვარს<sup>1</sup>.

\*\*\*

გივი ამილახვარის მეთაურობით ქართლში დაწყებული აჯანყების მიზეზების შესახებ არსებობს საინტერესო წერი-ლი, რომლის ავტორია XIX ს. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ალექსან-დრე ჯამბაქურ-ორბელიანი. ავტორი ცდილობს XVIII ს. ამ უმნიშვნელოვანების მოვლენის გამომწვევი მიზეზები დაიყვანოს გივი ამილახვარის თეიმურაზ II-ისა და ქაიხოსრო სარდ-ლისადმი წყენასა (მეფე თეიმურაზს განზრახული პქონდა თა-ვის ვაჟისთვის, ერეკლესათვის ცოლად შეერთო ელიზბარ ყაფლანიშვილის ძმის ვახტანგის ასული ანა და თავის განზრახვაზე სარდალ ქაიხოსრო ჯამბაქურ ორბელიანსა და გივი ამილახვარს აცნობა. ამ დროს ისინი თეიმურაზის მომხრეები იყვნენ. ქაიხოსრომ ქორწინება ჩაშალა, რითაც გივი, რომელიც ვახტანგ ყაფლანიშვილის სიძე იყო, დიდად გაანაწყენა) და რუსეთის აგენტების გავლენამდე (საყუ-რადდებოა მისი დამოკიდებულება რუსეთის მიერ საქარ-თველოს ანექსიისადმი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწი-ლეობისათვის ის დააპატიმრეს და ორენბურგში გადაა-სახლეს). რა თქმა უნდა, ყველა მიზეზმა (ირანის ხელი-სუფლების მძრცველურმა პოლიტიკამ, ვახტანგ VI-ისა და ბაქარის წერილებმა და მათი ქართლის ტახტზე დაბრუნების მომხრეებმა და პირადმა წყენამ) ერთობლიობაში მნიშვნე-ლობა იქონია გივი ამილახვარის აჯანყების მეთაურად გახ-დომაში. მაგრამ მას, რომ აჯანყების პირველ ეტაპზე საყოველთაო მხარდაჭერა პქონდა, ამის უმთავრესი მიზეზი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 53-54.

შპის კარის მიერ ქართლში გატარებული პოლიტიკით გამოწვეული საყოველთაო უკმაყოფილება იყო.

აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილი საინტერესოა მასში გადმოცემული ფაქტებითა და ავტორისეული ანალიზით. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამ ნაკლებად ცნობილი წერილის მკითხველისათვის გაცნობა.

მოვუსმინოთ აღ. ჯამბ.-ორბელიანს: „ეს უნდა გამოვარკვით, იმის გაჯევვის მიზეზი რა იყო? ის გივი ამლახვარი ჩვენი სახლის სიდე იყო, პაპიჩემის მამის ელიოზბარ ეშვალაბაშის და ჟუვანდა ცოლათ... ამ დროს ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი და გივი მიღვომილი იყვნენ მეფის თეიმურაზის კერძ და იმისი მხარე ეჭირათ, რადგან მეფე ვახტანგ რუსეთში გადავიდა, საქართველოზედ ჭელი აიღო, ამისთვე იმას (თეიმურაზე – ე.მ.) მიუღვნენ საქართველოს გასაერთიანებლად და ძალიან კარგათაც ქნეს, მაგრამ ქაიხოსროს სარდლის გული აღარ მოახვენეს ეშმაკებმა და თავის თავზედ შეში მისცეს. თუ მეფის თეიმურაზის შეილი ირაკლი ელიოზბარ ეშვალაბაშის ძმისწულს ვახტანგის ქალს ანას შეირთამდა, მაშინ იგი დაიღუპებოდა. ეს ფიქრები რომ დაუნერვეს ქაიხოსრო სარდალს, ამ დროს ბატონშვილი ირაკლი ინდოეთიდან მოვიდა საქართველოში და მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, ელიოზბარ ეშვალაბაშის ძმისწული ვახტანგის ქალი ანა წაიყვანეს ბატონშვილის ირაკლისათვის საქორწინოდ. ამაზე გული შეუწუხდა ქაიხოსროს სარდალს, რა ქნას, როგორა ქნას. ამასთან დაუყოვნად, თუთ ბატონშვილის ირაკლის მახლობლები შეუზინეს მოხეიდვითა ყმაწვილს კაცს ირაკლის. ჯერ იმ დკოთურს ქალზედ ბევრი რაღაებიც უთხრეს, მას უკან ელიოზბარ ეშვალაბაშზედ: მითამ ქრისტიანებს თავის ემებს ტყველა ჰყოდდეს თხმალებზედ და ბოლო დროს ორგულება უთხრეს ელიოზბარ ეშვალაბაშისა მეფის თეიმურაზის ოჯახზედ. ამის გამო ბატონშვილი ირაკლი ისე გააჯავრეს, რომა თავგადაედულმა აღარა ქნა შერთვა იმ ქალისა. სწუხხნებები მეფე დედოფლის, მაგრამ აღარ იქნა, კედარ დაიბრუნეს ირ-

აკლის გული, რომელიცა შემდგომ ის ქალი იქმნა მონოზანი ალავერდში, სადაც მწუხარებით მოკვდა და იქვე არის და-მარხული. შემდგომ მეფე ირაკლი თურმე იტყოდა თავის ცოლ-შვილში: მე რომ ყაფლან ფალავანდიშვილის ქალი მა-მაგონდება, იმისი სიბრალული ძალიან შემაწუხებს ხოლმე, ყმაწვილი ვიყვა და ყმაწვიკაცობით შემაცდინებს, რომ ამაზედ ჯვარი აღარ დაგიწერე. როგორც შემდგომ შევიტყვ, ეს სულ ქაიხოხრო სარდლის საქმე იყო თავის შიშის გამო. მაგრამ იმ თავის უბრალო ტყუილმა შიშა გივს ამილახვარს საქართვე-ლო დაადუპინა და სომხითი ხომ სულერთიანათ გააოხრები-ნათ. სხუასაც ბევრს იტყოდა ხოლმე მეფე ირაკლი იმ ამბებ-ზედ... ახლა ამის შემდგომ გივის ამბავი მოვყვეთ, რა ქნა იმან?

როდისაც ნადირშა დარბანდს იყო და ქართველები საჭირონი აღარ იყვნენ, დაითხოვა და გივს ამილახვარს მო-სცა ვექილობა ქართლისა. წამოსული ეხენი რა მოვიდნენ მე-ფეს თეიმურაზთან, აქ გივს დახვდა ამბავი: ბატონშვილმა ირაკლიმ შენი ცოლის ძმის ვახტანგის ქალზე ხელი აიღო და იმურეთიდან მოიყვანა ო“ა მხეიძის ქალი, რომელმაცა ჯვარი დაიწერათ. გივი ამილახვარი იმისთანა კაცი არ იყო, რომ თავის ცოლის სამშობლოს დამცირება იმან მოქმინა, რომელსაცა მაშინ იმას ძლიერებაც დიდი პქონდა, თითქმის მოელს ქართლს ბრძანებლობდა. ამ დროსაც ბატონს შვილის ბაქარის (მეფის ვახტანგის შვილისა) წიგნიც მოუკიდა რუსე-თიდგან იმას და თხოვდა ერთგულობას, რომელსაცა ერე-ლეგებან იმ ქალის გაშეებასა ესეც ზედ დაერთო იმ მიზეზსა და მაშინვე განიძრახა კახეთის მეფე თეიმურაზ გადააგდოს და იმის ნაცვლად ქართლის მეფე დაჯდეს მოელს საქართვე-ლოში. ამის გამო ჯერ შეუჩნდა მეფეს თეიმურაზს, რომ ის ნადირშას გაუდგეს და ოსმალ ლეკების შემწეობით ირანნი გარეკონ საქართულოდგან, რომელიცა თუ იმ საქმეს თუ გივი შეიძლებს, ოღონდ მეფე თეიმურაზმაც ინებოს და ერთ-

ად იმოქმედონ. ამასთანავე მეფის ვახტანგის შვილს ბატო-იშვილს ბაქარსაც მეორე წიგნი მისწერა, გაფრთხილებით ჩუმათ და საქართველოს მეფედ მოიწვია.

ეს ამისთანა თათბირი მეფე თეიმურაზმა არ მოიწონა გიგისაგან და უარი უთხრა, რომელთაცა შორის ამის გამო დაითხეს სამდურავი და ბოლო დროს მტრობაც. ამ დროებში ბატოიშვილი ბაქარისაგანაც კიდევ წიგნი მოუვიდა თანხმობისა გიგნა, რომელმაცა აღარ დაიყოვნა და 11 აპრილს 1744-სა წელსა ბზობის დამეს ქ. ტფილისიდგან გაიპარა ქართლში და ამხედრდა მეფის თეიმურაზის წინააღმდეგათ. ესენი სულ რუსეთის აგენტებისაგან მოხდა. ქაიხოსრო სარდალსაც ეს უნდოდა, რომ გიგი გაიქცა. ახლა რა ქნას, როგორ მოახერხოს, რომ ელიზბარ ეშკადაბაშიც როგორმე მოიშოროს, რადგან ის არ გაჲყვა გიგს ამილახვარს და იქვე მეფეს თეიმურაზთან დარჩა. ეს მძიმეთ აწვა ქაიხოსრო სარდალს, ამისთვის რომ იმის გული თავისუფალი უნდა ყოფილიყო, საქართველოს გასერთებლად თავისუფლად ემოქმედა და საეჭო იმისი აღარავინ ყოფილიყო, რადგან ელიზბარ ეშკადაბაშისა ეშინოდა: დღეს თუ ხვალე მამასწრობს და და მაგიერს მიზამხო. ახე თურმე დიდათ ეშინოდა, რომელმაცა ამისთვეცა ლონე მოიპოვა, ნადიშასთან ერევანში ჩუმათ ბეზ-ლება დაუწეულ, რომ მითამ იმას ორგულობდეს და გიგს ამილახვარს ჩუმათ წიგნებს სწერდეს ქართლში და ეს ხომ დამტკიცებით დააბრალა ელიზბარ ეშკადაბაში ქაიხოსრო სარდალმა. ამაზე ის დიდათგ ააჯავრა უმისოთაც ის მრისხანე ნა-დიორშა, საჩქაროთ ერევანს მიაუვანინა ეშიკდაბაში ელიზბარ და გაუკითხავად თავის თვალ წინ მოაშთობინა, სადაც ქაიხოსრო სარდალიც იქ იყო და სხუა ქართველებიც ბევრნი. ამ ამბეჭა იქ დამსწრე ერთი ვინმე აღწერს... გიგი ამილა-ხვარის კურამდისინაც მივიდა ესე: შენი ცოლის ძმა ელიზ-ბარ ეშკადაბაში ქაიხოსრო სარდალმა დაახრმობინა შაპხა-დიორსათ. ელიზბარ ეშკადაბაშის დას ელდისცემით გულ

შემოუყარა და გივი ამილახვარი აპრიალდა. როდესაც გული მოიძრუნა, გივი შეუთვალი ქაიხოხრო სარდალი: „ირაკლი-საგან იმ ქალის გაშებასა და ელიზარ ეშკალაბაშის ხიჯდილსა სულ ცხირიდან ამოგადენო: მაგ შენს სომხითს ასე გავაოხრებ, ბლავანი აღარ იპოვბოდეს მანდ“ ისეც უყო<sup>1</sup>.

\*\*\*

შაპისა და მისი მოხელეების კითხვაზე, თუ რა იყო აჯანყების მიზეზი, გივი ამილახვარი პასუხობდა: „ქვეყანა ოხერ შეიქმნა და არა გამოდიოდის რაო. გელარ შევძლო სამხახური ხემწიფისა და წაველო<sup>2</sup>.

აჯანყება სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებდა და შაპის კარის შეშფოთებას იწვევდა. ამილახვარი ოსმალებს და ლეკებს დახმარებას თხოვდა და რუსეთში მცხოვრებ ვახტანგ VI-ის ვაჟის ბაქარის ჩამოვანას ცდილობდა.

გივი ამილახვრის მიერ დაწყებულ განმათავისუფლებელ ომს ყიზილბაშებმა დამსჯელი ექსპედიციებით უპასუხეს. შაპი გივი ამილახვრის აჯანყების ჩაქრობა სპეციალურად გამოგზავნილ ხანს დაავალა. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან – მეორე. ქვეყანა გვონომიკურად ნადგურდებოდა. ხანმა პირველ რიგში შიდა ქართლსა და გორს შეუტია. გივი ამილახვარი გორში არ იმყოფებოდა, ზემო ქართლის ციხეებს ამაგრებდა. გივის ეკავა სურამის ციხე და ბორჯომის ხეობაში პეტრეს ციხე. გივის მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ახალციხის ფაშა, კერძოდ, ტყვია-წამალს უგზავნიდა. ახალციხესთან სტაბილური კავშირის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა პეტრეს ციხეს ენიჭებოდა. ასევე

<sup>1</sup> წერილი შედგენილია 1867 წლის 9 მაისს თბილისში. გივი ამილახვარის გაქცევა ქ. ტფილისიდებან აღ. ჯამბ.-ორბეგლიანისა // სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბილისი, 1914, გვ. 66-70.

<sup>2</sup> პაპუნა ორბეგლიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 54.

მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა გივი ამილახვარი ცხინვალს. ამ დონისძიებების გატარების შემდეგ გივი საგვარეულო რეზიდენციაში სხვილოში დადგა.

ქართლში შპპის ნაცვალმა იმამ-ყულ-ხანმა აჯანყებულთა რიგებში განხეთქილების შეტანის მიზნით, განმდგარ თავადებთან მოლაპარაკება დაიწყო, რომელთაც მრავალ სიკეთეს დაპირდა. მან მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ზაალ როსტომის ძე ავალისშვილმა „შეაპარნა კაცნი, აიღო ციხე და გამოასხა კაცნი ამილახორისანი. შეიყვანა კაცნი თვისნი, უბოძა ხალათი ხანმა და უიმედა წყალობა ფრიადი“ კიზილბაშების მხარეს გადავიდა ვახუშტი აბაშიძე<sup>1</sup>.

ზოგიერთი თავადის აჯანყებისაგან ჩამოცილების მიუხედავად, მტერი გივი ამალახვარის ძლევას ვერ ახერხებდა. წარუმატებული იყო კიზილბაშების შეტევა სხვილოზე, არაგვის საერთოავოზე. პერიოდულ გამოხდომებს ახდენდნენ კიზილბაშები და მათი მომხრე ქართველი თავადები გორიდან სურამის მიმართულებით. მათ შეძლეს კასპის ციხის აღება.

რადგან ბრძოლებისა და აკლებისაგან ყველაზე მეტად ზემო ქართლი ზარალდებოდა, მას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებდა და მთელი კომლებით საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებში ან უცხოეთში მიდიოდა. მარტო საამილახვროდან 3 ათასი კომლი კახეთში გადავიდა. როგორც 6. ბერძენიშვილი წერდა: „ეს ყველაზედ საშიში განაჩენი იყო ქართლის ფართო საზოგადოებამ რომ გამოუტანა გადაგვარების გზაზედ შემდგარ აჯანყებას“<sup>2</sup>.

კიზილბაშებმა აჯანყების შესუსტება გივისათვის თეიმურაზ მეორის დაპირისპირებით შეძლეს. ქართლის ფეოდალები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი – გივის. რაც დრო

<sup>1</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი 6., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის ხაკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 181.

გადიოდა, პირველი ბანაკის რიგები იზრდებოდა, მეორესი სუსტდებოდა. გივი, მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოსწორების მიზნით, ქართლში ხან ოსმალებს, და ხან ლეკებს ეპატიუებოდა. ორივენი კი ქვეყანას დაუზოგავად იკლებდნენ.

1744 წლის ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ II, ხოლო კახეთისა – ერეკლე II სცნო.

შაჰმა თეიმურაზს გივის შეპყრობა დაავალა და დამსმარედ 4 ათასი კაციც გაუგზავნა. თეიმურაზმა გივის სამყოფელ სურამის ციხეს ალყა შემოარტყა, რამდენჯერმე სცადა მისი აღება, მაგრამ უშედეგოდ. ხან თეიმურაზი და ხანაც შაჰი გივი ამილახვარს სხვადასხვა დაპირებებს აძლევდნენ, მაგრამ იგი ციხიდან ვერ გამოიყვანეს. ბოლოს, როდესაც სურამის ციხის კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი ააფეთქეს, გივიმ მეფეს შეუთვალა: „ბატონი დედოფალი მობრძანდესო და იმას მივენდობით“<sup>1</sup>. მართლაც დედოფალი თამარი მივიდა, გივი ციხიდან გამოვიდა და შეფიცა: „თქვენი მოღალატე აღარ ვიყოთ“. მეფე-დედოფალიც თავის მხრივ ამილახვარს დაპირდნენ, რომ „არაფერი არც წახდებითა და არც სიკვდილით არ გიშავდეს რაო“. ამის შემდეგ გივიმ თეიმურაზს გადასცა სურამის ციხე. დედოფალი თამარი თბილისში წავიდა და გივიც თან წაიყვანა. თეიმურაზმა შაჰთან სარდალი ქაიხოსრო გაგზავნა, გივი ამილახვრის შემორიგება აცნობა და თხოვა მისი დანაშაულის პატიება.

შაჰმა ერთი პირობა თეიმურაზის თხოვნა შეიწყნარა, ხელმწიფის რაყამი უბობა, რომლითაც თეიმურაზს უბრძანა: „ამილახორი თავისის ხაქონლით შენთვის გვიბოძებიათ და მაგისი სისხლით შენთვის გვიაბეიგიათ“.

თეიმურაზ II-მ გივი ამილახვარს სახლთუხუცესობა უბობა „და განაგებ ყოველივე საქმე გელმწიფური, ვითაც ძევლთაგან წეხი ყოფილიყო ქართველთა მეფეთაგან“. მაგრამ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 96.

შემდეგ, მოულოდნელად შაპს „ებრძანა გივის ამილახორის ციხეების დაქცევა“. ბრძანების შესაბამისად დაანგრიეს სურამისა და კეხვის ციხეები. ახალდაბის ციხესა და სხვილოს ციხეში თეიმურაზის სანდო რაზმები იღგა. არ გაუვლია დიდ ხანს და მოვიდა ახალი ბრძანება გივი ამილახვარის დაპატიმრებისა და შაპთან წაყვანის შესახებ. სავარაუდოა ირანში მყოფი ამილახვრის მტერ-მოწინააღმდეგები ჩაგონებდნენ შაპს გივი ამილახვრის მიმართ რეპრესიული დონისძიების გატარებას. ფრიად შეწუხდნენ ქართლის მეფე-დედოფალი, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობა არ შეეძლოთ. გივი „ხელხუნდით“ ირანს გაგზავნეს, მაგრამ მეფის კაცს ხელმწიფესთან თხოვნა გაატანეს ამილახვარის შეწყალების შესახებ. შაპმა შეისმინა მეფე-დედოფლის თხოვნა და გივი გაანთავისუფლა. ნადირმა „ისმინა აჯა ძეფისა“<sup>1</sup> და გივის „თვეში ათი თუმანი გაუჩინა“<sup>2</sup>. მან გივი მაშინვე სამშობლოში კი არ დაბრუნა, არამედ ჯერ ხორასანში გაგზავნა<sup>3</sup>, მაგრამ არ ვიცით, რას საქმიანობდა ის ამ პროვინციაში.

9. დამთავრდა ქართლში ე.წ. გივი ამილახვარის აჯანყება, რომელიც დ. გვრიტიშვილმა დაჲყო სამ ძირითად ეტაპად და იგი ასახავს მხოლოდ ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებას<sup>4</sup>. ვვიქრობ, გივი ამილახვარის მოდვაწეობა როგორც უცხოელი დამპურობლების წინააღმდეგ მებრძოლისა უნდა გაიყოს ორ მთავარ („ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“) და რამდენიმე ქვეპერიოდად.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>2</sup> იახე თხევ ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდეგრძი // ა. იოსევლიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ხაჯ. 28, თბილისი, 1950, გვ. 13.

<sup>3</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 98.

<sup>4</sup> გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და ირანელ დამპურობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება), გვ. 131.

„ოსმალობა“:

I პერიოდი: 1723 – 1726 წწ. გივი ამილახვარი, ქართლის ზოგიერთ სხვა თავადებთან ერთად, ოსმალებს ებრძვის.

II პერიოდი: 1733 წ. გივი ამილახვარი ანტიოქმალური აჯანყების მომზადებაში მონაწილეობს; 1734 – 1735 წწ. გივი ამილახვარი იარაღით ხელში ებრძვის ოსმალებს.

„ყიზილბაშობა“:

I პერიოდი: 1742 წ. აპრილი – 1743 წლის გაზაფხული, ყიზილბაშობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, რომლის მეთაურია გივი ამილახვარი. დ. გვრიტიშვილმა აჯანყების ამ პერიოდს, სრულიად სამართლიანად, პროგრესული უწოდა.

II. პერიოდი: 1743 წ. გაზაფხული – 1744 წ. ივნისი. აჯანყების დაქვეითება. გივის მომსრეთა რიცხვი მცირდება. ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლი გივი ოსმალების აგენტად გადაიქცა.

III პერიოდი: 1744 წ. ზაფხული – 1745 წლის ზაფხული. „აჯანყებას იდეური საფუძველი გამოიყალა, მან რეაქციული ხასიათი მიიღო, იგი თავადთა ურთიერთავდამსხმელ ავანტიურად გადაიქცა“<sup>1</sup>.

6. ბერძენიშვილის შეფასებით, გივი ამილახვარის ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ: „აჯანყებულთა მხედვები ბრძოლაშ აიძულა ნადირშპი საგვარეულო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა“ აქ თანდათან „ქართველობით“ შეიცვალა“<sup>2</sup>

10. ვიდრე ნადირ-შაპი ცოცხალი იყო, საფიქრებელია, ის საქართველოში მყოფ გივი ამილახვარს ვერ ენდობოდა, მაგრამ კარგად ხედავდა და ჯეროვანად აფასებდა ამ ნიჭიერი სამხედრო და „ყიზილბაშობა“ აქ თანდათან „ქართველობით“ შეიცვალა“<sup>2</sup>

<sup>1</sup> იქნ.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს იხტორიიდან, გვ. 182. ხაზახმა ნ. ბერძენიშვილისა.

ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალია მისი გამოყენება საკუთრივ ირანში. გივი ამილახვრის საქართველოდან ირანში წაყვანით შაჰმა, ფაქტიურად ბოლო მოუდო წინააღმდეგობის კერას ზემო ქართლში – საამილახვროში, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ღონისძიებით მან განუმზაცა ხელისუფლება თემურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

გივი დიდხანს დატოვეს ირანში, სადაც მან შაჰის ნდობა დაიმსახურა იმდენად, რომ 1747 წელს ნადირმა, როგორც ა. ამილახვარი გადმოგვცემს, შესთავაზა: „გაძლევ თცდათოთხმეტი ათას ჯარის კაცს, წადი საქართველოში და სამეფოს მართვა-გამგეობა იქისრე, ხოლო თემურაზი მისი ვაჟი ირაკლიოთურთ დაიჭირე და გამომიგ ზაგნე!“ გივის, იმავე ავტორის თქმით, უარი არ უთქვამს და საქართველოში წამოსვლის სამზადისს შესდგომია. მაგრამ მისი გამომგ ზავრების წინა დამეს ნადირ-შაჰი მოკლეს<sup>1</sup>. ახალმა შაჰმა გივი კიდევ უფრო აამაღლა, „მრავალი უბოძა და რაღვან შემძლებელი კაცი იყო, უულარაღასობაც<sup>2</sup> მისცა და მაზანდარას ერთი ციხის ქალაქის გაკეთებაც უბრძანა“<sup>3</sup>. გივი ამილახვარს ირანში სახელი შეუცვალეს შაჰ-ყული-ხანი დაარქვეს<sup>4</sup>. განსაკუთრებით უნდა ადინიშნოს, რომ გივი ამილახვარმა ირანში ისე იმოღვაწა, რჯული არ შეიცვალა. პაპუნა ორბელიანი შენიშნავდა, რომ მას ირანში „ერთი დიდი პატივი ეს მიენიჭა, რომ უულარაღასობა მისცეს და სჯული გერ დააგდებინეს და გერგვე ქრისტიანობით მოვიდა ქართლში“<sup>5</sup>. იგი ძლიერ გამდიდ-

<sup>1</sup> ამილახვარი აღ., გეორგიანული ისტორია // მნათობი, 1939, №8, გვ. 136.

<sup>2</sup> ოურქულად – უული – ჯარის უფროსს ნიშნავს. პირველი უულარაღასი იყო ალავერდი ხანი უნდილაძე. ეს თანამდებობა ყოველთვის ქართველ უფლისწულს ან უერდალს ეკავა.

<sup>3</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 150.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 159.

რდა და „გამოვ ზავნა ქართლში ოქრო და ვერცხლი მრავალი თვისისა მსახურ აზნაურ-შვილთათვის და ეხებიც ხულ თვისი ძმისწულიც დავით დაეგბარებინა თავრიზს, გაიკეთეს იარაღი უოველთა ოქროსი და წაგიდნებ<sup>1</sup>. გივი არც მეფეს, დედოფალს და ქართველ დიდებულებს ივიწყებდა. მათაც უგზავნიდა საჩუქრებს. იგი არც კალესია-მონასტრებს ტოვებდა უყურადღებოდ და ისინი სადაც არ უნდა ყოფილიყო – იმერეთში თუ სამხრეთ საქართველოში, გარკვეულ შესაწირავს უგზნიდა. „ამ ქვეყნებში კისაც იცნობდა დიდრონის კაცებისათვის, ყოველთვის მრავალი ოქრო და ანუ ლარი ტურფა მიუდღენა ყოველთა ცალკ-ცალკე“.

1749 წელს მთელი ირანი ანარქიამ მოიცვა. იქ მყოფი ქართველი თავადაზნაურობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. მათ გივის თხოვეს დახმარება. „მან მიხცა ქართველთა, კის როგორ ეფერებოდა ან საზრდელი და რაც პლებულობა პქმნდათ, ყველა გაურიგა ქართველთა, გამოუძღვა ასე ლომბგულად და კაის სარდლობით მოიქცა შაჟ-ყული-ხან (გივი ამილახვარი – ე.მ.), როცა საცა მტერი აუჩნდის, რისხვა დვთისა დახცა და ეგრე ხლმის ძალით მოვიდნენ ქვეყანასა ქართლისათა... დიდი პატივის მიხცა მეფებან თეიმურაზ და მეფებნა ერეკლებ, დადგა ქალაქში და აღარ წაგიდა სამეციდროსა თვისესა და სუვერენი მდიდრობით ქალაქსა თბილისასაც<sup>2</sup>.

1752 წელს გივი თბილისის მოურავად დაინიშნა<sup>3</sup>. ოთვორც ჩანს, მას აჯანყების დროს ჩამორთმეული ზემო ქართლის სადროშოს სარდლობა და, შესაბამისად, გორის მოურავობა აღარ აღუდგინეს. თბილისის მოურავად ყოფნის პერიოდში გივიმ ქაშუეთის ეკლესია ააშენა და ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდეც. გივი ამილახვარი, პაპუნა ორბელიანის

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>3</sup> იასე თხებ ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, გვ. 17.

მიხედვით, გარდაიცვალა 1754 წელს, „რომელი იყო დიდებული და ძრიდარი კაცი და ყოველგან სახელგანთქმული“<sup>1</sup>.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ იმავე ისტორიკოსის მიერ დახასიათებული „გიგი ამილახორი, რომელსა ერქვა შაპული-ხან, მხახავთათვის სახიამოვნო იყო, დიდისა დიდებითა და გამოჩენით, ვითაც შეუფერებოდა სიძლიდრესა და სიძლიდესა მისხა... ესე იყო სიკეთე მიხი, რომელსაც სიძლიერესა ხაქმება ჩავარდის, ასე რიგად მოიყვანეს ხაქმე, რომ დიდება და პატივი არ მოაკლდის და უმაღლესსა ხარისხსა აღვიდის სიბრძნით და მხედ და ქცევით თვისთვად“<sup>2</sup>.

სხვა ვერსიით გიგი ამილახვარი გარდაიცვალა 1757 წელს.

<sup>1</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 211.

<sup>2</sup> იქმვ, გვ. 159.

## ანტონ I-ის მიერ კათოლიკობის აღიარების კოლიტიკური საზარეველი

რწმენის საკითხში ორგვარი სტანდარტი საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ქართლ-კახეთის მეფების – თეიმურაზ II-ისა და ერქელე II-ის დროს. ისინი, ქვეყნის შიგნით მართლმადიდებლობის თავგამოდებული დამცველნი, დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დროს თავს აჩვენებდნენ კათოლიკობისადმი ლოიალურად განწყობილად ან მიმდევრებად.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ წარიმართებოდა ქვეყნის, ერისა და მეფის ოჯახის წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე სულხან-საბა ორბელიანის შემდგომო ცხოვრება, სამეფო კარს რომ მისთვის ზურგი შეექცია. ამის თქმის საფუძველს იძლევა ანტონ I კათალიკოსის თავგადასავალი. ანტონს „შესწამეს“ კათოლიკობა და მისმა მოწინააღმდეგებმა, მეფე თეიმურაზის მხარდაჭერით, იგი გადააყენეს კათალიკოსობიდან, მიუხედავად იმისა, რომ მან საჯაროდ, არაერთხელ უარყო თავისი „ცოომილება“.

ანტონ I კათალიკოსი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოაზროვნე, განმანათლებელი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე. ამჯერად ჩემ მიზანს არ წარმოადგენ წარმოვაჩინო ამ უაღრესად საინტერესო მოღვაწის მრავალმხრივი დამსახურება. მხოლოდ უნდა გავარკვიოთ აღიარა თუ არა მან როდისმე კათოლიკობა. აქეთ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ კათალიკოსის მიერ სარწმუნოების შეცვლის შესახებ გავრცელებული ხმა გახდა ბიძგის მიმცემი აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკეთა დიდი დეკნისა.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ბანაკი. ერთს სათავეში ედგა ანტონ კათალიკოსი და მეორეს კი, ასევე ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, თეიმურაზ II-ის კარის

მოძღვარი, ანტონ კათალიკოსის მოწინაათმდეგე, მწერალი, კალიგრაფი, განმანათლებელი, ზაქარია გაბაშვილი, რომელიც ქართული ეკლესიის ორთოდოქსულ ფრთას წარმოადგენდა<sup>1</sup>. მათ უკან იდგა ორი განსხვავებული ორიენტაციის პოლიტიკური დაჯგუფება. რადგან ანტონი ევროპეიზმის გზას ადგა თითქოს, ამის გამო ფარულად კათოლიკური მრწამსი აღიარა. ზაქარია გაბაშვილი, მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველი, რეალურად პროირანული ორიენტაციის პოლიტიკოსთა დასაურდენად იქცა, რომელთაც არ ესმოდათ სახელმწიფოს მომავლისათვის სიახლეების დანერგვის მნიშვნელობა.

ანტიკათოლიკური მოძრაობის დაწყების ინიციატორად მართლმადიდებლურ ქვეყნებში გამოდიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, საიდანაც აგზავნიდნენ პატრიარქის ხელმოწერილ ცირკულარებს პატრების საქართველოდან განდევნის მოწოდებით. ქართლ-კახეთის სამეფოში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ანტიკათოლიკური მოძრაობის და ქართული სამღვდელოლოების ორთოდოქსული ფრთის მეთაურები – თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი და ნინოწმინდეგი მთავარეპისკოპოსი საბა.

<sup>1</sup> ლეონიძე გ., ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1949; ლეონიძე გ., გამოკვლეულები და წერილები, თბილისი, 1959; ბარამიძე ალ., ძებარიონ გაბაშვილი // ძებიჯი, თხულებანი, თბილისი, 1962; ძელი ქართველი მეხოტები, II / გამომცემელი ივანე ლოდიაშვილი, თბილისი, 1964; ცაიშვილი ხ., ძებარიონ გაბაშვილი // ქართული ლიტერატურის ისტორია, ექსტომელებული. რუსთაველის ხახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, II, თბილისი, 1966; კ. კეკელიძე, ძელი ქრისტიანი ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1981; იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა“ („კალმასობა“) / ტქებები გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა და ცოტნე იმკიდებ, II, თბილისი, 1991.

რატომ უნდა გაჩენილიყო ეჭვი ანტონის გაკათოლიკების შესახებ?

განათლებულ და მეცნიერულ ცოდნაზე დაწაფებულ პატრიარქს, ბუნებრივია აინტერესებდა ეკროპული მიღწევები. მაშინდელი საქართველოს შეზღუდულ პირობებში ეკროპული სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებთანაც კონტაქტი ჰქონდა ანტონ I-ს. ამის გამო იგი, როგორც პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელი გვაუწყებს, გარკვეული დროის განმავლობაში კათოლიკებს მფარველობდა. იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ კათოლიკეთა საწინააღმდეგოდ გამოგზავნილ წერილებს მაღავდა და წარმოგზავნილ მონოზებს ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა. იმავე პატრის გადმოცემით, ბოლოს ანტონმა კათოლიკობა მიიღო და გორის უფროსი პატრის იერონიმე ნორჩელის წინაშე სცნო კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტება. როდესაც ეს ამბავი გახმაურდა თეიმურაზ II-ზ გამოძიება დანიშნა<sup>1</sup>. კათალიკოსმა ანტონმა მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად შეცდომა აღიარა. უნდა შევნიშნო, რომ მისიონერების მიერ საქართველოს მეფეებისა და პატრიარქებისგან კათოლიკობის მიღების შესახებ რომში წერილების მიწერა, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

დევნა დაიწყო 1755 წლის 12 დეკემბერს, თბილისში. ზაქარია გაბაშვილმა და მისმა მომხრეებმა ანტონს ბრალი დასდეს მართლმადიდებელი ეკლესიდან განდგომისა და კათოლიკური სარწმუნოების მიღებაში, რაც უდიდეს დანაშაულში ბრალდება იყო. მეფე თეიმურზი არა მხოლოდ საქმის კურსში იყო კათალიკოსის წინააღმდეგ შეთქმულებისა, არამედ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ის დაინტერესებული იყო მის წინააღმდეგ სანქციების გატარებით.

<sup>1</sup> გაჩენილად კ., ერთი გურული სახულისრო ფერდალიზმის იხტოიდან, გვ. 510-511.

თეიმურაზ II-ეს უფლისწულ თეიმურაზთან (იქსე მეფის ძე) პირადი შურისძიებაც ამოძრავებდა. მას არ ავიწყდებოდა, რომ ეს უკანასკნელი ერთ დროს ქართლის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა და ქართლის უძლიერესი ფეოდალის, გივი ამილახვარის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილიბდა. ანტონი დაინიშნა კიდეც გივის ქალიშვილზე, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ნიშნობა ჩაშალა კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის დედოფალმა, ვახტანგ VI-ის ასულმა თამარმა. როდესაც იგი მეფე თეიმურაზთან ერთად ნადირ შაპთან სტუმრობდა. მას სურდა თეიმურაზისა და გივის ნათესაობა-მოკავშირეობა ჩაეშალა. თეიმურაზ II-ს თვითონ ეჭირა თვალი ქართლის ტახტზე. თამარ დეოფალმა მიზანს მიაღწია. 1736 წელს გივი ამილახვარი იძულებული გახდა შაპისათვის თვითონვე მიეგ-გვარა თავისი ასული. შეურაცხეფოფილი თეიმურაზი იმერე-თში გადავიდა და 1738 წელს გელათის მონასტერში ბერად შედგა. მას ანტონი უწოდეს. ის ჯერ გახდა გელათის მონა-სტრის წინამდღვარი, შემდეგ კი, ქუთაისის მიტროპოლიტი. 1744 წელს ანტონი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქად აირჩიეს. მის კურთხევას მხოლოდ ერეკლე II ესწრებოდა. ანტონი ერეკლეს თანამებრძოლი გახდა. ეს ურთიერთობა მათ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნება. მაგ-რამ ქართლის მეფე თეიმურაზი ანტონის, როგორც ტახტის მოცილეს მიმართ, არაკეთილისმოსურნე იყო.

1755 წ. 16 დეკემბერს მცხეთის საეკლესიო კრებამ ანტო-ნი კათალიკოსობიდან გადააყენა. მას ბრალად ედებოდა მწვ-ალებლობა, რაც მის მიერ კათოლიკობის აღიარებაში გამოი-ხატა. 1756 წ. 4 აპრილს „ანტონ კათალიკოსმა აღიარა თავი-სი ცოობა წინაშე კრებისა, მეფე თეიმურაზმა შეუმსუბუქა სახალელი და ნება მიხცა გორში წირვისა აღდგომა დღეს –

კვ აპრილს (23 აპრილი – ებ.)<sup>1</sup>. იმის სანაცვლოდ, რომ ანტონმა უარყო კათოლიკობა, იგი აღადგინეს დვთისმსახურების უფლებაში და რუსეთში გაუშვეს<sup>2</sup>. 23 აპრილს, ხუთშაბათს, წირვის დამთავრებისთანავე, ანტონი რუსეთს გაქმგზავრა, ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, ანტონი სამი დღე გორში გაჩერებულა<sup>3</sup>. პაპუნა ორბელიანი მხოლოდ ამბობს, რომ „წამრანდა კათალიკოზი ანტონი ბატონიშვილი გორიდამ რუსეთს, თვეება აპრილისა“<sup>4</sup>.

ანტონ პირველის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა რუსეთის საიდუმლო აგენტმა საქართველოში, ოთარ თუმანოვმა<sup>5</sup> (თუმანიშვილი) თავის მოხსენებით ბარათში, რო-

<sup>1</sup> თ. ქორდანია აზუსტებს თარიღს და აშნიშნავს, რომ აღდგომა 1756 წლის 14 აპრილს იყო. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 235.

<sup>2</sup> კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 374.

<sup>3</sup> ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 24.

<sup>4</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 239.

<sup>5</sup> ოთარ თუმანოვი ვახტანგ მეფეს გაჲყვა რუსეთში, მსახურობდა რუსეთის ჯარში, იყო ქართული პუსართა პოლკის კაპიტანი; იყო ასტრახანის გუბერნიის კანცელარიის ჩინოვნიკი, ხელმძღვანელობდა საგარეო დაზვერვის განყოფილებას. 1753 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. ინტერნეტ რესურსი: <http://ru.hayazg.info/%D0%A2%D1%83%D0%BC%D0%B0%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%9E%D1-82%D0%BC%D1%80>

რუსეთის მთავრობამ ოთარი 2 წლით გამოუშვა საქართველოში, ვითომდაც თავისი ოჯახის საქმეების მოსაგვარებლად. მას დაავალეს ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობის რუსეთიდან უშედეგოდ დაბრუნებით გამოწვეული უგმაყოფილობის შესწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ ელჩობა ჩავიდა მოსკოვში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა საიმპერატორო კარი და გადასცა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სიგელი. 1752 წლის 25 დეკემბერს ელჩობა მიიღო ვიცე-პანცლერმა მ. ი. ვორონცოვმა და იმავე

მელიც გაუგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას.

ოთარ თუმანოვის ცნობები შედარებით სრულია და ზოგიერთ განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს: როდესაც ცნობილი გახდა კათალიკოს ანტონის კათოლიკობაზე გადასვლის შესახებ, 1755 წლის 16 დეკემბერს ერეკლე II კახეთიდან თბილისს მივიდა, იმავე დამეს შეკრიბა საბჭო, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალი უშუალოდ ანტონისაგან შეეტყორდენად შეეფერებოდა სიმართლეს გავრცელებული ხმა და მასთან გაგზავნეს ორი არქიმანდრიტი. კათალიკოსმა აღიარა მართლმადიდებლობის დათმობა და კათოლიკობაზე გადასვლა. აღმოჩნდა, რომ ანტონს ჰყავდა მომხრე ხუთი ეპისკოპო-

---

დღეს იმპერატორ ელისაბედს წარუდგინა ქართველი ელჩების მიერ ჩატანილი „თხოვნის ფურცელი“. მეფები ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას, რათა შეექმნათ 20-ათასიანი ჯარი; გამოეგზავნათ საქართველოში განსაზღვრული რაოდენობის ჩერქეზები (ყაბარდოელები) და დონის კაზაკები; რუსეთის ხელისუფლებას აეკრძალა მისადმი მორჩილებაში მყოფი მთიელი ტომების თავდასხმები საქართველოზე. *Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения в веке, Москва, 1996, с. 128.*

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ მხოლოს თხეთმეტი თვის შემდეგ განიხილა საქართველოს საკითხი და რუსეთის საფრთხოის მდგომარეობის გათვალისწინებით მოამზადა უარყოფითი პასუხი.

ოთარ თუმანოვს უნდა შეესწავლა ქართველ ხელისუფალთა რეაქცია „თხოვნის ფურცელზე“ მიღებული უარყოფითი პასუხის გამო, შეეგროვებინა სხვა მნიშვნელოვანი ცნობები (ზოგიერთი მათგანი განხილულია წინამდებარე ნაშრომში) და ისინი გადაეცა ყიზლარის კომენდანტისათვის, რომლის საშუალებითაც ეს ცნობები რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მოხვდებოდა. ოთარ თუმანოვის შესახებ საინტერესო ცნობები იხ. *Сიციაძე ი., კაპიტან თოარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756) // თხუთმეტი, 1946, XXVII-ბ, გვ. I-32.*

სი და ერთი სომქები ტერტერა. მათაც აღიარეს დანაშაული<sup>1</sup>. ანტონი დაუყოვნებლივ გადააყენეს კათალიკოსობიდან და წირვის ჩატარების უფლება ჩამოართვეს, ხოლო ხუთი სამ-დვდელო და ერთი ტერტერა კი მეორე დღეს გაკრიჭეს. ან-ტონმა დანაშაული აღიარა, მართლმადიდებლობაზე დაბრუნ-ება გამოაცხადა და შესაბამის ფიცი დადო. გაირკა, რომ თვრამეტი თვის განმავლობაში ის იყო კათოლიკე. ამიტომ ის თვრამეტი თვით კავთისხევის მონასტერში გაგზავნეს და ამა-ვე ვადით წირვის უფლება ჩამოართვეს. ვადის გასკლის შემ-დეგ კი მას წირვის უფლებას აღუდგენდნენ, მაგრამ ის კათალიკოსი აღარასოდეს იქნებოდა. მას თუ სურვილი ექნე-ბოდა, შეეძლო საქართველოში დარჩენილიყო, თუ არა და სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. 20 დეკემბერს კათოლიკე პატრებსაც წინადადება მისცეს ქვეყანა დაეტოვებინათ. 23

<sup>1</sup> 1756 წლის 20 მარტს რუსეთის კონსული ჩერკალევსკი ენზელის პორტიდან (ჩრდილო ირანის გილიანის პროვინცია კასპიის ზღვის სანაპიროზე), თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: ენზელში ჩასულმა თბილისელი ქართველი დავით ზუგრაბოვისაგან შეიტ-ყო, რომ ქართველი პატრიარქი ანტონი გადაყენებული და გა-დასახლებულია ერთ მონასტერში პაპის (კათოლიკობის) ერესის გამო. კათოლიკობაში ის საიდუმლოდ გადაიყვანა ერთმა ქარ-თველმა თვადმა, ამილახვარმა, რომელიც, თავის მხრივ ამ ცდო-მილებაში შეიყვანეს თბილისში მყოფმა პატრებმა. მას განზრა-ხული პქონდა მთელ საქართველოში აღმოეფხვრა ბერძნული აღ-მსარებლობა და კველი მოექცია რომაულ კათოლიკობაზე. პატ-რიარქის ტახტიდან გადაყენებული პატრიარქის თანამზრახველი ეპისკოპოსები, მღვდელმონაზონები და ხომეხი მღვდელი გაკრი-ჭეს და ანათემას გადასცეს. რომაული პატრები რამდენიც იყვ-ნენ, შესვეს ვირებზე და გააძევეს თურქეთის საზღვრისაკენ, რა-თა შემდგომში არავითარი საბაბით აღარ დაბრუნებულიყვნენ საქართველოში. *Документы по истории армяно-грузинских взаимоот-ношений и общественной жизни Грузии (II пол. XVIII в.) // «Кавказ и Византия», вып. 3, Ереван, 1982, с. 233.*

რიცხვში მათ თბილისი დატოვეს. დაუყოვნებლივ მოხდა მათი ეკლესიის მართმადიდებლურ ყაიდაზე გადაკეთება<sup>1</sup>.

ოთარ თუმანიშვილის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები დაადასტურა 1756 წლის 24 ივლისს ყიზლარში დაკითხვის დროს გორელმა კათოლიკე ვაჭარმა («армянин римского закона») მანქარ სააკოგმა და ზოგიერთი ახალი ცნობაც დაუმატა: „საქართველოში გასულ 1755 წლის დეკემბერში საქართველოს და კახეთის [მეფე] თუმეურაზი ქართველ კათოლიკოს ანგონის გაურისხდა იმის გამო, რომ მან მიატოვა თავისი მართლმადიდებლური სარწმუნოება და მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რის გამო კველა კათოლიკე პატრი განდევნებს საქართველოდან და მათი კვლესიები მოაქციებ ბერძნულ ეკლესიებად, ასევე იქ მცხოვრებ საქართველოს კათოლიკური სარწმუნოების კველა სომებს აიძულებენ მიიღონ მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამის გამო მრავალი გაიქცა, ხოლო კათალოკოსი გადაახახდებ ხოველ კავთისხევში, სადაც იცხოვრა რა მცირებანს გადავიდა დაბა გორში. იმერეთის მეფისგან მოვიდა თხოვნა, რომ [ანგონი] მასთან გაეგზავნათ, რადგან ის მიხი ახლო ნათესავ იყო, მაგრამ ქართველმა მეფემ უარი უთხრა და კათალიკოსს უბრძანა მოხკოვში წახვდა...“<sup>2</sup>

1757 წლის 17 მარტს ანგონ I რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პირველისთვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საქართველოდან თავისი გაძევების მიზეზებს იმ საეკლესიო რეფორმებით ხსნიდა, რომლებიც მან გაატარა 1744-1749 წლებში. მე თავადებს ცოდვებისაგან თავშეკავებას ვთხოვდი, რასაც ისინი ვერ ეგუებოდნენ. შემდეგ ტახტიდან ჩემი გადა-

<sup>1</sup> ცინცაძე ი., კაპიტან ოთარ თუმანიშვილის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756) // თხუ შრომები, 1946, XXVII-ბ, გვ. 24.

<sup>2</sup> ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942, ნაკვ. IV, გვ. 20.

უენება მოინდომეს, მაგრამ ამ სურვილის აღსრულება უმიზე-ზოდ ვერ შეძლეს, ბრალი დამდეს და გადამიწყვიტეს წავსუ-ლიყავი იქ, სადაც მომესურვებოდა. ვინც ეხლა საქართვე-ლოში, კ. ი. ქართლში მეფობენ (გულისხმობდა ოეიმურაზ II-ეს) ჩვენი ტახტის მემკვიდრეები არ არიან. ქართლი პაპაჩემსა (ვახტაჟგ VI) და ჩემ გვარს (ბაგრატიონების მუხრანბატონთა განშტოება) ეკუთვნის. მართალია მე ბერი ვიყავი, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც მუდმივად მონასტერში ცხოვრობს; ყველა თავადი და პატივცემული ადამიანი, აღზრდილნი ჩემი ბიძისა და მამაჩემის მიერ, როდესაც ისინი ნაწყენი იყვნენ, მე მომმართავდნენ და ყოველთვის ვამშვიდებდი იმდენად, რამ-დენადაც ჩემი წოდება ამის უფლებას მაძლევდა. მეფემ ამის მოომენა და ატანა ვერ შეძლო და მოინდომა კათალიკოსის ტახტიდან ჩემი გადაყენება. მან გამოძენა მიზეზი და ტყუ-ილ-უბრალოდ ცილი დამწამაო<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ ანტონი მისთვის წაყენებულ კონკ-რეტულ ბრალდებას (კათოლიკობის აღიარებას) არც კი ასა-ხელებს. ალბათ, მას ბრალდება იმდენად აბსურდულად მი-აჩნდა, რომ მისი გახსენებაც კი არ უნდოდა, თუმცა იმპე-რატრიცა მის შესახებ საკმაოდ ინფორმირებული იყო საქარ-თველოდან და სასაზღვრო ზოლიდან გაგზავნილი მოხსენე-ბებიდან, რომლებსაც ქვემოთ გავცენობით

იმპერატრიცას ანტონის უდანაშაულობაზე სწერდა მი-სი ძმა, იქსე მეფის ძე ალექსანდრე, რომელიც ისე შეავიწ-როვეს, რომ იძულებული გახდა თავისი ძმის გზას დასდგო-მოდა და ისიც რუსეთში გადასულიყო<sup>2</sup>.

1756 წ. აპრილში რუსეთს მიმავალი ანტონი გორს ეწვია და აღდგომა დღეს გორის ეკლესიაში (იგულისხმება მართლ-მადიდებლური ეკლესია) წირვის უფლება მისცეს<sup>3</sup>. ის გაჩერ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 109.

და კათოლიკების ეკლესიასთან ბერების სახლში. მისმა ასე-  
ვთმა მოქმედებამ ძლიერ ააღელვა ქალაქის სამდგრელოება.  
ანტონმა თავი იმით იმართლა, ნაავადმყოფარი ვარ და, რად-  
გან გორში ამაზე უკეთესი სახლი არ არის, აქ გავჩერდიო<sup>1</sup>.  
ანტონით უგმაყოფილო გორელებმა მეფეს წერილიც კი გა-  
უგზავნეს<sup>2</sup>.

საინტერესოა, რატომ ითხოვა ანტონმა გორში ეჭირა  
ადდგომა დღეს? სავარაუდოა, ანტონს სურდა გამომშვიდე-  
ბოდა თავის ყოფილ თანამოაზრებს – გორელ კათოლიკებს.  
პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტონელის მოხსენებიდან  
ირკვევა, რომ ანტონს კათოლიკობა გორში მიუღია: „ამ კათა-  
ლიკოზმა (ანტონმა – ე.მ.), დვინის მადლით აღძრულმა, ბოლ-  
ოს მიიღო რომის წმიდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის  
გორის უფროხი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა  
კათოლიკე სარწმუნოება“<sup>3</sup>.

1756 წლის განჩინებაში გვითხულობთ: „ქ. ჩვენ ცხებულ-  
მან მეფემან საქართველოსმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან  
მეფემან კახეთისამან ირაკლიმ ესე აღთქმა და პირი დავამზტე-  
იცეთ და უცვალებლად დავდევთ კრებასა შინა. ვპოვთ ან-  
ტონი კათალიკოზი რომაულთა სარწმუნობათა აღმხარებდლად  
და ჩვენთა სარწმუნოებათა შეურაცხ მქნელად, ამას ზედა  
შეიკრიბენით... ვამხილეთ მისი ბოროტი ცოომილება სარ-  
წმუნოებისა აღსარება დაამტკიცა; ესე აწ შეკრებულმან წმი-  
დამან კრებამან უგულებელ პყო და ანტონ კათალიკოზი სა-  
მოციქულოსა საყდრისა და კათოლიკე ეკლესისაგან ჯეროვ-

<sup>1</sup> ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 57.

<sup>2</sup> ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის  
ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 24.

<sup>3</sup> თამარაშვილი გ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,  
გვ. 373.

ნად აღვეფხვართ და კათალიკოზობისაგან განვაყენეთ<sup>1</sup>. მიუ-  
ხედავად „მხილებისა“, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია-  
ში წარდგენილ მოხსენებაში ანტონი აღნიშნავდა, რომ მტრე-  
ბმა ცილი დამწამეს და ამის გამო ჩემი თანამდებობიდან გა-  
დამაყენესო<sup>2</sup>. ამგვარად, ანტონმა რისი უარყოფაც საქართვე-  
ლოში ვერ გაძედა, იმას დაბეჭიოთებით უარყოფდა რუსეთში.

მიუხედავად „მხილებისა“, რუსეთის საგარეო საქმეთა  
კოლეგიაში წარდგენილ მოხსენებაში ანტონი აღნიშნავდა,  
რომ მტრებმა ცილი დამწამეს და ამის გამო ჩემი თანამ-  
დებობიდან გადამაყენესო<sup>3</sup>. ამგვარად, ის საერთოდ უარყოფ-  
და რაიმე კავშირს კათოლიკობასთან. ანტონ I რომ სიმა-  
რთლეს ამბობდა, მან კიდევ ერთხელ განაცხადა სულხან-  
საბა თობელიანისადმი მიძღვნილ იამბიკოში.

შეუძლებელია იმის მტკიცება ან უარყოფა რამდენად  
გულწრფელი იყო ანტონ კათალიკოსი, როდესაც იგი პატ-  
რების წინაშე გულმხერვალე კათოლიკე იყო, ან მაშინ, რო-  
დესაც საეკლესიო კრებას მართლმადიდებლობისადმი ერთ-  
გულებაზე ელაპარაკებოდა. ერთი რამ ცხადია, რომ მაშინ  
როდესაც მას თავი ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ  
მიაჩნდა და, შეიძლება, ტახტის დაკავების იმედი პქონდა, მას

<sup>1</sup> ქათარია მ., XVIII საუკუნის ქართული ხაზოგადოებრივი აზროვ-  
ნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარილი მემკვი-  
დრეობა), თბილისი, 1977, გვ. 17. ანტონ I-ის მხილებასა და მის  
დასჯაზე იხ. პატრი ჯულიო ბონავენტურას რომში გაგზავნილი  
მოხსენება. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა  
შორის, 373-375.

<sup>2</sup> ციხცადე ი., რამდენიმე ახალი ცნობა ქართლის მე-18 საუკუნის  
ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორი-  
ოსათვის, ნაკვ. VI, თბილისი, 1942, გვ. 60-61, 85, 98; მიხილე, 1783  
წლის მფარგველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 95.

<sup>3</sup> ციხცადე ი., რამდენიმე ახალი ცნობა ქართლის მე-18 საუკუნის  
ისტორიისათვის, გვ. 22; მიხილე, 1783 წლის მფარგველობითი ტრაქ-  
ტატი, თბილისი, 1960, გვ. 95.

პატრებთან ურთიერთობით სურდა ხაზი გაესვა ქართლის მეფების იმ ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისადმი, რომელიც მათ უკროპის მიმართ პქონდათ ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ. მას სურდა პატრებისა და რომის პაპების საშუალებით გზა გაეკვალა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისკენ. მას ასეთი აღიარება და მონანიება რომ გაეკეთებინა რუსეთის ხელმწიფის წინაშე, მაშინ მას რუსეთში დარჩენის უფლებას არ მისცემდნენ.

ანტონ I, თეიმურაზ მეორისა და მისი კარისკაცების გაგებით, „დამნაშავე“ იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მის გარშემო თავს იყრიდნენ, როგორც თვალი წერდა, ქართლის განაწყენებული დიდებულები, რაც არყევდა თეიმურაზის ტახტს. მეორეც, ანტონ I-ის დასავლეთ ევროპაზე გასვლა მიუღებელი იყო კახეთის ბაგრატიონებისათვის, რომლებსაც ტრადიციულად თვალი მიპყრობილი პქონდათ რუსეთის ან ირანისკენ. თეიმურაზ მეორეც კახეთის ბაგრატიონებიდან იყო.

საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება ანტონ I-ის მიერ კათოლიკობის მიღებასთან დაკავშირებით შემოგვთავაზა პ. გაჩეჩილაძემ. მისი ფიქრით, შესაძლებელია ანტონმა კათოლიკობა მიიღო იმიტომ, რომ ამ სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა პქონდა ევროპასთან საურთიერთოდ. მის მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა განარისხა მეზობელი მუსლიმანური ქვეყნები და უკავიოფილო დარჩებოდა რუსეთიც. თეიმურაზ II-ის ფიქრით, რადგან ევროპიდან დახმარების იმედი არ იყო, რუსეთი რატომდა უნდა დაეკარგათ. გადაწყდა მისი თანადგომის მოსაპოვებლად, პ. გაჩეჩილაძის აზრით, პროზელიტიკათალიკოსი დაესაჯათ. „ამიტომაც ანტონი არ ერიდება თხოვნის წერილების გაგზავნას თეიმურაზ II-სთან, ზაქარია გაბაშვილთან, რუსეთის სიხოდში უველავაირად ცდილობს, უარყოს კათოლიკობა (იგი ხომ საქართველოს კათოლიკოსი იყო!) და თავი გაიმართოს, რომ რუსეთს უჭირო კი არ შეგაროს იმაში, რომ საქართველო რუსეთის გვერდის ავლით ევროპას დაუკავშირდება. ანტონის მცდელობამ უქმად

არ ჩაიარა. საქართველოშიც პოლიტიკური კითარების შეცვლის შემდეგ და მაშინ, როდესაც თეიმურაზ II უკვე აღარ არის ცოცხალი, ერეკლე II-ს პალავ ჩამოჰყავს ანტონი და მას ისევ უბრუნებს კათალიკოსის წოდებას. რუსეთთან ურთიერთობას საქართველოს კათალიკოსის გაკათოლიკება ჩრდილს კერ აუკრებს<sup>1</sup>.

დამოწმებულ ციტატაში გატარებულია ისეთი აზრი, თითქოს ანტონ I თეიმურაზ II-სთან და კათოლიკობის სხვა მოწინააღმდეგებთან შეთანხმებული იყო და რუსეთს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ერთგულება პატრიარქის მხილებით და ყველამ თავისი როლი კარგად გაითამაშა. მაგრამ მოხმობილი დოკუმენტური და ნარატიული წყაროები ნათელს ხდის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ თავისი აგენტების (თუნდაც ოთარ თუმანიშვილის მოხსენებებით) და ანტონ I-ის წერილებით მშენინებრად იცოდა რა ხდებოდა ამ უკანასკნელის საქმესთან დაკავშირებით. მათ იცოდნენ, რომ ანტონ I-ის საქმე „შეკერილი“ იყო პოლიტიკური (თეიმურაზს ანტონი სავსებით სამართლიანად ტახტის პოტენციურ პრეტენდენტად მიაჩნდა) და არა სარწმუნოებრივი მიზეზით. ამიტომ იყო, რომ საქართველოს შერისხულ კათალიკოსს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით რუსეთში პრობლემები არ შეუქმნეს, რაღაც სრულიად გასაგები იყო ის პოლიტიკური სარჩელი, რის-თვისაც ანტონ I ქვეყნიდან გააძვევს, ამიტომ ჩააბარეს მას ვლადიმირის ეპარქიის ხელმძღვანელობა.

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1763 წელს ერეკლე II-მ რუსეთიდან დაბრუნა ანტონი. საეკლესიო კრებამ ის კვლავ აირჩია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

მაგრამ ერეკლე მეფისა და კათოლიკოს ანტონის შერება და ქვეყნის შეთანხმებულად მართვა რუსეთში უსიამო-

<sup>1</sup> გაჩეჩილია კ., ერთი ფურცელი სახულიერო ფერდალიზმის ისტორიიდან, გვ. 522.

ვნო აზრებს წარმოშობდა. მათთვის ძნელი იყო იმის დაშვება, რომ კათოლიკობის ბრალდებით დასჯილ და ქვეყნიდან გაძევებულ კათალიკოსს კვლავ აღაღგენდნენ და სულიერების სადაცებს მიანდობდნენ. ერეკლე II-ის ამგვარმა მოქმედებამ ეჭვი გაუჩინა ეკატერინე II-ს. მან 1768 წლის 28 ნოემბერს უბრძანა საგარეო საქმეთა კომისიას მიეწოდებინათ ცნობები საქართველოს შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მესვეურებმა, ამის შესახებ საქმაოდ დაკონურად მოახსენეს იმპერატრიცა ეკატერინე II-ს იმავე წელს. იმპერატრიცამ თავის ბრძანებაში მუხლობრივად ჩამოაყალიბა ის საკითხები, რომლებიც მას აინტერესებდა. ერთ-ერთ მუხლში მას აინტერესებდა: „რამდენიმე ხნის წინათ გავრცელდა ხმა, რომ ერეკლე მიიღო კათოლიკური ხარწმუნოება, არსებობს რაიმე ხარწმუნო ცნობა?“ – ითხოვდა პასუხს იმპერატრიცა<sup>1</sup>.

კოლეგიამ, მართლაც, მოიძია საინტერესო მასალები ზოგადად საქართველოს, კერძოდ კი, ერეკლეს და მისი შვილების სარწმუნობრივი ორიენტაციის შესახებ.

კოლეგია დაინტერესდა პირველ რიგში გაერკვია ერეკლე მეფის შვილების აღმსარებლობა, რამდენად მტკიცედ იდგნენ ისინი მართლმადიდებლობაზე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რაიმე ინფორმაცია კათოლიკობისადმი მათ დამოკიდებულების შესახებ კოლეგიას არ გააჩნდა.

მოხსენების შემდგენლებს ერეკლე მეფის მიმართ უნდობლობის საფუძველი მისცა მისმა კეთილგანწყობამ ერთდროს ხელისუფლებისა და ეკლესიის მიერ აღმსარებლობის გამო დევნილი ანტონისადმი. კოლეგიისათვის ცნობილი იყო, რომ კათალიკოსი, რომელიც ერეკლეს ნათესავი (თემიშრაზ II-ის დისმეტილი, ერეკლე II-ის მამიდაშვილი) იყო, ამხილეს კა-

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები XVIII ხაუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველო ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I. რუსეთ-ურკეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბილისი, 1988, გვ. 288-289.

თოლიკური სარწმუნოებისადმი ლოიალობაში. მართალია მან ბრალდება უარყო, მაგრამ იძულებული გახდა ეთხოვა თავ-შესაფარი რუსეთში. ის იქ დარჩა თემურაზის გარდაცვალუ-ბამდე, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ისევ აღადგინეს პატრიარქის ტახტზე. კოლეგის აზრით ანგონი საქარ-თველოში ვერ დაბრუნდებოდა ერეკლეს ნებართვის გარეშე და ვერც პატრიარქის კათედრას დაიკავებდა. ყოველივე ეს საგარეო საქმეთა კოლეგიაში ეჭვს იწვევდა, როგორც პირა-დად ერეკლეს ერთგულება მართლმადიდებლობისადმი, ისე ბატონიშვლების აღმსარებლობა. კოლეგიამ ეკატერინე II-ს მოახსენა შემდეგი:

„რამდენი ვაუ ჰყავს საქართველოს თანამედროვე მფლობელს, ერეკლეს ბერძნულ აღმსარებლობაში მტკიცედ, ან სხვა აღმსარებლობაში კოლეგიაში არ იციან.

მაგრამ ეჭვს აჩენს ქვემოთ აღნიშნული შემთხვევა, რომელმაც შეიძლება გააჩინა კათოლიკურ აღმსარებლობისა-დმი მიღრეკილება. საქართველოს პატრიარქი, ანუ კათოლიკო-სი ანგონი ახლო ნათესავი, დისტული საქართველოს მფლო-ბელის, თემურაზის, მხილებულ იქნა რომაული აღმსარებლ-ობის მიღებაში, გადააჭერეს თავის თანამდებობიდან, მიუხე-დავად იმისა, რომ მოინანია. ხოლო, როდესაც [რუსეთში] ჩამოვიდა, განაწევს ვლადიმირის არქიეპისკოპოსად. აქ დარჩა მხროლ თემურაზის სიკვდილამდე, შეძლებ კი დაბრუნდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მისი განდევნის უმთავრესი მიზეზი იყო ერეკლე. ორჯიელი ამას ვერ შეძლებდა, თუ არ მოიპყებდა ერეკლეს კუთილგანწყობას. ნაწილობრივ ამის გამო ჩნდება ზოგიერთი საბაბი გამოც-ნობილ იქნას ერეკლეს აზრების ცვლილება“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия отно-  
сящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 года / Под редакцией А. А.  
Цагарели, С. Петербург, 1891, с. 12.

\*\*\*

ანტონი ვლადიმირის ეპარქიას ხელმძღვანელობდა 1757-1762 წლებში. ეს პერიოდი მან უაღრესად ნაყოფიერად – რუსული და ლათინური ენების გასაღრმავებლად და მეცნიერებების შესასწავლად გამოიყენა.

აქ გაეცნო იგი თანადროულ ეფორულ საღვთისმეტყველო, ისტორიულ და საბუნებისმეტყველო ლიტერატურას. გაამდიდრა ქართული მწერლობა ახალი თარგმანებით. მის განსკუთრებულ ინტერესს იწვევდა სახელმძღვანელოები, რომელთა სწავლება აუცილებლად მიაჩნდა ქართველი ახალგაზრდობის თვალსაწიერის გასაფართოებლად. ანტონის მიერ ერეკლესადმი რუსეთიდან გამოგზავნილი წერილებიდან გამოსჭივის უმაღლესი პასუხისმგებლობა საეკლესიო პირისა საკუთარი ქვეყნის მომავლის წინაშე,

რუსეთში ყოფნის დროს ანტონს არ შეუწყვეტია ერეკლესთან მიმოწერა. ერეკლე მეფეც სისტემატურად უგზავნიდა მას წერილებს. 1762 წელს თეიმურაზ II გარდაიცვალა. ერეკლემ ანტონი თავისთან მოიწვია. ანტონი სინოდის თანხმობით განთავისუფლდა ვლადიმირის ეპარქიიდან და მიიღო სამშობლოში დაბრუნების უფლება და დაბრუნდა კიდეც, 1764 წელს.

\*\*\*

ანტონ I-ის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზაქარია გაბაშვილმა გააჩადა ბრძოლა მეფისა და კათალიკოსის წინააღმდეგ. მის შესახებ საინტერესო ცნობებია ერეკლე II-ის წერილში ყიზლარის კომენდანტისადმი. ერეკლეს წერილი დაიწერა მაშინ (1767 წ. 20 დეკემბერი), როდესაც ცნობილი გახდა ზაქარია გაბაშვილის რუსეთში გაქცევის შესახებ. მეფე ერეკლე წერს, რომ 1764 წლის 18 ოქტომბერს საეკლესიო კრებამ თბილისში ზაქარია დაწყევლა და ღირსება აჰყარა. ზაქარია დააპატომრეს სარწუნოების „გარყვნის“ ბრალდებით. 1767 წელს ის გაიქცა და ყიზლარში ჩავიდა. ერეკლე II სოხ-

ოვს ყიზლარის კომენდანტს, რომ მან არ მიიღოს ზაქარია „ვითარც ქრისტიანი“<sup>1</sup>.

მევე ერგალეს წერილის მიღებისთანავე ყიზლარის კომენდანტმა, გენერალმა პოტაპოვმა მოისმინა ზაქარია გაბაშვილის საჩივარი, ყიზლარის საკრებულო ეკლესის დეკანოზის, ქართველი თარჯიმანის გაბრიელის მეშვეობით. მან იმავე დროს მიიღო ანტონ კათალიკოსის წერილიც, რომელიც შედგენილი იყო იმავე წელსა და რიცხვში, რომლითაც იყო დათარიღებული მეფის წერილი. კათალიკოსის აღრესატი იყო ყიზლარის სასულიერო მმართველობა. მასში ზაქარია აღნიშნავდა ეპისკოპოსების მიერ მისი დაწყევლისა და მზაკვრობისათვის მდგდლობიდან გადაყენების, ანათემაზე გადაცემის შესახებ 1764 4 წლის 18 ოქტომბერს. წერილში ხაზგასმული იყო, რომ ზაქარიამ შესცოდა მეფისა და არქიმწყემსთაგრების წინაშე. კათალიკოსი ითხოვდა არ მიეცათ მისთვის მდგდელმსახურების უფლება<sup>2</sup>.

ზაქარია გაბაშვილმა ასტრახანისა და სტავროპოლის ეპისკოპოსს მეთოდეს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო მის მიერ გადატანილი ტანჯვის შესახებ, რომელიც მას მიაყენა ანტონ პირველმა და მის მიერ შეთხულმა წიგნმა. ზაქარიას მხედველობაში ჰქონდა ანტონის თხზულება – „მიწყალეს ანუ 50 სინანულისა ფსალმუნისა თარგმანი“, რომელშიც, მისი აზრით, გამოყენებულია დათინთა და პაპის ცრურწმენა და ერესი, რომ სული წმინდა გამოდის მამიდან და შვილიდან, რომ ერთიანია წმინდა კათოლიკური საკრებულო ეკლესია, იგი არის ქრისტეს საპატარძლო, რომ ადარ არსებობს იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის ეკლესიები და არსებობს

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები XVIII ხაუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 256-257.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 257-258.

მხოლოდ რომის ეკლესია და სხვ. ზაქარიას ბრალდებები მეფისა და კათალიკოსისადმი შედგება 7 მუხლისგან<sup>1</sup>.

პოტაპოვმა 1767 წლის 7 დეკემბერს ასტრახანის ეპისკოპოს მეთოდეს მიმართა წერილით, რომელშიც ეკითხებოდა: როგორ მოპყრობოდა ზაქარია ხუცესს, ხომ არ აჯობებდა იგი გაეგზავნა ასტრახანში რათა ეპისკოპოსისათვის პირადად მიეცა ახსნა-განმარტება. ეპისკოპოსმა მეთოდემ თავის მხრივ მიმართა მოსკოვის სინოდის კანტორას, ხოლო ამ უპანასგნელმა 1768 წლის 25 ივნისს მთელი მასალა გადუგზავნა სინოდს პეტერბურგში. სინოდი შეშფოთებული იყო ანტონ კათალიკოსის თხზულებით და საგარეო საქმეთა კოლეგიას მიმართა, რათა მას მოეთხოვა ერეკლე მეფის ახსნა-განმარტება ხუცესი ზაქარიას დანაშაულზე. ამას გარდა, ეპისკოპოს მეთოდეს დაევალა ანტონის თხზულების რუსულ ენაზე თარგმნა და იმის დადგენა რაში მდგომარეობდა ბერძნულ-რუსული ეკლესიისგან მისი განდგომა. მეორე მხრივ, დაკვირვებოდნენ ზაქარიას, არის თუ არა იგი მართლმორწმუნე და დაეტოვებინათ უფლის ფერიცვალების მონასტერში ზედამხედველობის ქვეშ, რათა არ გაპარულიყო. შესაბამისი ბრძანება გაეგზავნა ეპისკოპოს მეთოდეს 1768 წლის 14 აგვისტოს.

საგარეო საქმეთა კოლეგიამ ვერ გაბედა ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში და იმაგვ წლის 26 დეკემბერს აცნობა სინოდს, რომ ერეკლე მეფის და კათალიკოს ანტონის პასუხი მიიღო გენერალმა პოტაპოვმა და განმეორებით მოთხოვნის გაგზავნა არამიზანშეწონილად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ მათ შეიძლება არ უპასუხონ კოლეგიას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 264-269.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 257.

რუსეთიდან დაბრუნებისთანავე ანტონი კვლავ დიდი მონ-  
ღომებით შეუდგა შეწყვეტილი საქმის გაგრძელებას. უპირველეს  
ყოვლისა, მან გასწია უდიდესი ორგანიზაციული სამუშაო –  
აღადგინა ეკლესის დარღვეული აღმინისტრაცია და დაფანტული  
ქონება, მკაცრი კონტროლი დააწესა შიდა საეკლესიო  
დიციპლინაზე, განაახლა სტამბა, გახსნა საეპარქიო სკოლები და  
ორი სასულიერო სემინარია თბილისა და თელავში,  
ჩამოაყალიბა ახალი საეკლესიო სასამართლო – დიგასტირია.

ანტონ კათალიკოსი იყო მეფე ერეკლეს უახლოესი თა-  
ნამზრახველი და უშეალოდ მონაწილეობდა ერეკლეს პო-  
ლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელებაში. 1771 წლის  
ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლემ ანტონ  
კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი პეტერბურგში გაგზავნა  
დიპლომატიური მისით. ელჩებს ერეკლე მეფის წერილი  
მიჰქონდათ, რომელშიც ერეკლე, რუსეთ-თურქეთის მიმდინარე  
ომის ფონზე, კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებდა და ამავე დროს  
აყალიბებდა უმთავრეს პირობებს ქართლ-კახეთის სამეფოს  
რუსეთის მფარველობაში შევანის შემთხვევისათვის. ამ ელჩობას  
საქართველოსათვის კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა  
მის მიერ რუსეთის მთავრობისათვის მიწოდებული მასალა  
მომავალში საფუძვლად დაედო 1783 წლის ტრაქტატს. 1774 წელს  
ანტონ კათალიკოსი საქართველოში დაბრუნდა.

თბილისის და თელავის სასულიერო სემინარიები სახელმ-  
წიფო ტიპის სასწავლებლები იყო, რომლებიც სამეფო ხაზი-  
ნიდან ფინანსდებოდა. სწავლება აგებული იყო მოსკოვის სლა-  
ვურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის პროგრამით. აქ ისწავლ-  
ებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, ფილოსოფია, ლოგიკა და  
სწავლების პროცესში ფართოდ დაინერგა სქოლასტიკური  
მეთოდი. ანტონს შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის  
დაარსების პროექტიც თბილისის, გორისა და თელავისათვის.

## პათოლიკონისადმი სხვადასხვა მიღებობა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში

XVIII საუგუნის 50-ან წლებში ანტონ I კათალიკოსის მიმართ გატარებული რეპრესიული ღონისძიება იყო ერთი რგოლი იმ ანტიკათოლიკური გამოსვლებისა, რომლებიც დაიწყო 1740-იანი წლებიდან. 1742 წელს სომხებმა თბილისიდან განდევნეს კაპუცინები და მათი ეკლესია და სახლი დაისაკუთრეს. თბილისში კათოლიკების დარბევის შესახებ რომის პაპ ბენედიქტე XIV-ს ამაღლებებელ ფერებში აუწყებდა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ X ხერხეულიდე (1741-1744): „... როგორათაც უწინ, ძველი დროდგანვე, ჩვენი ქვეყანა თქვენ გემორჩილებოდათ, მსგავსადვე ჩვენც კვალად თქვენის კურთხვისა და მადლის ძქადაგებელნი ვართ. თუმცა კი ზოგიერთმა ჩვენის საქართველოს პატრიარქმა თქვენდამი ჯეროვნად მისაგებელი მორჩილება დაივიწყა, ხოლო გევედრები, მათ ნუ დამადარებოთ, რადგან მორჩილი და მზად ვარ კველა თქვენი ბრძანება აღვასრულო. კარგა ხანია, რაც თქვენი პატრი კაპუცინები აქ ჩვენს საქართველოში იყვნენ, მეც განსაკუთრებული სიყვარულით ვეყორობოდი და მათთვის ყოველი სიკეთის და ბედნიერების მოპოებას ვნატრობდი, მეტადრე ამ მოკლე დროს სამი ანუ ოთხი თვის განმავლობაში, რა უამს მიიცვალა დომენიკი<sup>1</sup> და მის ადგილს პატრიარქის დირსება მე მომეცა; მაშინვე შევუდექი მათთვის კველა სიკეთე და ბედნიერება მომეპოვებინა. მავრამ ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება ხომხებმა არ დამაცალებ, რადგან ისინი ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთი ნებისეაებრ ბატონობენ. თქვენი პატრი კაპუცინები დაამწყვდიეს, ვგოდებად ჰგვემეს და დააწყლებულეს, უარესის ქმნა აღარ შეიძლებოდა. გაუპატიურეს წმიდა ხატები და ჯვრები თქვენი გაკლებისა,

<sup>1</sup> დომენიკი IV კათალიკოსი.

შემდგომ თვით გაკლებია და სახლიც ჩამოართვებს და თვით მიითვისებს, კაპუცინები ამ პროცენტიაში აღარ დააყენებს, არამედ უწყალოდ აქედან განდევნებს. ამ უწყალო დევნებლობაში უფრო დიდათ სამწუხარო ჩვენთვის ის შეიქმნა, რომ ჩუქნის თვალით ენახეთ, როგორ დაიჭირებს კათოლიკები თუ მამაკაცები და თუ დედაკაცები, თუ რანაირად შეურაცხეულებს: ქონება ხულ წართვებს და ძალით კათოლიკე სარწმუნოებას და თავიანთ მშობლებს განაშორებს. აწ ყველა ქართველნი უმდაბლესად გვევდრებით, რათა ამ პროცენტიას თქვენი ხელი არ ააღოთ და უკაფუცინებოდოდ არ დაგვეტოვოთ. დგომის სიყვარულისათვის შეგვეწიეთ, ნუ მიუშვებთ, რომ ეგოდენი ხალხი წარწმდებს, ნურც ჩაუგდებო თქვენს შეძნილს ერს გაცოფებულ ურწმუნოებს... ხევა დანარჩენ ჩვენს ამბავს მოგახსენებენ თქვენივე პატრები. კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ<sup>7</sup>.

თბილისიდან განდევნილი კაპუცინები ახალციხეში მივიდნენ და იქიდან მაისში პატრი ნიკოლა ბორგოელი რომში გაგზავნეს. ნიკოლა გზაში ავად გახდა და კონსტანტინოპოლიში მისულმა 1742 წლის მარტის დამლევს რომში წერილი გაგზავნა. ის წმიდა კრების წინაშე მოხსენებით გამოვიდა 1743 წლის 23 სექტემბერს და ისაუბრა კათოლიკების არასახარბიელო მდგომარეობაზე ქართლში.

პატრიარქ ნიკოლოზის წერილისგან განსხვავებით ნიკოლო ბორგოელის მიერ რომში გაგზავნილ წერილში ნათლადადა გადმოცემული კერძოდ ვინ აიკლეს აღშფოთებულმა სომხებმა. ნიკოლა წერს: „გარდა ამისა, შეუბრალებლად და უწყალოდ გალახეს ყველა სომხის კათოლიკები, რომელთაც მოინდომეს მტკიცედ დარჩენა წმიდა კათოლიკე სარწმუნოებაში... ეს არ აქმარეს, არამედ ბევრის ცემის შემდეგ აღვიარე-

<sup>7</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 52-53. ანალოგიური შინაარსის წერილები გაუგზავნიათ რომში ამილახვარს და ორბელიანს. იქვე, გვ. 358-360.

ბინეს ევტიქეს შემცდარი სარწმუნოება და აწყევლინეს პაპი წმიდა ლეონ დიდი... ტფილისში დარჩენ ქართველი ქათოლიკები, რომლების წინააღმდეგ სომხების მუხანათობრიგმა სიცოფეზ გერაფერი გააწყო...”<sup>1</sup>

ანალოგიური შინაარსის წერილები რომში გაგზავნეს ამილახვარმა (სავარაუდოა, ეს იყო გივი ამილახვარი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებას. არ გამოვრიცხავ, რომ აჯანყებულ ამილახვარს კაპუცინების და მათი მრევლისადმი თანაგრძნობის გამოცხადებით რომის მხარდაჭერის მოპოვება უნდოდა) და ორბელიანმა. სამივე წერილიდან ყურადღებას იპყრობს სომხების მიერ კათოლიკებზე შეტევისათვის ქართლის სამეფოში პოლიტიკური კრიზისის პერიოდის შერჩევა, კერძოდ ის დრო, როდესაც ირანელების ძალადობამ გამოიწვია სერიოზული აჯანყება გივი ამილახვარის მეთაურობით. როგორც წერილები მიგვანიშნებენ, სომხები ირანელების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი: „ისინი [სომხები] ახლა ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთი ნებისმებრ ძატონობენ“<sup>2</sup>; ამილახვარი: „გარნა ამ საქართველოს პროვინციაში სომხებმა გაიმარჯვეს“; ორბელიანი: „1742 წ. სომხებმა ჩვენს საქართველოში მარჯვე დრო პპოეს და შეისრულეს ბოროტი წადილი“; „ეს დევნულობა მარტო სომხებმა ასტეხეს“<sup>3</sup>.

1743 წელს კაპუცინები, შაპის დახმარებით, თბილისში დაბრუნდნენ და თავიანთი შენობებიც დაიბრუნეს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 356-357.

<sup>2</sup> თამარაშვილი გ., იხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 53.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 358-359.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 360.

რადგან კათოლიკე მრევლს ვედარ იტევდა, კაპუცინმა ნიკოლო ჯირჯენთელმა თბილისში სხვა ეკლესიის აგება განიზრახა და 1649 წელს კიდეც დაასრულდა. ეს ეკლესია, როგორც მ. თამარაშვილი აღნიშნავდა ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა საქართველოში. მისი მშენებლობა ძვირი დამჯდარა და (4 ათას თუმანზე მეტი), რის გამოც პატრის პროპაგანდის დაუკითხავად ძველი ეკლესის მამულები გაუყიდია<sup>1</sup>.

1754 წელს სომხებმა კვლავ შეავიწროეს კათოლიკები. მევე თეიმურაზმა ბრძანებულება გამოსცა: „რომ ამას იქმო აღარავინ გაკათოლიკებს, კინც გაკათოლიკებს, თავის საკუთარ სახლიდან გაძევებულ იქნას და ჩამოერთვას ყველაფერი“<sup>2</sup>. იმავე წელს კათოლიკეთა წინააღმდეგ აქტიურობდნენ ბერძენი ბერებიც, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. მათი საქმიანობის შედეგად არსებობა შეწყვიტა რაჭის მისიონმა. დიდ გაჭირებაში აღმოჩნდნენ იმერეთის სამეფოს სხვა ადგილების მისიონერებიც<sup>3</sup>. თეიმურაზ Ⅱ-ის ბრძანებით, 1755 წელს გორის კათოლიკეთა ეკლესია და სახლი მორწმუნებს ჩამოერთვათ. სახლი ქართლის არქიეპისკოპოსის განკარგულებაში გადავიდა<sup>4</sup>. საინტერესოა პატრი ჯულიანო ბონავენტურა ტრენტონელის „მოხსენება იმ დეკნულებისა, რომელიც 12 დეკემბერს 1755 წ. საქართველოს დედაქალაქ ტფილისში დაუწეუს იმავე სამეფოს მისიონერებს და კათოლიკებს“ თბილისიდან კათოლიკების გაძევებაში ბერძენი სამღვდელოება მონაწილეობდა. ჯულიო ბონავენტურა წერს: „კონსტანტინოპოლის ბერძნის მოხაზუნები, რომელთაგან ერთი ეპისკოპოსი იყო, თურმე ტფილისის ახლოს იყვნენ ფარულად. რა წამხაც გა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 363.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 368-369.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 370.

<sup>4</sup> Պუրცელაძე Д., *Грузинские церковные гуджари (грамоты)*, Тифлис, 1881, с. 51.

მოვედით ერთი მხრიდან, იმ წამხევე შევიდნენ ქალაქში მეორე მხრით, კაცლებიაში საჯაროდ წაიკითხეს თავიანთი პატრიარქის წერილები, დააგვრიეს მთავარი ტრაპეზი, თავიანთი მდგრად მაცხოვებიაში აკურთხეს და ჩააბარეს ერთ ქართველ ძლიერებას, რათა მოველო“<sup>1</sup>. მეფემ მისიონერების ქართლ-კახეთიდან განდევნის ბრძანებულება გამოსცა. იმავე „მოხსენების“ მიხედვით, საქართველოდან განდევნილ პატრი ჯულიოს მრავალგან უჩივლია, რათა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გავლენა მოეხდინათ მისიონერების უკნ დაბრუნებისათვის. პატრიმ ჯულიომ მოიარა კონსტანტინოპოლი, ვენა, რომში კარდინალს სთხოვა, რომ ნუნციების საშუალებით მიემართათ სხვადასხვა მთავრობებისათვის, მათ შორის რუსეთის იმპერატორისთვისაც, „რათა მეფეს (თეიმურაზ II-ებ.) მისწეროს რამე კაბუჩინების სასარგებლოდ და მათ დახაბრუნებლად, რადგან მეფეს იმპერატორიცას წყალობა ძლიერ ხდირია, მაშინ უარს ვერ ეგვიპტო და ხათოს დახდებათ“<sup>2</sup>.

საინტერესოა, რომ იმავე პატრი ჯულიანოს მიხედვით, დევნილ პატრებს მრავალი თანამგრძნობი ქართველი გამოუწყდათ: „რადგან ერკლე მეფის ასეთი უსამართლოება კველა-სათვის ცხადი იყო, ამიტომ ქართველების მომეტებული და საუკეთესო ნაწილი ბერძნის სარწმუნოებისა (მართლმადიდებლები - ებ.), განსაკუთრებით მონა ზონები, კიოსკობისები და მათი კათალიკოსი, ცხადად ჰეივხავდებ მეფის ასეთ უსამართლო მოქცევას; არა მარტო ბერძნის მონა ზონები (ქართველები) არამედ თვით კათალიკოსიც და ეპრეზე მეფის უფროსი შეიძლიც მოღიოდნენ ჩეუნ სანახავად და გვანუგეშებდენ, რადგან გვედრავდენ, თუ რა უსამართლოდ ვიყავით დევნულნი“<sup>2</sup>.

ანტიკათოლიკური ღონისძიებების „გვირგვინი“ ანტონ I კათალიკოსის გასამართლება და განდევნა იყო. გადაჭარბე-

<sup>1</sup> თამარაშვილი ბ., ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, 375-376.

<sup>2</sup> თამარაშვილი ბ., პასუხად ხომხის მწერლებს, გვ. 82-83.

ბულად მეჩვენება ის მოსაზრება, თითქოს კათოლიკების და, კერძოდ, ანტონ კათალიკოსის დასჯა რუსეთის ინტერსების გათვალისწინებით მოხდა, რის დამადასტურებლად თითქოს უნდა ჩაითვალოს 1735 წ. რუსეთის იმპერიაში მართლმა-დიდებლების კათოლიკობაზე მოქცევა რომ აიკრძალა.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარმა ანტონი კათოლიკურმა გამოსვლამ, საერთაშორისო სკანდალის სახე მიიღო, მაგრამ ევროპის მთავრობები მისიონერებს ვერ დაეხმარნენ. საფრანგეთის ელი სტამბოლიდან იუწყებოდა, რომ „საქართველოს ის ნაწილი, საიდანაც განდევნებს კაპუშინები, სულთანს არ გქვემდებარებათ“. ქართლიდან ახალციხეში შეხიზნულ კაპუცინებს მხოლოდ მცირეოდენი შედავათები მიუღიათ<sup>1</sup>. პატრიკი ირანისაც მიმართეს და თბილისის ეკლესიის დაბრუნებაში დახმარება თხოვეს. მათ საჭირო ბრძანება ჩამოიტანეს კიდევ (1763 წელს), მაგრამ ქართველებმა და სომხებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და ირანის მთავრობას არზა გაუგზავნეს, ერეკლე II-მ კი კაპუცინებს უპასუხა: „თქვენ დიდი პატივისცემა მაქს და გულითაც მიხდა თქვენი დაკმაყოფილება, მაგრამ ამნაირ არეულ-დარეულობის დროს, მეტად სარწმუნოების შესახებ, არ შემიძლია თქვენ დაგაკმაყოფილოთ და ხალხს ავუკრძალო არზის მიწერაო; ნებას კი გაძლევთ, ტფილისში დარჩეთ და ერს მოუკროთ“<sup>2</sup>.

კაპუცინების მიერ რომში გაგზავნილი ერთ-ერთი მოხსენების მიხედვით, მეფე ერეკლეს მათდამი დამოკიდებულება შეუცვლია და მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად ზოგიერთი დონისძიებაც გაუტარებია. ვერ ვიტყვი მისი მეფის პოზიციის შეცვლაში პატრიკის მიერ ირანიდან ჩამოტანილმა წერილმა თუ სხვა უცნობმა რამე გარემოებამ იმოქმედა. სავარაუდოა, მოსაჩვენებლად, მეფემ იმავე წლის 18 ივნისს სახა-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 381.

<sup>2</sup> იქცვ.

ლხო კრება მოიწვია, რომელზედაც „მოუწოდა გაისკოპოსებისა და ბერების გარდა, ყველა მოწინავე ქართველებს და ხომხებს კრების მომეტებული ნაწილი წინააღმდეგი იყო ეკკლესიის დაბრუნებისა, რაისგამო ერეკლებ გელარ შეასრულა თავისი სურვილი, - აღნიშნავდა მ. თამარა შვილი, - კაპუცინები დარჩენებისა მეფეს კაპუცინებისათვის საეკლესიო სახლი და ბინა მიუცია. ისინი დაუბრუნებია გორში და სახლიც მიუცია<sup>1</sup>.

1775 წელს ერეკლე II-ს ბრაძანებულება გამოუცია: გინც კათოლიკობას მიიღებს, ჯარიმად გადაიხდის 350 რომაულ სკუდის. ხოლო „განიდევნოს მისიონერი, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებას შეუერთებს რომელსამე სოჭებ მწვალებელს“<sup>2</sup>.

1780 წლის 20 იანვარს ვატიკანიდან კომგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს მდივნის, მონსინიორ ბორჯასათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მიღებულია ცნობა, რომ მოკლე ხანში რომში ჩამოვა... საქართველოს უფლისწული ბაგრა გორა<sup>3</sup>, რომელიც ამაყობს იმით, რომ დატოვა სამშობლო, რათა კათოლიკობა შეინარჩუნოს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თამარა შვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 141.

<sup>2</sup> თამარა შვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401.

<sup>3</sup> გ. მერაბიშვილის განმარტებით, ეს უნდა იყოს ბაგრატ გორელი, მუჟრან ბაგრონთა ბაგრატიონის შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი. მერაბიშვილი გვ. ვატიკანთან ერეკლე II-ისა და ხოლომონ I-ის ურთიერთობის ისტორიიდან // უკრაინა ქვეყნების ისტორიის პრობლემები, III, თბილისი, 1983, გვ. 116. უკვე კლიმა, რომ „ბაგრა გორა“ არის გიორგი XI-ის ძე ბაგრატი, რომლის შეხაებ მეფე ლაპარაქობს პაპისათვის გაგზავნილ წერილში: „მხოლოდ ერთი პირმშო შვილი მეფეს, სახელად ბაგრატი, რომელიც არის ჩემი უმთავრესი ტახტი და გვირგვინი, ქება და დიდება...“ თამარა შვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 267.

<sup>4</sup> Archivio della Congregazione di Propaganda Fide, Scritture riferate nei congressi, Georgia, 1770-1790, vol. 4, fol. 24. 120.

1781 წელს კათოლიკეთა დევნა დაიწყო თბილისა და გორში. ანტიკათოლიკურ დონისძიებებს პირადად მეფე ხელ-მძღვანელობდა<sup>1</sup>. 1782 წ. იანვარში სომხების მიერ შევიწროე-ბამ ისეთი მკაცრი ხასიათი მიიღო, რომ სისხლისდვრაც მოხ-და. კათოლიკეთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა გახიზნუ-ლიყო. ზოგი საჩივლელად ერეკლესთან წავიდა. მეფეს „კათოლიკების სასარგებლო“ ბრძანებულება გამოუცია<sup>2</sup>.

სავარაუდოა, მეფე ერეკლეს მიერ კათოლიკების მდგო-მარეობის შემსუბუქება მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი

კათოლიკეთა დევნის მაგალითები ზოგიერთ ეჭვს ბა-დებს. კერძოდ, ოუ კათოლიკენი ისე მრავალი იყვნენ, რო-გორც ჩვენთვის ცნობილ მასალებშია გადმოცემული და მათ შორის მაღალი მდგომარეობის სასულიერო და საერო პი-რები და ოვით მეფებიც კი იყვნენ, მაშინ როგორ ხდებოდა სომხების მიერ კათოლიკეთა რბევა, ოუნდაც ესენი, დარ-ბეულნი, ეთნიკური სომხები ყოფილიყვნენ<sup>3</sup>. ან ქართველი კათოლიკე მრევლი რატომ არ გამოდიოდა ერთმორწმუნეთა (კათოლიკეთა) მხარდასაჭერად? პასუხი, ალბათ, ერთია: საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში ხელისუფლების, ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულება კათოლი-კეთა, მათ შორის მისიონერთა მიმართაც, იყო პრაგმატული, განპირობებული პოლიტიკური მიზნებითა და ვითარებით, აგრეთვე ოვით მისიონერების პირადი ოვისებებითა და ხელო-ბით. ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო: **რელიგიებისა და ოფიციალური წერილების ცნობები არ ახახავდა რეალურ**

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 390-391. ხაზგასმა ჩემია.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 400.

<sup>3</sup> სომხების კათოლიკებთან დაპირისპირების ეკონომიკურ საფუძ-ველზე იხ. გუგუშვილი პ., ხაჯარველოს და ამიერკავკასიის ეკონო-მიკური განვითარება XIX-XX ს. ტ. VII, თბილისი, 1984, 226-231.

მდგომარეობას. მდგომარეობის ანალიზის საშუალებას მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებიც იძლევა, მაგრამ თუით მკვლევარი მათ სხვა ახსნას უძებნის.

1782 წლის 10 იანვარს კაპუცინი ფორთუნათო რომში აცნობებდა, რომ ეჩმიაძინის სომებს პატრიარქს ერეკლესათვის შეუთავაზებია: საქართველოდან კაპუცინები განდევნება, სამაგიეროდ, ერთ კარგ ექიმს ევროპიდან ჩემი ხარჯით ჩამოგიყვანო. როგორც ჩანს, მეფესა და პატრიარქს შორის შეთახნება შედგა. პატრიარქს დანაპირები შეუსრულებია<sup>1</sup>. ალბათ, დასახელებული ფაქტი ჰქონდა მხედველობაში კაპუცინ ანდრიას, როდესაც წერდა (1790 წ.), რომ, როდესაც სომხებმა ერეკლეს კაპუცინების განდევნა ითხოვეს და შვიდასი თუმანი შესთავაზეს. მეფეს უპასუხია: “მე და ჩემი სახლობა უექიმოდ ვერ დავრჩებითო”. სომხები მეფეს ევროპელი ექიმის ჩამოყვანას დაპირდნენ თავიანთი ხარჯით და მართლაც, კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანეს ფრანგი მკურნალი, რომელიც ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც მეფე ერეკლეს უნდოდა<sup>2</sup>.

\*\*\*

კათოლიკობისადმი დამოკიდებულების ნამდვილი არსი ნათლად გამოჩნდა თეიმურაზ II-ისა და, განსაკუთრებით, ერეკლე II-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მეფეები ითვალისწინებდნენ დასავლეთი ევროპის, რუსეთის, ოსმალეთის, ირანის ინტერესებს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში და ცდილობდნენ კათოლიკების და მისიონერების საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხი, გარკვეული გაგებით, გადაექციათ დასახელებულ ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ პირობად. უკვე ითქვა, რომ მუსლი-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 399-400.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 80.

მანი მეზობლებისაგან თავდაცვისათვის მოკავშირის მაძიებელი ქართველი პოლიტიკოსები რომსა და დასავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქებში საქართველოთი დაინტერესებას მხოლოდ კათოლიკობის გაგრცელების სურვილთან დაკავშირებაში ხედავდნენ. განსხვავებული იყო ქართული და დასავლეთევროპული პოლიტიკა ირანისა და ოსმალეთის მიმართ. დასავლეთ ევროპაში ირანს განიხილავდნენ, როგორც ოსმალეთის მუდმივ მოწინააღმდეგებს და აღმოსავლეთში მის შემაკავებელ ძალას. ამის გამო ირანთან ბრძოლაში იქ მოკავშირეს ვერ მოიპოვებდნენ. რაც შეეხება ოსმალეთს, მის წინააღმდეგაც მოკავშირის გამონახვა დასავლეთში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საფრანგეთის მიერ გატარებული ტრადიციული პროსმალური პოლიტიკა ევროპის კათოლიკური სახელმწიფოების საქართველოს გამო, ოსმალეთთან შეიარაღებული დაპირისპირების არაგითარ შანსს არ სტოკებდა. იმავე დროს საფრანგეთი ირანთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. მიუხედავად აღნიშულისა, ქართლ-კახეთის სამეფო, სხვადასახვა მოსაზრებით, ევროპასთან კონტაქტების შენარჩუნებას და ამ მიზნით მისიონერების გამოყენებას ფიქრობდა.

ქართველი პოლიტიკური ელიტის კათოლიკე მისიონერებისადმი ზემოაღწერილი პოლიტიკა (ხან სიმკაცრე და ხან დაყავაგება), რაც XVIII საუკუნეში გამოკვეთილად ჩანს, იყო რუსი პოლიტიკოსების გადიზიანებისთვისაც, რათა ისინი გააქტიურებულიყვნენ საქართველოსთან ურთიერთობაში.

XVII საუკუნის დასაწყისიდან ქართლ-კახეთის სამეფოს საქმაოდ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა პქონდა რუსეთთან, რასაც თეიმურაზის რუსეთში გამგზავრება მოჰყვა 1760 წელს. თეიმურაზს უნდოდა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარი ან მის დასაქირავებლად სესხი მიეღო. მან წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა კვლავ გრძელდებოდა, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას. რუსეთი ცდილობდა ქართული სამეფოები

და, საერთოდ, მართლმადიდებელი ქვეყნები ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ომში ჩაბმას ქართველებიც ფიქრობდნენ თუ რუსეთი ჯარითა და შეიარაღებით დაეხმარებოდა მათ ქვეყანას. 1773 წლის 24 აპრილს ერეკლე II-ის ელჩებმა პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელს წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი და თავიანთი მეფის წერილი ეკატერინე II-ისადმი. ქართლ-კახეთის სამეფო მფარველობას თხოვდა რუსეთის ხელმწიფეს. მფარველობა, ერეკლეს გაგებით, უნდა გამოხატულიყო აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო პოტენციალის ამაღლებაში, რათა მას მტრებისაგან არა მხოლოდ თავდაცვა შესძლებოდა, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც, როგორც სამხერეთით, ისე აღმოსავლეთით დაკარგილი მიწების შემოერთებით. რუსეთის მთავრობამ ერეკლე მეფის თხოვნა არ გაიზიარა, რადგან ომი თურქეთთან მთავრდებოდა და საქართველოს თურქეთის წინააღმდეგ გამოყენების საკითხი აქტუალურობას კარგავდა. როგორც ცნობილია, ერეკლეს მცდელობამ, თავისი სამეფოს რესურსებით შეექმნა რეგულარული ან თუნდაც „მორიგი“ ჯარი, მარცხი განიცადა. ის 1782 წელსაც თხოვდა რუსეთს, მუდმივად ჩაეყენებინა აღმოსავლეთ საქართველოში ორი პოლკი მაინც, რომელსაც რუსეთი მისცემდა ჯამაგირს, ქართველები კი, სურსათით მოამარავებდნენ<sup>1</sup>. ერეკლემ ვერც ამ თხოვნაზე მიიღო დადებითი პასუხი.

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ განიზრახა კათოლიკეთა და მისიონერთა კოზირი გამოეყენებინა დასავლეთთან და რუსეთთან მოლაპარაკებებისას, კერძოდ, ქვეყნის შიგნით კათოლიკებზე ზეწოლით, მათვის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნით, რომი და კათოლიკური სახელმწიფოები იძულებული გაეხადა, ჯეროვანი ყურადღება მიეკცია ქართლ-

<sup>1</sup> ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა..., გვ. 60-61, 85, 98.

კახეთის სამეფოს მდგომარეობისა და მისი ინტერესებისათვის.

იმავე დროს, გარკვეული მნიშვნელობა უქნებოდა აღნიშნულ საკითხს, რუსეთთან ურთიერთობის დროსაც. ერეკლესათვის საინტერესო იქნებოდა მართლმადიდებელი რუსეთის რეაქცია ქართლ-კახეთის სამეფოში კათოლიკებისადმი დადებითი ან ურყოფითი მოპყრობისადმი. უფრო მეტიც, საქართველოში კათოლიკების მდგომარეობისადმი ინტერესი ირანმა და ოსმალეთმაც კი გამოამჯდავნა.

1763 წელს ერეკლე II-ს კაპუცინებისათვის უთქვამს: ავსტრიის ან რუსეთის იმპერატორის თხოვნა ჩამომიტანეთ რათა ეპლესიები დაგიბრუნოთ. „ასეთი წერილი რომ მექმნება, ეპალებიასაც დაგიბრუნებთ და ხალხსაც გავაჩუნებ ამ წერილი ძალითო“<sup>1</sup>.

პატრი მავრო 1781 წ. 14 მარტს რომში აცნობებდა, რომ ერეკლე II-მ პატრ დომინიკეს უბრძანა, „რათა პირველად მივიდეს რომს და მოგართვას ეს ჩემი წერილი, რადგან მეც მიბრძანა თქვენთვის მეთხოვა, რათა ეს პატრი მიიღოთ, ვთარცა მისგან წარმოგზავნილი პირი თქვენდამი თავის ერთგულებისა და პატივის გამოხაცხადებლად და ამავენაირად წარადგინოთ იგი მათი იმპერატორობის წინაშე, რათა შეიძლოს მის სხვადასხვა საჭირო საქმეთათვის მოღაპარაკება... ეს მთავარი (ერეკლე II-ებ...) პირობას იძლევა მტკიცებ და მართლის გულით მუდამ დაიფაროს აქ კათოლიკება უმუსისად და მიაგოს ყოველგვარი სამსახური, რაოდენადაც კი შეიძლება...“<sup>2</sup>

1783 წელს, როდესაც კაპუცინების პატრმა კვლავ მიმართა ერეკლე მეფეს ჩვენი ნადგომი სახლი ინგრევა და სხვა სახლი მოგვეციო, მეფე საჯაროდ დაპირდა, დაგიბრუ-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., პახუმია სომხის მწერლებს, გვ. 142.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 398-399.

ნებთო. შემდეგ კი საიდუმლოდ უთხრა: მწადია თქვენი ეპლესიები მოგცეთ, მაგრამ თავადები და სასულიერო პირების მერიდება. ამიტომ რომელიმე უმაღლესი პირის თხოვნა მომიტანეო<sup>1</sup>. მეფე, რა თქმა უნდა, ევროპის მეფეებს გულისხმობდა.

რადგან რომსა და ავსტრიაში გაგზავნილ წერილებზე პასუხი ვერ მიიღო, ერეკლე მეფემ პატრ მავროს დაავალა მოსკოვზე გავლით ვენაში წასულიყო და წაედო ავსტრიის იმპერატორის, რომის პაპის, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლის მეფეებისათვის და ვენეციის რესპუბლიკისათვის შედგენილი წერილები. ერეკლე მათგან მოითხოვდა მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ დასმარებას, სანაცვლოდ კი ჩამორთმეული კათოლიკური ეკლესიების დაბრუნებას პირდებოდა<sup>2</sup>.

პატრი ანდრია 1782 წ. 14 ნოემბერს რომს ატყობინებდა, რომ ერეკლე მეფემ „დაიწყო ომი ოსმალეთთან. ამიტომ თხოულობს ორ ჯარის გუნდს იმპერატორისაგან და ორ ჯარის გუნდს საფრანგეთისაგან, ხოლო თითო გუნდს სარდინისა, ნეაპოლისა და ვენეციისაგან, თუ არა და ჯარის მაგივრად ფულის გამოგზავნას, რაც უფრო უჯობსთ... თვითონაც მზად არის შეუსრულოს იმ მთავრების უკელა პირობა თუ ირანის დასაპყრობად და თუ ოსმალეთის წინააღმდეგ დასახმარებლად მთელის თავისის ძალითა. შეამდგომლობას თხოვს პაპს (ევროპის – ე.მ.) მთავართა წინაშე; თვითონაც მზად არის შეუსრულოს იმ მთავრების უკელა პირობა თუ ირანის დასაპყრობლად და თუ ოსმალეთის წინააღმდეგ დასახმარებლად მთელი თავის ძალითა.

ხოლო ეკკლესიის მოცემის წერილში გვპირდება, მომოხერხეთ ევროპის მთავრობათ დაგუახლოვდე და დაგიმზუ-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., პასუხად ხომხის მწერლებს, გვ. 142.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 400.

ნებთ გკვლესიებს, ჩამორთმეულ სახლებს, პატრებს და კათოლიკებს მფარველობას აღმოუჩენო: გვპირდება, აგრეთვე თფილისში, მუდამ თავის ხარჯით შეინახოს ექვსი პატრი... მედარწმუნებული ვარ, რომ თუ კველას არ აახრულებს, კალესიებს მაინც მოგვცემს, ღლონდ კი თავის წერილებით მოპოვოს რამ შემწეობა, თუნდაც მცირედის<sup>1</sup>.

პატრი მავროს მიერ დასავლეთ ეკვროპაში წაღებული წერილებიდან მხოლოდ ორია მოღწეული, ორივე ვენეციაში გაგზავნილი, ორივე 1782 წლის 18 ოქტომბრისა. პირველში მხოლოდ ზოგადი ფრაზებით გამოთქმულია ბოდიში იმის გამო, რომ საერთო ქრისტიანული ინტერესებისათვის ქართლ-კახეთის მეფე აწუხებს „დიდსა კენეციის ქალაქსა შორის შეძლებულთა შეკრებულთა“. ერეპლე ითხოვდა პატრ მავროს მოუსმინონ და სათხოვარი აუსრულონ.

მეორე წერილში კი ერეპლე მეფე ვენეციის მთავრობას კონკრეტულ მოთხოვნას უყენებდა: „ჩვენი სათხოვრის პაზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგის ხაბოლოოთ რომ სცნობს, კერას დროს ჩვენს მტრობას კვდარ გაძედავს<sup>2</sup>. ასეთივე შინაარსისა ყოფილა ერეპლეს წერილი საფრანგეთის მეფე ლუი XVI-ისადმი, დათარიდებული ასევე 18 ოქტომბრით<sup>3</sup>.

1784 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობის დავალებით საქართველოში ჩამოვიდა საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული გეორგიევსკს ტრაქტატის ერთ-ერთი შემოქმედი პავლე პოტიომკინი, რომელიც მეფე ერეპლეს ესტუმრა.

<sup>1</sup> თამარა შვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401.

<sup>2</sup> თამარა შვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 402-403.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 685.

გავიხსენოთ, რომ ამ დროს, იაკობ რაინეგბის შუამავლობით უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. რაინეგბი 1782 წელს მეორედ მოვიდა საქართველოში. ასეთ დროს, დასავლეთ ევროპაში მიმავალ, ერეკლე II-ის წერილებით აღჭურვილ პატრის, რუსეთზე რომ უნდა გაევლო, რათა რუსეთის მთავრობაზე შთაბეჭდილება მოეხდინა და ის იძულებული გაეხადა გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა საქართველოსთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ერეკლემ წერილი გაუგზავნა რუსეთის მთავრობას და გააგებინა, რომ ავსტრიის იმპერატორთან დაკავშირების სურვილი ჰქონდა<sup>1</sup>. ამგვარმა დიპლომატიურმა მანევრმა, რამდენად შეასრულა საქართველოს სასიკეთოდ მოვლენების დამაჩქრებლის როლი ამის თქმა ცნობილი მასალებით შეუძლებელია. მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს კონტაქტი რუსეთის მოკავშირე ავსტრიასთანაც კი, თავის კავკასიური პოლიტიკისათვის მიუდებლად ჩათვალა<sup>2</sup>. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის მეფის ავსტრიასთან დაკავშირების ცდები კათოლიკე მისიონერების ოინებად გამოაცხადა<sup>3</sup>, რაც სიმართლესთან ახლოს იყო.

უკვე ითქვა, რომ შევიწროებულმა მისიონერებმა არა-ერთხელ სცადეს საქართველოში თავიანთი არასახარბიერლო მდგომარეობისათვის კათოლიკური ქავების ყურადღება მიუკუროთ. ეს უნდოდა თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-საც. მათი ვარაუდით, საქართველოში მისიონერებისა და კათოლიკე მრეკლის მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებული

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, т. 2, вып. 2, Санкт-Петербург, 1902, с. 26.

<sup>2</sup> ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა ქართლის მე-18 საუკუნის ისტორიისათვის, გვ. 90, 103.

<sup>3</sup> Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, I, с. 31.

პაპის კურიის წაქეზებით კათოლიკური სახელმწიფოები მოლაპარაკებას გამართავდნენ ქართველ მეფესთან. როდესაც ეს ვარაუდი არ გამართლდა, მაშინ ერეკლემ თვითონ სცადა მათთან უშუალოდ დაკავშირება. მისი წერილები ულტიმატური ხასიათისა იყო. თუ კათოლიკური სახელმწიფოები, რომლებსაც ერეკლემ მიმართა, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარით ან ჯარის შესანახი ფულით დაეხმარებოდნენ, მაშინ მისიონერები და მათი კათოლიკე მრევლი დაიბრუნებდა დაკარგულ ქონებას და უფლებრიგადაც სამეფოს მართლმადიდებლებს გაუთანაბრდებოდნენ. როდესაც ერეკლე II ამ ნაბიჯს დგამდა, თან რუსეთისაკენ იყურებოდა. მისი ვარაუდი გამართლდა. საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ერეკლეს წერილებმაც, გარკვეული გაგებით, დააჩქარა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში შეევანა.

ამგვარად, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს მესვეურებს კათოლიკობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის ისე ესმოდათ, როგორც ზემოთ აღვწერე და ამიტომაც ამ კონფესიის მიმართ მათი პოლიტიკა სხვა მართლმადიდებელი ქაფნების პოლიტიკისაგან სრულიად განსხვავებული იყო.

## საქართველო-რომის ურთიერთობის ზოგადი დახასიათება

საქართველო-რომის ურთიერთობის **პირველი პერიოდი** მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (IV ს. 20-იანი წლების შუა ხანები) საეკლესიო განხეთქილებამდე (1054 წ.). ამ საინტერესო პერიოდის ამსახველი საისტორი წყაროები უაღრესად მცირეა, მაგრამ ისინი მაინც საშუალებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ქართულ-რომაულ ეპლესიებს შორის ურთიერთობის რაიმე განსაკუთრებულ ნიშანი არ ჩანს. ქართული ეკლესია იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, ცდილობს წარმოაჩინოს და დაიცვას თავისი ერთგულება და სიწმინდე ქრისტიანული იდეალებისა და საეკლესიო რიტუალისადმი, იყვეს ობიექტური შემფასებელი აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებული ვითარებისა და წარმოაჩინოს თავისი უპირატესობა ბიზანტიის იმპერიაში არსებული სხვა ეკლესიების მიმართ. არ ჩანს აღმოსავლური მართლმადიდებლობისაგან განდგომის სურვილი; არ ჩანს, რომ ქართული ეკლესია აღიარებდა რომის ეკლესიაში დამკვიდრებულ *filioque*-ს, რომის პაპის დვოის მოადგილეობას დედამიწაზე და მის უცოდველობას, ან იმას, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიისადმი მორჩილებს. ქართული ეკლესია მხოლოდ ხაზს უსვამდა თავის დამოუკიდებლობას, რასაც პირველ რიგში რომისა და ბიზანტიის ეკლესიების პაექრობისა და დაპირისპირების დროს ორივე ეკლესიაში არსებული ვითარების ობიექტური შეფასებით გამოხატავდა.

**მეორე პერიოდი** (XII–XIV სს) – ეს არის ქართული სახელმწიფოს (XIII ს. მეორე ნახევარი – XIV ა. პირველი ნახევარი – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები) შედარებითი სტაბილურობისა და სამხედრო ძლიერების ხანა, როდესაც დასავლეთი, უპირატესად პაპის კურია, საქართველოს მიიჩნევს, როგორც პოტენციურ მოკავშირეს

ისლამის ქვეყნებთან თავისი პრობლემების მოგვარების საქმეში. ქართული სახელმწიფო XI საუკუნის დასახრულიდან ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდა დასავლეთის კათოლიკურ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიეღო საერთო ქრისტიანული საკითხების გადაწყვეტაში. ქართველები და ჯვაროსანი რაინდები, სრულიად განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ობიექტურად ერთმანეთის მოკავშირები იყვნენ. ორივენი მუსლიმანებს ებრძოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუჯერებელია, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობების სულის ჩამდგმელი, რომის პაპი ლაშქრობების დასაწყისში თუ არა, პირველი ლაშქრობის დასრულების შემდეგ მაინც არ დაკავშირებოდა საქართველოს მეფეს და ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობის ამ დონისძიებაში თავისი წვლილის შეტანა არ ეთხოვა, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა მუსლიმანთა წინააღმდეგ ქართველების სასტიკი ბრძოლების შესახებ.

საინტერესოა ისიც, რომ დავით აღმაშენებლის მთელი რიგი სამსედრო ღონისძიებები სელჩუკთა წინააღმდეგ „საეჭვოდ“ ემთხვეოდა, დროის თვალსაზრისით, სელჩუკთა სამსედრო კამპანიებს ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ, რაც საფიქრებელს ხდის ქართველებსა და ევროპელ რაინდებს შორის კოორდინაციის არსებობას.

იერუსალიმში ქართველთა გავლენა და ამ ქალაქთან დაკავშირებული ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს სამსედრო ძალის მნიშვნელობა რელიეფურად გამოჩნდა მხოლოდ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ამის შემდეგ სახეზეა პაპი ინოკენტი III-ის, პონორიუს III-ის, გრეგორიუს IX-ის, ინოკენტი IV-ის, ნიკოლოზ IV-ის, იოანე XXII-ის, კლიმენტი V-ის კონტაქტები საქართველოს მეფეებთან. პაპის სახელმწიფოს უურადღების და მუდმივი კავშირის შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას 1233 წელს ფრანცისკან-

ელების და 1240 წელს დომინიკანულთა მისიების დაარსება საქართველოში<sup>1</sup>.

საქართველო-რომის ურთიერთობის მეორე პერიოდის დამახასითებლიდა საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა მიერ რომის პაპისადმი, როგორც კათოლიკური სამყაროს სულიერი ლიდერისადმი პატივისცემა და მოკრძალება, ამით გამოხატონ თავიანთი პატივისცემა დასავლური ფასეულობებისადმი. კათოლიკურ დასავლეთს ისინი მიიჩნევენ პოტენციურ მოკავშირედ თავიანთი აგრესიული მუსლიმანური მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ პაპები ცდილობენ ქართველებს დაუმტკიცონ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უპირატესობა და პაპის, როგორც ამქვეყნად უფლის მოადგილის აღიარებისაკენ მოუწოდებენ, ქართველები თავს არიდებენ რომის ეკლესიის კრიტიკას და ცდილობენ დელიკატურად აირიდონ ამ საკითხზე მსჯელობა.

**მესამე პერიოდი.** ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა საქართველო-რომის ინტერესთა სხვადასხვაობა. საქართველოს სამეფო კარს რომის საშუალებით სურდა დასავლეთში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეეძინა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისას ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების უმთავრესი საზრუნავი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ოვითყოფადობის ხელუხლებლად შენარჩუნება იყო. რომში ესმოდათ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების საგარეო-პოლიტიკური კურსი და ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წინა პირობად სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისაგან კათოლიკობისა და პაპის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდნენ.

<sup>1</sup> ამ დროიდან ჩანს მისიონერების დაინტერესება ქართული ენის შესწავლისადმი, რაც, მათი აზრით, ამ დაბრკოლების გადალახოს შემდეგ მათ მოღვაწეობის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდათ.

ქართული ეკლესიისა და რომის უთანხმოება რელიეფურად გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე. საქართველოს წარმომადგენელმა პაპთან აუდენციის დროს სცადა მისთვის დაემტკიცებინა ქართული ეკლესიის ერთგულება იქსო ქრისტეს მცნებებისა და მოციქულთა ტრადიციებისადმი, განსხვავებით რომის ეკლესიისაგან, რომელმაც თავისი რელიგიური ნოვაციებით ყოველგვარი ზომიერება დაარღვია. ისევ პაპზეა დამოკიდებული მოხდება თუ არა ეკლესიების დაახლოება და პაპის ავტორიტეტის აღიარება. ქართველი დელებატის პასუხი, ფაქტიურად, ასახავდა, მართლმადიდებელთა უმრავლესობის შეხედულებას რომის ეკლესიის შესახებ, რაც მათ ახდილად ვერ განაცხადეს და საქართველოს წარმომადგენლისაგან განსხვავებით მაინც ხელი მოაწერეს უნიის აქტს.

პაპები არ კარგავდნენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე რომის გავლენის გავრცელების იმედს. ამ პოლიტიკის განხორციელების ხელსაყრელი პირობები გამოჩნდა XV ს. 50-70-იან წლებში ანტიოსმალური კოალიციაში საქართველოს სამეფო-სამთავროების შეყვანით. ამ საქმეში მთავარი როლი ცნობილ დიალოგმაც ლუდოვიკო ბოლონიელს უნდა ეთამაშა, მაგრამ ამ წამოწებამ მარცხი განიცადა.

მთელი XVI საუკუნის განმავლობაში სუსტი იყო საქართველოს ურთიერთობა რომთან. ამის მიზეზი გახდა გართულებული საერთაშორისო და საქართველოში არსებული არასტაბილური ვითარება. ამჯერადაც სახეზეა მხოლოდ რომის სურვილი საქართველო მოჟქვეს რომის ორბიტაში.

**მეოთხე პერიოდი.** უადრესად რთული და საბედისწერო XVII-XVIII საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დროს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა რწმენის საკითხი – გადარჩენა მამა-პაპთა მიერ თავგანწირული ბრძოლით მოტანილი ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, რომლის კონკურენტებად თვით საქართველოში გამოდიოდა რომის კათოლიკობა, ბერძნული მართლმადიდებლობა, სომ-

ხური გრიგორიანობა და ისლამი. თითოეულ მათგანს ზურგს უმაგრებდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა. მათთან დასაპირისპირებლად საჭირო იყო მთელი ერის სულიერი და ინტელექტუალური ენერგიის მობილიზება და დიდი დიპლომატიური ნიჭი. მხოლოდ ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე და, არაწმინდა სულიერი მოთხოვნით, გვიან შეა საუკუნეებში კათოლიკობაზე „გადავიდა“ რანდენიმე ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საექლესიო მოღვაწე.

ამ პერიოდში ხდება კათოლიკური პროპაგანდის გაძლიერება საქართველოში, თითქმის განუწყვეტლივ მოდიოდნენ რომის წარმომადგენელები – სხვადასხვა კათოლიკური ორდენის მისიონერები. ისინი მოდიოდნენ მაშინ, როდესაც საქართველო თითქმის სრულიად იზოლირებული იყო დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაგან. მისიონერები ემსახურებოდნენ ერთ უმთავრეს მიზანს – კათოლიკობის გავრცელებას ისინი საკმაოდ მომზადებული მოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მოხერხებულად სარგებლობდნენ მოსახლეობის გაჭირვებით და ცდილობდნენ მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, რასაც, მათი აზრით, კათოლიკობის ზემით უნდა მოჰყოლოდა.

დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, ქართველი მართლმადიდებლები კათოლიკე მისიონერების საქმიანობისადმი შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ იმდენად, რამდენადაც მასპინძელს შეეფერებოდა სტუმრის მიმართ. მოწინავე ადამიანებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს, ქარგად ესმოდათ, რომ კათოლიკე მისიონერების ზურგს უკან იდგა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე რომის პაპი, რომლის სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნების აღმოსავლურ პოლიტიკაში, რომელთაგან სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარების მიღებაზე ოცნებობდნენ საქართველოში. ქართველთა ასეთი განწყობილება და მათი კათოლიკური რიტუალისა და ეკლესიის მოწყობისადმი ბუნებრივი ინტერესი,

პატრებს თითქოსდა ქვეყნის კველა საზოგადოებრივი ფენისა და თვით საეკლესიო პირების კათოლიკობზე მოქცევის იღუზიას უქმნიდა (უნდა გავიხსენოთ, რომ მისიონერთა ასეთ სულისკვეთებას არ იზიარებდნენ რომში). პატრების ასეთი სულისკვეთებითაა განმაჭვალული რომში გაგზავნილი რელაციები, რომლებშიც ხან გულწრფელი რწმენით, ხან კი თვალშისაცემი შეგნებული გაზიადებით გაცხადებულია, თითქოს სულ მალე და ადგილად კათოლიკობს ადიარებდა მეფე და მისი კარი, თავადაზნაურობა და მათი მსახურნი, გლეხები და მოქალაქენი. მაგრამ, როდესაც ამ იმედების გამართლება არ ხდებოდა, ზოგიერთი ცალკეული შემთხვევის გარდა, ისინი მიზეზს თავიანთ შეცდომებში ეძებდნენ, თითქოს თვითონ აკლებდნენ მცდელობას, რომიდან არ იყო ჯეროვანი დახმარება და სხვ.

მისიონერების მიერ რომში არასწორი ინფორმაციის გაგზავნა განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: 1) მისიონერებს უნდა გაემართლებინათ საქართველოში, რომიდან საქმაოდ შორს მდებარე ქვეყანაში, თავიანთი ხანგრძლივი ყოფნა და მიღწევათა გაზიადებით ეზვენებინათ გაწეული ხარჯების აზრიანობა. 2) საქართველოში წარმატებული საქმიანობა მათთვის, ზოგჯერ, კარიერის მაღალ საფეხურზე გადაადგილების საშუალება იყო. 3) სავარაუდოა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფალთა ზეგავლენა მისიონერებზე. მათ თავიანთ წერილებსა და მოხსენებებში ისეთი სურათი უნდა დაეხატათ, რომელშიც მეფე, დიდებულები და მოსახლეობის ძირითადი მასა გამოყვანილი იქნებოდნენ კათოლიკობისადმი კეთილგანწყობილად. 4) სამაგიეროდ, ქართველები პაპთან და რომის მაღალ სასულიერო პირებთან გაგზავნილ წერილებში მისიონერებს ყოველთვის დადებითად ახასიათებდნენ. 5) მისიონერთა საქმიანობისადმი მოსახლეობის ფართო მასა შემწყნარებლობას ამჟღავნებდა მანამდე, ვიდრე მართლმადიდებლობას რაიმე სერიოზული საფრთხე დაგმუქრებოდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ კი სამეფო ხელის-

უფლება, მართლმადიდებლური ეკლესია და მოსახლეობა დაუყოვნებლივ ამჟღავნებდა თავის ნამდვილ დამოკიდებულებას უცხო კონფესიისადმი. ასეთი მაგალითები საკმაოდ არის XVII-XVIII საუკუნეებიდან.

კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში უაღრესად მყიფე იყო. მათი კეთილდღეობა ან პირიქით, ყოველთვის მეფის, მთავრის ან რომელიმე დიდებულის განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ამის მაჩვენებელია საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობის ამსახველი წერილობითი ცნობები. მართლმადიდებელი ქართველების კათოლიკეთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ზოგჯერ, საქართველოში დამკვიდრებული ბერძნებისა და სომხების ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევითაც იყო განპირობებებული.

XVIII-XIX ს. პირველი ნახევრის დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიმიუვანა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, საქართველოში იშვიათად იყვნენ ეთნიკური ქართველი კათოლიკენი. ისინი სხვადასხვა დროს შემოვიდნენ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოდან და ირანიდან. მიგრანტა ძირითად მასას შეადგენდნენ ეთნიკური სომხები. მათთან ერთად იყვნენ გასომხებული ქართველებიც.

XVII საუკუნეში მართლმადიდებელი ქართველებისა და ლათინების წინააღმდეგობის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობდა: იერუსალიმში ქართველებს თავიანთი მრავალი ჰკლესია-მონასტრის, განსაკუთრებით კი გოლგოთის შენარჩუნებისათვის, ბრძოლა უხდებოდათ ფრანგებთან ანუ ლათინებთან.

სერიოზული ანტიკათოლიკური განწყობილების მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ I კათალიკოსისადმი მოპყრობა ქართლის სამეფოში XVIII ს. პირველ ნახევარში.

რწმენის საკითხში ორგვარი სტანდარტი საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ქართლ-კახეთის მეფების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობაში. ისინი, ქვეყნის შიგნით მართლ-მადიდებლობის თავგამოდებული დამცველნი, დასავლეთ ეპროპასთან ურთიერთობის დროს თავს აჩვენებდნენ კათოლიკობისადმი ლოიალურად განწყობილად.

განხილული მასალები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველი პოლიტიკოსების რომთან ურთიერთობას პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა. ქართული მხარე მზად იყო ედიარებინა რომის პაპის ტრადიციული, სქიზმამდელი ავტორიტეტი (საქართველოში ასევე პატივს მიაგებდნენ სხვა საპატრიარქოების მეთაურებს), ეს მისთვის სადაო არ იყო. „მაგრამ ერთია ტრადიციით მიმდინარე აღიარება რომის ეპისკოპოსისა, როგორც პირველისა თანასწორთა შორის და სხვა არის მისდამი დაქვემდებარება. ისტორიულად და ტრადიციულად, ავტოკეფალური პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია ბიზანტიის იმპერიის ძლიერების ხანაში არც იმპერიის ცენტრს – კონსტანტინოპოლის ეკლესიას და, არც სხვა რომელიმე საპატრიარქოს არ დაქვემდებარებია, მით უმეტეს რომს“.

საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში ხელისუფლების, ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულება კათოლიკეთა, მათ შორის მისიონერთა მიმართაც, იყო პრაგმატიული, განპირობებული პოლიტიკური მიზნებითა და ვითარებით, აგრეთვე თვით მისიონერების პირადი თვისებებითა და საქმიანობით. ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა გავიმურო: რელაციებისა და ოფიციალური წერილების ცნობები არ ასავდა რეალურ მდგომარეობას.

დასასრულს აუცილებლად უნდა ითქვას: საქართველოში მისიონერების მოღვაწეობა და, საერთოდ, რომთან ურთიერთობა, ამ უკანასკნელის მცდელობა საქართველოში გაევრცელებინა კათოლიკობი, ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია როგორც სასურველი, პროგრესული პროცესი და,

თითქოს ეს იყო ქვეყნის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა. ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ცნობილი წერილობითი წყაროები, როგორც დოკუმენტური, ისე – ნარატიული, თუკი მათ კრიტიკულად გავაანალიზებთ. და თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ ნათელი გახდება, რომ, მართალია ქართველობა ყოველთვის მიიღოცვოდა რომისაკენ და მისი სახით განათლებული და განვითარებული ეკროპისაკენ, მაგრამ იმ პირობით, რომ მას უნდა შეენარჩუნებინაქვეყნისთვის თვითმყოფადობა. ეს იყო ქართული დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი მრავალი საუკუნის მანძილზე.

საქართველოს სამეცნ-სამთავროების ეკროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის, თუნდაც დიპლომატიურ დონეზე, დამყარების ცდები, თავიდანვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული მოქლი რიგი მიზეზების გამო: 1. კონტაქტების დამყარებისათვის საჭირო იყო დიდი დრო, ზოგჯერ რამდენიმე წელი. ამ დროის განმავლობაში კი ბევრი რამ იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში და მიღწეულ შეთანხმებას მნიშვნელობა ეკარგებოდა; 2. შეფერხებები ქვეყნებს შორის დამაკავშირებელ გზებზე; 3. პოლიტიკური სიტუაციის ხშირი ცვლა, როგორც საქართველოში, ისე ეკროპის სახელმწიფოებში; 4. დაპირისპირება და სამხედრო კონფლიქტები მეზობლებთან, რაც ხშირად იწვევდა საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას; 5. ეკროპის სახელმწიფოების სხვადასხვაგარი დამოკიდებულება (უპირატესად ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე) საქართველოს მეზობელი ირანისა და ოსმალეთისადმი, რომელთა მიერ შექმნილი საშიშროებისაგან თავდაცვის აუცილებლობა განაპირობებდა ქართველი პოლიტიკოსების მიერ მოკავშირის ძიებას დასავლეთ ეკროპასა და რუსეთში.

იმპრეოთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების შეთანხმული  
საბარეო კოლიტიკა და ღიკლოგაფია რშსეთ-თშრქვითის  
ომის ၆၀၆ (XVIII ს. 50-60-არ ფლები)

დასაწყისიდანვე რთული იყო იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მეფობა (1752-1784), რაც, უმეტესწილად, განაპირობა საგარეო ფაქტორმა: ძლიერდებოდა ოსმალეთის ზეწოლა და-სავლეთ საქართველოზე. ამით სარგებლობდნენ სამეგრელოს, გურიის მთავრები, რაჭის ერისთავი, მსხვილი სათავადოების პატრონები. ზოგი ჩემულობდა მეფობას, ზოგი თავისი სამ-ფლობელოს გაფართოებას. ისინი თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, მზად იყვნენ მტერსაც კი შემოძლოდნენ ქვეყანაში. ტახტისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ ახალ-გაზრდა მეფის ბიძები – მამუკა და გიორგი, პაპა ლევან გიორგის ძე აბაშიძე და მეფის დედაც კი. მის წინააღმდეგ გამოვიდა მისივე ძმა ბესარიონ კათალიკოსი. სოლომონის გამეფებისთანავე „რაჭის ერისთავი (როხტომი – ე.მ.) და ლუ-კან აბაშიძე დიდის ჯარით იმერელ მეფეზე წამოვიდნენ. სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეიბრნენ, და-იხოცა ორგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაემარჯვათ. მეფე სოლომონ გაიქცა, ახალ-ციხის ფაშას შეეხვეწა, მეფის მამული ააოპრეს<sup>1</sup>. სოლომონ-მა ფაშას დახმარებით ტახტი დაიბრუნა და მოწინააღმდეგები დასაჯა. მეფემ კიდევ უფრო გაიმტკიცა მდგომარეობა სა-მეგრელოს მთავრის დაზე – მარიამზე ქორწინებით.

სოლომონმა ქართლისა და კახეთის მეფეების მხარდა-ჭერა მოიპოვა მაშინ, როდესაც 1757 წელს ქართლს ლევანი დაესხნენ და ის თავისი ჯარით მხარში ამოუდგა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

<sup>1</sup> პაპუნა თრბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 197.

1757 წლის 14 დეკემბერს სოლომონ I-მა ხრესილის მინდორზე დამარცხა თურქები, მათი მოკავშირე ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი როსტომი.

რა თქმა უნდა, ოსმალეთი მარცხს არ შეეგუებოდა. ეს მშევნივრად ესმოდა იმერეთის მეფეს. ის იმასაც ითვალისწინებდა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებისათვის არ იყო სულერთი თუ რა ხდებოდა დასავლეთ საქართველოში და ცდილობდა მათთან დაემყარებინა კავშირი. 1758 წ. მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი: ხუნდახის ბატონი ქართლში დიდი ჯარით შეიტრაზ. თეიმურაზ II და ერეკლე II თავთავის ჯარით გორში მივიდნენ. მაგრამ მეფეებს ჯარი ემცირათ და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს დახმარება სთხოვეს. სოლომონი მცირე ჯარით მოვიდა გორში, სადაც თეიმურაზი და ერეკლე „დახვდნენ საყვარლად“. გორში გაფორმდა ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეხო, ერთმანეთს მივეუვლნეთ“<sup>1</sup> – გადაწყვიტეს ერთხმად და ცხოვრებაშიც განახორციელეს. თავდაპირველად მათ ერთობლივად შეუტიეს კოხტას და ჩონჩოლმუსას მეთაურობით ქართლში შემოსულ ლექთა 8 ათასიან ჯარს და დაამარცხეს<sup>2</sup>. სოლომონ I-მა ასევე დახმარება გაუწია ქართლისა და კახეთის მეფეებს ლექებისა და განჯის სახანოს წინააღმდეგ ბრძოლაში 1759-1760 წლებში<sup>3</sup>.

ხრესილთან (1756 წ.) დამარცხებული რაჭის ერისთავი სოლომონ მეფეს შეურიგდა<sup>4</sup>. როგორც შემდგომი მოვლენები-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 246.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 112.

<sup>3</sup> ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 94-95.

<sup>4</sup> სოსელია ო., ხარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 97.

დან გამოჩნდა, შერიგება ორივე მხარისათვის დროებითი იყო, უფრო ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში.

ერეკლესა და სოლომონს შორის 1758 წელს გორში საფუძველჩაყრილი თანამშრომლობა თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა.

\*\*\*

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1759 წლის დეკემბერში მოწვეულ საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრებას (ესწრებოდნენ დადიანი და გურელი), რომელმაც იმერეთში, ოდიშსა და გურიაში აკრძალა ადამიანებით ვაჭრობა (ტყვეთა სყიდვა); ეკლესია შეაჩვენებდა მათ, ვინც მხილებული იქნებოდა ამ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში; საერო ხელისუფლებამ, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ტყვეებით მოვაჭრეთა-თვის სიკვდილით დასჯა დაადგინა. გარდა ამისა, კრებამ სხვა არანაკლები მნიშვნელობის დაგვენილებები მიიღო სახელმწიფოს განმტკიცებისა და ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების მიზნათ.

ტყვის სყიდვის აკრძალვის გამო განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ჰქონდა ახალციხის ფაშას.

„ახე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა, რომ ადამის ტომს არც პირველ სმენია და არც შემდგომად ისმინება ამისთანა საშინელი, სახმენელად საზარო სიტყვა: ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო. ახლა ამაზედ ახე ერთპირობით დაგვიძებიცებია ღუთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩუმხებან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდევ ერთმანეთს მიუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბძანების აღმასრულებელი ვიქმნეთ და გულის

წმინდით ერთმანეთს მიუღვეთ...<sup>4</sup> – განაცხადეს დასავლეთ საქართველოს იერარქებმა და დიდებულებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში დაწყებულ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას წინ უსწრებდა აღმოსავლეთ საქართველოში კათალიკოს დომენტი IV-ის ინიციატივით დაწყებული კომპანია ადამიანებით ვაჭრობის შესახებ<sup>2</sup>, 1747 წელს ის განახლდა ახალი ძალით<sup>3</sup>.

სოლომონ I-ს ოსმალების რეაქციაზე იმერეთის სამეფოში ტყვის სყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით და სოლომონისა და ერეკლე II-ის საიდუმლო კავშირზე საინტერესო ინფორმაციას ვნახულობთ მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძე ქუთათელის 1768 წლის მოხსენებით ბარათში. მასში აღნიშნულია, რომ სოლომონის გამეფების შემდეგ აიკრძალა არა მხოლოდ ქრისტიანული კანონის და ეკლესიის, არამედ, ზოგადად, ადამიანური სინდისის საწინააღმდეგო ადამიანებით ვაჭრობა. მეფემ დიდი ჯარიმისა და სიკვდილით დასჯის მუქარით გვალა თავის ქვეშვრდომს აუკრძალა ქართველებით ვაჭრობა თურქებთან. განაწყენებულმა თურქებმა სოლომონ მეფეს არაერთხელ სოხოვეს, რომ მას თავისი ქვეშვრდომებისათვის მიეცა ამგვარი უფლება, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. ამტომ სულთანმა 1760 წელს გაგზავნა ჯარი სერასკერ-ფაშას მოლა აბდულას მეთაურობით, მას რაჭის ერისთავი შეუერთდა „და მრავალნი ქრისტიანები სამდგვარონი და საერონი დააკლდნენ სიცოცხლეება“<sup>4</sup>. სოლომონმა დაამარცხა მტერი. როცა სულთანმა ამ მარცხის შესახებ

<sup>1</sup> Акты, I, c. 57.

<sup>2</sup> ტყვის სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი კათალიკოს დომენტი IV-ის შესახებ იხ. ზემოთ: კათალიკოს დომენტი IV-ის პორტრეტის სათვის.

<sup>3</sup> Акты, I, c. 56-57.

<sup>4</sup> რევიაშვილი ქ., იძერეთის ხამეფო. 1462-1810, თბილისი, 1989, გვ. 207.

შეიტყო, 1761 წელს ახალი ჯარი გაგზავნა. იმერლებმა ის ჯარიც დაამარცხეს. 1763 წელს სულთანმა მესამედ გაგზავნა ჯარი, რომელიც გაიყო ორ ნაწილად: ერთს მეთაურობდა სარიის სერასკერი აბდულა რიმან-ფაშა, მეორეს კი, ახალციხის ასან-ფაშა, მათთან ერთად იყვნენ ორ დუღიანი ფაშები და რამდენიმე ბეგი. ჯარში მთლიანობაში იმყოფებოდა 40 ათასი კაცი. თურქებმა დაიპყრეს რამდენიმე სიმაგრე და გაეშურნენ ახალციხისკენ. მათ ესხმოდა იმერელთა ჯარი და მთლიანად გაანადგურა. გათავისუფლებულ იქნა მტრის მიერ დაპყრობილი სიმაგრეები<sup>1</sup>.

ერთი წლის შემდეგ სოლომონ მეფის მოწინააღმდეგები წავიდნენ სულთანთან და მოითხოვეს იმერეთის გასანადგურებლად ჯარი. მათ მისცეს 80 ათასამდე ქვეითი და ცხენოსანი ჯარი ახალციხის ფაშას სარდლობით. მტრს მიემსრნენ იმერეთის ის თავადაზნაურები, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას.

თურქებმა ვერ შეძლეს სოლომონის შეპყრობა. მტრის ჯარის იმერეთიდან გასვლის შემდეგ, მათ მიერ დაპყრობილი ყველა ადგილები მეფემ გაათავისუფლა. სერასკერმა გაუგზავნა სოლომონს შიკრიკი, რომელმაც აცნობა: მეფე ერეკლე სულთანს დაპირდა, რომ სოლომონი ყოველწლიურად გაუგზავნიდა 60 ასულს. სოლომონმა უარი თქვა ასეთი დაპირების შესახებ და განუცხადა, რომ ამგვარ ხარკს არა-სოდეს მისცემდა სულთანს<sup>2</sup>. როგორც შემდეგ გაირკვა ერეკლე მეფე არასოდეს ყოფილა სოლომონ მეფის შეამავლად სულთანთან. მიტროპოლიტი მაქსიმე წერდა, ერეკლე სოლომონთან ფარულ კავშირშია და საიდუმლოდ ეხმარებაო.

ერეკლეს და სოლომონის კავშირის შესახებ სულთნისათვის უცნობებიათ ერეკლეს კარისკაცებს, რის გამოც სულთანი განრისხდა და ამის შესახებ პროტესტი შეუთვალა

<sup>1</sup> Акты, I, c. 14-15.

<sup>2</sup> Там же, c. 15-16.

ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლემ თავის გამართლების მიზნით სულთანთან თავისი ელჩი გაგზავნა.

მოხსენებით ბარათში ნათქვამია რაჭის ერისთავის მოდალატურ მოქმედებაზე, მაშინ, როდესაც სოლომონი თურქებს ებრძოდა. ამის შემდეგ დაიმორჩილა მეფემ რაჭის საერისთავო და თავადების შვილები მძევლებად წაიყვანა.

დოკუმენტში ხაზგასმულია ოდიშისა და გურიის მთავრების სოლომონისადმი ერთგულება<sup>1</sup>.

სოლომონ მეფეს გააზრებული ჰქონდა, როგორი რეაქცია ექნებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს დასავლეთ საქართველოში ტყველებით ვაჭრობის აკრძალვის გამო, და ქვეყნის შიგნითაც გაუჩდებოდა მრავალი უკმაყოფილო. ოსმალების წვრილწვრილი თავდასხმები იმერეთის სამეფოზე ამის შემდეგაც გრძელდებოდა და, როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, მათ სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობა ხვდებოდათ და მარცხს განიცდიდნენ.

სოლომონ I 1764 წელს ალექსანდრე ბაქარის ძეს სწერდა: ყოველ წელიწადს რამდენიმე ათასი ადამიანი იგზავნებოდა მაკმადიანებთან. მამა – შვილს, ქმარი – ცოლს პყიდდა, რომელთა უმრავლესობა მაკმადიანდებოდა, უკავ მეშვიდე წელია, რაც ავრიძალე ქრისტიანების მაკმადიანებზე გაყიდვაო. გასული წლის დეკემბერში სოლომონს ოსმალთა ჯარი დაუმარცხებია. მან შეიტყო, რომ მტერი უფრო დიდი ჯარით აპირებდა იმერეთში შეჭრას, მაგრამ როგორ დასრულდებოდა ოსმალებთან ბრძოლა, ამის პროგნოზირება არ შეეძლო. ამიტომ მას სურდა იმის გარანტია ჰქონებოდა, რომ დამარცხების შემთხვევაში, ალექსანდრე ბაქარის ძის დახმარებით რუსეთი მას შეიფარებდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Там же, с. 16-17.

<sup>2</sup> მაჭარაძე კ., მახალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იხტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 206.

ოსმალეთის მთავრობა ხედავდა რა იმერეთის სამეფოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის სამოკავშირეო კონტაქტებს, ცდილობდა ქართლ-კახეთთან მდგრმარეობა არ დაეძაბდა და იმერეთის სამეფოსთვის ცალკე გაესწორებინა ანგარიში, ის გარკვეულ დრომდე ითვალისწინებდა ირანისა და რუსეთის ინტერესს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში. ოსმალეთი იმავე დროს ცდილობდა გაეთიშა იმერეთის და ქართლ-კახეთის სამეფოები და საქმე პქონებოდა მხოლოდ იმერეთის სამეფოსთან. ოსმალეთის დიპლომატიის ამგვარი მოქმედების საინტერესო ეპიზოდია შემდეგი: 1764 წლის დეკემბრის ბოლოს ოსმალეთის რეიის ეფენდიმ რუსეთის საელჩოს მთარგმნელს უჩვენა სულთნის ბრძანება ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთისა და ტრაპიზონის ფაშებისადმი, რომ ისინი მომზადებულიყვნენ საქართველოზე გასალაშქრებლად. ამის გამო რუსმა დიპლომატებმა პროტესტი განაცხადეს, რაზეც ლაპარაკია კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტის ა. ობრესკოვის და საქმეთა რწმუნებულის პ. ლევაშოვის მიერ იმპერატორისათვის გაგზავნილ წერილში. რუსი დიპლომატების პროტესტმა გაჭრა და ოსმალეთმა ხელი აიღო განზრახვაზე. როგორც შემდეგში გაირკვევა ეს იყო შანტაჟი რუსეთისადმი, რათა მას გავლენა მოქსედინა ქართლ-კახეთის მეფეზე, რათა მხარი აღარ დაეჭირა იმერეთის ანტიოსმალური პოლიტიკისთვის. უფრო მეტიც, მეფე ერეკლეს უნდა ერჩია მეფე სოლომონისათვის, რომ სულთანს დამორჩილებოდა და ძველებურად ეძლია ხარკი<sup>1</sup>.

ოსმალეთის მიერ ასათასიანი არმიის შეკრებაზე საქართველოზე თავდასასხმელად ხმა რომ გავრცელებული იყო, ამის შესახებ რუსეთის კონსული ენზელში ი. იგუმნოვი 1764 წლის 30 მარტს აცნობებდა თავის მთავრობას<sup>2</sup>. იმავე წლის დეკემბრის ბოლოს ოსმალეთის სულთნის ბრძანებიდან ახლ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 48-49.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 203.

ციხის ფაშასადმი, ვიგებთ, რომ იმერეთში შექრილი აბდირ ადა სოლომონმა დაამარცხა. ამბოხებული იმერლების წინა-აღმდეგ სამხედრო ლონისძიებები გაგრძელდება, იმ შემთხვევაში, თუ მეფე ერეკლე განიზრახავს იმერეთის მეფის დახმარებას, ახალციხის ფაშა მაშინვე უნდა შეიჭრას აღმოსავლეთ საქართველოში<sup>1</sup>.

ა. ობრესკოვისა და პ. ლევაშოვის მიერ ეკატერინე II-ისათვის გაგზავნილ რელაციაში ლაპარაკია, რომ განცდილი მარცხის გამო შეწუხებულ თურქებს განუზრახახვთ 30-ათასიანი ჯარის გაგზავნა იმერეთში. იქვე ლაპარაკია რუსი დიპლომატების მცდელობაზე არ დაუშვან ოსმალეთის ჩარევა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში<sup>2</sup>.

რუსი დიპლმეტები 1765 წლის 16 აპრილის რელაციით იმპერატრიცას აცნობებდნენ, რომ, როგორც თურქი დიპლომატებისაგან გაიგეს, მათ ჰქონდათ ზეპირი ინფორმაცია, თოთქოს რუსეთის მთავრობა ეხმარება ერეკლე მეფეს, ეს უკანასკნელი კი ამხნევებდა აჯანყებულ იმერლებს პორტას წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა ხელს შეუშლიდა რუსეთის კარისა და პორტას მეგობრობას<sup>3</sup>.

ასეთი ხმები არ წყდებოდა 1765 წლის განმავლობაში<sup>4</sup>.

1766 წლის 14 იანვარს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი რელაციით ა. ობრესკოვი და პ. ლევაშოვი კონსტანტინოპოლის მახლობელი პერიდან ეკატერინე II-ს აცნობებდნენ პორტის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო განზრახვის შესახებ: სოლომონ მეფესთან მოლაპარაკებისა და სადამსჯელო ძალების გამოყოფას მომავალი გაზაფხულისათვის დასავლეთ საქართველოს გასანადგურებლად<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 212-213.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 213-215.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 215-216.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 216-217.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 220.

თებერვალში რუსი დიპლომატები მთავრობას აცნობებდნენ, რომ მათ ხელში ჩაუგარდათ თურქული დოკუმენტი რომელშიც ლაპარაკი იყო სულთნის განზრახვაზე იმერეთის მეფე სოლომონის წინააღმდეგობის ჩახშობის დონისძიებებაზე. მასში დასახელებულია იმ გუბერნატორების სახელები და ჯარის რაოდენობა, ვის რამდენი და რა სახეობის ჯარი უნდა გამოეყვანა იმერეთში გასალაშქრებლად<sup>1</sup>.

ობრესკოვისა და ლევაშევის 1766 წლის 20 სექტემბრის რელაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ კონსტანტინოპოლში მივიღა მეფე ერეკლეს ელჩი, სოლომონ მეფისა და სულთნის შესარიგებლად მოლაპარაკებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლეს ელჩს პატივისცემით ეპურობოდნენ, ჰყავდათ იზოლირებული და არავის აკარებდნენ, რუსმა დიპლომატებმა თავიანთი არხებით მაინც შეიტყვეს, რომ ერეკლეს ელჩმა განუცხადა ოსმალეთის მთავრობას, იმერეთის სამეფო მზადაა პორტას ყოველწლიურად მისცეს 60 გოგო, მხოლოდ არაქართველი და არა ქრისტიანი. სამაგიეროდ პორტას იმერეთი უნდა ეცნო არა ქვეშევრდომად, არამედ პორტექციის ქვეშ მყოფ ქვეყანად. როგორც ჩვენი წყარო გვარწმუნებს პორტა ამ მოხსოვნებზე დათანხმდებათ – წერდნენ რუსი დიპლომატები<sup>2</sup>.

20 ოქტომბერს დადასტურდა ერეკლეს ელჩის კონსტანტინოპოლში ჩასვლა და მის მიერ იმ პირობების წაყენება ოსმალეთის კარისათვის<sup>3</sup>, რომელზეც ზემოთ იყო ნათქვამი.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებმა უურადღება მიაქციეს იმერეთის მეფე სოლომონ I-ის რუსეთთან კონტაქტების განახლებას. სოლომონმა XVIII საუკუნის 60-იან წლებში თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა და როგორც გამოჩნდა ოსმალეთის რამდენიმე შემოსევაც მოიგე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 221-223.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 224.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 228-229.

რია, მაგრამ 1766 წ. სოლომონი მაინც დამარცხედა. 1767 წლის 26 ნოემბერს ყიზლარში ჩავიდა ერეკლე II-ის დესპანი არქი-მანდრიტი პორფირი, რომელმაც კომენდანტს გადასცა წერი-ლი და ზოგიერთი ამბავიც უამბო საქართველოს შესახებ: 1766 წელს სულთანმა სოლომონთან გაგზავნა ერთ-ერთი ფაშა ჯარით, მან მეფეს გადასცა ბრძანება, რომელშიც აღნი-შნული იყო, რომ თუ იმერეთის მეფე კვლავ ტყვეების მიცემის წინააღმდეგი იქნებოდა, მაშინ მას ტახტიდან გადაა-ყენებდა და მის ადგილზე დასვამდა სოლომონის ბიძაშვილ თეიმურაზე. მაშასადამე, სულთანს იმერეთში გასამეფებლად კანდიდიდატიც ჰყავდა შერჩეული. ეს იყო ოსმალეთში გადა-ხვეწილი თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონი. ფაშას ულტიმა-ტუმს სოლომონ მეფემ უარით უპასუხახა. ფაშამ ჯარი გამოი-ყენა და სულთნის ბრძანება აღასრულა<sup>1</sup>.

\*\*\*

თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონის შესახებ ცნობები უაღრესად მცირეა. ის მეფობდა 1766-1768 წლებში. როგორც რუსეთის მეცუთე კლასის მოხელე (статский советник) თავადი ამილახვაროვი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, 1759 წელს, მან სოლომონის ელჩ მიტროპოლიტ მაქსიმე განათე-ლისაგან შეიტყო, რომ 1760 წელს თურქების მიერ შევიწრო-ებულ მეფეს უდალატა მისმა ბიძაშვილმა, თავისი სიმამრის რაჭის ერისთავის ჩაგონებით. 1765 წელს ოსმალთა ჯარი გუ-რიასა და ოდიშში ჩადგა, იქ გამოიზამთრა და 1766 წლის სექტემბერში იმერეთს შეესია. თურქებმა ქვემო იმერეთი დაი-კავეს, სვერის ციხეც აიღეს, ქუთაისში შევიდნენ და თეიმუ-რაზ მამუკას ძე დასვეს მეფედ. იმერეთის მოსახლეობის დი-დი ნაწილი ახალ მეფეს მიემხრო. სოლომონი კი სხვადასხვა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 261.

ადგილებში იმალებოდა, ბოლოს თავი შეაფარა წერეთლების ციხე სიმაგრეში<sup>1</sup>.

სოლომონი დახმარებას სთხოვდა ჩრდილო კავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარების სარდლობას, მაგრამ ამაოდ თურქების ძირითადმა ჯარმა ქვეყანა დაარბია და იმერეთს გაეცალა, ადგილზე კი 4 ათასი თურქი ჯარისკაცი დატოვა. სოლომონმა თავისი მომხრეები შეკრიბა და სულ მაღე მთელი იმერეთი დაიკავა. მოღალატე თეიმურაზმა თურქეთს შეაფარა თავი.

ოსმალეთის მთავრობას თავად აღარ უღირდა იმერე-თისათვის სამხედრო კამპანების მოწყობა, რაც დიდ ფინან-სურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ვერც თეიმურაზმა გაუმართლათ. ამიტომ, ოსმალეთი ადვილად დათანხმდა სო-ლომონ I-თან ზავის დადებაზე. 1767 წელს ოსმალეთმა იმე-რეთის სამეფოსთან საზავო ხელშეკრულება გააფორმდა, რო-მლის თანახმად, იმერეთის სამეფო ცხადდებოდა ოსმალეთის არა ვასალად, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყნად.

თეიმურაზ მამუკას ქე არ თმობდა პოზიციებს, ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ ჩხერთან გადამწყვეტ ბრძოლაში სო-ლომონმა თეიმურაზი დაამარცხა (1768 წ.). ის მუხურის ციხეში გამოკეტეს და იქვე გარდაიცვალა.

\*\*\*

სოლომონმა იცოდა, რომ ოსმალებისაგან თავს ვერ დააღწევდა. მან დახმარების თხოვნით რუსეთში ელჩი მაქ-სიმე ქუთათელი გაგზავნა და მფარველობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფულით დახმარება ითხოვა თავისი სამხედრო ძალის გასაძლიერებლად.

1766 წლის 20 ოქტომბერს სოლომონ მეფემ ყიზლარის კომენდანტს გენერალ 6. პოტაპოვს გაუგზავნა წერილი,

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, с 1768 по 1774 год, т. I, с. 31.

რომელშიც აღნიშნული იყო, იმ შედეგების შესახებ, რაც მოჰყვა თავისი ქვეშევრდომი ქრისტიანების თურქებზე გაყიდვის აკრძალვას. „როდესაც ეს საქმე შეიტყო ხვანიშარმან, განრისხდა და, ამ ჯარის გარდა, სამგ ზის ჯარი გამომისივა და სამჯერ გავიმარჯვეთ, შვიდი ათასობით, ხუთიათასობით დაგხოცეთ და სხვანი დარჩომილი სირცხვილეულნი გაძრუნდნენ... მას აქეთ ხვანიშარის ფირმანი ორჯერ მომსვლია ამა ძალითა, რომ როგორც პირველ იმერეთის მეფეთაგან დახტერი პქონია იმერეთის ხალხს ტყვის სყიდვისა, ეგეთვე აწ შენ დაეცი დასტური შენ სამეფოში, რომ თათარზე ქრისტიანებ ტყვე იყიდებოდეს და, თუ ამას აღასრულებ, მეც მწყალობელი ვიქები შენიო. და მაგიერი პასუხი ჩემ მიერ მიწერილი ხვანიშართან: რომელიც დასაბამიდვან ბეგარა ზდებია ჩემს ხალხს, იმისი მომცემი ვარ და უმეტესისაც და ჩემს ხიცეცხლეში ქრისტიანებაგან ერთის სულის გახყიდვაც არ იქნება და კერც დასტურს მივცემ<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონმა საბოლოოდ გაიმარჯვა, თურქები მაინც ითხოვდნენ ტყვის სყიდვის აღდგენას. ჩანს, სოლომონ მეფე იმდენად პრინციპულად იყო განწყობილი თავის სამეფოს მოსახლეობის დასაცავად, რომ არავითარ დათმობაზე არ წავიდა ოსმალეთის სახელმწიფოს წინაშე, თუნდაც იძულებული გამხდარიყო, ამისათვის სამშობლოც დაგტოვებინა. ის მზადა იყო ზოგიერთ თავადაზნაურთან და მსახურთან ერთად გადასულიყო რუსეთში. ამიტომ სოლომონი სწერდა ყიზლარის კომენდანტს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეშუამდგომლა რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ მისი თხოვნა რუსეთი სასაზღვრო ზოლში გადასახლების შესახებ დაეკმაყოფილებინა. კომენდანტს პეტერბურგიდან მოსული პასუხი სოლომონისათვის უნდა ეცნობებინა იმ ქართველი არქიმანდრიტის, გიორგის საშუალებით, რომელიც მისიონერად იმყოფებოდა ოსეთში. არ გასულა დიდი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 225-226.

ხანი, რომ არქიმანდრიტი ყიზლარში ჩავიდა და ითხოვა, რუსეთის მთავრობას ეშუამდგომლა ოსმალეთის სულთნის კართან, რათა ის დაკმაყოფილებულიყო იმერეთიდან მიღებული ფულადი ხარჯით. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის მთავრობამ სოლომონ მეფე თავისი ხალხით დაასახლოს საქართველოს საზღვართან და არა შიდა რუსეთში<sup>1</sup>.

სოლომონ I კომენდანტს სთხოვდა, რომ იმერეთში მალე დაებრუნებინა ყიზლარში გაგზავნილი სარდალი თავადი ქაიხოსრო წერეთელი და სრულიად იმერეთის მოურავი გორგი აბადუშრიძე<sup>2</sup>.

1766 წლის ნოემბერში სოლომონის ელჩები, თავადი ქაიხოსრო წერეთელი და გიორგი აბადუშრიძე ჩავიდნენ ყიზლარში და გენერალ პოტაპოვს გადასცეს წერილი. პოტაპოვმა მეფის წერილი მაშინვე იმპერატრიცას გადაუგზავნა. როდესაც პასუხს მივიღებ დაუყოვნებლივ გაცნობებო – წერდა კომენდანტი მეფე სოლომონს<sup>3</sup>.

20 ნოემბერს პოტაპოვმა მოახსენა საგარეო საქმეთა კომისიას იმერეთის მეფის ელჩების ყიზლარში ჩასვლისა და სოლომონის თხოვნაზე თურქებთან ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაში რუსეთში თავშესაფრის მიცემის შესახებ<sup>4</sup>.

რუსეთისგან დახმარების თხოვნის პარალელურად, სოლომონ I ცდილობდა ერეკლე II-ის შეწევნით გამოენახა საერთო ენა ოსმალეთის სულთანთან.

რუსეთის რეზიდენტი ოსმალეთში თავის მთავრობას აცნობებდა, რომ მიუხედავად ოსმალეთის სიძლიერისა, მაინც ვერ ახერხებდა სოლომონის დამარცხებას. პორტა მზად იყო ერეკლეს შუამავლობით შეეწყვიტა იმერეთში სამხედრო მოქ-

<sup>1</sup> Цагарели А., А., Грамоты..., т. I, , с. 1-2; მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ხაჯ. I, გვ. 226.

<sup>2</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ხაჯ. I, გვ. 226.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 231-232.

მედება ორი პირობით: 1. სოლომონის ქვეშევრდომი ქართველები ძველი ჩვეულების თანახმად ყოველწლიურად მისცემდნენ 60 გოგოს, თუნდაც არაქართველს; 2. პორტა ადარ მიიჩნევდა იმერლებს თავის ქვეშევრდომებად. ისინი იქნებოდნენ მხოლოდ პორტას პროტექციის ქვეშ.

პორტამ ერეკლეს მიანიჭა სრული უფლება სოლომონთან დირსეული ხელშეკრულების დასადებად. ერეკლეს მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი კაცი დააჯილდოვეს, შემდეგ კი ჰერიტეს: ხომ არ ეხმარებოდა რუსეთი ქართველებს. მისი პასუხი იყო: მართალია სოლომონის იმერეთი არ არის ოსმალეთივით ძლიერი, მაგრამ მას ეხმარებიან კავკასიის მთიელი მთავრები, რუსეთი არავითარი ფორმით არ ერევა იქაურ საქმეებში, ამის საშუალებას რუსეთს იმერეთისგან სიშორეც არ აძლევსო<sup>1</sup>.

რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ ჰქონდა ოსმალეთის იმპერიასთან ომის დაწყება, ამიტომ ცდილობდა პროცესი ხელოვნურად არ დაეჩქარებინა, იმერეთის სამეფო-ოსმალეთის დაძაბულ ურთიერთობაში ჩარევით. ამიტომ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხსენების საფუძვლებზე, იმპერატრიცას ბრძანებით (1767 წლის 30 მარტი), ყოზლარის კომენდანტს დაევალა სოლომონ I-ს აცნობოს არქიმანდრიტ გრიგოლის საშუალებით, რომ მისი სურვილი საჭიროების შემთხვევაში რუსეთში გადასვლის შესახებ მთავრობის მიერ აღქმული იქნა სიამოვნებით, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი მტერი გრძნობს თავის წარუმატებლობას, იმერეთის სამეფოსთან ომის სიმბიმეს და ადარ უნდა ომის გაგრძელება. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება აღარ იყოს საჭირო სამშობლოს მიტოვება და რუსეთში გადასვლა. თუმცა ოსმალეთის ხელისუფლება როდესაც წელს მოიღვამს ისევ შეეცდება თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. რადგან პორტასთან მუდმივი

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 2.

შევიდობა შეუძლებელია, ამიტომ სოლომონმა სხვა დროისათვის გადასდოს თავისი განზრახვა<sup>1</sup>.

როგორც ირკვევა, საგარეო საქმეთა კომისიამ მაინც შეისწავლა სოლომონ მეფის თხოვნა რუსეთში თავშევარების შესახებ და 1767 წლის 1 თებერვალს ეკატერინე II-ს წარუდგინა თავისი მოსაზრება მოცემულ საკითხზე. სოლომონის წერილი ქართულიდან რუსულად უთარგმნია მეშვიდე სარისხის მოხელეს, აბაზაძეს. ამას გარდა კოლეგიას ხელთ პეტრები პოტავის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც კომენდანტი, არქიმანდრიტ გრიგოლის მონათხოვბზე დაყრდნობით აღწერდა სოლომონის მდგომარეობას, რომელსაც თავი შეუფარებია ოსეთის მახლობლად ერისთავ როსტომის სამფლობელო კუდაროში.

ამგვარად, იმერეთის მეფისგან, ყიზლარიდან და ოსმალეთში მყოფი რუსი დიპლომატებისგან გაგზავნილი მასალების, პოლონეთის საკითხის გამო რუსეთ-ოსმალეთს შორის არსებული რთული მდგომარეობის ანალიზის გათვალისწინებით, კოლეგია მოცემულ ეტაზზე იმპერატორს არ ურჩევდა სოლომონისა და მისი თანმხლები ადამიანების რუსეთის ტერიტორიაზე მიღებას. კოლეგიამ თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა შემდეგ მუხლებად:

1. სოლომონ მეფე, ყოველი შემთხვევისათვის, ეძიებს თავშესაფარს რუსეთში თავის ოჯახინად.

კოლეგიამ მიზანშეწონილად ჩათვალა: ეს საკითხი უაღრესად რთულია, რადგან შეიძლება დაძაბოს რუსეთის ურთიერთობა პორტასთან, რომელსაც ისედაც გართულებები აქვს ევროპაში. სოლომონის გადასვლა რუსეთში შეიძლება უფრო ძვირი დაუჯდეს სახლმწიფოს, ვიდრე არასაიმედო ქართველების მომხრეობა. არა მხოლოდ სოლომონის თავის ხალხთან ერთად მიღებამ ვასალად, არამედ რუსეთის საზღვართან მისი თვითნებური მიახლოებაც კი, პორტასათვის გაუგებარი

<sup>1</sup> Там же, с. 3.

არ დარჩება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პორტაში დიდი ჰქვი და ჩათვალოს თავისთვის საშიშად და საზიანოდ, ამან კი გამოიწვიოს პორტასთან ურთიერთობის გაციება და კონფლიქტი;

2. სოლომონი ითხოვს რუსეთის მოსარჩლეობას ოტომანთა პორტას წინაშე, რათა მან მოასვენოს იმერეთი. მაგრამ ეს გამოიწვევს ძლიერ ეჭვს ოსმალეთში, თუმცა ამის გარეშეც ეჭვობდნენ პორტაში, რომ შეიძლებოდა რუსეთის იმპერია ეხმარებოდა ქართველებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მაგრამ, როგორც კოლეგია ფიქრობდა, რუსეთის მხრიდან ამგვარი საქციელი დიდად საფრთხილოა. პორტა ისედაც ეჭვობდა, რომ შეიძლებოდა რუსეთის იმპერია ეხმარებოდა ქართველებს, ამის შესახებ ეკითხებოდნენ ერეკლეს მიერ მივლინებულ დესპანს კონსტანტინოპოლიში;

3. სოლომონისთვის გადაწყვეტილ უარის თქმა და იმედის სრული გადაწყვეტა არ არის საჭირო. შეიძლება ის და მისი ხალხი გამოადგნენ იმპერიას მაშინ, როცა მოხდება განხეთქილება ოსმალეთის კართან;

4. საგარეო საქმეთა კომისიის აზრით, უნდა გაეგზავნოს წერილობითი ბრძანება ყიზლარში გენერალ-მაიორ პოტაპოვს ზემოაღნიშნული ვითარების განმარტებებით. მან თავისი სახელით გაუგზავნოს სოლომონს სპეციალურად დანიშნული ქართველი ან სანდო მაშმადიანი კაცი, რომელიც წაგა საქართველში ვითომდა თავისი საჭიროებისათვის. მისთვის გადაცემულ მოკლე წერილში აღინიშნებოდა, რომ პოტაპოვმა იმპერატრიცას უკვე გაუგზავნა სოლომონის წერილები, რომ-ლებიც კმაყოფილებით მიიღო საიმპერატორო კარმა<sup>1</sup>.

5. კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, დალოდებოდნენ რა შედეგით დამთვრდებოდა ერეკლე I-ის მედიატორობა იმერეთისა და ოსამალეთის შესარიგებლად.

<sup>1</sup> მაჭარაძე კ., მახალები..., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 233-236. ქდრ. იქნება, გვ. 65.

6. ყიზლარის კომენდანტმა გაგზავნოს იღუმენი გრიგოლი იმერეთში, ვითომ თავისი საქმეების მოსაგვარებლად და ნათესავების მოსანახულებლად, მკაცრად გააფრთხილოს, რომ არავის გაუმხილოს, რომ ყიზლარიდან არის გაგზავნილი, განსაკუთრებით კი არავინ უნდა იცოდეს მისი გაგზავნა იმერეთში კომისიის დაგალებით. ყიზლარიდან გამგზავრების წინ კომენდანტს არქიმანდრიტისთვის უნდა მიეცა 200 რუბლი, ან რამდენიც საჭირო იქნებოდა საცხოვრებლისა და გამყოლების დასაქირავებლად. ყიზლარში დაბრუნების შემდეგ იღუმენს კომენდანტისათვის უნდა წარედგინა დაწვრილებითი ანგარიში.

7. რომელი მოსაზრებებიც წარუდგინა კომისიაშ იმპერატრიცას მეფე სოლომონთან და იმერეთის სამეფოსთან დაკავშირებით, რამდენად იყო მისაღები, ამას თვითონ გადაწყვეტდა<sup>1</sup>.

ეპატერინე II-ის მიერ საგარეო საქმეთა კიმისიის მოსაზრებათა გაცნობისა და მოწონების შემდეგ, ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს 1767 წლის 30 აპრილს გაეგზავნა წერილობითი ბრძანება როემელშიც ძირითადად გამეორებული იყო კოლეგის არგუმენტები. პოტაპოვს გაეგზავნა, აგრეთვე ის პასუხები, რომლებიც მას უნდა გადაეცა სოლომონ მეფისათვის<sup>2</sup>.

საინტერესო რეალაცია გაუგზავნეს ა. ობრესკოვმა და პ. ლევაშოვმა ეპატერინე II-ს 1767 წლის 31 აგვისტოს, რომელშიც იყო ნათქვამი, რომ სულთანმა იმერეთში გაგზავნა სასახლის ერთ-ერთი დიდებული, ქაფუჯი-ბაში, რომელიც დაბრუნდა რატიფიცირებული ხელშეკრულებებით. ოსმალო დიდებულმა სულთანს მოახსენა, აგრეთვე, რომ თითქოს ერეკლე მეფემ რუსეთის იმპერატორისგან მიიღო პროტექცია, რომლითაც იგი გაძლიერდება არა მხოლოდ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 237-238.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 240-245.

ირანის წინააღმდეგ, არამედ მისი მეზობელი იმ ხალხების წინააღმდეგაც, ვისაც არ სურთ დაემორჩილონ მას. მაგრამ სულთანმა კაფუჯი-ფაშას მიერ მოხსენებული არ დაიჯერა და სრულიად მშვიდად იმყოფებოდა<sup>1</sup>. ღოკუმენტისათვის დართულ შენიშვნაში აღნიშნულია სწორად, რომ კაფუჯი-ფაშას მიერ ვითომდა საქართვლოში მომხდარი ამბები შეთხული იყო თურქების მიერ რუს დიპლომატებზე ზეწოლისა და შეცდომაში შევგანის მიზნით<sup>2</sup>. მართლაც, არავთარი ცნობა არ არსებობს დასახელებულ წელს ოსმალებსა და სოლომონ I-ს, ერეკლე II-სა და რუსეთის ხელისუფლებას შორის რაიმე ხელშეკრულების დადების თაობაზე. როგორც შემდგომში გამოჩდება სულთნის კარზე იცოდნენ ა. ობრესკოვისა და პ. ლევაშოვის ჯაშუშური საქმიანობის შესახებ და მათი საშუალებით უნდოდათ რუსეთის ხელისუფლების დეზორინიუმისა. სინამდვილეში, იმავე ზაფხულს ოსმალეთის 30 ათასიანი ჯარი შეიჭრა იმერეთში და, ზოგიერთი ცნობით, არავინ იცოდა სად შეაფარა თავი მეფე სოლომონმა, იმერეთში თუ ერეკლე II-სთან. ეს ამბავი ყიზლარში არქიმანდრიტ გრიგოლის აცნობა ოსეთიდან ჩასულდა დიაკვანმა ივანე ზურაპოვმა, რომლისთვისაც ამის შესახებ უთქვამს ერთ იმერელს ოსეთში<sup>3</sup>.

რუსეთის საიმპერატორო კარი, თავის მხრივ ცდილობდა ცრუ დაპირებებით, ქართველი მეფეები გაეხადათ ოსმალეთისა და ირანის წნააღმდეგ განსახორციელებული თავისი პოლიტიკის ინსტრუმენტებად. მან დაიწყო საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ შეთავაზებული 1767 წლის გადაწყვეტილებათა განხორციელება. ოქტომბერში ყიზლარის კომენდანტმა პოტაპოვმა სოლომონ მეფეს გაუგზავნა წერილი არქიმანდრიტ გრიგოლის ხელით. წერილში აღნიშნული იყო, რომ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 250-251.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 259.

იმპერატორმა კმაყოფილებით მიიღო სოლომონ მეფის წინადადებები და კომენდანტის წერილის მიზანი ამის შეტყობინება იყო. სხვათა შორისო, წერდა პოტაპოვი, არქიმანდრიტი გრიგოლი იყო მოსკოვში და ის ყველაფერს პირადად მოგახსენებოთ<sup>1</sup>.

ერეკლე მეფე, თავის მხრივაც, იყენებდა დაზვერვის ან საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკებებისათვის „შემთხვევით“ ადამიანებს. მეფე წერს პოტაპოვს: „ჩუმნი ნათესავი არქიმანდრიტი პორფირი წამოვიდა მანდ ყიზლარ ქალაქად თვისთ მშობელთა თანა სანახავად და თქუმნის მაღალ ზეალმავლობისაგან დაუგდებელ იყოს“<sup>2</sup>.

პოტაპოვი საიდუმლოდ აცნობებდა საგარეო საქმეთა კომისიას, რომ არქიმანდრიტი გრიგოლი უზრუნველყო ყველაფრით, რაც აუცილებელი იყო და გაგზავნა იმერეთში.

იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების პოლიტიკურ მდგრმარეობასა და საგარეო ურთიერთობებზე საინტერესი ინფორმაციაა შემონახული ერეკლე მეფის დესპანის არქიმანდრიტ პორფირის ყიზლარში კომენდანტ პოტაპოვისათვის მონათხოვის მიხედვით გაკეთებულ ჩანაწერში 1767 წლის 26 ნოემბერს<sup>3</sup>.

მას შემდეგ, რაც თურქებმა თეიმურაზ ბაქარის ძე გაამეფეს იმერეთში, სოლომონი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ ჰქონდა, ქუთაისს გაიცალა და თავის მამულში დაბრუნდა. რაჭის ერისთავმა თურქ ფაშას აღუთქვა, რომ სოლომონ მეფეს შეიძყრობდა ან მოკლავდა. მაგრამ სოლომონმა მოიკრიბა ძალა და თეიმურაზი, თავისი ძმა კათალიკოსი და ერისთავი გაიცნენ. დესპანმა ერეკლე მეფის შესახებ განაცხადა, რომ ისიც არანაკლებ სახიფათო მდგრმარობაშია. სოლომონმა სთხოვა მას, რომ დახმარებოდა

<sup>1</sup> ოქვე, გვ. 254.

<sup>2</sup> ოქვე, გვ. 255.

<sup>3</sup> ოქვე, გვ. 261.

თურქების წინააღმდეგ, მაგრამ სიფრთხილის გამო არ დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ვაჟი ერეკლეს ქალიშვილის ქმარია. ამგვარად, თურქებს არ მიეცათ საბაბი ქართლის მხრიდან შესეოდნენ იმერეთს<sup>1</sup>.

არქიმანდრიტ გრიგოლის საქმიანობა საქართველოში აისახა რამდენიმე დოკუმენტში. 1768 მოხსენებაში, რომელიც ემყარება არქიმანდრიტის 26 იანვარის წერილს, ირკვევა, რომ ის 1767 წლის 20 დეკემბერს ჩავიდა იმერეთში, მაგრამ მეფე სოლომონის ნახვა ჯერ ვერ შეძლო, რადგან ის თავისი ჯარით წასული იყო თურქების მიერ წართმეული ქალაქების დასაბრუნებლად. 1768 წლის იანვარში იმერეთიდან მიღებული წერილით ყიზლარში გაიგეს, რომ არქიმანდრიტმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე ცუდი ამინდებისა და გზის გამო, მაისში კი ცნობილი გახდა, რომ არქიმანდრიტი მოკლეს მუსლიმანმა აჭარლებმა<sup>2</sup>. 2 ივლისს პოდპოლკოვნი კოპიტოვსკი იტყობინებოდა, რომ მას ოსეთიდან აცნობეს რომ გრიგოლი იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მოკლეს თათრებმა, ხოლო მის ამაღლაში მყოფი ყველა ადამიანი ტყვეებად წაიყვანეს. გრიგოლის მოკვლის ამბავი დაზუსტდა ყიზლარში ჩასული გრიგოლის ძმის, დიაკვან სტეფანეს მიერ. მან განაცხადა, რომ იმერეთში ისინი მიიღეს კარგად და ყველაფრით უზრუნველყველება, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, მისთვის უცნობი მიზეზით გრიგოლი გაემგზავრა შავი ზღვის ნაპირზე გურიელთან. მას დამე დაესხნენ თათრები<sup>3</sup>, არქიმანდრიტი მოკლეს და მისი ქონება გაიტაცეს,

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Цагарели А., I, Грамоты..., т. I, с. 4.

<sup>3</sup> 1768 წლის 20 მაისის მოხსენებით ბარათში პოტაპოვი განმარტავდა, თათრებში იგულისხმებოდნენ მუსლიმანი აჭარლებით. იქვე ლაპარაკია ზოგიერთი ტყვის გამოსყიდვის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ქათალიკოსის მიერ. მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 271. სოლომონ მეფე 20 ივნისს პოტაპოვს აცნობებდა: „მაგრამ ჩვენი ცოდ-

თანმხლებნი კი ტყვეებად წაასხეს, გადარჩა მხოლოდ დიაკ-  
ვანი, რომელმაც მოასწრო ტყეში დამალვა. მისთვის უცნობია  
რა მოილაპარაკეს ყიზლარში არქიმანდრიტისათვის მიცემულ  
საიდუმლო დაგალაბათა შესახებ. როდესაც იმერეთიდან  
საქართველოში (ქართლი) გამოიარა, თბილისში ინახულა  
ტყვეებიდან გამოსყიდული იქროდიაკონი პარვენი, რომელიც  
არქიმანდრიტი გრიგოლის ამაღაში იმყოფებოდა. მისგან  
გაიგო, რომ პარვენის განზრახული პქონდა სოლომონის ნა-  
ხვა, რომელმაც უბრანა წერილების წაღება. მათი მიღების-  
თანავე ის გაემგზავრებოდა ყიზლარში<sup>1</sup>.

როგორც განხილული დოკუმენტებიდან ჩანს, რუს  
მოხელესთან, პოტაპოვთან მიმოწერას მხოლოდ სიტყვიერი  
და არა პრაქტიკული შედეგი მოჰქონდა იმერეთის სამეფო-  
სათვის. ამიტომ სოლომონ მეფემ გადაწყვიტა უშუალოდ  
საიმპერატორო კარს დაკავშირებოდა. მან, გარკვეული დიპ-  
ლომატიური სუბორდინაციის დაცვით, 20, 21 და 23 ივნისს  
დაწერა სამი წრილი. 20 ივნისისა განკუთვნილი იყო ყიზ-  
ლარის კომენდანტ პოტაპოვისათვის, ხოლო 21 ივნისისა კი  
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნ. ი. პანინსათვის.  
მეფე სოლომონი პოტაპოვს წერდა, რომ თავის წარმომა-  
დგენლად რუსეთში აგზავნიდა ყოვლად სამღვდელო ქუთა-  
თელ მიტროპოლიტ მაქსიმეს<sup>2</sup>. იმერეთის მეფე პანინს სოხო-  
ვდა დახმარებოდა მის ელჩს, რომ შეუფერხებლად ჩასულიყო  
პეტერბურგში და საიმპერატორო კარისათვის გადაეცა თა-  
ვისი მეფის თხოვნა<sup>3</sup>.

23 ივნისის წერილის ადრესატი იყო იმპერატრიცა ეკა-  
ტერინე II. სოლომონ I-მა ეკატერინე II-ს სოხოვა სამი რამ:

---

კით გრიგოლ არქიმანდრიტი ანაზდათი განსაცდელით უხჯულო თხმა-  
ლისაგან დამარცხდა“ იქვე გვ. 272.

<sup>1</sup> იქვე გვ. 270.

<sup>2</sup> იქვე გვ. 272.

<sup>3</sup> იქვე გვ. 274; Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 18-19.

იმერეთის მიღება რუსეთის მფარველობაში: „პირველად, რათა გამომიქნა უცხოთებლოთა, ოსმანთა, პელიშებან და ყოვლად ძლიერი პელი დასძვა ჩვენზედა და ქვეყანასა და ერთა ჩვენსა“; თუ ქვეშევრდომობა არ მოხერხდებოდა, მაშინ რუსეთის მთავრობას იმერეთის თავდაცვისათვის მიეცა სესხი: „მეორედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის, აქავ განგვამტკიცოს ყოვლად მოწყალე პელმწიფებ საჯმართა და შეწევნათა..., რომ ჯარის მიცემა შევიძლოთ და მით უძლოთ წინააღმდეგობად ოსმანთა, რამთუ ჩვენ საჯმართავან ფრიად ნაქლულებან ვართ“; თუ არც ეს მოხერხდებოდა მაშინ, ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაში, მოგვეცი თაგშესაფარი რუსეთში: „მესამედ: მტკიცნი ჩვენნი მაკმადიანნი, ოსმანნი, ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ მოწყალე პელმწიფებ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თავისსა, ვითარ შეუწყნარებიან სხვანი მეფენი...“<sup>1</sup> ასეთივე შინაარსის წერილი ჩაიტანა ყიზლარში მიტროპოლიტმა მაქსიმემ 1768 წლის 4 ოქტომბერს, რის შესახებაც მოახსენებდა კომენდანგი საგარეო საქმეთა კომისიას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Цагарели А., I, Грамоты..., т. I, с. 18-19; მაჭარაძე ვ., მახალები..., ხანშ. III, ხაკვ. I, გვ. 274-275.

<sup>2</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ხანშ. III, ხაკვ. I, გვ. 281-283.

## საქართველო და რუსთ-ოსმალეთის ომი (1768-1774 წლ.)

რუსთ-ოსმალეთის წინააღმდეგობამ უაღლეს წერტილს მიაღწია. 1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ომს წინ უძღვოდა რუსეთის და საფრანგეთის რთული ევროპული დიპლომატიური თამაში და რეჩპოსპოლიტას პოლიტიკური კრიზისი. საფრანგეთისა და პოლონეთის ინტერიგებით ოსმალეთის სულთანმა მუსტაფა III-მ (1757-1774) ომი გამოუცხადა რუსეთს. ოსმალეთის მხარეს იბრძოდნენ ყირიმის სახანო და ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე დუბრუვეცის რესპუბლიკა და აჯანყებული პოლონელი კონფედერატები. რუსეთს თავიანთი შეიარაღებული ძალით დაეხმარებოდნენ დონის, თერგის, მალოროსიის და ზაპოროველი კაზაკები. 1770 წელს, რუსეთის ფლოტის მხარდაჭერით ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყდნენ პელეპონეგ-სელი ბერძნები, 1771 წელს კი ეგვიპტე და სირია.

რუსეთის მთავრობამ, რომ ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს მიაპყო უერადღება დასავლეთ საქართველოს, ამის შესახებ თავის ადგილას ითქვა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა შავი ზღვისპირეთში რუსეთის სასარგებლოდ. იგი უკვე მნიშვნელოვან ძალად ითვლებოდა რეგიონში. აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთის მთავრობა შეეცდებოდა უფრო ენერგიულად გამოეყენებინა საქართველო თავისი სამხედრო მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი შავ ზღვასთან მდებარე იმერეთის სამეფო და მისი ვასალები – ოდიშისა და გურიის სამთავროები. ეს გააზრებული პქონდათ როგორც ქართველ, ისე რუს პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს. რუსეთს სურდა ომში არა მხოლოდ იმერეთი, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოც ჩაება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთში ცნობილი იყო სოლომონ I-სა და ერეკლე II-ის მოკავშირეობა; იცოდნენ ერეკლეს სურვილი საქართველოს დაებრუნებინა მესხეთი, ჭარ-ბელქანი და აღეკვეთა ლეპების თავდას-

ხმები. ამის განხორციელების საშუალება მას ეძლეოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთის მხარეს დადგომით.

რუსეთის მთავრობამ განიზრახა ოსმალეთისათვის შეეტყია ერთდღოულად რამდენიმე მიმართულებით: ერთი არმია შეუტევდა ევროპაში, მეორე ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფ ყირიმის სახანოს, ერთი კორპუსი – საქართველოდან, მეორე კი – ყუბანიდან.

ომის დაწყებამდე საქართველოში მოხდა მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც რუსეთს საქართველოსადმი ინტერესს უდევიძებდა. კერძოდ, ანგარიშგასაწევი იყო ქართველთა შეიარაღებული ძალა; რუსეთში ცნობილი იყო, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა გამეფებისთანავე დაიწყო ომი ოურქების წინააღმდეგ თავისი მცირე ჯარით, დაახლოებით 7 ათასი მეომრით და მოკრძალებული ფინანსებით, დაახლოებით 10 ათასი რუბლით<sup>1</sup>; იცოდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მიერ ირანისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების შესახებ XVIII საუკუნის 60-იან წლებში. უფრო მეტიც, ერეკლეს მონაწილეობა ომში, გარდა მისი სამხედრო პოტენციისა, მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მას შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა ირანზე და დაემშვიდებინა შაჰი, რომ რუსეთს თავისი ჯარის საქართველოში შემოყვანისას არავითარი ანტიირანული ზრახვები არ ჰქონდა; ამ დროს ერეკლემ ირანის შაჰ ქერიმ ხანთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა თეიმურაზ II-ის გარდაცვალებისა და ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ (ერეკლემ ქერიმ-ხანს 1763 წელს გადასცა ტახტის მოცილე აზატ-ხანი, რომელიც ჯერ კიდევ 1760 წლიდან ჰყავდა ტყვეობაში). მადლიერმა ქერიმ-ხანმა ერეკლე ქა-

<sup>1</sup> Бутков П. Г., *Материалы новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, С.-Петербург, 1869, с. 275.*

როლ-კახეთის მეფედ აღიარა და ამიერკავკასიის ხანებს უბრძანა დამორჩილებოდნენ ერეკლე მეფეს<sup>1</sup>.

1768 წლის 30 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელმა ნ. ი პანინმა გაუგზავნა წერილი სოლომონ I-ს<sup>2</sup>. მასში ნათქვამი იყო, რომ იმპერატრიცა ეკატერინე II ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო სოლომონ მეფისა და იმერეთის მთელი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ არსებული კითარება არ აძლევდა საშუალებას დაეცვა ისინი მტრის მიერ შევიწროებისაგან. მიზენი კი მდგომარეობდა იმაში, რომ ვიდრე პორტა იცავდა რუსეთთან ზავს, არ შეიძლებოდა მასთან დადგებული „წმინდა“ ტრაქტატების დარღვევა. ეხლა კი, როდესაც ოურქებმა გამოუცხადეს ომი რუსეთს, მოიხსნა დაბრკოლება და დაწყებული ომი აძლევს საშუალებას სოლომონს, რომ მან მოიშოროს ოუქების უღელი. ოსმალეთი ვედარ შეძლებს გასწიოს ძველებული წინააღმდეგობა. სოლომონ I-ის ელჩის მიტროპოლიტ მაქსიმეს პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ შემუშავებული იქნება სოლომონის ოურქების წინააღმდეგ ომის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება რუსეთის იმერეთის სამეფოსადმი სამხედრო დახმარება. პანინი შემდეგ აღნიშნავდა, რომ ოუწარმატებას მიაღწევდნენ, ოსმალეთს დაამარცხებდნენ, სამშვიდობო ტრაქტატში გათვალისწინებული იქნებოდა სოლომონის სამეფოს ინტერესები. მოცემულ ეტაპზე კი, სოლომონ მეფეს უნდა შეეკრიბა, რაც შეიძლებოდა ბევრი ჯარი და შეეტია მტრისათვის, რათა მას არ პქონებოდა თავდაცვის საშუალება.

<sup>1</sup> დუმბაძე მ. ქართლ-კახეთის გათავისუფლება ირანის ბატონობისაგან // სქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 631-632.

<sup>2</sup> წერილი სოლომონს ჩამოუტანა რუსეთის ოფიცერმა, პორუჩიკმა ხვაბულოვმა (ქობულაშვილმა) 1769 წლის 16 იანვარს და გადასცა რაჭაში. *Бутков П. Г., Материалы..., с. 277.*

წერდში განსაკუთრებით იყო დაყენებული საკითხი ხოლომონ მეფის მიერ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მიმხრობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც თურქებზე მოპოვებული იქნებოდა გამარჯვება, მაშინ თავისთავად გადაიჭრებოდა საქართველოს შემწუხებელი ლეკების საკითხიც<sup>1</sup>.

იმავე დღეს ყიზლარის კომენდანტს გაეგზავნა საგარეო საქმეთა კომისიის ბრძანება, რომ მას დაუყოვნებლივ გაეგზავნა პეტერბურგში ყიზლარში მყოფი მიტროპოლიტი მაქსიმე, ხოლო მისი ამალის წევრი არქიმანდრიტი ერთი ოფიცირის თანხლებით გაეშვა იმერეთში, რათა ადგილზე გაცნობოდა მდგომარეობას და წაეხალისებინა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მონაწილეობა მიედო ომში<sup>2</sup>.

1769 წლის 20 იანვარს პოტაპოვმა საგარეო საქმეთა კოლეგიას მოახსენა, რომ 6 იანვარს პეტერბურგში გააგზავნა მიტროპოლიტი მაქსიმე, დაჯილდოვა მისი ამალის წევრი არქიმანდრიტი და 14 იანვარს ის გააგზავნა ყიზლარის ქართველთა პუსართა პოლკის პორუჩიკ თავად გრიგორი ხვაბულოვთან (გიორგი ქობულაშვილი) ერთად იმერეთში. თავად ხვაბულოვს დაევალა იმერეთში არსებული მდგომარეობის შესწავლა<sup>3</sup>.

8 მარტს მაქსიმე ჩავიდა პეტერბურგში. ის დააბინავეს საგარეო საქმეთა კოლეგიის სახლში<sup>4</sup>. ხგაბულოვი ჩავიდა იმერეთში 20 მარტს.

<sup>1</sup> Бутков П.Г., *Материалиы...*, с. 277; Цагарели А., I, *Грамоты...*, т. I, с. 22-25; მაჭარაძე ვ., მახალები, ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 292-294.

<sup>2</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 292-294. იმპერატრიცა ეკატერინე II ვოლტერს სწერდა 1770 წლის 19 იანვარს, რომ ქართველ მეფეებს შორის ერეკლე II მიაჩნდა ჭკვიან, მამაც და ძლიერ მეფედ. Бутков П.Г., *Материалиы...*, с. 280.

<sup>3</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 296.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 298.

თავად გ. ხვაბულოვის შესახებ დამატებით ვიგებთ ერეკლე II-ის მიერ ყიზლარის კომენდანტისათვის გაგზავნილი წერილიდან (30 აპრილი, 1769 წელი). როდესაც ქართლ-კახეთის მეფემ შეიტყო, საქართველოს საზღვართან მისული ხვაბულოვის შესახებ, რომელიც იმპერატორის ბრძანებით იმერეთის მეფე სოლომონთან მიემგზავრებოდა, მეფე ერეკლემ დაუყოვნებლივ მასთან გაგზავნა ერთ-ერთი თავადი, რათა შეფერხების გარეშე მიეყვანა იგი მეფე სოლომონთან. საფიქრალია, რომ ერეკლეს მიერ ხვაბულოვისათვის იმერეთში გაყოლილ „კნიაზებ“ დავალებული ჰქონდა სოლომონთან გარკვეული მოლაპარაკების წარმოება. ამის შედეგად უნდა ყოფილიყო, რომ იმერეთის მეფემ თავისი „მისანდო“ კაცის ხელით ერეკლეს გაუგზავნა ნ. პანინისა და თავისი წერილები. სოლომონი ერეკლეს სთავაზობდა შეხვედრას ქართლის რომელიმე ადგილას. ამასთან დაკავშირებით ერეკლე II ყიზლარის კომენდანტს სწერდა: „ამას ზედან დაუკავშირებულად წარგვზაგნეთ კაცი სოლომონ მეფისადმი და ვიწვიეთ მობრძანებად ტფილისს. და ვინაითგან მეფეს სოლომონს თჯნი საჭირობანი და სახმარნი საქმენი შეხუდებ, ამა მიზეზთა ძლით დროზედ მოხსელუა დაუკოვნა და ნებითა დავთისითა, ამა ხუსა და ანუ ექვეს დღესა მოვალს უიჭვოდ“<sup>1</sup>. ერეკლე პოტპოვს პპირდებოდა, რომ მეფეების შეხვედრას ხვაბულოვიც დაესწრებოდა და როდესაც იმერ-ამერის მეფეები გარკვეულ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდებოდნენ, მაშინვე აცნობებდა პოტპოვს<sup>2</sup>. თუ ისე მოხდებოდა, რომ სოლომონი და ერეკლე ვერ შეხვდებოდნენ, მაშინ ერეკლე თავის მოსაზრებას წერილობით გაუგზავნიდა მას თავის კურიერის ხელით<sup>3</sup>.

14 მარტს მიტროპოლიტმა მაქსიმემ რუსეთის მთავრობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი დასავლეთ საქართვე-

<sup>1</sup> ოქვე, გვ. 315.

<sup>2</sup> ოქვე, გვ. 315.

<sup>3</sup> ოქვე, გვ. 320.

ლოს მდგომარეობის შესახებ. ბუნებრივია, მან უპირველესად ყურადღება მიაპყრო რუსეთის მთავრობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს, სოლომონ პირველისა და ერეკლე II-ის ურთიერთობას. ქართველი მეფები ერთმანეთს შეიარაღებული ძალით ეხმარებოდნენ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა სოლომონი ებრძოდა ოსმალებს, ერეკლე დაქმარა ორჯერ საიდუმლოდ, ხოლო როცა ერეკლეს გაუჭირდა სოლომონი ცხადად დაეხმარა ორჯერ 9-9 ათასი კაცით და თავისი მეთაურობით, ერთხელ კი თავისი ძმა არჩილი დაახმარა ლეკების წინააღმდეგ. სოლომონ I-ის სიბლიორე მოცემული პერიოდისათვის, მიტროპოლიტის გაგებით, მდგომარეობდა იმაში, რომ მას ემორჩილებოდნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები – გურიელი და დადიანი, რაჭის ერისთავი და ყველა თავადაზნაური. მიტროპოლიტმა ყურადღება გაამახვილა დასავლეთ საქართველოს საზღვრებზე, მის ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობებზე, ციხე-სიმაგრეებსა და შეიარაღებაზე, მათი შეკრების ორგანიზებასა, საშუალებებზე და სხვ. მას შემდეგ რაც მიტროპოლიტმა მაქსიმე დაასრულდა საუბარი რუსეთის მთავრობისათვის საინტერესო საკითხებზე, გადავიდა იმ საკითხებზე, რომლებიც მის მეფე სოლომონს განსაკუთრებით აინტერესებდა და რისთვისაც ამ შორეული ქვეყნის დედაქალაქში ჩავიდა. კერძოდ, ის წერდა:

1. რუსეთის მთავრობამ, როდესაც იმერეთის სამეფო ძლიერი და მართლმადიდებელი ქვეყნის – რუსეთის მფარველობაში მოქადაცევა და მეფე სოლომონს ხუთი ათასამდე კაცს თავისი აღჭურვილობით და სახარჯო ფულით გაუგზავნის, სამხედრო თვალსაზრისით გადაიქცევა ძლიერ სამეფოდ;
2. როცა სოლომონი და მის ხალხი დაინახავენ, რომ ძლიერი საფარველის ქვეშ არიან, იმ ციხეებს ოსმალებს რომ აქვთ დაპყრობილი, გაათავისუფლებენ, თვით ოსმალეთსაც დიდ ზიანს მიენებენ და მის ტერიტორიებსაც დაიპყრობენ;
3. ეკონომიკურად გაძლიერებული სოლომონ მეფე იმ ვალს გადაიხდის,

რომელიც მას დაუგროვდება რუსეთის მთავრობის მიერ გადებული ხარჯების სახით; 4. ხალხიც რომ დაინახავს „დიდებულის კელმწიფის მაღალს ხაფარველში ყოფნას, თავისი მოდგმის მამაკობას ერთი-ორად გამოიჩენს და უხჯულოს კელის დაჯენისათვის მათის მაღალის ბრძანებით მტკრზედ თავის სისხლის დაღვრას არ დაზოგულ და მარადის კელმწიფის ერთგულებაზედ მტკიცედ იქნებიან”<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 299. მიტროპოლიტ მაქსიმეს მოხსენებითი ბარათი რუსულად თარგმნა თავადმა ანტონ მოურავოვმა. ეს არის ანტონ რომანისძე თარხან-მოურავი. როგორც ის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ თავის ბიოგრაფიაში წერდა, მისი ოჯახი ვახტანგ VI-სთან ერთად გადასახლდა რუსეთში. რომანი 1738 წელს მიღებული იქნა სამხედრო სამსახურში კაპიტანის ჩინით, მაგრამ იმავე წელს დაიღუპა ოსმალეთთან ბრძოლაში ხოტინთან.

ანტონი 1749 წელს განამწესეს 1731 წელს დაარსებულ კადეტად სახმელეთო შლიახტურ კორპუსში. 1753 წელს იმავე კორპუსში გახდა კაპრალი და მაშინვე გადაიყვანეს ქართულ ჰუსართა პოლკში, 1755 წელს დააწინაურეს პორუჩიკად, 1760 წელს კი, კაპიტნად. იბრძოდა პრუსიის ომში. 1761 წელს მონაწილეობდა პომერანიის ქალაქ კოლბერგის ალყასა და აღებაში. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის გენერალ ანშეფმა პ. ა. რუმიანცევმა ანტონი წარადგინა კაპიტნობის შემდგომ წოდებაზე, რის დამადასტურებული ატესტატიც ჰქონდა. მაგრამ იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების შემდეგ აღარ დააჯილდოვეს.

1764 წლის 17 თებერვალს ანტონი, მისივე თხოვნით, სამხედრო სამსახურიდან გადადგა და დაინიშნა კოლეგიის ასესორად (VIII კლასის მოხელე). ის გამწესეს ქ. ოპოჩის ვოევოდის თანაშემწედ, ხოლო 1768 წელს საკონფისკაციო კონტორის წევრად. იქვე, გვ. 305-306. 1769 წლის 17 მაისს ანტონი ინიშნება საქართველოს საქმეებში საგანგებო რწმულებულად და ეკატერინე II-ის 1769 წლის 17 მაისის ბრძანებით მიენიჭა ნადვორნი სოვეტნიკის (VII ხარისხის მოხელე) წოდება და სოლომონ I-ის ელჩ მიტროპოლიტ მაქსიმესთან ერთად გამოუშვეს საქართველოში. მას მისცეს საქმაოდ დიდი თანხა – 5500 რუბლი, რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ინტერესებისათვის მო-

19 მაისს გ. ხვაბულოვი თბილისში ჩავიდა და საიდუმლოდ მოახეხნა მეფე ერეკლეს თავისი ვიზიტის მიზანი. ერეკლემ ქოველივე დიდი კმაყოფილებით მოისმინა. 1769 წლის 20 მაისს სოლომონ I და ერეკლე II შეთანხმდნენ ერთობლივ მოქმედებასა და მოსკოვში ელჩის გაგზავნაზე. იმავე დროს ცნობილი გახდა, რომ რუსეთიდან ჯარს აგზავნიდნენ საქართველოში<sup>1</sup>.

როგორც პ. ბუტკოვი წერდა, ორივე ქართველი მეფე ყოველთვის, როდესაც მიიღებდნენ ცნობას რუსეთის ჯარის თურქებზე გამარჯვების შესახებ, გამოხატავდნენ დიდ სიხარულს. ხალხიც ეკლესიებში ლოცულობდა ქრისტიანული იარაღის ურწმუნობზე წარმატებებისათვის. ერეკლეს ზოგიერთი თვადიც მეფის ნებართვის გარეშე თავიანთი ხალხით იჭრებოდნენ ახალციხის საფაშოს პროვინცია ჯავახეთში, იქლებდნენ და ნადავლით ბრუნდებოდნენ<sup>2</sup>.

საჭირო იყო შეთანხმება იმერეთისკენ პირდაპირი გზის გაყვანის თაობაზე, რათა ჯარსა და ტვირთს გადაადგილება გაადვილებოდა. ერეკლესა და სოლომონის მეორედ ცხინვალში შეხვედრისას გადაწყვიტეს, რომ ერეკლე თავის თავზე იდგებდა ჯარის გადაყვანისა ტვირთების გადაზიდვის და გზის

---

სახმარად, მისცეს ერთი წლის ხელფასი წინასწარ და გზის ხარჯებისათვის. იქვე, გვ. 328-329. ეკატერინე II სოლომონ მეფისათვის გაგზავნილ სიგელში ანტონ მოურავოვის, „ნამდვილი ქართველის“, იმერეთის მეფისათვის მრჩევლად გაგზავნას სერიოზულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მისი გაგზავნა იმერეთის მეფის კარზე აღქმული უნდა ყოფილიყო როგორც რუსეთის ხელმწიფის ქართველებისაადმი კეთილი ზრახვების საწინდარი. იქვე, გვ. 336.

ანტონ მოურავოვმა და მიტროპოლიტმა მაქსიმე ერთად იმგზავრეს ყიზლარამდე. ანტონმა ელჩი იქ დატოვა და თვითონ საქართველოსკენ გამოეშურა.

<sup>1</sup> ძერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს იხტორიიდან, გვ. 217.

<sup>2</sup> Бутков П. Г., Материалы..., I, с. 279.

გაწმენდის სიმძიმეს თერგიდან ყაზბეგამდე, კაიშაურამდე და არაგვამდე<sup>1</sup>.

როდესაც თავადი ხვაბულოვი ყიზლარში ბრუნდებოდა სოლომონ მეფემ მას გააყოლა თავადი კვენისიძე, ხოლო მეფე ერეკლემ თავადი არტემონ ანდრონიკოვი. მათ გრაფ პანინისათვის უნდა მოეხსენებინათ: 1. თუ იმპერატრიცა ინებებს ომის დაწყებას ირანის წინააღმდეგ, ერეკლე სიხარულით შეუერთდებოდა; 2. ფრონტზე რუსეთის წარმატებებისას რუსეთის საიმპერატორო კარს ირანის მმართველისათვის ეცნობებინა, რომ ეჭვი არ შეეტანა ერეკლეს მოქმედებაში; 3. საქართველოში მრავლადაა ოქროს, ვერცხლის და სხვა მაღნეული. დამხმარე ჯარს გამოაყოლონ ოსტატები მათ დასამუშავებლად<sup>2</sup>.

## ეპატერინე II-ის გენერალი ტოტლებენი საქართველოში

1769 წ. აგვისტოს დამლევს გენერალი გოტლიბ აურტ ჰაინრიხ ტოტლებენი<sup>3</sup> მცირე სამხედრო კორპუსით<sup>4</sup>, შემოვიდა დარიალის ხეობით ქართლში, საიდანაც იმერეთში უნდა გადასულიყო. მან ერეკლე II-სთან თბილისში გაგზავნა თავადი რატიევი და შეუთვალა, რომ მოემართებოდა 500 კაციანი კორპუსით და ითხოვდა ნებართვას, გაევლო მის ქანაში. როგორც თვითმხილველი და ამბის მონაწილე წარ-

<sup>1</sup> Тамже.

<sup>2</sup> Тамже.

<sup>3</sup> ტოტლებენის მოკლე ბიოგრაფია იხ. Бутков П. Г., Материалы..., I, с. 280.

<sup>4</sup> ტოტლებენის განკარგულებაში იყო: ტომსეის ქვეითი პოლკი, კარაბინერთა 2 ესკადრონი, ჰუსართა 2 ესკადრონი, 200 დონელი კაზაკი, 300 კამიკი, საველე არტილერიის 12 ქვემეხი მათი მომსახურეების ჩათვლით. Тамже, с. 280-281.

მოშობით ფრანგი რუსეთის ოფიცერი, დე გრაი დე ფუა წერდა, ტოტლებენი „მექარ ტუშილს ამბობდა ვინაიდან ასორმოცდათ კაცზე მეტი არ ჰყავდა, ხოლო რემენიკოვს, რომელიც ჯერ არ მოსულიყო, თავის განკარგულებაში მხოლოდ სამასი კაცი ჰყავდა“<sup>1</sup>.

ერეკლე მეფე თვითონ გაემართა ტოტლებენის შესახვედრად. შეხვედრა შედგა ანანურში<sup>2</sup>. რუსმა სარდალმა იმპერატორის სახელით მიმართა სამი თხოვნი: 1. მეფეს გაეტარებინა რუსები თავის სამფლობელოებზე წასასვლელად, რათა შეერთებოდა მეფე სოლომონს თურქების წინააღმდეგ საომრად; 2. ერეკლე დახმარებოდა მათ ხელმისაწვდომ ფასებში შეეძინათ საკვები ადამიანებისა ცხენებისათვის; 3. „დავალებული მაქს შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებდით შეუკავშირდეთ რუსეთის იმპერატორს და მასთან ერთობლივად შეუტიოთ თქვენს მეზობლად მყოფ თურქებს. კიმედოვნებ, რომ ჩვენ მათ ითლად გავდევნით ამ ქვეყნიდან და კვლა გამარჯვება, რომელსაც მოვიხვეჭთ თქვენ მოგეკუთვნებათ“<sup>3</sup>.

ერეკლე მეფემ ტოტლებენის სათხოვარზე გასცა პასუხები, საიდანც გამოჩნდა მისი ფრთხილი დიპლომატია, მაქსიმალურად გამოყენებინა რუსეთის შეიარაღებული ძალა თავისი სამეფოს ინტერესებისათვის. მან მაშინვე განაცხადა თანხმობა შეუფერხებლად გაევლოთ რუსებს მის სამფლობელოებზე. მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებაში გამოჩნდა მისი სურვილი არ გაეშვა რუსები იმე-

<sup>1</sup> დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ / ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები ჯუმბერ ღდიშელის, თბილისი, 1985, გვ. 39.

<sup>2</sup> ქართული დიპლომატიური ეტიკეტის შესასწავლად ფრიად საინტერესო ფრანგი დამკიორვებლის მიერ აღწერილი ერეკლე მეფისა და რუსი გენერლის შეხვედრა. იქვე, გვ. 40. აგრეთვე, ერეკლე მეფის საუბარი იმავე ფრანგთან, იქვე, გვ. 50-51.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 41-42.

რეთის სამეფოში, სადაც მისი თქმით იყო დიდი ეკონომიკური გაჭირვება. მაგრამ ტოტლებენი თუ მაინც არ დაიშლიდა და გადავიღოდა იმერეთში და საკუთარი თვალით დაინახავდა იქ არსებულ ვითარებას, „თქვენ მხოლოდ ითხოვეთ და მე მოგარომევთ ყველაფერს, რასაც მოისურვებთ. თუ თქვენ ჩემი წინასწარმეტყველებისამებრ, იძულებული გახდებით დაბრუნდეთ, მაშინ მე გავცემ განკარგულებას, რომ ყველაფერი მოგყიდონ ზონიერ ფასებში და დაგწესებ ფასს, რომელსაც თქვენ თვითონ მიკარნახებთ“.

რაც შეეხებოდა მესამე თხოვნას თურქების წინააღმდეგ ომში მისი ჩაბმის შესახებ, ერეკლემ მაშინვე არ უპასუხა, მხოლოდ თქვა, რომ ეს ფაქტი საკითხია და გარკვეული დროის შემდეგ ვისაუბროთო<sup>1</sup>.

ტოტლებენი უკმაყოფილო დარჩა ერეკლეს პასუხით მის მესამე თხოვნაზე. როგორც დე გრეი დე ფუა აღნიშნავდა: „მას ეგონა, რომ საქმე ექნებოდა მასავით აჩქარებულ კაცოან, რომელიც მიიღებდა მის წინადაღება და მის განხორციელებასაც უმაღვე შეუდგებოდა. ერეკლე კი ფიქრობდა, რომ და არ სურდა ეტვირთა რაიმე, ვიდრე პირადად არ ვიხილავდით, რომ სოლომონი დაიძრა თავის ქვეყნიდან ჩვენს მხარში ამოსადგომად“<sup>2</sup>.

მესამე დღეს, რამდენჯერმე თათბირის დროს გაირკვა, რომ ერეკლე თანახმა იყო გამოეცხადებინა ომი თურქებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ იმპერატორს მისთვის პირადად მოეწერა და ეთხოვა, გამოეგზავნა 8 ათასი არტილერიით კარგად აღჭურვილი მებრძოლი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერეკლეს მოთხოვნა, რომ ომის დროს მოპოვებული ყველა გამარჯვება მიკუთვნებოდა მხოლოდ მას, ერეკლეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 41-42.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>3</sup> იქვე.

ერეკლე მეფის ტოტლებენთან მოლაპარაკების ძირითადი საკითხები, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, მეფეს წინასწარ შეთანხმებული ჰქონდა რუსეთის მთავრობასთან. 1769 წლის 19 მაისს ერეკლე სწერდა ყიზლარის კომენდანტს გ-ლ. პოტაპოვს, რომ მეფე სოლომონთან წერლით ჩამოვიდა გრიგორი ხვაბულოვი (ქობულაშვილი). სოლომონმა წერილი იმავე ხვაბულოვის ხელით გაუგზავნა ერეკლეს. 10 სექტემბერს, ერეკლემ ხვაბულოვი გაგზავნა სოლომონთან და თავისთან მიიწვია. ვიდრე ხვაბულოვი სოლომონს ვახლებოდა, მანამდე, 15 მაისს ერეკლემ მიიღო სოლომონის წერილი, რომელშიც აღუთქამდა, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდოდა მასთან. როგორც ერეკლე პოტაპოვს 19 მაისს აცნობებდა, მოუთმენლად ელოდებიდა სოლომონთან შეხვედრას. მაგრამ თუ სოლომონს რაიმე გაუთვალისწინებული შემთხვევა შეუშლიდა ხელს და ქართლში დროულად ვერ ჩამოვიდოდა, მაშინ თავის კაცს გააგზავნიდა რუსეთში და თავის და სოლომონის მოსაზრებებს აცნობებდა მთავრობას. ერეკლე წერილს ამთავრებს თავისი, სოლომონისა და მთელი საქართველოს სიხარულის გამოხატვით ერთმორწმუნე და ყოვლადმოწყალე ხელმწიფისათვის სამსახურის საშუალება რომ ეძლეოდათ.<sup>1</sup>

შედარებით ვრცლად ერეკლე მეფისა და ტოტლებენის მოლაპარაკების შესახებ ვეცნობით 1769 წლის 4 სექტემბერს ერეკლე მეფის ეკატერინე II-ისათვის გაგზავნილ წერილში. ერეკლე კმაყოფილებას გამოხატავდა ტოტლებენის მიერ გადაცემული იმპერატრიცას ზეპირად დანაბარების გამო, რომ თავს დაესხას მტრული თურქეთის ოლქებს და სანაცვლოდ რუსეთი მფარველობაში მიიღებდა. ერეკლე მეფე იმპერატრიცას აცნობებდა, რომ სოლომონ მეფემ მიიღო ნ. ი. პანინის წერილი და ამის შესახებ ქართლ-კახეთის მეფეს

<sup>1</sup> Цагарели А., I, Грамоты..., т. I, с. 420; მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაბეჭ. I, გვ. 330.

აცნობა, რითაც საზე უსვამდა ორი ქართველი მეფის საერთო პოზიციას რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. ერეკლე მეფე იმედოვნებდა, რომ იმპერატრიცა ნებას დართავდა რუსეთის ოსმალეთთან მთელი ომის მსვლელობაში მიეღო მონაწილეობა, ხოლო ომის დსრულების შემდეგ სამუდამოდ ყოფილიყო მისი მფარგელობის ქვეშ („ჩუცნ მშვიდობით თანადაცულნი ვიყუნეთ საუკუნოდ“)<sup>1</sup>. იმავე დღეს ერეკლე მეფემ ნ. ი. პანინსაც გაუგზავნა აასუხი მის წერილზე და გამოთქვა მზადყოფნა თურქების წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე<sup>2</sup>.

1769 წლის 19 სექტემბერს ეკატერინე II-მ ასტრახანის გუბერნატორ გენერალ ბეკეტოვს გაუგზავნა წყალობის სიგელი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ერეკლეს, სოლომონის, კაცია დადიანის და სხვა მთავრების (ისინი ვინც მზადყოფნას აცხადებენ რუსებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა თტომანის პორტას წინააღმდეგ ომში), წარმომადგენლები თუ ჩავიდოდნენ ყიზლარსა და ასტრახანში, შეუფერხებლად გაეშვათ პეტერბურგისკენ. რესკრიპტი შეიცავდა მნიშვნელოვან ცნობებს დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ და იქვე ჩანს რუსული დიპლომატიის თვალთმაქცობა, რომლისთვისაც ყველაფერზე მაღლა იდგა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები.

ეკატერინე II წერდა, რომ როგორც სოლომონ მეფის წარმომადგენელს, თავად კვინიხაძეს ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვისათვის განუცხადებია, დადიანის სამფლობელოები წინათ იმერეთის მეფის ქვეშეკრდომობაში იყო, ამიტომ იმერეთის მეფე ითხოვდა დასახელებული სამთავრო კვლავ მის მორჩილებაში ყოფილიყო. ამასთან ერთად სოლომონ მეფე ითხოვდა, რომ პეტერბურგში საიმპერატორო კარს არ მიეღო დადიანის წერილები და წარმომადგენლები. როგორც ჩანს,

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 413.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 413.

სოლომონის მდივანბეგსა და დიპლომატს, დავით კვინიხაძეს არც იმის თქმა დაავიწყდა, რომ კაცია დადიანი ერეკლე I-ის სიძე იყო და ცდილობდა თავის წარმომადგენლი გაეგზავნა პეტერბურგში, მაგრამ ერეკლე არ უჭერდა მხარს და მომხრე იყო მისი სიძე, ოდიშის მთავარი, დამორჩილებოდა მეფე სოლომონს<sup>1</sup>.

როგორც სოლომონ მეფის ელჩის მიერ იმპერატრიცა-სთვის წარდგენილი მოხსენებიდან ჩანდა, ერეკლე I, კაცია დადიანთან ნათესაობის მიუხედავად, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებითა და პოლიტიკური მოსაზრებით, სოლომონ მეფეს უჭერდა მხარს<sup>2</sup>. მაგრამ მოღწეული ისტორიული ცნობებიდან, რომლებსაც მოგვიანებით გავეცნობით, ვიცით მას შემდეგ რაც სოლომონ მეფემ რეალური ნაბიჯები გადადგა ოდიშის სამთავროს დამორჩილებისათვის, ეს მომენტი გარკვეული დროის განმავლობაში სოლომონსა და ერეკლეს შო-

<sup>1</sup> იქვე გვ. 424.

<sup>2</sup> ა. მოურავოვი 1769 წლის 12 ოქტომბერს სწერდა გარფ ნ. ი. პანინს, რომ როგორც საიმედო ადამანებისგან შევიტყე გურიელი და დადიანი არც თუ ისეთი მამაცი მებრძოლები არიან, როგორც სოლომონი. მაგრამ დადიანს უფრო მეტი სამფლობელოები აქვს, ვიდრე სოლომონს. მათ ეხმარებიან თურქები სოლომონის წინააღმდეგ და ცდილობენ, რომ მეფემ არ დაჯაბნოს ისინი. როგორც შევამჩნიე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეც დადიანს უჭერს მხარს, რადგან მისი ცოლი, დედოფალი დარჯვანი დადიანის ბიძაშვილია. დედოფალმა მეც მომწერა, რომ დადიანი თვითონ მივა ტოტლებენთან, როდესაც ის იმერეთში შევა. მეც მქონდა განზრახვა მიმეწერა დადიანისა და გურიელისათვის, რათა ჩემთვის მოეცათ ნება მივსულიყავი მათთან, მაგრამ სოლომონმა არ გამიშვა და გამომიცხადა, რომ არავითარი აზრი არა აქვს მათთან მოლაპარაკებას, რათა თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ, უმჯობესი იქნება მათი ნახვა სხვა დროისთვის გადახდომ. იქვე, გვ. 434; ცაგარელი A., I, Грамоты т. I, с. 75.

რის დაძაბულობის მთავარი მიზეზი გახდა. ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახი ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. მაშასადამე, იმერეთის მეფის ელჩის განცხადება პეტერბურგში უფრო სასურველის რეალობად წარმოჩენის სურვილით იყო განპირობებული. აქვე უნდა ითქვას აგრეთვე, რომ საიმპერიო კარიც არ იყო მომხრე სამთავროს დამორჩილებოდა იმერეთის მეფეს.

იმპერატრიცამ ასტრახანის გუბერნატორს, ბეკეტოვს დაუფარავად გაუმხილა თავის დამოკიდებულება და გეგმები ოდიშის სამთავროს შესახებ. მას მიაჩნდა, რომ მიმდინარე ომის დროს სამეგრელოს მთავარი შეიძლებოდა რუსეთის ინტერესებისათვის გამოყენებინათ. კაცია დადიანი შეეცდებოდა პეტერბურგიდან მხარდაჭერით გათავისუფლებულიყო იმერეთის მეფეების პრეტენზიებისგან. იმერეთის მეფე სოლომონი სუსტი იყო და რაიმე გადაწყვეტილებას ადგილობრივ თავადებთან შეთანხმების გარეშე ვერ იღებდა. სამეგრელოს სამთავროს მდებარეობა შავ ზღვასთან, ძალიან მოხერხებული იყო. მისი მთავრისადმი საიმპერატორო კარის კეთილგანწყობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამიტომ დადიანის წარმომადგენელი, სოლომონ მეფის საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად, საიმპერატორო კარზე უნდა მიეღოთ. როგორც იმპერატრიცა ფიქრობდა, შემდგომში გაირჩევოდა, რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს სოლომონ მეფის, სამეგრელოს მთავრისა და, საერთოდ, საქართველოს ინტერესები<sup>1</sup>. იმპერატრიცას პოზიციიდან ამჯერად და შემდგომშიც მრავალჯერ გამოჩნდა, რომ რუსეთის მთავრობა მზად იყო როდესაც საჭიროდ ჩათვლიდა, ანგარიში არ გაეწია სოლომონისა და ერეკლეს სამეფოების პოზიციისათვის ამა თუ იმსაჯითხში.

თავად მოურავოვის გრაფ პანინისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ 26 სექტემბერს ტოტლებენი იმერეთის

<sup>1</sup> მაჭარაძე კ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 424-425.

საზღვართან, მდ. სურამულას შენაკდ კორტოხთან, მეორე დღეს შეხვდა იქ მისულ სოლომონ მეფეს თავის ძმა კათალიკოს იოსებთან და 100 იმერელთან ერთად. ტოტლებენმა მეფეს გადასცა იმპერატრიცას წერილი. 28 ოქტომბერს ტოტლებენმა სოლომონს მოახსენა, რომ გამოგზავნილია, რათა ყველა იმერეთის მეფის ყველა ქვეშვრდომი მას დაუმორჩილოს, თურქები გააძევოს იმერეთიდან და სოლომონი სრულიად იმერეთის მფლობელი გახსადოს. მაგრამ ამის გაპეტება თუ ვერ მოხერხდება, მაშინ ის და მთელი მისი გვარი წაიყვანოს რუსეთში, სადაც მიიღებენ ისე, როგორც მის სამეფო დირსებას შეჰვერის. ამის შემდეგ ტოტლებენი, სოლომონის თანხმობით მასთან ერთად წავიდა შორომნის სიმაგრისკენ, სადაც მივიდნენ 3 ოქტომბერს. ციხის გარნიზონში იმყოფებოდა 23 თურქი და თავშეფარებული მოსახლეობა. სოლომონმა თურქებს შეუთვალა: თუ ისინი ნებით დატოვებდნენ ციხეს, ყოველგვარი ვნების გარეშე გაუშვებდა მათ იქ, სადაც კი ისურვებდნენ. თურქებმა უარი თქვეს დანებებაზე. ამასობაში სოლომონს აცნობეს, რომ კაცია დადიანი 4 ათასი იმერელით და 4 ათასი თურქით მის სამფლობელოს აოხრებდა და ხალხს ატყვევებდა. მან ტოტლებენის ბანაკში დატოვა კათალიკოსი, თვითონ კი დაუყოვნებლივ წავიდა თავის თანმხლებლებთან ერთად. სოლომონმა ბრძანებები დააგზავნა და თავის ქაუშებრდომებს მოუწოდა შეერთებოდნენ. მას პყავდა 300 ლეკიც, რომლებიც უნდა გამოეყენებინა რაჭის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. წასვლის წინ სოლომონმა ტოტლებენს დაუბარა, რომ აედო შორაპნის ციხე<sup>1</sup>. მაგრამ რუსმა სარდალმა 13 ოქტომბერს შორაპნის ციხე მიატოვა და ქართლში დაბრუნდა. შემდეგში (15 ოქტომბერი) სოლომონ მეფე ტოტლებენს სწერდა: „ჩვენ რომ მანდ გიახელით, ჩვენი მაული ისე წაგებულია (დადიანს – ე.მ.) შვიდას [კაცადღე] ტევე აფხაზისათვის მიეცა და ჩვენც დღეს [საომრად პირშიდ]

<sup>1</sup> იქვე, გვ. 430-431.

გვიდგია და ვერ გამოვაქმი და ოქვენს სამხახურს ამისთვის  
დავშორდი“-ო<sup>1</sup>.

სოლომონ მეფემ ტოტლებენის შორაპნის ციხესოან მო-  
დალატური საქციელის შესახებ ვრცლად მოახსენა გრაფ ნ.  
ი. პანის 1770 წლის 10 თებერვლის წერილში. ოსმალებს  
იმერეთში რომელი ციხეებიც უკავიათ, ყველას გავათავისუფ-  
ლებდით თქვენს სარდალს ცოტა რომ დაეცადა ჩემს დაბრუ-  
ნებამდე, მაგრამ ქართლში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ  
ვეხვეწე, მაინც აღარ დაბრუნდაო<sup>2</sup>. მეორე დღეს სოლომონ  
მეფემ ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა ეკატერინე II-ს<sup>3</sup>.

ოქტომბრის ბოლოს ტოტლებენის რაზმი ცხინვალში  
გაჩერდა. იმის გამო რომ ჯარის ნაკლებობას გრძნობდა,  
რუსეთის სარდალი მოზდოკში გადავიდა და დამატებითი  
ჯარი ჩამოიყვანა და რუსეთის ჯარის საერთო რაოდენობა  
1228 კაცამდე გაიზარდა. თებერვალში მისმა რაოდენობამ  
2093-ს მიაღწია<sup>4</sup>.

ტოტლებენმა ჯარის ერთი ნაწილი ცხინვალში დატო-  
ვა, დანარჩენი გორში გადაიყვანა. არსებული მასალებით ძნე-  
ლია გავარკვიოთ, გრაფმა ტოტლებენმა რუსთა რაზმი გორში  
ერეკლესთან შეთანხმებით, თუ მისთვის ჩვეული თვითნე-  
ბობით ჩააყენა. საქართველოში ტოტლებენის მოქმედებას  
ზოგადად თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უფრო მეორე მომე-  
ნტი უნდა ვიგულისხმოთ. მართლაც, იმავე წლის 21 დეკემ-  
ბერს იგი ერეკლესათვის გაგზავნილ წერილში ცდილობდა  
აეხსნა, თუ რატომ ჩააყენა იმერეთიდან გადმოსულმა ტოტ-  
ლებენმა მის სამფლობელოებში, კერძოდ გორსა და ცხინ-  
ვალში, რუსეთის ჯარი.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 436.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 529-531.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 531-532.

<sup>4</sup> მაჭარაძე ვ., ახაინის პროლა, გვ. 50.

1769 წლის ბოლოს ერეკლე II-მ მიიღო ახალციხის ვალის ნაპამანის წერილი, რომელშიც, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, უარყოფითად იქო შეფასებული ერეკლეს და სოლომონის ურთიერთობა რუსეთთან. ნაპამანი ერეკლეს შეახსენებდა იმ „ძმობასა და მეგობრობას“, რომელიც ტრადიცულად არსებობდა ოსმალეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა სოლომონ მეფის მისამართით, რომელმაც დაივიწყა შველა ის სიკეთე, რომელიც მას რომ მიუღია ოსმალებისაგან. „მაგრამ ესენი დაივიწყა და გულში ჩადებული ორგულობა, სიავე, სიფინჯ, ლალატი, მუხანათობა და ჰარამზადობა გამოაცხადა. მოსკოვს ურჯულოებთან... სოლომონს კაცი გაუგზავნია იმ ურჯულოებთან და რადენიმე ასი კაცი მოუყვანინებია, რომ თქვენ ორისავ დოვლათისაგან მართლადსარწმუნოდ და მიანდოდ დიდ გვარობაზედ ცნობილ ხართ, თქვენის მიწიდამ რომ ის ურჯულოები თქვენს შეუტყობრად და უნებურად გარდმოსულ იყვნენ, — ეს ხომ არ იქვევნა, ხუთხა და ათხ დღესა თქვენს ქვეყანაში უვლიათ. ამას უკან იმერეთს გადასულან. პელმწიფის ციხეებისაგან შარაპანის სახელობით ციხეს რამდენიმე დღეს შემოდგომოდნენ, და<sup>1</sup> ს წეალობითა და პელმწიფის ბეჭისერობით, კერძებათ რა... სოლომონის კითარება შეეტყოთ და იხევ უკანვე დაბრუნებულ იყვნენ თავისავ საძაგლის მიწისაკენ. უკან დაბრუნებაში ახლა თქვენს მიწაზე დამდგარან და გვიკვირს ამისთანა საქედლი საქმე<sup>1</sup>. მართალია, იხტიბარს არ იტეხდა ახალციხის ვალი, მაგრამ სრულიად გასაგებია ოსმალეთის მთავრობის შემფოთება რუსეთის ჯარის, თუნდაც შეზღუდუ-

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. II, вып. I, с. 16; ციხესაძე ი., XVIII საუკუნის რესერ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან // მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, XXXII, თბილისი, 1955, გვ. 123, 124; მაჭარაძე ვ., მასალები... ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 461.

ლი კონტიგენტის, საქართველოში ყოფნის გამო. ისიც ნათელია, რომ პორტა საქმაოდ ინფორმირებული იყო ორივე სამეფოში მიმდინარე ამბების ირგვლივ.

ტოტლებენის ჩაუხედაობა საქართველოს საშინაო საქმეებში მის მიერ ოსმალეთის სამხედრო პოტენციალის შეუფასებლობა, მისი თვითდაჯერება აკვირვებდა ერეკლე II-ს. 1769 წლის 7 დეკემბერს მეფე ერეკლე სწერდა ტოტლებენს: „თქვენ მცირედი ჯარი გეთხოვნათ ჩვენთვის, ჩვენ ეს წერწყით: ახე მცირედის ჯარით მტერს ვერას უმტერებთ. ამისთვის აქ დაგპატიუეთ, ორ-ხამ დღეს მასლაათი ვნახოთ და, რომელიც ყოვლად მოწყალის გელმწიფის სამხახურის სამჯობინარი იყოს, ის გამოვარჩიოთ. ახლა კვალად მეორეთ გაპატიუებთ ამ მიზეზისათვის“<sup>1</sup>. წერილიდან არ ჩანს, სად იმყოფებოდა რუსეთის სარდალი. ამიტომ ერეკლე მეფე, როდესაც მას თბილისში ეპატიუებოდა, იმასაც ურჩევდა, რომ ქვეყანასაც გაიცნობდა. მეფე იმასაც ითვალისწინებს და პირდაპირ ეუბნებოდა ტოტლებენს, რომ შეიძლება მას ჯარის გარეშე გადაადგილება უჭირს (შეიძლებოდა ეშინოდა, მაგრამ ერეკლე ამას პირდაპირ არ ეუბნებოდა, მაგრამ მიანიშნებდა). იქნებ ჯობდეს იმ დამატებით ჯარს დაელოდოთ რომელსაც მოელითო. „თუ თქვენ ჯარს ვერ გაეყრებოდეთ, ხწრავათ გვაცოდინეთ, ჩვენ წამოვალთ, ან გორსა ან იმის ახლო მოვალთ და იქ შევიყარნეთ... ჩვენ ვთონებთ, უჩვენოთ თქვენგან მტერზე მისვლა ახლა არა სჯობდეს ამისთვის, რომელიც უკან მომავალი ჯარი აღვითქვამხო, ჩვენიცა და თქვენიც მოლოდინი ის არის“<sup>1</sup>.

წინააღმდეგობა ერეკლესა და ტოტლებენს შორის დღითიდებე იზრდებოდა. 13 დეკემბერს სარდალმა გაუგზავნა წერილი ერეკლეს, რომლილანც ჩანს, რომ მან უპასუხა მეფის 7 დეკემბრის წერილზე და აცნობებდა, რომ არ შეეძლო თბილისში ჩასვლა, რადგან გადაუდებელი საქმის გამო

<sup>1</sup> მაჭარაძე კ., მასალები... ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 465-466.

აპირებდა სხვაგან წასვლას, მაგრამ არ აცნობებდა კონკრეტულად, სად მიდიოდა. ამის გამო ერეპლე საყვედურობდა: „უკეთებარი წესიერებით თქვენ, იმულფებით რაჩვენს ქვეყანებში (ერეპლე გულისხმობს საქართველოს ორივე სამეფოს და სამთავროებს – ე.მ.), მგონია გალდებული ხართ გვაცნობოთ, წასვლას ხად ფიქრობთ... დიდი სურვილით დავკლოდებით თქვენს გულწრფელ პასუხებ“. ერეპლეს საჭიროდ მიაჩნდა ერთმანეთის შეხვედრა და მოლაპარაკება, რადგან მხოლოდ წერილებით ვერ გადაწყდებოდა ყველა საქმე. ამიტომ ის საჭიროდ თვლიდა ტოტლებენის ჩასვლას თბილისში. მეფე ყურადღებას ამახვილებდა იმ განსაკუთრებით მტკიცნეულ საკითხზე, რომელიც დაუყენებია ტოტლებენს ერეპლესთვის გაგზავნილ წერილში: „თქვენს ბოლო წერილში ამბობთ, რომ მცირე დროის შემდგებ თქვენი ხალხი მთლიანად გაათავისუფლებს საქართველოს, რის გამოც ფრიად გაკვირვებული ვართ! თუ თქვენი უდიდებულებობა წავა მტრის წინააღმდეგ, მაშინ უველა ჩვენი ქვეყანა აივსება მისი უდიდებულებების [ეკატერინეს] მრავალრიცხოვანი ჯარით... თუ თქვენი აღმატებულება ჩვენი გულწრფელი მეგობარია, როგორადაც მიგვაჩინიხართ, გთხოვთ გაგვარკვით ამ პუნქტში<sup>4</sup>. სავარაუდოა, ტოტლებენი ერეპლე მეფისადმი უკმაყოფილებას ზეპირად ავრცელებდა, რაც ერეპლემდე, შეკველილი შინაარსით აღწევდა, დაძაბულობა კიდევ უფრო იზრდებოდა და მის მიზეზებს კიდევ უფრო გაუგებარს ხდიდა. ამიტომ ერეპლე მეფე 22 დეკემბერს ტოტლებენს სწერდა: „თქვენს ბრწყინვალებას თუ აქამდინ ჩვენგან სწყენოდებ რამე ანუ ამის შემდგომათ ეწყიოს რამე, თქვენის მეგობრობის სიყვარულისაგან ვითხოვ, რომ წერილით გამოგვიცხადოთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 469.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 490.

16 დეკემბერს ეკატერინე II-ემ ერეკლე II-ეს გამოუგზავნა სიგელი, რომლითაც ატყობიებდა, რომ თურქეთმა დაარღვია ზავი და რუსეთი იძულებულია იომოს. რაღგან წინათ საქართველო არ მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომებში, ამიტომ არ შეეძლო რუსეთს თურქეთისაგან მოეთხოვა რაიმე სასარგებლო საქართველოსათვის. ეხლა ეკატერინე იწვევს მათ მონაწილეობა მიიღონ ომში და პპირდება, რომ თურქეთთან ზავის დადგების დროს ხელშექრულებაში ჩართავს საქართველოს სასარგებლო პირობებს. იმპერატრიცა პპირდება მეფე ერეკლეს, რომ ქართველები რომელ ტერიტორიასაც დაიპყრობენ, დაუმტკიცდებათ იგი თავიანთი საზღვრების უსაფრთხოებისათვის<sup>1</sup>.

იმავე რიცხვშია გრაფ პანინის წერილი ა. მოურავოვისათვის, რომელსაც უმთავრეს ამოცანად უყენებს ქართველების მიერ პორტის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის წახალისებას. ამ მიზნით დაინიშნა იგი ერეკლე მეფის მრჩეველად; რუსეთის მთავრობამ ერეკლეს დასახმარებლად გამოჰყო 50 ათასი რუბლი, რომლიდან სხვადასხვა რაოდენობის თანხას, საჭიროებისა და თავისი შეხედულების მიხედვით, მოურავოვი გადასცემს ქართლ-კახეთის მეფეს. საყურდღებოა პანინის შეთავაზება ერეკლესადმი: მან ირანის მთავრობას აცნობოს, რომ მიმდინარე ომი საფრთხეს არ უქმნის და მშვიდად იყენებ.

პანინმა იმავე დღეს ერეკლე მეფესაც გაუგზავნა წერილი, რომელშიც შეშოთოებას გამოსთქვამდა იმ უთანხმოების გამო, რომელიც არსებობდა სოლომონ I-სა და იმერეთის მთავრებსა და დიდებულებს შორის. ჩანს, რომ რუსეთის მთავრობა ცდილობდა გაეაქტიურებინა ერეკლე მეფე, რათა ის ჩარეცლიყო იმერეთის საქმეებში და იქაურები დაერაზმა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. პანინი

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 77-78; მაჭარაძე ვ., მახალები..., ხაწ. III, ხავ. I, გვ. 473.

ულოცავდა ერეკლე II-ს და სოლომონ I-ს ეკატერინე II-ის მიერ მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენებით დაჯილდოების შესახებ<sup>1</sup>.

ერეკლე მეფეს აუცილებლად მიაჩნდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში სოლომონ მეფისა და დადიანის მონაწილეობა. მაგრამ მათ შორის დაპირისპირებას ბოლო არ უჩანდა. ამიტომ ის ტოტლებენს სთხოვდა თავისი რომელიმე ოფიცერი გაეგზავნა იმერეთში და ისინი შეერიგებინა<sup>2</sup>. მაგრამ რუსეთის გენერლის მოქმედება საქვთვის ხდიდა, რომ ის დაინტერესებული იყო მრფისა და დადიანის შერიგებით.

განსაკუთრებით საინტერესოა ეჭვებითა და უნდობლობის სენიორ შეპყრობილი ტოტლებენის წერილები გაგზავნილი პეტერბურგში, რომლებშიც ის დაასმენდა საქართველოს მეფეებს და ზოგიერთ რუს ოფიცერს. ის განსაკუთრებულ მტრობას ავლენდა ა. მოურავოვის მიმართ, რომელიც მისი გაგებით იყო «излишеством грузинец... всегда пользу своих однородцев предпочтитал». ა. მოურავოვი ექომაგებოდა სოლომონსა და ერეკლეს, რის გამოც იმსახურებდა ტოტლებენის რისხვას. არაერთხელ მისწერა რუსეთის მთავრობას იმ გასაჭირის შესახებ რომელიც სუფევდა იმერეთში, რომ სოლომონს არ შეეძლო მის ტერიტორიაზე გადასული რუსეთის რაზმების გამოკვება. ტოტლებენი ბრალს სდებდა სოლომონ მეფეს, იმის გამო, რომ მის სამფლობელოებს იკლებდა კაცია დადიანისა და თურქების რაზმები, ის შოროპნიდან წავიდა მომსვდურთა გასაძევებლად; რუსეთის სარდალი არ იწონებდა სამეფოს გაერთიანებისათვის სოლომონის მიერ გატარებულ დონისძიებებს და სხვ.

ტოტლებენს პრეტენზიები პქონდა ერეკლეს მიმართ, რაზეც ეხლა არ გავამახვილებ ყურადღებას. საქართველოს „მეგობარ“ ტოტლებენს დაუშვებლად მიაჩნდა არტილერიის

<sup>1</sup> იქვე, გვ. 477, 480-481.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 491-493.

პოდპოლკოვნიკი სიმონ ჩოლოკაევი (ჩოლოკაევ, ჩოლოფაშვილი) ერეკლეს და მის მებრძოლებს მორგირების, პაუბიცებისა და ქვემეხების ლაფებზებზე დადგმას რომ ასწავლიდა, რადგან ქართველებისათვის ასეთი შეიარაღების ქონა, რუსი სარდლის გაგებით, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესების<sup>1</sup>. ტოტლებენი მოითხოვდა რუსეთის მთავრობას საქართველოდან გაეწვია ყველა ქართული წარმოშობის ის ოფიცრები, რომლებიც, როგორც ირკვევა, ცდოლობდნენ დახმარებოდნენ საქართველოს, რაც ძალიან კარგად ჩანს 1769-1770 წლების ერთ დოკუმენტში, რომელშიც თავმოყრილია ტოტლებენის სახივრის წერილებიდან ამონარიდები<sup>2</sup>.

ერეკლე II-ის მიერ 60-ანი წლების მეორე ნახევარში გატარებულო საგარეო პოლიტიკის ანგარიში მოცემულია ა. მოურავოვისათვის გაგზავნილ 1770 წლის 2 იანვრის წერი-

<sup>1</sup> 1770 წლი 21 თებერვალს ტოტლებენმა მურავიოვს უბრძანა და პატიმრებინა თავადი ჩოლოკაევი და მასთან გადაეგზავნა. იქვე, გვ. 537. როდესაც ერეკლე მეფე შეიტყო ჩოლოფაშვილის დაპატიმრების შესახებ, მაშინვე სცადა გაერკვია, რატომ უკრძალავდა ტოტლებენი დაპატიმრებულს ქართველებისათვის ზარბაზნების ჩამოსხმას, მაშინ როდესაც მას მსგავსი არაფერი გაუკეთებია, მითუმეტეს, რომ არსებობდა იმპერატრიცას ნებართვა ამის თაობაზე. ერეკლე იმის შესახებაც აცნობებდა, რომ მას ირანში ნამსახურები თავის მეზარბაზნე ჰყავდა. იქვე, გვ. 537. ერეკლემ ასეთივე წერილი გაუგზავნა ტოტლებენს 10 მარტს. იქვე, გვ. 540.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 504-510. ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, გვ. 210-219. ტოტლებენმა შემდეგში პოდპოლკოვნიკებზე – რატივეზე, ჩოლოკაევსა და პორუჩი დევრალზე (დე გრაი დე ფუა) გამოაცხადა ძებნა მთელ საქართველოში, იმ პირობით, რომ ვინც მებნილებს ცოცხლებს მიიყვანდა ჯილდოდ მიიღებდა 1 ათას ჩერვონეცს, ხოლო მკვდრებზე კი 1 ათას რუბლს. ტოტლებენის ამგვარი გადაწყვეტილების გამო ერეკლე II დიდად იყო გაოცებული. *Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 110.*

ლში: მეფე თავის ლაშქრობას „ყარსის ქვეყანაზე და ბაიაზე-თის მხარეზე“ იმით ამართლებს, რომ მიიღო რუსეთის ხელმწიფის „ბრაძანებით წყალობა“, რომლის მიხედვითაც მეფეს უნდა განეცხადებინა ოსმალეთის მიმართ მტრობა. ქართველებისა და მცირერიცხოვანი ლეკების ჯარით აკლებულ იქნა ოსმალთა მრავალი სოფელი და ელი, მოიკლა და დატყვევდა მრავალი (3 ათასამდე) ადამიანი – ქრისტიანიც და თათარიც. ქრისტიანები დაუტყვევებიათ ლეკების მოთხოვნით, მაგრამ შემდეგში ყველა ტყვე ერეპლებ გაათავისუფლებინა. ამ წარმატებული ლაშქრობის მიზეზების გასარკვევად თბილისში ჩაიდნენ ახალციხის ფაშას გამოგზავნილი დესპანები, რომლებიც „შეურაცხებით და უპატიოდ“ გაუყრიათ.

განსხვავებული (მშვიდობიანი) დამოკიდებულება ჰქონდა სამეფო კარს ირანთან, რადგან, როგორც ერეპლე განმარტავდა, „რუსეთსა და სპარსეთში შერიგება და მშვიდობა არის“.

ბაიაზეთის სამხრეთით მრავალი ქრისტიანი სომეხი ცხოვრობდა. მათ, იცოდნენ რა ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის სამზადისის შესახებ, ერეპლეს სთხოვდნენ, მონაწილეობა მიეღოთ ომში. დადგესტნელი ხუნძების ბატონმა, რომელიც ერეპლეს შემორიგებული ჰყავდა და ჯამაგირსაც აძლევდა, კაცი გამოუგზავნა საკითხავად: ოსმალებმა დამიბარეს, წავიდე თუ არა? ერეპლემ დაუშალა და იმპერატრიცას წყალობა აღუთქვა. ამის შემდეგ მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ქართულ-რუსული საქმის წინააღმდეგ ხუნძაყელები აღარ გამოვიდოდნენ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოები ერთმანეთის მტრები იყვნენ და ამდენათ მათგან რაიმე საშიშროება მოსალოდნელი არ იყო. ასე სჯეროდა ერეპლე მეფეს.

ერეპლე მეფე ა. მოურავოვს არაფერს სწერდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იქაური ამბები მან ზედმიწევნით იცოდა.

მეცე ვარაუდობდა, რომ როდესაც ტოტლებენს მოზდობიდან დამატებითი ჯარი მოუვიდოდა, წინ აღარაფერი დაუდგებოდა და დაიწყებოდა ოსმალეთის საწინააღმდეგო კამპანია.

როგორც ჩანს, ერეკლე მეორემ ყოველივე კარგათ იცოდა რაც ხდებოდა და როგორი განწყობილება სუთხევდა საქართველოს სამეზობლოში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, რას მოიმოქმედებდა რუსეთის მთავრობა. ერეკლე ა. მოურავოვს სწერდა: „ათი თვე იქნება კნიაზ გრიგოლი ქობულოვი პორუჩიკი მოსულა ჩვენს ქვეყანაში და მისის დიდებულებისაგან, რომ წეალობით ამ ქვეყანას ბძანება მოიტანა, რომ ურჯულოთ ოსმალთ, რაც შეგვეძლოს, მტერობა უჩვენოთ, ჩვენ ამისი პასუხი მაღალ კარს დამორჩილებით მრავალჯერ მოვახხენენ და ჯერეთ იმისი [მაგიუ]რი ამბავი რომ არა მოგვეკლია რა, ამ ქვეყნისა და სხვა ქვეყნის ქრისტიანები დიდს მწუხარებაში] არიან, მაგრამ ჩვენ გვრწამს: როგორათაც მისის დიდებულების ჩვენდამო ბძანება წერილით, თუ ზეპირ უველა აღსრულდება“<sup>1</sup>.

სოლომონ I-მა შეიტყო, რომ ცხინვალში მყოფ ტოტლებენს განზრახული პქონდა ახალციხის დასალაშქრად წასვლა. 1770 წლის 10 თებერვალს მან რუს სარდალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საყვედურობდა, იმის გამო, რომ მან სოლომონი მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატრიცამ პირველი რიგის ამოცანად იმერეთის სამეფოს დაცვა დაავალა: „ამას მოვეღლით, უვალად მოწყალის ხელმწიფისაგან და თქვენგანაც, რომ ჯერ როგორც ბრძანება ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან ჩვენ ქვეყანაზედ არის, ისე გაარიგოთ და მერმეთ, როგორც გვიპრძანებთ, ჩვენც გიახლებით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 520-522.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 536.

ტოტლებენმა სოლომონს კი აღარ მიმართა იგივე მოთხოვნით, არამედ მის ძმას კათალიკოსს შეუთვალია, იმერეთის მეფე წაჲყოლოდა ახალციხეში. ამჯერადაც ხელის შემშლელად დადიანი და ოურქები გამოვიდნენ. მათ აფხაზების დახმარების იმედი ჰქონდათ და იმერეთის აოხრებით იმუქრებოდნენ. სოლომონი მოურავოვს სოხოვდა, რომ ტოტლებენისთვის აეხსნა დასავლეთ საქართველოში შექმნილი მგომარეობა<sup>1</sup>. ს. მოურავოვმა 5 აპრილს ნ. ი. პანინს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც იგი ცდილობდა აეხსნა, რატომ არ ენდობოდა სოლომონ მეფე რაჭის ერისთავ როსტომს, დადიანისა და გურიელს. მას დადიანი დაუპირისპირდა იმის შემდეგ, როცა მეფემ შეიპყრო შეუპოვარი რაჭის ერისთავი და მისი ვაჟი გიორგი, ისინი ჯერ დატყვევებული ჰყავნენ, შემდეგ კი ორივე დააბრმავა. ამის შედეგად სოლომონი გაძლიერდა, რამაც შეაშფოთა დადიანი და გურიელი. ისინი თავიათი ძალით ვერ ერეოდნენ სოლომონს, ამიტომ დამხმარებად იწვევდნენ თურქებს<sup>2</sup>.

რაც შეეხებოდა ერეკლე მეფეს, ის მზად იყო ახალციხეზე გასაღაშქრებლად 9 ათასი მეომრით. მას მეტი ჯარი ჰყავდა, მაგრამ სამეფოს დასაცავად დასტოვა 4 ათასიანი ჯარი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართველი, სომები და თათარი მებრძოლებისგან, 4 ათასი კაცი კი ყარაბაღის ხანს მიაშევდა<sup>3</sup>.

1770 წ. მარტში ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი სურამიდან ახალციხის დასაპყრობად გაემართა. როგორც ცნობილია, ასპინძის ბრძოლის წინ ტოტლებენმა აწყურთან მოუღოდნელად მიატოვა ერეკლე, რუსთა ჯარით ქართლში დაბრუნდა და საბოლოოდ გამოამჟღავნა თავი, როგორც მოღალატემ. პ. გ. ბუტკოვი ცდილობდა გაემართლე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 545.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 553.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 546.

ბინა ტოტლებენის მოქმედება და ბრალს სდებდა ერეკლე მეფეს, თითქოს იგი ცდილობდა არა თავისი სამხედრო ძალით, არამედ რუსების ძალით დაეპყრო თურქების ტერიტორია, მაშინ, როდესაც რუსეთის კორპუსი საქართველოში გამოგზავნება მხოლოდ ქართული ჯარის დასახმარებლადო<sup>1</sup>. რუსი ისტორიკოსის ეს ნათქვამი ბათოლდება ქართლში მობრუნებული ტოტლებენის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებით, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, პ. გ. ბუტკოვი ტოტლებენის ამგვარ მოქმედებას არც კი ახსენებს. ტოტლებენის დალატმა და მის მიერ ქართლში ჩადენილმა მზაკრულმა მოქმედებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ერეკლეს მიერ ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ეფაქტი. ჯერ ერთი, ჩაიშალა ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა, რომლის განხორციელება უნდა უზრუნველეყო ასპინძაში მოპოვებულ წარმატებას, რადგან ახალციხის ძირითადი ძალები განადგურებული იყო, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის ჯარით დაუფლებოდა ახალციხეს, რაც საომარი ოპერაციების გაშლის პერსპექტივას უქმნიდა ქართულ და რუსულ ჯარს. გარდა ამისა, საქართველო თავისი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნებით ოსმალეთს აკარგვინებდა ლეკებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობას

ტოტლებენის ვერაგული ჩანაფიქრი ნათლად გამოჩნდა მისი აწყურიდან ქართლში დაბრუნების შემდეგ. მან ჯერ ერეკლეს მიერ შემორიგებული ლეკთა ცამეტი ბელადი დახოცა<sup>2</sup>, რაც მეფის ლეკებთან ურთიერთობაში მხოლოდ

<sup>1</sup> Бутков П.Г., Материалы..., с. I, с. 281-282.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 127. ტოტლებენის მიერ ლეკების დახოცის ამბავს ვრცლად გადმოგცემს დე გრეი დე ფუა: ტოტლებენმა შეიტყო, რომ რამდენიმე ლეკმა ცხინვალს ჩაუარა და მეზობელ სოფელში გაჩერდნენ. ისინი 27 კაცს მოითვლიდნენ ის პუსართა ორი ახელით გაემართა ლეკების შესაბურობად. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა მებატონებმ მოახ-

ზიანს მოიტანდა. ამის შემდეგ ის გორს მიადგა, რომელიც ძალით ვერ დაიკავა და დუშეთში გადავიდა. ტოტლებენმა იქიდან გამორჩეა ერეკლეს მეციხოვნენი და რუსი სალდათები ჩააყენა. რუსი გენერლის სხვა საქმიანობაზე რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, იმის თქმაც საქმარისია, რომ მან ძალით დაიწყო ქართლის მოსახლეობის დაფიცება რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე, რაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ნიშნავდა. 1770 წ. 1 ივნისს ერეკლე ა. რ. მოურავოვს სწერდა, რომ ტოტლებენმა ქართლში 3-4 ციხე მიიტაცა, სამღვდელოებას, თავადებსა და აზნაურებს აფიცებდა, ჩანდა, რომ მას ქართლის დაპყრობა სურდა. გორის ციხეზეც სამჯერ გაგზავნა რაზმი, რათა ძალით დაეპყრო, მაგრამ ერეკლეს მიერ დაყენებულმა დაცვამ არ შეუშვა<sup>1</sup>. დაახლოებით იგივეა გადმოცემული ერეკლეს წერილში (1770 წ. 7 აგვისტო) გრაფ ნ. ი. პანინისადმი: ტოტლებენმა წაგვართვა ოთხი ციხე-სიმაგრე. ჩვენ ამაში წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, მაგრამ როცა ის შეეცადა წაერთმია ჩვენთვის გორის ციხე, ჩვენ ამის ნება აღარ მივუცით, ვიცოდით, რომ მას იმპერატორისგან ასეთი ბრძანება არ ჰქონდა<sup>2</sup>.

სენა ტოტლებენს, რომ ისინი ერეკლე მეფის სამსახურში იყვნენ, ის მაინც თავს დაესხა მათ და გაულიტა. ტოტლებენი ამით არ დაგმაყოფილდა. მას „არ სურდა ხელიდან გაეშვა ხელსაყრელი შეგთხვევა ძარცვისა. მან მოიტაცა მოედი ის პირუბევი, რომელიც სოფლის მცხოვრებლებისა იყო“. მოსახლეობამ მეფესთან იჩივლა. ერეკლემ ტოტლებენს მოსთხოვა აენაზდაურებინა საქონლის დირებულება, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. მეცე იძულებული გახდა თვითონ გაედო საზღაური. დე გრევი დე ფუა საქართვლოს შესახებ, გვ. 52.

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, с. 253; ხაქართველობის ისტორიის ქმნივი, გვ. 127.

<sup>2</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 124.

მეფე ერეკლესთან ტოტლებენის დაპირისპირებამ და მის მიერ დამპყრობლური ინტერესების გამომჟღავნებამ, უცმაყოფილო ქართველი თავადების ერთ ნაწილს რუსთა ჯარით თბილისის დაპყრობის, მეფის ტახტიდან ჩამოგდებისა და ქართლის რუსეთთან შეერთების იმედი გაუჩინა. შეიქმნა შეთქმულების საკმაოდ კრცელი ქსელი, რომელშიც, გარკვეული გაგებით, მონაწილებდნენ მოსკოვში მცხოვრები ვახტანგ VI-ის ჩამომავლები. ერეკლეს წინააღმდეგ აქტიურობით გამოიწეოდნენ ზალ ორბელიანი და დავით ერისთავი<sup>1</sup>.

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ტოტლებენის მოქმედებამ ხელი ააღებინა ერეკლე მეფეს გაეგრძელებინა ომი თურქების წინააღმდეგ. მეფე ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაბრუნდა ასპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თბილისში ჯარის შესავსებად და აღსაჭურვად. ამის შესახებ მოახსენა ა. მოურავოვმა ტოტლებენს და სთხოვა ნება მიეცა კაზაკთა რაზმით ერეკლესთან ერთად გაელაშქრა ახალციხისკენ<sup>2</sup>.

ტოტლებენის შეუფერებელი სხვადასხვა მოქმედება აღწერილია ანტონ მოურავოვის მიერ ნ. ი. პანინისათვის გაგზნილ 1770 წლის 10 მაისის მოხსენებაში<sup>3</sup> და ადარ გავაგრძელებ მათ ჩამოვლას<sup>4</sup>.

1770 წლის 4 ივნისს მეფე ერეკლემ გრაფ ნ. ი. პანინს პეტერბერგში გაუგზავნა წერილი სპეციალურად მივლინებული აზნაურის თარხან შახოვის (?) ხელით. მეფე რუსეთის საგარეო საქმეთა გამრიგეს, სხვათა შორის, შეახსენებდა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მასალები..., XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იხტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბილისი, 1997, გვ. 21-26.

<sup>2</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 111.

<sup>3</sup> Тамже, с. 111-112.

<sup>4</sup> Тамже, с. 112-118.

დამხმარე ჯარი, ჩვენს გარშემო მცხოვრები მაპმადიანები – თურქები, ლეგები და სპარსელები სულ უფრო ამჟღავნებენ ჩვენს მიმართ მტბბას, ახლა კი გრაფი ტოტლებენი ჩვენს გასაკიცხად სხვადასხვა ტყუილებს იყენებს, მხოლოდ ლმერთის და მისი იმპერატორობის უდიდებულესობის იმედი გვაქვს. გრაფი ტოტლებენი მოღალატეს გვეძახის. გენერალ-მაიორი უჩივის სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. დაუჯერებელია, რომ ის მართლა სწერს ამის შესახებ. ამით მას უნდა, რომ დაფაროს საკუთარი პოროტი ზრახვები და დანაშაული. როდესაც ქვიშეეთში ბანაკად ვიდექით, ჩვენი, ქართველი მებრძოლები მის ჯარში ბევრ პურსა და ქერს ყიდულობდნენ, როდესაც აწყურის ციხეს მივუახლოვდით, ჩვენთან მყოფმა მთიელებმა მისი ჯარის კაცებისაგან იყიდეს ბლომად გამომცხვარი პური და ქერი. როცა აწყურში მივედით, ჩვენმა და მისმა ჯარმა დიდი რაოდენობით პირუტყვი იგდეს ნადავლათ. მარტო მისმა კაზაკებმა ასი ძროხა გაირექს, რისი თვით-მხილველებიც ვიყავით. ჩვენ მათ ჩვენი ნადავლიდანაც ვუწილადეთ, მიუხედავად სურსათის საქმაოდ ქონისა, ტოტლებენმა მაინც მიატოვა აწყური და დაბრუნდა ქართლში. გზაში მეომრებმა განიცადეს სურსათის ნაკლებობა. ერთადერთი დამნაშავე არის ტოტლებენი, ჩვენს მიმართ კი გამოგონილ ტყუილებს იყენებსო.

შემდეგ ერვალე მეუე ყურადღორებას ამახვილებს გენერლის იმ მოღალატურ მოქმედენაზე, რომელიც მან ჩაიდინა მაშინ, როდესაც მან ერეკლე და მისი ჯარი მტრულ გარე-მოში მიატოვა, ქართლში დაბრუნდა და რუსეთის შხარეს გაეშურა. ერეკლე ფიქრობდა, რომ გენერალმა განიზრახა დამხმარე ჯარის საქართველოდან გაყვანა. მან შეკრიბა საქართველოსი მყოფი რუსები და ქართლისა და კახეთის თავადები და ერთობლივივად გადაწყვიტეს გენერლის დაპატიმრება, ხოლო მისი ჯარი გაეჩერებინათ მანამდე, ვიდრე მოვიდოდა იმპერატორიცას ბრძანება. მაგრამ, როდესაც გავიგეთ, რომ გენერალი მთელი ჯარით გაჩერდა ანანურის

ციხეში, მაშინვე გავაუქმეთ გადაწყვეტილება. საბჭოს წერილობითი გადაწყვეტილება ტოტლებენის დაპატიმრების შესახებ გადაუცა თავად რატიევს, რომელიც თავადაც ესწრებოდა შეკრებას. რატიევს ჩამოართვეს ბრძანება და გაანადგურეს. ერეკლე და მისი ქვეშვრდომნი მისი იმპერატორობის უდიდებულესობის ერთგულნი დარჩნენ<sup>1</sup>.

ტოტლებენის მიერ ეკატერინე მეორისათვის გაგზავნილმა წერილებმა უკვალოდ არ ჩაიარა. 1770 წლის 9 ივნისს ეკატერინემ საქართველოში გამოგზავნა სიგელი, რომლის აღრესატები იყვნენ თავადები, აზნაურები და ხალხი. საურადლებოა, რომ ის სიგელი ერეკლე მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. სავარაუდოა, სიგელის დაწერის მიზანი იყო მოსახლეობის განწყობილების მოსინჯვა ერეკლეს მიმართ. ალბათ პეტერბურგში ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა სიგელის შინაარსი უკმაყოფილო ქართველებს (შეიძლებოდა ასეთებიც ყოფილიყვნენ საიმპერატორო კარზე, რომლებმაც იცოდნენ მეფე ერეკლეს საწინააღმდეგო წარუმატებელი შეთქმულების შესახებ) იგი აღექვათ, როგორც სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდება.

როგორც პეტერბურგიდან საქართველოში გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, თურმე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში იმპერატრიცას მიზანი იყო საქართველოს გა-

<sup>1</sup> Там же, с. 120-123. ტოტლებენის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის გაუქმებას დე გრე თავის დამსახურებად აცხადებს. მისი გადმოცემით რატიევმა, ჩოგლოკოვმა და მოურავოვმა ერეკლეს გადაწყვეტინეს ქართული რაზმებით შეეპყროთ სურამში მდგრმი ტოტლებენი და რუსეთში გაეგზავნათ. დე გრაიძ ჯერ ის შეძლო, რომ შეთქმულებას ჩამოაცილა რატიევი, შემდეგ ერეკლეს შეხვდა და მოახსენა, რომ მისი განზრახვა ცნობილი იყო ტოტლებენისათვის და ის მზადყოფნაში დახვდება. როდესაც რუსეთის სამეფო კარზე გაიგებდნენ ამის შესახებ, მეტად ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ამის სემდგ მეფემ შეიცვალა აზრი. დე გრაი დე ფუა, საქართველოს შესახებ, გვ. 56-57.

დარჩენა დამონებისაგან. ის ყველა ქართველისაგან ელოდა მადლობას. მაგრამ ერეკლე, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეფე, რომელიც სამაგალითო უნდა ყოფილიყო, თავისი უცნაური ქცევით გრაფ ტოტლებენის მიმართ, შეურცხჲყოფდა ეკატერინეს ნდობით აღჭურვილ სამხედრო მეთაურს და უქმნიდა დაბრკოლებებს საქრისტიანოს, განსაკუთრებით, საქართველოს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმის მაგიერ, რომ გენერლის მიმართ ყოფილიყო გულწრფელი და ერთგული, გამოეკვება რუსეთის ჯარი, დაქმქრებინა, რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული, საქართველოს კეთილდღეობა, მასთან შეიკრიბნენ ბოროტმოქმედნი, რომლებმაც უარი თქვეს იმპერატრიცას სამსახურში ყოფნაზე, მისცა მათ თავშესაფარი და იფარავდა სასამართლოსა და სასჯელისაგან. ეკატერინე II ლაპარაკობდა, აგრეთვე, რუსეთის ჯარისათვის მიცემულ საქართველოსთვის სასარგებლო დაგალებებზე, რომელთა განხორციელების საშუალებას ერეკლე არ აძლევდა. მაგრამ რუსეთის ჯარმა არ გააკეთა ის რომ საქართველო და ერეკლე დაეტოვა ქანცგაწყვეტილი, სამუდამო უბედურებაში. რადგან ეკატერინესთვის ჩვეულებრივია გულმოწყალება, ამიტომ თუ კაპიტანი იაზიკოვი, როელიც საქართველოში გამოიგზავნა რუსეთის ჯარის მდგომარეობის გამოსასწორებლად, შენიშნავს ერეკლეს გულწრფელ მონანიებას მის მიერ ჩადგნილ დანაშაულში, მაშინ ეკატერინე დაუბრუნებდა წყალობას და აღუდგენდა ადრინდელ დირსებას. იმპერატრიცა მრავალ სიკეთეს პირდექოდა ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ საქართველოს<sup>1</sup>.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1770 წლის 9 ივლისს, ეკატერინე II-მ კვლავ გამოუგზვნა სიგელი ერეკლე II-ს, რომლის ტონი მნიშვნელოვნად შერბილებული და აქცენტი გადატანილი იყო იმ „მოღალატე“ ოფიცრებზე, რომლებიც ადარ დაემორჩილნენ რუსეთის სამხედრო კორპუსის სარდ-

<sup>1</sup> Тамже, с. 125-127

ალს გრაფ ტოტლებენს. „დიდი მწუხარებით შევიტყოთ, რომ თქვენმა უგანათლებულებობამ დაუშვით რომ ჩართულიყავით იმ შეთქმულებასა და უწესოდ ქცევაში, რომელიც შეიქმნა ცბიერი და მოუსცენარი ხალხის მიერ, სახელდობრ: პოდპოლკოვნიკ რატიუელის, კარის მრჩეველის, თავად მოურავოვისა და ახალგაზრდა, თავგანწირული და სახორწარკვეთილი კაცის, აგრეთვე პოდპოლკოვნიკის, ჩოგლოკოვის<sup>1</sup> და ზოგიერთი ხევის, ჩვენს სამასახურში ძყოფების, რომელიც სრულიად შეურაცხვეს თავიანთი ფიცი და ყოვლად უქმებულია სამხახურით სამხახური. ხოლო რატიუელი, ხევათა შორის, არ დაკმაყოფილდა თავისი სიბოროტით, ჯარის ის ნაწილი რომელიც მომზადებული იყო საქართველოში გასაგზავნად, დაუფარავად შეაცდინა არ დამორჩილებოდა გენერალ-მაიორ ტოტლებენს, დანიშნულს სამხედრო მეთაურად თქვენს მხარეში. რატიუელის ცუდი მაგალითის მიბაძით, ჩოგლოკოვი პატიმრობიდან გაიქცა. თქვენმა უგანათლებულებობამ შეიცარა ისინი თბილისში და იქ პპოვეს ნაძღვილი თავშესაფარი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მან საქართველოში ჩამოსვლისთანავე განაცხადა: მას იმპერატორიცასგან საიდუმლო დავალება ჰქონდა, თვალყური ედუვნებინა ტოტლებენის საქციელისათვის. მან დაწვრილებით გამოიკვლია მისი მოქმედება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და ამის შემდეგ რამდენიმე პირის თანდასწრებით თქვა: „თუ ტოტლებენი ძველებურად მოიქცევა, მე ადვილად შევძლებ გავიმეორო ის ამბავი, რომელიც სპარსეთთან უკანასკნელი მისი დროს მოხდა (ცნობილია, რომ მაშინ ტოტლებენი დააპატიმრებ მისმა საქართველომა თფიცრებმა და გაგზავნებ პეტერბურგში, სადაც გაასამართლეს და იმპერიიდან განდევნებ)“. ჩოგლოკოვი გრაფთან დააბეჭდეს. ტოტლებენმა ის დააპატიმრა და ხევა დამნაშავეებთან ერთად რუსეთს გაგზავნა. დე გრაი დე ფუა, საქართველოს შესახებ, გვ. 54-55.

<sup>2</sup> Тамже, с. 132.

1770 წლის 1 მაისს ჩოგლოკოვთან ერთად ჩავიდა თბილისში ტოტლებენის მიერ სამსახურიდან დათხოვილი, მისივე ყოფილი აღიუსტანტი, შარლ დე გრაი დე ფუა, რომელმაც მეორე დღეს (2 მაისს) მეფისათვის დაწერა ახსნა-განმარტება ტოტლებენის პიროვნებისა და მისი ანტიქართული საქმიანობის შესახებ. მან ისიც განმარტა რატომ გაექცა რუს სარდალს და თავი შეაფარა თბილის:

„ქ. მის სიმაღლეს უგანათლებულებს მეფეს, ჩემს ხელმწიფეს ირაკლის. რადგან იარანალის ტოტლებენისაგან გახტემრებული ვიყავ იმ მიზეზით, როგორც მოგხენებიათ, რომ მე დამიწერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის ქლდწიფის ხაზიანო და უმეტესად ქლდწიფის ირაკლის წინააღმდეგი იყო, – გავშტერდი, რომ დრაფს თქვენის სიმაღლისთვის მოუხენებია, რომ მე დანაშაული მქონდეს, დავუჭირო და გავგვდო, ის წიგნები ჩემის ნებით დამეწეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდე და ჩემი თავი გავიძმართლო. მართალია, რომ ის წიგნები დამიწერია, მაგრამ იარანალის ბრძანებით: პირველი დამიწერია ადოს მინდორში, სადაც მისი სიმაღლე იარანალს შეეყარა, მეორე წიგნი – როდესაც იმერუთიდამ გარდმოვედით; კიდევ დამიწერია საქართველოს გასინჯულობა – მუდამ იარანალის ბრძანებით, მესამე წიგნი დამიწერია ზამთარში, მოხდოქს რომ წავედით, – თბილისის ქალაქის გასინჯულობა, და ხულ ეს წენები ყოველი სამართლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დაწერილი ყოფილა იარანალის ბრძანებით, როგორც იათება კოპია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის სანცრიდამ დრაფი მოვიდა და თავის თფიცრებთან დამაბეჭდა, რომ მე ამისთანა წიგნები დამიწერია. მერე მე მივეღლ, იარანალს მოვახენებ: შენ ხომ იცი, ეს წიგნები შენის ბრძანებისამებრ დამიწერია. როცა იარანალმა შეიტყო, რომ ამა საიდუმლოს შენახვა მე არ მინდოდა, მიბძანა, რომ

პეტრებრუსს გაგიხტუმრებ კაის პატივით, და მაჩუქა შვიდი ველენბდიზის ოქრო და მომიძატა სახელი – პორუზიკობა. ამ იმედით წავედით; მაგრამ შემიტყვია, რომ ოქვენის სიმაღლისთვის მოუხსენებია, რომ მე გამაგდო ერთს ავის კაცხავით და საქართველოს წინააღმდეგ სავით; კერ მოვითმონე ამითანა დაბეზღუდა, რადგან მუდამ ერთგული ვეოფილ-ვარ ამაღლებულის ჩემი ქლომწიფისა, ახლა ვალი მაქსე, რომ იარანალი დავაბეზღო ღოთის წინაშე, უდ მოწყალის ქლომწიფის წინაშე და ოქვენის სიმაღლის წინაშე, და ოქვენგან დიდის ველორებით ვითხოვ მფარველობასა. იარანალის ვიქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინხ-ტრუქციისა და ჩვენის ქლომწიფის ბრძანებისა, და მუდამ მოატყეა რუსის პირველი მინისტრები: ბევრჯერ მიუწერია იარანალ ჩერნიშოვთან და იარანალ პანითან, რომ ერთი უამი დახელოს და საქართველო დაიჭიროს თავის იმპერატრიცას სახელით, რომელი ქვეყანაც მეფის ირაკლის საბრძანებელს ქვეშ არის. ესეც მისწერა: რუსეთს აბაზი მოხსრან, აქ გამოგ ზავნონ და, თუ იმ აბაზებს მეფე ირაკლი არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებ. კიდევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დაწერილი იარანალის ბრძანებით, რომელიც ოქვენის სიმაღლის წინააღმდეგათ და სრულიად საზიანოდ არიან. ვრიად გევედრები, რომ ეს დამიჯერო: გაჭირვებულმა დაგწერე. ახლა ოქვენ გევედრები, რომ არ დამაბეზღოთ ამაღლებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატრიცის, და ოქვენის სიმაღლის მუდამ ერთგული და დიდის სიმდაბლით ვიყავ და ვიქნები...<sup>1</sup>

<sup>1</sup> ცაგარელი A. A., *Грамоты..., т. I, с. 450-451* (ქართულად); ცაგარელი A. A., *Грамоты..., т. II, ч. I, с. 24-25* (რუსულად); დე ვრაი დე ვუ საქართველოს შეხახებ, გვ. 22-24 (ქართ. ტექსტი ხარვეზებით); მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 184-185 (ქართ. ტექსტი), გვ. 185-186 (რუს. ტექსტი).

ეკატერინე II ერეკლე II-ის უკმაყოფილებას ტოტლებენის მიმართ ხსნიდა იმით, რომ მან არ იცოდა რუსეთში ჯარის სამხედრო სამსახურის საფუძვლები და წესები, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობდა წინამდღოლისადმი მორჩილებაში. ეკატერინეს სურვილი იყო დავიწყებას მისცემოდა გაუგებრობანი და ერეკლეს მიერ არაერთხელ მისთვის მიცემული ერთგულების დაპირება სამუდამოდ იქნებოდა დაცული. „თქვენი უგანათლებულებობას შეუძლია იყოს სრულიად დარწმუნებული, რომ როდესაც ჩვენ მოგიწიგოთ ოტომანის პორტასთან საბრძოლებლად ამჟამინდელ თმში, არა გვაქვს უძირესი სარგებელიც კი ჩვენი იმპერიისათვის, მხოლოდ გვინდა განვამტკიცოთ თქვენი საქვეო არჩევანი“<sup>1</sup>.

სრულიად გასაგებია, ძნელი იქნებოდა მეფისა და მისი კარისათვის იმის მოსმენა, რასაც იმპერატრიცა აბრალებდა მეფე ერეკლეს. ამასთან ერთად ეკატერინეს მიაჩნდა, რომ თითქოს ტოტლებენი გაწაფული იყო სამხედრო ხელოვნებაში და შეეძლო ერეკლესთვის მიეცა რჩევები<sup>2</sup>.

როგორც წესი, როდესაც იმპერატრიცა საქროველოში აგზავნიდა სიგელს, მას თან მოსდევდა, იმავე დღეს შედგნილ პანინის წერილი<sup>3</sup>, რომელიც შეიძლება უფრო ვრცელი, მაგრამ იგივე შინაარსისა იყო. პანინს უნდოდა განემარტა ეკატერინეს სიგელში მოცემული დებულებები.

1770 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც საქართველოში ტომსკის პოლკი ჩამოვიდა, ტოტლებენი 4 ათასი კაცით გადავიდა იმერეთში. რუსთა ჯარის ჩამოსვლამდე სოლომონ მეფემ, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ამის შესახებ სწერდა ის თავის ელჩს რუსეთში, დავით კვინისიძეს. სოლომონმა ისარგებლა ასპინძასთან დამარცხებული ახალციხის საფაშოს დასუსტებით და ჯერ ცუცხვითის ციხე დაიპყრო,

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 133.

<sup>2</sup> Там же, с. 134.

<sup>3</sup> Там же, с. 134-139.

Шеңдең ბაღდადის ციხე და ქუთაისის მიდამოებსაც დაეუფლა<sup>1</sup>. ამ წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ როგორც იმერეთის მეფე თავის ელჩს აცნობებდა, ტოტლებენი სრულიად შეცლილა, ის სოლომონთან კარგად იქცეოდა, და ყველფერს ისე აკეთებდა როგორც იმპერატრიცამ აღგვითქვაო. რაც შეეხებოდა მეორე სერიოზულ პრობლემას – დადიანთან ურთიერთობას, სოლომონის და დადიანის შერიგება ჯერ ვერ მოხერხდა, მაგრამ დადიანი ზავს ითხოვდა<sup>2</sup>. ამ წერილის (1770 წ. 13 ივლისი) მიხედვით, სოლომონი ოპტიმიზმით უყურებდა დადიანთან დაძაბულობის შესუსტებას, 20 ივლისს ის ა. მოურავოვს სწერდა: „თქვენ მწერდით, რომ [დადიანს] სურს უარი სოქას ჩვენს ქვეშვერდომობაზე და იყვეს სრულიად დამოუკიდებელ. ამაზე არავითარ შემთხვევაში დავეთანხმებით, ვიდრე ცოცხალი ვართ, მცდელობას არ დაგაკლებთ, რომ ის გავხადოთ ჩვენი სრული მორჩილი, როგორც წინათ“<sup>3</sup>.

ალბათ, მხოლოდ ეკატერინე II-ის საამებლად წერდა სოლომონ მეფე ტოტლებენზე ისეთ ეპითეტებს, როგორიც იყო: „ბრწყივალე გრაფი“, „მამაცი გმირი“, „უძლეველი მხედართმთავარი“, „სამხედრო მოქმედებისას სრულიად სრულ-

<sup>1</sup> ბუტკოვი გადმოცმით კი, ბაღდადის და ცუცხვათის ციხეები ტოტლებენმა აიღო და იმერეთის მეფეს გადასცა, რაც სხვა წყარებით არ დასტურდება. უფრო მეტიც, ტოტლებენს ბაღდადის ციხის აღებისას რაინდული მოქმედება ჩაუდენია: რუსთა ბანაკში მისულ იმერეთის დედოფალს მეთაურისთვის, ე.ი. ტოტლებენისთვის უთხოვია, მიეცა უფლება ციხის აღების შემდეგ პირველი ის შესულიყო, რაც რუსმა სარდალმა შეიწყნარა. ამის შესახებ ეკატერინე აცნობებდა ვოლტერს 1770 წლის 18 აგვისტოს. *Бутков П. Г., Материалы..., т. I, с. 283.*

<sup>2</sup> Цагарели А. А., *Грамоты..., т. I, с. 152.*

<sup>3</sup> Тамже, с. 156.

ყოფილი<sup>1</sup>. აღარ გავიხსენებ სოლომონ მეფის დამოკიდებულებას ტოტლებენისადმი 1769 წელს, მის მიერ პეტერბურგში გაგზავნილ წერილებს. სინამდვილეში როგორი ურთიერთობა არსებობდა სოლომონსა და ტოტლებენს შორის, კარგად ჩანს 1770 წლის 2 სექტემბერს უკანასკნელის მიერ მეფის სახლთუხუცეს დავითისათვის გაგზავნილი წერილის ერთი ფრაზითან: რუსი სარდალი პირდაპირ აცხადებდა, რომ სოლომონ მეფესთან ურთიერთობის არავითარი სურვილი პქონდა<sup>2</sup>. სოლომონ მეფე თავის მხრივ, ნ. ი. პანინისათვის გაგზავნილ წერილში ადანაშაულებდა ტოტლებენს, რომ მან ერთმანეთს წააჩხუბა ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები<sup>3</sup>.

ერეკლე მეფე, მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენთან არასასურვლი ურთიერთობა პქონდა, აგრძელებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა მდგომარეობის ქონე ადამიანებთან მიმოწერილან.

1770 წლის 26 სექტემბერს ერეკლე II-მ მიიღო ასურეთის სომეხი ეპისკოპოსის ისაის წერილი (დაწერილი 13 აგვისტოს, ჩობან-არში). ეპისკოპოსი გაგზავნილი იყო ერეკლეს მიერ. მან კურტ-ბაიაზეთში ადგილობრივ მმართველს გადასცა ერეკლეს წერილი. ისაიამ თავი გამოაცხადა ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომად და ითხოვა, რომ, როდესაც ერეკლე თურქებზე გაიმარჯვებდა მისთვის დაეტოვებინა ხოს-ბის ციხე.

ეპისკოპოს ისაის წერილი ერეკლემ გადაუგზავნა ტოტლებენს, რომელზე მინაწერში ის თავის ხელით აღნიშნავდა, რომ მას გაეთვალისწინებინა შემდეგი: თუ რუსეთის ჯარი და სოლომონ მეფე თავისი ჯარით შეუერთდებოდნენ ერეკლე II-ს, დაცული იქნებოდა საქართველოს საზღვრები და აქაური

<sup>1</sup> Тамже, с. 153.

<sup>2</sup> Там же, с. 160.

<sup>3</sup> Там же, с. 162.

(კავკასიელი) ქრისტიანები იბრძოლებდნენ თხმალების წინააღმდეგ<sup>1</sup>.

ყარსის სერასკერმა ერეკლე II-ს კაცი გამოუგზავნა და მშვიდობა შესთვაზა, მაგრამ მეფემ უარით უპასუხა და შეუთვალა ამ წინააღადებით მიემართა რუსეთის ჯარის სარდლისათვის, თვითონ კი მასთან ზავის დადებაზე ფიქრიც კი არ უნდოდა. მანამდე ერეკლემ ტოტლებანს აცნობა, რომ ის ლეკები (ჭარელები, ტალანელები და ბელაკანები), რომლებიც კახეთის ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებულნი, აქამო-მდე ერეკლესთან კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ რადგან არ დაუშვა მათი კავშირი ახალციხის ფაშასთან, ამიტომ გადაუდგნენ. შირვანელები კი, რომლებიც კარგ ურთიერთობაში იყვნენ ქართველებთან, ერთმორწმუნეობის გამო ეხმარებოდნენ ლეკებს. ზამთარში დიდი თოვლიანობის დროს ისინი სხვა ლეკებისგან დახმარებას ვერ მიიღებდნენ, ამიტომ მათი დასჯა იოლი იქნებოდა. მეფე ერეკლე მიმართავდა ნ. ი. პანინს: თუ რუსეთის ჯარი საქართველოში დაიზამთრებდა და ქართველებთან ერთად იბრძოლებდა ლეკების წინააღმდეგ, სრულიად შეწყდებოდა მათი ურთიერთობა ახალქალაქთან და ყარსთან. ამის შემდეგ შირვანელებიც დაშინდებოდნენ. გრაფ ტოტლებენს თუ განზრახული პქონდა მომავალ ზამთარს სხვა რაიმე სახის სამხედრო აქცია, მაშინ ერეკლე მეფე თვითონ, თავის ჯართან ერთად მას დაეხმარებოდა<sup>2</sup>.

ტოტლებენი კი თავისას არ იშლიდა და ერეკლე მეფის „მოლალატეობის“ შესახებ ისევ ავრცელებდა ხმებს<sup>3</sup>.

1770 წლის 23 სექტემბერს ქუთაისში განსაკუთრებული დავალებით ჩავიდა გვარდიის კაპიტანი ნიკოლოზ დანიელის ძე იაზიკოვი. მისი უპირველესი დავალება იყო ენახა მეფე

<sup>1</sup> Тамже, с. 165-166.

<sup>2</sup> Тамже, с. 166-167.

<sup>3</sup> Там же, с. 168.

ერეკლე, რომელიც იმ დროისათვის იმყოფებოდა თბილისიდან ორი დღის მანძილით დაშორებულ ადგილას. ვიდრე იაზიკოვი ქუთაისში ჩავიდოდა, მანამდე გზიდან მისწერა მოურავოვს, რომ ტოტლებენის კორპუსში ჩასულიყო, რადგან სურდა ვიდრე ერეკლეს შეხვდებოდა, მანამდე მას მოლაპარაკებოდა. 6. დ. იაზიკოვს დავალებული ჰქონდა, დაეპატიმრებინა ა. მოურავოვი და საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაეგზავნა. 26 სექტემბერს, როდესაც მოურავოვი ბანაკში გამოცხადდა, იაზიკოვმა დააპატიმრა იგი და ყიზლარისა და ასტრახანის გავლით გააგზავნა პეტერბურგში.

6. დ. იაზიკოვი გრაფ პანინს, აგრეთვე, აცნობებდა, რომ გრაფი ტოტლებენი 3 ოქტომბერს დადიანთან ერთად ფოთის დასაპყრობად გაეშურა. რაც შეეხებოდა მეფე სოლომონს, ის ტოტლებენმა განდევნა და უბძანა შეეკავებინა ყაბარდოელები. მას არ უნდოდა მეფე ერეკლესთან შერიგება. ერეკლესთან წასვლის წინ იაზიკოვმა სთხოვა ტოტლებენს აეხსნა მისთვის, რა უნდა მოეთხოვა ქართლ-კახეთის მეფისათვის. ტოტლებენმა მაშინვე არ უპასუხა, მხოლოდ სურამთან დააწია წერილი, რომელშიც ითხოვდა, რომ ერეკლეს განედევნა ლეკები და არ გაეშვა ისინი ახალციხისკენ, თუ მას არ ებრალება თავის ქვეყანა, ჩვენ კიდევ უფრო ნაკლებად გვებრალება. ჩვენი მიზანია, მან ზიანი მიაყენოს თურქებს და არა ლეკებსო<sup>1</sup>.

ტოტლებენმა, როდესაც გაიგო, რომ სოლომონი გურიელის დასასჯელად წასვლას აპირებდა, მეფეს მისწერა, რომ იმპერატრიცას სახელით გიბრძანებ, ჩემი მხრივ კი გირჩევ, რომ ამ წერილის მიღებისთანავე შეწყვიტოთ დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ მოქმედება. „თუ არ შეწყვეტო მათ შეწუხებას, დარწმუნებული იყავით, რომ ჩაგთვლით თურქად და მისი იმპერატორობის უდიდებულესობის ბრძანებით,

<sup>1</sup> Тамже, с. 169-170.

მთელ ჩემს ძალებს მოვმართავ თქვენს წინააღმდეგ და მოგეპყრობით ისე, როგორც მტერს“<sup>1</sup>.

როგორც ერეკლე II-ის რუსეთის მთავრობის სხვადასხვა რანგის მოხელეებისათვის გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, მეფე ცდილობდა გრაფ ტოტლებენის გვერდის ავლით დაელაგებინა ურთიერთობა რუსეთის მთავრობასთან<sup>2</sup>.

საინტერესო ცნობებს შეიცავს 1770 წლის დეკემბერში იაზიკოვის მიერ პანინისათვის გორიდან გაგზავნილი მოხსენება. მან სცადა შეერიგებინა სოლომონ მეფე და კაცია დადიანი, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამის შემდეგ ის გადავიდა ერეკლე მეფესთან ბორჩალოში და გადასცა იმპერატრიცას სიგელი, რომლითაც ერეკლე რუსეთის მფარველობას იღებდა. მეფემ განაცხადა, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ელოდა ტოტლებენის ბრძანებას, სად შეერთებოდა თავისი ჯარით რუსეთის კორპუსს, მაგრამ – ამაოდ. მან გრაფი დაადანაშაულა იმის გამო, რომ მისი ბრალი იყო ჯარი სურსათის ნაკლებობას რომ განიცდიდა. მან დროულად არ მოიმარაგა ყველფარი ის, რაც ჯარს სჭირდებოდა და ისე წავიდა ლაშქრობაში. ერეკლემ იაზიკოვს სთხოვა შეეხვედრებინა ტოტლებენთან, სადაც ის მოისურვებდა, თავის მხრივ კი ასეთ ადგილად, გორი შეარჩია და შეხვედრის დროდ 25 ნოემბერი დაასახელა. ტოტლებენთან გაგზავნილი კაცი, ვიდრე დაბრუნდებოდა პასუხით, ამასობასი, 3 ნოემბერს ერეკლესთან მოვიდა ქერიმ-ხანის დესპანი სიგელით, რომლის შინაარსი იყო შემდეგი: შაპი ერეკლე მეფეს სთხოვდა, რომ რუსეთის ჯარი თავის ქვეყანაში აღარ შექმნა, ხოლო ჯარის ის ნაწილი, რომელიც ქართლში იმყოფებოდა, გაეძევებინა. არ ვიცით, რა უპასუხა ერეკლემ ქერიმ-ხანს, ან საერთოდ უპასუხა თუ არა, მაგრამ იაზიკოვს აღუთქვა, რომ შაპის სიგელს გაუგზავნიდა იმპერატრიცას.

<sup>1</sup> Тамже, с. 170.

<sup>2</sup> Там же, с. 171-172.

იაზიკოვმა ხელსაყრელად ჩათვალია ეს ვითარება და ერეკლეს ურჩია შპპისათვის შეეხსენებინა, როგორ ავიწროებდა ოსმალეთი საარსეთს და მისი მრავალი პროვინცია მიიტაცა. ზოგიერთი მათგანი ნადირ-შაჰმა ბრძოლით დაიბრუნა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ისინი ისევ თურქებმა დაიპყრეს. თუ ქერიმ-ხანს სურს განმტკიცდეს ტახტზე, ხომ არ ისურვებდა ესარგებლა მოცემული შემთხვევით, როცა ოსმალეთი მარცხს განიცდიდა რუსეთთან ომში და მისი ჯარი დაკავებულია დუნაისთან და მორეისთან ბრძოლებით, გაელაშქრა თურქების წინააღმდეგ. ყველაფერი ეს მეფემ თავის სიგელში ჩააწერინა და შპპს გაუგზავნა<sup>1</sup>, მაგრამ ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაერთო.

არც საქართველოში შეიქმნა ის ვითარება, როდესაც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ჯარი რუსთა კორპუსთან ერთად იბრძოლებდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ერთობლივ მოქმედებას ხელს უშლიდა რუსეთის საიმპერატორო კარის დიპლომატია – არ მომხდარიყო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება იმერეთის მეფის ხელშვეით და ამ პოლიტიკის გამტარებელ გრაფ ტოტლებენთან გაგზავნილი კურიერი 21 ნოემბერს დაბრუნდა წერილით, რომელშიც ნათქვმი იყო, რომ მას არავითარი სურვილი პქონდა ერეკლესთან და სოლომონთან ურთიერთობის, მაშინ, როდესაც მას მხარში უდანენ დადიანი და გურიელი. იაზიკოვის აზრით (როგორც ჩანს ის ჯეროვნად არ იყო ჩახედული რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში), ტოტლებენს რომ მოქერხებინა ერეკლეს, სოლომონის, დადიანის და გურიელის გაერთიანება, მათი ჯარებითურთ და რუსული არტილერიით გაძლიერება, ამ მხარიდან თურქებისთვის დიდი ზარალის მიეუნებას შეძლებდნენ. მეფე ერეკლე, იაზიკოვის შეფასებით, სრულიად ბრმად ერთგული იყო იმპერატრიცასადმი, მაშინ როდესაც ტოტლებენზე ვერაფერმა გაჭრა, მიუხედავად იმისა,

<sup>1</sup> Тамже, с. 173-174.

რომ ამ უკანასკნელს იაზიკოვმა უჩვენა ეპატერინე II-ის ბრძანება.

ბოლო შეხვედრისას მეფე ერეკლემ იაზიკოვს უთხრა, რომ შემდგომი კამპანიისათვის შეკრებდა 18 ათას რჩეულ მეომარს. იმავე დროს მეფე ქვეყნის გაჭირვებასა და უფულობაზე ჩიოდა, მაგრამ ამის გამო იმპერატრიცას შეწუხებას ერიდებოდა. ქართულ და რუსულ ჯარს განსაკუთრებით ეხმარებოდა ქანის ერისთავი დავითი. ამიტომ ფიქრობდა იაზიკოვი ეს თავადი ჯილდოზე წარედგინა.

იაზიკოვი მთელი პრინციპულობით ამხელდა ტოტლებენის – სარდლის უუნარობას. მან ვერ შეძლო ფოთის ციხის, ბადდადის ციხის (მხოლოდ 30 შეიარაღებული თურქი იცავდა), ქუთაისის (იცავდა მხოლოდ 60 კაცი) აღება. ფოთის დამცველებმა თურქებმა გაარღვიეს კორდონი და გაიქცნებ. დაიღუპა 70 რუსი ჯარისკაცი. ფოთოან დიღუპა 100 რუსი, თურქებმა დაკარგეს მხოლოდ 5 მებრძოლი. ტოტლებენმა დაიპყრო ანაკლიისა და რუსის ცარიელი ცეხები და სხვ.<sup>1</sup>

იაზიკოვი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმერეთში. ვიდრე იქ გადავიდოდა, მან შეუთვალა სოლომონ მეფეს, რომ საზღვარზე დაეხვედრებინა ცხენები. იმერეთის მეფისგან მიიღო პასუხი, რომ გენერალი ტოლებენი მას სიახლოვეს არ იკარქს და თავის წერილებში თათარს ეძახის. რადგან ტოტლებენი თათარს მეძახის-თვის არც ცხენები და არც სხვა რაიმე მაქვსო. ერეკლემ იაზიკოვს გაუგზავნა სოლომონის წერილი, რომელშიც ტოტლებენის სიავეზე იყო საუბარი. სოლომონ მეფემ იაზიკოვთან შეხვედრისას ქუთაისში, ისიც თქვა, რომ ტოტლებენი თავისი ჯარით თავდასხმითაც ემუქრებოდა. მან იაზიკოვს სთხოვა, რომ ტოტლებენის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილები იმპერატრიცასთვის გაეგზავნა. იაზიკოვმა მეფის თხოვნა შეასრულა. სოლომონ მეფესთან საუბრის შემდეგ იაზიკოვი

<sup>1</sup> Тамже, с. 175-179.

დაასკვნის, რომ ერეკლე მეფის და სოლომონ მეფის ერთგულება იმპერატრიცასადმი განუსაზღვრელია.

ერეკლე მეფესთან გამგზავრების წინ იაზიკოგმა სოლომონ მეფე და ტოტლებენი შეარიგა, მაგრამ მისი გამგზავრებისთანავე გრაფი მეფეს წაეჩეუბა.

იაზიკოგის აზრით, თუ მომავალი კამპანიის დროს გრაფი აქ დარჩებოდა, არაფერი სასიკეთოს მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მან ტოტლებენს უჩვენა უკატერინე II-ის ინსტრუქცია და ბრძანება, ის მაინც ეჩეუბებოდა მეფებს. ამიტომ იყო, რომ ტოტლებენი მარტოდმარტო იდგა ფოთის ციხესთან. მისი ერთადერთი მიზანი საქართველოში ყოფნის დროს, როგორც ფიქრობდა იაზიკოგი, იყო ნადავლის შოგნა და საილუსტრაციოდ მოჰყავდა რამდენიმე მაგალითი, როგორ ძარცვავდა იგი ტყვეებსა და ლოროვილებს<sup>1</sup>.

თავის მოხსენება იაზიკოგმა იმით დაასრულა, რომ ტოტლებენმა ვერც კაცია დადიანთა ააწყო ურთიერთობა და მასაც წაეჩეუბა<sup>2</sup>.

### ეკატერინე II-ის გენერალი სუხოტოვის საქართველოში

1771 წლის 13 იანვარს ეკატერინე II-ის კანცელარიიდან გამოვიდა სამი დოკუმენტი, რომლებიც საქართველოს მეფეუბისა და ახლადდანიშნული სარდლის გენერალ-მაიორ ალექსანდრე მიხეილის ძე სუხოტინისათვის იყო განკუთვნილი.

<sup>1</sup> ტოტლებენის როგორც მძარცველის დახასიათებისათვის გამოდგება არაგვის მოურავის ქაიხოსრო ჩოლოფაშვილის თხოვნის წიგნი ერეკლე II-ს. მასში ჩამოვლილია ის ნივთები, რომლებიც ტოტლებენმა მიითვისა მოურავის სახლის აქლებისა და გაძარცვის შემდეგ. მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 621-622.

<sup>2</sup> Тамже, с. 180-183.

იმპერატრიცამ ქართველ მეფეებს გამოუგზავნა სიგელები, რომლებითაც აცნობებდა მათ, რომ ტოტლებენმა მოითხოვა რუსეთში გაწვევა, მისი ეს თხოვნა დააკმაყოფილა და მის აღგლზე განამწესა ზემოხსენებული ახალი სარდალი. იმპერატრიცა იმედს გამოთქვამდა, რომ ამიერიდან შეწყდებოდა ის გაუგებრობები და წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ქართველ მეფეებსა და ყოფილ სარდალს – ტოტლებენს შორის და სრულიად ახალი ენერგიით დაიწყებოდა ბრძოლა საერთო მტრის – ოსმალეთის წინააღმდეგ<sup>1</sup>. ანალოგიური შინაარსის წერილი ეკატერინემ გაუგზავნა სოლომონსაც. იგივეს უმეორებდა 20 იანვარს გრაფი პანიჩი ერეკლეს და სოლომონს.

დასახელებული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით საინტერესოა გენ. სუხოტინისათვის მიცემული „ინსტრუქცია“, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ეკატერინე II-ისა („ინსტრუქციას“ ის აწერს ხელს) და მისი მთავრობის ნამდვილ ზრახვებს საქართველოს მიმართ.

„ინსტრუქციის“ პრეამბულაში ეკატერინე II აღნიშნავდა რუსეთის იმპერიის მიერ პორტას წინააღმდეგ მიმდინარე ომის მნიშვნელობას, ზოგადად, ქრისტიანებისათვის და, კერძოდ, ქართველებისათვის. იმპერატრიცას აზრით, ქართველებს უნდა გამოეყენებინათ რუსეთის მიერ მათვის მიცემული შესაძლებლობა და თავი გაეთავისუფლებინათ მონობისაგან. ამიტომ შესთავაზა რუსეთის მთავრობამ ქართველებს ამ ომში მონაწილეობის მიღება. სწორედ ქართველი მეფეების განსამტკიცებლად გამოგზავნა მან რუსეთის ჯარი გენ. ტოტლებენის მეთაურობით. შემდეგ ეკატერინე იძლეოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მოკლე დახასიათებას და აღნიშნავდა, რომ ქართველი მეფეები სიამოვნებით აღდგნენ მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ერეკლეს მოქმედება არ შეესაბამებოდა გენ. ტოტლებენის მიერ განხორციელებულ დონის-

<sup>1</sup> Тамже, с. 265-267.

ძიებებსა და მათ შორის წინასწარ შეთანხმებებს. „ინსტრუქციაში“ გამოთქმული იყო იმედი, რომ საქართველოს ორივე მეფე და დადიანი და გურიელი ერთობლივად გამოვიდოდნენ მტერთან საბრძოლველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმპერატრიცას აზრით, სუხოტინი უნდა მოიქცეს შემდეგაირად: 1. რუსეთის მთავრობის განზრახვის მიხედვით, სუხოტინს ქართველები უნდა გამოეყენებინა თურქების წინააღმდეგ ომში. მას ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოცემულ პერიოდში რუსეთის მთავრობას არ ჰქონდა განზრახული საქართველოს დაპყრობა. ის ითვალისწინებდა ტოტლებენის იმ მოქმედებას, როდესაც მან დაიწყო ქალაქებისა და სტრატეგიულ პუნქტების დაპყრობა და მოსახლეობის დაფიცება იმპერატორის ერთგულებაზე. იმპერატრიცა სუხოტინს გარკვევით ჩააგონებდა, რომ მოცემული მომენტისათვის მთავარი იყო ქართველების მიერ დივერსიების მოწყობა ოსმალეთის სახელმწიფოს სასაზღვრო რაიონებზე, რაშიც საქართველოში დისლოცირებულ რუსულ ჯარს უნდა შეეწყო ხელი. ქართულ ჯარს კვებისა და სხვა რამით უზრუნველყოფის სიმძიმის ტვირთი თვითონ უნდა ეზიდა.

2. „ინსტრუქციის“ მიხედვით, რადგან ქართველებმა არ იცოდნენ ომის წესიერად წარმოება, მათ უნდა მოეწყოთ დივერსია თურქების წინააღმდეგ. მათ რომ ეს შეძლებოდათ, მაშინ სერიოზული შედეგი იქნებოდა მიღწეული, მაგრამ ქართველებს, როგორც ტოტლებენის წერილებიდან იცოდნენ პეტერბურგში, შეეძლოთ მხოლოდ ძარცვა და მიხდომა. ქართველებს მხოლოდ ასეც რომ ემოქმედათ, თურქებს მაინც შეაწუხებდნენ. რაკი საქმის ვითარება ასეთი იყო, სუხოტინი, როგორც მიზანშეწონილად ჩათვლიდა, იმ დროს მიაშველებდა თავის განკარგულებაში არსებულ ჯარს მათ გასამხნევებლად. იმპერატრიცა სუხოტინს უფლებას აძლევდა აღყაშემოერტყა თურქების ციხეებისათვის, მაგრამ იმის გათვა-

ლისწინებით, რამდენად შესწევდა ამისი ძალა და რამდენად ენდობოდა ქართველებს.

3. ეკატერინემ გააბათილა ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტოტლებენი დამოუკიდებლად, რუსეთის მთავრობის უნებურად მოქმედებდა საქართველოს ციხე-ქალაქების დაუფლებისა და მოსახლეობის იმპერიის ერთგულებაზე დაფიცების დროს. მან უფლება მისცა სუხოტინს გაეგრძელებინა ტოტლებენის დაწყებული საქმე, თუკი ეს ხელს შეუწყობდა თურქების წინააღმდეგ ქართველების გააქტიურებას; უამისოდ დასახელებული ღონისძიების გატარება ზედმეტად მიაჩნდა. სუხოტინი მეფე სოლომონისა და დადიანის ურთიერთობის საკითხში უნდა დამდგარიყო იმის მხარეს, ვინც უფრო სასარეგებლო იქნებოდა რუსეთის ინტერესებისათვის; სუხოტინი ასევე უნდა მოქცეულიყო გურიის საკითხშიც; მას საქართველოში ჩასვლისთანავე უნდა დაემყარებინა კონტაქტი ერეკლე მეფესთან, რადგან ის იყო უძლიერესი, თუმცა მას ტოტლებენი ხატავდა საშიშ კაცად, მაგრამ იაზიკოვი კი სრულიად საწინააღმდეგო აზრისა იყო. ამიტომ სუხოტინს უნდა ემოქმედა თავისი შეხედულებისამებრ.

4. ეკატერინეს აზრით, რომელიც დამყარებული იყო ტოტლებენის მოხსენებებზე, ქართველები საშიში ხალხი იყო და სუხოტინს ფრთხილად უნდა ემოქმედა. ამასთანავე უნდა შეენარჩუნებინა მტკიცე პოზიცია და ხელმძღვანელობა, როგორც განათლებულს უმეცარი ქართველების მიმართ.

5. იმპერატრიცას თავდაპირველად განზრახული პქონდა რუსეთის სპეციალისტებს ქართველებისთვის ესწავლებინათ არტილერიის საქმე, ქალაქების ევროპულად გამაგრება, თოვის წამლის ხარისხის გაუმჯობესების საქმე და სხვ. მაგრამ, როგორც ტოტლებენის მოხსენებებმა და საქართველოში მომხდარმა ამბებმა დაარწმუნა, ქართველებისათვის ამგვარი დახმარება ზედმეტი იყო.

6. რადგან საქართველო შორს იყო რუსეთიდან, ამიტომ ეკატერინეს არ შეეძლო ყოველთვის საჭირო დარიგება მიეცა

სუხოტინისათვის, ყოველივე მის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული, გამოეყენებინა ის ზომები, რომელიც მიესადაგებოდა „ინსტრუქციის“ საფუძვლებს. სუხოტინი ვალდებული იყო დრო და დრო ეცნობებინა პეტერბურგში მთავრობისათვის იმის შესახებ, რაც ხდებოდა საქართველოში.

7. ეკატერინემ სუხოტინს ერთი მნიშვნელოვანი დავალებაც მისცა. თუ შესაძლებელი იქნებოდა, მას უნდა შეედგინა საქართველოს დაწვრილებითი რუკები, მის ჯარში მყოფი სამხედრო ინჟინრებისა და ამ საქმის მცოდნე სხვა ადამიანების დახმარებით.

8. ეკატერინე იმეორებდა მოთხოვნას, რომ ქართველებს საზრუნავი გაეჩინათ თურქებისათვის<sup>1</sup>.

„ინსტრუქციიდან“ განსაკუთრებით იქცევს ქურადღებას ორი გარემოება:

1. რუსეთის მთავრობის ჩანაფიქრით, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს უნდა ეწარმოებინათ მუდმივი თავდასხმები ოსმალეთის სახელმწიფოს სასაზღვრო რაიონებზე, რათა მტერი იძულებული გამხდარიყო მთავარი ფრონტიდან გადმოეყვანა ჯარის გარკვეული კონტიგენტი. მხედველობაში არ იყო მიღებული ქართველთა ინტერესი თურქების მიერ მიტაცებული სამცხისა და ტაო-კლარჯეთის დაბრუნების შესახებ. ქართველთა ამგვარი მოთხოვნილების იგნორირებას ახდენდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსთა ჯარის დახმარებით არ უნდა მომხდარიყო ქართველთა ამ სანუაგარი ოცნების განხორციელება;

2. რუსეთის ჯარი არ უნდა დახმარებოდა სოლომონ I-ს სამეფოს გაერთიანება-განმტკიცებაში.

23 იანვარს ეკატერინე II-ის ბრძანებით სოლომონ მეფის ელჩს პეტერბურგში კვეთისძეს გამოუცხადეს, რომ ტოტლებენი გამოწვეულია საქართველოდან და მის ადგილას დაინიშნა გენარალი სუხოტინი. მეფე სოლომონს მისი ელჩი თვი-

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 51, 536-541.

თონ გადასცემდა იპერატრიცას სიგელს. იმავე დროს კვენიხიძეს გაუმეორებს ტოტლებენის საჩივრები მეფის მიმართ. თითქოს ტოტლებენმა თვითონ იშოვა ჯარის გამოსაკვები სურსათი, გაათავისუფლა იმერეთი მტრისაგან და წართვა ციხები. ამ დროს რას აკეთებდა სოლომონ მეფე? ის დაკავებული იყო ერთმორწმუნე სამეგრლოს მთავრის დამორჩილებისათვის ბრძოლით. რუსეთის ჯარს იყენებდნენ იმერეთის უშიშროებისათვის, მაშინ, როდესაც მისი მეფე არ მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში. სოლომონმა ისე უნდა ეთანამშრომლა რუსეთის ჯარის მეთაურთან, რომ მას რუსეთის მხრიდან დაემსახურებინა სიკეთე თავის სამეფოსათვის. კვინიხიძეს ყოველივე, რაც იმპერატრიცამ დაავალა, გასაგებად უნდა გადაეცა სოლომონ მეფისათვის. ასეთი იყო ბრძანება<sup>1</sup>.

ზემოთ განხილული დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტოტლებენი სრულიად საწინააღმდევოდ მოქმედებდა და ქვეყანაში სიმშვიდე კი არა, პირიქით მეფეებსა და მთავრებს ერთმანეთთან აპირისპირებდა. მისი უუნარო მოქმედების გამო ვერ იქნა მიღწეული ჯეროვანი წარმატება ოსმალეთთან ომში საქართველოს ფრონტზე. ტოტლებენის სამხედრო და პოლიტიკური შეცდომების შესახებ დაუფარავად აცნობებდნენ რუსი ოფიცრები თავიანთ მთავრობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეკატერინე მეორემდე ის წერილები ან არ აღწევდა, ან მოხელეებმა იცოდნენ რა მბრძანებლის კეთილგანწყობილება ტოტლებენისადმი, სიმართლეს უმაღლავდნენ. ეკატერინესათვის სიმართლე იყო მხოლოდ ის, რასაც მისი ჯარის მეთაური – ტოტლებენი აცნობებდა საქართველოდან.

1771 წლის 26 აპრილს ერეკლე მეფე დუშეთთან შეეგება სუხოტინს. სარდალი ორი დღე გაჩერდა თბილისში და იმერეთში გაემგზავრა კორპუსის ჩასაბარებლად. გამგზავრების წინ მეფემ სუხოტინს ორასი ცხენი აჩუქა მისი თანმ-

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. I, с. 272-274.

ხდები პუსარებისათვის. რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში ახალი სარდლის გამოგზავნამ დიდად გაამნენევა ქრეკლე, რომელმაც მაშინვე გაუგზავნა წერილი სოლომონ I-ს და მოუწოდა დადიანთან და გურიელთან ერთად ჩამდგარიყო იმპერატრიცას სამსახურში<sup>1</sup>.

სუხოტინმა, ადგილობრივი მდგომარეობის გაცნობის შემდეგ გრაფ პანინს აცნობა, როგორ შეხვდნენ მას მეფეები და მთავრები, მეფეებთან ერთად განიხილა თურქების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა და იმაზეც გაამახვილა ყურადღება, როგორ აზიანებდა ტოტლებენის მოუფიქრებელი ბრძანებები საერთო საქმეს და როგორ სამწუხარო მდგომარეობაში დახვდა რუსეთის კორპუსი<sup>2</sup>.

მეფე ერეკლე სუხოტინისგან მოითხოვა გალაშქრებას ახალციხეზე და არა ფოთზე. მისი აზრით, რადგან რუსეთის ჯარი საქართველოში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარის გასაძლიერებლად, სუხოტინს უნდა გაეთვალისწინებინა ერეკლეს თხოვნა, თუ კი მას იმპერატრიცას დავალება არ ჰქონდა ფოთზე გალაშქრების შესახებ. მეფე ყოველ შემთხვევისთვის სარდალს აფრთხილებდა, რომ კლიმატური პირობების გამო ფოთზე გალაშქრება ისედაც არ იყო გონივრული და მას არ უნდა გაემეორებინა ტოტლებენის შეცდომა<sup>3</sup>.

მეფე სოლომონს თავისი პრობლემები აწუხებდა. რუსეთი მისგან მოითხვდა დადიანთან შერიგებას და ერთად გამოსვლას ოსმალების წინააღმდეგ. პეტერბურგის გაგებით ეს უნდა მომხდარიყო თანასწორობის საფუძველზე. სოლომონ მეფეს კი თავისი სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე,

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 620-621.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 623-629.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 630.

დადაინის სრული მორჩილება უნდოდა<sup>1</sup>. ამავე დროს ის ცდილობდა რუსეთ-თურქეთის ომის შედგეგებში მისი სამეფოს ინტერესებიც უოფილიყო გათვალისწინებული. თავისი ეს სურვილები მან ჩამოაყალიბა ნ. ი. პანინისათვის გაგზავნილ (1771 წ. 17 ივნისი) წერილში: „მეორედ ამას გევდორები: თუცა ჩვენსა და ოსმანთ შეა შერიგება ინებოთ, უმჯობესიათვის, კითხოვ ვეღდობით ქოვლად] დისიდე[ე]ბულის გულმწიფობისა-გან, რომ როგორადაც უტყულის და ჭეშმარიჩის უკანით

<sup>1</sup> მაშინ, როდესაც სოლომონმა პანინისათვის წერილი დაწერა, იმავე დღეს მან უცნობს მისწერა: „ქ. ეს სიტყვა წინაშე დღესას და ოქენისა აღსარებად გამიცხადებია: თუ რომ ჩვენის დადაინის წყალობა ისევ ჩვენვე დაგვეძართება და გვებოძება დიდებულის გელმწიფისაგან, ას ქისას ჩვენებურს თეთრს, კისაც მიბრძანებ, მას მივაძარებ თქვენთვის. და დიდად გვევდორები, რომ ხაიდუმლოს დაჟაროთ და არ გეწყინოსთ. ივნისს 17, წელთა 1771“. იქვე, გვ. 634. საგულისხმოა, რომ ანონიმი ადრესატი რუსეთში მცხოვრები რომელიდაც ცნობილი პიროვნება იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საიმპერატორო კარზე. ვფიქრობ მინიშნება უნდა იყოს გრაფ პანინზე, რომელსაც იმავე დღეს სოლომონმა გაუგზავნა წერდი, რომელშიც იგი რუსეთის საგარეო საქმეთა გამრიგესან მოითხოვდა: „დადიანის შერიგება და, შემდგომად სამართალი რომ გამოგეხსადებინათ, ჩვენი სიტყვა ამას წინათაც დადებულის გელმწიფის წინაშე განვაცხადეთ და რაოდენსამებ შდ სამართალში გამოგაცხადეთ ნათლად; მარა ამას ახლავ კითხოვ თქვენის წარმატებულის ბრწყინვალებისაგან, რომ, თდეს ინებოს ქდ დაბულმა გელმწიფება ჩვენი ბჭობა – სამართალი ვრცელად იუწყოთ და თანაშემწე გვექმნეთ სამართლით“. ცაგარელი A. A., გრამოთა..., თ. I, ც. 304-305; მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 633.

უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-მ ეპატერინე II-ს და გრაფ პანინს ოფიციალურად გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები 1771 წლის დეკემბერში. მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 775-776.

გამოცხადებული გვაქვს, ჩვენიცა თანშერიგვება და განთავისეუფლება სრულყოფით, რომ ჩვენსა და ოსმანთ შუა სამტრო საქმე აღარაფერი იყოს. დიდად გვევდრები ლმობიერებით, რომ ეს აღგვისრულოთ და არ დაგვივიწყოთ<sup>1</sup>.

### სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს მოკავშირების აღდგენა

ზემოთ აღინიშნა, რომ 1758 წელს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ გორში სოლომონ I-თან გააფორმეს ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და გარკვეულ დრომდე ცხოვრებაშიც განახორციელეს. გავიდა დრო და ერეკლე მეფესა და სოლომონ მეფეს შორის წინააღმდეგობის უმთავრეს საგნად გაგაიქცა სოლომონ მეფის დადიანთან შეურიგებლობა. ნათლად გამოჩდა სხდასხვა პოლიტიკური ძალის ინტერესები. იმერეთის მეფისა და დადიანის შერიგებას ცდილობდა რუსეთი და ერეკლე II, მაგრამ ისეთნაირად, რომ შერიგება კომპრომისით კი არ მომხდარიყო, არამედ ოდიშის სამთავროს სტატუს-კვოში კორექტივის სოლომონ მეფის სასარგებლოდ შეტანის გარეშე.

რუსეთს დაპირისპირებული მხარეების შერიგება იმგვარად უნდოდა, რომ იმერეთის სამეფოს და ოდიშის სამთავროს გაერთიანებული ძალით ეომათ ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაძლიერებულიყო სოლომონ I.

ერეკლე მეორეს ძალიან კარგად ესმოდა, რაში მდგომარეობდა დაპირისპირების მიზეზი და მოწინააღმდეგებებს მოუწოდებდა შერიგებისაკენ, მაგრამ ის იმავე დროს იცავდა კაცია დადიანის, თავისი ნათესავის, ინტერესსა და დამოუკიდებლობას. წერილობითი ცნობები კაცია დადიანის ერეკლე I-ის ოჯახთან ნათესაობის სხვადასხვა ხარისხზე მიუ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 633.

თითებენ. მოურავოვი წერდა: „ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე დადიანს უჭერს მხარს, რადგან მისი ცოლი, დედოფალი დარეჯანი დადიანის ბიძაშვილია“<sup>1</sup>; კაპიტანი ლვოვიც აღნიშნავდა, რომ „დედოფალი, ერეკლე მეფის მეუღლე, ნათესავია დასახელებული დადიანის“<sup>2</sup>; ლეონ ბატონიშვილმა და ანტონ I-მა კათალიკოსმა გრაფ პანინს განუცხადეს: „საქართველოს დედოფალი კნიაზ დადიანის და არის“<sup>3</sup>. ყველზე სარწმუნო უნდა იყოს დარეჯან დედოფლის წერილი თავად მოურავოვისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მან „სამეგრელოს მფლობელთან, თავის მმა კაცია დადიანთან გაგზავნა თავადი მამუკა ხიდირბეგიშვილი, რათა დაიყოლიოს მიიღოს მონაწილეობა თურქეთის წინააღმდეგ მომავალ ომში“<sup>4</sup>. მთავარი ისაა, რომ კაცია, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარისათვის ახლობელი, ნათესავი იყო. ვფიქრობ, სადაო არ უნდა იყოს, რომ ლეონ უფლისწულმა და ანტონ კათალიკოსმა და, რაც მთავარია დარეჯან დედოფალმა ყველაზე უპერ იცოდნენ, ვინ იყვნენ ერთმანეთისა ქართლ-კახეთის დედოფალი და კაცია დადინი<sup>5</sup>.

სოლომონი, ისტორიული სამართლიანობის საფუძველზე, მთავრებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის ჩამოვარდნილ მტრო-

<sup>1</sup> Цагарели А., I, Грамоты..., т. I, с. 75.

<sup>2</sup> მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 899.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 909.

<sup>4</sup> მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 427-428.

<sup>5</sup> რუსეთის სამხედრო კორპუსი ახალი შემოსული იყო საქართველოში, როდესაც დარეჯან დედოფალმა თავადი მამუკა ხიდირბეგიშვილი გაგზავნა კაცია დადიანთან და ურჩია მიედო მონაწილეობა თურქების წინააღმდეგ ომში. Цагарели А., I, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, вып. II, с. 1769 по 1801 год, С.-Петербург, 1902, с. 245.

ბაში მეფე მთლიანად კაცია დადიანსა და მის წინაპრებს სდებდა ბრალს.

არსებობს 1771 წლის ოქტომბერგლის ერთი საინტერესო წერილი გაგზავნილი სოლომონ მეფის მიერ რუსეთის იმპერატორისადმი, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია იმერეთის მეფის ოდიშის და გურიის სამთავროებთან ურთიერთობის მოკლე ისტორია, მათი იმერეთის მეფის, რუსეთისა და იმერეთის სამეფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება: როცა ტოტლებენმა ფოთზე გაილაშქრა და ალყაში მოაქცია, წერდა სოლომონ მეფე, დადიანმა და გურიელმა ამის შესახებ აცნობეს თურქებს. შეიტყო რა მათი დალატი და ისიც აცნობეს, რომ თურქები გურიის საზღვრებს უახლოვდებოდნენ, მეფემ დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. თურქები იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. მეფე დაეუფლა გურიელის სამფლობელოებს და იქაურები დააფიცა იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონმა გურულების დაფიცების დოკუმენტიც გაუგზავნა ეკატერინეს<sup>1</sup>. მეფემ გადააყენა გურიელი გიორგი V და დადგინა მამია IV. ამის შემდეგ მეფე დაბრუნდა ქუთაისში.

<sup>1</sup> 1771 წლის ოქტომბერგლის გაფორმდა გურიელის შეთანხმება მეფე სოლომონთან: „დაუსაბამო ღმერთის მადლით, ამ პირუთენებულ ფიცებ ვაძლევთ ჩვენს ხელმწიფე მეფე სოლომონს, ჩვენ, გურიელი მამია, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ერისთავი დავითი, თავისირიძე მამუკა, მაჩუბაძე იოანე, ნაკაშიძე გიორგი, ტანდარუს საყვარელი, გუგუნავა, ჩიგან შალიქაშვილი, როსტომი და კიდევ როსტომი, კველა ურდანია და ჭყონია, ზაალი და კველა ჯაყელი, კველა ლექეურელი, კველა აკანელი, კველა ხატაიელი და გურიელის კველა მოსახლე იმაზე, რომ როდესაც უწმინდურმა აგარიანებებმა გამოილაშქრეს მისი იმპერატორობითი უდიდებულებების ჯარის წინააღმდეგ, მაშინ თქვენ მოხვედით ჩვენს ქვეყანაში, იხილეთ რა იქ დიდი არეულობა და უწესრიგობა, ჩვენ კველას გაგვირისხდით და კველა დაგვაფიცეთ მისი იმპერატორობის უდიდებულებებისა და თქვენს ერთგულებაზე, რომელიც

სოლომონ I ეკატერინე II-ს აცნობებდა იმერეთ-სამეგრელოს დაპირისპირების მიზეზებს და თავისი კანონიერი უფლების აღდგენას მოითხოვდა, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა იმპერატრიცას. სოლომონ მეფე აღნიშნავდა: ამჟამინდელი დადიანის – კაციას წინაპარი, თავადი საღირაძე ყოფილა, სოლომონის მამა-პაპათა ერთგული და ქვეშევრდომი, ამიტომ ერთგულად მსახურებისათვის ერთ-ერთ საღირაძეს უბოძა ოდიშის დადიანობა, კი. „მანდატურთ-უხუცესობა ეშიკალას-ბაშობისა“. როცა თურქები გაძლიერდნენ და დაიპყრეს აფხაზეთის ანაკოფია, შემდეგ კი, მთელი აფხაზეთი, დადიანმა ისარგებლა არეულობით, განუდგა იმერეთის მეფეს და ახალციხის ჯარის დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. სოლომონის პაპა ალექსანდრემ შეკრიბა იმერეთის ჯარი და დადიანი და თურქები დაამარცხა. თვით დადიანი შეიპყრო და მთელი მისი ოჯახი სიკვდილით დასაჯა. ასე ამოწყდა დადიანის მთელი გვარი, გადარჩა მხოლოდ მისი უკანონო შვილი, რომელიც არჩილმა წაიყვანა რუსეთში. სოლომონ მეფის პაპამ დადიანების მაგიერ დააწინაურა თავისი ახლობელი აზნაურებიდან გიორგი ჩიქოვანი, რომელიც ლეჩხუმის თემის მართველად დანიშნა. მისი ჩამომავალი არის კაცია დადიანი, რომელმაც უდალატა მეფეს და მიემსრო თურქებს. მან სოლომონის პაპა მოკლა და ლეჩხუმი მიითვისა და მთელი იმერეთი თურქების მონობაში მოაქცია. თურქებმა კაცია ოდიშის დამოუკიდებელ მთავრად გახადეს. იმ დროიდან დადიანები იმერეთის მეფეს აღარ ემორჩილებოდა.

ჩვენ უნდა შევინახოთ და ვიბრძოდოთ უწმინდური თურქების წინააღმდეგ სისხლის უკანასკენელ წვეთამდებ; წინააღმდებ შემთხვევაში კი, ვიუვეთ ერველის შემძლევ დმერთის, დიდებით შემოხლი წმინდა სამების, თხის პატრიარქისა და თორმები მოციქულის მიერ გადაცემულნი ანათემას, ჩაგვთვალოს ხელმწიფები თავის მტრებად, თქვენ კი გაანადგურეთ ჩვენი მოდგმა. მათია გურიანი“: *Там же, с. 291.*

ბოდნენ. როცა სოლომონ მეფემ ოსმალეთის სულთანთან და-დო ზავი და დაარწმუნა, რომ მთელი ოდიში მისი სამფლობელო იყო, ამის თაობაზე სულთანმა გამოსცა ბრძანება, რომ დადიანი მეფეს დამორჩილებოდა. სოლომონ მეფემ სულთნის ბრძანება რუსეთის კარს გაუგზავნა.

სოლომონ I სთხოვდა იმპერატორს, რომ მასაც ებრძანებინა კაცია დადიანისათვის დამორჩილებოდა მეფეს, ხოლო ლეჩეუმი მეფის საკუთრებაში დაებრუნებინა. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ იმერეთის სამეფოში მშვიდობა დაისადგურებდა და მეფე მთელ თავის ყურადღებას ოსმალეთზე გადაიტანდა. იმერეთის სამეფოს მთელი მოსახლეობა სისხლის უპანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა საერთო მტრის დასამარცხებლად და გასანადგურებლად<sup>1</sup>.

1771 წლის ივნისში სოლომონ მეფე და გენ. სუხოტინი გადმოვიდნენ ქართლში, სოფ. ხელთუბანში, სადაც 15 ივნისს შეხვდნენ ერეკლე მეფეს და შეთანხმდნენ იმ გეგმაზე, რომელიც შეიმუშავა 5 ივლისს ქუთაისის მახლობლად ბანაკში. დოკუმენტს თავისი შენიშვნები დაურთო და ხელი მოაწერა ერეკლე მეფემ თრიალეთში 27 ივლისს.

გეგმის მიხედვით, თურქებისათვის უნდა ჩამოეშორებინათ სამეგრელოს და გურიის სამთავროები. ფუნქციები განაწილებული იყო შემდეგნაირად: გენ. სუხოტინს რუსული ჯარით ალყაში უნდა მოექცია ფოთი, ქართველები კი რუსებს დაიცავდნენ ალყაში მოქცეული ფოთის ციხეში გამაგრებული თურქების დასახმარებლად გამოგზავნილი ჯარისგან.

იმავე გეგმის მიხედვით, ერეკლე მეფის რაზმებს ქვეყანა უნდა დაეცვათ იმ მხარეებიდან, საიდანაც მოსალოდნელი

<sup>1</sup> ცაგარელი A., გრამოთა..., I, 289-290; მაჭარაძე ვ., მასალები..., ხაწილი III, ხაგვ. II, გვ. 571-573; წერილის დასაწყისში სოლომონ მეფე ეპატერინე II-ს უწოდებს „თვითმპყრობელს რუსეთის, აფხაზეთის, იმერეთის, სვანეთისა და სამეგრელოსი“.

იყო დეკების თავდასხმები. თვით მეცე ერეპლე კი 20 ივლისს ძირითადი ძალებით (10 ათასი კაცით, 8 ზარბაზნით) ახალქალაქ-ახალციხე-ურსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო და თავისკენ მიეზიდა თურქთა ძალები რათა ისინი არ მიშველებოდნენ ფოთის ციხეში გამაგრებულ თურქებს.

მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა სოლომონ მეფეს: ის თავისი 6-ათასიანი ჯარით გავიდოდა ბაღდადიდან და გადაკეტავდა ახალციხიდან იმერეთისკენ მიმავალი ხეობებს.

ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეესრულებინათ გურიელსა და დადიანს: გურიელს უნდა დაეჭირა გურიაში „შემოსავალნი გზანი ტრაპიზონიდგან, ზღვიდამ და ახალციხიდამ“, რათა ვერავის შეძლებოდა ფოთის ციხისათვის დახმარება.

დადიანს უნდა დაეცვა აფხაზეთიდან ფოთისკენ მიმავალი გზაზე არსებული ხიდები, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირი ისე უნდა გაემაგრებინა ცელის კარამდე, რომ სუხოტინს ჰქონოდა ქუთაისამდე მიმოსვლის თავისუფალი გზა.

მოკავშირეთა ჯარებს უნდა ჰქონებოდათ 6 კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგე.

გენ. სუხოტინი ითვალისწინებდა ასეთ მომენტსაც: შეიძლებოდა ახალციხელ თურქებს იმის იმედით, რომ ამ ქალაქს მტკიცე კედლები აქვსო, ქალაქში დამცველოა მცირე რაზმი დაეტოვებინათ და დახარჩენი ჯარით ფოთის დასახმარებლად წასულიყვნენ, ასეთ შემთხვევაში, ერგალე და სოლომონ მეფებს, ახალციხის ალექსათვის საჭირო ჯარი დაეტოვებინათ და ძირითადი ძალებით ფოთისაკენ წასულ თურქთა ჯარს უკან დადევნებოდნენ.

ერეკლე მეფემ თავისი ხელით მიაწერა გეგმას დამატებით შვიდი პუნქტი, რომელშიც ის გეგმის განხორციელებისათვის დიდ მონდომებას აღნიშნავდა<sup>1</sup>.

ამგვარად, სუხოტინის მიერ შემუშავებული 5 ივლისის გეგმა ითვალისწინებდა სამხედრო კამპანიაში კაცია დადიანის მონაწილეობას. მაგრამ ამის გაკეთება ოდოშის მთავრის სოლომონ მეფესთან შერიგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გენ. სუხოტინმა დადიანს სოლომონთან შერიგება მოთხოვა და მასთან პოდპოლკოვნიკი იური ბიბიკოვი გაგზავნა. იმავე თვის 27 ივლისს კაცია სუხოტინს სთხოვდა, რომ ის სუნწი მისულიყო და უშუალოდ მიეღო მონაწილეობა მათ შერიგებაში. ისევე, როგორც სხვადასხვა მიზეზებით ვერ განხორციელდა სუხოტინის ფოთის დაპყრობის გეგმა, ასევე ამ დროისათვის ვერ მოხერხდა დადიანისა და სოლომონის შერიგება<sup>2</sup>. ლიად დარჩა გურიელის მეფესთან შერიგების საკითხი<sup>3</sup>.

\*\*\*

სოლომონ მეფეს ძლიერ ჭირდებოდა ერეკლე მეფის თანადგომა. ქართლ-კახეთის მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიაში, მას, როგორც არართხელ აღინიშნა, ანგარიშს უწევდა ოსმალეთის სულთანი, მაგრამ ერეკლესა და სოლომონს შორის განხეთქილების ვაშლად გადაიქცა კაცია დადიანისა და მისი სამთავროს საკითხი.

სოლომონ მეფეს შიში პქონდა, თუ ერეკლეს არ შეურიგდებოდა, დადიანისაგან თადასხმა იმერეთზე თურქების მხარდაჭერით, ყოველთვის მოსალოდნელი იყო. ამიტომ ის

<sup>1</sup> გაჭარაძე კ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 654-659. ხელთუბნის გეგმის შესახებ ვრცლად იხ. იქვე, გვ. 62-68.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 672.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 680-681.

თავს იკავებდა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო აქციების მოწყობაზე. კაპიტანი ი. ლოვი ამასთან ერთად აღნიშნავდა, რომ რამდენიმე დღის წინ დადიანის მმა ნიკოლოზი, საკმაოდ დიდი რაზმით მიუახლოვდა იმერეთის საზღვარს, მაგრამ სოლომონმა ისინი გარეკა და დადიანის რამდენმე სოფელი აიკლო, სამაგიეროდ დადიანი შეიჭრა რაჭაში და მანაც სოლომონის კუთვნილი რამდენიმე სოფელი დაარბია<sup>1</sup>.

მას შემდეგ, რაც იმერეთის სამეფოში მშვიდობამ დაისადგურა მეფე სოლომონის თავის ძმებთან – არჩილთან და კათალიკოს იოსებთან შერიგების შემდეგ, კაპიტან ლოვი დაავალა მეფე ერეკლესთან წასულიყო მათ შორის მეგობრობის აღსადგენად. მეფებს შორის მეგობრობა გულისხმობდა ერთმანეთის დახმარებას მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფე სოლომონი ითხოვდა ერეკლე მეფეს დაენიშნა ქართლში მათი შეხვედრის ადგილი და დრო. ი. ლოვი ერეკლეს შეხვდა კახეთში. მეფე ძლიერ იყო დაკავებული, ემზადებოდა ხუნძახის მფლობელის მუცალის კახეთზე თავდასხმის მოსაგერიელებლად და აპირებდა ქიზიყში გამგზავრებას. ასე, რომ მართალია, სოლომონის შემონათვალით გაიხარა ერეკლემ მაგრამ დასახელებული მიზეზით არ შეეძლო ზუსტი დროს დათქმა შეხვედრისა და ხელშეკრულების დასადებად<sup>2</sup>.

ერეკლე და სოლომონი ხედავდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, საქვეყნო და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ორ სამეფოს შორის ურთიერთობა ქვეყნისათვის სასიკეთოდ უნდა მოგვარებულიყო. 1773 წლის ივნისში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ერეკლე გრაფ პანინისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ შეხვედრისას სოლომონს ურჩია, რომ დადიანი და გურიელიც შემო-

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაბეჭ. II, გვ. 866.

<sup>2</sup> ცაგარელი A., გრამოты... т. I, с. 363-364; მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწ. III, ნაბეჭ. II, გვ. 838-839.

ერთებოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებას, მაგრამ მისი რჩევა არ გაითვალისწინეს. ქართლ-კახეთის მეფე პირობას დებდა, რომ „მეფე სოლომონთან საზოგადო მტკრზე, ჩემის შეძლებით, ყოველთვის დავიცავ იმის ძმობასა და, რაოდენ შემძლია, ვიქები აღმასრულებელი; და ეგრეთვე თვით მეფე სოლომონი მოვალე არის საზოგადოსა მტკრსა ზედა... და თუ უნდა მეფე სოლომონ ჩემთან სწორეთაც არ დადგეს, მე კიდევ ჩემის შეძლებით, როგორც პირობა მომირთმევია, მტკრზე არ დაგშალო მტკრობა...“<sup>1</sup>

ზოგადი შეთანხმების შემდეგ, იმავე წლის ივლისის ბოლოს ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები შეხვდნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში მსჯელობის შემდეგ<sup>2</sup> გააფორმეს სამოკავშირეო ხელშეკრულება შვიდ მუხლად:

1. მეფეებმა პირობა დასდეს, რომ სამუდამოდ დავიწყებული იქნებოდა ის უკმაყოფილებანი რომლებიც ყოფილა მათ შორის;
2. მეფეები შურისმაძიებელნი იქნებოდნენ ყველას მიმართ, ვინც უმტრობდა რუსეთის იმპერიასა და ქრისტიანებს;
3. ერთმანეთს მიეშველებოდნენ ჯარითა და სხვა ყოველი საშუალებით საქართველოში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ;

4 თუ მეფეთაგან რომელიმეს ჯარი დასჭირდებოდა და მოითხოვდა, ვის ტერიტორიაზეც შევიდოდა დამხმარე ჯარე მისი მფლობელი კისრლობდა ვალდებულებას, რომ ჯარს უზრუნველყოფდა სურსათით და სხვა აუცილებელ პირობებსაც შეუქმნიდა. იმ შემთხვევაში თუ ორივე მეფე ერთად შევიდოდა ჯარით მტრის ქვეყანაში, მაშინ მეფეებს თვითონ უნდა უზრუნველყოთ თავიანთი ჯარი;

5. „დღეის იქთ დამხაშავე ჩეგნზედა, რაც უნდა რიგი კაცი იყოს, ჩვენნი ყმანი, თავადნი თუ აზნაურნი, ერთი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 869-870.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 878.

ერთმანეთს, თვინიერ ჩებით გარდასახლებულნი ორსავ მჯროდამ, გლეხი თუ სხვა, დაუკოვნებლივ მივხვევა“-შეთანხმდნენ მეფები;

6. თუ რომელიმე სამეფოში უსამართლოდ „შვოთი აღიძრას“, ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი წამომწყები, თუნდაც მეფის მმა ან შვილი, მეფები მაშინვე უნდა მიშველებოდნენ ერთმანეთს და ჩაექროთ შვოთი;

7. რამდენადაც ქვეყნის შეჭირვებული მდგომარეობა არ იძლეოდა იმის თქმის საშუალებას, რომელ სამეფოს რამდენი ჯარი უნდა ჰყოლებოდა, ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უნდა დალოდებოდნენ ხელსაყრელ დროს. ამავე მუხლში მეფეებმა გამოთქვეს იმედი, რომ ერთობლივი ძალისხმევით სისრულეში მოიყვანდნენ ზემოთაღნიშნულ მუხლებს, არ მხოლოდ თავიანთ სიცოცხლეში, არამედ მათი შთამომავლებიც განახორციელებდნენ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე<sup>1</sup>.

დასავლეთ საქართველოში მეფეების შეთანხმება ყველა-სათვის არ იყო მისაღები. სოლომონ მეფე წერდა, რომ „ჩვენი შეკრთვება არავის უნდა“<sup>2</sup>. შეთანხმების მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ მისი მქები – კათალიკოსი იოსები (1769-1776) და არჩილი. განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავდა კათალიკოსი იოსები, რომელიც ამ დროს მეფეს გადააყენებულ ჰყავდა<sup>2</sup>. იოსებმა ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვა,

<sup>1</sup> იქნება გვ. 877.

<sup>2</sup> ახლად ხელდასხმული იოსები 1769 წელს, სოლომომბა როსტომ რაჭის ერისთავთან შუამავლობა დაავალა. იოსები ერისთავთან გაემგზავრა და მეფესთან შერიგება აღუთქვა. იმისათვის, რომ როსტომი მეფის კეთილ განზრახვაში დაერწმუნებინა, კათალიკოსმა ბარძიმზე დაიფიცა. ერისთავი მიენდო კათალიკოსს და თავისი შვიდი ვაჟიშვილით მეფესთან გაემგზავრა ვარციხეში. სოლომონმა მმის მიერ დადგებული ფიცი გატეხა და როსტომი თავის ვაჟებიანად დააბრმავა, რაჭის საერისთავო კი გააუქმა და

ხოლო არჩილმა მეფეს ციხეები და მამულები მოსთხოვა. ოათქმა უნდა, ყველაზე დიდი მოწინააღმდეგები იქნებოდნენ დადიანი და გურიელი.

საქართველოდან რუსეთის ჯარის წასვლა და ერეკლეს და სოლომონს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რომლის მე-6 მუხლში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მეფეები ერთმანეთს დაეხმარებოდნენ სამეფოების შიგნით „შფოთის“ ჩამომგდებთა წინააღმდეგ, გარკვეული გაგებით, მიანიშნებდა ერეკლე მეფის სამეგრელოს სამთავროსადმი პოზიციის შეცვლაზე. ბუნებრივია, შეცვლილი ვითარებით შეშფოთდა კაცია დადიანი და მან დახმარების თხოვნით მიმართა დედოფალ დარჯანს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კაცია დადიანის წერილი (1773 წლის თებერვალი) დარეჯან დედოფლისადმი არის მფარველის მაძიებელი იმედგაცრუებული მართველის აღსარება. ის დედოფალს უყვება თავის თავდადებულ სამსახურზე იმპერატრიცას გენერლების – ტოტლებენისა და სუხოტინისადმის: „ექსს თვეს ასრე კიახლი (ტოტლებენს – ე.მ.), ხახლიც არ მინახავს და არც გაკერივარ თვით, ძმით, ხახლიკაცით და კმით“<sup>1</sup>. ტოტლებენმა, როგორც მისთვის დამახასიათებელი იყო, მთავარს თავდადება და ხარჯი არ დაუფასა. მისი შეპყრობა მოინდომა და კაციამ მხოლოდ თავისი ძმის გიორგის მძევლად მიცემით დაიხსნა თავი. ტოტლებენმა კაციას მისწერა: „შენი ძმა გიორგი კელმწიფესთან უნდა წავიყვანო. გიორგის ეს ხიტყვა უყურებინა, დაჭერილის შეეშინა და გამოუქცა“. კაცია მთელი შეძლებით ემსახურა გენერალ სუხოტინსაც, მაგრამ ბოლოს იმანაც მძევალი სთხოვა. დადიანმა სუხოტინს

მისი დიდი ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. რეხვია-შვილი გ. იმერეთის სამეფო, 1462-1810, გვ. 213-214.

<sup>1</sup> იქმე, გვ. 880-881.

თავადი ჩიჩუა მისცა, რომელიც სუხოტინმა რუსეთში წაიყვანა<sup>1</sup>.

კაცია დადიანის დედოფლისადმი მინაწერიდან ისე ჩანს, რომ მან მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ვერ შეძლო რუსი გენერლების გულის მოგება, რათა მათ დაეცვათ მთავარი სოლომონ მეფის პრეტენზიებისაგან და ეხლა დარეჯან დედოფალს სოხოვს შუამავლობას: „მაგრამ ამ მეფეს (ხოლომონი – გ.მ.) და ჩვენ თუ ვერ მოგვარივებთ, რარიგათ მოხდება ჩვენი სამსახური და ან ჯარში ასე დამტერებული თუ გავერევით, თორებ თუ გაერიგდით, სამსახური, დაქიოს მოწყალებით, რაც სხვას შეუძლია, ჩვენც შევიძლებთ“<sup>2</sup>.

კათალკოსმა იოსებმა მეფე-მმისაგან დაცვა სოხოვა კაპიტან ი. ლვოვსაც, რომელიც შუამავალი იყო მეფისა და კათალიკოსის მოსარიგებლად. კათალიკოსი იოსები ბრალს სდებს ი. ლვოვს, რომ მას დაუჯერა: „მე და მეფე რომ კიძღულოდით და ოქვენის სიტყვით და შუამდგომლობით რომ გაერიგდით, მაშინ ჩემი ყოველი საქმე გამოგიცხადე და რომელიმე თვალით ნახეთ. რადგან მაშინ ინებეთ და შუამ-

<sup>1</sup> იქვე გვ. 881. 1771 წლის ივლისში, როდესაც სუხოტინმა შეიმუშავა ფოთის ციხის აღების გეგმა, წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს, რომელშიც აცნობებდა, რომ 5 ივლისისათვის დანიშნული ლაშქრობა გადაიდო 20 ივლისისათვის, იმავე დროს ერეკლეს სოხოვდა კამპანიის გეგმაზე მოეწერა ხელი და გენერლისათვის გაეგზავნა მძევალი ახლობელ ნათესავთაგან. იქვე გვ. 664. საპასუხო წერილში ერეკლე მეფე საყვადურობდა გენერალს, რომ ის თუ გაითვალისწინებდა მეფის ერთგულ სამსახურს საერთო მტერთან ბრძოლაში, „აღარ იყო საჭირო (მძევლის – გ.მ.) თხოვნა ამისი ჩვენთვის“: იქვე გვ. 679. XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის სამეფო კარის მიერ საქარველოდან სხვადასხვა ფორმით მძევლების წაყვანის მცდელობის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 418-433.

<sup>2</sup> იქვე გვ. 882

დგომელ იქმნით და გაგვარიგეთ, მე თქვენს ხიტყვას კერწმუნე, თვარა ამათი ამბავი დია კარგად ვიცოდი, და რაც მითხარ, დაგემორჩილე, მერმეთ წიგნი ვაახელ მეფეს და გაძლებას ვვედრე, რომ ან გამაძლებინეთ, ან ერთი გზა მომეცი-მეთქი. ამაზედ რაც მამული მქონდა, სრულიად წამართო და რომელიც საკათალიკოსო შესამოსელი და საძლოო იარაღი იყო, სულ ყველა მოხოვა. მე, ჩემის სათხოველის მაგივრად, ეს მიყო“<sup>1</sup>. რადგან ხელმწიფებ შენ დაგნიშნა მოელი საქართველოს მაყურებლად, მიმართავს იოსებ კათალიკოსი ო. ლვოვს, გაიგე რას მემართლება მეფე ასე უმოწყალოდ რომ მომეცუროო. მეფე კათალიკოსს უარს ეუბნებოდა ისეთი სიგელის მიცემაზე, რომლითაც მიეცემოდა იმერეთის სამეფოდან წასვლის უფლება. კათალიკოსი პირდაპირ სდებდა ბრალს ო. ლვოვს: „რადგან თქვენ გაგვარიგეთ, ვალი გაქცე, რომ ჭეშმარიტებით შეიტყო ჩემი დანაშაული და, თუ არავერი დანაშაული მაქცე, შენგან ვიყავი გარიგებული და შენგანვე ვითხოვ, რომ ამის მაგივრი პასუხი სწორებით მიბაძნოთ“<sup>1</sup>.

ზემოთ ციტირებული კაცია დადიანის დარეჯან დედოფლისათვის გაგზავნილი წერილიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მთავარი მზად იყო გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო დარეჯანის შუმავლობით გამართულ მეფესთან მოლაპარაკების დროს<sup>2</sup>. როგორც გამოჩდა, დე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 885.

<sup>2</sup> 1773 წლის 29 სექტემბერს გაგზავნილ ამ წერილზე კათალიკოსი იოსების, როგორც მისი სხვა წერილიდან ჩანს, კაპიტან ო. ლვოვისაგან პასუხი მიღებული არ ჰქონდა 1774 წლის 15 თებერვალს. იქვე, გვ. 914. 1771 წლის ივნისში სოლომონ მეფეს, სუხოტინის წინადადებით დადიანთან მოსალაპარაკებლად თავისი ძმა კათალიკოსი იოსები გაუგზავნია, მაგრამ დადიანმა მკვლელები მიუგზავნა, იოსები გადარჩა, დაჭრეს მისი ერთ-ერთი მცველი. იქვე, გვ. 643. იოსები მანამდეც ასრულებდა სოლომონის დიპლომატიურ დავალებებს. იხ. რევოლუციის მ., იმერეთის ხამეფო, 1462-1810, გვ. 212

დოფალი სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა: მისთვის მიუღებელი იყო იმერეთის მეფის იმდენად გაძლიერება, რომ სამეგრელოს მთავარი მისი მორჩილი გამხდარიყო. მისი ასეთი დამოკიდებულება კაციას და მეფის შერიგებისადმი კიდევ უფრო გამოჩნდება ქვემოთ. წერილის მიხედვით, ერთი შესედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კაცია დადიანი მზად იყო შერიგებოდა სოლომონ მეფეს და დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნები, რის მომხრე, ალბათ, მეფე ერეკლეც იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობდა დარეჯან დედოფალი. მისი პრინციპული პოზიცია იყო კაცია დადიანისათვის იმერეთის მეფისგან სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შეევანა.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ერეკლე II-ის ელჩებმა – ლეონ ბატონიშვილმა და კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა პანინს მოახსენეს არა მეფის, არამედ დედოფლის ბრძანებით („საქართველოს დედოფლისაგან გვებრძანაო“) ის არგუმენტები, რომლებიც დადიანის სასარგებლოდ მეტყველებდნენ მისი სამთავროს ტრადიციული დამოუკიდებლობის შესახებ, რომლებიც მთავარს უფლებას აძლევდნენ სოლომონ მეფის დაუკითხავად შესულიყო რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში. „ახლა კნიაზ დადიანი ითხოვს, – წერდა დედოფლი დარეჯანი, – რათა იმის იმპერატორობის დიდებულების პოდანობასა შინა მიღებულ იყოს და ეს ბრძანება პქნიდეს, თუ როდენაც თვითონ მოინდომოს წამოსულა უმაღლეს კარზედ და ან თავის კაცი გამოგზავნოს, ამაზედ დამყენებელი არავინ იყოს იმისი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ოქტო გვ. 909-910.

რუსეთის ჯარის საქართველოდან წასვლის, რუსეთის ხელისშემზღველი ფაქტორის შეწყვეტის შემდეგ, რუსულ დოკუმენტებს თუ დაგუჯერებთ, რუსეთის მთავრობა ყველაზე აკეთებდა ქართული პოლიტიკური ელიტის შესარიგებლად და ოსმალეთის წინააღმდეგ დასარაზმავად, სინამდვილეში ისინი განხეთქილებას ხერგავდნენ, ქართველმა მეფებმა დაიწყეს დამოუკიდებელი აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება.

1773 წლის 16 ოქტომბერს მეფეები – ერეკლე და სოლომონი 5-5 ათასი კაცით (ერეკლეს დამატებით ჰყავდა 1 ათასი დაქირავებული ოსი, თაგაურელი და ინგუში და ჰქონდა 6 ქვემები) შეიჭრნენ ახალციხის საფაშოში, კერძოდ, ჯავახეთში და 6 დღის განმავლობაში აიკლეს და მიადგნენ ყარსსა და არდაგანს, ალექს შემოარტყეს, აგრეთვე, ახალქალაქეს. მათ განზრახული ჰქონდათ გალაშქრება ყარსის მხარეს, მაგრამ სოლომონ მეფე გაცივების შედეგად მძიმედ დაავადდა და ქართველთა ჯარი იძულებული გახდა შეეწყვიტა ლაშქრობა და უკან, საქართველოში დაბრუნებულიყო. როგორც ი. ლევოვი წერდა, ლაშქრობის შეწყვეტის სხვა მოზეზიც არსებობდა: ქართული ჯარი შესამჩნევად შესუსტდა. ნადავლით დატვირთული მეომრები თვითნებურად ბრუნდებოდნენ სახლებში<sup>1</sup>.

ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა რუსეთის ვიცე-კანცლერ თავად მ. გოლიცინს და მადლობა გადაუხადა იმ კუთილგანწყობისათვის, რომელსაც ის იჩენდა ბატონიშვილ ლეონისა და კათალიკოს ანტონ I-ს მიმართ. იმავე დროს მეფე აცნობებდა კანცლერს სოლომონ მეფესთან ერთად თურქეთის სამფლობელოებში მოწყობილი წარმატებული ლაშქრობის შესახებ. წერილის დასასრულს ერეკლე მეფე სთხოვდა კანცლერს დახმარებოდა მის ელჩებს, რომლებიც

<sup>1</sup> იქნა, გვ. 887-889.

პეტერბურგში ჩავიდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების სათხოვნელად<sup>1</sup>.

ყურადღებას იქცავს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული წერილი, რომელიც შედგენილია 1773 წლის ნოემბერში (არ ვიცით მისი ზუსტი თარიღი), ეკუთვნის მხოლოდ ერეკლე მეფეს, მაშინ, როდესაც იმპერატრიცასთვის და გრაფ პანინისათვის გაგზავნილ წერილებს ხელს აწერენ ერეკლე და სოლომონი.

თავიანთი წარმატებული სამხედრო ექსპედიციის შესახებ ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა დაუყოვნებლივ აცნობეს ეკატერინე II-ს და გარფ ნ. პანინს<sup>2</sup>. დასახელებულ ადრესატებს მეფეები პირდებოდნენ, რომ კვლავაც დიდი მონდომებით გააგრძელებდნენ იმპერიის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას. ვფიქრობ, რადგან კანცლერ გოლიცინისათვის გაგზავნილი წერილის მიზანი იყო მისთვის მაღლობის გამოცხადება ერეკლეს ელჩებისადმი კეთილგანწყობისათვის და იმავე დროს იყო თხოვნა ელჩებისათვის იმ საქმეში დახმარების შესახებ, რისთვისაც ისინი გაიგზავნენ პეტერბურგში, ერეკლეს არ უნდოდა ამ თავისი უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური ჩანაფიქრის შესახებ, გარკვეულ დრომდე, სცოდნოდა იმერეთის მეფეს. სხვა წერილებში კი, რომლებსაც ორივე მეფე აწერდნენ ხელს, სიტყვაც კი არ არის ელჩების შესახებ.

საინტერესოა, რომ, როგორც კაპიტან-პორუჩიკი ი. ლვოვი გრაფ პანინს აცნობებდა (1772 წლის 30 იანვარი), მან და გენ. სუხოტინმა არაფერი იცოდნენ ერეკლე მეფის მიურ ელჩების რუსეთში გაგზავნაზე და როცა ეს ამბავი შეიიტყო, მაშინვე იმერეთიდან აღმოსავლეთ სქართველოში გადავიდა,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 891.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 892-895.

მაგრამ, როგორც მისი მოკლე მოხსენებიდან ჩანს, ვერც აქ მიღო რამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია<sup>1</sup>.

მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფები აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ, დადიანი და გურიელი ძველებურად კეთილ ურთიერთობაში იყვნენ თურქებთან და მათ მოკავშირე აფხაზებთან<sup>2</sup>.

## ერებლე II-ის გეგმის პროექტი (1771 წლის 30 დეკემბერი) რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ქართველი პოლიტიკოსები რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობით საკუთარი ინტერესების განხორციელებას ცდილობდნენ, ზოგიერთ საკითხში ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და რუსეთის შეზღუდულ კორპუსს თითოეული მათგანი თავისკენ ექაჩებოდა. ერებლე მეფე რუსეთის დახმარებით, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამეფოს პრობლემების მოგვარებისათვის მისი ჯარის გამოყენებას ცდილობდა, კერძოდ, უნდოდა ოსმალეთისა და ირანის მიერ დაპყრობილი ქართული მიწების განთავისუფლება, ლეპთა თავდასხმების აღკვეთა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცება; სოლომონ მეფე რუსების გამოყენებით ცდილობდა დაემორჩილებინა ურჩი მთავრები — დადიანი

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 334; მაჭარაძე კ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 781.

<sup>2</sup> პ. ბუბოვი აღნიშნავდა: 1770 და შემდგომ წლებშიც კაცია დადიანი აცხადებდა რუსეთის იმპერატორისადმი თავდადებულ ერთგულებას, ისევე როგორც ორივე ქართველი მეფისადმი, მაგრამ რამდენჯერმე იქნა მხილებული თურქებთან საიდუმლო მოლაპარაკებაში, მაშინ როცა მისი მეუღლე იყო რაჭის ერითავის მოგვარე, ხოლო და სოლომონ მეფის მეუღლე კუთხოვანი ბუტკოვ ლ. გ., Материалы..., I, с. 284.

(საქართველოს ამ უმსხვილესი მთავრის საკითხში ქართლ-კახეთის სამეფო კარს განსხვავებული მიღებოდა პქონდა – ცდილობდა დაეცვა სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობა, რაც ორ ქართულ სამეფოს შორის უთანხმოების მიზეზი იყო), გურიელი და მსხვილი თავადები, განეხორციელებინა სანუკვარი მიზანი – საბოლოოდ აღემვთა ადამიანებით ვაჭრობა და განემტკიცებინა სამეფო ხელისუფლება; დადიანი და გურიელი ცდილობდნენ ერთსა და იმავე დროს რუსეთის პოლიტიკური პარტნიორები ყოფილიყვნენ და მისი დახმარებით შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ იმერეთის მეფისგან დამოუკიდებელი არსებობა. იმავე დროს ისინი სულთნის კართანაც ინარჩუნებდნენ კარგ ურთიერთობას, რამდენადაც ისინი სოლომონ მეფის მტერი იყვნენ. დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამოყენებით რუსეთის მთავრობა ცდილობდა ჩარეცდიყო იმერეთის სამეფოს საშინაო საქმეებში, ეთამაშა შემრიგებლის როლი ისე, რომ მშვიდობა არ ჩამოვარდნილიყო დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ სქართველოს სუსტი პოლიტიკური ერთეულების ჩაბმა ოსმალეთის წინააღმდეგ მცირე მასშტაბიან თავდასხმებისათვის (ასეთი პოლიტიკის განხორციელებას ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართაც), რუსეთის ჯარის ნაკლებად მონაწილეობით, უფრო სწორად, ყოფილიყო მაპროვოცირებელი მათი ოსმალეთის შეჯახებისათვის. ასეთი პოლიტიკით იგი ასუსტებდა ქართულ სამეფოებს, იმავე დროს პრობლემებს უჩენდა ოსმალეთის სახელმწიფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

რუსი პოლიტიკოსები და დიპლომატები საქართველოსთან ურთიერთობას ფორმალურად აგებდნენ ქრისტიანულ კაცომეფარეობასა და სუსტის დაცვის პრინციპებზე, რომ ისინი იღწვოდნენ ქრისტიანული საქართველოს მუსლიმანთა მონობისაგან დახსნისათვის, რასაც, გარკვეული მნიშვნელობა პქონდა მართლმადიდებლურ სამყარაშო რუსეთის მესიანური პროპაგანდისა და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცე-

ბისათვის. რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების გაგებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოტყუებულ ქართველებს, რაც შეიძლება მეტი ადამიანური და მატერიალური რესურსი უნდა გაეღოთ რუსეთის ოსმალეთზე გამარჯვებისათვის.

განხილული წყაროების ხაზებს შორის წაკითხვა ვისაც შეუძლია მაკაფიოდ დაინახავს, რომ ერეკლე II და სოლომონ I მშვენივრად ერკვეოდნენ რუსეთის დიპლომატიის ცბიერებაში, მისი წარმომადგენლების – გენერლების საქციელში, რომლებიც მოქმედებდნენ საიმპერატორო კარის მიერ მიცემული ინსტრუქცების მიხედვით, რაშიც ქართველობისათვის სასიკეთოს ნაკლებად ხედავდნენ. მიუხედავად, იმისა, რომ რუსეთის ჯარი ისე გავიდა საქართველოდან, რომ რუსეთის მთავრობა, რომელიც ქართვლობის სიკეთოსათვის მზრუნველად აჩვენებდა თავს, ისე წაგიდა საქართველოდან, რომ სიტყვიერათაც კი არ გამოუთქმას თანაბარმნობა განრისხებული მტრებით გარემოცული საქართველოს მოსახლეობისათვის (გავიხსენოთ როგორ მიატოვა პეტრე I-მა ქართლის სამეფო ანალოგიურ სიტიუციაში, რაც კატასტროფული შედეგით დამთავრდა). ირანი და ოსმალეთი ქართველ მეფეებს დიდ დანაშაულად, უფრო სწორად, დადატად უთვლიდნენ რუსეთისათვის მხარდაჭერას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ამ ომში მონაწილეობა ქართულ მხარეს ირან-ოსმალეთისაგან თავის დახსნის ბოლო შანსად მიაჩნდათ. ისინი, რუსეთისაგან ზურგშეცემულნი და მიტოვებულნი, მაინც მისგან მოელოდნენ ხსნას და მზად იყვნენ გარკვეულ მსხვერპლზე წასულიყვნენ, ოღონდაც მისი მფარველობა მოგპოვებინათ, ცდილობდნენ რაიმე სახით შეენარჩუნებინათ ურთიერთობა რუსეთთან.

1771 წლის 29 დეკემბერს ერეკლე II გრაფ პანინს სწერდა, რომ გარემოებანი არ აძლევდნენ საშუალებას, პირადად სწვეოდა რუსეთს. თურმე მას ბავშვობიდან ჰქონდა სურვილი ენახა სრულიად რუსეთის და საიმპერატორო ტახტი და ყოვლადმოწყალე მონარქისათვის ჩაებარებინა თავი-

სი თავი და სამფლობელო. მაგრამ მეზობლებისგან შექმნილი დაბრკოლებები არ აძლევდა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის საშუალებას. ამტომ მან თავისი უსამღვდელოესი ძმა (ბიძაშვილი) ანტონი და შვილი ლეონი, გაგზავნა პეტერბურგში, რათა იმპერატრიცას მოახსენონ საქართველოს ამბები<sup>1</sup>.

მეორე დღეს ერეკლე II-მ იმპერატრიცას გაუგზავნა 18 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო მზად იყო შესულიყო რუსეთის მფარველობაში:

1. რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა გამოეგზავნა ოთხათასიანი გაწრთვნილი ან ნახევარი გაუწრთვნელი ჯარი, რათა ქართულ ჯართან ერთად ებრძოლა თურქების წინააღმდეგ. რუსეთის და საქართველოს ჯარების მეთაურებს უნდა ემოქმედათ ერთმანეთთან შეთანხმებით;

2. ერეკლეს და მის შთამომავლებს ტრადიციის მიხედვით უნდა ემართათ საქართველო.

3. რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო

4. ყირიმში გამოსყიდულ ქართველ ტყვეებს უნდა მისცემოდათ სამშობლოში დაბრუნების საშუალება;

5. როდესაც ქართულ რუსული ჯარი ერთად გაათავისუფლებდა მტრისაგან წართმეულ ქართულ მიწებს, იმ თანხას, რომელსაც რუსი ჯარის საჭიროებისათვის დახარჯავს რუსეთის მთავრობა, ერეკლე დაუბრუნებს ხაზინას იმ გადასახადებით, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფო ქარი ამოიღებდა გათავისუფლებული მხარის მოსახლეობისგან;

6. რადგან თურქებთან ომის დროს „დიდი ხარჯი დაგეგმართა“ – წერია პროექტში, ერეკლე მეფე რუსეთის მთავრობას სთხოვდა სესხს ქართული ჯარის შესანახად.

<sup>1</sup> ამ ელჩობის შესახებ ვრცლად იხ. ვ. მაჭარაძის ნარკვევი, იქნ. გვ. 77-83.

7. თუ დააკმაყოფილდებოდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნები, პირობის სიმტკიცისათვის ერგებლე რუსეთის ხელმწიფეს პირდებოდა: „მივართმევ ძესა ჩვენსა რომელსამე და გვრეთვე რაოდენსამე კნიაზეა თქვენს ყოვლად დიდებულსა გვლმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა“;

8. რაც რომ აღმოსავლეთ საქართველოში მადნეული იყო ცნობილი და რაც შემდგომში აღმოჩნდებოდა, იქიდან სარგებლის ნახევარი რუსეთის ხაზინას გადაეცემოდა;

9. ყოველი იმ კომლიდან, რომლებიც მეფეს ემორჩილებოდა, თითოეულ კომლის გადასახადიდან 14 შაური რუსეთის ხაზინაში გაიგზავნებოდა;

10. ყოველწლიურად იმპერატრიცას მიართმევდა 14 საუკეთესო ცხენს;

11. ერეკლე იმპერატრიცას სთავაზობდა იმ ხარკს, რომელსაც უხდიდა ორ წელიწადში ერთხელ ხან ოსმალეთსა და ხან სპარსეთს, „ცხრას ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც იმ ტყვეების მოსამზადებულის ხარჯისათვის“;

12. „და კიდევ ორმოცდაათს ხაპალნებ რჩეულს დვინოს თავისის ხარჯით თუთ წაიღებდნენ ხაველმწიფოთ: და ხევაჩვენ ამ დვინოს, რიცხვით თრი ათას კუდრას, რომელიც ჩვენ რჩეული დვინო იშოგბა, ყიზლარს ჩვენი ხარჯით მივიტანთ ხაზღვლმწიფოთა“;

13. „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულებისა კორპუსისათა, რაც ოსმალთა წარომეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჟერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა გვლმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი“;

14. „თუ რომ კახეთის წარომეული ადგილები დავიზირეთ, ბედნიერობითა თქვენის დიდებულებისა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ ხანით ვამხახურებთ: კომლზე თოთხმეტ შაურს წელიწადში, და იმავ ადგილებიდან წელი-

წადში აბრეჭუმს ორას ფუთხა იმ ქვეყნიდან, და, თუ მეტი  
შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობას თქვენსა“;

15. მეფე ევედრებოდა იმპერატრიცას, რომ მომავალ  
გაზაფხულზე დაპყრობილ იქნეს „ქვეყანა ახალციხესა“. თუ  
მოხდება რუსეთისა და ოსმალეთის შერიგება, მაშინაც კი  
ახალციხე უნდა შეუერთდეს ქართლ-კახეთის სამეფოს, რად-  
გან იგი საქართველოს ნაწილია, მოსახლეობა ქართულად  
ლაპარაკობს და მათი ნაწილი ქრისტიანია ნაწილი კი –  
ახალი გამაპარავიანებული;

16. როდესაც საქართველო მუსლიმანებისაგან გათავი-  
სუფლდება და დამშვიდდება, „მაშინ ჩვენის ძველად ქონე-  
ბულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც“  
მეფე იმპერატორს მიართმევს, რაც რუსეთის იმპერიაში ხუ-  
ლი ხედ საღდათი აძებ, ჩვენ იმდენს კვამდებულ მივართმევთ  
საღდათს თქვენსა დიდებულებასა“;

17. მეფე პირობას დებდა, რომ თუ რუსთა კორპუსის  
ძალით რომელმე მტრის „ქვეყანას“ დაიჭერს, ის ტერიტორია  
იმპერიის განკარგულებაში გადავა<sup>1</sup>.

პროექტის მუხლებიდან, ისევე როგორც ერეკლე მეფის  
რუსეთ-ურქეთის პერიოდის მრავალრიცხვანი სხვა დოკუ-  
მენტებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იყრობს მისი  
პოლიტიკისა და დიპლომატიის უპირველესი მიზანი, როგო-  
რმე ქართლ-კახეთის სამეფოს ომით ან მშვიდობიანი საშუა-  
ლებებით დაუბრუნოს ირანისა და ოსმალეთის მიერ მიტაცე-  
ბული ქართული ტერიტორიები, უპირველეს ყოვლისა, თურ-  
ქების მიერ ახალციხის საფაშოდ გადაქცეული ოდინდელი  
სამცხე-საათაბაგო. როგორც ითქვა, პროექტის ბოლო პუნ-  
ქტში ხაზგასმულია, რომ ქართლ-კახეთის მეფე თუ ამ

<sup>1</sup> იქვე გვ. 764-766. შდრ. იქვე გვ. 78-79. პროექტის რუსული  
თარგმანი იხ. Цагарели А., Грамоты..., I, Г. 329-332; იგივე ტექს-  
ტი იხ. მაჭარაძე ვ., მახალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 761-763.

უმთავრეს მიზანს მშვიდობიანი მეთოდებით მიაღწევს, მაშინ მას არც ერთ სხვა ტერიტორია თავისთვის არ აინტერესებს, მაგრამ თუ ასეთი რამ მაინც მოხდება და ომელიმე არა-ქართულს დაიპყრობს, მას უპირობოდ გადასცემს რუსეთის სახელმწიფოს. მაგრამ ამ წინადადებით პრაგმატიკოსი რუსი პოლიტიკოსების მოხიბვლა შეუძლებელი იყო, რადგან, სავარაუდოდ, ის არაქართული მიწები, რომლებიც შეიძლებოდა ერებლეს დაეპყრო, რუსეთი მის ათვისებას ვერ შეძლებდა რუსეთის საზღვრებიდან სიშორისა და უშუალოდ მიდგომის შეუძლებლობის გამო.

ახალციხის განთავისუფლებისადმი მკაფიოდ გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა რუსული კორპუსის სარდალმა გრაფმა ტოტლებენმა, რომელმაც შეგნებულად ჩაშალა ახალციხეზე ლაშქრობა. არც გენ. სუხოტინმა დაუჭირა მხარი ერებლეს ახალციხეზე გალაშქრებაში.

როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ცალცალკე (იმერეთის სამეფო ცალკე, ოდიშისა და გურიის სამთავროები ერთად ან ოდიშის სამთავრო ცალკე) ცდილობდნენ მოეპოვებინათ რუსეთის მფარველობა.

1773 წლის 27 აპრილს ლევან ბატონიშვილმა და კათალიკოსმა ანგონ I-მა პანინს წარუდგინეს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ზემოაღნიშნული პირობები. ელჩებს საკმაოდ დაგვიანებით, დაახლოებით 8 თვის შემდეგ წერილობით აცნობეს, რომ იმპერატრიცა კმაყოფილებით გაეცნო მეფე ერებლეს თხოვნას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო (ტერიტორიულად სიშორე, მეფე-მთავრებს შორის უთანხმოება, ჯარის გაგზვნას ჭირდებოდა დიდი დრო, ხარჯი და სხვ. რაც მთავარია თურქები ვერ შეეგუებოდნენ ქართველების რუსეთის იმპერიის მფარველობაში

შესვლას), საქართველოს მიღება მფარველობაში და ჯარის ხელახლა გაგზავნა არ შეეძლო<sup>1</sup>.

იმავე რიცხვში იმპერატრიცამ ერეკლე II-ს გაუგზავნა მიახლოებით იგივე შინაარსის სიგელი მოწოდებით, რომ ქართლ-კახეთის მეფეს იმერეთის მეფე სოლომონთან ერთად გაეგრძელებინათ მტრული მოქმედებები ოსმალეთის მიმართ<sup>2</sup>.

## რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774) დასრულება და საქართველო

მთავარ ფრონტზე რუსეთი აღწევდა წარმატებას. რუსეთის მეორე არმიამ ყირიმი დაიკავა. ადგილობრივი მოსახლეობა და ხანი მზად იყვნენ გაეწყვიტათ კავშირი ოსმალეთთან. იმავე დროს იზრდებოდა ცენტრალური ევროპის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოების შეშფოთება რუსეთის სამხედრო წარმატებების გამო. იზრდებოდა ომის საფრთხე შვეციიდან, ავსტრიის პოზიციაც მეტად საეჭვო ჩანდა; ხანგრძლივმა ომმა მოდალა რუსეთის არმია და საჭიროებდა შევსებას. რუსეთის საიმპერატორო კარს მიზანშეწონილად მიაჩნდა მიღწეულით დაკმაყოფილებულიყო, ანგარიში გაეწია ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესებისთვის და ზოგიერთი დათმობით დაედო ზავი. ასეთი განწყობილების დროს რუსეთისათვის მნიშვნელობას კარგავდა საქართველო. 1772 წლის 25 იანვარს ეკატერინე II-მ ბრძანა რუსეთის საექსაედიციო კორპუსი საქართველოდან გაეწვიათ, საჭურველის ნაწილი სოლომონ მეფისთვის დაეტოვებინათ, საქართველოს საქმეების „ზედამხედველად“ დაეტოვათ კაპ. ი. ლვოვი.

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 902-903.

<sup>2</sup> ცაგარელი A., გრამოты..., თ. I, ს. 394-397; მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 902-904.

1772 წლის 4 ოქტომბერის ეკატერინე II-მ საიმპერატორო  
სიგელებით ერეკლე II-ს და სოლომონ I-ს ცალცალკე  
აცნობა, რომ მიუხედავად რუსეთის მთავრობის მცდელობისა  
რაიმე სერიოზული წარმატებისთვის მიეღწია საქართველოს  
ფრონტზე და ხარჯიც გასწია, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგე-  
ბი არ მოჰყოლია. ამის მთავარი მიზეზი ქართველი მეფე-  
მთავრების ტრადიციული უთანხმოება და თითოეულის თავი-  
სი კერძო ინტერესებისათვის ზრუნვა იყო. ამიტომ საქართვე-  
ლოში რუსეთის ჯარის დატოვება იმპერატრიცას მიაჩნდა აზრს  
მოკლებულად. მიუხედავად აღნიშნულისა, ეკატერინე ერეკლეს  
პპირდებოდა პორტასთან ზავის დადების დროს გაითვალის-  
წინებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებს. უფრო მეტიც,  
თუ ერეკლე მეფე წარმატებით იბრძოლებდა პორტას წინააღ-  
მდეგ და მას ტერიტორიებს წაართმევდა, რუსეთის მთავრობა  
ყოველნაირად შეეცდებოდა ზავის პირობებით დაემტკიცებია  
შენაძენი<sup>1</sup>. სიგელიდან ჩანს, რომ ეკატერინე ითვალისწინებდა  
ერეკლე მეფის მუდმივ სწრაფვას ოსმალების მიერ მიტაცებუ-  
ლი ქართული მიწების დაბრუნებისთვის და ამ დაპირებით  
ცდილობდა შეენარჩუნებინა ხიდი მასთან შემდგომი ურთიერ-  
თობისათვის.

სოლომონისათვის გაგზავნილ წერილში ძირითადად გა-  
მეორებულია ის მოტივაცია, რაც გახდა რუსეთის მიერ  
საქართველოდან თავისი ჯარის გაწვევის გადაწყვეტილების  
საფუძველი. იმპერატრიცა სოლომონ მეფესაც პპირდებოდა,  
რომ პორტასთან ზავის დადების დროს გათვალისწინებული  
იქნება იმერეთის სამეფოს ინტერესები.

ეკატერინე II სპეციალურად ამახვილებდა ყურადღებას  
ფოთის ციხის საკითხზე, რომლის დაპყრობისათვის სოლო-  
მონმა 1771 წლის 27 ოქტომბერს ეკატერინეს და პანინს

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 334-335; მაჭარაძე ვ., მახალები...  
ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 791-792.

სთხოვა დენთი და მეზარბაზნე<sup>1</sup>. იმპერატრიცამ დაუკმაყოფილა სოლომონს ეს თხოვნა<sup>2</sup>.

**გამატერინე და პანინი,** როგორც მათ მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილებიდან ჩანს, რუსეთის მიერ თავისი კორპუსის საქართველოდან გაწვევის მიუხედავად, აქეზებდნენ ქართველებს გაეგრძელებინათ ბრძოლა დასუსტებულ ოსმალეთთან. გრაფი პანინი საქართველოში მყოფ თავის წარმომადგენელს, კაპ. ლოვოს ავალებდა მოეხდინა ქართველ მეფებზე ზეგავლენა, რათა მათ გაეგრძელებინათ ომი თურქეთის წინააღმდეგ<sup>3</sup>.

რუსეთის მიერ ჯარის გაწვევა საქართველოში ცნობილი გახდა 1772 წლის აპრილში, რამაც ერეკლე მეფის მწვავე რეაქცია გამოიწვია. მან 21 აპრილს წერილი გაუგზავნა პანინს, რომელშიც ძალიან მოკლედ, მაგრამ სწორად იყო გადმოცემული ქართლ კახეთის საგარეო მდგომარეობა რუსეთის-თურქეთის ომის დაწყების წინ. ერეკლე აღნიშნავდა: „სანაზდის მისი იმპერატორების დიდებულების ბრძანება მოგვიყდოდა თურქთ მტერობისათვის, დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანიქართან, შერიგებულნი და დაწყნარებულნი, და საარხეთის მფლობელს ხანებთან ახეთის საქმით ვიყავით: ზოგნი შეშინებულნი გვყვანდებ და ხარქს გვაძლევდებ დ ზოგნი მეგობრობით დაზავებულნი, ლეგნიც ზოგნი შემორიგებულნი გვყვანდნენ და ზოგთ შეშინებას ესცდილობდით და ზოგნი ლეგნი მათის შეძლებით გვმტრობდებ და ქვეყნებს გვიძლებდენ, მაგრამ რამდენსამე წელიწადში ჩვენის ქვეყნის საქმეები დუთით წარმატებაში მოგვუანდა. და ახლა ამ საქმეებითა და ამისთანას წინააღმდებათაგან, რომელიც ზემორე დაგვიწერია, საქართველოში ქრისტიანობა მოსპობის და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 740-741, 743-744.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 793-794.

<sup>3</sup> ცაგარელი A., გრამოты..., I, с. 341-342; მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 799.

**სრულებით აღოვრდების, თუ ეს კორპუსი აქეთგან უკმო-  
ბრუნდების<sup>1</sup>.**

1772 წლის მაისში რუსეთსა და ოსმალეთს შორის და-  
იდო დროებითი ზავი. მისი გამოძახილი იყო მეფე ერეკლესა  
და ახალციხის ფაშას შორისაც დროებითი ზავის გაფორ-  
მება, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი თქვა დროებითი ზავის  
იმერეთის სამეფოებზე გავრცელებაზე. სულეიმან ფაშამ იმე-  
რეთს შეუსია ლეკები, რომლებიც სოლომონ მეფემ სახტიკად  
დაამარცხა. ამის შემდეგ დროებით ზავი იმერეთის სამეფოს-  
თანაც შევიდა ძალაში.

\*\*\*

სოლომონ მეფემ თავის სამეფოში ძირითადად შეასუსტა  
მტრულად განწყობილო მთავრებისა და მსხვილი თავადების  
ოპოზიცია, მაგრამ ზოგიერთი მოწინააღმდეგე ქვეყნის შიგნით  
თუ გარეთ მაინც ცდილობდა თავის მიზნების განსახორცი-  
ელებლად გაენადგურებინა ქედუდრეკი მეფე და იმერეთის  
სამეფო დაებრუნებინა ოსმალეთის სულთნის გავლენაში. ამ  
მხრივ ფრიად საინტერესო „ქაიხოსრო აბაშიძის<sup>2</sup> შემოთავა-  
ზებები და შეფახებები თურქეთის მიერ ხაქართველოს დაპყ-  
რობის შემდეგ კვლავ რუსების მფარველობის ქვეშ მყოფი  
სოლომონის მმართველობაში შესულ ხაქართველოსთან და-  
კავშირებით“.<sup>3</sup> წერილი მნიშნებლოვან ცნობებს შეიცავს სო-  
ლომონ მეფის საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიის ისტო-  
რიის შესასწავლად. მასში გადმოცემული ფაქტები საგულის-  
ხმოს ხდის, რომ ის დაწერილი უნდა იყოს 1772 წელს.

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 800-801. წერი-  
ლის რუსელი თარგმანი იხ. ცაგარელი A., გრამოთი..., I, c. 343; მა-  
ჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 803.

<sup>2</sup> როგორც კაპ. ი. ლევანისგან ვიგებთ, ქაიხოსრო სოლომონ მეფის  
სიდე (ქალიშვილის ქმარი) იყო. ცაგარელი A., გრამოთი... I, c. 403;  
მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 916.

სტამბოლში გადახვეწილი ქიხოსრო აბაშიძე უყვება სულთნის მოხელეს, რომ სოლომონი მას დაემზერა ოსმალეთისადმი ერთგულების გამო, წართვა ოდესლაც თურქების მიერ გადაცემული სურის (?) ციხე-სიმაგრე. „ციხის ჩაბარების მოთხოვნაზე მე შევეწინააღმდეგი: „ეს ციხე მე დიადმა სახელმწიფოდ ჩამაბარა, შენ რა უფლებით ითხოვ ამ ციხის გადმოცემას?“

ქაიხოსრო აბაშიძე განაგრძობს: მოგვიანებით სოლომონმა თავისი ქალიშვილი სულეიმან ბეგს მიათხოვა იმ პორობით, რომ ჩილდირის (ახალციხის) ვალი ნუმან ფაშა მას შუამავლობას გაუწევდა სულთნის წინაშე საქართველოს (იმერეთის) მართველობის მისთვის გადაცემის საკითხში. სულეიმან ბეგი დაუკავშირდა ნუმან ბეის და აცნობა, რომ „ხოლომონი შენ 400 ქიხა აქებ და ას ტყვებ მოგცემხო“. ასეთნაირად მოხერხდა საქართველოს მართველობის სოლომონისათვის გადაცემა. სულეიმან ბეგმა და ნუმან ფაშამ საქართველოში გადასახადების ამკრეფები გაგზავნებს და ქაიხოსროს მოსთხოვებს სურის ციხის სოლომონისთვის გადაცემა, რაც მან დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ქაიხოსრომ თთხი ბატონიშვილი (მათ შორის კათადიკოსი იოსები) წაიყვანა სტამბოლში რათა გაეგო ფადიშაპის თანხმობით მოხდა თუ არა მეფის მიერ აბაშიძის ციხის ჩამორთმევა. ახალციხეში, სულეიმან ბეგის დასმენით, კათადიკოსს ბორკილი დაადეს, ბატონიშვილები კი, შეიძყრეს და სოლომონს გაუგზავნებს მასთან დაზავების მიზნით.

ქაიხოსრომ საკუთარი თვალით ნახა, რომ რუსეთის ელჩმა სოლომონს ქუდი და ხმალი გადასცა<sup>1</sup>. „ხოლომონმა ქუდი

<sup>1</sup> რუსების, სახელდობრ გვეტერინე II-ის და პოტიომკინის მიერ სოლომონ II-ისათვის საჩუქრების, კერძოდ, ოქროს ქამრისა და გვირგვინის გამოგზავნის შესახებ, გვაცნობებს თურქი ისტორიკოსი ჯევლეთ-ფაშაც. *Джевдем-паша, Описание событий в Грузии и Черкесии, по отношению к оттоманской империи от 1192 года*

დაიხურა, ხმალი წელზე შემოიტყო და ელჩს განუცხადა: „შვი  
ზღვისპირეთი ჩემია, მე დღეიდან მოხკოვის მეფეს გამოდებით“.  
ამის შემდეგ, როგორც ქაიხოსრო აცხადებდა, მეფესთან მისი  
შერიგება „დიადი სახელმწიფოს“ დალატი იქნებოდა. მან  
შეარჩია დრო და უკაცრიელი გზებით, მშიერ-მწყურვალი ჯერ  
თბილისზე და აჭარაზე გავლით მივიდა ჯანიკში (?),  
გამუსლიმანდა და ფადიშაპის მფარველობაში შევიდა. მისი  
აზრით, ხელსაყრელი დრო იყო იმერეთში შესაჭრელად, რადგან  
მოსკოვის მხრიდან ტყვია-წამლის, საბრძოლო მასალის, დიდი  
რაოდენობით ჯარის და სურსათის ჩამოსვლა შეუძლებელი  
იყო. ქაიხოსროს არც იმის თქმა გამორჩა, რომ ერეკლე და სო-  
ლომონი რამდენჯერმე შეხვდნენ და დამეგობრდნენ<sup>1</sup>.

\*\*\*

ახალციხის ფაშამ, რათა ჯავახეთის დალაშქვრისათვის ერეკლე და სოლომონ მეფეებისათვის სამაგიერო გადაეხადა, იმავე წლის იანვარში იმერეთს შეუსია 2 700 ლეკი და 1 ათასი თურქი არცოუ დიდი ხნის წინათ გადაბირებული აბა-  
შიძეების კუთვნილი სიმაგრე ვახანიდან. იგივე ფაშა შეთან-  
ხმებული იყო დადიანთან, რომ ეს უკანასკნელი აფხაზებთან ერთად, შეავიწროებდა სოლომონ მეფეს.

როდესაც ერეკლე მეფემ შეიტყო სოლომონ მეფის მიმართ  
სამტრო განხრახულობის შესახებ, მან მაშინვე გააგზგნა კაცი  
დადიანთან და ურჩია თავი შეეგავებინა იმერეთის მიმართ

---

по 1202 год хиджры (1775-1784 гг.) // Переведен с турецкого.  
«Русский архив», 1888, 3, с. 375.

<sup>1</sup> საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტები, გვ. 197-199. აბაშიძეთა გვარის ორჭოფულ მოქმედებაზე XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში, საინტერესო ცნობები დაგ-  
ვიტოვა კაპ. ი. ლვოვმა გრ. ნ. ი. პანინისათვის გაგზავნილ 1774 წლის 28 თებერვლის წერილში, მაჭარაძე კ., მახალები... ნაწილი  
III, ნაბეჭ. II, გვ. 915-918.

მტრულ მოქმედებაზე. იმავე დროს მან დაიწყო ჯარის შეკრება, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა სოლომონს. ერგადეს მიერ დადიანის შეკავებამ საშუალება მისცა სოლომონს მთელი ძალა წარემართა ლეკებისა და თურქების გაერთიანებული ჯარის წინააღმდეგ. ისიც გახდა ცნობილი, რომ ერგადე ჯარით მიისწრაფოდა სოლომონს დასახმარებლად და უპარ გორში იმყოფებოდა. შეშინებულ მტერს უკვე განზრახული ჰქონდა ახალციხეში გაბრუნება. 6 თებერვალს სოლომონი ჯარით თავს დაესხა მათ და სასტიკად დაამარცხა<sup>1</sup>.

1774 წლის 21 ივნისს ქუჩუქ-კაინარჯში დადებული ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთ-თურქეთის ომი<sup>2</sup>. ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებმა თავიანთი სამხედრო ძალით და დიპლომატიით გაუძლეს რუსეთისა და ოსმალეთის ზეწოლას და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს.

1774 წლის 5 სექტემბერს ეკატერინე II-მ საიმპერატორო სიგელებით აცნობა ერგადე II-ს და სოლომონ I-ს ოსმალეთთან ზავის დადებისა და ამ ტრაქტატის საქართველოსათვის მნიშვნელობაზე. სიგელს დართული ჰქონდა ტრაქტატის 23-ე მუხლი<sup>3</sup>, რომელშიც სპეციალურად იყო აღნიშნული ომის შემდგომი საქართველოს შესახებ. იმპერატრიცა ტრაქტატის ამ მუხლს საკმაოდ განსხვავებულად განმარტავდა ქართველი მეფეებისათვის გამოგზავნილ თავის სიგელებში.

იმპერატრიცა ერგადე II-ს სწერდა: რუსეთის იმპერიასა და ოტომანთა პორტას შორის ომის კეთილად დამთავრების შემდეგ გათვალისწინებული იყო მთელი საქართველოს საკითხები, კერძოდ მისი უშიშროებისა და კეთილდღეობის შე-

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты... т. I, с. 402-404; მაჭარაძე ვ., მასალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 915-917.

<sup>2</sup> საზავო პირობების შესახებ. იხ. Дипломатический словарь, т. II, Москва, 1961, с. 163-164.

<sup>3</sup> 23-ე მუხლის რუსული ტექსტი იხ. Цагарели А., Грамоты... т. I, с. 413; მაჭარაძე ვ., მასალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 921.

სახებ და ამის გამო ქართველი მეფეები და მთავრები დარჩებოდნენ რუსეთის ტახტის ქმაყოფილნი. როგორც იმპერატრიცა აცხადებდა, ის სამართლიანად აფასებდა იმ გმირობას, რომელიც ქართველებმა ჩაიდინეს მისი ნების აღსასრულებლად და თავიანთი სამშობლოს სასარგებლოდ<sup>1</sup>.

იმავე რიცხვში სოლომონ მეფისათვის გაგზავნილ სიგელში იმპერატრიცა ვრცლად შეჩერდა ტრაქტატით გათვალისწინებულ იმ საინტერესო საკითხებზე, რომლებიც ოსმალეთს ავალდებულებდა დაუცვა იმერეთის სამეფოს მოსახლეობის სიმშვიდე, არ ეძია შური ომის დროს იმერლების მიერ გაწეული წინააღმდეგობისა და მიუქნებული ზარალისათვის, არ უნდა მოეთხოვა ხარკი, რომელიც ითვალისწინებდა გოგობიჭების მიცემას, არ შევვიწროებინა მათი რელიგიური რწმენა, მონასტრები და ეკლესიები, არ შეეშალა ხელი ძველი ეკლესიების აღდგენისა და ახლების აშენებაში; ოსმალეთის მთავრობა უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ სიმაგრეებით, რომლებიც უძველესი დროიდან იყო მის მფლობელობაში იმერეთში, ხოლო სხვა კონკები და სიმაგრეები დარჩებოდა ქართველთა მფლობელობაში<sup>2</sup>.

რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ომის დასრულებამდე გაეყვანა თავისი ჯარი საქართველოდან. ამან შეაშფოთა ქართველი პოლიტიკოსები რომელთათვისაც ცხადი იყო ის გართულებები, რომლებიც შეიქმნებოდა უმუალო მეზობლებისაგან<sup>3</sup>. ისინი უპერსპექტივო და საშიშ მომავალს აღწერენ იმ წერილებ-

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 409-410; მაჭარაძე ვ., მახალები... ხართული III, ხაჯ. II, გვ. 931-932.

<sup>2</sup> Цагарели А., Грамоты..., т. I, с. 410-411; მაჭარაძე ვ., მახალები... ხართული III, ხაჯ. II, გვ. 922-923.

<sup>3</sup> საქართველოსათვის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგების შესახებ იხ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომად, ტ. V, თბილისი, 2013, გვ. 70-73; მაჭარაძე ვ., მახალები... ხართული III, ხაჯ. II, გვ. 89-94.

ში, რომლებსაც უგზნიდნენ იმპერატრიცას და მის უძალლეს მოხელეებს და არც საყვედურს ერიდებოდნენ. მათი სამართლიანი გაგებით, საქართველოს ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა რუსეთის ბრალი იყო და მას თავისი დანაშაული უნდა გამოქსყიდა ქართული სამეფოების თავის მფარველობაში შეევანით – დიპლომატიურად და დელიკატურად ითხოვდნენ ისინი.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ერეკლე მეფის წერილი, საქართველოში რუსეთის წარმომადგენლის კაპ. ი. ლევოვისადმი (1773 წლის 3 დეკემბერი), რომელსაც ევალებოდა რუგულარულად მოეხსენებინა რუსეთის მთავრობისათვის ადგილზე არსებული ვითარების შესახებ. საყურადღებოა, რომ ერეკლე მეფის წერილი დაწერილია აგრეთვე სოლომონ მეფის სახელითაც.

ერეკლე მეფე წერს: „სრულიად უძალლეს კარხაც ყოვლად უძაბლესად მოვახსენეთ. და ოდესაც ჩემი ძმა (გულისხმობს ანგოზ I კათალიკოსს – ე.მ.) და შვილი მათის იმპერატორების დიდებულების წინაშე რომ წარვაგზავნე, რაც მოსახსენებელი იყო ჩემი, ყოველივე მოვახსენე ჩემს მოწყალეს დიდს კელმწიფეს და ჯერაც არც ერთის საქმის მოწყალებისა რეზოლუცია არა გვბორებია და ამ საქმის გამო ჩვენი ქვეყანა უზესთაესად ოქროების და უამითი უამად ჩემის ქვეყანის კაცთან ყოველსფერში ნაკლებად გარ დარჩომილი, რომ მტრუბმა ძალა უყო<sup>1</sup>.

მეფე წუხს, რომ არ შესწევს ძალა ყველა მტერს – ლეკებსა და ოსმალებს ერთდორულად გაუქმდავდეს. წუხს აგრეთვე იმის გამო, რომ შეიძლება თავისი ქვეყნის „კაცთან“ თავი შეირცხვინოს. და თუ რაიმე დანაშაული ჩაიდინა რუსეთის ხელმწიფის ან ქვეყნის წინაშე ითხოვს მას გადაახდევინოს „და არა თუ ამდენს ქრისტიანეთ ამავე დროს მოწყალებისა და აღდგინებისა თავისი დიდებული კელი არ უბოძოს და ყოველი საქართველო – იმერეთი, ქართლი და

<sup>1</sup> მაჭარაძე კ., მასალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 896.

ქახეთი ამ შეჭირვებას არ მოარჩინოს და ბარბაროზთაგან ამ შეჭირვებისა და მწუხარებისაგან და არ გაანთავისუფლოს“.

ერეკლე მიმართავს ი. ლვოვს, რომ ის თავისი თვალით ხედავს რა გაჭირვებაშია ქვეყანა და მუდამ ანუგეშებს, რომ „უძალლების მათის იმპერატორების დიდებულებისაგან დაგდებული არ იქნებოთ“<sup>1</sup>. ამის იმედს ვინარჩუნებთ, მაგრამ თუ მომავალ ზაფხულამდე ჩვენი მოთხოვნების „რეზოლუცია“ არ გვებოდება და რუსეთიდან ჯარი არ მოგვეშველებაო, მეფეს ძალიან ცუდის მოლოდინი აქვს. ამიტომ ის ი. ლვოვს სთხოვს: „ეს ჩემი წიგნი უმაღლეს კარს წარგზავნოთ და რომელნიც მე და სოლომონ მეფემ გედრებაები ორთავე გამოგიცხადეთ, ისინიც, თუმცა იმედიცა გვაქს, აქამდის იმისი უმაღლეს კარს მოხსენებისა, პირველი საქმენი კიდემაც კვალად მოახსენოთ ჯერისამებრ და განწევებისა... ეგბის ამავ ზამთარს მოწყალების რეზოლუცია გვებოდოს ჩვენის მოხსენებულისა და გედრებისაებრ“<sup>2</sup>.

ვიდრე ი. ლვოვი პეტერბურგს აცნობებდა ქართველი მეფეების თხოვნა-მოთხოვნებს, მანამდე, 31 დეკემბერს რუსეთის სატახტოში ბატონიშვილ ლევანს და კათოლიკოს ანტონს მოახსენეს, რომ იმპერატორიცა სიამოვნებით გაეცნო ერეკლე II-ის თხოვნას რუსეთის მფარველობაში საქართველოს მიღებისა და ჯარის ხელახლა გაგზავნის შესახებ, მაგრამ იმ მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი<sup>3</sup>, დაგმაყოფილება არ შეუძლია.

იმავე რიცხვითაა დათარიღებული ეპატერინე მეორის ანალოგიური შინაარსის წერილი ერეკლე მეორისადმი<sup>3</sup>. მასში

<sup>1</sup> იქვე, გვ. 897.

<sup>2</sup> ცაგარელი A., Грамоты..., I, c. 394-397; მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ხაბვ. II, გვ. 900-902.

<sup>3</sup> ცაგარელი A., Грамоты..., I, c. 397-399; მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ხაბვ. II, გვ. 902-904. იგივე განმარტებებია ნ. პანინის

„დასაბუთებულია“ თანამედროვე პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის ფორმალური კავშირის დამყარების შეუძლებლობა ერგალებს და სოლომონის მიერ გატარებული ანტიოსმალური პოლიტიკის გამო, რადგან რუსეთს თავისი საქმეები ოსმალეთან უკვე მოგვარებული აქვს სამშვიდობო ხელშეკრულებით.

რუსეთის სამხედრო კორპუსის გასცლიდან რამდენიმე წესის შემდეგ ერეკლემ განამტკიცა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, ადადგინა მშვიდობიანი მეზობლობა იმ ქვეყნებთან, რომელთა ინტერესებშიც შედიოდა კვლავ მოძლიერებულ ქართლ-კახეთის სამეფოსთნ ურთიერთობის გაუმჯობესება. ერეკლე ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ოსმალეთთანაც. საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მორჩილებაში წინანდებურად მოაქცია განჯის, ყარაბაღის, ნახტევანისა და ერევნის სახანოები. მაგრამ, როგორც ჩანს მეფეს და მის კარს მოპოვებული სიმშვიდე დროებით მოვლენად მიაჩნდათ და კვლავ ცდილობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას.

სოლომონ მეფემ შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება – დადიანი და გურიელი დაიმორჩილა, ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. იმის გამო, რომ მუდმივი შიში პქონდა ოსმალეთის, ეძიებდა მოკავშირეს სპარსეთსა და რუსეთში, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწია.

„წარმატებას“ მიაღწია ერეკლე II-მ. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა და რუსმა დიპლომატებმა დაახლოებით ათი წლის შემდეგ გააფორმეს მფარველობითი ტრაქტატი, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ როგორც აქმომდე არ შეასრულა ადრე დადებული არც ერთი ხელშეკრულების პირობები, ასევე მოეპყრო კწ. გიორგიესკის ტრაქტატსაც და მიეცა თუ არა შესაძლებლობა, საქართველო გადააქცია თავის კოლონიად. მოგვიანებით იგივე ბედი, იმავე „მოკავშირისაგან“ ეწია იმერეთის სამეფოსაც.

---

წერილი ერეკლესადმი. მაჭარაძე ვ., მახალები... ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 906-907

## დიპლომატი ბარსებან ჰაბეჭავაძე და მიტროზოლიტი პასიონსი

XVIII ს. მეორე ნახევრის და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე იყო გორელი გარსევანიშვილების გვარის წარმომადგენელი, ქართლის მთავარეპისკოპოსი პაისიოსი. იგი, როგორც ირკვევა, პოლიტიკური მოღვაწე იყო, რის შესახებ აქამომდე არაფერი ვიცოდით. მისი მოღვაწეობის ამ მხარის შესასწავლად ზოგიერთ მცირე ინფორმაციას შეიცავს გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა, ქართლის მთავარეპისკოპოს კირილეს მიერ 1766 წლის 26 სექტემბერს მღვდელ პეტრე (შემდეგში ქართლის მთავარეპისკოპოსი პაისიოსი) გარსევანიშვილისათვის მიცემული დეკანოზობის წყალობის განახლების წიგნი, განსაკუთრებით საინტერესოა ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის ელჩის მოსკოვის კარზე, გარსევან ჭავჭავაძის წერილი გამოგზავნილი პაისიოსათვის პეტერბურგიდან. არის დოკუმენტები, რომლებშიც აისახა მთავარეპისკოპოს პაისიოსის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე, კერძოდ, როგორ ცდილობდა იგი დაეცვა თავისი ნათესავი გორელი გარსევანიშვილების უფლებები და ქონება მათი კონკურენტი ძლიერი გვარის – ანანიაშვილების ხელყოფისაგან<sup>1</sup>.

პეტრე ჯერ გორის ოქონის ეკლესიის მღვდელი იყო. შემდეგ კირილე მთავარეპისკოპოსმა გარსევანიშვილების ძველი სიგელების საფუძველზე, პეტრეს დაუმტკიცა გორის დეკანოზობა. საეკლესიო იერარქიაში პეტრეს დაწინაურების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს იმას, რომ იგი გამოირჩეოდა თავისი განათლებით. ვრიად საინტერესოა მთავარეპისკოპოს კირილეს მიერ გაცემული სიგელი, რომელსაც მოვიყვან მთლიანად, რადგან იგი მრავალმხრივ საინტე-

<sup>1</sup> გამისთვალიშვილი ქ., გორის ისტორია, I, მეორე გადამუშავებული და გავრცელილი გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 540-545

რესოა და თანაც ქვეყნდება პირველად. მთავარებისკოპოსი კირილე წერს: „ქ. ნებითა და შეწევნითა მდთისათა. ქართლის მთავარ გაისკოპოსმან კირილებან ესე სამკვიდრო და საბოლოო გამოხადები წიგნი და ნიშანი გიბოძეთ, შენ გარევანის შვილს ძღველს პეტრეს და ლემეტრეს და ძმასა შენს იაკობს, სეიმონს და მომავალთა სახლისა შენისთა, ასე რომე ოდეს სულბრწყინვალეს მეფეთ მეფეს თამარს (გორში – ემ) გორაზე საყდარი აეშენებინა და თავის სახლება ოქონის ხატი იქ დაესვენებინა, და იმისი დეკანოზობა თქვენთვინ ებოძებინა, მასაქეთ მართლ მადიდებელთ მფეთა და წარა პატრიარქთა და ეს სამდვდელოთა მთავარ გაისკოპოსთაგან გორისა და ოქონის საყდრის დეკანოზობა გბოძებოდათ და ძველი სიგლებიც გქონდათ, ჩვენ ასე დაგიმზე კიცეთ და გიბოძეთ გორის დეკანოზობა, რომე არას კაცს შენთან ხელი არავის პქონდეს. ცოტას ხანს თქვენს სახლში პატიოსანნი მღდელი მიცვალებულიყვნენ და სამდვდელო არვინ ყოფილ იყვნენ. და თქვენის ნებით სხვა მღდელი დაგეყენებინათ. მერმე შენ გამოიზარდე და გაგ შინჯეთ მღთის მადლით სწავლა და მეცნიერება გქონდა მოძღვრობა და ყოველი სამდოთ საქმე შეგვძლო. და ამ გალესიაზედ გაკურთხეთ, და მოგეცით გორის დეკანოზობა და გორი სამწყმელთ მკიდრიცა და ეულიცა. ვინც გორში ქართველი იყვნენ სხვა მღდელს ხელი არვისა პქონდეს. თუ შენი ნება არ იყოს სხვა მღდელმა გორში ვერც ვინ მონათლოს, ვერც მკუდარი დამარხოს, ვერც გვირგვინი მკურთხოს, ვერცავინ უწიროს და ვერცავინ აღსარება ათქმევინოს. ამისთვის რომ ამ საყდარზედ ნაკურთხი ხარ და მოძღვრობაც შეგიძლია. თუ ვინმე ამისი წინ აღდგომობა იკადროს და ეს წიგნი შეკრაცხ ჰყოს, ის მღდელი განკვეთილი იყოს და ერის კაცი წყვევასა ქვეშ შეენებული იყოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღართხ, ხელმწიფეთა და გალესის შიგან. ესე ასე გაგითავდეს.

და არაოდებს არ მოგეშალოს არც შენ და არც ვინც შენს რჯახში ძღვდელი გამოვიდება...“<sup>1</sup>.

არ ვიცი როდის ხელდასხეს პაისიოსი მთავარეპისკოპოსად. პირველი დოკუმენტი, რომელიც პაისიოსს სამთავროს მთავარეპისკოპოსად წარმოგვიდგენს, არის მეფე ერეკლე II-ის მიერ მისადმი გაგზავნილი 1782 წლის წერილი<sup>2</sup>. შემდგომი პერიოდის დოკუმენტებში პაისიოსი გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება. ამავე წოდებით ვხედავთ მას და ოგივე კათედრა ეპავა 1801 წელსაც, მაგრამ არაა ცნობილი როდემდის. ამის გარკვევას შევეცდები ქვემოთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ როგორც გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხაშია აღნიშნული, მთავარეპისკოპოს პაისიოს, თავისი დროის განხ-წავლულ მოღვაწეს, ერეკლე II-ის ბრძანებით შეუთხავს 1783 წლის ტრაქტატის პროექტი, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს გაეგზავნა. ნუსხაში ვკითხულობთ: „პაისიოს გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოზი. ამან, ვთარცა თავის დროისა მეცნიერმან, ბრძანებითა მეფისა ირაკლისათა, აღწერა (შესთხა) ტრახტატი, დადგებული ჩდავს წელსა (ვ 1783 ვ.), საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა თვითურაზ მეორის ძიხაგან რუსეთის იმპერატრიცა ეკატინია მეორესათანა, ნებაყოფლობით მიცემასა ზედა საქართველოსასას“<sup>3</sup>. ამგვარი ფაქტის დამადასტურებულ დოკუმენტები მასალას მე არ ვიცნობ და ვერც სპეციალურ ლიტერატურაში მოვიძიე რაიმე მსგავსი ინფორმაცია. ამ საკითხის გარკვევა მით უფრო საინტერესოდ მეჩვენა, რომ, სამწუხაროდ, მკვლევართათვის სართოდ არაფერია ცნობილი, ვინ მონაწილეობდნენ ქართული მხარის მიერ შემუშვებული

<sup>1</sup> გორის ხახლმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, №160.  
შემდეგ ში – გხიება

<sup>2</sup> გხიება, 7601/55.

<sup>3</sup> გხიება, №162

სახელშეკრულებო მუხლების პროექტის შედგენასა და წერიგში მოყვანაში, ან საერთოდ ჩატარდა თუ არა ამგვარი სამუშაო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე.

ვფიქრობ, ის, რაც გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხაშია პაისიოსის მიერ გეორგიესკის ტრაქტატის პროექტის შედგენის შესახებ, უნდა მომდინარეობდეს ერთ-ერთი დოკუმენტის ერთი სიტყვის არასწორი გაგებიდან. ვიდრე დოკუმენტს გავეცნობოდეთ, უნდა ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გაირკვა, რომ ქართველ თავად-აზნაურებს აუცილებელი დოკუმენტებით უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი წარმომავლობა, რაც რუსული ბიუროკრატის პირობებში საკმაოდ რთული იყო და დიდ დროს მოითხოვდა.

იესე გარსევანიშვილმა სპეციალურ კომისიას წარუდგინა 1825 წლის აპრილში გაცემული მოწმობა, რომლიდანაც ჩანდა, რომ როსტომ მეფის დროიდან მის გვარს უკვე ჰქონდათ აზნაურის წოდება. მოწმობაში არ იყო აღნიშნული ვინ შეადგინა იგი. მოწმობა ადასტურებს, რომ იესეს, მის ძმას და ძიძაშვილებს დიდი ხნის წინათ ქართველმა მეფეებმა უბოძეს აზნაურება. იქვე აღნიშნულია იმ მეფეების სახელები და მათ მიერ ბოძებული სიგელები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ისინი იყვნენ აზნაურები და ყმა-მამულის მფლობელები. ამ საინტერესო დოკუმენტში ნათქვამია, რომ იგი „მიუცა ესე გორის უეზდის ნამდვილთა აზნაურთა ძღვდელს იესეს და ძმასა ძიძას სკრინს და ძიძაშვილთა მათთა იოანეს და თეოდოსს გარსევანოვთა მიხევს რომელ იგინი ასწარმოებენ იმა ხაზნაუროს გვარის გარსევანოვთაგან, რომელიც არის ჩაწერილ სიახა<sup>1</sup> შინა ტრახტატისადმი ჩლგ წელსა, იანვრის

<sup>1</sup> ვფიქრობ, გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის შემდგენლების მიერ გაკეთებულ კომენტარში იქნა დაშვებული შეცდომა და ამის გამო გაჩნდა მოსაზრება, რომ პაისიოსი იყო გეორგიესკის ტრაქტატის ტექსტის შემდგენლი. ეს შეცდომა განსაკუთრებით

კო<sup>1</sup> წარდგენითა განსუენებულის მეფის ირაკლისაგან რუსეთისა საიმპერატოროს კარისადმი, და დამტკიცებული განსუენებულის რუსეთის იმპერატორიცასა ეკატერინესგან და არისცა გვარი ესე აზნაურთაგანი, რომელიცა წინათა წელთა შინა წარდგენის გვარ-----ბა<sup>2</sup> თჯის და ღრამატანი მეფის როსტომისა ძმისწული სიმონ პირველისა და ძე დავითისა, დამოწმებული ეკლესიასა ზედა, ქართულსა ქორნიულნა ტლუ<sup>3</sup> და მეორე მეფის გიორგისა ვახტანგ მესამის<sup>4</sup> ძისა, ბოძებულთა ყმისა და მამულისა 1681 წელსა და მასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტი ბოძებული განსუენებულის მეფის ვახტანგისაგან პირველ შესავალ სახოვადოდ გარსევანოვთადმი, ძელთა წარმოებათა გვართა მათთა ქორნიულნა ჩო<sup>5</sup>, რომლითგანაც-----“<sup>6</sup>.

პაისიოსი რომ სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობდა სამეფო კარზე, ამას ადასტურებს გარსევან ჭავჭავაძის მიერ რუსეთიდან პაისიოსისათვის გამოგზავნილი 1801 წლის 29 იანვრის წერილი. საყურადღებოა წერილის თარიღი, რომელზეც ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ მკითხველისათვის გასაგები გახდეს რამდენად საინფორმაციო ვაკუმში ამყოფებდა რუსეთის სამეფო კარი ქართველ პოლიტიკურ

რელიეფურად გამოჩნდა კ. კოჩუაშვილის წერილში. მისი წაკითხვით – „სიასა“ ნაცვლად „სახლსა“, რაც მნიშვნელოვნად ცვლის დოკუმენტის მნიშვნელობას გარსევანიშვილების სასარგებლოდ, თითქოს მათ სახლში გადაიწერა გეორგიევსკის ხელშეკრულების პროექტი. კოჩუაშვილი კ. გეორგიევსკის ტრაქტატი და გორი. გან. „გამარჯვება“, 01. 05. 1982. სინამდვილეში დოკუმენტში არის ის, რაც ზემოთმოყვანილ ამონარიდში წერია – „სიასა“.

<sup>1</sup> 1783 წლის 28 იანვარი

<sup>2</sup> არ იკითხება. საგარაუდოდ უნდა იყოს: გვაროვნულობა.

<sup>3</sup> 1649 წ.

<sup>4</sup> ლაპარაკია ვახტანგ V შაპნავაზზე.

<sup>5</sup> შეცდომა. უნდა იყოს 1708 წელი.

<sup>6</sup> გსიგზ, №7602/876. ბოლო სამი ხაზი არ იკუთხება.

მოღვაწეებსა და დიპლომატებს არა მხოლოდ თბილისში, არამედ იმპერატორის კარზე მივლინებულ საქართველოს წარმომადგენლებსაც კი პეტერბურგში და მათ უმაღავდა თავის გეგმებს საქართველოს მიმართ.

როგორც ცნობილია, 1800 წლის 28 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა, პავლე I-მა (1796-1801) გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე ბრძანა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, მაგრამ მას ამის განხორციელება არ დასცალდა. იგი შეთქმულებმა მოკლეს. მისმა მემკვიდრე ალექსანდრე I-მა (1801-1825) 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი, რომელიც საქართველოში გამოქვეყნდა 1802 წლის 12 აპრილს რუსეთის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში. ამგვარად, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და შეუერთდა რუსეთს.

იმპერიის დედაქალაქში მყოფმა ზემოხსენებულმა ცნობილმა ქართველმა დიპლომატმა გარსევან ჭავჭავაძემ, რომელიც 1783-1801 წლებში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის სრულუფლებიან მინისტრად (ელჩი) პეტერბურგში. მისი წერილიდან ვიგებთ, რომ მან ისიც კი არ იცოდა, რუსეთის იმპერატორს უკვე განახენი ჰქონდა გამოტანილი ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის, რომ იმპერიის შემადგენლობაში სამეფო უნდა შესულიყო გუბერნიის სახით. გ. ჭავჭავაძის წერილის შინაარსი და პათოსი გამორიცხავს ქართველი დიპლომატის მიერ ქართული სამეფო კარისა და ხალხის შეგნებულად, განხრას შეცდომაში შექვანას<sup>1</sup>. ის რომ შემდეგშიც ცდილობდა დაეცვა სამეფო დინასტიისა და სამეფოს ინტერესები, ამაზე შემდეგში ვიტყვი.

<sup>1</sup> Цагарели А. А., *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, вып. II, с 1769 по 1801 год, С.-Петербург, 1902, с. 300-301.*

როდესაც საქართველოში მოვიდა ცნობა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, 1801 წლის 30 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრე დავით გიორგი XII-ის ძე თავად პლატონ ალექსანდრეს ძე ზუბოვს სწერდა: ჩემმა მშობელმა მეფე გიორგიმ იმ განზრახვით კი არ გადასცა თავისი სამეფო დირსსახსოვარ იმპერატორ პავლე პეტრეს ძეს, რომ სამუდამოდ შეწყვეტილიყო მისი სახლის მემკვიდრეობითი მეფობა. ამას მოწმობს მადალი სამინისტროს მიერ ბოლოს გადმოგზავნილი მუხლები, რომლებიც ჩემი მშობლის თხოვნით გადმომიგზავნეს თავადებმა, ავალოვმა და ფალაგანდოვმა. ისინი გადმომცეს მე, როგორც ტახტის მემკვიდრეს, რათა დამემატებინა ის, რაც მას აკლდა. დავამატე 16 პუნქტი. მაგრამ მოსალოდნელი დაკმაყოფილების ნაცვლად, დამტოვეს ჩემი ყოველგვარი წოდებისა და დირების გარეშე<sup>1</sup>.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, პეტერბურგში ქართველმა ელჩებმა – გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელეაზარე ფალაგანდიშვილმა 6 ნოემბერს პროტესტი განუცხადეს რუსეთის მთავრობას, კერძოდ, საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელს, ვიცე-კანცლერ ა. ბ. კურაკინს. ელჩები მოსთქვამებ იმის გამო,

<sup>1</sup> «Родитель мой царь Георгий отнюдь не с таковым намерением подверг царство свое блаженной памяти Государю императору Павлу Петровичу, пресеклось навсегда царствование в доме его по Наследству. Свидетельствуют сему последнеприсланныя от высокого министерства пункты, доставленныя мне и поднесенныя [мне] как Наследнику от князей Авалова и Палавандова, чтобы дополнить то, что в прозьбе Родителя моего не доставало, что я и учинил, прибавя еще шестнадцать пунктов (?), но ныне, вместо чаемаго удовлетворения, оставили меня от всего моего звания и достойнства». Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, выр. II, с 1769 по 1801 год, С.-Петербург, 1902, с. 299-300.

რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი გამოქვენებულია, მანიფესტი შედგენილი და დამტკიცებულია, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით ამის შესახებ, უცხო ხალხმა და ჩვენ ერთოულად გავიგეთ ამის შესახებ. ჩვენ ნაწყენი და უბედურები ვართ. ამ შეერთებით ორივე სამეფოში პატივისცემა და ნდობა დავკარგეთო<sup>1</sup>.

დავუბრუნდეთ გ. ჭავჭავაძის წერილს მთავარეპისკოპოს პაისიოსადმი, რომელიც პირველად ქვექნდება. რუსეთის ხელისუფლების მიერ შეცდომაში შეყვანილი ქართველი ელჩი პაისიოსს საიმედოდ უსახავს სამშობლოს მომავალს იმპერიის მფარველობის ქვეშ. დიპლომატი, წერილის პირველ ნაწილში მდგდელმთავარს ჯერ უდასტურებს მისადმი პატივისცემას, შემდეგ კი იმ სიკეთეზე ესაუბრება, რასაც მოუზანს საქართველოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა: „მათს ყოვლად საძლვდელოებას, უფალს მთავარეპისკოპოზე პაისიოს, მოწყალეს გელმწიფეს მარჯუცნებეს სურვილით ამბორს შეგეადრებ... ვინათვან თხოვნა სანატრელის მეფისა გოორგიისთა ყოვლად უმწყალესობით მაზედ დიდმან მონარხმან ყოველთა თხოვათა და ყოველსა საზოგადოებას ჩვენს და ბეჭინიერებო მფარველობასა და მონებასა თვესა მიღებითა, მოველით მახვილით მტერთაგან განთავისუფლებასა, არამედ უმეტესსა კეთილდღეუბასა მამულისა ჩვენისას<sup>2</sup>. ყოველივე ამის გამო, ქართველი დიპლომატის აზრით, მთავარეპისკოპოსმა პაისიოსმა უნდა დაამშვიდოს გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთთან დაპირისპირებული ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის პრეტენდენტები, რომლებსაც დიპლომატი არ ასახელებს. მათ შორის არსებული უსიამოვნების შესახებ იმპერიის სატახტოშიც კი ყოფილა ცხობილი. გარსევან ჭავჭავაძის აზრით, პაისი-

<sup>1</sup> Цагарели А. А., Грамоты..., т. II, вып. II, с 1769 по 1801 год, с. 300-301

<sup>2</sup> გ ხევგ, №7602/1004

ოსმა უნდა მოახერხოს, რომ არ მოხდეს განხეთქილება სა-  
მეფო ოჯახში: „უკანასკნელი ჭმად მიზეზი გახსენებისა ჩემი  
ესე არს თქვენის ყოვლად სამღვდელოებისადმი, ვინაითგან  
მებმის მცირე განუმზომობა უთიერთსადმი სახლსა მეფეთა  
ჩვენთასა ვთა არს უსარგებლო ჩვეულება საქართველოსი,  
რომელსაც შესაძამად თქვენდა ვრაცხ, რომ მოიღოთ შრომა  
ვთა შვენის სახესა და მდგომარეობას თქვენსა და უკეთუ  
იყოს მცირე რაიმეცა განრემბომობა ეცადნეთ დამშვიდებასა  
სადაცა —<sup>1</sup> შევსაბამებოდეს. მოძრაობა რომ განხეთქილება  
ხალხში არა მოხდესრა და გულსავხე პყოთ რომელიც  
თბილერ მეფობისა და შთებიან არა უმცირესი პატივი და სარ-  
გებლობა ექნებათ, ყველანი მეფედ ხომ ვერ იწოდებიან  
მაგათნი სამეფო არ არის. თქვენც მოგეხსენებათ. და რო-  
დისაც უმაღლესის კარიდაძ (პეტერბურგიდან — გ.მ.)  
წარმოგ ზავნილნი თავადი ავალოვი<sup>2</sup> და თავადი ფალავა-  
ნდოვი<sup>3</sup> მოწევიან მაღლობის წერილებით<sup>4</sup>, მაშინ მათხ იძ-

<sup>1</sup> არ იქითხება.

<sup>2</sup> გიორგი ავალიშვილი (1769-1850), განათლებული (განათლება  
მიიღო რუსეთში), ენების ძირის, მწერალი, მთარგმნელი. მან  
დიდი როლი ითამაშა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების  
საქმეში. 1784-1801 წლებში იყო ქართლ-კახთის სამეფოს წარ-  
მომადგენელი რუსეთის იმპერატორის კარზე. 1819-1820 წლებში გ.  
ავალიშვილმა მოიარა აღმოსავლეთის წმინდა აღილები და  
დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის აღწერილობა. კეკელიძე კ.,  
ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 694-696.

<sup>3</sup> ელიაზარე ფალავანდიშვილი ქართველი ქლჩი რუსეთის იმპერა-  
ტორის კარზე.

<sup>4</sup> გიორგი ავალიშვილსა და ელიაზარე ფალავანდიშვილს საქართ-  
ველოსკენ მოჰქონდათ იმპერატორ პავლეს მიერ 1800 წლის 24 ივ-  
ნისს დამტკიცებული გიორგი XII-ის „საოხოვარი პუნქტები“, რო-  
მელიც არსებითად 1783 წლის ტრაქტატის პირობებს იცავდა. ეს  
ხდება მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებას კავკასიის  
ჯარების სარდალ გენერალ კნორინგისათვის უკვე ნაბრძანები

პერატორობას დიდებულების ბძანებით ერთი მათგანი იწოდება და მეორებს მერწმუნეთ ცარიელს სახელს გარდა ნაკლები სარჩო და პატივი არ ექნებათ. თუმცა კადნიერება არს, მაგრამ მაგ ჩემს პერსონალის მჯახისა და საზოგადოების ერთგულება მაღაპარაკებს. ამაზედ მეტს ნურც თავათ თავს გაუჭირებენ საქმეს, ნურც ქვეყანას, ორნივ შეიწყონ. ამთონი რყევა ეყოფა საწყალობელს საქართველოს, ეგების დმგრომან თქსას მოწყალებით მოხდოს. სხვა რომ არა იყოს რა მთელ ქვეყანაში ----- აღმოჩნდება ჩვენი საზოგადოება. ნუ გამიწყრებით ყოვლად სამღვდელო მეუფეთ ----- თავის დიდებისა და ქვეების სასარგებლოდ კადნიერად სიტყვის თქმის ვალი გაქუსთ თქვენცა და ვინც თქვენი სამწყმბონი თავადნი და დიდად შემძლენი ბრძანდებიან. თქვენის ყოვლად სამღვდელოების მდაბალი მოსამსახურე და მსახოებელი გარსევან ჭავჭავაძე<sup>1</sup>.

ქართველ დიპლომატს მიაჩნდა, რომ მიტროპოლიტი პაისიონი ის პიროვნება იყო, რომლსაც სახელი და მდგომარეობა ავალდებულებდა გაეწია შრომა ქვეყნის დამშვიდებისათვის, რათა სასახლეში ჩამოვარდნილი უთანხმოება ხალხსაც არ გადასდებოდა. გარსევან ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონების მონარქია შენარჩუნებული იქნებოდა, მაგრამ არ იცოდა კონკრეტულად ვინ დაიკავებდა ტახტს. პრტეტენდენტები ერთმანეთთან კინკლაობით ქვეყანას ძლიერ აზარალებდნენ. მას ერთი რამ უნდა: ისე არ გამოსულიყო, რომ სამეფო ტახტის-კენ მომზირალებს თავიანთი თავიც დაქარალებინათ და

---

ჰქონდა, რომ გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლება უნდა გაუქმებულიყო. დუმბაძე მ, ქართლ-კახოის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 812.

<sup>1</sup> გ სიებ, №7602/1004.

ქვეყანაც. მისი სიტყვებია „ამთონი რყევა უყოფა ხაწყალობელს ხაქართველოს“.

წერილის დასასრულს გ. ჭავჭავაძე მიმართავდა პაისოს, რომ პირადად მისი და მისი სამწყმსოს ძლიერი თავადების ვალდებულება იყო ეთქვათ გაბედული სიტყვა ქვეყნის სასიკეთოდ<sup>1</sup>.

არ ვიცი გარსევან ჭავჭავაძის წერილმა როგორ იმოქმედა პაისოსზე, რა დონისძიება გაატარა ბატონიშვილების – იულონისა და დავითის და მათ ზურგს უკან მდგომი პარტიების ერთმანეთთან შესარიგებლად. ისინი არა მხოლოდ ტახტისათვის ეცილებოდნენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის საგარეო-პოლიტიკურ ზრახვებსაც არ იზიარებდნენ და კურსის შეცვლისთვისაც ებრძოდნენ ერთმანეთს<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ვხიგვ, №7602/1004.

<sup>2</sup> როგორც მაშინდედი მიმოწერიდან ირკვევა და ზემოთაც ითქვა, გარსევან ჭავჭავაძე უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მის საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებდნენ, როგორც ქართველები, ისე რუსები. ქართველები ფიქრობდნენ, რომ ელჩმა უდალატა სამეფო დიანასტიისა და საქართველოს, რუსების აზრით კი გარსევანი ქართველობას მეფის ხელისუფლების აღდგენისა და იმპერიის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილობლობისკენ მოუწოდებდა. გარსევანის კომპრომეტირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს მართებელმა პეტრე ივანეს ძე კოვალენსკიმ, რომლის ამგვარი საქმიანობის ამსახველი მასალა გამოქვეყნდა „აქტების“ II ტომში. კოვალენსკი გ. ჭავჭავაძეს იმიტომ გადაეკიდა, რომ ამ უკანასკნელმა ზრდილობიანად მოქცევისკენ მოუწოდა მეფე-დედოფალთან ვიზიტების დროს. გ. ჭავჭავაძის სიმართლე დააღინა პ. ციციანოვმა და პ. კოვალენსკი მისი უდირსი საქციელისათვის საქართველოდან გააძევა. შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ გ. ჭავჭავაძე ბაგრატიონთა დინასტიის და საქართველოს ერთგული იყო. ი. ცეიტის შემთხვევაში ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1982, გვ. 159-177.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დამწუხოვდეს ქართველი ელჩების გულის მოგების მიზნით რუსეთის ხელმწიფის კურთხევასთან დაკავშირებით, ისინი დააჯილდოვეს: გარსევან ჭავჭავაძეს „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“, ხოლო გიორგი ავალიანს და ელიაზარ ფალავანდოვს „სტატსკი სოვეტნიკის“ წოდებები უბოძეს<sup>1</sup>.

იმავე წლის მარტში გარსევანს გადასცეს მანიფესტის ტექსტი. აღმფოთებულმა გარსევან ჭავჭავაძემ თავის მეუღლეს მარიამ ჭავჭავაძეს გაუგზავნა წერილები, რომლებიც დაწერილი იყო ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ახლო პერიოდში გამოცემული მანიფესტის გამო. თავადის მეუღლემ თავის სახლში მიიწვია ცნობილი თავადები: ივანე ორბელიანი, ხოლომონ თარხანოვი, დარჩია და იოსებ ბებუთოვები და ეგნატე თუმანოვი. შემდეგში სოლომონ თარხანოვმა და ივანე ორბელიანმა წერილობით მოახსენეს პ. ციციანოვს, ის რაც მათ გარსევანის წერილებიდან ამოკითხეს. გარსევანი წერდა: „დავალებები, რომლებიც მქონდა მევე გიორგისან ხელმწიფებულის მასაგვარებლად, კერც ერთი კერ ასრულდა; სამეფო გაანადგურეს, ქვეშევრდომადაც

---

საქმე იქამდე მიყიდა, რომ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა თავის 1803 წლის 31 მარტის რესერიპტში (წყალობის წერილი) პ. ციციანოვს დავალა: «Кн. Гарсевану Чавчавадзе изъявите сожаление *Мое о случившихся с ним неприятностях и уверте его, что Я в верности его никогда сомнения не имел.* Акты, II, с. 29, №32. იმავე დღეს იმპერატორი გენერალ შეპელევს უბრძანებდა, რომ აიძულოს პ. კოვალენსკი გეორგიევსკიდან თბილისში დაბრუნდეს და ციციანოვს ანგარიში ჩააბაროს თანამდებობაზე ყოფნის დროს გაწეული სამუშაოს შესახებ. Акты, II, с. 29, №34; იმავე დღეს პ. კოვალენსკის საქმეში ჩაერთო შინაგან საქმეთა მინისტრი. Акты, II, с. 29-30, №35 და ა. შ.

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგისძისა და მიხეილისა, გ. ჯანაშვილის გამოცემა, თვილისი, 1905, გვ. 97.

კი არ მიგვიღებ; არც ერთი ხალხი ისე არ დაძირებულა, როგორც საქართველოს [ხალხი]. გიგ ზავნით მანიფესტის პირს და პრძანებებს, რომდებიდანაც შეიტყობოთ ჩემი წერილის ხისწორებს; კიდევ გაქვთ დრო, რათა საზოგადოებამ გამოგ ზავნოს [პეტერბურგ ში] ერთი წერილი ჩვენი ძღვომარჯობის შესახებ და მოითხოვთ, რომ გვყავდეს მეფე და ვიუვით მფარველობის ქვეშ; იცოდეთ თუ მოითხოვთ მეფეს, მოგვცემენ. თუ უფლებამოხილებას მე არ მანდობთ, მაშინ გამოგ ზავნეთ რომელიმე თქვენგანი, მას და მე მოგვცით სრული თავისუფლება და ჩვენ შევცდებით ამ საქმის აღსრულებას. შეგიძლიათ არ დაემორჩილოთ აქედან გამოგ ზავნილ პრძანებებს<sup>1</sup>. როგორც ჩანს, გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის თავადებს (საზოგადოებას) რუსი მოხელეებისადმი დაუმორჩილებლობისა და მონარქიის შენარჩუნებისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ყოველ შემთხვევაში, სოლომონ თარხანოვის წერილობითი ჩვენებიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

1802 წლის ოქტომბერში გარსევან ჭავჭავაძე საქართველოში დაბრუნდა. როგორც ითქვა, რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი „ერთგული“ ზოგიერთი ქართველი ეჭვის თვალით უკურგებდა სამშობლოში დაბრუნებულ გარსევან ჭავჭავაძეს. მოვიყვან მის ერთ საინტერესო წერილს, რომლის ადრესატი პ. ციციანოვი იყო:

„თქვენმა პრეცინგვალებამ დამიბარეთ და იხებეთ ჩემთვის გქჩენებინათ თავადების – ივანე თრბელიანისა და სოლომონ თარხანოვის წერილები. ჩემ წერილთან დაკავშირებით მათ წერილებში არის ისეთი ზოგიერთი ჩვენება რომელიც წარმოადგენს სრულიად საწინააღმდეგოს ჩემი სახმენელისა და განხრახვისა. ამიტომ თქვენს პრეცინგვალებას მოვახსენებ, რომ ჩვენი ყოვლადმოწყალე ხელმწიფის კურთხევის (1801 წ. 24 მარტი – ე.მ.) შემდეგ პირველმა მინისტრმა თავადმა აღუქ სანდორ ბორისის ძე კურაკინმა თავისთან დაგვიბარა მე,

<sup>1</sup> Акты, II, c. 304, №597.

ელეაზარ ფალავანდიშვილი და თავადები, რომლებიც მაშინ იქ [პეტერბურგში] იმყოფებოდნენ: გიორგი ერისტოვი, ოთარ ქობულოვი და აბესალომ ძებუტოვი. როცა მიკლიოთ, მასთან იმყოფებოდა უოფილი [საქართველოს] მმართველი პეტრე ივანეს ძე კოფალენსკი და ერთ-ერთი საგარეო საქმეთა კოლეგიის ობერ-სეკრეტარი. თავადმა კურაკინმა გადმოგაცა ახლადგამოცემული მანიფესტი და [მასზე დართული] შტატები და სიტყვიერად განგვიცხადა, „რომ უოვლადმოწყალე ხელმწიფოვებ საქართველო მთლიან მფარველობაში და არა ქვეშვრდომიბაში“. დავრწმუნდი რა რუსეთის უმაღლესი კარის დიდი მინისტრის ასეთი სიტყვებით, აქაურ [საქართველოს] საზოგადოებას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეფიცა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის ქვეშვრდომიბაზე, მე, როგორც დესპანმა აქ გამოვგ ზავნე მისი ბრწყინვალების მიერ ჩემთვის გადმოცემული მანიფესტი და შტატები იმიტომ კი არა, რომ მისგან დაგესკრაო რაიმე შეუფერებელი და მისი [იმპერატორის] უმაღლესი ნების საწიმადმდევო, არამედ შეცხოვთ თავიანთი მდგომარეობა. რაც შემეხება მე, დაფიცებულს [იმპერატორის] ერთგულებაზე, თქვენო ბრწყინვალებავ გადაეციოთ თქვენს მონაცელებსაც, რომ მე მომავალ შიც კიქები ერთგული ჩემი სამხახურის...“<sup>1</sup>.

დავუბრუნდეთ გარსევან ჭავჭავაძის წერილს მიტროპოლიტ პაისიონისისადმი. როგორც დავინახეთ დიპლომატი ბევრს ცდილობდა იმპერატორის კარზე პირნათლად აღესრულებინა თავისი მოვალეობა, მაგრამ მუდმივ წინააღმდეგობას და ტყუილს აწყდებოდა. მას არც სამშობლოდან ჰქონდა მხარდაჭერა. ასეთ ვითარებაში ის დახმარებას თხოვს პაისიოსს, რათა მან შეარიგოს და მოარიგოს ერთმანეთთან დაპირისპირებული სამეცო ოჯახის წერები.

საინტერესოა, გარსევან ჭავჭავაძემ რატომ მიმართა მიტროპოლიტ პაისიონს და არა კათალიკოს-პატრიარქ ანგონ II-ს? პასუხი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ ხდებოდა კათალიკოს-

<sup>1</sup> Акты, II, с. 1049, №2058.

პატრიარქის იგნორირება ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, რისი ინიციატორები არიან რუსი მოხელეები და მათ პოზიციას იზიარებენ საქართველოს ეკლესიის იერარქები და პოლიტიკური ელიტა.

მოგიყვან ერთ საყურადღებო ისტორიულ მაგალითს: 1802 წლის 29 აპრილს ქართველმა მღვდელმთავრებმა წერილი-პეტიცია გაუგზავნეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს სამღვდელოების იმ პირობებში ჩაყენებას, როგორშიც იმყოფებოდნენ რუსი სამღვდელონი. იმავე პეტიციაში იყო მოთხოვნა არ დაებრუნებინათ კათოლიკებისათვის თვიმურაზ Ⅱ-ისა და ერეკლე Ⅱ-ის მიერ ჩამორთმეული ეკლესიები. პეტიციას ხელს აწერს 13 მღვდელმთავრი, მაგრამ მათ შორის არ არის კათალიკოს-პატრიარქ ანტონ Ⅱ-ის ხელმოწერა<sup>1</sup>. ეს გარემოება გამოწვეული უნდა ყოფილიყო კათალიკოს-პატრიარქის ხელისუფლებასთან დაპირისპირებით<sup>2</sup>, ან იმავე ხელისუფლების მიერ მისი იგნორირებით. მას არ დაუფასეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ანტონ Ⅱ კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და მის ხელქვეთ მყოფი ყველა ეპარქიის მცხოვრები რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა და მანიფესტის გამო მეფის სახლობაში გაჩენილი უქმაყოფილებისა და ზოგიერთი ბატონიშვილის მიერ ტახტის დაკავების მცდელობის აღმენის ცდილობდა. კათალიკოსი მათ ურჩევდა მშვიდობინად ეცხოვრათ და რუსი ხელმწიფისათვის მადლობა მოეხსენებინათ, რადგან მან ინგბა საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ

<sup>1</sup> ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ქ, ვინ იყვნენ XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოს კათოლიკები? // კადმოსი. პეტანიტარულ კლემათა უკრნალი, 6, თბილისი, 2014, გვ. 385-386.

<sup>2</sup> ანტონ Ⅱ-ის კნორინგთან და ციციანოვთან დაპირისპირების შესახებ იხ. ბერძნიშვილი ქ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980.

მიღება. მიუხედავად ამისა რუსეთის მთავრობა მას მაინც ეჭვის თვალით უფრებდა, რადგან მიაჩნდა, რომ კათალიკოსი მხარს უქერდა მონარქიის აღდგენას აღმოსავლეთ საქართველოში<sup>1</sup>.

პეტიციაზე არ არის აგრეთვე პაისოსის ხელმოწერა. იგი უპყვე არ არის სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი, მის მაგიერ პეტიციას პირველი ადასტურებს „მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე“. ერთი რამ ცხადია, პაისოსი ცოცხალია. მაშ რა მოხდა, რატომ ჩამოაცილეს იგი თავის ეპარქიას? მგონია პაისოსის ბრალი მდგომარეობდა იმაში, რომ გარსევან ჭავჭავაძის თანამოაზრედ მიაჩნდათ და ალბათ ეს ასეც იყო. პაისოსის მცდელობას შეერიგებინა ბატონიშვილები, რაც საწინდარი იქნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დამშვიდებისა, რა თქმა უნდა, არ შედიოდა იმპერიის ინტერესებში. შერიგებული ბატონიშვილები და მათი მომხრები არა მხოლოდ დიდ პოლიტიკურ ძალად გადაიქცევიდნენ, მათ ხელში აღმოჩნდებოდა საქმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, შესძლებდა დაპირისპირებოდა რუსეთის შეზღუდულ სამხედრო კონტიგენტს. ამიტომ რუსი მოხელეები და მათი დამქაშები მიმართავდნენ ბატონიშვილებისა და მათი მომხრების დისკრედიტიაციას, რაც პირველ რიგში ცილისწამლებრული ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატებოდა. კნორინგმა როცა 1802 წლის 12 აპრილს თბილისში მანიფესტი გამოაცხადა, მას დედოფლებმა დარეჯანმა და მარიამმა პკითხეს, რატომ მოხდა სამეფოს გაუქმება, კნორინგმა ყოველივე საიდუმლო მრჩეველს სერგეი ლაზარეს ჟე ლაშქაროვსა (ბიბილური) და გარსევან ჭავჭავაძეს დააბრალა, რომლებიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდნენ. თითქოს გარსევანმა საქართველო რუსეთს გადასცა და ჯოლდოდ 1 ათასი ოქრო მიიღო<sup>2</sup> და სხვ.

<sup>1</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009, გვ. 1092.

<sup>2</sup> ცხრიშვილი ზ, გარსევან ჭავჭავაძის სახლმწიფოუნივერსიტეტი მოღვაწეობა, გვ. 167.

არსებული მასალები არ იძლევა საშუალებას ზუსტად ითქვას რამდენად მონაწილეობდა პაისიოსი ქართული მხარის მიერ ტრაქტატის მუხლების პროგრესის შემუშავებაში, რასაც გვაუწყებს გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის „სხოლიონი“. მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მისი გვარის წარმომადგენელებმა შეადგინეს იმ აზნაურთა სია, რომელიც დაერთო მეცხრე არტიკულის (მუხლის) დამატებას და დაამტკიცა ეკატერინე II-მ<sup>1</sup>. სავარაუდოა, პაისიოსი ხელმძღვანელობდა დასახელებული სიის შედგენას, რომლითაც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა უფლებებით უთანაბრდებოდა რუსეთის იმპერიის იმავე სოციალურ ფენას.

აღინიშნა, რომ 1801 წლის სიგელში პაისიოსი იწოდება გორის მთავარეპისკოპოსად, მაგრამ შემდეგ, 1802 წელს სამთავროს, გორისა და წილკანის „მდაბალი მიტროპოლიტი“ არის იოანე. იგი პირველია იმ მდგველმთავრებ შორის, რომლებმაც აღნიშნულ წელს პეტიცია გაუგზავნეს იმპერატორ ალექსანდრე პირველს პეტერბურგში. ის პირველი ადასტურებს წერილს, რაც მაშინდელი აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო იერარქებს შორის მის გამორჩეულ მდგომარეობაზე მიანიშნებს. დგება კითხვა: რა იქნა მიტროპოლიტი პაისიოსი, რა დაემართა მას. ვფიქრობ, პაისიოსი, რადგან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო XVIII-XIX საუკუნეება მიჯნის ქართლ-კახეთის სამეფოსი, დასაშებია ის აქტიურად მონაწილეობდა და თავის პოზიციას დაუფარავად გამოხატავდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის შენარჩუნებისათვის, იგი თანამოაზრე იყო გარსევან ჭავჭავაძისა, რის გამოც რუსული მართველობის შემოღების მომხრეები უარყოფითად იყვნენ განწყობილი ქართველი დიპლომატის მიმართ, იმპერიის წარმომადგენლებიც მას მიჩნევდნენ არასაიმედო პოლიტიკურ და საეკლესიო მოღვაწედ. სავარაუდოა, ის გადაეცენეს სამთავროსა და გორის ეპარქიასთან წილკანის ეპარქიის შეერთების

<sup>1</sup> გხიგმე, №7602/433.

მოტივით და გაერთიანებული ეპარქიის ხელმძღვანელი გახდა მიტროპოლიტი იოანე. ამ დროს პაისიოსი გარდაცვლილი რომ ყოფილიყო მაშინ, საეჭვოა, დღის წესრიგში დამდგარი-კო დასახელებული ეპარქიების გაერთიანება.

სავარაუდოა მიტროპოლიტი პაისიოსი გარდაიცვალა XIX ს. 20-იან წლებში. ამ ვარაუდს აჩვნა ის გარემოება, რომ ის ვინც მიცვალებულ პაისიოს უპატრონა, იყო იქვე გარსევა-ნიშვილი, ამ დროისათვის უკვე მდგვდელი.

მთავარებისკოპოს პაისიოსზე საუბარს დავასრულებ გარ-სევანიშვილების საგვარეულო ნუსხაში მოცემულ მისი გარ-დაცვალება-დაკრძალვის შესახებ ინფორმაციის გადმოცემით. პაისიოსის დასაფლავების ადგილი იმითაც არის საინტერესო, რომ გორის ის დვიოსმშობლის ტაძარი, დღეისათვის აღარ არსებობს. აგრეთვე ვიგებთ ზოგიერთი იქ დაკრძალული პიროვნების შესახებ: „ამას (პაისიოს – ემ) ეწოდებოდა ძლვდე-ლობაში აუტრე და ოდეს გარდაიცვალა ქალაქსა ტფილისს, მუ-ნით მოსვენებული იქნე ძლვდლისაგან იაკობის ძისა, დასაფ-ლავებულ-იქნა ოქონის გადეხიის დერეფანსა შინა (სტოვასა შინა), მუნ ხადაცა აწ არს ფანჯარა ხისა, რომლიდამაცა მხედვები მიიღებენ შინა გაკლეხიდამ, მნათისაგან სანთულება, მახლობლად ძმისა თჯისისა სვიმონისა და რძლისა მათისა, იაკობ დეკანოზისა და ძმისა მათისაგვე მეუღლის (ანნასი) ხანფერვანისა, რომელიც არს დასაფლავებული მარჯვნივ სევებისა – დერეფანში, აღელაუგებრუანთ სახლისა კედლისა ახლორე; ხოლო ქმარი მისი დეკანოზი იაკობ, მამა იქნე ძლვდლისა და პაპა აღექსანდრეები არის დასაფლავებული გორისა და მოსისმთხელში, მუა აღაბეჭელ<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> გნიგგ, №162.

## პიმლიობრაჟია

აბაშიძე ლ., კათოლიკე და მართლმადიდებელი. პასუხი ზურაბ კიკნაძეს და მერაბ დაღანიძეს. დიალოგი. აღმოსავლურ დასავლური ქრისტიანული უცრნალი, №2(3), თბილისი, 2005

აბრამ ერევანცი, ომების ისტორია / ძველი სომხური-დან თარგმნა, შესავლით და კომენტარით გამოსცა ლ. დავ-ლიანიძემ, თბილისი, 1976

აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973

აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოვაშვილი – ნიკიფორე ირბახი (XVII ს.), თბილისი, 1977, გვ. 45.

ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოსი ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი, 1969

ალიმბარაშვილი ი., დომენტი IV ქათალიკოსი // სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015

ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიდან // ექვთიმე თაყაიშვილის სახელმისამართის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015

ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია // მნათობი, 1939, №8, გვ. 136.

ამირანაშვილი ს., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განხეულობა და მის დაბრუნება

ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა, დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა // ქართული მწერლობა, ტ. VII, თბილისი, 1989, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა. გამო-

საცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი  
დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1980

ასათიანი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-  
1675) // საქართველო და აღმოსავლეთი. ეძღვნება საქართვე-  
ლოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა  
მესხიას ხსოვნას, თბილისი, 1981

ახალაძე ნ., ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქარ-  
თველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1990

ბარამიძე ა., შოთა რუსთაველი. მონორაფიული ნარკვე-  
ვი, თბ., 1958

ბარამიძე ა., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959

ბარამიძე ა., ბესარიონ გაბაშვილი // ბესიკი, თხზულება-  
ნი, თბილისი, 1962

ბერიძე ვ., XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო  
ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994

ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახ-  
ევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბი-  
ლისი, 1980.

ბერძნიშვილი ნ., XVII ს. საქართველოს ისტორიიდან //  
საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965

ბერძნიშვილი ნ., ვახუშტის ბიოგრაფიისათვის. საქართ-  
ველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1967

გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან  
(საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.)  
// მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,  
ნაკვ. 31, თბილისი, 1954

გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-  
XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი,  
1958

გაბაშვილი ვ., სულხან-საბა ორბელიანი როგორც დი-  
პლომატი // სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო  
კრებული, თბილისი, 1959

გაბაშვილი გ., სულხან-საბა თრბელიანი, 1658-1958 // საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959

გაბაშვილი გ., იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, 116, თბილისი, 1965;

გაბაშვილი გ., XVI-XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის საგაჭრო ურთიერთობათა შუქჩე // ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966

გელეიშვილი პ., XVIII ს-ის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. ალ. ამილახორი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, ტფილისი, 1936

გვრიტიშვილი დ., ფერდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები) თბილისი, 1955

გვრიტიშვილი დ., საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დამლევამდე // ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბილისი, 1965

გივი ამილახვარის გაქცევა ქ. ტფილისიდგან ალ. ჯამბორებელიანისა // სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბილისი, 1914, გვ. 66-70.

გოგოლაური რ., ჩრდილო კავკასია-სამცხე-ჯავახეთის ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII საუკუნეში, ახალციხე-თბილისი, 2016

გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, №160, 162, 7601/55, 7602/876, 7602/1004

გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. გ. VII, თბილისი, 1984

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთოშ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1962, გვ. 176.

დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1964

დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ / ფრანგული-დან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები ჯუმბერ ოდიშელისა, თბილისი, 1985

დონიჯო კარლი, თბილისის აღწერა // მასალები საქართველოს და კაგასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951

დოკუმენტები XVI-XIX სს. თბილისის ისტორიისათვის, შეკრებილი ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძნიშვილის მიერ, I, თბილისი, 1962

დონდუა ვ., დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. საისტორიო ძიებანი, III, თბილისი, 1985

დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745 // საისტორიო ძიებანი, I, თბილისი, 1967

დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ / ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976.

დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბილისი, 1977

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე / XVII საუკუნის იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1964

დუმბაძე მ., ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973

„დროება“, 1876, №43

ეპროპული კვლევები, II, გვ. 34.

ესაი ჰასან ჯალალიანცი, ალგანთა ქვეყნის მოკლე ისტორია / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაუროო კარლო კუციამ, თბილისი, 1971

ვათეიშვილი ჭ., ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. ქართველი დესპანი ესპანეთში XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევს. გაზ. “კომუნისტი“, 1983, №175.

ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზე, თბ.ილისი, 1983

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკებისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 14-17.

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჭ. ოდიშელმა, თბილისი, 1995.

თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარპყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა), თბილისი, 2008

თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუბუნეში (თარგმანი ლათინურიდან) // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. II, თბილისი, 1995

თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუბუნეში (თარგმანი ლათინურიდან) // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. IV-V, თბილისი, 1998

თარხნიშვილი მ., ქრისტიანობა საქართველოში // წერილები, თბ. 1994

თაყაიშვილი ე., რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში // ძველი საქართველო, II, განკ. III, თბილისი, 1913

იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი // ა. იოსელიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბილისი, 1950

იუსე ტლაშვაძე, ბაქარიანი / გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1962

იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა“ („კალმასობა“) / ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა და ცოტნე კიკიძემ, II, თბილისი, 1991

ისარლოვი ლ. „კათოლიკები საქართველოსი, თვითისი, 1898

კაპაბაძე ს., ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილესათვის. „ქართული მწერლობა“, 1929, №8-9.

კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსი და მღვდელმთავარნი, ტფილისი, 1900

კაპანაძე მ., ქრისტიანობისა და ეკლესიისადმი როსტომ ხანის დამოკიდებულების საკითხისათვის // კავკასია და აღმოსავლეთი, თბილისი, 2007

კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II, ტფილისი, 1913

კარტაშვილი ა., ეკლესიათა ერთობა ისტორიის გადმოსახედიდან. ეკლესიის საზღვრები, თბილისი, 2000

კასრაძე ტ., რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1947

კაციტაძე დ., XVI-XVII საუკუნეთა ირანული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის // კავკასიურახლოდმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962

კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.), თბილისი, 1990

კაჭარავა დ., ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970

კეპელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960

კეპელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958

კიკნაძე ზ., კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე. პასუხი მერაბ დაღანიძეს // „დიალოგი“. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი, №1 (2), თბილისი, 2005

კოჩუშვილი პ., გეორგიევსკის ტრაქტატი და გორი. გაზ. „გამარჯვება“, 01. 05. 1982

კუპატაძე ბ., უპრიციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიაში (კათალიკოსი დომენიქი IV) // ქართული დიპლომატია, წელიწეული, 4, თბილისი, 1999

კუცია პ., ნადირ-შაჰი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბილისი, 2002

ლენგი დევიდ მ., საქართველოს საფრანგეთის ურთიერთობა ვახტანგ VI-ის (1711-24 წწ.) დროს, დაბეჭდილი „სამეფსაზი საზოგადოების ჟურნალ აზიატიკში“, ნაწ. 3 და 4 1950 წ. ოქტომბერი, (114-126)

ლეონიძე გ., გამოკვლევები და წერილები, თბილისი, 1959

ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი // სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყებანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959

ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 2004

ლიჩინი პატრიცია ანა, კრისტოფორო კახტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, 2009.

ლოდაშვილი ივ., სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ და „სამოთხის კარი“ // სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959

ლომსაძე შ., მიქელ თამარაშვილი, თბილისი, 1964

ლორთქიფანიძე მ., „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის // თსუ შრომები, 328, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი, 1999

ლუი კოკე, გენერალური შტაბის გადამდგარი პოლკოვნიკი: საქართველოს ელჩობა საფრანგეთში დიდ საუცუნეში, 1713-1714 წწ. სულხან-საბა ორბელიანი ლუი XIV-სთან // საქართველოს ევრპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. საქართველოს ურთოიერთობა ევროპისა და ამერიკის ქავენებთან, ტ. III, თბილისი, 1996

ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბადუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991

მაედა ჰიროტაკე, როსტომ ხან სააკაძე და მისი ოჯახი // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, 2005

მაედა ჰიროტაკე, ქართველები ირანში. ლულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა, თბილისი, 2008

მაისურაძე ი., ისტორიკოსი მიქელ თამარაშვილი, „მნათობი“, თბილისი, 1958, №7,

მამისოვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998

მამისოვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008

მამისოვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVII სს.), თბილისი, 2009

მამისოვალიშვილი ე., ქართული და ანტიოქიის ეკლესიების ისტორიიდან. „ისტორიანი“, როინ მეტრეველისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2009

მამისოვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, გვ. 244.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014

მამისთვალიშვილი ე., ვინ იყვნენ XVII-XVIII საუკუნეება საქართველოს კათოლიკები? // კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 6, თბილისი, 2014

მამისთვალიშვილი ე., ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №14, თბილისი, 2016,

მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2018

მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატიოარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955

მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგისძისა და მისი ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თფილისი, 1905

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) / მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1955

მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I (რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო), თბილისი, 1988

მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I (რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო), ნაწ. III, ნაკვ. II, თბილისი, 1997

მეგრელაძე დ., მასალაბი საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი) // მასალები

საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბილისი, 1963

მენაბდე ლ., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953

მერაბიშვილი გ., ვატიკანთან ერეპლე II-ისა და სოლომონ I-ის ურთიერთობის ისტორიიდან // ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, III, თბილისი, 1983

მესხი თ., იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი და საქართველო // გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №15, 2017

მესხი თ., იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი (1707-1731) და საქართველო // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №15, თბილისი, 2018

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009

ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტონამდე, თბილისი, 1978

ნიკოლას ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო. თარგმნა და კომენტარები არჩილ და ნინო ჯავახაძეებისა, თბილისი, 2013, გვ. 256.

პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბილისი, 1960

პაიჭაძე გ., კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში (1724-1725 წლები // საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტინი №1 (9), თბილისი, 1963

პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658) // „საისტორიო მოამბე“, 19-20, თბილისი, 1965

პაიჭაძე გ., რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურ-  
თიერთობის ისტორიისათვის XVII საუკუნის მეორე ნახ-  
ევარში // „საისტორიო მოამბე“, ტ. 27-28

პაიჭაძე გ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი  
რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში // ნარკვევები  
საქართველოს ისტორიიდან, IV, თბილისი, 1973

პაიჭაძე გ., ვახტანგ VI, თბილისი, 1981

პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურ-  
თიერთობაზე (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი,  
1992,

პაპაშვილი მ., როდის იყო განზრახული სულხან-საბა  
ორბელიანის ელჩობა დასავლეთში. „საისტორიო ვერტიკალე-  
ბი“, №18, 2009

პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურ-  
თიერთობაზე (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილი-  
სი, 1992

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX  
სს., თბილისი, 1995

პაპაშვილი მ., დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან  
ერთად დავით მეგრელის დიპლომატიკური მისიით გაგზავნის  
შესახებ. // საქართველო-ევროპა-ამერიკა, 1, თბილისი, 1997

პაპაშვილი მ., კავკასიაში კათოლიკობის გავრცელების  
საკითხი საფრანგეთის სამეფო კარზე ს. ს. ორბელიანის დიპ-  
ლომატიკურ მოღაპარაკებებში // ჟურნ. „საქართველო“, 1-2,  
თბილისი, 1999

პაპაშვილი მ., მადმუაზელ მარი პეტი ლუ XIV-ის თვი-  
თმარქვია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველოში //  
თსუ ზუგდიდის ფილიალი, შრომები, I, თბილისი, 2002

პაპაშვილი მ., მადმუაზელ მარი პეტი ლუ XIV-ის თვი-  
თმარქვია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველოში //  
თსუ ზუგდიდის ფილიალი, შრომები, I, თბილისი, 2002

პაპაშვილი მ., რატომ გახდა სულხან-საბა ორბელიანი  
კათოლიკე? // ჟურნ. „საბა“, 7, თბილისი, 2003

პაპაშვილი მ., რა მიზნით მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა? // ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი მოძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი, 2003,

პაპაშვილი მ., კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, №18, თბილისი, 2009

პაპაშვილი მ., ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში XVIII საუკუნეში // საისტორიო ვერტიკალები, დამატება, თბილისი, №18, 2009

პაპაშვილი მ., გამეზარდაშვილი ზ., ერთი უცნობი წერო საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები) // ელდარ მამისოვალიშვილი – 75, თბილისი, 2015

პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი / ტექსტი დააღინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981

პატრი ჯულიო ბონავენტურას რომში გაგზავნილი მოხსენება. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 373-375.

აქტოზოდი პ., ქრისტიანობის ლექსიკონი // სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2011

შუეუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის // ქართული სამეცნ-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970

საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I // შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბაღუამ, თბილისი, 1975

საიონე გ., მასალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII საუკუნის 50-იანი წლები) // „ქართული დიპლიმატია“, წელიწერი, 5, თბილისი, 1998

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გამომცემელი მუმინ იღდიზთაში, მთარგმნელები – გელა და ირაკლი აღთმელაძე, სტამბოლი, 2012

საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX ს. / ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ იოსელიანმა, თბილისი, 1980

საქართველოს მისიონის ვიცე-პრეფექტის ჯუსტინო და ლიკორნოს მიერ 1687 წლის 1 ნოემბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ მადალი სასულიერო პირებისადმი თბილისიდან გაგზავნილი წერილი // ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2018

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი და დასაბეჭდად გამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, ტ. IV, №1658

საქართველოს სიძელეენი, I, მეორე გამოცემა, წიგნი I, თბილისი, 1920

საქართველოს ცხოვრება სენია ჩევიძისა / ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854

სვანიძე მ., საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1971, გვ. 260.

სულხან-საბა თრბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, 1957

სულხან-საბა თრბელიანი, თხულებანი, I // გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანენიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 161.

სულხან-საბა თრბელიანი. თხულებანი, I, თბილისი, 1958

სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732) / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, ტერმინოლოგიური დექსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბილისი, 2008

სულხან-საბა თრბელიანი, თხულებანი, ტ. IV1 // ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1965

საქართველოს სიძველენი, II, ტფილისი, 1909

საქართველოს სიძველენი, III, ტფილისი, 1910

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973

ტაბადუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა. თბილისი, 1972

ტაბადუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნ-საცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984;

ტაბადუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნ-საცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი) (1600-1628 წწ.), II, თბილისი, 1986

ტაბადუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნ-საცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბილისი, 1987

ტაბადუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), თბილისი, 1979

ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1959

ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეონის წერილი საქართველოს შესახებ // ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971

ტივაძე თ., ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტ. სერია, №3, 1973

ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბილისი, 1982

ტივაძე თ., საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1977 ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცე დიპლომატიურ ასპარეზზე, თბილისი, 1983

ტლაშვაძე ი., კათალიკოზ-ბაქარიანი / ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1895

ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსელი ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი, 1970

ტურენფორი ჟ. პ. დე, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქავშნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988

ტუდუში ა., ცხოვრება და დგაწლი დედოფალ მარიამ დადიანინისა, თბილისი, 1992 .

ტუხაშვილი ლ., პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ობეულში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV, თბილისი, 1973

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია / ს. კაკაბაძის გამოცემა // საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი, 1925

ფირცხალაიშვილი ალ., საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII ს-ის II ნახევარში, თბილისი, 2000

ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარილი)

ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძორითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი, 1973

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, თბილისი, 1986

ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.ს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბილისი, 1970,

ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1971

ქიქოძე მ., პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ოცენებში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973

ქიქოძე მ., ვახტანგ VI-ის სახელმწიფო მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბილისი, 1988

ქორთუა ზ., XVII საუკუნის ქართული დიპლომატიური სამსახურის ისტორიიდან // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, I, ისტორიის სერია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

ქორთუა ზ., 1722 წლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები XVIII საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ისტორიის სერია, თბილისი, 2003

ქორნიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული ო. ქორდანიას მიერ, III. გამოსაცემად მოამზადეს გიგი ჭორდანიან და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967

ღადანიძე მ., „სამოთხის კარის“ რედაქციათა გამო // II საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურული თანამედროვე პრობლემები. თემატური სამეცნიერო კონფერენცია. სულხან-საბა თრბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება (მასალები), თბილისი, 2009

შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975

ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი) // საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1972

ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973

ჩვენი საუნჯე. ქართული მწერლობა ოც ტომად, 5, თბილისი, 1960, გვ. 195

ჩეეიძე ს., ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, II, 1854

ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, ნაკვ. IV, 1942

ცინცაძე ი., კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756) // თსუ შრომები, 1946, XXVII-ბ

ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივაზახიშვილის სახ. ისტორიის ისტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955

ცინცაძე ი., XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან // მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, XXXII, თბილისი, 1955

ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960

ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1965,

ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბილისი, 1966

„ცინცარი“, 1859, გ. I

ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო ბრი-  
ვი მოღვაწეობა, თბილისი, 1982, გვ. 159-177.

ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუქენისა იოვანესი და ეფთჟ-  
მესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად. აღწე-  
რილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. ძველი  
ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-  
XV სს.), თბილისი, 1967

ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი  
დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი,  
1896

ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმ-  
ართ რომის ფერადდებისა და გორელი პატრი ტულუკანთ  
დავითა, თფილისი, 1898

ჭიჭინაძე ზ., საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვარ-  
თა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფ-  
რანგეთის მეფესთან. მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის  
წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი. გამოცემა ზ.  
ჭიჭინაძისა, თფილისი, 1900.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პი-  
რადი არქივი, №1101, ფ. 71

ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქარ-  
თველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 1919

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, თბი-  
ლისი, 1966

ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილი-  
სი, 1967

ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ.,  
1982 ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქარ-  
თველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში // ჯავახიშვილი ივ.,  
ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, V, თბილისი, 2012,

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტო-  
მად, ტ. V, თბილისი, 2013

ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია / ზ. ჭიჭინაძის  
გამოცემა, თბილისი, 1894

ჯიქია ა., რამდენიმე დაკვირვება სულხან-საბა ორბელი-  
ანის „სამოთხის კარზე“ // რელიგიის ისტორიის საკითხები,  
2, თბილისი, 2013

ჯიქია ს., XVIII საუბუნის ორი თურქული დოკუმენტი //  
თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III,  
თბილისი, 1962

Alonso C., Misioneros Agustinos en Georgia (Siglo XVII), Valladolid, 1978

Antonio de Govea, Relations des grandes Guerres et Victoires  
obtenues par le roy de Perse Cha Abbas contre les Empereures de Tur-  
quie Mahomet et Achmet son fils...Rouen, 1646.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Ge-  
orgia 1626-1707. Vol. I, ff. 411r-411v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Giorgia  
1626-1707, vol I, ff. 234 r -137 r.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Giorgia  
1626-1707, vol. I, ff. 162-168.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 411r-411v

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 436r-437v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 417r-418 v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 417 r-418 v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 438 r-447r.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia  
1626-1707. Vol. I, ff. 417r-418v.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia  
1626-1707, vol I, ff. 178 r-179 v.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 189 r-196 v.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 178 r-179 v.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 263 r-265 v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 214 r-218v.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 135v-137 r.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 246 r-248 v.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438 r-447r.

Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 224 r-227 r.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, ff.360r-361r.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 392r-394r.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 362r-362v.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol .31, ff.392r-394r.

Archivio della Sacra Congregazione di Propaganda Fide, Scritture riferate nei congressi, Georgia, 1770-1790, vol. 4, fol. 24. 120.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol .31, ff.392r-394r.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 362r-362v.

Brosset M., Dokuments originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du régime de Louis XIV // Nouveau Journal Asiatique~. Psris, 1832, t. IX,

Brosset M., Dokuments originaux sur les relations diplomtiques dela Géorgie avec la France vers la fin du régnee de Louis XIV // Nouveau Journal Asiatique~. Paris, 1832, t. IX

Brosset M., Tradution de la letter du Prince de Georgie, ecrite ou roi de France // Nouveau Journal Asiatique ou Recueil de Memories, d'Extraits et de Notices, t. IX, Paris, 1832

Dottrina Christiana per uso missioni della Georgia da David Tlukaanti giorgiano... per il commune e spirituale profito dei cattolici della medesima natione, Roma, 1741

Hacluyt R., Voiages. In eigth volumes, v, II // Introduction by John Masefeld, New York, 1962

Hammer I., Geschichte des osmanisches Reichs, IV, 1836

Herbette M., Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907,

Lang D. M., Georgian Relations With France during the reing of Wakhtang VI (1711-24) // Journal of the Roy Asiatik Society, parts 3 and 4, 114-126, Oktober, 1950

Louis Coquet, Colonel d'E-M. en retraite. Une ambassade Géorgienne en France au Grand Sieécle 1713-1714 Solkan Saba Orbeliani chez Louis XIV // „Promethee“, 1927, Février, #4, pp. 17-25: La Conférence àla Sorbonne, le 26 avril 1925.

Peyssonel Ch. de, Essai sur les troubles actuals de Perse et de Géorgie, Paris, 1754

Raguaglio del Viaggio fatto da'Padri dell'Oriente de'Predicatori, inviati della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Missionari Apostolici nella Tartarie Minore l'anno 1662. Aggiuntavi la nuova spedizione del P. Maestro Fra' Francesco Piscopo in Armenia e Persia. Napoli, 1695

Rota G., Three Little-Known Persian Sources of the Seventeenth Century // Iranian Studies, 31 (2), 1998

Reychman Jan, Bohdan Gurdziccki. Polski Slovnik biograficzni, t. 9, Warszawa, 1960

Shaw Lucile M., The Ottoman Empire from 1720 to 1734. Illinois, 1944

Sussan Babaie and others: Slaves of the Shah (I.B. Tauris, 2003)  
[http://en.wikipedia.org/wiki/Safi\\_of\\_Persia](http://en.wikipedia.org/wiki/Safi_of_Persia)

Tabagua I., I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, I, Tbilisi, 1996

Tamarati M., L'Eglise Georgienne des origines jusqu'et nos jours. Rome: Societe Typographico-Editrice Romaine, 1910.

Teatro Farmaceutico, Dogmatico e Spagirico, del dottor Giuseppe Donzelli. In Venezia, MDCCXXVIII.

Vries W. de, Rom und Patriarchate de Ostens, Freiburg, 1963

Авалов З., Присоединение Грузии к России, СПб., 1901

Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссию, I, Тифлис, 1866

Английские путешественники в Московском государстве. Перевод с английского Ю. В. Готье, Ленинград, 1937

Архив внешней политики России, ф. Сношения России с Грузией, 1762-1776 гг., оп. 110.2, д. 4, л. 4.

Бантыш-Каменский Н. Н., Обзор внешних сношений России (по 1800 г.), Москва, 1897, с. 166; Армяно-руssкие отношения в XVII веке. Сборник документов под ред В. А. Парсамяна, Ереван, 1953.

Ватейшвили Дж. Л., Грузия и европейские страны, т. 1, кн. 2, М., 2003

Гафуров А., Имя и история, Москва, 1987

Абрамян Г. Документы из истории совместной борьбы народов Закавказья против турецких захватчиков в первой четверти XVIII в. // Инженерно-физический журнал, 1964, №2 (25)

Авалов З., Присоединение Грузии к России, 3. 50.

АВПР (Архив внешней политики России), ф. Вношения России с Грузией, 1724 г. д. №2

АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724 г. д. №2

АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724 г. д. №12

Акты, II, с. 29, №32.

Армяно-русские отношения в XVII веке // Сборник документов под ред. проф. В. А. Парсамяна, Ереван, 1953

Армянская анонимная хроника 1722-1736. Перевод с турецкого З. М. Бунятова, Баку, 1988

Арунова М. П., «Описание» П.А. Толстого как источник по истории Османской империи // Ближний и Средний Восток, Москва, 1968, с. 37.

Ашрафян К. З., Падение державы Сефевидов // Очерки по новой истории стран Среднего Востока. Москва, 1951, с. 202.

Белова Е. В., Православные народы Австрийской и Османской империи в Прутском походе 1711 г. // Вопросы истории, №10, Октябрь, 2009

Богословский М., Петр I. Материалы для биографии, т. 2 : Первое заграничное путешествие. Часть 1 и часть 2 : 9 марта 1697 – 25 августа 1698 г., Москва, 1941

Бугаев А. А., Народно-освободительное движение на Восточном Кавказе под руководством Хаджи-Давуда Мюшкюрского: первая треть XVIII века, Махачкала, Мавел, 2006.

Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, СПБ, 1869

Грузинский толковый словарь с русскими комментариями, 2013

Джавахишвили Н., Малоизвестные страницы истории Грузино-Балтийских отношений (Х-XVIII вв.). «Кавказ и глобализация». Журнал социально-политических и экономических исследований, т. 4, вып. 3-4, Швеция, 2010

Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015

Ерицов, Католицизм в Грузии. “Новое обозрение“, 1891.

Джавелидзе Н. М. Взаимоотношения османской империи с Западной Грузией в 1-ой пол. XVIII. Автореф. к.и.н., Москва, 1986

Джевдет-паша, Описание событий в Грузии и Черкесии, по отношению к оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджры (1775-1784 гг.) // Переведен с турецкого. «Русский архив», 1888, 3, (с. 369-392) Յամայի պատմութեան մասնաւութեան մասին: Описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год Хиджры (1775-1784)

Дипломатический словарь, т. II, Москва, 1961

Документы по истории армяно-грузинских взаимоотношений и общественной жизни Грузии (II пол. XVIII в.) // «Кавказ и Византия», вып. 3, Ереван, 1982

Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая // Материалы для истории архиепископии Синаиской Горы. Перевод с греческого И. И. латышева, ППС, вып. 58-й, 2-я половина, СПб., 1909

Донесения французских посланников и резидентов при русском дворе (1722-1741 гг.) // борник Императорского русского исторического общества, СПб, 1885, т. 49

Жордания Г., Очерки из истории Франко-Русских отношений, ч. II, Тбилиси, 1959

Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тбилиси, 1995

Жордания Ф., Исторический очерк пропаганды католицизма в Грузии. «Кавказ», 1885, №10.

Журнал Народного Просвещения, 1943, № №2

Казбек Г., Итальянцы о Кавказе. «Кавказ», 1867, т. 4, 6, 35, 36, 40, 41, 42, 54; 1868, т. 72, 73, 75, 78.

Зоненштранл-Пискарский А. А., Международные торговые договоры Персии, Москва, 1931

Из буллы папы Климента VIII о принятии унии православными епископами Западной Руси (1595 г. 23 декабря). / Перевод с латинского. Уния в документах, Минск, 1997, № 23

Иоселиани П. И., Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан, Тифлис, 1849

Католическая энциклопедия. Т. 2, Москва, 2005

Костомаров Н. И., Очерк Торговли Московского государства в XVI и XVII Столетиях, С-Петербург, 1862.

Костемаров Н. И., Русская история в жизнеописаниях, ее главнейших деятелей, Москва, 2004

Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг), Москва, 1891

Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг), СПб., 1895

Каптерев Н. Ф., Господство греков в иерусалимском патриархате с первой половины XVI до половины XVIII века // Богословский вестник, СПб., 1897, май

Каптерев Н.Ф., Характер отношений России православному Востоку в XVI-XVII столетиях, Москва, 1914 Померанцев И., Иерусалимский патриарх Досифей II (1669-1707) // СИППО, 1908

Козубский Е. И., История города Дербента, Темир-хан-Шура, 1906

Куканова Н. Г., Русско-иранские торговые отношения в конце XVII – начале XVIII в. // Исторические записки, т. 57, Москва, 1956

Лысцов В. П., Персидский поход Петра I. 1722-1723, Москва, 1951

Матченко О., Досифей, патриарх иерусалимский и его время. Из душеполезного чтения 1878 года, Москва,

Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношении X-XVIII вв., Тбилиси, 1958

Материал для истории русского флота, ч. 4, СПб., 1867

Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения, Москва, 1966

Мельгунов Г.В. Поход Петра Великого в Персию. 1728 год // История, география и этнография Дагестана XVIII–XIX вв., Москва, 1958, с. 193

Накашидзе Н., Грузино-руssкие политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968

Орлов А. С., Георгиева Н. Г., Георгиев В. А., Исторический словарь. 2-е изд. Москва, 2012

Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, Санкт-Петербург, 1861

Персидско-Русский словарь, т. 2. Подготовлен авторским коллективом. Руководитель Ю. А. Рубинчик, Москва, 1983

Подробнее описание путешествия голштинского посольства в Москвию и Персию составленое секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва, 1869

Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935

Полиевктов М. А., К вопросу об авторстве статейного списка „С“ // ԵԵՐՅ ԹԵՐՅՈՒՅԹԸ ՁՅԱԳՅՈՒՅՆ ՏԱՐՅՈՒՅԹԸ ՅՈՒՅՈՒՅՆ ԹԹԱՅՅՅ, I, №1, 1940

Пурцеладзе Д., Грузинские церковные гуджари (грамоты), Тифлис, 1881, Յ. 51.

Русско-дагестанские отношения в XVII-начале XIX в. Сборник документов, № 1, январь 28, 2011 <http://constitutions.ru/?p=4761>

Русско-турецких отношениях в XVIII в. <http://kumukia.ru/books/0002/pages/page14>.

Сборник Императорского Русского Исторического Общества, СПб., 1886, т. 52

Семенова Л. Е. Русско-валашские отношения в конце XVII - начале XVIII в. Москва, 1969

Сехния Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976

Соймонов Ф. И., Описание Каспийского моря и чиненных на оном российских завоеваний, яко часть истории государя императора Петра Великого, трудами Тайного Советника, Губернатора Сибири и Ордена святого Александра Кавалера Федора Ивановича Соймонова, выбранное из журнала Его Превосходительства, в бытность его службы морским Офицером, и с внесенными, где потребно было, дополнениями Академии Наук Конференц-Секретаря, Профессора Истории и Историографии, Г. Ф. Миллера. В Санкт-Петербурге при Императорской Академии Наук 1763 года, с. 99, 107.

Соловьев С. История России с древнейших времен, в пятнадцати книгах, IX, т. 18, Москва, 1963

Соловьев С., История России, кн. VII, т. 14, Москва, 1965, с. 611.

Сотовов Н. А., Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях XVIIIв., Москва, 1991. <http://kumukia.ru/books/0002/pages/page14>.

Стрейс Ян, Три путешествия, перевод Э. Бородиной, Москва, 1935

Сухарева О. В., Кто был кто в России от Петра I до Павла I, Москва, 2005

Такаишвили Е., Оконский образ Распятия // Материалы для археологии Кавказа, т. XII, Москва, 1909

Толстой П. А., Описание Черного моря, Эгейского архипелага и Османского флота, Москва, 2006

Уляницкий В. В., Дарданеллы, Босфор и Черное море в XVIII веке, Москва, 1883

Устрялов Н., История царствования Петра Великого, том четвертый, част II. Приложение, VI, Москва, 1943

Устрялов Н., История царствования Петра Великого, т. III, Москва, 1858

Фадеев А. В., Россия и Кавказ первой трети XIX в., Москва, 1961

Хаханов А. С., Ест ли грузино-католики? (Вопрос и ответ г. Саруханову) // Богословский вестник, 1901, т. 2, №5

Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II,

Цагарели А. А., Грамоты, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии т. II, ч. I, с. 24-25

Цагарели А., А, Грамоты, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии т. II, вып. II, 3. 1769 по 1801 год, С.-Петербург, 1902

# **Foreign Policy and Diplomacy of Georgia**

## **III**

### **(the fight for the defense of faith and national independence, XVI – XVIII centuries)**

The history of Georgian Kingdoms and Chiefdoms of feudal Georgia of XVI – XVIII centuries is a struggle for faith holiness, independence of the church and maintaining of national originality, which had different trends and forms.

The following three directions were noted in the foreign orientation of kingdoms and chiefdoms of the mentioned period: 1. The relationship with two close eastern Muslim States – Iran and Ottoman Empire, 2. The relationship with a Russian Orthodox State, 3. The relationship with Catholic Europe; The “foreign” policy of Kingdoms and Chiefdoms inside the country against each other also stood out. The big neighbor kingdoms often provoked their aggressive intentions either against a Georgian political unit or generally, against the whole of Georgia.

The patriarchs of Antioch and Jerusalem shamelessly interfered in the domestic political life of Georgian kingdoms and chiefdoms under the pretext of defending the orthodox holiness. The same motive, but different political goals, was the basis of the relationship of Roman Popes with Georgian Kings and Chiefs and the work of Catholic missionaries in different parts of the country.

Catholic mission was of great importance from the point of view of Georgia's Foreign Policy in the XVII – XVIII centuries. In fact, it was the only permanent diplomatic representation of Vatican from the European countries (though it was never referred by this name), which together with Catholicism propaganda gathered the information about the life and work of Georgian people (as an example, see a special instruction for catholic missionaries in 12 clauses, developed by Pietro Della Valle in 1626). The heads of mission – prefects – regularly sent it to the Sacred Congregation de Propaganda Fide, founded in 1622. Georgian Kings and Chiefs sometimes sent the representatives of the mission – missionaries to different European countries with the diplomatic assignments.

Georgia has a long history of relation with Rome and the catholic world, which can be divided into four periods:

I. Before the Schism of 1054 the discussion about the relationship of Georgian and Roman churches is based on indirect and fragmentary information, and mainly, hypotheses are given.

II. In XI – XIV centuries Georgian State was an equal political and military partner to European countries. Popes **ask** (!) Georgian Kings and Church Seniors to help with the armed forces for the Crusade movement and reunion of churches, but controversial reasons between the churches are not yet highlighted.

III. Before the Council of Ferrara – Florence XV – XVI centuries, the disagreement on dogmatic questions between Georgian and Roman churches officially is not traced, though, from the political point of view, Georgian politicians even after

this fact did not announce the split between the two churches, the one which was between Constantinople – Jerusalem and Roman churches. The representatives of Georgian State and Church never condemned the Roman Church and Pope, though it was the time when Roman representatives unsuccessfully tried to spread Catholicism among the Orthodox Georgians.

IV. XVII – XVIII centuries is the period when Eastern Georgia asks the European states and Roman Pope for military help against the Muslim neighbor-states. And now, with the promise to help or without it, catholic Europe and its head, the Pope, *demand* (!) from Georgians to adopt Catholicism and recognize the Pope's supremacy. This is the period when the true attitude of Georgian Kings and Chiefs, and Georgian Church towards Roman Church, its government and double standard of politicians is revealed – support of Catholicism when having diplomatic relations with catholic countries; persecution and abuse of the Catholics inside the country trying to spread Catholicism among Orthodox Georgians.

In the second half of the XIX century, Georgian historians and the society, together with the activation of national liberation movement, got interested in Georgian – European relations, the spread of Catholicism and work of Catholic missionaries. It was necessary to prove to either domestic or foreign opponents, that Georgia and the Georgians had been connected from time immemorial to Christian, economically and politically, military and culturally progressive European countries.

## სახელთა საძირებელი<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ხახულთა ხაძიებელი შეადგინა გორის ხახულის უნივერსიტეტის  
მაგისტრანტმა ოქონა შავლოხაშვილმა